

მართლმადიდებელი ქრისტიანის ბიბლიოთეკა

თარგმანებად იოანეს
სახარებისად

ბასტი უმველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს:
ზურაბ სარჯველაძემ
ლელა ალექსიძემ
ნინო ღოგორჯინიძემ
დარეჯან თვალთვაძემ
მანანა მანხანელმა
ლელა ნიჟარაძემ
ნანა შულაძემ
თამარ ცოფურაშვილმა

რედაქტორები: მუჟალა შანიძე
ზურაბ სარჯველაძე

წიგნის გამოცემის სპონსორია ერთობლივი საწარმო
„მერკური“
გ. თოფჩიშვილი

© გ. არაშვილი, ზ. არაშვილი 1993

წმ. იოანე ღმერთის

**განმარჯვება იოანეს
სახარებოსა.**

თარგმანი წმ. გავთიჯე მთაწმიდელისა.

საქონლო I

საქრისტიანო მწერლობაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეგზეგეტიკას — საღმრთო წერილის განმარტებას.

იოვანე ოქროპირის დაწერილია უზარმაზარი ეგზეგეტიკური ნაშრომი, რომელიც სახარების განმარტებას შეიცავს. იგი დაიწერა ბიზანტიის კეისრის თევდოსი დიდის დროს, 379—381 წლებში. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ღმერთმა იოვანე ოქროპირს საგანგებოდ უბრძანა ამ თარგმანების დაწერა. ნაწარმოები შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან მათეს თავისა და იოვანეს თავის თარგმანებისაგან. ორივე თხზულება ქართულად უთარგმნია დიდ მწერალსა და მოღვაწეს, ეფთვიმე (ექვთიმე) მთაწმიდელს. მას და მის მამას იოვანე მთაწმიდელს, რომმელმაც შვილი საგანგებოდ მოამზადა სამწერლო მოღვაწეობისათვის, კარგად ესმოდათ ამ ნაწარმოების მნიშვნელობა ქრისტიანული წნეობისათვის; ალბათ ამიტომ იყო, რომ ეფთვიმე მთაწმიდელმა იოვანეს თავის თარგმანება თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისშივე გადათარგმნა.

ეფთვიმე მთაწმიდელი იყო შესანიშნავი მწერალი და მთარგმნელი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული სასულიერო მწერლობის განვითარების საქმეში. ეფთვიმეს უდიდესი ნიჭი და დამსახურება აღრევე ერთხმად იყო აღიარებული. უკვე ამ თარგმანში აშკარად ჩანს ეფთვიმის მთარგმნელობითი სტილი: მისი ენა დახვეწილია და ბუნებრივი, ეფთვიმე ხშირად იყენებს ცოცხალი სამეტყველო ენიდან აღებული სიტყვებს, მისი წინადადებები ისეა აგებული, რომ მკითხველს არ ტვირთავს შედმეტი სირთულით. ამიტომაც არის, რომ ათასი წლის წინათ შექმნილი ნაწარმოები დღესაც მიმზიდველი და საინტერესო საკითხავია.

„იოვანეს თავის თარგმანება“ ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ძველი ხელნაწერით (XI—XIII საუკუნეებისა). ტექსტის გამოსაცემად მომზადებისათვის შერჩეული იყო ექვსი უველაზე ძველი და სანდო ხელნაწერი, მათ შორის ერთი ათონზეა დაცული (ჩვენ მას ფოტოპირით ვიცნობთ. ეს არის ათონური ხელნაწერი № 16. XI საუკუნისა). ტექსტის გასამართავად მომუშავენი ეყრდნობოდნენ აკაკი შანიძის მიერ შემუშავებულ მეცნიერულ პრინციპებს. შერჩეული ძველი ხელნაწერები შესწავლილი იყო და შედარებული ერთმანეთთან დაბეჭდვით დედანთან.

**წმიდისა და ნებარისა მამისა ჩუენისა
იოანე ოპროპირისა კონსტანტინეპოლ-
ელ მთავარეპისკოპოსისაჲ თარგმა-
ნებაჲ იოანეს სახარებისაჲ***

~~თ ა ვ ი ა~~

**წმიდისა იოვანესთვის მახარებელისა და
ღმრთისმეტყუელისა**

მკედართა ამის სოფლისათა რაჟამს იხილიან ახლად მოს-
რული ვინმე უცხოესა ქუეყანისა მკედარი, ახოვანი და სა-
ხელგანთქმული, მეყსეულად ყოველნი შეკრბიან ხილვად
კელოვნებისა მისისა და ბრძოლისა და წარმოდგინიან შორის
მათსა, და ბევრეულნი სიმრავლენი ჰხედვიდიან მისთა საქ-
მეთა და ყოველი გონებაჲ მათი მუნ არს.

და კუალად უკუეთუ მსახიობელი ვინმე საკვრველი მივი-
დის, ეგრეთვე მსგავსად ერნი შემოკრბიან და დაუტევიან
ყოველი საქმს მათი და აღვიდიან ადგილსა მალაღსა ხილვად
მისთა კელოვნებათა და სახიობათა.

ეგრეთვე კუალად ფილოსოფოსთა შორის უკუეთუ ვინმე
უცხოჲ ფილოსოფოსი სახელოვანი მოვიდის, ეგრეთვე იქმო-
დიან; რამეთუ შემოკრბიან ყოველნი, და ხედვიდიან მას და
ისმენდიან სიტყუათა სიბრძნისა მისისათა და გამოსცდიდიან
მას მრავალითა სიტყუთა, ხოლო უკუეთუ კაცთა ფილოსოფოს-
თა სოფლისათა და მსახიობელთა და მებრძოლთა ზედა ესე-
ვითარი საქმე იქმნების, და ესრეთ ისწრაფიან მრავალნი
ხილვად და სმენად მათთა სიტყუათა ფრიადითა სურვილითა
და გულსმოდგინებითა, რაოდენ უფრომსად თქუენ თანა-გაც
სმენად მრავალითა მოსწრაფებითა და სურვილითა სიტყუათა
არა მსახიობელისა და კორციელისა ფილოსოფოსისათა,

* ქართული თარგმანი წმიდისა ექვთიმე ათონელისა.

არამედ კაცისა ზეცით მეტყუელისა, რომელი დაღადებს და აღმოატყვს ვმასა მზისა უბრწყინვალესსა; რამეთუ მისმან ვმამან უოველი სოფელი დაიპყრა და ადავსო და კიდეთა მისთა მიიწია, არა თუ სიმაღლისაგან მისისა, არამედ რამეთუ საღმრთოთა მადლითა აღსძრავს ენასა თვისსა; და საკვრველი ესე არს. რომელ ესევითარსა მას სიმაღლესა ზედა მის ვმისასა არა არს იგი საწყინო და უშუერ, არამედ უსაწადელეს არს და უტკბალეს უფრომს ყოვლისა სიტკბოებისა და უმეტესად დაატკბობს სულსა და გონებასა, ვიდრეღა საეშმაკონი იგი ვმანი მგოსანთა მათ ამის სოფლისათანი, რომელნი-იგი უშმაკმან დასთესნა კაცთა შორის. ხოლო ესე ვმამ ტკბილ არს და შეუნიერ, და მის ზედა საშინელ არს და ყოვლადწმიდა, და ესოდენითა საიდუმლოთა სავესე არს და კეთილთა მომნიჭებელ, ვიდრეღა რომელსიცა მიიღებდენ მას სურვილით და დაჰმარხვიდენ გულთა შინა მათთა, არღარა არიან იგინი კაც ქუეყნის, არამედ უზეშთაეს ყოველთა საქმეთა ამის სოფლისათა აღმაღლებიან და შეიცვალეზიან ანგელოზთა წესად; და ვითარცა ცათა შინა მკვდრ იყვნეს, ესრეთ იყოფებიან ქუეყანასა ზედა.

რამეთუ ძმ იგი ქუხილისამ¹, საყუარელი ქრისტესი, სუფთი ყოვლისა სოფლისა ეკლესიითად, რომელსა ჰქონან კლიტენ-ცათანი, რომელმან სასუმელი ქრისტესი შესუა და ნათლის-ღებად მისი ნათელ-ილო, რომელი მიეყრდნა მკერდსა მას მეუფისასა დიდითა კადნიერებითა, იგი მოვალს აწ ჩუეხ შორის სიტყუად არა ესრეთ, ვითარცა მსახიობელნი სოფლისანი შემკობილნი პირითა და დაბურვილნი თავითა, აღსრულნი სამღერელსა მას ადგილსა, რომელნი იმღერდიან ფერჯითა, შემკულნი სამოსლითა ოქროსაითა; არამედ ესე ნეტარი შემოვალს ჩუენ შორის შემოსილი სამოსლითა, რომლისა შეუნიერებად თუალთმეუდგამ არს, რამეთუ ქრისტე ჰმოსიეს² და ფერჯნი შემოსილნი განმზადებულეზიბითა სახარებისა მის მმუდობისაითა³ და სარტყელი ჰმოსიეს არა ტყავისა მეწამულისამ, ცურვებული ოქროთა, არამედ მოქსოვი-

¹ შდრ. მარკ. 3,17

² შდრ. გალ. 3,27

³ შდრ. რომ. 10,15

ლი ქვემარტებითა და მორტყმელი წელთა მისთა სიწმინ-
დითა.

ესრეთ შემოვალს იგი ჩუენებად ჩუენდა თავსა თუსსა არა
ორგულებით, ანუ ზაკუვით, — რამეთუ არარაჲ არს ამათგანი
მის თანა, — არამედ განცხადებულთა სახითა განცხადებულ-
სა ქვემარტებასა მოგვთხრობს არა ესრეთ, რამთამცა სხუაჲ
იყო და სხუად გუეჩუენებოდა სიტყუთა და სახითა და ჳმითა,
არცა ორღანოჲ უჳმს საგალობელად გალობისა მისისა, ათძა-
ლი ანუ ორძალი, არამედ ყოველსავე ენითა იჳმს, რომლისა
ჳმად უტკბილეს არს ყოველსა ათძალსა და ორძალსა.

ხოლო არს ადგილი გალობისა მისისაჲ ცაჲ ყოველივე, და
სახილველ — სოფელი, და მხილველ დ მსმენელ მისა — ყო-
ველნივე ანგელოზნი და კაცნი, რომელნიცა ანგელოზ არიან,
ანუ ანგელოზ-ყოფად სურის. რამეთუ ესევეითართა ოდენ
ძალ-უტ კეთილად სმენად მისა და საქმით ჳმნაჲ; რამეთუ
ესევეითარი ჳერ-არს, რამთა იყოს მსმენელ მისა, რომელი
იჳმოდის სიტყუათა მათ საქმით, ხოლო რომელი საქმით არა
იჳმოდის, მან არა უწყის, რამ-ესე ესმის, არამედ ვითარცა
ყრმათა ჩჩულთა ესმის და არა უწყიან, რამ — იგი ესმის;
არამედ შუებასა და განცხრომასა სოფლისასა შეჳკეულ
არიან, ვითარცა ყრმანი — მღერასა, და ამათცა ესმიედ სიტ-
ყუანი ესე, ხოლო ვერარას შემძლებელ არიან გულისხმის-
ყოფად, ვინაჲთგან თიჯისა და ალიზისა ჳმნასა დაუმონებიან
თავნი, რომელ არს ცოდვაჲ. არამედ ამის მოციჳულისა წინა-
შე ზეცისა ძალნი დგანან განსკრვებულნი შუენიერებისა
მისთუს სულისა მისისა და სიბრძნისა მის გონებისა მისისა და
სათნოებათა მისთა სიკეთისა, რომლისა მიერ შეაყუარა მან
თავი თუსი ჳრისტესა და მოიღო მადლი იგი სულისა წმიდისაჲ.

რამეთუ ვითარცა ორძალი კეთილად მოზავებული, ოჳრო-
ვანი და ჳვითა პატიოსნითა შემჳული, ოჳროვანთა ჳმათა აღ-
მომტეობელი, ესრეთ მოჳმზადა სული თუსი და მისცა იგი
სულსა წმიდასა, რამთა იტყოდის იგი მის მიერ. და ამისთუს
არღარა მეთევზური იგი, არცა ძმ ზებედესი სცემს ორძალსა
ამას, არამედ სული წმიდაჲ, რომელმან იცნის ყოველნი სიღ-
რმენი ღმრთისა საქმეთანი და ამისთუს არღარაჲ კაცობრივი
გუესმის. ამის მიერ, არამედ ყოველი, რომელსაცა იტყუს,

საიდუმლოთაგან არს სულისა წმიდისათა და სიღრმეთა მათგან საღმრთოთა საიდუმლოთა, რომელი ანგელოზთაცა არა იცოდეს ამისა პირველ, რამეთუ მათცა ჩუენ თანავე ცნეს სიტყუათა მიერ იოვანესთა ესე საიდუმლონი.

და ამას მოასწავებს მოციქული პავლე, რომელი იტყვს: „რამთა საცნაურ იქმნას აწ მთავრობათა და კელმწიფებათა ეკლესიისა მიერ მრავალსაჲ იგი ღმრთისა სიბრძნე“. უკუეთუ მთავრობათა და კელმწიფებათა და ქერობინთა და სერობინთა ეკლესიისა მიერ ცნეს ესე ყოველი, საცნაურ არს, ვითარმედ იგინიცა სამე ფრიადითა მოსწრაფებითა ოსმნენ ემასა იოვანესსა. რამეთუ ესეცა არამცირედი პატივი მოგუეცა, რომელ ჩუენ თანა ცნეს ანგელოზთა, რამ-იგი არა იცოდეს, ხოლო რომელ არა ჩუენ თანა ოდენ, არამედ ჩუენ მიერცა, ამასტეს რამღა ვთქუა, რომელნი ესევითარნი ვიყვენით. რომელ არა ჭერ-არს აწ თქუმად, თუ ვინ ვიყვენით, ანუ ვითარნი და ესევითარსა პატივსა მივიწიენით. ამისტეს უკუე მიყუოთ ყოველთა სასმენელი ჩუენი ღუმლით ნუ ღღეს ოდენ. არამედ ყოვლადვე, რამეთუ ყოვლადვე კეთილ არს ამათ სიტყუათა სმენად. რამეთუ უკუეთუ მეფისა სიტყუათა მარადის სურვიელ ფართსმენად, თუ რამ თქუა, ანუ რამ ქმნა, ანუ რასა განიზრახავს, რომელთაგან არარამ სარგებელ არიან ჩუენდა, არა უფრომსად ვისწრაფოთა სმენად სიტყუათა მათ, როძელთა ღმერთი იტყვს საწადელთა მათ და სასურველთა და ჩუენდა დიდად სარგებელთა? რამეთუ ყოველივე, რასაცა ღმერთი იტყვს, ამან კეთილად გვთხრა ჩუენ, რომელი-ესე მეგობარ არს მისი საყუარელი; და უფრომსად თავადი იგი ღმერთი და მეუფე ყოველთაჲ აქუს თავსა შორის თვსსა მეტყუელად; და რამ-იგი მან მოალო მაშისაგან, ამას მოსცა საიდუმლოჲ, რამეთუ თავადი იტყვს, ვითარმედ: „თქუენ ხართ ძეგობარნი ჩემნი. რამეთუ ყოველივე, რამ-იგი მესმა მაშისაგან, გითხარ თქუენ“. ხოლო აწ, ვითარცა-იგი უკუეთუმცა ვიხილეთ ვინმე ზეცით გამოჩინებული პაერთა შინა ცათასა და გვთხრობდამცა ყოველსა თვთოეულად, რამ-იგი იქმნების ცათა შინა, ყოველნივემცა მივისწრაფდით სმენად მისა, ესრეთვე აწ ვყოთ, რამეთუ ესე მაღალი და დიდი კაცი ზეცით გუეტყვს, რაოდენსაცა გუეტყოდის, რამეთუ არა ამის სოფლისაგანი არს, ვითარცა უფალი იტყვს, ვითარმედ: „თქუენ

არა ამის სოფლისაგანნი ხართ“, არამედ აქუს ამას ნუგეშინსმცემელად იგი სული თავსა შორის თვსსა მეტყუელად, რომელი-იგი ყოველსა ადგილსა მიიწევის, რომელმან ესრეთ იცნის საქმენი ღმრთისანი, ვითარცა სულმან კაცისამან საქმენი თვსნი. სული იგი სიწმიდისაჲ. სული ჰეშმარიტებისაჲ, სული წრფელი, მთავარი აღმყვანებელი ზეცად, მიმცემელი სხუათა თუალთა სულიერთა და კეთილადმხედველთა, რომელი უჩუენებს მომავალთა საქმეთა, ვითარცა ქმულთა, რომელი კორცთა შინა მყოფთა კაცთა ზეცისა საქმეთა ხილვად ღირს-ჰყოფს.

ამისთვის უკუე ვქმნათ ფრიად მყუდროებაჲ; ნუმცა ვინ არს უდებ, ნუმცა ვინ არს მოძილ, ნუმცა ვინ არს შეგინებულ აქა შემომავალთაგანი, არამედ აღვამაღლნეთ თავნი ჩუენნი ზეცად, რამეთუ სიტყუათა ამათ ცათა შინა იტყუჲ ესე მათდა. მიმართ, რომელთა მოქალაქობაჲ ცათა შინა არს. უკუეთუ კულა ქუეყანასა ზედა დავადგრეთ გონებითა, არაჲჲ სარგებელ-გუეყოს ამათ სიტყუათაგან, რამეთუ სიტყუანი იოვანესნი არა მათა მიმართ არიან ყოველთა, რომელთა-იგი არა ჰნებავს ბილწისა ცხოვრებისაგან გამოსლვად. რამეთუ ქუხილი შეაშინებს გულთა, ხოლო ამისი ემაჲ არცა ერთსა მორწმუნეთაგანსა შეაშფოთებს, არამედ უფრომსად დააცხრობს ყოველსავე ამბოხებასა და შფოთსა, ვინაჲცა მიიწიოს, არამედ ოდენ ეშმაკთა შეაძრწუნებს და რომელნიცა მათ ჰმონებდენ.

ამისთვის უკუე დაწყნარებით ვისმენდეთ, რაჲთა ესრეთ ვიხილოთ, თუ ვითარ შეაშინებს ეშმაკთა, დავაწყნაროთ ყოველივე სახე გარეგანი და უფრომსად გონებისაჲ. რამეთუ რაჲ არს სარგებელი დუმილისაგან პირისა, რაჲამს სული ამბოხებასა და შფოთსა შინა იყოს? მე მას ვეძიებ, დაწყნარებასა გონებისა და სულისასა და მათ სასმენელთა ვითხოვ, რამეთუ ჩუენი ესე მგალობელი ესევეითარი არს.

ამისთვის უკუე ერთმცა იპოების სურვილი საფასეთაჲ, ანუ დიდებისა ცუდისაჲ, ანუ მძლავრებაჲ გულისწყრომისაჲ, ანუ გულსთქუმათა ბოროტთაჲ, განა სხუათა მათ ვნებათა შფოთი, რამეთუ უკუეთუ არა განწმდენ სასმენელნი ამათ ყოველთა ბოროტთა ნივთთაგან. ვერ შეუძლონ სმენად სიტყუათა ამათ, ვითარცა ჭერ-არს, ანუ გულისხმის-ყოფად,

ვითარცა შეკავს საიდუმლოთა ამათ მიუწდომელთა. რამეთუ უკუეთუ წინწილასა და ფანდურსა ვერვინ დაისწავლის, უკუეთუ არა ყოველი გონებად თუსი მუნ შემშქუალოს, ვითარ შეუძლოთ საღმრთოთა ამათ საიდუმლოთა დაქსნილობით სმენად? ამისთვის ქრისტე უფალი იტყოდა: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძალთა და ნუცა დაასხამთ მარგალიტსა წინაშე ღორთა“. ¹ ხოლო მარგალიტად ამათ სიტყუათა სახელ-სდვა, რამეთუ ესენი ფრიად უპატიოსნეს არიან მარგალიტისა; არამედ ამისთვის შეამსგავსნა ესენი მარგალიტსა, რამეთუ არარაჲ არს ჩუენ შორის მის ნივთისა უპატიოსნეს. ამისთვისცა წერილი სიტკბობასა სიტყუათა ღმრთისათა მრავალგზის თაფლსა მიამსგავსებს. არა თუ სიტკბობისა მათისა საზომი არს თაფლისა მსგვასებაჲ, არამედ თაფლისა უტკბილესი არარაჲ არს ჩუენ შორის. უკუეთუ არა, ისმინე, რასა იტყუს წინამსწარმეტყუელი და გამოაჩინებს გარდამატებულებასა სიკეთისა მათისასა, ვითარმედ: „გულისსათქუმელ არიან იგინი უფრომს ოქრომსა და ანთრაკისა პატიოსნისა მრავლისა, და უტკბილეს არიან უფრომს თაფლისა გოლეულსა“, არამედ მათთვის არს ესე ესრეთ. რომელთა გონებაჲ წმიდად მხედველ არს. ამისთვისცა შესძინა, ვითარმედ: „მონაშან შენმან იცენეს იგინი“. ² და სხუასა ადგილსა თქუა, ვითარმედ: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა უფრომს თაფლისა სიტყუანო შენნი“. ³ და კუალად იტყუს: „უფრომს თაფლისა პირსა ჩემსა“. რამეთუ მრთელ იყო გონებაჲ მისი. ამისთვის უკუე ჩუენცა ნუმცა უძღურნი სულითა მოუყდებით სიტყუათა ამათ, არამედ განვიკურნნეთ სულნი ჩუენნი და ესრეთ ვისმენდეთ, რამეთუ ამისთვის ვთქუენ მრავალნი ესე სიტყუანო და არლარა მითქუამს მისთა სიტყუათაგანი, რადთა თითოეულმან ჩუენმან ყოველი სახე უძღურებისაჲ განსდევნოთ, და, ვითარცა ცად შემავალნი, ესრეთ შემოხვდეთ წმიდად ყოვლისაგან ვნებისა და ზრუნვისა.

რამეთუ უკუეთუ არა ესრეთ კეთილად განიწმინდნეთ სულნი თქუენნი, ვერაჲ ირგოთ ამიერ. და ნუ ვინ იტყუნ, თუ:

¹ მათ. 7.6

² ფს. 13.12

³ ფს. 118.103

„ვითარ შეუძლო ქმნად ამის საქმისა მეყსა შინა?“ რაა არს უბოროტეს ავაზაკობისა? არამედ იხილეთ, ავაზაკი იგი ვითარ სათნოებასა მიიწია მეყსა შინა და სამოთხისა მკვდრად გამოჩნდა, რომელმან არა დღენი იკმარნა, არცა თუ ნახევარი დღისაჲ, არამედ წამსა შინა თუალისასა, რამეთუ შესაძლებელ არს მყისსა შინა შეცვალებაჲ და თიჯისა წილ ოქროსად ქმნაჲ თავთა თვსთაჲ, ვინამთგან საქმე ესე ნებასა ჩუენსა ზედა არს: გინა თუ შეცვალებაჲ, გინა თუ დადგომაჲ ბოროტსა ზედა. წერილ არს, ვითარმედ: „უკუეთუ გინდეს და ისმინოთ ჩემი, კეთილი ქუეყანისაჲ შჳამოთ“. ჰხედავა, ვითარ ნებაჲ ოდენ საქმარ არს და მოსწრაფებაჲ სულისაჲ ნებასა თანა, და ნებაჲ ოდენ არა სარგებელ არს, უკუეთუ არა მოსწრაფებაჲცა იყოს.

რამეთუ ყოველთა ჰნებაჲს აღსლუაჲ ზეცად, არამედ საქმეთა მიერ ჯერ-არს ნებისა გამოჩინებაჲ, ვითარცა-იგი ვაჰართა ჰნებაჲს განმდიდრებაჲ, გარნა არა ნებასა ზედა ოდენ დაადგრებიან, არამედ საქმეთაცა იქმან, და ნავსა მოიმზადებენ, და ზღუათა განჰვლიან, და ოქროსა ივასხებენ, და უცხოსა ქუეყანასა მივლენ და მრავალთა დელვათა თავს-იდებენ. ეგრეთ უკუე გვკმს ჩუენცა გამოჩინებად ნებისა ჩუენისა, რამეთუ ჩუენცა ვალთ ზღუასა შინა, არა ქუეყანით ქუეყანად მიმყვანებელსა, არამედ ქუეყანით ზეცად აღმყვანებელსა. ამრსთჲს უკუე ვყოთ გონებაჲ ჩუენი კეთილად მენავეთმოძღურად, და მივსცნეთ მას მენავენი მორჩილნი და მოვმზადლოთ ნავი მტკიცე, რაჲთა არცა ზრუნვათაგან სოფლისათა დაითქმოღის, არცა ზუაობისა ქართთა მიმოიტაცებოღის, არამედ იყოს იგი წარუტაცებელად და სუბუქცა. და უკუეთუ ესევი-თარც იყოს ნავი ჩუენი და ესრეთ იყოს მენავეთმოძღურარი და მენავენი, კეთილად ვლოთ და ძჳ ღმრთისაჲ, ჰეშმარიტი იგი მენავეთმოძღურარი, მოვიყვანოთ ჩუენდა, რომელმან არა უტეოს ნავსა ჩუენსა დათქმად, არამედ დაღაცათუ ბევრე-ულნი ქარნი ქროდიან, შეჰრისხენ ქართაცა და ზღუასაცა, და ქმნას დაყუღება დიდ.

ესრეთ უკუე მოჰმზადენით თავნი თქუენნი და ხვალისა დღე მოვედით ეკლესიად, და ესრეთ მიგიოხრნეთ სიტყუანი დიდისა იოვანესნი, დაჲსთესნეთ იგინი თქუენ შორის, არამედ

ხუმცა გზა ხართ, ნუცა კლდე, ნუცა ეკლოვან, არამედ იყვენით ქუეყანა კეთილ და ნაყოფიერ, რამთა ჩუენცა გულს-მოდგინებით ვსთესვიდეთ თესლთა, უკუეთუ ვიხილოთ ქუეყანა იგი წმიდად. უკუეთუ კულა ქვიანი იყოს და ეკლოვან და ფიცხელ, შენდობა-ყავ, რამეთუ ვერ ძალ-მიც-ამოდდ შრომა, რამეთუ უგუნურება არს ქუეყანასა უქმსა თესვად თესლისა.

რომელიცა ამას ტაბლასა მოვიდეს, არა უქმს მას საეშმაკოთა ტაბლათა დაჯდომამ, რამეთუ რაჲ ზიარებამ არს სიმართლისა და უშულოებისა? ანუ რომელი-ეგე ისმენ სიტყუათა იოვანესთა და მის მიერ სულისა წმიდისათა, და კუალად მისა შემდგომად წარხუალ სმენად სიტყუათა მეძავთა დედათასა და ზრახვად მათდა? ვითარ შეუძლო სიწმიდით სმენად ამათ სიტყუათა, რომელი-ეგე ინგორები ესევითარსა მწვრესა შინა?

აჰა, ესერა, წინამსწარ გეტყვ ყოველთა: ნუ ვინ ამის ტაბლისა მეპურისტეთაგანი განიხრწნის სულსა თესსა ბოროტთა ცოდვათა მიერ, რამეთუ იცით თქუენ, ნათელ-ღებულთა მათ, რავდენნი აღთქუმანი აღგუთქუენით ჩუენ, და არა ჩუენ, არამედ უფრომსად ქრისტესა, რაჲამს-იგი ნათელ-გცემდა. არა იჰმენითა ეშმაკისაგან და ყოველთაგან საქმეთა მისთა? ამისთვის შიშ არს, ნუუკუე დათრგუნოს ვინ აღთქუმამ იგი, და ესრეთ ღირს იქმნეს სატანჯველთა მრავალთა და განვარდეს მათ საიდუმლოთაგან.

არა ხედავა ქუეყანისა მეფეთა, რამეთუ არა შეცოდებულთა, არამედ მეგობართა იზიარებენ საიდუმლოთა. აწ მოციქული მოსრულ არს ზეცით, ღმრთის მიერ ჩუენდა მომართ, და თქუენ მის წილ საეშმაკოთა სიტყუათა ისმენთა? რავდენთა სატანჯველთა ღირს არს საქმე ესე? რამეთუ ვითარცა არა ჯერ-არს დაჯდომად ტაბლასა ეშმაკთასა, ეგრეთვე არცა სმენამ სიტყუათა საეშმაკოთამ ჯერ-არს, არცა შემოსლვად სამოსლითა ხენეშითა ბრწყინვალესა ამას ტაბლასა და ბევრეულითა კეთილითა სავსესა, რომელი თავადსა ღმერთსა დაუგვის. რამეთუ ესეოდენ არს ძალი მისი, რომელ მყისსა შინა ზეცად აღგუყვანებს, უკუეთუ ოდენ წმიდითა გონებითა ვისმენდეთ

მას, რამეთუ შეუძლებელ არს, რომელი ესრეთ ისმენდეს სიტყუათა ღმრთისათა, რამთამცა სოფლისა ამის სიმდაბლესა შინა ეგო. არამედ ფრთოვან იქმნებინ და ზეცისა სავანედ მიიწევინ და საუნჯეთა მათ კეთილთასა მიემთხუევის, რომელთაცა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მერ და რომლის თანა მამასა ჰმუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა მ ი ბ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : პირველითგან იყო სიტყუამ

უკუეთუმცა იოვანეს ეგულეობდა ჩუენდა მომართ სიტყუად და თვსთა თქუმულთა თბრობად, ჩუენდა კეთილ იყო, რამთამცა ნათესავიცა მისი და აღზრდილობამ და მამული ვთქუთ. ვინათგან უკუე არა იგი, არამედ ღმერთი მისითა პირითა იტყვს ბუნებასა კაცთასა, აწ არა საჯმარ არს თქუმად ამისთვის, და უფრომად ესრეთცა არავე უკმარ არს, არამედ ფრიადცა საჯმარ. რამეთუ რაჟამს სცნა, თუ ვინ იყო, და ვინამ, ანუ ვითარი, და მერმე გესმეს ჯამამ მისი, და იხილო ესევეითარი იგი სიბრძნე, მაშინ სცნა კეთილად, ვითარმედ არა მისნი არიან სიტყუანი ესე, არამედ საღმრთოჲსა მის ძალისა, რომელმან აღძრა სული მისი.

ვიხილოთ უკუე, ვინამ არს, რამეთუ არს იგი დაბისა ფრიად მცირისამ და ქუეყანისა უნდომსამ, რომელი არაჟამს კეთილსა გამოიღებდა, რამეთუ გალილევას შეასმენდეს მწიგნობარნი და იტყოდეს: „იხილეთ, რამეთუ გალილიამთ წინამსწარმეტყუელი არა აღდგომილ არს.“¹ და იტყოდა ქეშმარიტი იგიცა ისრაიტელი, ვითარმედ: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რამსამე ყოფად?“² და ამის ესევეითარისა ქუეყანისამ იყო ნეტარი ესე, ხოლო მამისა გლახაკისა მეთევზურისამ ტბასა შინა მცირესა იტყოდეს და კერავიდეს ბადეთა, რომელ ესეცა სიგლახაკისა სასწაული არს; და

¹ იოან 7,52

² იოან. 1,46

ესრეთ მიუწოდა მას ქრისტემან ძმასა მისსა თანა. ხოლო სწავლისათვის რადლა საცმარ თქუმად? რამეთუ თვთ ამას კელოვნებასა მეთევზურობისასა ფრიადი უსწავლელობაჲ შეუდგს, რამეთუ რომელი-იგი მარადის მეთევზურობასა შინა იყო, ოდესმცა ესწავა წერილისაჲ რაჲმე? და ესრეთ ამან მეთევზურმან, რომელი ტბათა შინა იქცეოდა და თევზთა თანა ბედსაიდათ გალილეამსა მოსრულ იყო მამისა გლახაკისა ცმ და გლახაკი ფრიად და უსწავლელი სრულიად, რომელსა არცა პირველ ესწავა წერილისაჲ, არცა უკუანამსკნელ ისწავა, ვინათგან შეუდგა ქრისტესა.

ვიხილოთ, თუ რასა იტყუს, ანუ რომელთა საქმეთათვის, ნუუკუე უნდოსა რასმე იტყუსა და მეთევზურობისათვის და საქმეთა სოფლისათა, რამეთუ ესე არიან სიტყუანი მეთევზურთანი, გარნა ამან არცა ერთი თქუა ამათგანი, არცა გუესმა ესევეთარი რაჲმე მისგან, არამედ გუესმნეს მის მიერ სიტყუანი ზეცისანი, რომელნი არავინ სადა ცნნა უწინარცს მისა, რამეთუ ესევეთართა სწავლათა მაღალთა მოსრულ არს აწ თქუმად ჩუენდა, ვითარცა ჭეშმარიტად საუნჯეთაგან სულისა წმიდისათა, ვითარმცა აწ ოდენ მოსრულ იყო ზეცით და უფრომსად ცათა შინა მყოფთაცა ყოველთავე არა უწყოდეს ესე, ვითარცა ზემო ვთქუთ.

აწ უკუე ესე არიან სიტყუანი მეთევზისანი? ანუ მრავლისმეტყუელთა მათ რიტორთა თქუეს სადა ესევეთარი რაჲმე, ანუ ფილოსოფოსთა და სიბრძნისგამომეტყუელთა? ნუ იყოფინ! რამეთუ ესე საქმე არა კაცობრივისა ბუნებისაჲ არს უხრწნელისა მისთვის და ნეტარისა ბუნებისა ესრეთ სიბრძნისმეტყუელებაჲ და ძალთა მათთვის და გარემო მისა მდგომარეთა უკუდავებისათვის და ცხორებისა საუკუნომსა, ბუნებისათვის კორცთაჲსა მოკუდავთა და უკუანამსკნელ უკუდავ-ყოფადთა, სატანჯველისათვის და საუკუნომსა სამშჯავრომსა და საშჯელთა მათთვის ყოფადთა, სიტყუათათვის და საქმეთა და გულისზრახვათა, და თუ რაჲ არს კაცი, ანუ რაჲ არს სოფელი, ანუ თუ რაჲ არს ჭეშმარიტად კაცი და, რაჲ არს, რომელსა ეგონოს, ვითარმედ კაცი არს და იგი არა იყოს, ანუ თუ რაჲ არს უკეთურება და რაჲ არს სათნობაჲ.

რამეთუ ამათგანი რომელიმე გამოიძიეს პლატონ და პი-

თაღორა ფილოსოფოსთა. რამეთუ სხუათა მათ აჲცა ვაჲსენებ ფილოსოფოსთა, არამედ, ვინაჲთგან თავნი ესე წათნი ესრეთ გამოჩნდეს, სხუათათს რაჲ სიტუა? რამეთუ იქმნეს ესენი საცინელ და საკიცხელ, ვითარცა ყრმანი მცირენი, რომელთა ინებეს აღწერად სიტყუათა სწავლისათა და ყოველი საძაგელბაჲ მათ წინა დააწესეს, ხოლო სულისათს თქუეს, — გარნა ვითარ მიგიბხრა მათი იგი ამოვბაჲ, რაოდენნი გმობანი წარმოთქუნეს? — რამეთუ მუჲლად და ბუხუად და ძეძუად უწოდდეს სულსა კაცისასა ყოფად და ღმერთსა ჰგმობდეს. და არა ესე ოდენ არს მათი საცინელ, არამედ ესეცა. რომელ, ვითარცა ზღუასა შინა მღელვარენი. ვეროდეს დგანან ერთსა სიტყუასა ზედა, არამედ სხუად და სხუად იქცევიან ცთომილთა გონებათაგან. გარნა მეთევსური ესე არა ესრეთ არს, არამედ ყოველსავე მტკიცედ იტყუს, და, ვითარცა კლდესა ზედა დამყარებული, არასადაჲთ შეირყევის, რამეთუ უხილავთა მხილველ იქმნა და ყოველთა მეუფს აქუნდა თავსა შორის თვსსა მტყუელად. და ამისთვის არა კაცობრივი იყო მის თანა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ.

ხოლო იგინი, ვითარცა კაცი, რომელი არაოდეს წინაშე ძეფისა მისრულ არს, არამედ გარე სოფლებსა შინა იქცევიან და ინების თქუამდ საქმეთათს პალატისათა, ესრეთვე იგინი შესცთეს, ვინაჲთგან უხილავთათს ინებეს თქუამდ და ცთომასა მას შინა ურთიერთას წინააღუდგებიან, და არა ურთიერთას ოდენ, არამედ თავთა თვსთაცა.

ხოლო ამან უსწავლელმან მადლითა მადლისაჲთა თქუა ყოველი ჳემმარიტებაჲ, რამეთუ დადაცათუ ბევრეულგზის გუეცინოდინ წარმართნი. უსწავლელობისათს, არავე მრცხუენის თქუამდ, ვითარმედ უსწავლელი იყო, და რაოდენცა მისი უსწავლელობაჲ გამოჩნდეს, ეგოდენად ჩუენნი საქმენი განბრწყინდებიან. რაჲამს ბარბაროზი იგი და უსწავლელი ესევეითართა სიტყუათა იტყოდის, რომელნი ვერვინ სადა კაცთაგანმან გულისხმა-ყვნა, და არა ოდენ იტყუს, არამედ ყოველთავე დაარწმუნებს, რომელთა ესმოდინ სიტყუანი მისნი, რომელ-ესე სავწაული არს საღმრთოჲსა მადლისაჲ. ვის არა უკუარდეს ძალი იგი მის თანა დამკვდრებულს, რამეთუ ამან ნეტარმან სახარებისა მიერ ყოველი სოფელი დაიბყრა,

ხოლო კორციითა იყოფოდა ასიას შინა, რომელსა შინა პირ-ვილ იყო საწარმართოდ იგი საფილოსოფოსოდ, და მუნ მყოფ-მან ამან ნეტარმან შეადრწუნნა ეშმაკნი, და ბნელი მათი განაქარვა, და თავნი მათთა ქალაქთანი დააქცინა და სუღლითა მივიდა სოფელსა მას, სადა ჯერ-არს მისი და მსგავსთა მისთა დამკვდრებად, რამეთუ წარმართთაჲ ყოველივე დაიკვნა და წარცდა, ხოლო ამისი ყოველივე ბრწყინავს; რამეთუ ვინაფთ-გან ესე და სხუანი იგი მეთევზურნი და მოციქულნი გამოჩინდეს, მიერთგან პლატონისი და პითალორაასი ყოველივე წარცდა და არცა სახელი მათი იციან მრავალთა, რომელნი ძძლავრნიცა იყვნეს და მდიდარნი იგი და გრძნებით მოქმედნი ყოვლისანივე, რომელთა არაჲაჲ კეთილი ასწავეს კაცთა, არამედ ყოველივე ბოროტი. ამისთვის დაშრტა მათი საჯსენებელი და წარცდა სრულიად სამართლად და ჯეროვნად, ხოლო ამისნი ბრწყინვენ და საცნაურ არიან მეგვებელთა შორის და პინდოთა და სპარსთა და ეთიოპელთა და ბარბაროზთა, და სხუათა მრავალთა ენათა უთარგმნნიან სიტყუანი მისნი თვისსა ენასა და უსწავლელისა მის მიერ ისწავეს კაცთა ბარბაროზთა უგუნურთა სიბრძნე ფრიადი.

ამისთვისცა კეთილად სამე ვიტყოდე, ვითარმედ სახილ-ველ მისა იქმნა ყოველი სოფელი, რამეთუ არა სიტყუათა შემკობისათს იყო სწრაფად მისი, არამედ ამისთვის, რაფთაჲცა ოდენ ასწავა კაცთა სათნობად და სარწმუნობად მართალი და აღამაღლნამცა ქუეყანით. ზეცად. ამისთვისცა არაზნელსა შინა დაფარა ძალი სიტყუათა თვისთაჲ, ვითარცა მათ ქმნეს, რამეთუ ბოროტ იყვნეს სიტყუანი მათნი, ამისთვის ენება დამალვად მათი სიძნელითა მით სიტყუათაჲთა, არამედ ამისნი სწავლანი უფრომს მზისა ბრწყინვენ. ამისთვისცა ყოველსა ქუეყანასა განჯდა ჯამა მისი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მისნი, რამეთუ არა ქმნა ამან საეშმაკონი საქმენი მათნი, არამედ ესრეთ ადვილ-ყო სიტყუად თვისი, ვიდრეღა ყრმათაცა მცირეთა მიერ საცნაურ არიან, რამეთუ ჭეშმარიტ არიან და საჯმარ ყოველთათს, და საქმენი მოწამე არიან, და ყოველი სოფელი მოიზიდა მისა მიმართ, და განგუათავისუფლნა ყოველთა ბოროტთაგან სიტყვთა თვისითა. ამისთვისცა უადვილმსად გუაქუს სიკუდილი, ვიდრეღა სწავლათა მისთაგან განშორებად. და

ამის ყოვლისა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ არარაჲ არს მას თანა კაცობრივი, არამედ ყოველივე ღმრთისამიერი, მისისა მის წმიდისა სულისა მიერ ჩუენდა მოსრული, არამედ არა არს აქა ამაოჲ სიტყუათა სიმრავლჳ და შეწყობილებაჲ უსარგებლოჲ, არამედ ძალი უძლეველი სარწმუნოებისა მართლესაჲ და საუნჯჳ ურიცხუთა კეთილთაჲ.

ხოლო ამათა მათ ფილოსოფოსთა თქუმულნი, ვითარცა საძარენი, არიან გარეთ შემეულნი და შინაგან სიმყარითა სავსენი. უკუეთუ სიტყუათა შეწყობილებაჲ აღილო, იხილო მუნ ფრიადი სიმყარლჳ საქმეთაჲ და საძაგელებაჲ ურიცხუ: და უფროჲსად. რაჟამს სულისათჳს იტყოდიან და უზომოდ ჭატივ-სცემენ მას და მერმე მოიქცევიან და ჰგმობენ მას. რაჟმეთუ ესრეთ არს ეშმაკისა საბრკჳ, რიქელ არასაღა უტეობს სწომსა ზედა დადგომად, არამედ ანუ უხეშათჳს ზომისა აღამაღლებს, ანუ უხეშათჳს ზომისა დაამდაბლებს მორჩილთა მისთა. არამედ ჩუენ დაუტევენთ მათთა საქმეთა ბილწებანი, რამეთუ ესეცა, რომელ ვთქუთ, მათთჳს უკმარვე იყო, გარნა რაჲთა სცნათ მათი იგი ბილწებაჲ, არამედ აწ ჩუენთა ამათ სიტყუათა ვიწყოთ თქუმაღ, რომელნი ზეცით მოივლინნეს ჩუენდა და არარაჲ არს მათ შორის კაცობრივი, ხოლო. აწ მოვედით და სიტყუანი იგი შორის შემოვიხუნნეთ, რომლისათჳს პირველცა გევედრებ და აწცა გევედრები, რაჲთა კეთ ლად ისმინოთ. რაჲ არს უკუე დაწყებაჲ სიტყუათა ამათ მახარებელისათაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი [1,1] თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეა კადნიერებაჲ ესე და კელმწიფებაჲ დიდი? ვითარ არცა იკუეულად, არცა ორგულებით, არამედ განჩინებით ქადაგა ჳეშმარიტებაჲ? რამეთუ ესე არს საქმე მოძღუარისა კეთილისაჲ, რაჲთა არა უძლურებით იყოს სიტყუასა ზედა თჳსსა და იკუეულად.

უკუეთუ კულა, რომელი-იგი სხუათა ასწავებდეს და მას სხუსა მიერ უკმდეს განმტკიცებაჲ, იგი არა მოძღუარი არს, არამედ მოწაფჳ. უკუეთუ კულა იტყოდის ვინმე: „რაჲსათჳს პირველი იგი მიზეზი დაუტევაო და მეყსეულად მეორისა მი-

ზეზისათვის იწყოს სიტყუად“? ხოლო ჩუენ პირველისა და მეორისა თქუმაჲ დაუტეოთ, რამეთუ არა ჩუენი არს ესე საქმე, რამეთუ ღმერთი რიცხვსა უზემთაჲს არს და ჟამთა ბუნებისა. ამისთვის ესეცა დაუტეოთ, და ჩუენ აღვიარებთ მამასა უშობელსა და ძესა მამისაგან შობილსა.

ხოლო უკუეთუ გუეტყოდის მეტყუელი იგი, ვითარმედ: „ჰე, ესრეთ არს, გარნა რადსათვის მამაჲ დაუტევა და ძისათვის იტყვს?“ ვიტყვთ, ვითარმედ ამისთვის, რამეთუ მამაჲ ყოველთა მიერ საცნაურ იყო, დაღაცათუ არა ვითარცა მამაჲ, არამედ ვითარცა ღმერთი, ხოლო მხოლოდშობილი ძე ჭერეთ უმეცარ იყო სოფელსა შინა და ამისთვის სამართლად იწყოს დასაბამსავე სიტყვასა, რადთამცა მეცნიერებაჲ ძისაჲ ასწავა უსწავლელთა მათ.

და კუალად ესეცა გულისხმა-ყავ, რამეთუ მამაჲცა არავე დაიდუმა სიტყუათა ამათ შინა და იხილე შეწყობილებაჲ ესე სულიერი, რამეთუ იხილნა კაცნი, ვითარმედ უწინარეს ყოველისა ღმერთსა პატივ-სცემდეს და უპირატეს ყოველთა აქუნდა იგი. ამისთვის ესრეთ ყო დასაბამი სიტყვსა თვს-საჲ და წინარე ღმერთად იტყვს მას, ამისთვის სიტყუად უწესს მას, რამეთუ ვინაჲთგან ეგულებოდა სწავლად ჩუენდა, ვითარმედ ესე სიტყუაჲ მხოლოდშობილი არს ძე ღმრთისაჲ, რადთა არავინ ვნებული შობაჲ გულისხმა-ყოს, ამისთვის წინაჲთვე სახელითა ამით სიტყვსაჲთა დაჰქსნა ბოროტი იგი იქუ, რამეთუ მოასწავა მამისაგან შობაჲ ძისაჲ და უვნებელობაჲცა.

ჰნედავა, რამეთუ ვითარცა ვთქუ, არცა მამაჲ დაიდუმა ძისათვის თქუმულთა ამათ სიტყუათა შინა? უკუეთუ კულა არცა კმა არიან ესე სახენი ყოველისავე გამოცხადებულად თქუმად, ნუვე გიკვრს, რამეთუ ღმრთისათვის არს სიტყუაჲ ჩუენი, რომლისათვის არცა თქუმად, ვერცა გულისხმის-ყოფად ვინ შემძლებელ არს ჭერისაებრ. ამისთვის ესეცა ესრეთ არსებისა სახელსა არასადა აქსენებს, რამეთუ არცა შესაძლებელ არს თქუმად, თუ რაჲ არს არსებაჲ ღმრთისაჲ, არამედ ყოველსა ადგილსა საქმეთა მიერ მისთა გჭრუენებს მას, რამეთუ რომელი-ესე აქა სიტყუად თქუა, შემდგომად მცირედისა იხილო, ვითარ იტყოდის ნათლად, და ნათელსა მას კუალად უწოდს ცხორება. ხოლო არა ესრეთ ამის მი-

ზეზისათვის ოდენ სახელ-სდვა ესრეთ, არამედ ამისთვისცა, რამეთუ ვინაფთგან ეგულებოდა მამისათვის სიტყუად ჩუენდა მომართ, ვითარცა იტყვს ვითარმედ: „ყოველი, რაოდენი მეს-მა მამისგან, გითხარ თქუენ“.¹

ხოლო უწესს მას ნათლად და ცხოვრებად, რომელმან-იგი გულისხმის-ყოფისა ნათელი მოგუანიჭა ჩუენ და მისმიერი ცხოვრებად. და ყოვლით არა კმა არს ერთი სახელი, რაფთამცა გუასწავა ღმრთისათვის, არცა ორი და სამი, არამედ კეთილ არს, უკუეთუ მრავალთა მიერ სახელთა ვის-წათო მცირედი რაამე მისთვის.

სიტყუად უკუე უწოდა მას, რაფთა უვნებელი იგი შობად მოასწაოს. ჰხედავა, რამეთუ არა ამაოდ ვიტყოდე, ვითარმედ ზეცით გუეტყვს ჩუენ ესე მახარებელი. ჰხედავა, დაწყებასავე სადა აღიყვანა სული და გონებად მსმენელთა? რამეთუ უზეშთაეს ყოველთა ხილულთასა აღიყვანა იგი და უპირატჳს მოაქცია ქუეყანისა და ზღვსა და ცისა, უზეშთაჲს აღიყვანა ანგელოზთასა, უზეშთაჲს ქერობინთა და სერაბინთასა, უზეშთაჲს საყდართა და მთავრობათა და კელმწიფებათასა, და უზეშთაჲს ყო ყოვლისა დაბადებულისა?

ხოლო რაჟამს ესევითარსა სიმალღესა აღიყვანა, ნუუკუე შემძლებელ იქმნა მუნ დასრულებად ამალღებასა მას? ნუ იყოფინ! არამედ ვითარცა ვინმე აღილის კაცი მდგომარჳ კადესა ზღვსასა, რომელი ჰხედავენ ქალაქთა და ჳალაქთა და ნავთსაყუდელთა, და შეიყვანის გულსა ზღვსასა ჩუენებად უზეშთაესთა საქმეთა, და სიმყრალისა მისგან განიყვანის და აღამალლის ფრიად, ხოლო დასასრული ზღვსა მის ხილვათაჲ ვერ პოვის, არამედ შთავარდის გონებაჲ კაცისაჲ მის დაუსრულებელთა ხილვათა შინა. ეგრეთვე ყო მახარებელმან ამან, რამეთუ უზეშთაჲს ყოველთა დაბადებულთასა აღგუამალღნა, და საუკუნეთა მათ მიმართ უზეშთაჲსთასა მიგუყვანნა, და დაუტევა სახედველი ჩვენი აღჳყრობილად, და არარაჲ მოგუცა დასასრული სიმალღისა მის, რამეთუ არცა არს დასასრული. რამეთუ აღვალს გონებაჲ პირველითგანისა მის მიმართ, და მერმე ეძიებს, თუ რომელი პირველი არს, და მერმე

¹ იოან. 15,15

ჰპობებს სიტყუასა მას, ვითარმედ „იყო“, და ესე სადაცა წარვიდეს, გონებამ წინაუსწრობს მას და ვერსადა დადგების გულსსიტყუად, არამედ ჰხედავს აღპყრობილად და ვერასადა ჰპობებს დადგომასა, მერმე დაშურების და აქავე მოიქცევის, რამეთუ სიტყუად ესე, ვითარმედ: „პირველითგან იყო“, სხუად არარაა არს, არამედ სამარადისოდა მის ყოფისა მომასწავებელი არს.

იხილუა სიბრძნისმეტყუელებამა ჰეშმარიტი და სიტყუანი საღმრთონი? რამეთუ გვჩუენებს ჩუენ ჰეშმარიტსა მას ღმერთსა, რომლისა უპირატჳს არავინ არს, რამეთუ იგი არს ძეუფჳ, შემოქმედი ყოველთაჲ, და ყოველნი შემდგომად მისა არიან, და იგი მხოლოდ არს პირველ ყოველთა საუკუნეთა.

ს წ ა ვ ლ ა დ ა

კრძალულებისათჳს ეკლესიასა შინა

მენება სხუათა მრავალთა სიტყუათა თქუამად, გარნა ნუუკუე დამაშურალ იყოს გონებამ თქუენი, ამისთჳს უკუე მნებავს, რაჲთა მცირედ რაჲმე გასწაო სარგებელი თქუენი და ესრეთ დავიდუმო, რამეთუ ვიცნი მრავალნი ესრეთ სულმოკლექმნილნი სიმრავლისათჳს სიტყუათა ამათ საღმრთოთაჲსა, არამედ ესე იქმნების, რაჲამს სული დამძიმებულ იყოს მრავალთა ტვრთთაგან სოფლისათა. ვითარცა თუალი, რაჲამს წმიდა იყოს. კეთილად ჰხედავს და არა მოუძღურდების ადრე განცდად წუელილთა ნივთთა, უკუეთუ კულა სენი რაჲმე თავისაგან მოიწიოს მათ ზედა და სისხლისსახე სიბნელე მოეფიანოს გუგასა ზედა, ზრქელთაცა გუამთა ვერ ძალ-უც ადვილად ხედვად. ეგრეთვე არს სული, რაჲამს წმიდა იყოს და უვნებელ, კეთილად ჰხედავს, ვინაჲცა ენებოს, ხოლო, რაჲამს მრავალთა ვნებათაგან შეიმრღვოს და წარწყმიდოს სათნობეჲაჲ თჳსი, მერმე ვერცა ერთისა მალლისა საქმისა მიმართ ძალ-უც ხედვად, არამედ ადრე დაშურების და დაეცემის, და დაუტეობს სათ-

ნოებასა და არღარა კელ-ჰყოფს მისდა სურვილით.

ხოლო თქუენ ნუმცა ესრეთ ხართ, არამედ განიფროთხვე-
ნით გონებანი თქუენნი, რამთა არა ესრეთ გესმეს, ვითარცა
ურწმუნოთა ჰურიათა პავლეს მიერ, რამეთუ მათდა მიმართ
თქუა, ვითარმედ: „მრავალ არს სიტყუა და ძნიად სათარგმა-
ნებელ“.¹ არა თუ იგი სიტყუაჲ ესრეთ იყო, არამედ იგინი
დაქსნილ იყვნეს სმენად, რამეთუ უღებსა და დაქსნილსა ადრე
მოეწყინების და მცირედი დიდად უჩნს და ადვილი — ძნე-
ლად. გარნა ნუმცა ვინ არს აქა ესევეთარი, არამედ ყოველივე
ზრუნვაჲ განაგდეთ სოფლისაჲ და ესრეთ განკრძალულად ის-
მენდით ამათ სიტყუათა.

რამეთუ რაჟამს გულისთქუმაჲ ვნებათაჲ იყოს კაცისა
თანა, ვერღარა ძალ-უც გულისთქუმისა საღმრთოჲსა სიტყუა-
თაჲსა პოვნად, რამეთუ არცა კმა არს ერთი სული მრავალთა
გულისთქუმათა მოგებად, არამედ ერთი მეორესა ავნებს და
განჰლევს მას. რამეთუ რაჟამს ძმე ერთი უვიკ კაცსა, ყოველი
სიყუარული მისი მისა მიმართ არს, უკუეთუ კულად სხუაჲცა
ესუს, მოუძღურდის ერთისა მის მიმართ სიყუარული და გა-
ხიყვის მეორისა მის მიმართ. ხოლო უკუეთუ სადალა ესე
ბუნებითი მძლავრებაჲ არს და საყუარელნი იგი თვისნი არიან
ორნივე, და ესრეთ არს აქა, რაჲდა ვთქუათ გულისთქუმა-
თათუს ნებსითთა და უფროჲსად, რაჟამს გულისთქუმანი იგი
ურთიერთას წინააღმდეგომ იყვნენ, ვითარ-ესე სულიერი გუ-
ლისთქუმაჲ და ვნებაჲ ურთიერთას წინააღმდეგომ არიან?

არა უწყითა, ძმანო, რაჟამს აქა შემოვიდოდით, ცად შე-
ვალთ? არა ადვილთა ვიტყუ, არამედ ძალითა და გონებითა,
რამეთუ შესაძლებელ არს ქუეყანასა ყოფითა ცათა შინა ყო-
ფაჲ და მათ სიკეთეთა განცდაჲ. აწ უკუე ცათა შინა ქუეყა-
ნისასა ნუ ვინ შემოიღებს, ნუმცა ვინ აქა მდგომარეთაგანი
სოფლისასა ზრუნავს და სახლსა თვისსა, რამეთუ მუნ რაჟამს
მიხვდეთ, თანა-გაც, რამთა აქამთ მიღებულსა სარგებელსა იტ-
ყოდით და არა, რამთა მუნ ქმნილთა საქმეთა აქა იკსენებდეთ.
რამეთუ ამისთვის შემოვალთ წმიდასა ამას ადვილსა, რამთა
განვიბანნეთ ბიწნი ცოდვათანი, უკუეთუ კულა აქა შინა მასვე

¹ ებრ. 5,11

ბილწებასა შინა ვართ, უმჯობეს არს ყოლადვე არა შემოსლ-
ვად აქა. ნუმცა ვინ უკუე ეკლესიასა შინა სოფლისასა ზრუ-
ნავს, არამედ უფრომსად სოფელსა შინა ეკლესიისასა იცხე-
ნებდით. უფრომს ყოვლისა ესე იყავნ პატიოსან, რამეთუ ესე
სულისაჲ არს, ხოლო იგი ჯორცთაჲ, და უფრომსად აქა
თქუმულნი სიტყუანი საღმრთონი სულსაცა და ჯორცთაცა სარ-
გებულ არიან.

ამისთვის ჭერ-არს, რამთა ესე იყოს საქმედ ჩუენდა შინა-
განადცა, ხოლო სხუად იგი ყოველი გარეწარად. რამეთუ ესე
ამასცა ცხორებასა სარგებელ არს და მერმესაცა, ხოლო ვნე-
ბანი აქაცა მავნებელ არიან და მუნცა, რამეთუ სახლი ესე
სამკურნალოჲ არს, რომელი არა თუ საუკუნესა ოდენ გუას-
წაუვებს. არამედ საწუთრომსასაცა, თუ ვითარ ვიყოფოდით, და,
რამცა გარე წყლულებად მოგუეახლოს, აქა განვიკურნებდეთ.
უკუეთუ კულა სულის წმიდისა სიტყუათა არა ვისმენდეთ, არა
თუ ოდენ ვერ განვიკურნნეთ წყლულებათა ჩუენთაგან, და
სხუადცა მოვიდოთ. არამედ ვისმენდეთ სიტყუასა წიგნთასა
მოსწრაჟებით. რომელი მადლითა ღმრთისაჲთა ყოველსავე
გამოგვცხადებს, და ძალ-გვც, უკუეთუ გუენებოს, მცირედი-
თა შრომითა ცნობად ძალსა მათსა, რამთა სხუათაცა ვასწავ-
ლიდეთ, რამეთუ დიდ არს მოციქული ესე, რომლისა სიტყუა-
თა აღმოვიკითხავთ, და მალალთა და დიდთა საქმეთა მეტყუე-
ლი უფრომს სხუათასა.

ნუმცა უკუე გარეწარად ვისმენთ, რამეთუ ამისთვის მცი-
რედ-მცირედ გითხრობ თქუენ, რამთა შეუძლოთ ადვილად
სწავლად ყოველსავე და არა დაგავიწყდებოდის. გუეშინოდენ
უკუე. ნუმცა ვიქმნებით თანამდებ ჳმისაჲ მის, რომელი იტყვს:
„უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვამცა არა
აქუნდა.“¹ რამეთუ რად არს სარგებელი სმენისაჲ, უკუეთუ
წარხვდეთ, და ვითარმცა არა გასმიოდა, ესრეთ არარად
იციოდით?

მოგუეცით უკუე ქუეყანაჲ კეთილი სათესავად, რამთა
ჩუენ გულსმოდგინე ვიქმნნეთ თესვად, და რომელსა ეკალნი
ჰქონან. აღატყინენ მათ შორის ცეცხლი იგი სულისაჲ, რომ-

¹ იოან. 15,22

ლისა გული ფიცხელ და წინააღმდეგომ იყოს, განასუქენ იგი და ლბ-ლ-ყავ მითვე ცეცხლითა. რომელი გზასა ზედა არს, და ყოველთა მიერ ვნებათა დაითრგუნვის, უშინაგანესსა ადგილსა შევედინ და ნუ არს ყოველთა მიერ წარსატაცებელ, რადთა ყანანი თქუენნი შუებულ იყვნენ. და უკუეთუ ესრეთ ვისწრაფდეთ, დადაცათუ მეყსა შინა არა, არამედ მცირედ-მცირედ ყოველთა ვნებათავან განვთავისუფლდეთ.

ვეკრძალნეთ უკუე, რადთა არა ჩუენთვისცა ითქუას, ვითარმედ: „ასპიტისა ყრუმსანი არიან ყურნი მათნი“,¹ და ვითარმედ არა უარცს არს მკეცთა და პირუტყუათასა, რომელსა სიტყუათა ღმრისათა არა ისმენდეს? და უკუეთუ კაცი იგი არს. რომელი სათნო-ეყოფოდის ღმერთსა, რომელი ყოლადვე სათნო-ყოფისა. მისისა სიტყუათა არა ისმენდეს, იგი რადთა განყოფილ არს მკეცთაგან?

იხილე უკუე, ვითარ ბოროტ არს, რომელ ქრისტეს ჰნებაეს, რადთამცა კაცთაგან ანგელოზად შეგუცვალნა და ჩუენ კაცთაგან მკეცად შევიცვალენით, რამეთუ მუცლისა მონებაჲ და ვეცხლსმოყუარებისა მიერ უფლებაჲ და შრისხანებაჲ და სიძულილი — ესე ყოველი არა კაცისაჲ არს, არამედ მკეცისაჲ, და უარესიცა არს მკეცთაჲ, რამეთუ მათ აქუს თითოეულსა სხუაჲ და სხუაჲ ვნებაჲ, და იგიცა ბუნებით.

ხოლო რაჟამს გონებაჲ თვისი წარწყმიდოს და მოქალაქობისაგან საღმრთოჲსა განვარდეს, არღარა ერთსა, არამედ ყოველთა ვნებათა ერევის, და არა ერთსა მკეცსა მიემსგავსების, არამედ ყოველთა უბოროტცს იქმნების და არღარა აქუს წყალობაჲ, რამეთუ ნებისით შევიდა ბოროტსა, გარნა ამასმცა ერთსა ზედა ნუ რაჲ სმენილ არს ესევეითარი, რამეთუ გურწამს თქუენთს უმჯობესი და ამისთს უმეტესად განგაკრძალებთ, რადთა ყოველნი მივიწინეთ თავსა სათნოებათასა და მივემთხვნეთ კეთილთა მათ საუკუნეთა, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ფს. 57,5

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „პირველითგან იყო სიტყუაჲ“. თ ა რ - გ მ ა ნ ი : განკრძალულად სმენისათჳს არღარად საჯმარ არს თქუმაღ, რამეთუ თქუენ სწავლაჲ ჩემი საქმით აღასრულებთ, რომელნი-ეგე ესრეთ მოსწრაფე იქმნენით შემოკრებაღ და სმენად სიტყუათა ჩემთა, ვიდრელა შეაიწრეთ ერთმანერთი შემოკრებაღ აჟა და სმენად კეთილად და არა განეწორენით, ვიდრემღის აღასრულებთ სულიერი იგი კრებაჲ.

და ესე ყოველი სახც არს სიმჭურვალისაჲ მის, რომელი აქუს სულთა თქუენთა, არამედ ამისთჳს გევედრები, რაჲთა ეგნეთ მაგასვე მოსწრაფებასა ზედა და არა დაჰქსნდეთ და ნუ ოდენ აჟა ეკლესიასა შინა, არამედ სახედცა მი-რაჲ-ხვდეთ, ნუ დასცხრებით თუთუელი სიტყუად მოყუსისა მიმართ, რაჲ აჟა გასმიოდის და კეთილსა ამას თესლსა აღაოჩინებდით დაუცხ-რომელად, მოვიდოდეთ ამას წმიდასა ტაძარსა, და ნუ ჰმიზე-ზობთ საქმეთა უცალოებისათა. რამეთუ ბოროტ არს, უკუეთუ ცხენთა სარბიელსა განხვდოდით და არაჲ არს უცალოებაჲ, ხოლო რაჟამს აჟა მოხვდოდით, ყოველი უცალოებაჲ თქუენ ზედა მოიწვევის და ვითარ არა განრისხნეს ღმერთი ამას ზე-და? ნუ, ძმანო, ნუ ესრეთ, არამედ თქუენცა მოისწრაფდიო აჟა მოსლვად და შვილთაცა თქუენთა მოიყვანებდით. რამეთუ იგი ჰასაკა ჩიჳლთაჲ უმეტესად შემძლებელ არს მიღებაღ სწავ-ლათა სიღბოდათჳს ბუნებისა მათისა, ვითარცა ცულმან ლბილმან მიიღოს კეთილად ბეჰედი, და კუალად ამისთჳსცა, რამეთუ ჰასაკსა მათსა აქუს ჟამი დამტკიცებისაჲ გინა თუ კეთილსა ზედა, გინა თუ ბოროტსა.

და უკუეთუ ვინ ისწრაფოს აწვე დაყენებაღ ბოროტისაგან და შეყვანებაღ კეთილსა, შეექმნას მათ სათნოებაჲ ბუნებაღ და არღარა ენებოს კეთილისაგან მიდრეკად, რაჟამს ჩუეულებ-ბაჲ სათნოებისა მიმართ მიჰზიდვიდეს და იქმნენ უჰატიოსნცს ბერთასა, რამეთუ შეუძლებელ არს ამის ესე ვითარისა მოცი-ქულისა სმენაჲ და არაგანათლებაჲ გონებისაჲ, გინა მამა-კაცი იყოს, გინა თუ დედაკაცი, გინა თუ ყრმაჲ, რომელი ის-მენდეს სიტყუათა მისთა და იშუებდეს ამას ტაბლასა. რამეთუ უკუეთუ მკვეთა კაცნი დაამშუდებენ და ასწავლიან, რაჲცა

ენებოს, არა უფრომსად კაცნი მოიყვანნეთა სწავლითა სათნობად, რომელნი სიტყუებნი და გონიერნი არიან და ბუნებით აქუს სიმშვედმ? ვითარცა-იგი მათ ბუნებით აქუს ველურებაჲ და კუალად იგინი კელოვნებანი კაცთანი არიან, ხოლო ესე სიტყუანი — სულისა წმიდისანა.

ამისთვის უკუე ყოველნი ამას სამკურნალოსა შემოკრებოდეთ და ისმენდით სიტყუათა სულისა წმიდისათა, და დასწერდით გონებათა ზედა თქუენთა, რადთა ეშმაკმან იხილოს რაჲ შჯული ღმრთისაჲ, დაწერილი სულსა ზედა, ვერღარაჲ მიეახლოს მას, რამეთუ სადა იყვნენ ასონი სამეუფონი არაწარმავალსა რასმე ნივთსა ზედა დაწერილნი, არამედ სულსა ზედა ღმრთისმოყუარესა სულისა მიერ წმიდისა, მუნ მიხედვად ვერ ძალ-უც ეშმაკსა, არამედ შორითვე ივლტის, რამეთუ არარაჲ არს ესრეთ საშინელ მისა, ვითარ გონებაჲ, რომელი იწურთიდეს საღმრთოთა საქმეთა, და სული, რომელი მარადის ამას წურთასა შინა იყოს, რამეთუ ესევითარსა მას ვერცა ჳირა რაჲ ამის საწუთრომსაჲ შემძლებელ არს შეწუხებად, ვერცა კეთილი აღზუავებად, არამედ ყოველსა აღძრვასა შინა ღელვათასა პოვოს დაწყნარებაჲ დიდი, რამეთუ ყოველი შფოთი არა თუ ბუნებისაგან საქმეთაჲსა მოიწვევის ჩუენ ზედა, არამედ უძლურებისა გონებისა ჩუენისა. რამეთუ უკუეთუმცა საქმეთაგან იყო, რომელნიმცა კაცნი ესრეთ იყვნეს, რამეთუ ყოველნი ერთსა ზღუასა შინა ვალთ, არამედ უკუეთუ ჩუენ გუენებოს, არა მოიწიოს ჩუენ ზედა ფრიადი ღელვაჲ, ვინამთგან შემძლებელ არიან რომელნიმე კაცნი დაწყნარებასა შინა ყოფად.

არა სადმე ზღუაჲ იქმს დანთქმასა, არამედ ჩუენ ნებისით დავინთქმით, გარნა არა უწყი, ვითარ მოვიწიე ამათ სიტყუათა სიბრძნესა, არამედ შენდობა-ყავთ, რამეთუ მეშინის, ნუუკუე დაიქსნას მოსწრაფებაჲ თქუენი და ამისთვის განგიგრძვე სწავლაჲ ჩემი. უკუეთუ კულამცა მინდობილ ვიყავ თქუენსა მკურვალებასა, არამცა საჯმარ იყვნეს ესე სიტყუანი.

ხოლო აწ უამი არს წინამდებარეთა მიმართ შესლვად და ნუმცა დამაშურალნი ხართ, რამეთუ ღღეს ბრძოლაჲ წინაგვც ძტერთა მიმართ ჳეშმარიტებისათა, რომელნი ისწრაფიან, რადთამცა დაამდაბლეს ღიდებაჲ იგი მხოლოდშობილისა ძისა

ღმერთისა და უფრომსად თავთა თუსთამ, რამეთუ მისი დიდებამა ჰვიეს უკუნისამდე, ვითარ იგი არს, და არარაა ევენების მგმობარისა მის ენისა მათისა მიერ, ხოლო მათნი პირნი აღივსებიან გინებითა, რომელთა ენების დამდაბლებამა მისი, და იტყვან, ვითარმედ: „არა თანადაუსაბამო არსო ძმ მამისა თანა“, არამედ თქუენ ისმინეთ სიტყუად სახარებისა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „პირველითგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი“. [1,1]

თ ა რ გ მ ა ნ ი : გულისხმა-ყავთ უკუე, რამეთუ პირველ თქუა, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუად“, რადთა მოასწაოს დაუსაბამოებამა იგი ძისა, ხოლო კუალად მეორე იგი სიტყუად: „და სიტყუად იგი იყო ღმერთისა თანა“, გამოაჩინებს მამისაგან შობასა მისსა, რამეთუ, ვინაითგან თუსი ღმერთისა საქმე უფრომს ყოვლისა ესე არს დაუსაბამოებამა და დაუსრულებლობამა, ამისთვის ესე თქუა პირველ, ხოლო მეორე, რადთა არა ვის ესმას სიტყუად იგი, ვითარმედ: „პირველითგან იყო“, და უშობელად გულისხმა-ყოს ძმ, ამისთვის მეყსეულად განკურნა საქმე იგი და თქუა, ვითარმედ: „სიტყუად იგი იყო ღმერთისა თანა“.

ხოლო კუალად, რადთა რაჟამს სიტყუად ესე ესმეს ვისმე, არა ჰაერად განზნევადი, ანუ გულსა შინა მოგონებული შეჰრაცხოს, ამისთვის შესძინა და თქუა, ვითარმედ: „ღმერთი იყო სიტყუად იგი“, გარნა არა უშობელ, არამედ შობილი წინა საუკუნეთა, უჟამოდ და დაუსაბამოდ, ვითარცა იტყოდა უფალი, ვითარმედ: „მე მამისა თანა და მამამ ჩემ თანა“,¹ და კუალად იტყოდა, ვითარმედ: „ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამამ ჩემი“,² და: „ვითარცა მამამ აღადგინებს მკუდართა და ცხოველ-ჰყოფს, ეგრეთვე ძმ, რომელთამა ჰნებავს, ცხოველ-ჰყოფს“,³ და: „ვითარცა მიცის მე მამამან, მეცა ვიცი მამამა.

¹ იოან. 14,10

² იოან. 14,9

³ იოან. 5,21

და მე და მამა ერთ ვართ“.¹ და ყოველსა ადგილსა განუყოფელობასა თვისსა აჩუენებს მამისაგან.

ხოლო ჯელმწიფებასა თვისსა აჩუენებს სიტყუათა მათ მიერ. რაჟამს ეტყოდა კეთროვანსა: „მნებაეს, განწმიდენ“,² და: „შენ გეტყვ, ეშმაკო, განვედ ნაგისგან“,³ და კუალად: „გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ „ნუ კაც-ჰკლავ“, ხოლო მე გეტყვ თქუენ: „რომელი განუტრისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდემ არს გეენიასა“,⁴ და მრავალსა ესევეთარსა იტყუს და იქმს, რამთა გამოაჩინოს თვისი ჯელმწიფებაჲ, რამეთუ ერთიცა ოდენ ამათ სიტყუათაგანი კმა არს მისისა მის ჰელმწიფებისა გამოჩინებად, უკუეთუ ოდენ გულისხმა-ვინ-ჰყოფდეს სიტყუათა მათ და არა სრულიად უგულისხმო იყოს.

ს წ ა ვ ლ ა დ ზ

ცუდადმზუაობრობისათს

გარნა ბოროტ არს ცუდადმზუაობრობაჲ და ცხადთაცა საქშეთა მიმართ დააბრობს გონებასა მის მიერ ძლეულთასა, და რომელთაცა იკოდინ ჰეშმარიტი და კეთილი, და ცუდადმზუაობრობამან არა უტევის მათ აღსაარებად, რამეთუ ესე იქმნა ჰურიათაცა ზედა, რომელნი არა თუ უმეცრებისაგან უარ-ჰყოფდეს ძესა ღმრთისასა, არამედ დიდებისათს კაცთაჲსა. რამეთუ იტყუს მახარებელი, ვითარმედ: „ჰრწმენა მისი, არამედ ეშინოდა, რამთა არა კრებულისაგან განცუვენ“,⁵ და ამისთს მისცეს ცხორებაჲ მათი წარწყმედასა, რამეთუ შეუძლებელ არს, უკუეთუმცა ვის სუროდა და უყუარდა დიდებაჲ ამის სოფლისაჲ, და მანცა პოვა დიდებაჲ ღმრთისმიერი. ამის-

¹ იოან. 10,15; 10,30

² მრ. 1,41

³ შდრ. მათ. 8,3; შდრ. მრ. 9,25

⁴ მათ. 5,21—22

⁵ იოან. 12,42

თვსცა უფალმან თქუა: „ვითარ შეუძლოთ რწმუნებად, რომელნი დიდებასა კაცთაგან მიიღებთ და დიდებასა მხოლოდ-შობილისა ღმრთისასა არა ეძიებთ?“¹ რამეთუ მთრვალობად არს ბოროტი ესე ვნებად და სულსა მის მიერ ძლეულსა მიწასა და თივასა შეკმშვულავს და არა უტევებს ახილვად თუალთა ნათლისა მის მიმართ ჭეშმარიტისა, არამედ მარადის მწურესა შინა დაფლულ-ჰყოფს და მონა ყოველთა, რამეთუ კაცთათვის შეიმოსს სამოსელთა შუენიერთა და ბრწყინვალეთა საჩუენებელად კაცთა და სხუსა არარადასათვს.

აწ უკუთე არსმეა ამის ვნებისა უძრვსი რამე? რამეთუ რაათ სხუანი ოდენ აქებდენ, ამისთვის ესოდენტა ბოროტთა თავს-იღებს. ვნებავსა, რაათა სცნა მისი ძლავრება? კმა არიან ქრისტეს მიერ თქუმულნი სიტყუანი, გარნა ჰკითხე, უკუეთუ ვნებავს, მოქალაქეთაგანსა ვისმე, რომელნი-იგი მრავალთა წარსაგებელთა იქმან სამკაულთა ზედა, ვითარმედ: „რამათვს წარაგებენ ესეოდენსა მას ოქროსა?“ და სხუად ვერარად გრქუან, გარნა ვითარმედ: „სათნოებისათვს ერისა“.

და კუალად, უკუეთუ ჰკითხო: „და ვითარი არს ერი იგი მაქებელი მაგის საქმისა?“ ვერარად სხუად გრქუან, უკუეთუ ჭეშმარიტსა იტყოდინან, გარნა ესე, ვითარმედ: „კაცნი უგუნურნი, საწუთრომსმოყუარენი და მღელვარენი სოფლისა ზღუასა შინა“. ხოლო რომელი ესევითართა ერთა მონად იყოს, ვის არა უსაწყალობელეს არს?

გარნა რომელნი სოფელსა შინა იყვნენ, დაღაცათუ ბოროტ არს მათი, ამას საქმესა შინა იყვნენ რად, და ფრიად ბოროტ არს, გარნა მათი უძრვსი არს, რომელნი-იგი სოფლისა ამისგან განშორებულ იყვნენ და ამითვე სენითა სნეულ იყვნენ. რამეთუ რაუამს დიდებისათვს კაცთადა ვნებასა სულისასა მიიღებდენ, რად იყოს ამისა უძრვსი? და რომელნიმე სარწმუნოებასაცა მათსა შეურაცხ-ჰყოფენ დიდებისათვს კაცთადასა.

და სხუანი ვნებანი დაღაცათუ მავნებელ არიან, არამედ გულისთქუმადა რამე აქუს და სიჰამე, დაღაცათუ მცირედი ჟამი და წარმავალი, რამეთუ ვეცხლისმოყუარესაცა და მომ-

¹ იოან. 5,44

თრვალესა და მსიძავსა აქუს ვნებული რამე გემომ. ხოლო ამის ვნებისა მიერ ცუდადმზუაობრობისა წარტყუენულნი ცხორებითა მწართა ცხორებენ, რამეთუ ნებაჲ მათი არაოდეს აღესრულების, რამეთუ ჰნებაეს ყოველთა მიერ დიდებაჲ და ვერ მიემთხუევიან. ამისთვის არა დიდებად, არამედ ცუდად-მზუაობრობად ეწოდების ნებასა მას, რამეთუ ამაოჲ არს, რომელსა თანა არარაჲ იპოვების კეთილი, არამედ სახმ მისი ჩანს კეთილად, ხოლო შინაგანი მისი ყოველივე ბილწებაჲ არს, სავსე საძაგელებითა.

არამედ ვინაითგან იშვების ვნებაჲ ესე ესრეთ პირუტყუ-ებრივი, რომლისა თანა გემომ არარაჲ არს? ვინაჲ უკუე იშ-ვების, გარნა სულისაგან და გონებასა უნდოჲსა და სოფლის-მოყუარისა, რამეთუ სული დამონებული დიდებასა სოფლის-სასა უნდო არს და მცირე და უბადრუკ, და ვერარას კეთილსა შემძლებელ არს გულისხმის-ყოფად. რამეთუ რომელი სათ-ხობისათს ღმრთისა არცა ერთსა შრომასა თავს-იდებდეს, ხოლო კაცთა სათნო-ყოფისათს ყოველსავე მოსწრაფებასა იქმოდის, მანმცა ვითარ რაჲ გულისხმა-ყო კეთილი და საღმრ-თოჲ საქმე, ანუ რაჲ არს სარგებელი. დაღაცათუ გაქონ კაცთა? ხუ, გევედრები, ნუ ეძიებთ ესე ვითართა ამათ ამოებისა საქმე-თა, რამეთუ ამან ვნებაჲმან ზუობისამან ქმნა ყოველივე, ზე და ქუე, ამან შვა ანგაპრებაჲ, შური, შესმენანი, ბოროტის-ზრახ-ვანი. ესე აღსძრავს უბრალოთა ზედა მბრძოლთა, და არცალა მეგობრობაჲ იცის ამის ვნებისა მიერ უფლებულმან, არცა სირცხული იპოვების მის თანა, არამედ ყოველივე კეთილი სულისაგან თვისისა განუგდიეს, და მბრძოლ არს ყოველთავე, დაუდგრომელ და უყუარულ. და ვნებაჲ იგი რისხვისაჲ, და-ღაცათუ იგიცა მძლავრი არს ბოროტი, გარნა არა მარადის არს, არამედ ოდეს განმაფიცებელი მისი იპოვოს, ხოლო ცუდადმზუაობრობისა ვნებაჲ სამარადისოდ არს და არა არს ჟამი, რაჟამს არამცა იპოებოდა, უკუეთუ არა იყოს გონებაჲ დამაყენებელი მისი, არამედ მარადის არს იგი, რომელი არა თუ ცოდვასა ოდენ გუაქმნევს, არამედ დაღაცათუ კეთილი რამე ვქმნეთ, მასცა მიგუტაცებს.

რამეთუ უკუეთუ პავლე მოციქული ანგაპრებასა კერპთ-მსახურებად უწესს, მაშა, ძირი იგი და მშობელი მისი და

წყარომ, რომელ არს ცუდადმზუაობრებად, რამე ყოფად არს? რამეთუ არცა იპოების სახელი, ღირსი მისისა უკეთურებისაჲ. განვიფრთხოთ უკუე, საყუარელნო, და ბოროტი ესე სამოსელი აღვიძარცოთ, და განვხეთქოთ, და განვაგლოთ და ვიქმნნეთ აზნაურებითა მით ქვეშმარითთა შემოსილ, და გულისხმა-ვყოთ პატიოსნებაჲ იგი, რომელი ღმერთმან მომცა ჩუენ.

შეურაცხ-ვყოთ უკუე დიდებაჲ ესე ამოჲ სოფლისაჲ, რამეთუ არაჲ არს ესრათჳ საკიცხელ და ამო, ვითარ ესე ვნებაჲ, არაჲ არს ესრეთ სავსჳ შეურაცხებითა, და ესე მრავლით კერძო გულისხმა-ვყოთ, უკუეთუ გუენებოს, ვითარმედ დიდებისმოყუარებაჲ სოფლისაჲ გინება არს, ხოლო ქვეშმარითი დიდებაჲ არს მისი შეურაცხებაჲ, და ყოვლით კერძო ღმრთისა მონებაჲ და მისა სათნო-ყოფაჲ, რამეთუ მაშინ შემოიყუარებს ჩუენ, რაჟამს ჩუენ მას მხოლოსა სათნო-ვეყოფოდით, ანუ რად საქმარ არიან ჩუენდა მრავალნი მხედველნი, ვინაფთგან სასყიდელისმომნიჭებელი იგი გუხედვიდეს? ანუ არა ბოროტ არსა, რომელ მონანი სოფლისა კაცთანი ყოველსავე სათნო-ყოფად თუსთა უფალთა იქმან და არავის სხუასა ეჩუენებიან, დაღაცათუ დიდნი და დიდებულნი კაცნი იყვნენ, არამედ ერთსა ზედა ოდენ მოსწრაფე არიან, რამთამცა თუსნი უფალნი მოიმაღლნეს? და ჩუენ, რომელთა ესევეთარი უფალი გვეის სახიერი და კეთილი, ესრეთ არა მისა სათნო-ყოფად ფისწრაფით, არამედ სხუათა ვეძიებთ მხილველთა ქველის-საქმისა ჩუენისათა, რომელნი ვერარას ზედა შემძლებელ არიან რგებად, არამედ უფრომსად ვნებად.

ნუ, გვეედრები, არამედ ვინაჲ-იგი მოგუეცემის სასყიდელი, მასცა უჩუენებდეთ საქმესა ჩუენსა და მას მოუწოდდეთ მაქებლად ჩუენდა და მოწამედ ქველის-საქმისა ჩუენისა. ნუმცა რაჲ არს ჩუენდა კაცობრივთა თუალთა სახილველ, და რამეთუ დაღაცათუ ამისცა დიდებისა გული გუთქუმიდეს, მაშინ მოგუეცეს ესეცა, რაჟამს ღმრთისამიერსა ოდენ ვეძიებდეთ.

რამეთუ იტყვს უფალი: „მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე“,¹

¹ მეფ. 2,30

და ვითარცა რაჟამს ღმრთისათვის შეურაცხ-ვპყოფდეთ სიმ-
დიდრესა, მაშინ განვმდიდრდებით. რამეთუ იტყვს უფალი:
„ეძიებლით სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი მოგე-
მატოს თქუნენ“.¹ ეგრეთვე დიდებაჲ რაჟამს არა სავნებელ
ჩუენდა იყოს, მაშინ მოგუცემს მას ღმერთი. ხოლო არა სავ-
ნებელ მაშინ არს, რაჟამს არა უფლებულ იყოს ჩუენდა, არცა
ვითარცა მონათა გვბრძანებდეს, არამედ გუმორჩილობდეს
ჩუენ, ვითარცა უფალთა. რამეთუ ამისთვის არა ჰნებავეს ღმერ-
თსა, რადთამცა გუსუროდა ამისთვის, რადთა არა გუეუფლებო-
დის, და უკუეთუ ესე წარვჰმართოთ, მაშინ მოგუცემს მას
უხუებით. რამეთუ ვინ არს უბრწყინვალესს ჰავლმსა, რომელი
იტყვს, ვითარმედ: „არა ვეძიებ დიდებასა კაცთასა, არცა
თქუნენგან, არცა სხუათაგან“?. ანუ ვინ არს უმდიდრესს მისა,
რომელსა არარაჲ აქუს და ყოველივე აქუს? რამეთუ, ვითარ-
ცა ვთქუ, რაჟამს ვერ გუეუფლებოდინ, მაშინ მონა ჩუენდა
იქმნებინ.

და უკუეთუ გუსურის დიდებისათვის, ვივლტოდით დიდე-
ბისაგან, რადთა ესრეთ შეუძლოთ შჯულსა ღმრთისასა აღსრუ-
ლებად და მივემთხუნეთ აქაცა და მას საუკუნესა დიდებასა,
რომელსა ღირმსცა ვართ ყოველნი მიმთხუევად, მადლითა და
კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა,
რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ:
სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე,
ამენ.

თ ა ვ ი ღ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე : „პირველითგან იყრ სიტყუაჲ, და
სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო
სიტყუაჲ იგი“ [1,1]

სასწავლოდ ახლად მოსრულთა ყრმათა მოძღუარნი არცა
მეყსა შინა ფრიადსა სწავლასა მიუთხრობენ, არცა დასდებენ
მათ ზედა მძიმეთა ტჯრთთა სწავლისათა, არამედ მცირედ-

¹ მათ. 6,33

მცირედ ასწავლიან მათ და ერთსა სიტყუასა მრავალგზის უთხრობენ, რაათა ესრეთ კეთილად შევიდენ სწავლანი იგი გონებად მათა და რაათა არა შეშინდენ პირველვე დაწყებასა ფრიადთა მათ სწავლათაგან და იწყონ უღებებად. ხოლო მეცა ამისვე სახისათს მნებავს, რაათა არა დაგიმძიმო ტურთი. და ამისთვის მცირედ-მცირედ მოვიღებ სიტყუათა სწავლისათა და გასწავლი თქუენ, და დავსთესავ სულთა შინა თქუენტა. ამისთვის უკუე ჭერ-მიჩნს; რაათა მათვე სიტყუათა თქუემად კელ-ვეო, არა თუ, რაათა რომელი მიტქუემს, კუალად მათვე ვიტყოდი, არამედ რაათა რომელ-იგი დაგკლიეს, აღვასრულოთ. მოვედით უკუე და სიტყუად ჩუენი დასაბამადვე მოვაქციოთ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუად იგი“ [1,1].
თ ა რ გ მ ა ნ ი : რადასათს რომელ სხუათა მახარებელთა ყოველთავე განჯხორციელებისათს უფლისა იწყებს თქუემად? რამეთუ მათე იტყუას: „წიგნი შობისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისი, ძისა დავითისი“¹ და ლუკა დასაბამსა სიტყუასა ჰყოფს ნათლისმცემლისათს და ღმრთისმშობელისა, და მარკოზცა ესევეითართავე სიტყუათა შინა იქცევის განკაცებისათს. ხოლო რადასათს, რომელ მათე ესრეთ იწყებს თქუემად, ხოლო იოვანე განჯორციელებისათსცა თქუა მცირედი რაამე შემდგომად ამისა, ვითარმედ: „სიტყუად ჯორციელ იქმნა“² და სხუასა ყოველსავე თანაწარჰკდა: მუცლად-ღებასა, შობასა, აღზარდასა და მეყსეულად დაუსაბამოსა მის შობისათს იწყო სიტყუად? ხოლო რაა არს ამისი მიზეზი, აჰა, ესერა, მიგიტხრავ თქუენ.

სხუათა ყოველთავე მახარებელთა სიტყუად მათი განჯორციელებისათს ქმნეს და შიში იყო, რაათა ნუუკუე ვიეთნიმე უნდონი გონებითა ამათ სიტყუათა შინა დაშუენ და საღმრთოსა მის შობისათს ვერარაა გულისხმა-ყონ, რომელი იგი პავლესცა შეემთხუა სამოსატელსა. ამისთვის სამართლად ყო დასაბამი სიტყუსა თვისიად შობისა მისგან დაუსაბამოსა, რაა-

¹ მათ. 1,1

² ფს. 102,21

თა ამის საქმისაგან იქსნნეს კაცნი, რამეთუ მათე ჰეროდე მეფისაგან იწყო და ლუკა—ტიბერიოს კეისრისაჲ, და მარკოზ—ნათლისმცემლისა იოვანესითგან; ხოლო ამან ესე ყოველი დაუტევა და უზეშთაეს აღკდა ყოვლისავე ჟამისა და საუკუნეთა, რამთამცა მუნ აღიყვანნა გონებანი კაცთანი პირველითგანისა მის შიმართ და არასადა დაუტევა დადგრომად. არცა საზღვარი დადვა, ვითარ-იგი მათე ჰეროდე და ტიბერიოს და იოვანე; გარნა არცა ამან, იწყო რაჲ მიუთხრობელისა შობისა მისისათჳს თქუმად, დაიდუმნა სრულიად განკაცებისა საქმენი. არცა ამათ, იწყეს რაჲ განკაცებისათჳს, სრულიად დაიდუმეს დაუსაბამოჲ იგი შობაჲ, რამეთუ ერთი სული იყო მომცემელი მათა სიტყუსაჲ, ამისთჳს ფრიადი ერთობაჲ ჩუენნეს მათე, მარკოზ და ლუკა და ამანცა ნეტარმან.

ხოლო შენ, საყუარელო, რაჟამს სიტყუაჲ გესმეს, ნულარა ისმენ მათსა, რომელნი იტყოდინ მას დაბადებულად, და ნუცა მათსა, რომელნი იტყოდინ მას ესრეთ ლიტონად სიტყუად, რამეთუ მრავალნი არიან სიტყუანი ღმრთისანი, რომელთა ანგელოზნიცა იქმან, არამედ არცა ერთი არს მათ სიტყუათაგანი ღმერთ, რამეთუ იგი ყოველნი წინაწარმეტყუელებანი არიან და ბრძანებანი, რამეთუ ესე არს ჩუეულებაჲ წერილისაჲ, რამეთუ ესრეთ უწესდეს შჯულთა და ბრძანებათა ღმრთისათა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ძლიერნი ძალითა, რომელნი ჰყოფენ სიტყუათა მისთა“, ხოლო ესე სიტყუაჲ არსებაჲ არს გუამოვანი, გამოსრული თავადისა მამისაგან უენებელად. რამეთუ, ვითარცა ზემო ვთქუ, ამას მოასწავებს სიტყუსა მიერ, და ვითარცა სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ“ დაუსაბამოსა გამოაჩინებს, ეგრეთვე იგი სიტყუაჲ, ვითარმედ: „სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა“ თანაარსებასა მოასწავებს და თანადაუსაბამოებასა. და ნუუკუე გესმას რაჲ, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუაჲ, დაღაცათუ დაუსაბამოდ გულისხმეყო ძმ, არამედ სთქუა, ვითარმედ: „უამითა რაოდენითამე უხუცესს არს მამაჲ უმეტესითა საუკუნოთა“. და ამით სახითა მისცე მხოლოდშობილსა დასაბამი.

ამისთჳს შესძინა და თქუა: „სიტყუაჲ იგი იყო პირველითგან ღმრთისა თანა“, ესრეთ დაუსაბამო არს ვითარცა მამადვე,

რამეთუ არაოდეს ყოფილ არს მამად თუნიერ სიტყუსა ამის დაუსაბამოსა, არამედ მარადის ღმერთი ღმრთისა თანა იყო გუამოვნებითა განყოფილითა. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას: და ვითარ იტყუს: „სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ იქმნა“? ვითარ იყო სოფელსა შინა, უკუეთუ ღმერთისა თანა იყო? გარნა გულისხმა-ყავთ, რამეთუ ღმრთისა თანაცა იყო და სოფელსა შინაცა. რამეთუ არასადა გარეშემოიწერებთან ერთსა ადგილსა არცა მამად, არცა ძმ, რამეთუ „ვითარცა დიდებისა მისისა არა არს დასასრულ და გულისხმისა მისისა არა არს რაცხუ“,² ეგრეთვე არცა არსებისა მისისა არს დასაბამი უამიერი.

გასმიეს, ვითარმედ „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“.³ რასა გულისხმა-ჰყოფ ამის დასაბამისა უწინარეს? არა ამას გულისხმა-ჰყოფა, ვითარმედ უწინარეს ყოველთა ხილულთასა იქმნნეს იგინი? ეგრეთვე რაჟამს მხოლოდწობილისა მისთვის გესმეს, ვითარმედ: „ბირველითგან იყო“, ესე გულისხმა-ყავ, ვითარმედ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და ყოველთა უხილავთა და ხილულთასა არს.

უკუეთუ კულა ამას ვინ იტყოდის: „და ვითარ ეგებისო, რამეთუცა ძმ იყო, და არამცა უმრწემძს მამასა იყო? რამეთუ რომელი ვისგანიმე იყოს, საცნაურ არს, ვითარმედ უკუნადსკნელ არს მისა, რომლისაგან არს?“ რაჲ ვთქუათ უკუე ამისთვის? გარნა ამას ვიტყვთ, ვითარმედ ესე ყოველნი კაცობრივთა საქმეთა წესნი არიან. და რომელი ამას ეძიებდეს, მან უძრესიცა ამისი მოიძიოს, და არცა თუ შეწყნარებად სასმენელითა ჯერ-არს ამათ სიტყუათა. რამეთუ აწ სიტყუაჲ ჩუენი ღმრთისათვის არს, არა თუ კაცობრივისა ბუნებისა საქმეთათვის, არამედ გულსავე-ყოფისათვის უძღურთამსა. ამისთვის ვთქუათ: „მითხარლა, შარავანდელი მზისაჲ მზისაგან გამოვალსა, ანუ სხვთ სადამთ?“ და შარავანდელსა მას, რომელი მზისაგან გამოვალს, არა ვიტყვთ, თუ უკანადსკნელ არს და არა სწორი არს მზისაჲვე დაბადებითა, რამეთუ არცა შესაძლებელ არს,

¹ იოან. 1,10

² ფს. 146.5

³ დაბ. 1,1

უკუეთუმცა თნიერ შარავანდელისა ყოფილ სადა იყო მზე
ოღესმე.

ხოლო უკუეთუ გუამთა ამათ ზედა ხილულთა ესრეთ არს,
და რომლისათჳს იგი არა უდარჴს არს მისა, რომლისაგან არს,
რად ურწმუნო ხარ, უკუეთუ უხილავი იგი და გამოუთქუმელი
ბუნებაჲ ესრეთ არს, ვითარცა-იგი მისსა არსებასა ჰშუე-
ხოდა? ამისთვისცა პავლე ესრევე უწოდა მას, რამთა მისგანო-
ბაჲცა და თანადაუსაბამოებაჲ აჩუენოს.

ხოლო რაჲ სთქუა: „არა ყოველნივე საუკუნენი მისა მიერ
იქმნნესა და ყოველნივე ჟამნი?“¹ რამეთუ ესე ყოველთა მიერ
საცნაურ არს, უკუეთუ არავინ იყოს სრულიად ცნობამილე-
ბულ, და ვინაითგან ყოველნივე საუკუნენი და ჟამნი მის მიერ
იქმნნეს, საცნაურ არს, ვითარმედ არარაჲ ყოფილ არს ჟამი,
რომლითამცა ძმ უკუანამსკნელ მამისა იყო, რამეთუ ვინაითგან
ყოველნივე ჟამნი ძისა მიერ იქმნნეს, სადალა იპოვა ჟამი
იგი, რომელ იყო პარველ მისა? ნუ იყოფინ! ხოლო ვინაითგან
ჟამი არა არს, რომლითამცა ძმ იყო უკუანამსკნელ მამისა,
საცნაურ არს, ვითარმედ თანადაუსაბამოჲ არს მამისაჲ; და
„პირველი“ და „უკუანამსკნელი“ — ესე სიტ-
ყუანი ჟამთა მომასწავებელნი არიან და თნიერ საუკუნეთა
და ჟამთასა ამათ სიტყუათა ვერვინ იტყუს, ხოლო ძმ უზეშ-
თაეს არს ჟამთა და საუკუნეთასა. და ვინაითგან ესრეთ არს,
არასადა არს უკუანამსკნელობაჲ. ხოლო უკუეთუ ძისა და-
საბამსა იტყოდრი, მამისაჲცა სადმე სთქუა, რამეთუ უფალ-
რიტყუს: „რომელი არა პატივ-სცემდეს ძესა, იგი არცა მამასა
პატივ-სცემს“.¹ რამეთუ ყოველი კაცი, გამომეძიებელი ესე-
ვითართა საქმეთაჲ, ვერ მისწუთების ჳეშმარიტებასა, არამედ
მოსცთების, რამეთუ გონებანი კაცთანი ადვილად შემცთომელ
არიან. ხოლო ესე ვპრქუთათ წინააღმდგომთა ჩუენთა, ვითარ-
მედ: „რაჲ არს სიტყუაჲ იგი წინამსწარმეტყუელისაჲ, რომელ
თქუა: „პირველ ჩემსა არა ყოფილ არს სხუაჲ ღმერთი, და შემ-
დგომად ჩემსა არა იყოს?“² რამეთუ უკუეთუ ძმ უკუანამსკ-
ნელ არს მამისა, ვითარ იტყუს, ვითარმედ: „შემდგომად ჩემსა

¹ შდრ. იოან, 5,23

² ესაია 43,10

არა იყოს“? ნუუკუე ყოვლითურთ შეურაცხ-ვყოთა არსებამ იგი მხოლოდშობილისაჲ? რამეთუ ანუ ესე იკადროთ თქუმად, ანუ გრწმენეს ღმრთებად — მამაჲ, ძმ და სული წმიდაჲ, სწორნი, დაუსაბამონი — ერთღმრთეებითა სამებამ? ანუ ვითარ თქუმულ არს, ვითარმედ: „ყოველივე მის მიერ იქმნა“,¹ უკუეთუ უკუანაჲსკნელ არს ძმ მამისა? რამეთუ უკუეთუ სადა ყოფილ არს ჟამი და საუკუნე პირველ მისა, ვითარმცა მის მიერ ქმნულ იყო პირველ მისა მყოფი იგი? ჰხედავა, ვითარცა კადნიერებასა მიიყვანებს კადნიერებამ ესევეითარისა მეტყუელთაჲ? რამეთუ რად არა თქუა მახარებელმან, თუ არარაჲსაგან იქმნა, ვითარ-იგი პავლე დაბადებულთათჳს იტყჳს: „რომელმან უწოდოს არაარსთა ვითარცა არსთა“,² არამედ თქუა, ვითარმედ: „პირველითგან იყო“, რამეთუ ესე წინააღმდეგობი არს მისი: და სამართლადცა! რამეთუ ღმერთი არცა დაბადებულ არს, არცა აქუს რაჲმე უხუცესი თჳსსა, არამედ ესე სიტყუანი წარმართთანი არიან. ხოლო ესეცა მითხარ: დამბადებელი არა შეუმსგავსებელად უზეშთაეს არს დაბადებულთასა? გარნალა ვერ უძლებ ამისა თქუმად, ვითარმედ არა ფრიად უზეშთაეს არს და შეუმსგავსებელ მათ მიერ, ხოლო უკუეთუ მსგავსად მათისა დასაბამი აქუს, სადა არს შეუმსგავსებლობამ იგი მისი და უზეშთაესობამ დაბადებულთაგან? ანუ რაჲ არს სიტყუამ იგი, ვითარმედ: „მე ვარ პირველი და მე ვარ შემდგომი. და პირველ ჩემსა არა ყოფილ არს სხუამ ღმერთი?“ რამეთუ უკუეთუ ძმ არა დაუსაბამომ არს, არა სადამე აქუს ბუნებამ მამისაჲ, რამეთუ მამამ დაუსაბამომ არს. და უკუეთუ ბუნებამ მამისაჲ არა აქუს, სხუამ სადამე ღმერთი არს. უკუეთუ არა თანადაუსაბამომ არს მამისა, ვითარ სთქუა, თუ: „უსაზღვრო არს ცხორებამ მისი?“ რამეთუ უკუეთუ დასაბამი აქუს, დაღაცათუ დაუსრულებელი აქუს ცხორებამ მისი, არავე უსაზღვრო არს, რამეთუ უსაზღვროჲ ორკერძოვე ჯერ-არს უსაზღვრო-ყოფად, ვითარცა პავლე მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „არცა დასაბამი დღეთამ,

¹ იოან. 1,3

² ჰრომ. 4,17

³ ესაია 41,4; 43,10

არცა აღსასრული ცხორებისაჲ“,¹ რომლითა მოასწავებდა დაუსაბამოებასა და დაუსრულებლობასა მისსა. რამეთუ ვითარცა დასასრული არა აქუს, ეგრეთვე არცა დასაბამი აქუს. და არცა აქა დასასრული არს, არცა მუნ დასაბამი. ანუ რომელი-იგი ცხოვრებამ არს სამარადისოჲ, ვითარ იყო ჟამი, ოდეს იგი არა იყო? რამეთუ ცხოვრებამ ესრეთ ჯერ-არს, რაჲთა მარადის იყოს და დაუსაბამოდ და დაუსრულებლად. იყოს, ვითარცა-იგი არსცა. უკუთუ კულა იყო ოდეს ჟამი, რაჲმს-იგი არა იყო, ვითარ არს იგი ცხოვრებამ ყოველთაჲ, რომელი თვთ ოდესმე არა იყო? გარნა იტყვან მეტყუელნი ამოვებისანი, და ვითარ იოვანე თქუა, ვითარმედ: „პირველითგან იყო“, და არა თქუა, თუ: „დაუსაბამოდ იყო“? ამოო და ცუდო, პირველი გესმა და ამას არა ისმენა, ვითარმედ: „იყო სიტყუამ პირველითგან, იყო მარადის, და არაოდეს, და არაოდეს ყოფილ არს ჟამი, ოდეს არა იყო“? ანუ ოდეს მამისათეს იტყოდის წინამსწარმეტყუელი, ვითარმედ „საუკუნითგან და უკუნისამდე შენ ხარ“,² რაჲ სთქუა: ნუუკუე საზღვარსა მისცემსა? ნუ იყოფნი! არამედ დაუსაბამოებასა და დაუსრულებლობასა მოასწავებდა. ეგრეთვე უკუე ესე გულისხმა-ყავ, რამეთუ არა საზღვარსა მისსა დასდებს, არცა თქუა, ვითარმედ: „დასაბამი აქუნდა“, არამედ „პირველითგან იყო“.

რაჲთა სიტყუსა ამის მიერ, ვითარმედ „იყო“, გულისხმა-ჰყო დაუსაბამოებამ მისი, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „სიტყუამ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუამ იგი“. და რაჲთა არავინ ჰგონებდეს, ვითარმედ უდარჱს არს ღმრთეებამ ძისაჲ, ამისთვის შესძინა და თქუნა საქმენი იგი, რომელთა მიერ საცნაურ იქმნების ღმრთეებისა მისისა სისრულე, ვითარმედ ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა, რაჲთა სცნა დაუსაბამოებამ მისი, ვითარმედ არაოდეს ყოფილ არს მამამ თვნიერ ძისა, არამედ პირველითგან ღმერთი იყო, ძმ ღმრთისა თანა მამისა და მერმე კუალად დამბადებელობამ მისი ქადაგა, ვითარმედ: „ყოველივე მის მიერ იქმნა, და თვნიერ

¹ ებრ. 7,3

² ფს. 89,2

მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რავედენი-რაჲ იქმნა“,¹ რომელ-
 ესე მომასწავებელი არს ჰეშმარიტისა მის ღმრთეებისა მი-
 სისაჲ, ვითარცა მამაჲცა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ ამას
 შოასწავებს მარადის სასწაულად თვისისა ღმრთეებისა. და მა-
 რადის ამას ქადაგებენ წინაჲსწარმეტყუელნი წინააღდგო-
 მად კერპთაჲსა, ვითარმედ: „ღმერთნი, რომელთა ცაჲ და
 ქუეყანაჲ არა ქმნეს, წარწყმდენ“,² და კუალად იტყუს: „მე
 ჯელოთა ჩემითა განვჰმარტე ცაჲ“. ³ და ვინაჲთგან მო-
 მასწავებელი ღმრთეებისაჲ არს, ამისთვის ყოველსა ადგილსა
 მას მოიღებს დამბადებელობასა. ხოლო მახარებელმან არა
 ამას ზედა ოდენ კმა-ყო, არამედ ცხორებადცა უწყესს
 და ნათლად. ხოლო უკუეთუ მარადის მამისა თანა იყო
 და ყოველი მას დაუბადებდეს, და დაუბყრიეს და ყოველსა იგი
 განანათლებს, ვინ იყოს ესრეთ დაბნელებული და საწყალო-
 ბელი, რაჲთამცა თქუა, ვითარმედ უღარეს არს და უკუანაჲსკ-
 ნელ მამისა? ნუ შეჰრევთ დაბადებულთა დამბადებელსა თანა,
 რაჲთა არა გუესმეს ჩუენცა, ვითარმედ: „ჰმსახურეს დაბადე-
 ბულსა და არა დამბადებელსა“.

ს წ ა ვ ლ ა ჲ

თანა-გუაჲც მადლობაჲ უფლისაჲ მარადის რისხვისათუს

ნუმცა უკუნისამდე შთავყრით თავთა ჩუენთა ესევითარსა
 ამას წყევასა შინა, რაჲმეთუ ამისთვის მოვიდა ჩუენდა ძე ღმრთი-
 საჲ, რაჲთა ამის წყევისაგან გვქსნეს. ამისთვის შეიმოსა ხატი
 მონისაჲ, რაჲთა ამის მონებისაგან განგუათავისუფლნეს,
 ამისთვის თავს-იღვა ნერწყუვაჲ და ყურმილის-ცემაჲ და სიკუ-
 დილი შეურაცხებისაჲ. ნუმცა უკუე ცოდვილ ჰყოფთ მას ყო-
 ველსა, ნუცა კუალად პირველისა უშუქულოებისა მიმართ,

¹ იოან. 1,3

² იერ. 10,11

³ ესაია 44,21

რამეთუ ესე არს უძვრეს და უსაშინელეს ყოვლისა და უბო-
როტეს კერპთმსახურებისა, რაჟამა დაიბაღებულსა მას
ყოველთასა დაბადებულთა თანა დავამდაბლებდეთ, რავდენცა
ძალ-გუედვას. რამეთუ მას არა ენების ჩუენისა მიერ ზრახ-
ვისა, ვითარცა წერილ არს ვითარმედ: „შენ თავადი იგივე
ხარ და წელიწადთა შენთა არა მოაკლდეს“.¹ არამედ ჩუენ
თავთა ჩუენთა ესევეითარითა საქმითა ზიარ ეშმაკისა ვკყოფთ.
არამედ ვადიდებდეთ მას, ვითარცა მამათა მიერ გვსწავიეს;
ვადიდებდეთ მას სარწმუნოებისა მიერცა და საქმეთა მიერცა.
ხოლო უკუეთუ საქმენი ჩუენნი ბოროტ იყვნენ, არარა სარგე-
ბელ არს სარწმუნოებისაგან. ამისთვის უკუე დავაწესნეთ თავ-
ნი ჩუენნი ნებისაებრ ღმრთისა, და შორს ვიქმნეთ ყოვლისა-
გან ბილწებისა და უსამართლოებისა და ანგაპრებისა, ვითარ-
ცა უცხოთა და მწირთა და წარმავალთა ამის სოფლისათა.
უკუეთუ ვის საფასენი აქუნდენ და სიმდიდრენი ფრიადნი, ეს-
რეთ იკმარებდინ მათ, ვითარცა მწირი, და შემდგომად მცი-
რედისა ჟამისა მის ყოვლისაგან განშორებად, უნდეს, თუ არა.
და უკუეთუ ვის ზედა ბოროტი მოიწიოს სხვსაგან, ნუმცა და-
უმშუდებელად განრისხნების. რამეთუ მოციქულსა არა მოუ-
ცემიეს ჩუენდა ერთიცა დღე განრისხებად, ვითარცა იტყუს,
ვითარმედ: „მზმ ნუ დაბნელდეს განრისხებასა თქუენსა
ზედა“, რამეთუ დიდ არს, უკუეთუ მასცა ერთსა ჟამსა, რო-
მელსა განვრისხნეთ, არარა ვქმნეთ ბოროტი, უკუეთუ კულა
ღამემანცა გუპოვნეს მრისხანებასა შინა, უმეტესად აღორძინ-
დების ბოროტი იგი, რამეთუ ვითარცა ცეცხლი უმეტესად
აღეტყინის, რაჟამს მოცალებით ვიწყით ბოროტისა წურთად.
და ამისთვის ბრძანებს, რაათა პირველ აღტყინებადმდე ცეც-
ხლისა მის დავშრიტოთ იგი. რამეთუ ფიცხელ არს ვნებაჲ იგი
მრისხანებისაჲ და უმძაფრეს ახლისა. ამისთვის ფრიადი მოსწ-
რაფებაჲ გვქმს დაშრეტად მისა და არა შენდობად ამაღლებად
სიმაღლედ ცისა აღისა მისისა. რამეთუ მრავალთა ბოროტთა
შიზეზ იქმნების სენი იგი და მრავალნი სახლნი საფუძველქ-
თურთ აღაფხურნა და ნათესავნი და მეგობარნი ურთიერთას
ძკლველ-ღვნა და ბოროტნი უზომონი ქმნნა მცირეთა შინა

¹ ფს. 101,28

ჟამთა. ნუმცა უკუე, ძმანო, დაუტეობთ ამას მკეცსა აღჯრუსხ-
ძელად, არამედ ვტანჯოთ იგი ჳიმითა და აღჯრითა, რომელ არს
შიში საუკუნოასა მის საშჯელისაჲ. რაჟამს-იგი შეგაწუხოს
მეგობარმან და განგარისხოს მონათა შენთაგანმან ვინმე, მო-
იკსენენ ცოდვანი შენნი, რომელ შეგიცოდებიან ღმრთისადა;
და გულისხმა-ყავ, ვითარმედ მისა მიმართ სიმშუღითა დაატკ-
ბობ ღმერთსაცა შენსა და აღისუბუქებ თანანადებთა, რამეთუ
წერილ არს: „მიუტევეთ და მოგეტევენ“¹, და მერმე კუალად
გულისხმა-ყავ, უკუეთუ ოდესმე წინააღღგომილ ხარ ამის ვნე-
ბისადა და გიძლევეს, და კუალად თუ ოდესმე ძლეულ ხარ,
ორნივე იგი ჟამნი მოიკსენენ, და ესრეთ ფრიადი ჳპოვო სარ-
გებელი. და გულისხმა-ყავ, თუ ოდეს სათნო-გიყოფიეს თავი
შენი, ოდეს იძლიე, ანუ ოდეს სძლე ვნებასა მას. ანუ არა
განრისხებასა ზედა ვაბრალებთა თავთა ჩუენთა და გურცხუ-
ენის და გუამხილებს გონებაჲ ჩუენი თჯნიერ სხუათა მხი-
ლებისა და ფრიად ფინანით? ხოლო რაჟამს ჳსძლოთ გუ-
ლისწყრომასა, მაშინ გჯარის და მხიარულ ვართ, ხოლო
ძლევაჲ ესევითარისა ჟამისაჲ არა იგი არს, რომელ გინებისა
წილ ვაგინოთ და ცემისა წილ ვსცეთ, რამეთუ ესე არა
ძლევაჲ არს, არამედ ძლეულებაჲ ბოროტი. ხოლო ძღვევაჲ
იგი არს, რაჟამს მოთმინებით თანაწარვჳდღეთ ესევითართა
საქმეთა და თავს-ვიღვათ გინებაჲცა და ცემაჲ, რამეთუ ესე
არს შეგინებაჲ არა ბოროტის-ყოფაჲ, არამედ ბოროტისა
მოთმინებაჲ. ამისთვის უკუე ნუ იტყჳ, ვითარმედ: „მეცა ვაგი-
ნო გინებისა წილ და შური ვიძიო, რათა ვერ მეკიცხევდეს
იგი ვინმე. რამეთუ არა მაშინ ხარ საკიცხელ, ოდეს მოით-
მინო, არამედ ოდეს ნაცვალი მიაგო. და უკუეთუ ვინ მაშინ
გეკიცხევდეს, რაჟამს მოითმინო, ნუ ჳხედავ მას, არამედ გუ-
ლისხმა-ყავ, ვითარმედ უგუნური არს იგი და ნუ ეძიებ უგუ-
ნურთა სათნო-ყოფასა, არამედ ბრძენთა და გონიერთა ისწ-
რაფდი სათნო-ყოფად. ანუ რად მცირედთა ამათ და მდაბალთა
დიან მიზეზად, არამედ არა არს იგი ჟამისა ბოროტისაგან, რა-
მან გაქოს შენ მოთმინებისათჳს. და რომელსა ღმერთი აქებ-
დეს, რადლა ეკმარების მას კაცობრივი ქებაჲ? რამეთუ კაცთა

¹ ლუკ. 6,37

ქებაჲ მრავალგზის მავნებელ ექმნის და სარგებელს არცა ერთი აქუს, ხოლო ღმრთისამიერი ქებაჲ საწადელ არს და შორს ყოვლისაგან ვნებისა და ფრიადსა სარგებელსა მისცემს ქებულსა მას, უკუეთუ ვეძიებდეთ მოსწრაფებით. გნებაჲსა, რაჲთა სცნა, რაოდენ ბოროტ არს განრისხებაჲ? წარვედ უბანთა და პოვენ კაცნი ურთიერთას მბრძოლნი და განიცადენ იგინი. რამეთუ თავსა შორის შენსა უშუერებასა მას ვერ შემძლებელ ხარ კეთილად განცდად, რაჲმს დაბნელებულ არს გონებაჲ შენი და სთრავენ. არამედ რაჲმს წმიდა იყოს ვნებისაგან, მაშინ სხჳსა მიერ გულისხმა-ჰყო თავისა შენისაჲ და იხილენ მუნ გარემოდგომილნი ერნი და იგინი შორის მათსა უშუერებისა მოქმედნი. რაჲმს გულისწყრომაჲ მკერდსა შენსა აღდუღნეს, მაშინ ცეცხლი სცვინ პირსა და თუალთა, განსივებულ არს პირი და კელნი უწყესოდ განქარტებოდიან და ფერკნი საკიცხელად მიმოიტაცებოდიან, და არარაჲთ განყოფილ არს იგი ეშმაკეულისაგან, არცა ველურთა კანჯართაგან, მკბენარ და მცემელ ფერკითა. ქეშმარიტად კაცი მრისხანე უშუერ არს. მერმე უკუე შემდგომად ფრიადთა მათ ბოროტთა წარ-რაჲ-ვიდიან თჳსაგან და მოევნიან გონებასა, უმეტეს იქმნის მათ ზედა საღმობაჲ და ფრიადი სირცხული, რაჲმს მოიჯსენნიან მუნ მდგომარენი იგი, რომელნი ჰხედვიდეს მათსა მას უშუერებასა, და ჰრცხუენინ ყოველთაგან მეგობართაგანცა და მტერთა, ვითარცა მბრალობელთა ესევითარისა საქმისათა, ხოლო მტერთაგან, ვითარცა მოხარულთა მათსა მას ბოროტსა ზედა. უკუეთუ კულა წყლულებაჲცა დაედვას ურთიერთას, მაშინ უმეტეს არს სირცხული და კდემაჲ, რაჲმს სიკუდილისაცა შიში იქმნის წყლულებათა მათგან; დასწყევლიან ყოველსავე საქმესა, მიზეზსა მათისა ბოროტისასა, და აბრალებდიან ეშმაკთა. ხოლო უგუნურჴსნირე ჟამსაცა ბოროტსა დასდებდიან მიზეზად არამედ არა არს იგი ჟამისა ბოროტისაგან, რამეთუ არცა არს ჟამი, სადა ბოროტი. არცა ეშმაკისაგან არს, არამედ მათისა გონებისაგან. რამეთუ იგი მოიყვანებენ ეშმაკთა თავთა თჳსთა ზედა; უკუეთუ კულა იტყუ: „რაჲ ვყო, რამეთუ გულსა ელმის, რაჲმს სხუამან მაგინოს?“ არამედ ჰეცა ამისთჳს მიკურს მათთჳს, რომელთა სძლონ ბოროტსა ამას მკეცსა.

ხოლო უკუეთუ ოდენ გუნდეს, ძალ-გვც ძლევად მისა და რად არა განვირისხნებით, რაჟამს კელმწიფენი გუაგნებდენ ჩუენ? — ამისთვის, რამეთუ შიში დააყენებს მას, — ანუ რაჟამს ჩუენ ჩუენთა მონათა ვაგინებდეთ, ვითარ ყოველსავე დუმლით თავს-იდებენ? — რამეთუ მათცა აქუს საკრველი იგი შიშისაჲ. ხოლო შენ არა შეიშინოა ღმრთისაგან და გულისხმა-ჰყო რისხეაჲ მისი? ანუ არა სირცხულ არსა, უკუეთუ კაცთათს ბევრეულთა ჳირთა თავს-ვიდებდეთ, ხოლო ღმრთისა შიშისათს არცა ერთსა კრძალულებასა ვაჩუენებდეთ? და რომელი წყალობაჲ ეპოთ ჩუენ ღმრთისაგან? ნუძცა არს, ძმანო, ღმერთი უფროჲს კაცთასა შეურაცხ წინაშე ჩუენსა! ანუ საკრველად აღვიჩნდაა ესე სიტყუაჲ და შესძრწუნდით? არამედ მე არა მნებავს, რაჲთა სიტყუსაგან შეშინდეთ, არამედ საქმისაგან, რაჲთა, რაჟამს ყურიმალსა იცით, არა ოდენ მოითმინოთ, არამედ მეორეცა კერძი მიუპყრათ. და ესე არს მცნებაჲ ღმრთისაჲ, არამედ ჩუენ არა თუ ოდენ არა მიუპყრობთ მეორესა, არამედ მისთვისცა ნაცვალსა იჰყოფთ და შეურაცხებად გვიჩს, არა თუ ვქმნათ ესრეთ. და ბოროტი ესე არს, რაჟამს იგი ვიძლინეთ, ვჰგონებდით, თუ გვძლევდეს; და რაჟამს დაცემულ ვიყვნით ეშმაკისა მიერ და ბევრეულნი წყლულებანი მოიწეოდინ ჩუენ ზედა ეშმაკისა მიერ, ვჰგონებდით, თუ ძლიერად ვართ. ამისთვის გევედრები თქუენ, ვისწაოთ სახმ ჳეშმარიტისა ძლევისაჲ და მას ვიქმოდით: რამეთუ მოთმინებაჲ ბოროტთაჲ არს გვრგვნოსნებაჲ. და უკეთუ გუნებავს, რაჲთა გვრგვნოსან ვიქმნეთ ღმრთისა მიერ, დავიცვათ მის მიერ დადებული შჯული და თავს-ვიდებდეთ ყოველსა სულგრძელებით. რაჲთა საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა. უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჳშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: ყოველივე მის მიერ იქმნა. [1,3]. **თ ა რ-გ მ ა ნ ი:** წინააღმდეგობა მოსე იწყებდა რაბ სიტყუად დაბადებისათვის, იწყო თქუმად ხილულთა საქმეთათვის და ძრავლითა სიტყუთა აღრაცხუა იგი, რამეთუ იტყუს: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“,¹ და მერმე იტყუს: „იქმნა ნათელი“,² და მეორე ცაჲ და ბუნებაჲ ვარსკულავთანი, და თუთუელთა ცხოველთა ნათესავთანი, და სხუად ყოველივე, რაჲთა არა ვიტყოდი თუთუელად. ხოლო მახარებელმან ამის ყოვლისათვის მოკლედ თქუა ერთითა სიტყუთა და კეთილად ქმნა ესე, რამეთუ პირველთქლმულნი იგი ყოველთა მიერ საცნაურ იყვნეს, და რამეთუ უზემთაესთა საქმეთათვის ეგულებოდა თქუმად და არა დაბადებულთათვის, არამედ დამბადებელისათვის ყოველთაჲსა, ამისთვისცა მან ყოველი სიტყუად თუსი ხილულთათვის ქმნა, რამეთუ არცა რაჲ უთქუამს მას ზეცისა ძალთათვის. ხოლო ესე ვინაითგან თავადისა მის დამბადებელისა მიმართ აღვიდოდა, ამისთვის სამართლად თანაწარჰქდა მას ყოველსა და ყოველრე ერთითა სიტყუთა გამოაჩინა, რომელ-იგი თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა: ყოველივე მის მიერ იქმნა [1,3] **თ ა რ-გ მ ა ნ ი:** და რაჲთა არა ჰგონებდე, ვითარმედ მას ოდენ იტყუს, რომელ მოსესცა უთქუამს, ამისთვის შესძინა და თქუა, ვითარმედ: „თუნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა“. ესე იგი არს, ვითარმედ დაბადებულთაგანი, გინათუ უხილავი, გინათუ ხილული, ყოველივე მის მიერ იქმნა და არა რაჲ თუნიერ ძისა მოსრულ არს არსად, რამეთუ აქა ჯერ-არს განკუეთაჲ სიტყუსაჲ ამას ზედა სიტყუსასა, ვითარმედ: „რაოდენი-რაჲ იქმნა“, რაჲთა არღარა წარურთოთ იგი შემდგომსა მისსა სიტყუსასა, არამედ აქა ვცოთ დასასრული სიტყუსაჲ და მერმე კუალად ვიწყოთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა: მის თანა ცხორება იყო. [1,4] **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ხოლო სიტყუად ესე ესევითარი არს, ვითარმედ: თუნიერ მისა,

¹ დაბ. 1,1.

² დაბ. 1,3.

რაოდენი-რამ იქმნა დაბადებულთაგანი, არა რამ ქმნილ არს.

ჰხედავა, ვითარ ერთითა ამით სიტყვთა ყოველივე მოასწავა, და რამეთუ თქუა, ვითარმედ: „თვნიერ მისა არცა ერთი რამ იქმნა, რაოდენი-რამ იქმნა“. ამით ყოველნივე ხილულნი და უხილავნი მოასწავნა, ხოლო სული წმიდაა განყო, თქუა რამ, ვითარმედ: თვნიერ მისა არცა ერთი რამ იქმნა“, რამთა არავინ თქუას, ვითარმედ: „უკუეთუ თვნიერ მისა არცა ერთი რამ იქმნა, სულიცა სადამე წმიდაა მის მიერვე ქმნულ არს“; ამისთვის შესძინა, ვითარმედ: „რავდენი-რამ იქმნა“, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „მე დაბადებულთათს ვიტყვ: „არცა ერთი რამ იქმნა თვნიერ მისა, რაოდენი-რამ იქმნა“. ხოლო სული წმიდაა არა ქმნილთაგანი არს, არამედ შემოქმედი არს ვითარცა ძმვე, ხოლო მის მიერ იქმნა ყოველი, რაოდენი იქმნა, გინა თუ უხილავნი და უჯორცონი, ანუ თუ ცათა შინა მყოფნი. ჰხედავა სწავლასა ამას კეთილსა და უცთომელსა? რამეთუ თქუა დაბადებულთათს, რომელთათს ეთქუა მოსეს, მერმე მოიქსენნა უხილავნიცა, ხოლო სული წმიდაა ყოვლისაგანვე განყო.

ეგრევე პავლე, ამის მადლისა მიერ აღვსებულმან, თქუა ვითარმედ: „მის მიერ იქმნა ყოველი“¹ და რამთა ვერვინ შეპრთოს მათ ყოველთა თანა სული წმიდაა, ამისთვის შესძინა; „გინა თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი და ჯელმწიფებანი“.² რამეთუ ესე ყოველი ამასვე სიტყუასა მოასწავებს, ვითარმედ: „ყოველი მის მიერ იქმნა და თვნიერ მისა არცა ერთი რამე იქმნა, რაოდენი-რამ იქმნა“. ხოლო რამთა სიტყუაა ესე; ვითარმედ „ყოველი მის მიერ იქმნა“, არავინ თქუას, ვითარმედ: „სასწაულთათს იტყვს და არა დამბადებელობისათს“, რამეთუ სხუათა მახარებელთა თქუეს სასწაულთათს, შესძინა ქუემორე და თქუა, ვითარმედ: „სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ იქმნა“,¹ გარნა აწ ამას აღგილსა თქუა რამ დამბადებელობისათს, ვითარმედ: „ყოველივე მის მიერ იქმნა და თვნიერ მისა არცა ერთი რამ იქმნა, რაოდენი-რამ იქმნა“, მეყსეულად შესძინა, ვითარმედ:

¹ კოლ. 1,16

² კოლ. 1,16

¹ ი. 1,10

„მის თანა ცხორებამ იყო“, რაჟთა არაჲინ ურწმუნო იქმნეს და თქუას: „ვითარ იქმნა მის მიერ ესე ყოველი?“ ამისთჳს თქუა, ვითარმედ: „მის თანა ცხორებამ იყო“. რამეთუ ვითარცა უფსკრულსა შინა რაზომიცა აღმოაქუა, ვერარას დააკლებ უფსკრულსა მას, ეგრეთვე დამბადებელობამ იგი მხოლოდ-შობილისამ, რაზომცა გრწმენეს მის მიერ დაბადებული და რამ. ვითარმედ: თჳნიერ მისა არცა ერთი რამ იქმნა“, რაჟთა უმახლობელჳსი სახჳ მოვილო, რომელი მანცა იქმარა, ამისთჳს ვთქუა ნათელი, რომელი ამანცა თქუა, ვითარმედ: „ნათელი იყო“, ვითარცა უკუე ნათელმან რაოდენნიცა ბევრეულნი განანათლნეს, არარამ დააკლდების მისსა ბრწყინვალეზასა, ეგრჳთვე ღმერთი პირველ დაბადებისაცა და შემდგომად დაბადებისა ერთ არს მოუკლებელ და არცა რამ მოაკლდების, არცა რამ გამოეკუების საესებისაგან თჳსისა, არცა მოუძღურდების საქმედ და დაბადებად, არამედ დაღაცათუ ინებოს ბევრეულთა სხუათა ცათა და ქუეყანათა დაბადებად, ვითარნი ესენი არიან, ამას ყოველსა კმა არს ძალი მისი დაბადებად და ამას ყოველსავე ზედა მოუკლებელადვე ჰგიეს, ხოლო არათუ დაბადებად ოდენ მის ყოვლისა კმა არს მისი ძალი, არამედ პყრობადცა და დაცვად უენებელად, რამეთუ სახელი ესე ცხორებისამ, რომელი აქა არს არათუ დაბადებასა ოდენ მოასწავებს, არამედ განგებულეზასა მასცა, რომლითა-იგი ჰგიეს და სიტყუასა მასცა აღდგომისასა წინაგჳყოფს და საკრველთა ამათ სახარებათა იწყებს: რამეთუ რაჲემს ცხორებამ მოვიდა ჩუენდა, დაიქსნა ძალი სიკუდილისამ, და ვინაჟთგან ნათელი გამობრწყინდა, ბნელი არღარა არს, არამედ ჰგიეს მარადის ცხორებამ ჩუენ შორის და სიკუდილი ვერ შემძლებელ არს ძლევად მისა. და ამისთჳს, რომელ-იგი მამისათჳს ითქუმის, ძისათჳსცა ითქუმის ქეშმარიტებით, ვითარმედ „მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვჳვიეთ“,¹ ვითარცა პავლეცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „მის მიერ დაებდა ყოველი, და ყოველივე მის მიერ ჰგიეს“,² ამისთჳსცა ძირად და საფუძველად ეწოდების.

¹ საქმ. 17,28.

² კოლ. 1,16.

ხოლო რაჟამს გესმეს, ვითარმედ: „მის თანა ცხორებამ იყო“, ნუ ვითარცა ორთაგან საქმეთა შეერთებულსა გულისხმა-ჰყოფ ამას, რამეთუ ქუემორე მამისათვისცა იტყვს: „ვითარცა მამასა აქუს ცხორებამ თავისა თვისისა თანა, ეგრეთვე ძესა მისცა, რაათა აქუნდეს ცხორებამ“,¹ არამედ ვითარცა-იგი მამისათვის არა იტყვ ამათ სიტყუათა მიერ, ვითარმედ: „ორკეცო არს“, ეგრეთვე ნუცა ძესა იტყვ, რამეთუ სხუასა ადგილსა წერილ არს, ვითარმედ: „ნათელ არს ღმერთი“,² და კუალად იტყვს: „ნათელსა შინა მკედრ არს თუალთშეუდგამსა“³. ხოლო ესე ყოველი თქუმულ არს, არამედ არა ამისთვის, რაათა შეზავებულეზამ გულისხმა-ვყოთ მისთვის და ორკეცობამ, არამედ რაათა მცირედ-მცირედ მივიწინეთ სიმაღლესა მას ღმრთისმეტყუელებისასა. რამეთუ ვინაჲთგან ვერვინ გულისხმა-ჰყოფდა ესრეთ ადვილად, თუ ვითარ არს არსებით ცხორებამ მისი, ამისთვის პირველი იგი მდაბალი სიტყუამ თქუა და მერმე სიმაღლედ აღიყვანებს, რამეთუ რომელმან-იგი თქუა, ვითარმედ: „მისცა მას, რაათა აქუნდეს ცხორებამ,⁴ იგივე კუალად იტყვს: „მე ვარ ცხორებამ“,⁵ და „მე ვარ ნათელი“.⁶ და ვითარიმე არს იგი ნათელი, რამეთუ არა თუ ესრეთ ხილულ არს იგი, არამედ უხილავი განმანათლებელი სულისაჲ? და ვინაჲთგან ეგულებოდა ქრისტეს თქუმად, ვითარმედ: „ვერვინ მოვალს ჩემდა, უკუეთუ არა მამამან შოიყვანოს ჩემდა იგი“,⁷ ამისთვის წინაჲთვე თქუა აქა მახარებელმან, ვითარმედ: იგი არს ნათელი განმანათლებელი, რაათა უკუეთუ გესმეს მამისათვისცა ესევეითარი რაჲმე, არა სთქუა, თუ: „მამისაჲ ხოლო არს ესე, არამედ ძისაჲცა“, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ყოველი რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს“.⁸ პირველად უკუე გუასწავა ჩუენ დამბადებელო-

¹ იოან. 5,26

² 1 იოან. 1,5

³ 1 ტიმ. 6,16

⁴ იოან. 5,26

⁵ იოან. 14,6

⁶ იოან. 8,12

⁷ იოან. 6,44

⁸ იოან. 16,15

ბისათვის მისისა, და მერმე იტყვს სულაერთა მათცა კეთილ-
თა, რომელნი მომცნა ჩუენ მოსლვითა მისითა და ერთითა
სიტყუთა მოასწავა იგი მახარებელმან და თქუა:

სახარება: ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა [1,4]
თარგმანი: არა თქუა, თუ „ნათელ ჰურიათა“, არამედ:
„ყოველთა კაცთა“, რამეთუ წარმართნიცა მოვიდეს ამას გუ-
ლისხმის-ყოფასა და ყოველთაჲ ზოგადი არს და ზიარი ესე
ნათელი. ხოლო რადსათვის არა თქუა ანგელოზთათვისცა, ვი-
თარმედ: „ცხორებაჲ იგი იყო ნათელ ანგელოზთა და კაცთა“,
არამედ კაცთათვის ოდენ თქუა? ამისთვის, რამეთუ აწ ამისი
სიტყუაჲ ამის ბუნებისათვის არს და ამათა მოვიდა ხარებად
კეთილისა.

სახარებაჲ: და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს. [1,5].
თარგმანი: ნათლად სიკუდილსაცა უწესს და საცთურსა-
ცა, რამეთუ ნათელი ესე ხილული არა ბნელსა შინა ჩანს,
არამედ თვნიერ ბნელისა ნათობს, ხოლო, რაჟამს ბნელი მოი-
წიოს, დაბნელდის იგიცა, რამეთუ ქადაგებაჲ იგი ქრის-
ტჴსი შორის საცთურისა ბნელსა გამობრწყინდა და იგი გა-
ნაქარვა. და სიკუდილად რაჲ მოვიდა, თავადი იგიცა განაქარ-
ვა და ესრეთ სძლო, რომელ შეპყრობილნიცა მას შინა აღ-
მოიყვანნა. და ვინამთგან ვერცა სიკუდილი მძლე ექმნა მას,
ვერცა საცთური, არამედ ბრწყინავს ყოველსა ადგილსა ძა-
ლითა თვისითა, ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „ბნელი მას ვერ
ეწია“,¹ რამეთუ არს უძლეველ და არა დაემკვდრების სულთა
შინა, რომელთა არა სწადოდის განათლებად.

¹ იოან. 1,5.

ვითარმედ: ცოდვამ ბნელ არს და საუკუნოაბსა
საშჯელისათჳს

ხოლო უკუეთუ არა ყოველნი განანათლნა, ნუ გიკერს ამისთჳს, რამეთუ არა ვის განანათლებს იძულებით, არამედ ჩუენითა ნებითა ჰნებავს განათლება ჩუენი ღმერთსა. ამისთჳს უკუე ნუ დაუჯჳმავ ამას ნათელსა კართა, და შეძოვიდეს შენ შორის, რამეთუ მოვალს ნათელი სარწყმუნოებისა მიერ და გამო-რად-ვიდეს მიერთგან, ბრწყინვალედ განანათლებს შემწყნარებელთა მისთა. და უკუეთუ უჩუენო მას ცხოვრებად კეთილი, მერმე უკუნისამდე დაადგრეს შენ თანა. რამეთუ უფალი იტყჳს, რამეთუ: „რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიბარხნეს, და მე და მამად მოვიდეთ და სავანე მის თანა ვყოთ“.¹

ვითარცა უკუე მზისა ბრწყინვალეებისა ხილვად ვერ შეჰძლებელ ხარ, უკუეთუ არა აღიხილნე თუალნი, ეგრეთვე ამისცა ნათლისა ხილვად შეუძლებელ არს თვნიერ ახილვისა თუალთა სულისათა. ვითარ უკუე იქმნების ახილვად მათი? გარნა განწყმედითა სულისადათა ვნებათა მწვრისაგან, რამეთუ ცოდვამ ბნელ არს და ბნელი ღრმად, და საცნაურ არს ესე ფარულად და უცნაურად ქმნისა მისისათჳს, რამეთუ „ყოველი, რომელი იქმოდის ბოროტსა, სძულს ნათელი და არა მოვალს ხათლად“,² „დაფარულად ქმნულთად ბოროტ არს თქუამად“.³ და ვითარცა ბნელსა შინა ვერცა მტერსა ვინ იცნობს, ვერცა შეგობარსა, არამედ ყოველთავე უმეცარ არს, ეგრეთვე, რაჟამს იქმოდის ცოდვისა. რამეთუ ანგაპრიცა არა ხედავს შეგობარსა, ანუ მტერსა, და მოშურნე თჳსსაცა მტერად ჰხედავს, და ყოველისა ცოდვისა მოქმედი არარადათა განყოფილ არს მთრვალთა, გინა ცოფთა და ვითარცა ბნელსა შინა შეშასა და პრპენსა და რკინასა და ოქროსა და ვერცხლსა და ქვასა პატიოსანსა, — ყოველსავე ერთად ვიცნობთ, რაჟამს განწყო-

¹ შდრ. იოან. 14,23.

² იოან. 3,20.

³ ეფეს. 5,12.

ფელი იგი მათი ნათელი არა არნ, ეგრეთვე, რომელსა ცხო-
რებაჲ შეგინებული აქუნდეს, არა იცის მან ქალწულებისა
ნათელი, არცა სიბრძნისა სიკეთჲ. და ვითარცა ვთქუ, ბნელსა
შინა დაღაცათუ ქვანი პატიოსანნი იყვნენ, არავე ჩანან, არა
თუ ბუნებაჲ მათი ესრეთ არს, არამედ მხედველნი იგი უცნაურ
არიან. და არა ესე ოდენ ბოროტი არს ცოდვათა შინა მყოფ-
თა ზედა, არამედ ესეცა, რომელ მარადის შიშსა შინა იყო-
ფებიან, და, ვითარცა რომელთამე ბნელსა შინა უკუნსა მა-
ვალთა ეშინის, დაღაცათუ არა ვინ იყოს, რომელიმცა აშინებ-
და, ეგრეთვე მოქმედნი ცოდვისანი უშიშებით ვერ არიან,
არამედ ყოველთაგან ეშინის და ძრწიან და ყოველთა ექუენ,
რამეთუ ამხილებს მათ ბუნებაჲ თსი და ამისთვის ყოვლით
კერძო შიში გარემოაგეს.

ვევლტოდით უკუე ესევითარსა ბოროტსა ცხოვრებასა,
ძმანო, რამეთუ შემდგომად ამის ბოროტისა ცხოვრებისა სი-
კუდილი მოიწევის, სიკუდილი უკუდავი, უკუეთუ ესრეთ
ვიყვნეთ. რამეთუ არა არს აღსასრული მერმეთა მათ სატანჯ-
ველთაჲ და ამასცა უკუე ცხოვრებასა არარაჲთ განყოფილ
არიან ცოფთაგან მეძიებელნი იგი ამაოთა საქმეთანი, რამეთუ
კრებენ სიმდიდრესა განქარვებადსა და იშუებენ შუებითა მავ-
ნებელითა და ვერ სცნობენ სიცოფესა მას, ვიდრე არა განე-
შორნენ მისგან. ამისთვის ჭერ-არს განფრთხობაჲ, ვითარცა
მოციქული პავლე ბრძანებს, რამეთუ: რომელი მღვდარე იყოს
და ფრთხილ, დაღაცათუ შეპყრობილ იქმნეს ცოდვისა მიერ,
არამედ არა სრულიად დაეცეს, ხოლო მძინარე და განცოფე-
ბული ვერ გულისხმა-ჰყოფს, ვითარ შეპყრობილ არნ მის
მიერ. ნუმცა უკუე გუძინავს, რამეთუ არა ღამისაჲ არს ჟამი
ესე, არამედ ღლისაჲ და „ვითარცა ღლისი ხატად შუენიერად
ვიღოდით“.¹ რამეთუ არარაჲ არს უუშუერჲს ცოდვისა, გუ-
ლისხმა-ყავ ნუ სულიერსა ოდენ, არამედ ჳორციელიცა. ვი-
თარ რაჟამს-იგი ცოდვასა რასმე ზედა შეპყრობილი მიიყვა-
ნებინ საშჯელად წინაშე მთავართასა, ვითარ უშუერ არნ და
სირცხვლულ, და ცრუდ ფიცავნ და ტყუეინ, და უშუერ არნ.

ხოლო ჩუენ სამოსლისა გარემოქცევით შთაცუმაჲ სირცხვლ-

¹ რომ. 13,13.

გზინ, და უკუეთუ სხუადცა ვნახოთ ესრეთ, ვსძაგებთ, ვითარცა უგუნურსა, და ცოდვასა ზედა ყოფასა შინა არა სირცხულეულ ვართ. მითხარლა: რამ არს უსაძაგელმს მამაკაცისა მეძვისა და დედაკაცისა მიმართ შესლვასა, ანუ რამ არს უსაკიცხელმს მოშურნისა და ძურის-მეტყუელისა? ხოლო რამ არს ესე საქმე, რომელ შიშულად სლვად სარცხუნელად გუაქუს, ვადრედა ესევეითარნი საქმენი? რამეთუ შიშულობასა არა ვინ სადა იქმს ნებსით. ყოველი რომელი არა ნებსით იყოს, არა ესრეთ სირცხულ არს. ხოლო ცოდვასა ყოველი კაცი, რომელიცა იქმოდის, ნებსით იქმს, რომელი-იგი უძრმს არს და უსაძაგელმს. და უკუეთუმცა ვინ შევიდა კრებულსა შინა ანგელოზთასა, მაშინმცა გულისხმა-ყო ცოდვისა საძაგელგებამ და რად ვიტყვ ანგელოზთა კრებულსა, რამეთუ სამეუფოთაცა შინა პალატთა უკუეთუ ვინ შეიყვანოს მეძავი, ანუ დაითრვებოდის ღვინთა, ანუ რასმე ესრეთგანსა იქმოდის, ანუ ესრეთ ბოროტსა იქმოდის, უკუნაჲსკნელითა საშჯელითა დაისაჯების, ხოლო უკუეთუ სამეუფოთა პალატთა შინა საძაგელ არს ესევეითარი, რამმე ყოფად არს წინაშე ყოველთა ძეუფისა? არა უკუნაჲსკნელითა საშჯელითა ვისაჯნეთა, უკუეთუ ესევეითარი რამმე ვიკადროთ? ამისთვის გვეედრები, ვაჩუენოთ სიწმიდმ ცხორებასა შინა ჩუენსა, რამეთუ გუაქუს მეუფმ, რომელი ყოველსავე ჰხედავს, და არარამ დაეფარვის. მოვიზიდოთ უკუე ნათელი მისი ჩუენ ზედა. რამთა უკუნისამდე განგუანათლებდეს ჩუენ და მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტმსითა, რომლისაჲ არს დიდებამ და სიმტკიცმ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი 3.

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, რომლისა სახელი იოვანე [1,6]. **თ ა რ გ მ ა ნ ი:** თქუა დაწყებასა სიტყვასა სიტყვასათვის ღმრთისა მოკლედ და ძლიერად და აწ შემდგომითი შემდგომად მოვიდა, ქადაგასა თანა

სიტყვასა, თანამოსახელესა თვისა იოვანეს. ხოლო შენ გესმის რაჲ, ვითარმედ: „ღმრთისა მიერ მოვილინა“, ნუ სადა კაცობრივსა გულისხმა-ჰყოფ მის მიერ თქმულთაგანსა, რამეთუ არარას იტყვს თვისა, არამედ ყოველსავე მომავლინებელისასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ესე მოვიდა მოწამედ, რაითა წამოს ნათლისა მისთვის [1,7]. **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ნუუკუე თქუასცა ვინმე, ვითარმედ: „რაჲ არს ესე? მონაჲ მეუფესა ეწამებოდაა?“ გარნა რაჲამს არა ოდენ წამებული მონისა მიერ, არამედ მოსრულიცა მონისა მის მიმართ და მის მიერ ნათელღებული მსგავსად სხუათა კაცთასა იხილო, არა უფრომსად დაგაკვრდესა? გარნა ნუ შეშფოთნები ამას ზედა, არამედ უფრომსად გიკვრიდინ მიუწოთმელი იგი სახიერებაჲ მისი. უკუეთუ კულა ვინ შეშფოთნებოდის ამას ზედა, ჰრქუას მასცა, ვითარცა იოვანეს, ვითარმედ: „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ ჳერ-არს ჩუენდა აღსრულებად ყოველივე სიმაართლჳ“.1 უკუეთუ კულა უმეტესად ვინ შეშფოთნეს, ჰრქუას მასცა, ვითარცა ჰუროათა, ვითარმედ: „არა თუ წამებასა კაცთაგან მოვიღებ?“2 რამეთუ არა თუ მას ეკმარებოდა წამებაჲ იოვანესი და ამისთვის მოვილინა იგი ღმრთისა მიერ. რამეთუ ესე ბოროტი გმობაჲ არს. და უკუეთუ უნ იტყოდის: „და ვითარ იტყვს მახარებელი, რაითა ყოველთა ჰრწმენეს მის მიერო?“ და თავადი იტყვს უფალი, ვითარმედ: „არს სხუაჲ, რომელი წამებს ჩემთვის. და ვიცი, რამეთუ ჳეშმაროტ არს წამებაჲ მისი“.3 და იოვანეს მოასწავებდა, გარნა გულისხმა-ყავთ სიტყუა ესე, რამეთუ უფალი ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: „წამებასა კაცთა მიერ არა მოვიღებ“;4 და კუალად ოდესმე იტყოდა, ვითარმედ: „სხუაჲ არს, რომელი წამებს ჩემთვის“, და რაითა არა თქუან უგულისხმოთა, ვითარმედ: „თვისთა სიტყუათა წინააღუდგების“, ამისთვის მეყსეულად განკურნა იჳ ვიგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „ამას ვიტყუ თქუენთვის, რაითა თქუენ სცხოვნდეთ“, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ვინაითგან ღმერთი ვარ და

1 მათ. 3,15.

2 იოან. 5,34.

3 იოან. 5,32.

4 იოან. 5,34.

ძმ ღმრთისად და უხრწნელისა მის ბუნებისა თანაარსი, არა-
 ვისგან მეკმარების წამებად, დაღაცათუ არავინ წამებდეს
 ჩემთვის, არავე დამაკლდების არსებასა ჩემსა. ხოლო, ვინაფთ-
 ვან ცხოვრებასა მრავალთასა ვეძიებ, ამისთვის ამას სიმდაბლესა
 მოვედ, ვიდრელა კაცთა მივეც ჩემთვის წამებად“: რამეთუ უძ-
 ლურებისა მისთვის ჰერიათაჲსა და უბადრუკებისა მათისა
 იქმნა ესე ყოველი, რაჲთა ადვილად ჰრწმენეს, არამედ მათ
 ეგრეთცა არავე ჰრწმენა, რამეთუ ვითარცა კორცნი შეიმოსნა,
 რაჲთა არა ღმრთეებისა მისისა ძალისაგან მოწყდენ ყოველნი,
 ეგრეთვე კაცთა მოავლინა მოწამედ მისა, რაჲთა თუსსა მას
 ემასა მათსა უადვილშესად ისმენდენ კაცნი იგი. უკუეთუ არა,
 მას რად ეკმარებოდა მისი წამებად, რამეთუ კმა იყო, რაჲ-
 თამცა გამოეჩინა ღმრთეებისა თუსისა ძალი, და ყოველნიმცა
 შეძრწუნებულ იყვნეს — არამედ ესე არა ქმნა, ვითარცა
 ვთქუ, რაჲთამცა არა ყოველნი წარეწყობიდნეს, რომელთა ვერ
 ეძლო მიხედვად მისსა მას თუალთშეუდგამსა ნათელსა. და
 ამისთვის კორცნიცა შეიმოსნა და ერთსა მონათა მისთაგანსა
 არწმუნა წამებად მისთვის, რამეთუ ყოველითურთ კაცთა ცხო-
 რებასა ეძიებდა და არა თუსსა პატივისა ჰხედვიდა, არამედ
 თუ რომლითა სახითა იქმნას იგი უმეტშესად შეწყნარებულ
 კაცთა მიერ და არგოს მათ, ვითარცა თავადიცა იტყოდა, ვი-
 თარმედ: „ამას ვიტყვ თქუენთვის, რაითა თქუენ სცხოვნდეთ“.
 და მახარებელმან რაჲამს თქუა, ვითარმედ: „მოვიდა, რაჲთა
 წამოს ნათლისა მისთვის“, მეყსეულად შესძინა და თქუა:
 „რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს მის მიერ“. ვითარმცა იტყოდა,
 ვითარმედ: „ნუ ჰგონებთ, თუ ამისთვის მოვიდა იოვანე, რაჲ-
 თამცა მეუფესა რაჲმე შეჰმატა, არამედ რაჲთა კაცთა
 უმეტშესად ჰრწმენეს, ვინაფთვან ღმრთეებისა მისისა ხილვად
 ვერ ძალ-ედვან“. და ამისთვისცა ამის იქუსა განქარვებად შეს-
 ძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „არა თვთ იგი იყო ნათელი“ [1,8]. **თ ა რ -**
გ მ ა ნ ი : ხოლო უკუეთუმცა არა ამის იქუსა განსაქარვებე-
 ლად იტყოდა ამას სიტყუასა, რად საკმარ იყო ამას ადგილსა
 ამისი თქუმად? რამეთუ ვინაფთვან თქუა, ვითარმედ: „მოვი-
 ლინა, რაჲთა წამოს ნათლისა მისთვის“, რაჲსათუსდა იტყუს
 ვითარმედ: „არა თვთ იგი იყო ნათელი?“ გარნა არა ამაოდ

თქუა სიტყუად ესე, არამედ ვინამთგან ჩუენ მიერ უდიდჳსად შერაცხილ არს, რომელი წამებდეს, ვიდრე რომელსა ეწამებოდის, და უსარწმუნოჳს. რაჲთა არავინ იოვანესთესცა ესევე მოიგონოს, ამისთვის პირველითგან განაკრძალებს და აღჰკოცს ბოროტსა ამას იჰუსა და ძირითურთ აღმოჰფხურის მას და გამოაჩინებს, თუ ვინ არს მოწამჳ იგი, ანუ ვინ არს წამებული იგი, და თუ რაბამი განყოფილებაჲ არს შორის მოწამისა მის და წამებულისა, და ვითარ უზეშთაეს არს წამებული იგი მოწამისა მის. და ვინათგან იესე ქმნა და გამოაჩინა მისი იგი შეუმსგავსებელი უზეშთაესობაჲ; მიერთგან უშიშად იწყებს სიტყუად. და ყოველთვე საექჳ სიტყუად უგუნურთათჳს აღმოჰფხურა და ესრეთ იწყო დაუყენებლად სიტყუასა მას სწავლისასა.

ს წ ა ვ ლ ა დ . 3

**ვითარმედ: არა სარგებელ არს მართლმადიდებლობაჲ,
უკუეთუ საქმენი ბოროტნი გუაჰუნდენ**

ვილოცოთ უკუე ღმრთისა მიმართ, რაჲთა გულისხმის-ყოფასა თანა საღმრთოთა სიტყუათასა და სარწმუნოებასა თანა მართალსა საქმენიცა კეთილნი გუაჰუნდენ და მოქალაქობაჲ წმიდაჲ და ბრწყინვალჳ, რამეთუ უკუეთუ საქმენი კეთილნი არა გუაჰუნდენ, ამათგან სარგებელი არარაჲ არს; დაღაცათუ, სარწმუნოებაჲ გუაჰუნდეს და ყოველთავე წერილთა გულისხმის-ყოფაჲ, და საქმეთაგან კეთილთა ოკერ ვიყვნეთ, არარაჲ არს დამაყენებელ მისლვად ჩუენდა ცეცხლსა მას გეჰენისასა, დაუშრეტელსა საჯუმილსა შინა გუემაჲ. და ვითარცა მოქმედნი კეთილისანი აღდგებიან აღდგომასა ცხორებისასა, ეგრეთვე მოქმედნი ბოროტისანი — აღდგომასა საშჯელისასა სატანჯველად დაუსრულებლად. ამის ყოვლისათჳს უკუე ვისწრაფოთ, რაჲთა არა წარვწყმიდოთ და ცუდ-ვყოთ სარგებელი იგი, რომელი სარწმუნოებითა მართლითა მოგუე-

გოს. და არა საქმეთა მღერ ბოროტთა, არამედ რაათა საქმეთა მიერ კეთილთა ღირს ვიქმნნეთ; ქრისტეს ხილვასა, რამეთუ არა რაა არს მსგავსი ამის ნეტარებისაჲ. ღირსმცა ვართ უკუე ყოველნი მიმთხუევად კეთილთა საქმეთა, რაათა ყოველსავე დიდებად ღმრთისა ვიქმოდით, რომლისაჲ არს დიდებაჲ მხოლოდწობილით ძით და ყოვლად წმიდით სულით აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ზ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ [1,9].

თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ ამისთვის, მ, სასურველნი შვილნი, მცირედ-მცირედ დაგიგებთ თქუენ საშუებელსა მას წმიდათა წერილთასა და არა ყოველსავე ერთბამად გეტყვთ, რაათა კეთილად და ადვილად შეუძლოთ თქუმულთა მათ დამარხვად, რამეთუ რომელი-იგი კედელსა აღაშენებნ და ფიდრე ერთი ქვაჲ არა დაამტკიცის, სხუაჲ დადვის თუ მის ზედა. იგი უკმარსა კედელსა აღაშენებს. ხოლო რომელი პირველდადებულთა მათ ქვათა დაამაგრებდეს, და ესრეთ სხუასა დასდებდეს, იგი მტკიცე და შეურყეველ-ჰყოფს ნაშენებსა მას ნელიად და კეთილად გებითა მისითა. და ჩუენცა უკუე ვჰბადვიდეთ ესევეითართა მათ მაშენებელთა და ესრეთსახედ აღვაშენებდეთ სულთა თქუენტა, რამეთუ გუეშინის, ნუუკუე ვიდრელა პირველალშენებული იგი არა განმტკიცებულ იყოს, სხუაჲ მოვაწიოთ მის ზედა ღირსმც სიტყუათაჲ და ვერ იტვრთოს გონებამან იგი ყოველი, რაჲ არს უკუე, რომელი-ესე დღეს აღმოვიკითხეთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა. მომავალსა სოფლად [1,9]. **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ ვინაითგან ზემო იოვანშსთვის იტყოდა, ვითარძედ: „მოვიდა, რაათა წამოს ნათლისა მისთვის“;¹ და ვითარმედ: „აწ მოვიღინა, რაათა არავის ესმეს ესე“, და სიახლისა მისთვის მოწამისა თქუას, ვითარმედ: „წამებულნიცა“ იგი ესრეთვე

¹ იოან. 1,7.

არს“, ამისთვის აღიყვანა სიტყუაჲ თვისი უზემოთაჲს ყოველთა ჟამთა ყოფისა მისისა მიმართ, რომლისა არასადა არს დასასრული, არცა დასაბამი, არამედ ამას ყოველსა ზედა მბრძოლნი იგი ღმრთეებისანი იტყუან: „ვითარ შესაძლებელ არსო, რამთამცა ძმ დაუსაბამო იყოო?“ მ უბადრუკო, ღმრთისათვის გეტყუ. და შენ იტყუ, თუ: „ვითარ იყოს ესე?“ და არა გეშინის, არცა სძრწი; და უკუეთუ ვინ გკითხოს, ვითარმედ: „ვითარ დაუსრულებელ და განუხრწნელ იყოს მას საუკუნესა ჩუენთა ამათ გუამთა ცხორებაჲ?“ ანუ: „ვითარ უკუდავ არიან სულნი?“ შენ განჰკიცხავ მას, ვითარცა უგუნურსა, რამეთუ იკითხა საქმჲ, რომელი არა შესაძლებელ არს გონებისაგან კაცობრივისა, არამედ ოდენ რწმუნებაჲ ჯერ-არს და არა გამოძიებაჲ. და უკუეთუ შემოჰქმედი სულისა და კორცთაჲ ვთქუათ, ვითარმედ: „დაუსაბამო არს“, სახესა მის საქმისასა ეძიება ჩუენგან? და ვინ თქუას, ვითარმედ ესე საქმჲ არა განყოფებულისა გონებისაჲ არს? გესმა, ვითარმედ: „იყო ნათელი ჰეშმარიტი“. რამსათვისლა ებრძვი ამოად, რამთამცა გონებითა უზემოთაჲს აღჰკედ უსაზღვროსა მას ცხორებასა, რომელსა შეუძლებელ არს მიწდომაჲ? რად ეძიებ გამოუძიებელსა? რად სდევ მიუწუდომელსა? რად გამოიკულებე გამოუკულებელსა? განიცადე ძირი ნათლისა მის მზისაჲ, არამედ ვერ ძალ-გიც და არავე შუთ ხარ, არცა სდრტუნავ შეუძლებელობისა მისთვის. ვითარ უკუე, რომელ უზემოთაჲს მათსა ესრეთ კადნიერ იქმენ და შემმაერთებელ მიუწუდომელთა მათთვის და გამოუკულებელთა საქმეთა, ძესა მას ქუხილისასა იოვანეს, რომელსა-იგი აქუს ნესტუ სულიერი, მას ესმა რამ სულისა წმიდისა მიერ, ვითარმედ: „იყო ნათელი ჰეშმარიტი“, არღარაჲ გამოიძია უმეტესი, ხოლო შენ, რომელი მადლისა მისგან, რომელი მას აქუნდა, შორს ხარ უფროდს, ვიდრე ქუეყანაჲ ცისაგან, და გნებავს, რამთამცა მისსა მას საზომსა უზემოთაჲს აღჰკედ. ამისთვისცა სრულიად დაეცემი და ვერცა მცირესა გულისხმა-ჰყოფ. რამეთუ ესევითარი არს ეშმაკისა ღონჲ. გამოიყვანებს კაცსა საზღვრისა მისგან, ღმრთისა მიერ დადებულისა, რომელიცა დაემორჩილოს მას, და წარჰმართებს უზემოთაჲსა მიმართ და მერმე, რაჟამს ამით ესევითართა სასოებითა ცთუნებული მადლისგან ღმრთისა უცხო-ყოს,

მიერთგან არა თუ უზეშთაესსა რასმე კეთილსა აღიყვანებს, — რამეთუ ვითარმცა ქმნა ესე ეშმაკმან! — არამედ არცა თუ პირველთა მათ საქმეთა, სადა-იგი უცთომელად ვიყოფოდეთ, გვტევენს მიქცევად, არამედ შეცთომილთა მიმოგუაქცევს, რომელთა არსადა გუაქუნ ადგილი დადგრომისაჲ. ეგრეთვე უყო ადამს, რაჟამს-იგი იყო სამოთხესა შინა, რამეთუ უმეტესისა პატივისა და გულისხმის-ყოფისა სასოებითა აცთუნა და, რომელი აქუნდა, მისგანცა განაშორა, რამეთუ არა თუ ოდენ სწორ ღმრთისა ვერ იქმნა, რომელსა-იგი აღუთქუმიდა, არამედ სიკუდილისაცა მძლავრებასა მიეცა, და არა თუ ოდენ უმეტესი გულისხმის-ყოფაჲ ვერ პოვა, არამედ რომელი აქუნდა, იგიცა წარწყმიდა უმეტესისა ძიებითა, რამეთუ სირცხვლი და კდემად შიშულობისაჲ მაშინ მოიწია მის ზედა. რომელი-იგი პირველ მისა გარეგან იყო ღმრთისა ესევეითარისა სირცხვლისაგან. და ბევრეულნი ესე ვნებანი მიერთგან აღმოეცენნეს, რომელი-ესე ნუმცა მოიწევის ჩუენ ზედა! ვერჩდეთ უფალსა და დავადგრეთ, ვითარცა მან გვბრძანა და ნურასმცა ვეძიებთ უმეტესსა, რადთა არა მოცემულთა ამათგანცა კეთილთა გამოვვარდეთ, ვითარცა მათ შეემთხვა, რომელნი დაუსაბამოჲსა მის ცხორებისა დასაბამსა ეძიებდეს, და ყოველივე წარწყმიდეს და, რომელსა ეძიებდეს, ვერ მიემთხვნეს, ვინაითგან შეუძლებელ არს და მართლმადიდებლობისაგან დაეცნეს, გარნა ჩუენ ნუმცა შევსცვალებთ საზღვართა მათ საუკუნეთა. რომელნი დასხნეს მამათა ჩუენთა წმიდათა, არამედ ვერჩდეთ შჯულსა მას სულიერსა და გუესმეს რაჲ, ვითარმედ: „იყო ნათელი ჭეშმარიტი“, ნურასმცა უმეტესისა ვეძიებთ, რამეთუ არცა შესაძლებელ არს უზეშთაეს ამის სიტყუსა აღსლვად. რამეთუ უკუეთუმცა ვითარცა კაცისა იყო შობაჲ მისი, იყომცა რამმე განყოფილებაჲ მშობელისა და შობილისაჲ, ვინაითგან უკუე გამოუთქუმელად და, ვითარცა ღმერთსა ჰშუენის, ესრეთ შვა. „პირველობაჲ“ და „უკუანადასკენელობაჲ“ დაუტევე, რამეთუ ესე ჟამთა სახელნი არიან, ხოლო ძმ ყოველთა საუკუნეთა შემოქმედი არს.

კუალად იტყუს მეტყუელი იგი ბოროტისაჲ: და უკუეაჲსკრეთ არს, ვითარ შენ იტყუ: „არა სამე მამაჲ არს, არაჲდ

სწორი არს მამისა ძმად“. დაბრმობილო წყუდიადითა მით უგუნურებისადათა, რომლისათეს იტყვ ამას? რამეთუ უკუეთუმცა ვიტყოდეთ: ვითარმედ: „მამად და ძმ ორნივე ზოგად სხვსა ძირისგან აღმოცენებულ არიან“, მაშინმცა ალაგი აქუნდა სიტყუასა შენსა, ხოლო ვინადათგან ჩუენ ამის უშჯულოებისაგან ვივლტით და ვიტყვთ, ვითარმედ: „მამად დაუსაბამო არს და უშობელ, და ძმ დაუსაბამოვე არს, შობილი მამისაგან, რომლისადა მიზეზისათეს იტყვ ამას უშჯულოსა სიტყუასა? რამეთუ ბრწყინვალეებად არს იგი, ხოლო ბრწყინვალეებად ბუნებით მას თანავე გულისხმა-იყოფების, რომლისადა იყოს ბრწყინვალეებად. რამეთუ ამისთვის ჰავლე ესრეთ სახელს-სდვა მას, რადათა არარად მოიგონო განყოფილებად შორის მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. და ესე ამისი მომასწავებელი არს; ხოლო შემდგომი იგი სიტყუად უშჯულოთა სიტყუასა დაჰქსნის. ნუ მოიგონებ ამისთვის, რომელ ბრწყინვალეებად გესმა თუ გუამოვნებისა მისისაგან დაკლებულ არს, რამეთუ უშჯულოება არს ესე და საბელიოზის და მარკელომდგანთა წვალებისა სიტყუად. ხოლო ჩუენ არა ესრეთ ვიტყვთ, არამედ თვსითა მით განყოფილითა გუამითა შეერთებული არს ბუნებით. ამისთვისცა თქუა რამ: „ბრწყინვალეებად დიდებისადა“, მეყსეულად შესძინა: „და ხატი ძლიერებისა მისისადაო“.¹ რამეთუ თუთებად იგი გუამოვნებისადა გამოაჩინა და ერთობად ბუნებისადა, რომლისა ხატი არს, რამეთუ არა შესაძლებელ არს ერთითა სიტყუთა, ვითარცა ვთქუ. სარწმუნოებისა საღმრთოდასა გამოჩინებად, არამედ საყუარელ არს. უკუეთუ მრავალი შევიკრიბოთ და თვთოეულისაგან ჭეროვანი გამოვარჩიოთ — და ესრეთ შეუძლოთ მიწუდომად ღირსსა დიდებისმეტყუელებასა. ხოლო ღირსსა ვიტყვ ჩუენისაებრ ძალისა, რამეთუ უკუეთუ ვინ ჰგონებდეს, ვითარმედ ჰეშმარითად ღირსებისაებრ ღმრთისა უგალობს, იგი შეცთომილ არს.

¹ ებრ. 1,3

რადთა არა გამოვიწულიღვიდეთ სიტყუათა
სარწმუნოებისათა, არამედ გურწმენენ გამოუძიებელად
სიტყუანი წმიდათა წერილთანი.

ხოლო აწ რომელთა ესე ყოველი უწყით, დავადგრეთ
სარწმუნობასა მას ზედა, რომელი მომცეს ჩუენ პირველით-
გან თუალითმხილველთა მათ და მსახურთა სიტყუსათა, და
ნუმცა რას გარდამეტებულსა გამოვეძიებთ, რამეთუ, რომელ-
ნი ამით სენითა სნეულ იყვნენ, ორნი ბოროტნი არიან მათ
ზედა: ერთად, რამეთუ ვერ კპობენ, რომელსა-იგი ეძიე-
ბენ. არამედ ამაოდ შურებიან, და, მეორედ, რომელ განარს-
ხებენ ღმერთსა, რამეთუ მის მიერ დადებულსა შჯულსა ეძი-
ებენ დაჯსნად.

ხოლო თუ რაზომსა რისხვასა აღსძრავს საქმეც ესე, არად
საჯმარ არს ჩუენდა თქუმად, რამეთუ თქუენ თვთ უწყით.
ამისთვის უკუე გევედრები, ვძრწოდით სიტყუათაგან მისთა.
რადთა ესრეთ დაუცხრომელად გუფარვიდეს ჩუენ, რამეთუ
იტყუს: „ვის მივხედნე, გარნა მდაბალთა და მყუდროთა და
რომელნი ძრწოდან სიტყუათაგან ჩემთა“.¹ დაუტეოთ ყო-
ველივე გამოძიებად და შევემუსრნეთ გულნი ჩუენნი, ვიგ-
ლოვდეთ ცოდვათა ჩუენთათს, ვითარცა-იგი გვბრძანა
ქრისტემან. მოვიკსენნეთ ყოველნი ცოდვანი ჩუენნი და
ვისწრაფოთ აღჳოცად მათა, რამეთუ მრავალნი გზანი მოუ-
ცემიან ჩუენდა ღმერთსა ამის საქმისათს. ვითარცა იტყუს:
„იტყოდე შენ ცოდვათა შენთა პირველ, რადთა განჰმართლ-
დე“.² და კუალად იტყუს: „უშჯულოებად ჩემი გითხრა შენ და
შენ მომიტევე ყოველი უღმრთოებად გულისა ჩემისადა“,³
რამეთუ არა მცირედ შეგუეწევის ჩუენ აღჳოცად ცოდვათა
ჩუენთა აღსაარებად მათი და კსენებად. და კუალად არს სხუა-
ცა წამალი აჳოცისა მათისადა, რადთა არავის ჩუენდა მომართ
შეცოდებულისა ვიკსენებდეთ ძვრსა, არამედ შეუენდობდეთ.

¹ ესაია, 66,2

² ესაია, 43,26

³ ფს. 31,5

გნებავსა, რაითა მესამსცა გიბნა? ისმინე დაწიელ წინამს-
წარმეტყუელისაჲ, რასა იტყვს. „ცოდვანი შენნი მოწყალე-
ბითა აპოკენ და უშკულოვანი შენნი შეწყალებითა გლა-
ნაკითათა“⁴ და კუალად არს სხუადცა გზად ავოცისა მათისაჲ:
ლოცვისა სიმრავლე და ვედრებაჲ ღმრთისაჲ უწყინოდ მო-
გუტემს ნუგეშინის-ცემასა შენდობისასა, და მარხვად, რაჟამს
სხუათა მოწყალებითა იქმნებოდის, დაჰზრეტს მოტყინარებასა
ღმრთისა რისხვისასა, „რამეთუ ცეცხლი მოტყინარე დაჰრი-
ტის წყალმან და მოწყალებითა განწმდებიან ცოდვანი“.¹ ამაჲ
უკუე ყოველთა გზათა ვიდოდით, რამეთუ უკუეთუ ამათ შინა
ვეოთ სლუად ჩუენი, არა თუ ოდენ გარდასრულნი ცოდვანი
განვიბანნეთ, არამედ მომავალთაჲცა შევზღუდნეთ თავნი
ჩუენნი და არა ვსცეთ ეშმაქსა ადგილი ბრძოლად ჩუენდა და
შთაგდებად უღბებასა და ამოსა მას გამოძიებასა. რამეთუ
ესეცა ამისგან მოიწევის, რაჟამს კაცსა არა აქუნდეს საქმე
სათნოებისაჲ, არამედ მოცალეებით იყოს. ხოლო ჩუენ ვის-
წრაფოთ სათნო-ყოფად ღმრთისა, რაითა მცირესა ამას ჟამსა
დავშურეთ და მერმე უკუნისამდე ვიშუებდეთ კეთილთა მათ
შინა ზეცისათა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა
ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა
მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ო

სიტყუად ესე: იყო ნათელი ქეშმარიტი, რომელი განანათ-
ლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად [1,9]. თ ა რ-
გ მ ა ნ ი: არარაჲ არს დამაყენებელ, რაითა დღესცა მათვე
სიტყუათა ჯელ-ვეოთ გამოძიებად, ვინათგან პირველ ვერ
უძლეთ ყოველთა მათ სიტყუათა ზედამიწევნად. სადა არიან
უკუე, რომელნი იტყვან მისთვის, ვითარმედ: „არა ქეშმარიტი
ღმერთი არს, რამეთუ აქა წოდებულ არს ნათლად ქეშ-
მარიტად, ხოლო სხუასა ადგილსა თვთ ქეშმარი-

⁴ დან. 4,24.

¹ ეკლ. 3,30.

ტე ბ ა ც ა ეწოდების მას და თუთ ც ხ ო რ ე ბ ა, გარნა იგი სიტყუაჲ, რაჟამს თუსსა ადგილსა მივიწინეთ, მაშინ გამოვიძიოთ, ხოლო აწ ესე კეთილ არს თქუმად თქუენისა სიყუარულისა მიმართ, ვითარმედ უკუეთუ განანათლებს იგი ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, ვითარ ესეოდენი დაშთეს განუნათლებელად? რამეთუ არა ყოველთა უცნობიეს ქრისტეს სარწმუნოებაჲ, ვითარ უკუე განანათლებს ყოველსა კაცსა? გარნა გულისხმა-ყავთ, ვითარმედ იგი განანათლებს ყოველსა, რაოდენი-იგი მის მიერ იქმნების, ყოვლითურთ ისწრაფის განათლებად და ყოველნი განანათლნა. უკუეთუ ვიეთმე ნებსით გონებისა მათისა თუალნი დაიყვნენ და არა ინებონ ბრწყინვალებასა მის ნათლისასა შეწყყნარებად, არა თუ ნათლისა მისგან არს მათი დაბნელებაჲ, არამედ მათისა მის უკეთურებისაგან, რომელთა-იგი ნებსით დაკლებულყვნეს თავნი თუსნი ნიჭისა მისგან, რამეთუ მადლი იგი ყოველთა ზედა მოეფინა და არცა ჰურისა მიაქცევს გარე, არცა წარმართსა, არცა ბარბაროსსა, არცა აზნაურსა, არცა მონასა, არცა მამაკაცსა, არცა დედაკაცსა, არცა ჳაბუკსა, არცა ბერსა, არამედ ყოველთა სწორად შეიწყყნარებს და ერთითა ჳატივითა უწოდს.

ხოლო რომელთა არა ენებოს ესევითარისა მის ნიჭისა მიღებად, იგინი თავთა თუსთა აბრალებდენ, რამეთუ ნებსით მოატყუეს თავთა თუსთა ესევითარი იგი სიბრძმჳ. რაჟამს გზაჲ იგი ყოველთათუს განმზადებულ იყოს და არავინ იყოს დამაყენებელ მუნ შესლვად, და ნებსით ვიეთნიმე დაშთენ გარე, ესევითარნი იგი სხუსა არაჲრამსაგან, არამედ თუსისა უკეთურებისაგან წარწყმდეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „სოფელსა შინა იყო“ (1-10). თ ა რ გ მ ა ნ ი : სოფელსა შინა იყო, არამედ არა თუ ვითარცა ეამითა სოფლისა სწორი, — ნუ იყოფინ! — რამეთუ ამისთუს შესძინა და თქუა: „და სოფელი მის მიერ იქმნა“,¹ რამთა ამით სიტყუთა ძოგიყვანოს შენ გულისხმის-ყოფად დაუსაბამოებასა მას ძხოლოდშობილისასა. და რაჟამს გესმეს, ვითარმედ: „ყოველივე ესე მისი დაბადებული არს“, დადაცათუ უგულისხმო იყო და მბრძოლ დიდებისა ღმრთისა, უნებლიაჲთ აღიარო, ვითარმედ დამბადებელი უწინარეს ყოველთა დაბადებულ-

თამსა არს; ამისთვისცა მარადის მიკერს მე პავლსს სამოსატელისა სიცოფს, თუ ვითარ ესევეითარისა მის ცხადისა ჭეშმარიტებისა წინააღდგომამ იკადრა და ნებსით თუსით წარწყმიდა თავი თუსი ეშმაკთა თანა. რამეთუ არათუ უმეცარ იყო ჭეშმარიტებასა, — ნუ იყოფინ! — არამედ ფრიადცა იცოდა ჭეშმარიტებამ და ნებსით შეიყუარა უშეჯულობამ და შეეემთხვა მასცა, ვითარცა ჰურიათა: რამეთუ მათ კეთილად იცოდეს, ვითარმედ იგი არს მხოლოდმოზობილი ძე ღმრთისამ, არამედ კაცთა სათნოებისათუს და მთავართამსა არა აღიარებდეს. ეგრეთვე ამან უბადრუკმან იცოდა ყოველი, არამედ სათნოებითა დედაკაცისა ერთისამთა მისცა თავი თუსი ეშმაკსა, რამეთუ ბოროტ არს ცუდადმზუაობრობისა მძლავრებამ და ბრძენთაცა კაცთა თუალთა დაუყოფს, უკუეთუ არა ფრთხილად იყვნენ, რამეთუ უკუეთუ ქრთამისა აღებამ დააბრმობს კაცსა, ცუდადმზუაობრობამანცა არამცა დააბრმოა, რომელი-იგი უძრსს არს მისა ფრიად? ამისთვის ჰურიათაცა ეტყოდა უფალი, ვითარმედ: „ვითარ შეუძლოთ რწმუნებად, რომელნი დიდებასა კაცთაგან მიიღებთ და დიდებასა მხოლომსა ღმრთისასა არა ეძიებთ?!”

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „და სოფელმან იგი ვერ იცნა“ (1,10)
თ ა რ გ მ ა ნ ი : სოფლად ამას ადგილსა ერსა მას უსწავლელსა და უგუნურსა იტყუს, განხრწნილსა მას და ქუეყანისა საქმეთა შექცეულსა. ხოლო მეგობართა მათ ღმრთისათა და საკვრველთა კაცთა ყოველთა იცნეს იგი უწინარეს ჯორცთშესხმისაცა მისისა და მამათმთავრისათუს თავადი ქრისტე იტყუს: „აბრაჰამს, მამასა თქუენსა, უხაროდა, რამთა იხილოს დღე ჩემი, და იხილა და განიხარა“.² და დავითისთვის კუალად ჰურიათა ამხილებდა და იტყოდა, ვითარმედ: „დავით სულითა უფლად სახელ-სდებს მას და იტყუს: „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა“³ და კუალად მრავალსა ადგილსა მოსეს აესენებს მათა მიმართ და კუალად სხუათა ყოველთა წინასწარმეტყუელთათუს მოციქული პეტრე იტყუს, ვითარმედ: „სამოელითგან და ყოველთა წინასწარმეტყუელთა იცოდეს ქრისტს და მოსლვასა მას მისსა ქადა-

¹ იოან. 5,44

² იოან. 8,56

გებდეს¹. ხოლო იაკობს და მამასა მისსა, ვითარცა პაპსა, ესრეთ ეჩუენებოდა და ეტყოდა და მრავალსა კეთილსა აღუ-
 თქუმიდა მიცემად, რომელი-იგი აღასრულაცა. ხოლო ვი-
 თარ იგივე კუალად თავადი იტყოდა, ვითარმედ: „მრავალთა
 წინაწარმეტყუელთა სწადოდა ხილვად, რომელსა ჰხედავთ
 თქუენ, და ვერ იხილეს, და სმენად, რამ-ესე თქუენ გეს-
 მის, და არა ესმა“². ხოლო რამათვს ნუუკუე არა მიიღესა
 გულისხმის-ყოფად და იცნეს იგი? ჰე, ფრიადცა კეთილად
 იცნეს და ესე საქმე გამოვაჩინო თვთ ამისვე სიტყუსაგან;
 იტყუან ვითნ-მე, ვითარმედ: „არა იცნეს, რამეთუ იტყუს:
 „მრავალთა სწადოდა ხილვად, რომელსა თქუენ ჰხედავთ“.
 საცნაურ არს უკუე, ვინათგან სწადლოა ხილვად, იცოდეს
 სამე მოსლვად მისი კაცთა თანა. და უკუეთუმცა არა იცოდეს,
 არცამცა სწადლოდა ხილვად, რამეთუ არავის მოეგონების
 საქმე, რომელსა არა იცნობდეს, არცა ჰსურის მისთვის. და
 საცნაურ არს, ვითარმედ იცნობდეს იგინი ძესა ღმრთისასა
 და იტყოდეს, ვითარმედ: „მოსლვად არს კაცთა თანა“. ხო-
 ლო რომელ იტყუს, ვითარმედ: „არა იხილეს, არცა ესმა, რო-
 მელსა აწ თქუენ ჰხედავთ და გესმის“, განჯორციელებისა მი-
 სისათვს იყო სიტყუად იგი, რამეთუ კმაჲცა ესმა მისი და
 იხილესცა, გარნა არა ესრეთ განჯორციელებული, არა კაცთა
 თანა ქცევით. არცა ესრეთ განცხადებულად ქუეყანასა ზედა
 მყოფი და ამისთვის თავადმანცა არა თქუა, თუ: „სწადოდა
 ხილვად ჩემი“, არამედ: „რომელსა აწ თქუენ ჰხედავთ“. და
 დაღაცათუ არა ეხილვა განჯორციელებაჲ მისი, არამედ იცო-
 დეს, ვითარმედ ყოფად არს იგი, რომელსაცა ხილვად სწა-
 დოდა და ჰრწმენა იგი, დაღაცათუ არა ეხილვა. ხოლო რაჲმს
 გუეტყოდრიან ჩუენ წარმართნი, ვითარმედ: „რასა იქმოდა
 პარველთა მათ ესოდენთა ეამთა ქრისტე, რომელ არა გელსა
 აღუპყრობდა ნათესავსა კაცთასა, და რამათვს უკანაჲსკნელ
 მოვიდა ცხოვრებისა ჩუენისა ძიებად და ესოდენთა ეამთა
 უღებ ვიყვნით ჩუენ?“ ხოლო ამისთვის მიუგოთ მათ, ვითარ

¹ შტრ. საქმ. 3,24

² ლუკ. 10,24

ამისა პირველ სოფელსა შინა იყო და განაგებდა დაბადებულ-
თა თვსთა და საცნაურ იყო ყოველთა ღირსთა მიერ; უკუეთუ
კულა რაჟამს ყოველნი არა იცნობდეს მას, არამედ წმიდან-
ოდენ და სათნონი და ამას აბრალობთ? აწცა დასდვათ მის
ზედა ბრალობაჲ, რამეთუ აწცა არა ყოველთა იციან იგი,
არამედ ვითარცა აწ არავინ ურწმუნოთათუს, მორწმუნეთასაცა
არა ირწმუნებს, ეგრეთვე არცა პირველთა მათ უამთათუს
ჯერ-არს იჭუეულებაჲ, რამეთუ ყოველთა მიერ მორწმუნეთა
კაცთაჲსა საცნაურ იყო.

უკუეთუ კულა ვინ თქუას: „და რად არა ყოველნი ისმენ-
დეს მისსა?“ მეცა ვთქუა: „და რად არა აწცა ყოველნი ის-
მენენ მისსა?“ და რომელნიმე იტყოდნიან, ვითარმედ: „თავით
თვსით არიან ყოველნი დაბადებულნი“, და რომელნიმე გან-
გებასა ყოველისა სოფლისასა ეშმაკთა მიაჩემებენ, არამედ არა
მათ ვხედავთ, რომელნი ურწმუნო არიან. რამეთუ ესეცა
სიცოფჷ არს, უკუეთუ ცოფთა ვჰბაძვიდეთ, რამეთუ მხესაცა
არავინ იტყვს მავნებელად თუალთა, დაღაცათუ ვიეთმე უძ-
ლურთა თუალთა ავნებს; და თაფლსა არავინ იტყვს მწარედ,
დაღაცათუ ვიეთმე სნეულთა მწარედ აღუჩნდების. ხოლო
ღმრთისათუს ვთქუათა ბოროტი რამე, ვინაჲთგან ვიეთნიმე
იტყვან? და ვინმეცა ქმნა ესე ცნობისა უფალმან, რომელი არა
განცოფებულ იყოს და ეშმაკეულ? რამეთუ სოფელმან ვერ
იცნა იგი, არამედ რომელთათუს სოფელი ღირსვე არა იყო,
მათ იცნეს იგი. რამეთუ მახარებელმან არა თუ ესრეთ თქუა
ლიტონად, ვითარმედ: „არა იცნეს იგი“, არამედ: „სოფელ-
მან არა იცნაო“, ესე იგი არს, ვითარმედ სოფლისა საქმეთა
შემშუალულთა კაცთა და სოფლისმოყუარეთა ვერ იცნეს,
რამეთუ ქრისტეცა ეგრეთვე უწესს ესევითართა მათ და
იტყვს: „მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა“. ¹ და
არა სამე იგი ოდენ, არამედ მამაჲცა ვერ იცნა სოფელმან ამით
სახითა, რომელ ვთქუთ, რამეთუ არარაჲ ესრეთ დააბნელებს
გონებასა, ვითარ შექცევად სოფლისა საქმეთაჲ და სიყუარუ-
ლი მათი.

¹ შდრ. იოან. 17,23.

სიმღიდრის მოყუარებისათვის

ხოლო თქვენ, რომელთა-ესე უწყით ყოველივე, განა-შორებით თავნი თქუენნი ჯორციელთაგან საქმეთა, რამეთუ მრავალი ბოროტი მოიწევის მათ მიერ ჩუენ ზედა, ვინაჲთგან არა არს კაცი, რომელსამცა არა უყუარდეს ამის სოფლისა საქმენი, ანუ მცა ილუაწა სასუფეველისათვის, არამედ უექუელად, რომელა ამთდა შექცეულ იყოს, მათგან დაეცემის, რამეთუ ვერვის ძალ-უც. „ღმრთისა მონებად და მამონაჲსა“,¹ არამედ ერთისა უკმს შეყუარებად და მეორისა მოძულებად. და რომელნიცა მძლე ექმნენს ვეცხლის მოყუარებასა, მათცა შეიყუარეს ღმერთი, ვითარცა ჭერ-არს, ხოლო რომელნი იძლინენ მის მიერ, იგინიცა დაეცნეს, რამეთუ სული, ვეცხლის-მოყუარებისა მიერ ძლეული, ადვილად იძლევის ყოველთაგან ვნებათა, განმარისხებულთა ღმრთისათა, ვინაჲთგან მონაჲ არს ყოვლისა ბოროტის მოყუარისაჲ.

არამედ განიფრთხვეთ და აღდგით და გულისხმა-ყავთ, ვისნი ვართ მონანი, და მისი ოდენ მეუფებაჲ ვადიდოთ. ვტიროდით და ვიგლოვდით პირველთა მათთვის ჟამთა, რომელთა შინა ვჰმონეთ მამონას. განვაგდოთ ჩუენგან მძიმე იგი უღელი მისი და ვიტკრთოთ ტკბილი იგი და სუბუქი უღელი ქრისტესი, რამეთუ იგი არარას გვბრძანებს ესე ვითარსა, ვითარი იგი მამონა. რამეთუ იგი გუეტყუს, რაჲთა ყოველთა მტერ ვიყვნეთ. ხოლო უფალი უფრომსად გუამცნებს სიყუარულსა. იგი თიჯასა შინა და მწვრესა დაგუფლავს, რამეთუ ოქრომ თიჯამ და მწვრე არს, ხოლო ქრისტე მაღალ-გუყოფს ჩუენ ნივთთაგან ქუეყანისა საქმეთაჲსა და გვბრძანებს ზრუნვად საუნჯისა მისთვის ზეცათაჲსა. იგი აქაცა შრომით და ურვიით წარაგებს ცხორებასა ჩუენსა და მუნ თანამდებ-გუყოფს ცეცხლისა მის უშრეტისა, ხოლო უფალი სასუმლისათვისცა ერთისა გრილისა წყლისა მოგუცემს სასყიდელსა მოუკლებელად და უფრომსად მრავალწილად. ვითარ უკუე არა სიცოფე არს ესე-

¹ ლუკა 16,13

ვითარისა სახეებისა უფლისა წილ ესრეთ უკეთურსა მძლავრსა მონებად, რომელი-იგი არცა აქა რას მოგუცემს საარგებელსა, არცა მუნ, არამედ უფროსად ტანჯვასა და ჭირსა ორკერძოვე მორჩილთა მისთა, რამეთუ უმეტესნი ჯოჯობეთს მიმავალნი ამის მიერ მივლენ, რამეთუ ოქროჲ შეიყუარეს და გლახაკნი არა შეიწყალნეს, რომელი-იგი რაჲთა ჩუენ ზედაცა არა მოიწიოს, განვაბნიოთ და მივსცეთ გლახაკთა, განვათავისუფლნეთ სულნი ჩუენნი აქათა ზრუნვათაგან და მუნ სატანჯველთაგან, და დავიუნჯოთ ზეცას სიმართლევ, ოქროსა წილ ქუეყანასა შევიკრიბნეთ საუნჯენი მოუკლებლნი, რომელნი მოვიდენ ჩუენ თანა ზეცად და ველი აღვჰპყრან ჭირსა და მოწყალე-ყონ მსაჯული იგი ჩუენ ზედა, რომლისაცა ღირსმცა ვართ ყოველნი კადნიერებით წარდგომად მის წინაშე და საუკუნეთა კეთილთა მიმთხუევად, რომელნი მიეცემიან მოყუარეთა მისთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი თ

ს ი ტ ყ უ ა ჯ ე ს ე: თხსთა მოვიდა და თხსთა იგი არა შეიწყნარეს (1,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** უკუეთუ პირველნი იგი სიტყუანი გაქსოვდენ, გულისმოდგინებით აღვაშენოთ ნაკლულევანოცა იგი, ვითარცა წარმართებულნი და განმარჯუებულნი, რამეთუ უკუეთუ პირველთქუმულნი იგი გაქსოვდენ, თქუენცა კეთილად ისწაოთ ყოველივე, და ჩუენ არა ფრიადი შრომაჲ შემამთხვოთ, რამეთუ რომელი პირველსწავლულსა წარსწყმედდეს, მას მარადის ეგმარების მასწავლელი და ვეროდეს იქმნას სწავლულ. ხოლო რომელი სწავლულსა დაიმარხვიდეს და ესრეთ სიტყუასა მიიღებდეს, ადრე იქმნას იგი მოსწავლისა წილ მოძღუარ და არა თავსა თხსსა ოდენ, არამედ სხუათაცა არგოს, ვითარცა აწ არს კრებული ესე სწავლისმოყუარე და კეთილადამმარხველი სწავლისა მის.

ხოლო მოვედით აწ და დავდვათ საუნჯეთა შინა სულთა თქუენთასა ვეცხლი იგი საღმრთოჲ და გამოვიძინეთ დღეს

აღმოკითხულნი ესე სიტყუანი, ვითარცა მადლმან სულისა წმიდისამან მოგუცეს. რამეთუ თქუა მახარებელმან პირველთა მათთჳს ჟამთა, ვითარმედ: „სოფელმან იგი ვერ იცნა“ და მერმე მოვიდა სიტყუთა თჳსითა ჟამთა მათ თანა ქადაგებისათა და იტყჳს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „თჳსთა მოვიდა და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს“ (1,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** თჳსად ამას ადგილსა ჰურიათა იტყჳს, ვითარცა ერსა რჩეულსა, და კუალად ყოველთაცა კაცთა იტყჳს, ვითარცა მის მიერ დაბადებულთა: და ვითარცა ზემო განკვრევებით იტყოდა, ვითარმედ: სოფელი იგი, რომელი მის მიერ იქმნა, ვერ იცნა მან დამბადებელი, ეგრეთვე აქა ჰურიათაცა და სხუათა მათ მრავალთა უგულისხმოებასა ზედა იტყოდა განკვრევებული, ვითარმედ თჳსთა თანა მოვიდა და „თჳსთა იგი არა შეიწყნარეს“. და არა ესე ოდენ, არამედ ყოველთაცა წინამსწარმეტყუელთა უკვრდა ამის საქმისათჳს და იტყოდეს ესრეთვე და კუალად პავლეცა მოციქული ამასვე იტყჳს განკვრევებით. რამეთუ წინამსწარმეტყუელნი იტყოდეს, ვითარმედ: „ერი, რომელი არა ვიცოდე, მემონა მორჩილებითა ყურისაჲთა, ისმინა ჩემი; შვილნი უცხოთანი მეცრუვნეს მე, შვილნი უცხოთესლანი განჰკრთეს და კელობდეს ალაგთა მათთაგან“,¹ და კუალად: „რომელთა არა მიეთხრა მისთჳს, იხილონ იგი და რომელთა არა ასმიოდა იგი, გულისხმა-ყონ“.² ხოლო მოციქული პავლე იტყჳს, ვითარმედ: „რაჲ ვთქუათ, რამეთუ წარმართნი, რომელნი არა სდევდეს სიმართლესა, პოვეს სიმართლმ. და ისრაჲლი სდევდა სიმართლესა, და შჯულსა სიმართლისასა ვერ მიიწია“.³ და არცა საკვრველ, თუ ვითარ, რომელნი-იგი წინამსწარმეტყუელთა წიგნებსა შინა აღზრდილ იყვნეს და მარადლე მოსმსგან ესმოდა ქრისტესთჳს და სხუათა წინამსწარმეტყუელთაგან და თავადსაცა ქრისტეს ჰხედვიდეს მარადლე მოქმედად სასწაულთა მათ, და მათ ოდენ ასწავებდა და არა შეუენდობდა მოწაფეთა წარმართთა მიმართ წარსლვად და არცა ქალაქად სამარითელთა შესლვად და არცა თავადი იქმოდა ამას, არამედ

¹ ფსალ. 17,45—46.

² ესაია 52,15.

³ რომ. 9,30.

მარადის იტყოდა, ვითარმედ: „ცხოვართათჳს წარწყმედულთა სახლისა ისრაჳლისათა მოვლინებულ ვარ“. და ამას ყოველსა ზედა ესრეთ დაიბრმნეს თუალნი მათნი და დაიყვნეს ყურნი მათნი და არა მოვიდეს ყოვლადვე ქრისტეს სარწმუნოებისა მიმართ.

ხოლო წარმართთა არარაჲ აქუნდა ესევეითარი, არცა ოდეს სიტყუანი საღმრთონი ასმიოდეს, არცა თუ სიზმრივე ეხილვნეს ესევეითარნი საქმენი, არამედ მარადის ზღაპართა და უკეთურებათა შექცეულ იყვნეს მსახურებასა ღმერთთა მტყუართასა, ძელთა და ქვათასა, რომელნი უშჯულოებითა თაყუანისიკემებოდეს, და ესევეითარნი-იგი მეყსა შინა, ვითარცა ზეცით გამოსრულნი, ესრეთ ბრწყინვალედ გამოჩნდეს. ხოლო სადაჲთ იქმნა ესე და ვითარ, ისმინე პავლესი, რამეთუ მან ნეტარმან ფრიად გამოიძია საქმე ესე და პოვა მიზეზი მისი და გუასწავა. ისმინე უკუე მისი, რომელი იტყჳს მიზეზსა ესევეითარისა მის სიბრმისა მათისასა და ღაღადებს, ვითარმედ: „უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლესა ღმრთისასა და თჳსსა ნებასა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა: არა დაემორჩილნეს და ამისთჳს შეეფთხუა მათ ესე ყოველი“. და კჳალად იგივე სხუასა ადგილსა სიტყუასა ამას გამოსთარგმანებს და იტყჳს: „აწ უკუე რაჲმე ვთქუათ? წარმართნი, რომელნი არა ეძიებდეს სიმართლესა, ეწინეს სიმართლესა, ხოლო სიმართლესა სარწმუნოებისაგან. და ისრაჳლი სდევდა შჯულსა მას სიმართლისასა და შჯულსა მას სიმართლისასა ვერ მისწუთა. რაჲსათჳსმე? რამეთუ არა სარწმუნოებისაგან, რამეთუ შებრკოლდეს ლოდსა მას შებრკოლებისასა“¹ ხოლო სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყჳს, ესევეითარი არს, ვითარმედ: ურწმუნოებაჲ ექმნა მათ მიზეზი ესოდენტა მათ ბოროტთა, ხოლო ურწმუნოებაჲ შვა ამპარტავანებაჲმან, რამეთუ ვინაჲთგან პირველ უპატიოსნეს იყვნეს წარმართთასა, ვინაჲთგან ღმერთი იცოდეს, და სხუათა მათთჳს საქმეთა, რომელთა იტყჳს მოციქული. ხოლო შემდგომად ქრისტეს მოსლვისა იხილეს, რამეთუ სწორითა პატივითა იყვნეს ორნივე, ჰურიანიცა და წარმართნი, და არარაჲ აქუნდა მეტად წინადაცუეთი-

¹ რომ. 9,30—32.

ლებსა, ამისთვის იწყუნეს ამპარტავნებისა მიერ და მეუფისა იგი კაცთმოყუარებად და მიუწდომელი სახიერებად ვერ თავს-იდევს. ხოლო ესე არა სადადთ შეემთხვა, გარნა კაცთმოძულებისა და ამპარტავნებისაგან, რაჲ გევნების თქუნ, მ უფროჲს ყოველთა კაცთა უგუნურნო? რაჲ გევნების სხუათა კეთილისაგან, ანუ თქუნენი კეთილნი მოგაკლდესა სხუათა კეთილის-ყოფისაგან? ჭეშმარიტად ბრმა არს უკეთურებად და ვერარას შემძლებელ არს კეთილისა გულისხმის-ყოფად, რამეთუ იწყლა გული მათი. რამეთუ სხუანიცა იყვნეს ზიარ კეთილთა მათთა და ამისთვის თავნი თვსნი განიგუმირნეს მახლითა და უცხო იქმნეს კაცთმოყუარებისაგან ღმრთისა. ვითარცა იტყვს უფალი: „მოყუასო, არა გავნებ შენ. ხოლო მნებავეს ამისიცა მიცემაჲ, ვითარცა-იგი შენ“,¹ და უფროჲსად არცა ამათ სიტყუათა ღირს არიან იგინი, რამეთუ მუშაკი იგი დაღაცათუ დრტუნვიდა, არამედ აქუნდა სიტყუად შრომისა მისთვის ყოვლისა მის ღღისა და ჭირისა და ოფლისათვს. ხოლო ამათ არარაჲ აქუნდა ესევითარი, არამედ უღბებაჲ და უკეთურებაჲ და ბეჭრეულნი ცოდვანი, რომლითა შეეცოდა მათცა ღმრთისა და მსგავსად წარმართთასა და ამისთვის მოციქული იტყვს: „არა არს განყოფილებაჲ ჰურიისა და წარმართისა, რამეთუ ყოველთა ცოდეს და დააკლდებიან დიდებასა ღმრთისასა, ხოლო განმართლდებიან ცუდად მადლითა მისითა“.² და კჲალად იტყვს: „რომელთა შჯულსა შინა ცოდეს, შჯულითა ისაჯენ“,³ ესე იგი არს, ვითარმედ უძრესი მიიღონ საშჯელი, რაჲამს ამხილებდეს გონებაჲცა და შჯულიცა, და არა ამისთვის ოდენ, არამედ ამისთვისცა, რომელ მათ მიერ სახელი ღმრთისაჲ იგმობოდა წარმართთა შორის, ვითარცა წინამწარმეტყუელი იტყვს. ამისთვისცა იტყოდა რაჲ საქმეთათვს საწარმართოთა მოციქული, მეყსეულად იწყო მათისა მისთვისცა უშჯულოებისა სიტყუად, ვითარმედ სარწმუნოებისაგანცა გარდაიქცეს და საქმეთა ბოროტთა იქმნეს მოქმედ, ვითარცა ყოველნი წინასწარმეტყუელნი იტყოდეს მათისა უკეთურებისათვს. და მერმე იტყვს: „ვიციო,

¹ მათ. 20,13—14.

² რომ. 3,22—24.

³ რომ. 2,12.

რამეთუ შჯული რაოდენსაცა იტყვს, შჯულისათა მათ ეტყვს, რამეთუ ყოველი პირი დაიყოს, რამეთუ ყოველთა ცოდეს“.¹ აწ უკუე რაჲსათესდა აღიმაღლებ თავსა შენსა, ჰურიაო? რამეთუ დაყოფილ არს შენიცა ეგე უგულისხმოი პირი და კადნერებაჲ ეგე შენი და საშჯელისა თანამდებ ხარ, რამეთუ დაღაცათუმცა კეთილი გექმნა და არამცა შეცთომილ იყავ, მაშინცა არა თანაგედვა წუხილი სხუათა ცხოვრებისათეს, და ესე უკეთურისა გონებისა საქმ არს, და უფროჲსად, რაჲმს არა შენითა დაჭირვებითა იყო მათი წყალობაჲ, რამეთუ უკუეთუმცა სხუათა ცხოვრებაჲ შენთა კეთილთა ავნებდა, მაშინმცა სიტყუაჲ გაქუნდა, დაღაცათუ უგულისხმოი არს იგიცა. უკუეთუ კულა არცა ტანჯვითა მით სხუათაჲთა მოგეცემის უმეტესი კეთილი, არცა ცხოვრებითა მათითა გევნების შენ, რაჲსათეს ესრეთ ბოროტსა აღადგენ თავსა ზედა შენსა ამისათეს, რომელ სხუანი უსასყიდლოდ მიიღებენ? და ვითარცა ვთქუ, დაღაცათუმცა კეთილისმოქმედ იყავ, არავე გიკმდა სხვსა კეთილსა ზედა წუხილი, ვინაჲთგან უკუე შენცა გიცოდავს და გიქმნიეს ბოროტი, და ჯერეთ სდრტუნავვე სხუათა კეთილისათეს და ჰგონებ, ვითარმედ შენ ოდენ ღირს ხარ მადლსა ყოველსავე. ესე არა ოდენ შურისა საქმეჲ არს, არამედ ძირი იგი ყოველთა ბოროტთაჲ გაქუს — ამპარტავანებაჲ, რომლისათეს ბრძენი იგი იტყვს, ვითარმედ: „დასაბამი ცოდვისაჲ არს ამპარტავანებაჲ“¹ და დედაჲ და წყაროჲ და ძირი.

¹ შტრ. რომ. 3,18—25

ამპარტავანებისათვის

ეგრეთ დაეცა პირველქმნული იგი ნეტაროსა მისგან ცხოვრებისა. და კუალად ეშმაკიცა, რომელმან—იგი აცთუნა, ამითვე სახითა დაეცა სიმაღლისა მისგან დიდისა. ამისთვისცა იცოდა უკეთურმან მან ცოდვისა მის ძალი, ვითარმედ ზეცით გარდამოგდებადცა შემძლებელ არს. ამისთვის ადამს მითვე სახითა ებრძოლა და დასცა, რამეთუ აღაზუავა იგი თქუმითა მით სწორ ღმრთისა ყოფისადათა, და ესრეთ დასცა და შთაგადა ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა. რამეთუ არარაჲ ესრეთ უცხო-პყოფს კაცსა ღმრთისაგან და მისცემს გეჰენიასა ცეცხლისასა, ვითარ ამპარტავანებისა მძლავრებაჲ, რამეთუ რაჟამს იგი ჩუენ თანა იყოს, ყოველივე ცხოვრებაჲ ჩუენი არაწმიდა არს, გინა თუ ქალწულებასა ვიქმოდით, ანუ თუ მარხვასა, ანუ ლოცვასა, ანუ მოწყალებასა, ანუ სხუასა რას, რამეთუ „არაწმიდა არს და საძაგელ წინაშე უფლისა ყოველი მაღალი გულითა“.¹ დაეცხროთ უკუე ამპარტავანებაჲ ჩუენი, უკუეთუ გუნებავს, რაჲთა ვიყვნეთ წმიდა და განეთავისუფლდეთ საშჯელისა მისგან, რომელი მიელის ეშმაკსა, ვითარცა პავლე იტყუს, ვითარმედ: „ნუ ახალნერგ, რაჲთა არა აღჰზუავნე და საშჯელსა და საფრცესა ეშმაკისასა არა მიეცე“.² არამედ განერე ამას უშჯულოებისა საქმესა. უკუეთუ გულისხმა-ვყოთ ბუნებაჲ ჩუენი და ცოდვათა ჩუენთა სიმრავლჳ მოვიცსენოთ და მერმეთა მათ სატანჯველთა სიმწარე და ჰოფლისა ამის საქმეთა ამაობეჲ, რამეთუ არარაჲთ უმჯობჳს არს თივისა და ყუთავილთა მათ არისათა, უადვილჳსად დაქნების. უკუეთუ ამას ყოველსა ვიგონებდეთ და სათნოებათა მათ წმიდათასა ვჰბაძვიდეთ, ვეროდეს დაგუცნეს ეშმაკმან ამპარტავანებითა. ხოლო ღმერთმან მდაბალთამან, სახიერმან და ტკბილმან მოგუანიჭოს ჩუენცა და თქუენცა გული შემუსრვილი და მდაბალი, რაჲთა ესრეთ შეუძლოთ სხუათაცა სათნოებათა წარ-

¹ იგაენი, 16,6

² ტ.პ. 3,6

მართებად და დიდებად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი

სიტყუაჲ ესე: „თჳსთა თანა მოვიდა და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს“ (1,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ღმერთი კაცთმოყუარე არს და ქველისმოქმედ, საყუარელო, და ყოველსავე ღონესა ეძიებს, რადთამცა სათნოებითა შემკულ ვიყვნეთ ჩუენ, და ამისთჳს იძულებით და უნებლიადთ არავის მოიყვანებს სათნოებად. არამედ კეთილის-ყოფითა და ნებსით მოიზიდავს მისა მიმართ. ამისთჳსცა, მო-რად-ვიდა იგი, რომელთამე შეიწყნარეს იგი და რომელთამე — არა, რამეთუ არცა ერთისაჲ ჰნებავს, რადთამცა უნებლიადთ დაიმონა, არამედ ნებსითთა ეძიებს, რომელნი ჰმადლობდენ მას, რომელ შეიწყნარნა იგინი, რამეთუ კაცთა ექმარების სხუათა მიერ მსახურებაჲ და ამისთჳს უნებლიადთცა მრავალთა ჰყოფენ მსახურ მათა. ხოლო ღმერთსა არც ერთი რად ექმარების ვისგანმე, არამედ ყოველსავე ჩუენისა ცხორებისათჳს იქმს და ამისთჳს ჩუენდა მოუცემიეს ამის საქმისა კელმწიფებაჲ და არავის იძულებით მიიზიდავს თავისა მიმართ თჳსისა; ჩუენსა უმჯობესსა ეძიებს, ხოლო უნებლიადთ მიყვანებაჲ ყოვლადვე არამისღვისა სწორ არს, არამედ იტყჳან ვიეთნიმე: „და რადსათჳს მისცემს საშჯელად, რომელნი არა დაემორჩილნენ მას? ანუ რად გეჰენიაჲ აღუთქუა, რომელნი არა იქმოდინ მცნებათა მისთა?“ არამედ ისმინე, რამეთუ უფალსა მარადის ვეწყალით ჩუენ, დაღაცათუ არა ვერჩდეთ მას, არავე განგუეშორების და, ვივლტოდით რად, გუდევს, რადთა მოგუაქცინეს, არამედ ვინადთგან რომელნი კეთილსა მისსა ურჩ ექმნნეს და არარად შეჰრაცხეს, ამისთჳს მეორესა მას კერძა მოაწვევს ტანჯვასა, რომელი-იგი მწარე არს, არამედ კეთილვე არს, რაჟამს პირველი იგი ღონე შეურაცხ იქმნას, რამეთუ შჯულისმდებელნიცა და მსაჯულნი მრავალთა ბოროტთა მოაწვევენ შეცოდებულთა, და არავე გუძულან იგინი, არამედ უფრომსად პატიე-

ვსცემთ, რომელ არაჩაჲ ეკმარების ჩუენგან, და არცა იცოდ-
იან მრავალგზის, თუ ვიეთ ერგოს მათი იგი საშქელი. და
ამას ყოველსა ზედა ზრუნვენ წესიერებასა ჩუენისა ცხორე-
ბისასა და პატივ-სცემენ სათნოთა, ხოლო დააყენებენ ბორო-
ტისაგან უკეთურთა, რომელნი სხუათაცა მყუდროებასა ავ-
ნებენ. აწ უკუეთუ ამათ ვაქებთ, ამის საქმისათჳს არა უფ-
რომსად ღმრთისაჲ თანა-გუაცა სიყუარული ესოდენისა
მის ქველისმოქმედებისა მისისათჳს, რომლისა სიღრმე განგე-
ბულებათაჲ მიუწუდომელ არს და სახიერებისა მისისაჲ, რო-
მელი აქუს ჩუენ ზედა? არამედ რომელთა მისცემს სატანჯე-
ლად, ამისთჳს მისცემს, რამეთუ გამოჩნდეს უკეთურად და
უმადლოდ. და ესრეთ გულისხმა-ყავ, რამეთუ „თჳსთა თანა
ძოვიდა იგი“, არა თუ მას რამე უქმდა, რამეთუ, ვითარცა
ვთქუ, ღმერთსა არაჩაჲ უქმს სხესაგან, არამედ თჳსთა მათ
მისთა სარგებლისათჳს მოვიდა. და ამას ყოველსა ზედა თჳსთა
იგი არა შეიწყნარეს სარგებელად მათა მოსრული, არამედ
გარემიაქციეს, და არა ესე ოდენ, არამედ გარეგან ვენაჯისა
განიყვანეს და მოკლეს, და ამას ყოველსა ზედა არავე დაუქშა
მათ კარი სინანულისაჲ, არამედ მისცა მათ ამათ ესეოდენთა
ბოროტთ შემდგომად, რამთა უკუეთუ ინებონ, ყოველნი მათნი
ცოდვანი განიბანენ მისთა სარწმუნოებითა და სწორ იქმნენ
მათდა, რომელთა არაჩაჲ ესევითარი ექმნას, არამედ საყუა-
რელ მისა იყვნეს. და რამთა სცნათ, ვითარმედ არა ცუდად
ვიტყოდე ამას, იხილეთ ნეტარი პავლე, რომლისათჳს ბრწყინ-
ვალედ ვლადადებ, რამეთუ ესე შემდგომად ჟუარს-ცუმისა
ქრისტეს სდევნიდა და მოწამისა მის მისისა სიკუდილსა თა-
ნაშემწე იყო, და ვინამთგან მოიქცა და შეინანა, ამისთჳს
შეყსეულად თავთა მათ მოციქულთა თანაზიარ იქმნა და მოძ-
ლურად და მასწავლელად ყოველისა სოფლისა გამოჩნდა, რო-
მელი პირველ მგმობარი იყო და მდევარი, ვითარცა თჳთ იგი
ნეტარი ქადაგებს სახარებასა მას სინარულით, და არა თუ
სირცხვლ-უჩნდა, ამისთჳსცა ოდესმე იტყუნ, ვითარმედ: „არა
ღირს ვარ წოდებად მოციქულად. რამეთუ ვსდევნიდ ეკლე-
სიათა ღმრთისათა“;¹ და კუალად იტყუნ: „მოვიდა იესუ ცოდ-

¹ 1 კორ. 15,9.

ვილთა ცხორებად, რომელთაგანი პირველი მე ვარ“¹ და შერმე იტყუს: „გასმიეს ყოფად ჩემი ჰურიაებასა შინა, რამეთუ ვსდევნიდი ეკლესიათა ღმრთისათა“.² რამეთუ ვითარცა ნაცვალად მიაგებს ქრისტესა მისისა სახიერებისა გამოჩინებასა, რომელ გამოაჩინებს, ვითარმედ ესევეთარი იგი მტერი და მბრძოლი ესრეთ აცხოვნა, და ქადაგებს კადნიერებით ბრძოლასა მას, რომლითა ებრძოლა პირველ ქრისტესა, და შემდგომად ამისა სასოწარკვეთილთა ყოველთა მისცა სასოებად ცხორებისად, რამეთუ იტყუს: „ქრისტემანცა ამისთვის ესე ყო, რადთა ჩემ ზედაცა გამოაჩინოს გარდამატებული იგი სახიერებად მისი სახედ მომავალთა მათ სინანულად“.³ არამედ პირველისა მის სიტყუსა მიმართვე მოვაქციოთ, რომელსა იტყუს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „თვსთა თანა მოვიდა და თვსთა იგი არა შეიწყნარეს“ (1,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაჲ მოვიდა, რომელი-იგი ყოველგან არს და ყოველივე აღუესიეს? რომელი ადგილი დააცალიერა თავისაგან თვისისა, რომელსა ყოველივე კელითა უპყრიეს? არამედ გულისხმა-ყავთ, ვითარმედ ადგილი არცა ერთი დაუცალიერებეს, რამეთუ ვითარმცა ეგებოდა ესე? არამედ ჩუენდა მომართ მოსლვითა ქმნა ესე, რამეთუ ვინაჲთგან მარადის სოფელსა შინა იყო, არამედ არა იცნობდა მას სოფელი, და ამისთვის არცა შეერაცხა იგი მოსრულად, ვინაჲთგან ვერ იცნობდა მას, ხოლო უკუანაჲსკნელ გამოაცხადა თავი თვისი, შეიმოსა რაჲ ბუნებაჲ ჩუენი და ქორცინი ესე. და ამისთვის ესევეთარსა ამას გამოჩინებასა და განცხადებასა მოსლვად სახელ-სდებს, ხოლო იხილეთ, ვითარ მოწაფესა მას არა სირცხვლ-უჩნს თქუმად შეურაცხებასა მას ძოდლუარისასა, ვითარმედ „არა შეიწყნარეს იგი“ და კადნიერებით იტყუს ყოველსავე. და ესეცა არა მცირე სახე არს მისისა ჭეშმარიტებისა მოყუარებისაჲ და კუალად დაღაცათუმცა ჰრცხუნენა, შეურაცხ-სმყოფელთა მათთთვის ჯერ-იყო სირცხვლი და არა შეურაცხქმნილისა მისგან, რამეთუ იგი გამოჩნდა უფრომსად დიდებულად, რომელ მას ყოველსა ზედა სწყა-

¹ ტიმ. 1,15

² შდრ. გალ. 1,13

³ პავლე.

ლობდა მათ, ხოლო იგინი ბილწად და შეგინებულად გამოჩნდეს ყოველთა მიერ, რომელთა ესევეითართა კეთილთა ყოფად მოსრული იგი, ვითარცა მბრძოლი, გარემიაქციეს და დააკლდეს ნაწილსა მას, რომელი მიეცა შემწყნარებელთა მისთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო რომელთა შეიწყნარეს იგი, მისცა მათ კელმწიფებამა შვილ ღმრთისა ყოფად“ (1,12). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რად არა გვთხრობ, მ ნეტარო, სატანჯველთაცა, რომელთა მიეცემიან არაშემწყნარებელნი მისნი, არამედ ესე სთქუ. ვითარმედ: „თჳსნი მისნი იყვნეს და თჳსთა თანა მოსრული არა შეიწყნარეს“. ესე არა თქუა, თუ ამისა ნაცვალად, რომელი საშჯელი მოიწევის მათ ზედა, ანუ რომელსა ტანჯვასა მიეცნენ, რამეთუ უმეტჳსიმცა შიში მოსრულ იყო მათ ზედა და მათისა მის გულისა სიფიცხლჳ მოდრეკილ იყო, არამედ იტყვს ნეტარი ესე, და რამცა იყო ამის სატანჯველისა უმეტჳსი, რამეთუ განმზადებულ იყო მათთვის შვილ ღმრთისა ყოფად და არა იქმნნეს, არამედ ნებსით თჳსით ესევეითარისა მის პატივისაგან გამოაჯუნეს თავნი თჳსნი? გარნა არა ესე ოდენ იყოს მათი სატანჯველი, არამედ უშრეტელმან მან ცეცხლმან შეიწყნარნეს, რომელსა ქუემორე გამოაცხადებს. ხოლო აქა აწ იტყვს მიუწდომელთა მათ კეთილთა შემწყნარებელთა მისთათჳს და გამოაჩინებს მათ ყოველთა მცირედითა სიტყუთა, რამეთუ იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო რომელთა შეიწყნარნეს იგი, მისცა მათ კელმწიფებამა შვილ ღმრთისა ყოფად“ (1,12) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ყოველნი ამას პატივსა ღირს-ყვნა: მონანი და აზნაურნი, წარმართნი, გინა თუ ბარბაროზნი, სწავლულნი და უსწავლელნი, დედანი, გინა თუ მამანი, ანუ თუ ყრმანი, ანუ მოხუცებულნი, მდიდარნი, ანუ თუ გლახაკნი, — ყოველნი ამას პატივსა ღირს-ქმნულ არიან და ესე კელმწიფებამა ძოუღებოეს. რამეთუ სარწმუნოებამა იგი და მადლი სულისა წმიდისაა უწესოებასა მას სოფლისა საქმეთასა აღმოჰფხურის და ყოველთა ერთბამად მოიყვანებს და ერთხატად სამეუფოდ შესცვალებს. რამცა იყო ამის მადლისა ღირს? რამეთუ მეფჳ ქუეყანისაა, რომელი მისვე მიწისაგან ქმნილ არს, ვინაეცა ჩუენ, და მუნვე მიიქცივის, ვითარცა ჩუენვე, სწორთა

მათ მისთა კაცთა და მის თანამონათა ღმრთისათა, რომელნი ზიარ იყენიან მისისავე ბუნებისა და მრავალგზის საქმითა უმჯობესცა იყენიან, არა დააწესნის მკედრობათა თუსთა თანა, მონა თუ იყენიან. ხოლო მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან არა უღირს-იჩინა მეზუერეთა და ცოდვილთა და მრავალთა ჯორციელადცა ნაკლულევანთა ასოფთა კრებულსა თანა შეილთასა შეიყვანნა. ესევითარი არს მისა მიმართ სარწმუნოებისა ძალი, ესევითარი არს მადლისა მისისა სიმრავლს. და ვითარცა ცეცხლმან მიიღის რაჲ მიწაჲ იგი თუალთაგან მათ, რომელთაგან გამოვალს ოქროჲ, ქმნის იგი მიწისა წილ ოქროდ. ეგრეთვე უფრომსად თივისა წილ ოქრომსად შესცვალებს ნათლის-ღებაჲ განბანითა მით, რამეთუ სული წმიდაჲ მას ჟამსა მსგავსად ცეცხლისა სულთა ჩუენთა შემოვალს და ხატსა მას მიწისაგანისასა დასწუავს, ხოლო ხატსა მას ზეცისაგანისასა ბრწყინვალედ განახლებულ-პყოფს და ვითარცა ბრძმედისა მიერ განაბრწყინვებს. ხოლო რამათუს არა თქუა, ვითარმედ: „ყვნა იგინი შვილ ღმრთის“, არამედ: „მისცა კელმწიფებაჲო შვილ ღმრთის ყოფად“, არამედ გულისხმაყავთ, რამეთუ ამას მოასწავენს, ვითარმედ ფრიადი მოსწრაფებაჲ გუკმს ჩუენ, რაჲთა ხატი იგი, რომელი ნათლის-ღებასა გამოისახვის ჩუენ ზედა, შეუხებელად და შეუგინებელად დავიცვათ. და გუჩუენებსცა, ვითარმედ ამას კელმწიფებასა ვერვინ მიგვლებს ჩუენგან, უკუეთუ ჩუენ თვთ არა წარვწყმიდოთ და უკუეთუ, რომელთა კაცთა მიერ მიიღონ უფლებაჲ საქმეთა რომელთამე ზედა და აქუს მათ ზედა კელმწიფებაჲ, რაოდენ უფრომსად აქუნდეს, რომელთა ღმრთისაგან მიიღონ პატივი, რამეთუ უკუეთუ არარაჲ ქმნან ესევითარისა მის პატივისა უღირსი, ყოველთა ვიყენეთ უძლიერეს, რამეთუ ყოველთაცა უძლიერეს არს და უსახიერეს, რომელმან ესე პატივი მოგუცა ჩუენ. და კუალად ჰნებაეს მახარებელსა, რაჲთამცა გულისხმა-გუყო, ვითარმედ არა თუ ესრეთ ცუდად მიეცემის მადლი იგი ყოველთა, არამედ მათ, რომელთა ისწრაფონ მიღებად მისა, რამეთუ მათსა კელმწიფებასა შინა ძრსო შვილ ღმრთისა ყოფად, რამეთუ უკუეთუ მათ არა მოიძიონ პირველ, არა მოვალს მადლი იგი მათ ზედა, ვითარცა იგი ყოველსა ადგილსა აჩუენებს, ვითარმედ იძულებით არა-

ვას მოიყვანებს, არამედ ნებისით ეძიებს. და ეგრეთვე აქაცა ეძმაოჩინა, რამეთუ დიდთა ამათ კეთილთაცა შინა ერთი კერძი ღმრთისად არს მადლისა მოცემად და ერთი კერძი კაცისად არს ჩუენებად სარწმუნოებისად და შემდგომთა მათ უამთა მარადის მისწრაფებად, რამეთუ არა კმა არს სიწმიდისა ჩუენისა დაცვად ნათლის-ღებამ ოდენ და რწმუნებამ, არამედ, უკუეთუ გუენებავს, რამთა ბრწყინვალეობამ მისი გუაქუნდეს, თანა-გუაც საქმეთა კეთილთა გამოჩინებამ, რამეთუ შობამ იგი სულიერი და განწმედად ყოველთა პირველქმნულთა ცოდვათაგან შოგუეცემის ნათლის-ღებითა, ხოლო რამთა დავადგრეთ შემდგომად ამისა მასვე სიწმიდესა ზედა და არღარა შევაგინნეთ თავნი ჩუენნი, ესე ჩუენსა კელმწიფებასა ქუუშე არს და ამისთვისცა სახმ ამის შობისად მომაქსენა ჩუენ და მოილო შორის სიტყუად კორციელისაცა შობისად, და მისგან გამოაჩინა უზეშთაესობამ მისი და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა კორცთაითა, არცა ნებითა მამაკაცისაითა, არამედ ღმრთისგან იშვნეს“ (1,13). თ ა რ გ მ ა ნ ი : ხოლო ესე თქუა, რამთა უნდოებამ იგი პირველისა მის შობისად ვიხილოთ, როძელი-იგი იქმნების სისხლთაგან და ნებითა კორცთაითა, და მერმე სიმაღლმ ესე და პატიოსნებამ მეორისა ამის შობისად, რომელი იქმნების მადლისა მიერ, გულისხმა-ყყოთ, და ესრეთ ვიცნათ სიდიდე და სიმაღლმ მისი და მშობელისა მის ჩუენისა პატივი და ნიჭი და ფრიადი მოსწრაფებამ ვაჩუენოთ, რამეთუ შიში არს. უკუეთუ კეთილი ესე სამოსელი ჩუენი შევაგინოთ შემდგომთა მათ ცოდვათა მიერ და განვვარდეთ სასძლომსა მისგან ხუთთა მათებრ სულელთა ქალწულთა და მისებრ, რომელსა-იგი არა აქუნდა სამოსელი საქორწინე, რამეთუ იგიცა მეინავეთაგანი იყო და იგიცა წოდებულ იყო, არამედ ვინამთგან უჯერომ საქმმ ქმნა, ისმინე, ვითარათა საწყალობელითა საშველითა დაისაჯა, ღირსითა მრავლეთა ცრემლთაითა. რამეთუ მი-რამ-ვიდა ბრწყინვალესა მას ტაბლასა დაჯდომად, არა თუ ოდენ დაყენებულ იქმნა მისგან, არამედ, შეკრულიცა კელით და ფერკით, ბნელსა მას გარესკნელსა განვარდა საუკუნესა მას ტირილსა და ღრქენასა კბილთასა.

ვითარმედ: არად სარგებელ გუეყოფვის წმიდა
ნათლის-ღებამ, რომელნი ბოროტთა საქმეთა შინა ვიყვნეთ

ნუმცა უკუე ვკგონებთ ჩუენ, საყუარელნო, თუ კმა გუე-
ყოს სარწმუნოებამ ოდენ ცხოვრებად ჩუენდა, უკუეთუ არა
ექმნნეთ საქმენი კეთილნო, არამედ უღირსითა სამოსლითა
შემოსილნი მივიდეთ სანატრელსა მას ქორწილსა. ჩუენ ზე-
დაცა მოიწიოს, რამ-იგი უბადრუკსა მას ზედა მოიწია,
რამეთუ ბოროტ არს, უკუეთუ მან ღმერთმან და მეუფემან
არა უღირს-იჩინოს უნდოთა და საწყალობელთა კაცთა ტაბ-
ლასა თვსსა წოდებამ და ჩუენ ესრეთ უგულისხმო ვიქმნნეთ,
რამეთუ ესეოდენსა მას პატივსა ზედა არავე შევიკდიმოთ
და მოვიქცეთ უმჯობესისა მიმართ, არამედ შემდგომად წოდე-
ბისაცა ესევითარსა უკეთურებასა ზედა ვეგნეთ. არა თუ
ამისთვის გვწოდა ჩუენ საშინელისა მის საიდუმლომსა მი-
მართ წმიდისა ზიარებისა, რამთა პირველითავე უკეთურებითა
მოვიდოდით, არამედ რამთა აღვიძარკოთ უკეთურებამ და
შევიძროსოთ, რამ-იგი უკმს შემოსად წოდებულთა მეუფი-
სათა. ხოლო უკუეთუ ვიყვნეთ უღირს წოდებისა მის, ესე
არა მწოდებელისა მისგან არს, არამედ ჩუენისა უკეთურები-
საგან. რამეთუ არა იგი განგუასხამს ჩუენ საკვრველისა მის-
გან კრებულისა წოდებულთაჲსა, არამედ ჩუენ თვთ განვას-
ხამთ თავთა ჩუენთა, რამეთუ მან ყოველივე, რომელი მას
უკმდა ქმნად, ქმნა და ქორწილი შეამკო და ტაბლამ მოკმზა-
და, და მწოდებელნი განავლინნა, და მოსრულნი შეიწყნარნა
და ყოველივე პატივი ქმნა, ხოლო ჩუენ შეურაცხ-ვეყავთ იგი
თავადი და მუნ მისრულნი ყოველნი და ქორწილი იგი დიდი
სამოსელთა მათგან შებილწებულთა, რომელ არიან არაწმი-
დანი საქმენი. და ამისთვის სამართლად განვისხმით, რამეთუ
პატიოსნებისა მისთვის ქორწილისა მის და განსუენებისათვის
მუნ შეკრებულთაჲსა განასხნა ურცხვნონი იგი და ბილწნი.
რამეთუ, უკუეთუმცა დაეტევა მუნ შემოსილი იგი მწიკულე-
ვანითა სამოსლითა, იგიმცა იყო შეურაცხისყოფელ სხუათა
ძათ. გარნა ნუმცა ვის ზედა მოიწევის ჩუენგანისა ესევითარი

საქმე! რამეთუ ამისთვის უწინარეს მოწვევისა წერილ არს ესე ყოველი, რამთა შევიკდომით და განვეკრძალნეთ სმენითა, რამთა არა შთავეარდეთ საქმეთა მათ შინა ბოროტთა და სატანჯველთა მწარეთა და ბრწყინვალითა სამოსლითა მივიდეთ ზორწილსა მას, რომელსა ღირსსცა ქმნულ ვართ ყოველნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რამეთუ მისა შეუენის დიდებამ და სიმტკიცემ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი ა

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : და სიტყუამ იგი კორციელ იქმნა და დაემკდრა ჩუენ შორის (1,14) თ ა რ გ მ ა ნ ი : ერთსა ვითხოვ თქუენ ყოველთაგან, ვიდრელა არა მიწყიეს სიტყუათა ამით სახარებისათა, და ნუ ურჩ მექმნებით თხოვასა ამას, რამეთუ არცა მძიმესა რასმე ვითხოვ, არცა ჩემისა თავისა სარგებელად, არამედ თქუენთვის. რამეთუ ესე არს თხოვამ ჩემი, რამთა ყოველთა შაბათთა, რომელთა წარგიკითხავ და გამოგითარგმანებ სახარებისა სიტყუათა, წინადლით აღიღებდეთ და აღმოიკითხვიდეთ თსაგან თითოეული და გამოეძიებდეთ ძალსა მათ სიტყუათასა, თუ რომელი სიტყუამ არს ადვილ გულისხმის-საყოფელად, ანუ რომელსა უკმს ფრიადი გამოძიებამ და არს ძნელ; და ამას ყოველსა გულისხმა-ჰყოფლით და ეგრეთ მოვედით სმენად, რამეთუ ამის საქმისაგან არამცირედი გექმნას სარგებელი თქუენცა და ჩუენცა და ჩუენც არა ფრიადი შრომამ შეგუემთხუეოდის გამოცხადებად თქუენდა ძალსა სიტყუათასა, რაჟამს პირველ თქუენცა გეწუაროს და თქუენცა ადვილად გულისხმისყოფელ იყვნეთ. რამეთუ მრავალნი აწ მოვლენ და სიტყუანიცა სახარებისანი არა იცნიან, არამედ ერთბამად ჰნებავნ დასწავლამ სიტყუათამცა და ძალისაცა მათისამ, რომელსა ვიტყვთ. და ესე შეუძლებელ არს, რამეთუ ვითარ ისწავლონ მცირედსა ამას ჟამსა და ამასცა, რამეთუ გარეწარად ისმენენ? უკუეთუ კულა ვინმე ზრუნვათა სოფლისათა მიზეზობდეს, შესწამებენ სხუანი იგი საქ-

მენი: რაჟამს სიმღერა იყოს, ყოველნი მოცალე იპოვებან, და საქმესა ღმრთისასა უცალო იქმნებიან, რომელ ჟამ ერთცა ვერ მოიცალებენ. და არა ბევრეულთა სატანჯელთა ღირს არსა ესე საქმე? არამედ მიზეზობენ სხუასაცა საქმესა ვითნიმე, ვითარმედ არა გუქონანო წიგნნი, გარნა მდიდართა მიმართ არად საცმარ არს ამისთვის თქუმად, ხოლო გლახაკთა მიმართ ვთქუათ: ვითარ თითოეულსა საცმარნი თუსნი ჰქონან სხუანი ყოველნივე, რომელნი არად სარგებელ ექმნებიან სულსა? და რომელნი-იგი უკმართა მათ მოსწრაფებით მოიგებენ, ჭეშმარიტთა მათ სარგებელთა სულისათა, რომელნი არიან წიგნნი, არა ეძიებენ? უკუეთუ კულა ესეოდენ გლახაკი ვინმე იყოს, რომელ ვერ ეძლოს მოგებად წიგნისა, შესაძლებელ არს ზედადსხედა ეკლესიას მოსლვითა დასწავლად ყოველსავე, გარნა ნუ გარეწარად და, ვითარცა თანანადებსა აღსრულებად და ჯორცითა ოდენ, არამედ გონებითაცა და ყოვლითა სულითა მოვიდოდეთ სწავლად სიტყუათა სახარებისათა. ვიტყოდნი უკუე აწ სიტყუათა მათ, რომელთა ღაღადებს ღმრთისმეტყუელებისა იგი ნესტუ:

სახარებაჲ: „და სიტყუაჲ იგი ჯორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის“ (1,14) **თარგმანი:** პირველად თქუა, ვითარმედ: „ღმრთისაგან იშვნეს, რომელთა შეიწყნარეს იგი და შვილ ღმრთისა იქმნნეს“. და ამისთვის აწ მიუწუდომელისა მის პატივისა მიზეზსა იტყუს აქა, რომელ-იგი არს განჯორციელებაჲ სიტყუსაჲ და შემოსაჲ ხატისა მის მონებისაჲ. რამეთუ იქმნა იგი ძე კაცისა, რომელი ძმ არს ღმრთისაჲ, რაჲთა კაცნი შვილ ღმრთისა ყვნეს. რამეთუ მაღალი რაჟამს მდაბალსა თანა მივიდეს, მას არაჲ ევენების დიდებისა თუსისაგან, ხოლო მდაბალსა მას აღამალლებს თავისა თუსისა თანა, ვითარცა უფალმანცა ქმნა. რამეთუ თუსი ბუნებაჲ არა თუ დაამცირა გარდამოსლვითა მით, ხოლო ჩუენ, ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა მსხდომარენი, აღგუამაღლნა და შიგუყვანნა დიდებასა მას მიუწუდომელსა. რამეთუ მეფცა, უკუეთუ გლახაკსა ვისმე სიტკბოებით ეტყოდის, თავსა თუსსა არას ავენებს, ხოლო მას პატიოსან-ჰყოფს. და უკუეთუ უნდოსა ამას შინა ბუნებასა კაცთასა დიდებულსა გლახაკსა თანყოფისაგან არაჲ ევენების, უხრწნელსა მას და შეუხებელსა

ბუნებასა რამცა ევნო, რომლისა პატივი არა მოპოვნებული არს, ვითარ-იგი კაცისაჲ, არცა მომავალი და კუალად წარმავალი, არამედ ყოველივე მისი შეუტყუველ არს და მტკიცე უკუნისამდე. და ამისთვის რაჟამს გესმეს, ვითარმედ: „სიტყუაჲ კორციელ იქმნა“, ნუ შეშფოთნები. არა თუ არსებამ ბუნებისა მისისაჲ კორციელად შეცვალა, რამეთუ ამისი მოგონებამცა საშინელ არს, არამედ მისი ბუნებამ, ვითარ იყო, ჰგიეს, და ხატი მონისაჲცა შეიმოსა. ხოლო მახარებელმან თქუა, ვითარმედ: „კორციელ იქმნა, რადთა დაუყვნეს პირნი მწვალებელთანი, რომელნი იტყვან, ვითარმედ: „უცნებამ რამე იყო კორცთა შესხმამ მისი“, და რადთა პირველითგანვე მათსა გმობასა პირი დაუყოს, ამისთვის თქუა, ვითარმედ: „კორციელ იქმნა“. არა თუ ბუნებისა მისისა შეცვალეზასა აჩუენებს, არამედ ამას არცა თუ ეშმაკნი მოიგონებენ, არცა ცოფნი და განსრულნი გონებისაგან, არამედ მოციქული ესე ღმრთისმეტყუელი კორცთშესხმისა მისისა ჭეშმარიტებასა მოასწავებს, ხოლო მისისა ღმრთეებისა ბუნებამ ყოლადვე შეუცვალებელ არს, ვითარცა მოციქული იტყვს ვითარმედ: „ყოველნი, ვითარცა სამოსელნი, დაძუელდენ და, ვითარცა შესამოსელნი, სცვალნე, და იგინი იცვალნენ. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ და წელიწადთა შენთა არაჲ მოაკლდეს“.¹ რამეთუ მისი ბუნებამ უზეშთაეს ყოვლისავე შეცვალეზისა არს და მიექეცინ გმობამ მათი თავსავე მათსა, რომელნი იტყვან, ვითარმედ: „ბუნებამ მისი კორციელ იქმნა“, რადთა სცნა, ვითარმედ სიტყუაჲ ესე თუ: „კორციელ იქმნა“, ამისთვის ოდენ თქუა მახარებელმან, რადთა ჭეშმარიტად კორცთა შესხმამ მისი დაამტკიცოს. ისმინე შემდგომი იგი სიტყუაჲ მისი, ვითარ აღმოჰფხურის ყოველსა იჭუსა ბოროტსა და განსწმენდს სიტყუასა თვისსა და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : და დაემკვდრა ჩუენ შორის“ (1,14)
თ ა რ გ მ ა ნ ი : ვითარცა იტყოდა, ვითარმედ: „ნურას ბოროტსა მოიგონებ ს ი ტ ყ ვ ს ა მისგან, რომელ ვთქუ, ვითარმედ: „კორციელ იქმნა“, რამეთუ არა თუ შეცვალეზამ ვთქუ შეუცვალეზელისა მის ბუნებისაჲ, არამედ დამკვდრებამ

¹ ფს. 101,27.

ჩუენ შორის. ხოლო დამკვდრებული არა არს იგივე, რომელსა შინა დაემკვდროს, არამედ სხუამ სხუასა შინა დაემკვდრების. და ეგრეთვე მან ღმერთმან ჩუენ შორის დაიმკვდრა. უკუეთუ არა, არღარა დამკვდრება ეწოდების, ხოლო რომელ ვთქუ, ვითარმედ სხუამ სხუასა დაიმკვდრებს, ვთქუ ბუნებისა ძისთვის ღმრთეებისა, რამეთუ შეერთებრთა მით ჯორცთშესხმისაჲთა ერთ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ჯორცნი იგი, რომელ შეიმოსნა, არა თუ შერევნაჲ და შერწყმაჲ იქმნა, არცა განქარვებაჲ არსებათაჲ არამედ ერთობაჲ გამოუთქმელი რაჲმე და მიუწუდომელი, რომელი-იგი თუ ვითარ იქმნა, მან მხოლომან უწყის. ხოლო რაჲ არს დამკვდრებაჲ მისი ჩუენ შორის, ისმინე წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყუს, ვითარმედ: „აღვპართო კარავი დავითისი დაცემული“,¹ რამეთუ ჭეშმარიტად დაეცა დაცემითა უკურნებელითა ბუნებაჲ ჩუენი და მის მტკიცისა და ძლიერისა ჯელისაჲ იყო აღდგინებაჲ მისი, და ვერვის ძალ-ედვა სხუასა აღდგინებაჲ მისი, გარნა ძლიერსა მას ჯელსა, რომელმანცა დაჰბადა, რომელი შეეწია ზეცით და აღადგინა შობითა მით წყლისა მიერ და სულისა, და იხილე საშინელი იგი და მიუწუდომელი საიდუმლოჲ, რომელი მარადის ამას კარავსა შინა მკვდრ არს, რამეთუ ჯორცნი ჩუენნი შეიმოსნა, არა თუ რაჲთამცა კუალად დაუტევნა იგინი, არამედ რაჲთა უკუნისამდე აქუნდენ თავისა თვისისა თანა, რამეთუ, უკუეთუმცა ესე არა იყო, არცამცა დაესუა იგი საყდარსა მას სამეუფოსა, და არცამცა მით შეშოსილი თაყუანის-იციებოდა ყოველთა მათ მკედრობათაგან ზეცისათა, ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, საყდართა, უფლებათა, მთავრობათა და ჯელმწიფებათაგან. რომელმან გონებამან მოიგონოს, ანუ რომელმან ენამან თქუას პატივი იგი ესოდენი, რომლითა პატივ-სცა მან ბუნებასა ჩუენსა? ანუ რომელმან ანგელოზმან, გინა მთავარანგელოზმან შეუძლოს მოგონებად ამის საქმისა? ვერვინ შემძლებელ არს მიწუდომად, ვერცა ზეცისათაგანი, ვერცა ქუეყანისაჲ, რამეთუ ესრეთ დიდ არიან საქმენი უფლისანი და მიუწუდომელ ქველისმოქმედებანი მისნი, რომელ არა თუ კაცთა ოდენ სიტყუასა, არამედ ანგელოზთა გონებასა უზეშთაეს არს.

¹ ამოს. 9,11

ამისთვის უკუე ჩუენცა დაფილუმოთ ესევეითარი ესე სიტყუაჲ, და ამას გამცნებ და გევედრებო, რაჲთა ისწრაფოთ ესევეითართა კეთილთა ნაცვალთა მიგებად სახიერისა მის, რომელნი-იგი სარგებელ ჩუენდა იყვნენ, ესე იგი არს, რაჲთა სულთა ჩუენთათს კეთილად ვზრუნვიდეთ, რამეთუ ესეცა მისისა კაცთმოყუარებისაგან, რომელ არარაჲ ეკმარების ჩუენგან და ჩუენსა ოდენ კეთილსა ეძიებს და იგი შეურაცხიეს, ვითარცა მისაგებულად თვსთა კეთილთა, რაჲჲმს ჩუენ სულთა ჩუენთათს ვზრუნვიდეთ. ამისთვისცა უკუე ფრიადისა უგულისხმობებისა საქმე არს, რაჲთა ვინაჲთგან მას ესრეთ ჰნებავს ჩუენი ცხორებაჲ და ჩუენ არა ვქმნათ ძალისაებრ ჩუენისა კეთილი, რაჲთამცა მივემთხუენით ურიცხუთა მათ კეთილთა? ამის ყოვლისათს უკუე შევეწიროთ მადლი კაცთმოყუარისა ღმრთისა, ნუ სიტყვთ ოდენ, არამედ უფროსად საქმიითა, რომელ საუკუნენი იგი კეთილნი მოგუეცნენ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევეად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი ბ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: „და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, ვითარცა დიდებაჲ მხოლოდშობილისაჲ, მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჰეშმარიტებითა“ (1,14) თ ა რ გ მ ა ნ ი: ნუუკუე მძიმედ აღვიჩნდა პირველი სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ გაყუედრეთ უდბებისათს? არამედ უკუეთუმცა ჩუენისა თვისათს რასმე დაგიმძიმებდი, სიტყუაჲმცა გაქუნდა. ვინაჲთგან უკუე თქუენისა უმჯობესისათს ვიქმ ყოველსავე, რაჲსათს იყოს დამძიმებაჲ და არა უფროსად მმადლობდეთ სიყუარულისა მისთვის, რომელი მაქუს თქუენდა მიმართ?

რამეთუ მეშინის, ნუჟუე მე ვშურებოდი და გასწავებდე და თქუნ არა ისმენდეთ, და თანამდებ საშჯელისა იქმნნეთ და ამისთვის ზედასზედა გაქირვებთ, რაათა ისმენდეთ ყოვლითა გულითა და ღირს იქმნნეთ კეთილთა მათ ზეცისათა, არამედ ძოვედით და ვიწყით სიტყუად დღესცა სახარებისათს შემდგომითი შემდგომად, რამეთუ იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ, მამისა მიერ, სავსე მადლითა და ქეშმარიტებითა“ (1,14) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარმცა გუეხილვა, უკუეთუმცა არამსგავსითა ამით გუამითა ჩუენითა გამოჩინებულ იყო. რამეთუ უკუეთუ მოსე, რომელი კაცივე იყო, და პირსა მისსა ვერ მიხედვიდეს, არამედ საბურავი უკმდა მართალსა მას, რაათამცა შეუძლეს სხუათა პირსა მისსა ხედვად, მაშა, ვითარმცა შეუძლეთ ღმრთეებისა ძალსა ხილვად ხათლისა მის, რომელი-იგი თუალთშეუდგამ არს ზეცისა ძალთაგანცა, ჩუენ, მიწათა და თიჯისაგანთა, ვითარმცა შეუძლეთ მიხედვად? ამისთვის დაიმკვდრა ჩუენ შორის, რაათა ყოველსა, რომელსაცა ენებოს, ძალ-ედვას ხილვად და ზრახვად მისა.

ხოლო რაჲ არს სიტყუად ესე, რომელ თქუა, ვითარმედ: „დიდებაჲ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ, მამისა მიერ?“ რამეთუ ვინამთგან მრავალნი იდიდნეს წინამსწარმეტყუელთაგანნი, ვითარცა თვთ მოსე და მერმე ელია და ელისე, რომელთაგანი ერთი ცეცხლისა ეტლითა ამაღლდა, და მეორესა მას ცეცხლისა ეტლნი გარემოადგეს, და მერმე კუალად იდიდდა და დანოელ და სამნი ყრმანი და სხუანი მრავალნი, რომელთა ქმნეს ნიშები და იდიდნეს, და კუალად ანგელოზნიცა ეჩუენნეს კაცთა და თვისისა დიდებისა ნათელი გამოუცხადეს. და არა ანგელოზნი ოდენ, არამედ ქერობინიცა ეჩუენა წინამსწარმეტყუელთა დიდითა დიდებითა და სერაბინი ეგრეთვე, ხოლო მახარებელი ამის ყოვლისაგან აღგუამაღლებს და ბრწყინვალეებასა მას დაბადებულთასა თანაწარჰქედების და მიმიყვანებს ჩუენ თავისა მის მიმართ ყოველთა კეთილთაჲსა, რამეთუ იტყუს; ვითარმედ: „არა წინამსწარმეტყუელისაჲ, არცა ანგელოზისაჲ, არცა მთავარანგელოზისაჲ, არცა უზეშთაესათა მათ ძალთა სერაბინთა და ქერობინთა, არცა სხუასა

რასმე დაბადებულთა ბუნებისა, უკუეთუ ოდენ არს სხუად
სადა უზეშთაესი ბუნებამ, არამედ თავადისა მის მეუფისამ
და თავადისა მის მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისამ. და ჩუენ
ყოველთა უფლისა დიდებამ ვიხილეთ, ხოლო სიტყუამ ესე,
„ვითარცა მხოლოდშობილისამ ესე“, ვითარცა ამას ად-
გილსა არა მსგავსებისამ. არს, არცა იგავისამ, არა-
მედ დამტკიცებისა და შექუეულობისამ, ვითარმცა იტყოდა,
ვითარმედ: „ვიხილეთ ჩუენ დიდებამ ესევითარი, ვითარცა-
იგი შუენოდა და ჭერ-იყო, რაათამცა აქუნდა მხოლოდშო-
ბილსა ძესა ღმრთისასა, მეუფესა მას ყოველთასა“.

და კუალად კაცთასა შორის ჩუეულებამ არს ესევითარი
და არა დავიდუმო იგიცა თქუემად. ხოლო ისმინეთ, თუ რო-
მელსა ჩუეულებასა ვიტყვ, რამეთუ იხილიან ვიეთმე მრავალ-
გზის მეფე შემკული თუთოფერიითა სამკაულითა და ქვათა
მიერ პატიოსანთა. და რაჟამს ვიეთმე მიუთხრობდენ მისსა მას
დიდებასა, იტყვან სიკეთესა სამოსელთა მისთასა და ქვათა
მათ პატიოსანთა შუენიერებასა, საყდრისა მისისა დიდებასა.
და ვინაფთვან ესე ყოველი და ესევითარი მრავალი თქვან და
ვერ გამოაჩინიან სრულიად სიტყუთა დიდებამ მისი, მერმე
იტყვან: ვითარმედ: „რასა მრავალსა ვიტყოდით? ესევითარი
იყო, ვითარცა მეუფემ ქეშმარიტად“. და სიტყუთა მით არა
თუ ესე პნებავს გამოჩინებად, ვითარმედ მსგავს მეუფისა იყო,
არამედ მეუფე იყო ქეშმარიტად. და ეგრეთვე უკუე მახარე-
ბელმან თქუა: „ვითარცა მხოლოდშობილისამო, რაათამცა
დიდი იგი დიდებამ მისი გულისხმა-გვყრ, რომელი ენითა არა
ითქუმის, რამეთუ სხუანი ყოველნი წინამსწარმეტყუელნი
ბრძანებითა იქმოდეს ყოველსავე, ხოლო იგი, ვითარცა მეუფე,
ყოველსავე კელმწიფებით. ამისთვისცა უკვრდა ერსა, ვითარ
კელმწიფებით ასწავებდა, რამეთუ გამოჩნდეს ანგელოზნიცა
დიდებით ქუეყანასა ზედა, ვითარცა დანიელის ზე და დავი-
თის ზე და მოსეს ზე, არამედ ვითარცა მონანი მეუფისანი ეს-
რეთ იქმოდეს ყოველსავე, ხოლო იგი, ვითარცა მეუფემ,
მპყრობელი ყოვლისავე, და იგი ყოველი ქმნა უნდოფთა სა-
ხითა გამოჩინებულმან სიმდაბლით, გარნა ეგრეცა დაბადე-
ბულთა იცნეს დამბადებელი მათი და ვარსკულავი ზეცით
მოგუთა მოუწოდდა თაყუანის-ცემად მისა და ანგელოზთა

მკედრობასა. ყოველი ადგილი, ვინამცა იქმნა, თესითა განგებულებითა აღევსო და ყოველნი დაბადებულნი ურთიერთას ახარებდეს დიდსა მას საიღუმლოსა: მწყემსთა — ანგელოზნი, და ქალაქისათა მათ — მწყემსნი და მარიამ და ელისაბედს — გაბრიელ და ტაძარსა შინა — ანა და სუმეონ, და არა მათ ოდენ, არამედ ჩჩულმან მანცა, არღა მოსრულმან ხათლად, მოქალაქემან უდაბნოესამან და თანამოსახელემან ამის მახარებლისამან, იოვანე, საშოსა შინა დედისასა ქადაგა, ჰკრთებოდა რაჲ საშოსა დედისასა ხილვასა ღმრთისმშობელისასა. და ყოველნი განსცხრებოდეს სასოებითა მით და ესე ყოველი იყო შობასა მისსა. ხოლო აღიზარდა რაჲ, მერმე კუალად იყვნეს უზეშთაესნი საქმენი, რამეთუ არღარა ვარსკულავი და ცაჲ, არცა ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, არცა გაბრიელ და მიქაელ, არამედ თავადი მამაჲ წამებდა ზეცით და ნუგეშინისმცემელი იგი სული ფრინვიდა ზეცით მოსრული და დაადგრა მას თანა. ჰეშმარიტად ამის ყოვლისათეს იტყოდა: „ვიხილეთ დიდებამ მისი, დიდებამ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ, მამისა მიერ“,¹ რამეთუ შემდგომად ამისა არღარა მწყემსნი და ვარსკულავი, არამედ თვთ ჳმამ მათ საქმეთაჲ ქადაგებდა, რამეთუ განისმა ყოველსა ასურეთსა საქმე მისი მაშინვე. მაშინ ქუეყანაჲცა იქმნა, რამეთუ ცათა მუჟჳ მოსრულ იყო განცხადებულად, და ყოველნი დადადებდეს, ვითარმედ: „მეუჟჳ ცათაჲ მოვიდა“, და ეშმაკნი ივლტოდეს, და მთავარი მათი შეძრწუნდა, სიკუდილი იდევნებოდა, მერმე სრულიად უჩინო იქმნა და მკუდართა აღმოუტევებდა საფლავები, და ეშმაკთა ეშმაკნი განიოტებოდეს და უძლურთა სენნი განიკურნებოდეს, და იყვნეს ჰეშმარიტად საქმენი საკვრველნი, რომელთათეს სუროდა წინამსწარმეტყუელთა ხილვად და ვერ იხილეს, რამეთუ იხილენმცა მაშინ თუალნი, მიწისაგან ახილვად შექმნულნი, და საწადელი იგი საქმჳ, რომელი ყოველთავემცა სუროდა ხილვად; ვითარ პირველ ადამ მიწისგან დაჰბადა ღმერთმან, მას ყოველსა ერთსა შინა წამსა აჩუენებდა უაღრესსა მას ასოსა ზედა გუამისასა და ყოველსა: გუამსა შეანაწევრებდა დაცხნილთა მათ ასოთა.

¹ ოან. 1,14

კელნი მომკუდარნი შეიძრვოდეს, ფერკნი დაქსნილნი მეყსა შინა ხლდებოდეს, ყურნი დაყოფილნი განეხუმოდეს და ენაჲ, შეკრული უტყუებითა, დიდად კმობდა, რამეთუ ვითარცა კელოვანმან მან ხუროთმოძღუარმან სახლი, მრავალეამითგან დაძველებული, გაანახლის, ესრეთ შეიმოსა ბუნებაჲ კაცობრივი, ესრეთ შემუსრვილნი ასონი მისნი განამტკიცნა და დაქსნილნი შეანაწევრნა და სრულიად დაცემულნი აღადგინნა.

ხოლო რაჲ ვინ თქუას დაბადებისა მისთვის სულისა, რომელი ფრიად უსაკრველეს იყო დაბადებასა ჯორცთასა, რამეთუ დიდ არს ჯორცთაცა განკურნებაჲ, არამედ ფრიად უზეშთაჲს არს სულისა, რაოდენ-იგი სული უზეშთაჲს არს ჯორცთასა და არა ამით ოდენ არხ საკრველი, რომელ სული უაღრეს არს ჯორცთასა, არამედ ამითცა, რომელ ჯორცნი, ვინაჲცა ენებოს შემოქმედსა, შეიცვალეზიან, ხოლო სული თუთ უფლად დაბადებულ არს და კელმწიფებაჲ აქუს მიდრეკად, ვინაჲცა ენებოს, გინა თუ კეთილისა მიმართ, გინა თუ ბოროტისა, და იძულებით არავის მოიყვანებს ღმერთი სათნოებად, რამეთუ იძულებით ქმნილი არა სათნოებაჲ არს, არამედ ნებსით ჯერ-არს მოსლუაჲ სათნოებად. და ამისთვის უძნელეს არს მისი კურნებაჲ, არამედ იგიცა კეთილად წარემართებოდა და არა ოდენ ბოროტისაგან მოაქცევდა სულთა, არამედ თავსაცა სათნოებათასა აღიყვანებდა და მეზუერე მოცქელ იქმნებოდა, და მღევარი და მგმობარი — ქადაგ ყოვლისა სოფლისა და მოგუნი—მოძღუარ ჰურიათა, და ავაზაკი — შოქალაქე სამოთხისა და მეძავი სარწმუნოებითა ბრწყინვიდა და სამართელი იგიცა მეძავი მომაქცეველ ქალაქისა მის იქმნა და ქანანელმან სარწმუნოებითა განდევნა ეშმაკი ასული-საგან თვისისა. და სხუანი უძკრესნი ამათ მეფეთა კრებულსა შემოვიდეს და ყოველივე მეყსა შინა შეიცვალა ჯორცთა ვნებანი, სულთა საღმობანი და სიმრთელედ სათნოებისა მოვიდოდეს. და ამას არა ორნი და სამნი, ანუ ათნი და ასნი კაცნი, არამედ ქალაქნი დიდნი და ნათესავნი მოიქცეოდეს. რაჲ ვინ თქუას სიბრძნისა მისთვის დიდისა, ზეცისა წესთა სათნოებისათჳს, ანგელოზთა მკედრობისა წესიერებისათჳს, რამეთუ ესევეითარი ცხორებაჲ გუასწავა ჩუენ, ესევეითარნი შჯულნი დაგვსხნა ჩუენ, ესევეითარი მოქალაქობაჲ გუაცნო, რამთა

უკუეთუ აღეასრულნეთ მცნებანი მისნი, ვიქმნნეთ სწორ ანგელოზთა, მსგავს ღმრთისა ძალისაებრ ჩუენისა, დაღაცათუ უდარეს ყოველთა კაცთასა ვიყენეთ, ესე უკუე ყოველი საკურველებამა შემოკრიბა მახარებელმან კორცთა და სულისამ და ნივთთამ, ბრძანებანი და ნიჭი იგი მიუწუდომელნი და ცათა უმადლესნი შჭულნი და მოქალაქობამ, და საუკუნენი იგი აღთქუმანი და ცნებანი მისნი, და მის ყოვლისათეს საკურველი ესე სიტყუამ ღაღად-ყო, ვითარმედ: „ვიხილეთ დიდებამ მისი, დიდებამ, ვითარცა მხოლოდშობილისამ, მამისა მიერ საესე მადლითა და ჭეშმარიტებითა“, რამეთუ არა საკურველებათათეს ოდენ გკერს იგი, არამედ ვნებათათესცა, ვითარ-იგი შემემშტულა ჭუარსა და იგუემა, და ყურიმალსა იცა, და ინერწყუა მათვან, რომელთა მიმართ იქმნეს ესეოდენნი კეთილნი, რამეთუ მათთესცა, რომელნი საგონებელ არიან, ვითარცა საყუარელნი, ესევე სიტყუამ ღირს არს, რამეთუ თავადმანცა დიდად უწოდა საქმესა ამას. რამეთუ არათუ სიყუარულისა და წყალობისათეს ოდენ იყენეს საქმენი იგი, არამედ ძალისაცა მიუწუდომელისა, რამეთუ მაშინ სიკუდილი დაიქსნებოდა და წყევამ აღიჯოცებოდა, ეშმაკნი შოიწყლვოდეს და უჩინო იქმნებოდეს და წარიდევნებოდეს და კელითწერილი ცოდვისამ ჭუარსა შემემსტულავოდა. და ვინამთვან უხილავად იქმოდა სასწაულთა, ამისთეს ხილულხიცა რამე გამოაჩინნა. და რაჟამს ჭუარს-აცუეს, ძელსა ზედა დამშტულულმან გამოაჩინა, ვითარმედ ჭეშმარიტად მხოლოდშობილი ძე ღმრთისამ არს და ყოველთა დაბადებულთა მეუფჲ, რამეთუ ვიდრელა სანატრელი იგი გუამი ჭუარსა ზედა იყო, გარემიაქცია მზემან ნათელი თესი და ქუეყანამ იძროდა და მკუდარნი აღდგებოდეს და ლოდი აღელებოდა. და საფლავით დაბეჭდულით აღდგა მკუდარი იგი ჭუარცუმული და დაფლული, და ძალითა მოწაფენი ადავსნა და წარავლინნა ყოველსა სოფელსა მკურნალად ბუნებისა კაცთამსა და მასწავლელად ცხორებისა ანგელოზებრისა, დაქსნად ძალსა ეშმაკთასა და მახარებელად უკუდავებისა სულთამსა და ცხორებისა საუკუნომსა და კეთილთა მათ საუკუნეთა დაუსრულებელთა, რომელნი მიუწუდომელ არიან გონებისაგან. ესე ყოველი უკუე და ამისა უმრავლესი მოი-

გონა ნეტარმან ამან, რომელნი-იგი არცა უტქუმან სიმ-
რაკლისათს მათისა, რამეთუ ვერ დაიტევდა სოფელი, და
ამის ყოველისათს ლაღად-ყო, ვითარმედ: „ვიხილეთ დიდებამ
მისი, დიდებამ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ, მამისა მიერ
სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“.

ს ვ ა ვ ლ ა დ ი ბ

კეთილად ცხორებისათს და საუკუნოჲსა საშჯელისათს

ხოლო რომელნი ესეოდენთა და ესევითართა ხილვათა
და სმენათა ღირსქმნულ ვართ და ესეოდენნი კეთილნი გვხილ-
ვან, თანა-გუჲც, რაჲთა საქმენიცა ვაჩუენნეთ ღირსნი სარწ-
მუნოებისანი, რაჲთა საუკუნენიცა კეთილნი ვპოვნეთ, რამე-
თუ ამისთვის მოვიდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჲ, რაჲთა არა
აქაჲ ოდენ, არამედ რაჲთა საუკუნოჲცა დიდებამ ვიხი-
ლოთ. ამისთვის იტყვს ვითარმედ: „მნებავს, რაჲთა ზაღა
შე ვიყო, ესენიცა იყვნენ, რაჲთა ჰხედვიდენ დი-
დებასა ჩემსა“,¹ რამეთუ უკუეთუ აქაჲ დიდებამ მისი ესრეთ
ბრწყინვალე იქმნა, რაჲ ვინ თქუას მერმისათს დიდებისა?
რომელი-იგი არა ქუეყანასა ზედა განხწნადსა გამოჩნდე-
ბის, არცა მოკუდავთა ამათ ეორცთა შინა ყოფასა ჩუენსა,
არამედ წარუვალსა მას შინა ცხორებასა და ესეოდენითა
ბრწყინვალეებითა, რომელსაცა სიტყუთა ვერვინ გამოაჩინებს.
მ, სანატრელნი სამგზის, და მრავალგზისცა სანატრელნი, რო-
მელნი ღირს იქმნეს დიდებისა მისისა ხილვად! მისთვის იტყვს
წინამწარმეტყუელი, ვითარმედ: „მოისპენ უღმრთოჲ, რაჲთა
არა იხილოს მან დიდებამ იგი ღმრთისაჲ“, არამედ ჩუენგანი
ნუმცა ვინ მოსპოლვილ არს. მ, უფალო, უფალო, ნუცამცა
ვინ დაშთომილ არს უხილავად მის დიდებისაგან, რამეთუ,
უკუეთუ მას არა ღირს ვიქმნებით ხილვად, კეთილ არს ჩუ-

¹ იოან. 17,24

ენტუსცა თქუმად, ვითარმედ: „უმჯობეს იყო, თუმცა შობილ-ვე არა ვიყვენით“. და რაჲსათჳს ცხოველ ვართ, ანუ რაჲსა ვიქცევით, უკუეთუ მის დიდებისაგან დავაკლდებით და მეუფესა ჩუენსა ვერ ვიხილავთ? რამეთუ უკუეთუ, რომელნი ამას მზისა ნათელსა ვერ ხედვენ და მწარესა ცხორებასა შინა არიან, რაჲმე ყოფად არს მათთვის, რომელნი მის დიდებისაგან დააკლდენ? რამეთუ აქა ესე ოდენ არს დაჭირვებაჲ, რომელ ნათელსა ვერ იხილვენ, ხოლო მუნ არა ესრეთ არს, არცა ესე ოდენ არს ტანჯვაჲ, არამედ ესრეთ უმწარეს არს, რაოდენ-იგი მზე ამის მზისა უბრწყინვალეს არს შეუმსგავსებელად. და კუალად ესეცა არს, რამეთუ, რომელნი მის ნათლისაგან დააკლდენ, არა ბნელსა ოდენ მივლენ, არამედ საუკუნოდცა წუვაჲ ცეცხლსა შინა მოიწევოს მათ ზედა და ღრჭენაჲ კბილთაჲ. ნუმცა უკუე შთავცევით მცირითა ამით სულმოკლებითა საუკუნესა მას სატანჯველსა, არამედ განვიფრთხოთ და ვიღუაწოთ, რაჲთა განსუენებასა მას მივემთხვნეთ და განვერნეთ მდინარესა მას ცეცხლისასა, რომელი დიოდის საშინელითა ოხრითა წინაშე საყდრისა მის დიდებულისა. რამეთუ რომელი მუნ შთავარდეს ერთგზის, არღარავინ იჯსნის მიერ, ვერცა მამაჲ, ვერცა დედაჲ, ვერცა ძმანი, ვითარცა თვთ წინამსწარმეტყუელნი ლაღადებენ: რამეთუ დავით იტყუს: „ძმამან ვერ იჯსნას, კაცმან იჯსნასა?“¹ ხოლო ეზეკიელ ამისა უმეტესიცა თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ დადგენ ნოე, იობ და დანიელ, ძენი და ასულნი მათნი, ვერ იჯსნენ.“ რამეთუ მუნ ერთი ოდენ შეწევნაჲ არს ჩუენი, საქმეთა ჩუენთა მიერ კეთილთა, და რომელსა იგი შეწევნაჲ არა აქუნდეს, სხუაჲ არარაჲ ეპოების მას.

ამას უკუე ვიჯსენებდეთ მარადის და განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი, რაჲთა კადნიერებით ვიხილოთ უფალი და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ფს.

² ეზეკ.

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „იოვანე წამა მისთვის, ღალად-ყო და
 თქუა: „ესე არს, რომლისათვის ვთქუ: რომელი შემდგომად
 ჩემსა მოვალს, უწინარეს ჩემსა იყო, რამეთუ პირველ ჩემსა
 არს“ (1,15) თ ა რ გ მ ა ნ ი : ნუუკუე ამოდ ვშურებითა,
 ნუუკუე ქვათა ზედა ვსთესავთა, ანუ გზასა ზედა, ანუ ეკალთა
 შინა? რამეთუ მეშინის ფრიად, ნუუკუე უკმარ იქმნეს და
 უნაყოფო მუშაკობად ჩუენი და ამას რაჲ ვიტყვ, არა თუ მე
 რაჲ მევენების უნაყოფოებისა მისგან, არამედ თქუენისა სიყ-
 უარულისათვის, რამეთუ არა ესრეთ არს ჩუენი სამუშაკოჲ,
 ვითარ-იგი ქუეყანისა მუშაკთაჲ, რომელ უკუეთუ არა
 გამოიღონ ნაყოფი თესლთა მათთა, არა აქუს, სადაჲთმცა გა-
 მოიზარდნეს. ხოლო ჩუენ არა ესრეთ ვართ, არამედ გინა თუ
 ხაყოფიერ იყოს ქუეყანაჲ, გინა თუ უნაყოფო, ჩუენ ვინა-
 ჲთგან დავსთესოთ, სასყიდელსა შრომისასა მოვიღებთ უფ-
 ლისა მიერ, რამეთუ თითოეულმან თვისი სასყიდელი მიიღოს
 თვისისა შრომისაებრ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „შენ,
 ძეო კაცისაო. უწამე ერსა ამას. უკუეთუ ისმინონ და უკუეთუ
 გულისხმა-ყონ“,¹ გარნა დაღაცათუ ესრეთ არს, დაშრომად
 ჩუენი არა უსასყიდლო არს, არამედ ჩუენ რაჲამს ვიხილოთ,
 ვითარმედ საქმე თქუენი არა წარემართების, სულთ-ვითქუამთ,
 ვითარცა იგინივე მუშაკნი, რამეთუ ესე არს მოწყალებად
 ძოდღურისა და მამისაჲ, რამეთუ მოსესცა ჰრქუა ღმერთმან,
 ვითარმედ: „აღვჰკოცო ერი ესე და გყო შენ ნათესავად ღი-
 დად“. ² ხოლო მან ნეტარმან არა თავს-იდვა, არამედ აღირჩია
 წარწყმედაჲ მათ თანა, ანუ ცხოვრებაჲ მათ თანა, რომელნი
 ერთგზის მიეცნეს მას. ესევითარი ჯერ-არს, რაჲთა იყოს წი-
 ხამძღუარი სულთაჲ, ხოლო ამას ვიტყვ ყოველსა, რაჲთა გან-
 ვეკრძალნეთ კეთილისა საქმესა ქმნად, რაჲთა ესრეთ შეუძ-
 ლოთ სიღრმესა მასცა გულისხმის-ყოფისასა მიწუდომად, რა-
 მეთუ ვნებანი დააბნელებენ თუალთა სულისათა და გონე-
 ბასა შეაშფოთებენ, ხოლო ისმინეთ, რაჲ-ესე დღეს აღ-
 ძოვიკითხეთ:

¹ ეზეკ. 2,3

² გამოს. 32,10

სახარება: „იოვანე წამა მისთვის, ღალად-ყო და თქუა: „ესე არს, რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს“ (1,15). **თარგმანი:** მრავალგზის აქსენებს ესე მახარებელი იოვანეს და მისსა მას წამებასა, ხოლო ამას არა ცუდად იქმს, არამედ ფრიადითა სიბრძნითა, რამეთუ ვინაძთვან დიდად აქუნდა საკურველებად მისი ყოველთა ჰურიათა და იოსიპოსცა იტყვს, ვითარმედ: „მისსა აღსასრულსა ზედა იქმნა ბრძოლა იგი“ და დიდთა შესხმათა წარმოიტყვს მისთვის, ვინაძთვან ყოველთა მიერ დიდად შერაცხილ იყო იგი, აქსენებს მისსა წამებასა, რამეთუ სხუანი მახარებელნი ძუელთა მათ წინაღწარმეტყუელთა მოიყვანებენ. ვითარცა მოიყვანა მათე შობისათჳს მისისა ესაია და იერემია და ოსე, ხოლო ამან ახალი იგი და დიდი წამებად მოილო ნათლისმცემლისაჲ, რომელსა-იგი ნათელ-ეცაცა მისდა და ექადაგა. ხოლო არა თუ ამისთვის მოიყვანებს მოწამედ, რაჲთამცა მეუფე ძონათა მიერ სარწმუნო-ყო, არამედ უძლურებასა კაცთასა თანა დამდაბლდების, ვითარცა, უკუეთუმცა არა შეემოსა ხატი ძონისაჲ, არამცა შეწყყნარებულ იყო ქადაგებად ესე. ვგრეთვე, უკუეთუმცა არა მონათა მიერ ეთქუა კაცთადა, არამცა ერწმუნა მრავალთა ჰურიათა, რამეთუ ზეცით წამებად იქმნა ერთგზის და ორგზის, არამედ მისი სმენად ღირსთა ოდენ ძალედვა, ხოლო იოვანეს წამებად მრავალგზის იქმნა და, რომელნი-იგი ზეცისასა ვერ ისმენდეს, მათ ისმინეს იოვანეს წამებად.

და ამისთვის იტყმს: „იოვანე წამა მისთვის, ღალად-ყო“ და თქუა კადნიერებით და უშიშად ქადაგა მან მოსლვად მისი“, და ისმინეთ ქადაგებადცა:

სახარება: „ესე არს, რომლისათჳს ვთქუ: „რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს“ (1,15) **თარგმანი:** დაფარულ არს წამებად ესე და სიმდაბლისა სიტყუანი ჰქონან, რამეთუ არა თქუა, ვითარმედ: „ესე არს მხოლოდშობილი და საყუარელი ძე ღმრთისაჲ“, არამედ ესე არს, რომლისათჳს ვთქუ: „რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო“. რამეთუ ვითარცა მფრინველნი მართუეთა თჳსთა არა მეყსა შინა ას-

წავლიან ფრინვასა, არამედ მცირედ-მცირედ აფრინვებენ და კუალად მოაქცევენ ბუდედვე, ვიდრემდის ისწავლონ სრულიად ფრინვაჲ და მერმე განიყვანებენ სრულიად ბუდისაგან, ეგრეთვე ნეტარი იოვანე არა მეყსა შინა აღიყვანებს ჰურიათა სიმალლედ გულისხმის-ყოფისა, არამედ ჭერეთ ოდენ აღაძალღებს ქუეყანიოთ და ასწავებს, ვითარმედ ქრისტე მისა უაღრეს და უზეშთაეს არს. რამეთუ ესეცა არა მცირე იყო, რადთამცა არწმუნა, ვითარმედ უზეშთაეს იყო მისა, საკურველისა მის კაცისა, და რომლისა მიმართ ყოველნი მირბიოდეს, არა გამოჩინებული იგი, რომელსა ჭერეთ არცა ერთი ექმნა სასწაული.

და ჭერეთ ამისი ოდენ ენება რწმუნებაჲ, ვითარმედ უზეშთაეს არს მოწამისა მის წამებული იგი და პირველ მოსრულისა მის უკუანადსკნელ მოსრული იგი. და იხილე, ვითარ სიბრძნით იქმს ყოველსავე, რამეთუ არა გამოჩინებულსა ოდენ უჩუენებს, არამედ პირველ გამოჩინებისაცა, ვითარცა მათე იტყვს, ვითარმედ: „ეტყოდა მომავალთა მისა: „მე ნათელ-გცემ წყლითა, ხოლო შემდგომად ჩემსა მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ღირს ვარ საბელსა ჯამლთა მისთასა განქსნად“.¹ ხოლო ამისთვის უწინარეს მოსლვისა ქმნა ესე, რადთა, რაჟამს მოვიდეს, ადვილად ჰრწმენეს მისი, ვინადთგან პირველვე განმზადებულ იყოს გონებაჲ მათი, რამეთუ უკუეთუმცა ყოლადვე არა ასმიოდა უფლისათვს, და მეყსა შინა იხილესმცა და მაშინლა ესმოდამცა მისთვის, არა ირწმუნებდეს უნდოებისა მისთვის სახისა მისისა და სიმდაბლისა მისთვის ფრიადისა, რამეთუ ესევითარი სიმდაბლე აქუნდა ქრისტესა, რომელ სამარიტელნი და მეზუერენი და მეძავნი კადნიერებით მიეახლებოდეს მას. და ვითარცა ვთქუ, უკუეთუმცა მაშინ ოდენ იტყოდა მისთვის იოვანე, ოდეს მოვიდა, არამცა ჰრწმენა მისი.

ხოლო ვინადთგან წინადთვე განჰმზადნა გონებანი მათნი წინამორბედმან, რადთამცა, მო-რად-ვიდა, ჰრწმენა მისი. ხოლო რად არს სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „პირველ ჩემსა იყო?“ ესე იგი არს, ვითარმედ ბრწყინვალე იყო და პატრიოსან. და ნუ

¹ შლრ. მათ. 3,11

პგონებთო, ვინაძთგან მე პირველ მოვედ ქადაგებად, უზეშთა-
 ესმცა ვიყავ, რამეთუ ფრიად უდარეს ვარ მე და ესეოდენ
 უდარეს, რომელ არცა თუ მონად მისა შერაცხად ღირს ვარ.
 ხოლო არა თუ უკუანა ჩემსა იყო, და წარმართებითა რაძთმე
 პირველ ჩემსა იქმნა, არამედ მარადის პირველ ჩემსა იყო და
 უზეშთაეს. და დიდებასა მასცა მოასწავებდა, რომელი აწ გან-
 თქუმულ არს ქრისტესთვს სოფელსა შინა, ვითარმედ დალა-
 ცათუ შემდგომად ჩემსა მოვიდა, არამედ პირველ ჩემსა იყო
 მარადის და დიდებულ, და ქუეყანასა ზედაცა დიდებაჲ მისი
 დიდ იქმნა შემდგომად მცირედისა. ხოლო უკუეთუ ფინ იტ-
 ყოდის, ვითარმედ: „უკუეთუ დიდებასა მას მისსა მოასწა-
 ვებდა, რომელი სოფელსა შინა განთქუმად იყო, ვითარ
 იტყვს, ვითარცა გარდასრულსა?“ გარნა ესრეთ გულისხმა-
 ყავთ, ვითარმედ ესე ჩუეულებაჲ არს წინაჲსწარმეტყუელთაჲ:
 რამეთუ ესაიაცა, რაჟამს ვნებისა მისისათვს იტყოდა, არა-
 ქმნილსა მას, ვითარცა ქმნილსა, დაღადებდა: „ვითარცა ცხო-
 ვარი, კლვად მიიგუარაო“¹ და არა თქუა, თუ: „მიი-
 გუაროსო“. და დავით არა თქუა, ვითარმედ: „განჯუ-
 რიტნენ კელნი ჩემნი და ფერჯნი ჩემნი“² არამედ „განჯუ-
 რიტნესო, ვითარცა ქმნული. და მიმცემლისათვს არღა
 ქმნულსა, ვითარცა ქმნულსა, იტყოდა, ვითარმედ: „რომელი
 ჳამდა პურსა ჩემ თანა, აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი“³ და
 კუალად იტყვს: „მცეს მე საჳმლად ჩემდა ნავლელი და
 წყურვილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“⁴ და ესევითარი მრ-
 ვალი ჳპოო, რომელ არღა ქმნილსა, ვითარცა ქმნილსა, იტ-
 ყოდის წერილსა შინა.

¹ ესაია 53,7

² ფს. 21,17, 19

³ ფს. 40. 10

⁴ ფს. 62. 22

მოწყალებისათვის

გნებავს, რადთა სხუანიცა სახენი შემოვიხუნეთ, არამედ კმა არიან თქუმულნი ესე, რადთა არა მოწყინე იქმნნეთ სმენად. ამისთვის აღსრულებამ ვყოთ სიტყუსა ჩუენისამ. ხოლო აღსასრული ჭერ-არს, რადთა მადლობითა ვყოთ ღმრთისამთა, და მადლობამ არა სიტყვით ოდენ უყუარს ღმერთსა, არამედ უფრომად საქმით, რამეთუ იტყუს: ვითარმედ: „ბრწყინედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ კეთილნი საქმენი თქუენნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.¹ რამეთუ არარამ არს უბრწყინვალეს კეთილთა საქმეთასა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „გზანი მართალთანი მსგავსად ხათლისა ბრწყინვენ“,² ხოლო ნათობენ არა თავთა თვისთა ოდენ, არამედ სხუათაცა განათლებად. ამისთვის გვედრები, რადთა არა დავაკლოთ ზეთი სანთელთა ჩუენთა, რადთა განძლიერდეს ნათელი მათი, რამეთუ ესე ზეთი მარადის კეთილ არს, რამეთუ იტყუს: „წყალობამ გნებავს და არა მსხუერპლი“.³ რამეთუ მსხუერპლი ქებისამ ესე არს, რომელ არა განიღვების, არცა განიხრწნების, არამედ მარადის ბრწყინავს სადიდებელად ღმრთისა. ამისთვის უკუე გვედრები, საყუარელნო, შევწიროთ ესევითარი ესე მსხუერპლი საკურთხეველთა ამას ზედა, რომელი-ესე უბატონსნეს არს მარხვისა და ლოცვისა და სხუათა მრავალთა სათნოებათამსა, რამეთუ ესევითარი უყუარს მსხუერპლი ღმერთსა, არამედ ნუმცა არს ესე ანგაპრებისაგან ქმნილი, ნუცა მოტაცებულთა საფასეთაგანი, რამეთუ ესევითარი სძულს ღმერთსა და გარემიაქცევს პირსა თვისსა მისგან. ამისთვის ვისწრაფოთ, რადთა არა დატკობის წილ განვარისხოთ იგი. და უკუეთუ კაენ, ვინაფთგან უდარესი შეწირა ღმრთისა, დაისაჯა, რამ ვყოთ ჩუენ, უკუეთუ ანგაპრებისაგან ვიქმოდით წყალობასა?

ამისთვის გვედრები, რადთა არა მოხუეკითა მონაგებთაგან

¹ მათ. 5,16

² იგავ. 4,18

³ ოსე. 6,6. მათ. 9,13

ვიქმოდით ქველის-საქმესა. უკუეთუ ერთი გულოცვიდეს და ერთი გუწყევდეს, რამ სარგებელ არს, გარნა ცუდი შრომა? ხოლო უკუეთუ ვეკრძალებოდით, ყოველსა ზედა ნებისა ღმრთისა აღსრულებად ვისწრაფდეთ, შეუძლოთ მიმთხუევად საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა კჳუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი ლ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: „და სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ მადლი მადლისაგან“ (1,16) **თ ა რ გ მ ა ნ ი:** პირველ იტყვოდეთ, ვითარმედ იოვანეს ენება დაქსნად ძიებაჲ მათი, რომელთა ეგულებოდა ძიებად, თუ ვითარ, რომელ უფალი უკუანაჲს მოვიდა ქადაგებად, და უპირატეს და უბრწყინვალეს მისა იქმნა. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „პირველ ჩემსა იყო“, და ერთი ესე არს მიზეზი, ხოლო თქუა მეორეცა მიზეზი, რომელსა აწ ესე იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „და სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ მადლი მადლისა წილ. რამეთუ შჭკული მოსეს მიერ მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტებაჲ ქრისტეს იესუმს მიერ იყო“ (1,16). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** და თქუას ვინმე უკუე, ვითარმედ: „რამ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყუს, ვითარმედ: სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ მადლი მადლისა წილ?“ და ჩუენ პირველისა მის სიტყუსა მოვიდეთ. რამეთუ ესრეთ იტყუს, ვითარმედ: არა ნიჭთა აქუს მადლი იგი თვისი, არამედ თუთ წყაროჲ არს და თუთ ძირი ყოველთა კეთილთაჲ, თუთ ცხორებაჲ, თუთ ნათელი, თუთ ჭეშმარიტებაჲ და არა თუთ თავსა შანა ოდენ თუსსა შეუწყუდევიჲ კეთილთა სიმრავლე, არამედ სხუათა მიმართცა განჭფენს მას და განაძლებს ყოველთაჲ. და ვინამთგან ყოველნივე აღავსნეს, მერმე იგი სავსებითვე ჰგიეს და არარაჲ მოაკლდების სიმრავლისა მისგან მადლთაჲსა, არამედ მარადის აღმოაცენებს და ყოველთაჲ განაძლებს და იგი ზისრულესაჲ ზედა თუსსა

ჰგიეს, ხოლო რომელი-ესე მაქუს, მოცემული არს, რამეთუ სულისაგან მომღებიეს და მცირედი არს ყოვლისაგან და ვითარცა წუეთი ერთი ზღვსა თანა უფსკრულისა დიდისა, არარა არს და უფრომსად ესეცა სახე უნდო არს საქმისა ამის მიმართ. რამეთუ წუეთი, რომელი გამოილო ზღვსაგან, დადაცათუ მცირედი არს და ულონოჲ, არამედ ზღვსაგანვე დააკლდების, დადაცათუ ვერვინ სცნობს დაკლებასა მისსა, ხოლო ამის წყარომსათს ვერვინ შემძლებელ არს ესევეითარისა რამსმე თქუმაღ. და რამზომცა ვინ აღმოივსოს მისგან, თვსსავე სავსებასა ჰგიეს და არარაჲ დააკლდების ყოლაღვე, ამისთვის ჯერ-არს, რამთა უფრომსად სხვსა იგავისა მიმართ შივიდეთ, დადაცათუ იგიცა უძლურ არს და ვერ შემძლებელ არს საძიებელისა მის გამოცხადებაღ, არამედ პირველისა უმეტესად შემძლებელ არს ძალსა მის საქმისასა ცნობად, უფრომსად ვიდრეღა პირველი იგი, რამეთუ გულისხმა-ვეყოთ წყაროჲ რამ ცეცხლისაჲ, და მერმე გულისხმა-ვეყოთ, ვითარმცა ცეცხლისა მისგან ბევრეულნი სანთელნი აღენტებოდეს და არა ერთი ოდენ ბევრეული, არამედ მრავალნიცა. ნუუკუე არა მასვე სავსებასა ზეღა ჰგიესა ცეცხლი იგი, ვითარ-იგი პირველ იყო? შემდგომად აღნთებისაცა სანთელთამსა საცნაურ არს ყოველთა მიერ, ვითარმედ მასვე სავსებასა ჰგიეს. ხოლო აწ უკუეთუ გუამთა ამათ ზეღა ნივთიერთა და წარმავალთა და მოღებისაგან დაკლებადთა ესევეითარი საქმე იქმნის, რამეთუ შემდგომად მიცემისა სხუათამსა არა ეგნების, არამედ სავსებასავე ზეღა თვსსა ჰგიეს, არა უფრომსად უხრწნელსა მას ზეღა და უჯორცოსა ბუნებასა ზეღა იქმნესა საქმც ესე? რამეთუ საღა-იგი ნივთი არს წინამღებარე და გუამი განხრწნადი და განუყოფელი, და იგი არა განიყოფვის, არა უფრომსად, რაჟამს-იგი ძალისათს იყოს სიტყუაღ და ძალისა შისთვის, რომელი-იგი უნივთოჲსა მისგან არსებისა მოგუეცემის ჩუენ, არარაჲ ყოფად არს ესევეითარი? ამისთვის იოვანე იტყოღა, ვითარმედ: „სავსებისაგან მისისა მოვიდეთ“. ხოლო სიტყუაღ ესე არა წინამორბედისაჲ არს, არამედ მახარებელისაჲ. და ესევეითარი არა სიტყუაღ ესე, ვითარმედ: „ნუ ჰგონებთ, თუ ჩუენ რომელნი-ესე მის თანა ვიყოფოდეთ მრავალუაღ, და თუაღლითა ვიხილეთ და კელითა ვჰმსახურებდით, თუმცა მიმაღ-

ლებით რასმე ვიტყოდით მისა და ამოდმცა ვწამებდით. ნუ იყოფინ! რამეთუ იოვანეცა, რომელსა არღარასადა ეხილვა, პირველ მის ჟამისა არცა ყოფილ იყო მის თანა, არამედ მაშინ. ოდენ ეხილვა, რაჟამს ნათელ-სცემდა და ღალადებდა, რამეთუ პირველ ჩემსა იყო, რამეთუ წყაროჲსა მისგან შიილო ყოველივე იგი და ჩუენთა ათორმეტთა და სამასთა და ხუთასთა და სამ ათასთა და ხუთ ათასთა და მრავალთა მათ ბევრეულთა, რომელნიცა მოიქცენ ჰუროათაგან და წარმართთა და აწცა მოიქცევიან და შემდგომად ამისა ყოფად არიან, ყოველთავე სავსებისაგან მისისა მოვიღებთ. ხოლო რაჲ მოვიღეთ მადლი მადლისა წილ, რომლისა წილ რომელი? ძუელისა წილ ახალი, რამეთუ ვითარცა არს სიმართლევ და სიმართლევ. რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „სიმართლისა მისებრ. შჯულისა იქმნის უბიწო“.¹ და კუალად არს სარწმუნოებაჲ და სარწმუნოებაჲ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „სარწმუნოებითი სარწმუნოებად“.² და არს ძეობაჲ და ძეობაჲ, რამეთუ იტყვს: „რომელთა-იგი არა არს ძეობაჲ და შვილებაჲ“.³ და არს დიდებაჲ და დიდებაჲ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ განქარვებადი იგი დიდებისა მიერ არს, არა უფროჲსად ჰეშმარიტი იგი დიდებული იყოსა?“⁴ და არს შჯული და შჯული, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „შჯულმან მან სულისა ცხორებისამან განმათავისუფლა მე“.⁵ და არს მსახურებაჲ და მსახურებაჲ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „სულითა ღმრთისაჲთა მსახურებდით“. და არს აღთქუმაჲ და აღთქუმაჲ, რამეთუ იტყვს: „და აღვითქუა თქუენ აღთქუმაჲ ახალი, არა ვითარ იგი აღუთქუ მამათა თქუენტა“. და სიწმიდე და სიწმიდე, და ხათლის-ღებაჲ და ნათლის-ღებაჲ, და მსხუერპლი და მსხუერპლი, და ტაძარი და ტაძარი; და წინადაცუეთაჲ და წინადაცუეთაჲ; ეგრეთვე მადლი და მადლი, არამედ იგინი სახენი იყვნეს და აჩრდილნი.

ხოლო ესე ყოველივე ჰეშმარიტება არს, და სახელითა

¹ ფილიპ. 3,6

² რომ. 1,17

³ რომ. 9,4

⁴ 2 კორ. 3,11

⁵ რომ. 3,2

ოდენ, და არა საქმითა ჰგვანან მათ, და სახეთაცა ზედა და აჩრდილთა. და რომელი სპეტაკისა წამლისა მიერ გამოიწეროს, გინა თუ შავისა, კაც ეწოდების ყოველსავე, და კუალად, რომელი-იგი თითოსახითა წამლითა გამოიხატოს, მასცა კაცვე ეწოდების, არამედ ჭეშმარიტი კაცი არს, რომელი შეერთებულ იყოს ზულით და ჯორცით. ეგრეთვე უკუნე ჰგონებთ, თუ მსგავსებისაებრ სახეთაჲსა საქმენიმცა ეგრეთვე იყვნეს, არამედ ნუცა უცხოებასა მოიგონებ სრულიად, რამეთუ უკუნეთუ სახე იყოს, არა უცხო არს ჭეშმარიტებისაგან და, ვინაჲთგან აჩრდილი არს, უღარეს არს ჭეშმარიტებისა. რაჲ არს უკუნე შორის ამათსა? გნებავსა, რაჲთა ერთისა, ანუ ორისა საქმისათჳს ვთქუა ძუელისა მის და ახლისაჲ, თუ რაოდენი განყოფილებაჲ აქუს შორის ურთიერთას, რაჲთა გულისხმა-ჰყოთ, ვითარმედ იგი ყრმათა სწავლანი იყვნეს, ხოლო ესე კაცთა დიდთა და ფილოსოფოსთა, და ესენი, ვითარცა ანგელოზთა, მიეცნეს, ხოლო იგინი, ვითარცა კაცთა. სადაჲთ უკუნე გნებავს, რაჲთა ვყოთ დასაბამი სიტყუსაი? უკუნეთუ გნებავს, ვიწყოთ ძიებისა მისთჳს თქუმად. რაჲ არს უკუნე შორის ამისა და მისა? გულისხმა-ყავთ, ვითარმედ იგი სიტყუთა ოდენ იყო პატივი, ხოლო ესე საქმით. და მისთჳს იტყუს, ვითარმედ: „მე ვთქუ: „ღმერთნი სამე ხართ და შვილნი ძალისანი თქუენ ყოველნი“.¹ ხოლო ამისთჳს იტყუს, ვითარმედ: „ღმერთისაგან იშვნეს“, ვითარ ანუ რომლითა სახითა? საბანელითა მით მეორედ შობილისაჲთა და განახლებითა სულისა წმიდისაჲთა. და ამათ შემდგომად სახელისა მის ძეობისა სულივე მონებისაჲ აქუნდა. და მონებასა რაჲ შინა იყვხეს, პატივ-იცემებოდეს სახელით მით, ხოლო ჩუენ აზნაურ ვიქმნენით და მერმე არა სახელით, არამედ საქმით მოვიღეთ პატივი: და ამას მოასწავებდა პავლე და იტყოდა, ვითარმედ: „არა მოგვლებიეს სული მონებისაჲ კუალად შიშად, არამედ მოგვლებიეს სული შვილებისაჲ, რომლითა უღალადებთ: „აბბა, ძამაო“.² რამეთუ ვიშვენით ზეცით და დავემკვდრენით მას შინა. და ესრეთ შვილ ვიწოდენით და კუალად უკუნეთუ სიწ-

¹ ფს. 81,6

² რომ. 8,15

შიდისა მას სახესა გამოვეძიებდეთ, თუ რამ არს ესე, ანუ რამ არს იგი, ფრიალი კპოვო აქაცა განყოფილებაჲ. რამეთუ იგინი ჭაუამს არა კმსახურებდიან კერპთა და არა ისიძვილიან და არცა იმრუშებდიან, მაშინ ეწოდებინ წმიდა და პირველად მოსლ-ვითა სულისა წმიდისაჲთა მივემთხუევით ნიჰსა ამას და მერმე ქოქალაქობითა ფრიად უზეშთაესითა ჰურიათაჲსჲ. ისმინე, რასა იტყვს წერილი მათთვის, ვითარმედ: „არა შეშინდეთ, არცა წმიდა-ჰყვნეთ შვილნი თქუენნი, რამეთუ ერი წმიდაჲ ხართ.“¹ და საცნაურ არს, ვითარმედ მათი სიწმიდე იყო არა შეხებაჲ კერპთაჲ ოდენ, ხოლო ჩუენი სიწმიდე არა ესრეთ არს. რამეთუ იტყვს წერილი მისთვის: „რამთა წმიდა იყოს სულით და კორცით.“² და კუალად იტყვს, ვითარმედ: „მშვდობასა ეძიებდით და კეთილსა და სიწმიდესა იქმოდეთ თქუენ შიშითა ღმერთისაჲთა, ვითარმედ თვნიერ მისა ვერვინ იხილოს უფალი“;³ და კუალად იტყვს, ვითარმედ: „სიწმიდესა იქმოდეთ თქუენ შიშითა ღმერთისაჲთა.“⁴ ჰხედავა, რამეთუ ესე არს სიწმიდე, რამთა შინაგან ჩუენსა აქუნდეს ძირი და წყაროჲ მისი? რამეთუ არა კმა არს სახელი ოდენ სიწმიდისაჲ, უკუეთუ საქმე მისი არა იყოს, რამეთუ სახელი ესე სიწმიდისაჲ არა ყოველთავე, რომელთა ეწოდებოდის, ერთობასა გამოაჩინებს, ვინაჲთგან ღმერთსაცა წმიდა ეწოდების, არამედ არა ესრეთ არს, ვითარ ჩუენ. ამისთვისცა იესჲმ რამ კჲმად ესე სერაბინთა ძიერჲ წინაჲსწარმეტყუელსა, ისმინე, რამ თქუა: „ჰ უბადრუკსა, რამეთუ კაცი ვარ და არაწმიდანი ბაგენი მასხენ, და შორის ერისა, რომელსა არაწმიდანი ბაგენი ასხენ, დამკვდრებულ ვარ“,⁵ რომელი-იგი წმიდა იყო და დიდ, არამედ, უკუეთუ სიწმიდისა მიმართ ზეცათაჲსა გამოვიძიოთ, არაწმიდა ვიპოვნეთ ჩუენ. რამეთუ წმიდა არიან ანგელოზნი და წმიდა არიან მთავარანგელოზნი და წმიდა არიან ქერობინნი და სერაბინნი,

¹ დან. 18,10

² 1 კორ. 7,34

³ ებრ. 12,14

⁴ 2 კორ. 7,1

⁵ ესაია 6,5

არამედ სიწმიდისა მათისა განყოფილებაჲ არს ჩუენისა მო-
ძარტ სიწმიდისა და კუალად უზეშთაესისა მის შესაძლებელ
იყო, რაჲთამცა სხუათაჲ საქმითა გამოძიებად ვიწყეთ, არამედ,
რაჲთა არა განგრძელდეს სიტყუაჲ ჩემი, ამისთვის თქუენ
დაგიტეო მრავალი იგი, რაჲთა თავით თქუენით გამოეძიებ-
დეთ განყოფილებასა სხუათა მათ საქმეთასა, რამეთუ იტყუს,
ვითარმედ: „მიზეზ-ეც ბრძენსა და უბრძენს იყოს.“¹ მე მიცე-
მიეს მიზეზი, ხოლო თქუენ ყავთ აღსასრული კეთილისაჲ,
და ჩუენდა კეთილ არს, რაჲთა ნაკლულეგანსა მას ზედა მი-
ივდეთ; რამეთუ თქუა. რაჲ მახარებელმან, ვითარმედ: „სავ-
სებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიდეთ“, მეყსეულად შეს-
ძინა, ვითარმედ: „და მადლი მადლისა წილ“, რამეთუ მად-
ლითა ცხოვნდებოდეს ჰურიანი, ფითარცა წერილ არს, ვი-
თარმედ: „არა სიმართლისაგან თქუენისა, არამედ მამათა
თქუენთათვის გამოგირჩიენ თქუენ“. და რომელთა-იგი
თვისითა სათნობითა არა აქუნდა შეწევნაჲ, მათ მადლითა
ღმრთისაჲთა მიეცა პატივი. და ჩუენცა ყოველნი მადლითა
ვცხოვნდით, არამედ არა მსგავსად მათდა, რამეთუ ფრიად
უზეშთაესნი და უმადლესნი საქმენი მოგუეცნეს, რამეთუ არა
თუ ოდენ ცოდვათა შენდობაჲ მოგუეცა, ვინაჲთგან ესე მათ-
ცა მიეცა, არამედ მოგუეცა ჩუენ სიწმიდეცა და სიმართლე და
შვილებაჲ და მადლი სულისა წმიდისაჲ, ფრიად უზეშთაესი
მადლი მოგუეცა სულისა მიერ წმიდისა, ესე იგი არს, კადნი-
ერებაჲ, რომელი მოგუეცა ჩუენ დაგებითა ღმრთისაჲთა. და
ამის მადლისა მიერ ვიქმნენით სასურველ ღმრთისაჲცა, არღა-
რა ვითარცა მონანი, არამედ ვითარცა ძენი და მეგობარნი,
რამეთუ ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „მადლი მადლისა წილ“. არამედ იგიცა საქმენი შჯულისანი მადლითა მონიჭებულ
არიან ჩუენდა და არაარსისაგან არსად მოყვანებაჲ, და არა
თუ კეთილი რაჲმე პირველ გუექმნა და სასყიდლად მისა მო-
გუეცა ჩუენ საქმე ესე, რომელნი არსადა ვიყვენით, ვითარმცა
არა გუექმნა კეთილი, არამედ ყოველივე სახიერებითა ღმრთი-
საჲთა მოგუეცა ჩუენ, და არა ოდენ არაარსისაგან არსად
მოსლვაჲ, არამედ ესეცა, რომელ ვიშვენით რაჲ, მეყსეულად

¹ იგავნი. 9,9

ვისწავეთ, თუ რამსა ჯერ-არს ქმნა, ანუ რამსა არა ჯერ-არს. და შჯული საქმეთა მათ გონებასა ჩუენსა დაენერგა და სკნინდისისა იგი სამშჯავროდ დააწესა ჩუენ შორის შემოქმედმან, და ესე მადლისა დიდისა საქნე არს. და კუალად შემდგომად ამის მადლისა იხილე სხუამ მადლი, რამეთუ ვინაფთგან შჯული იგი ბუნებითი განვხრწნით, და მერმე მოგუეცა სხუამ შჯული დაწერილი. და შემდგომად ამის ყოვლსა განგუაახლნა ჩუენ მეორითა მით შჯულითა განახლებისადთა. რამეთუ პირველიცა იგი წყალობისა იყო და მადლისა. ისძინე, რასა იტყვს დავით: „ყვენეს წყალობანი უფალმან და სამართალნი მისნი ყოველთათს დაწუნებულთა. უჩუენნა გზანი მისნი მოსეს და ძეთა ისრაჴლისათა — მცნებანი ღმრთისანი“.¹ და კუალად იტყვს: „ტკბილ და წრფელ არს უფალი. ამისთს შჯულიერ-ყვნის ცოდვილნი გზასა წყალობისა“.² უკუე და შეწყნარებისა და მადლისა საქმე იყო მოცემად შჯულისა ამისთს იტყვს: „მადლი მადლისა წილ“. რამთამცა გამოაჩინა დიდებულებამ იგი უკუანამსკნელთა მათ საქმეთამ. ამისთსცა შესძინებს და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამეთუ შჯული მოსესგან მოგუეცა, ხოლო მადლი და ქეშმარიტებამ ქრისტეს იესუმს მიერ იყო“ (1,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილეთ, ვითარ მცირედ-მცირედ ნათლისმცემელიცა იოვანე და მახარებელიცა უმაღლესისა გულისხმის-ყოფისა მიმართ აღიყვანებენ გონებასა - მსმენელთასა, ვინაფთგან პირველ მდაბალთა მიერ სიტყუათა გონებანი მათნი დააწყნარნეს, რამეთუ მან თავისა თვისისა უზეშთაესად გამოაჩინა, და შეუმსგავსებლად უზეშთაესი იგი, და ქადაგა და თქუა, ვითარმედ: „უძლიერესი ჩემსა“, და: „რომელი პირველ ჩემსა იყო“. ხოლო ამან უზეშთაეს მისა ქმნა, ხოლო ღირსებისა მის მხოლოდშობილისა უღარეს, რამეთუ არა იოვანეს მიმართ ქმნა შემსგავსებამ, არამედ მისა მიმართ, რომელი ჰურიათა უდიდებულესად აქუნდა, რომელ არს მოსე, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „შჯული მოსესგან მოეცა, ხოლო მადლი და ქეშმარიტებამ იესუ ქრისტეს მიერ იქმნა“. და

¹ ფს. 102,6-7

² ფს. 124,8

იხილე სიბრძნე მისი, რამეთუ არა პირთაჲ ქმნა განყოფილებად, არამედ საქმეთაჲ, რაჲთა, რაჲჟამს საქმენი გამოჩნდენ ფრიად უმაღლესად, მაშინ ყოველთაჲვე გულისხმა-ყონ, ვითარმედ ფრიად უზეშთაჲს არს ქრისტე მოსესა, რამეთუ, რაჲჟამს საქმენი წამებდენ, რომელთა შინა მიზეზი არარაჲ იყოს, ვითარმედ მეგობრებითა, ანუ მტერობითა რასმე ვინ იტყვს, მაშინ უეჭუელ იქმნების უგულისხმოთაცა მიერცა ჭეშმარიტებაჲ საქმეთაჲ. ამისათჳს უეჭუელ არს ამათი წამებაჲ.

ხოლო იხილე, ვითარ სიბრძნით იქმს განყოფილებასა მას, რამეთუ არა სიტყუთ გამოაჩინებს სიდიდესა მას, არამედ საქმეთა ჭეშმარიტებითა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტებაჲ დადვა მჭულისა წილ და მოცემისა წილ დადვა ქმნაჲ. ხოლო ფრიადი არს განყოფილებაჲ ამათი, რამეთუ მოცემაჲ მსახურისაჲ არს, რომელსა სხვსაგან მოელოს.

ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „იქმნა მადლი და ჭეშმარიტებაჲ“, საქმე არს მეუფისაჲ, რომელი ჳელმწიფებით მიუტევებს ცოდვათა და გამოაჩინებს ნიჳსა მისსა. ამისთჳსცა იტყოდა, ვითარმედ: „მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენი“.¹ და კუალად იტყვს: „რაჲთა უწყოდით, ვითარმედ ჳელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა. და ჰრქუა განრლუეულსა მას: „აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე!“² ხედავა, ვითარ იქმნებოს მადლი მის მიერ? ხოლო გულისხმა-ყავ ჭეშმარიტებაჲცა, რამეთუ მადლსა ესეცა საქმე და საქმეცა იგი ავაზაკისაჲ გამოაჩინებს მას და ნიჳიცა იგი ნათლის-ლებისაჲ და მადლი იგი სულისაჲ მის მიერ მონიჳებული და სხუანი მრავალნი. ხოლო ჭეშმარიტებაჲ კუალად გულისხმა-ვეყოთ, უკუეთუ სახენი მისნი ვიხილნეთ, რამეთუ რომელნი-იგი აღსრულებად იყვნეს ახალსა ამას შინა მჭულსა, პირველვე გამოსახნეს სახეთა მათ ძუელისათა და, მოვიდა რაჲ, ქრისტემან აღასრულნა იგინი საქმით. ხოლო უკუეთუ გნებაჲს, ვიხილნეთ სახენიცა იგი მცირედ რაჲმე, რამეთუ არცა შესაძლებელ არს ყოველთაჲვე ერთბაჲმად თქუამად, არამედ მცირედისაგან გულისხმა-ვეყოთ ყოველივე. და

¹ მარკ. 2,9

² მარკ. 10,11

უკუეთუ გნებავს, ვთქუათ ვნებისათჳს. და იხილე უკუე, რასა იტყუს სახე იგი, ვითარმედ: „მიიღეთ კრავი იგი და დაკალთ!“ და ქმნესცა ყოველი იგი, რაოდენიცა ჰრქუა მათ.¹ ხოლო ქრისტემან არა ესრეთ ბრძანა ქმნად, არამედ თავადი იგი იქმნა მსხუერპლ და შეწირა თავი თჳსი მამისა.

ჰხედავა, ვითარ სახე იგი იქმნა მოსეს მიერ? ხოლო ქეშმარიტებაჲ მოგუეცა ქრისტეს იესუმს მიერ. კუალად მთასა ზედა სინასა ბრძოლასა მას ამალეკისასა, რადთამცა ერი ისრაჳლისა განძლიერდებოდა, ამისთჳს განიპყრნა მოსე კელნი და იტურთვიდეს მას იმიერ და ამიერ მდგომარენი აპრონ და ორ.

ხოლო ქრისტე მო-რად-ვიდა, თჳთ განიპყრნა კელნი ჭუარსა ზედა. ხედავა, ვითარ სახე-იგი გამოჩნდებოდა, ხოლო ქეშმარიტებაჲ აღესრულა?

კუალად შჯული იტყოდა: „წყეულ იყავნ ყოველი, რომელი არა დაადგრეს წერილსა ზედა ამის წიგნისასა“,² ხოლო ქრისტე რასა იტყუს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტურთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ?“³ და იქმნა იგი ჩუენთჳს წყევასა ქუეშე.

ს წ ა ვ ლ ა მ ი ღ

**სათნოდ ცხორებისათჳს განყოფაჲ მადლთაჲ მათ,
მოცემულთა ჩუენდა და ჰურიათადა**

ვინათგან უკუე ესოდენნი მადლნი მოცემულ არიან ჩუენდა და ქეშმარიტებაჲ, გვედრები, ძმანო, ნუმცა ვიქმნებით სიდიდისათჳს ნიჳისა მის დაქსნილ, რამეთუ რაოდენ უმეტესი პატივი მოგუეცა, ეგოდენცა უმეტესისა სათნოებისა თანამდებ ვართ, რამეთუ რომელსა მცირედი ქველის-საქმე მიელოს, დადაცათუ მცირედი ქველისმოქმედებაჲ აჩუენოს, არა

¹ გამოსლუ. 12,3

² 11 სჯულ. 27,26

³ მათ. 11,26

ღირს არს ფრიადისა ბრალობისა. ხოლო რომელი თავსა პატივისასა აღვიდეს და მერმე უნდოდ და დაცხნილი ცხორებამ აქუნდეს, ფრიადსა საშჯელსა ღირს არს. არამედ ნუ იყოფინ თქუენ ზედა ესევითარი რამე! რამეთუ ვესავ უფალსა, ვითარმედ ზეცად აღგიყვანებიან სულნი თქუენნი და ქუეყანისაგან შორს ქმნულ ხართ; დაღაცათუ სოფელსა შინა ხართ, არამედ არა იქმთ საქმეთა სოფლისათა, გარნა ჩუენ ამასცა ზედა არავე დავსცხრებით ვედრებად თქუენდა, რამეთუ ბრძოლათა შინა არა დაცემულთა და ლტოლვილთა. არამედ რომელნი ბრძოლასა შინა მოსწრაფე იყვნენ და მიმორბოდიან, მათ განამკნობენ ყოველნივე და აწუევენ კუალად ბრძოლად, რამეთუ მუნ დაცემულთა მათ და ლტოლვილთაჲ სასოებამ განძლიერებისამ არა ფრიად არს, ხოლო აქა არა თუ. როძელნი-ეგე კეთილად ხართ, არამედ რომელნი დაცემულ იყვნენ, უკუეთუ ენებოს მათ, არს მათთვისცა სასოებამ კეთილისამ. ამისთვის ყოვლით კერძო ვისწრაფოთ ვედრებითა, ყუედრებითა, სწავლითა, ქებითა, რამთამცა ყოვლით კერძო ცხორებამ თქუენი მოვივაჭრეთ და არარას დაუტეობთ, რომელი ჩუენ მიერ შესაძლებელ არს. და ამისთვის ნუ მოვიწყინებთ სწავლათა ამათ, რამეთუ დაღაცათუ უწყით მოსწრაფებამ თქუენი, არავე უკმარ არს სწავლამ, რამთა უმეტესად განეკრძალნეთ, რამეთუ არა თქუენდა მომართ ოდენ თქუმულ არიან სწავლანი ესე, არამედ ჩუენდა მომართცა, რომელნი გასწავებთ, ესევე სწავლანი თქუმულ არიან და ითქუმიან, რამეთუ ჩუენცა გვკმს სწავლამ და ნუგეშინის-ცემამ. დაღაცათუ ჩუენ მიერ ითქუმიან სიტყუანი ესე, არამედ არამდე დამაყენებელ არს ჩუენდა მომართცა ყოფად სიტყუათა ამათ, რამეთუ სიტყუამ სწავლისამ თანამდებთა ცოდვისათა განძმართებს და მოაქცევს და არღა შთავრდომილთა განაკრძალებს. რამეთუ არცა ჩუენ ვართ წმიდა ცოდვათაგან, არამედ კურნებამ ესე ყოველთამ ზოგად არს და წამალნი ყოველთა წინაგვსხენ, ხოლო განმართლებამ არა ყოველთამ ზოგად არს, არამედ გონებისაებრ მიმღებელთამსა. რამეთუ რომელმან კეთილად ინებოს ჯმარებამ წამალთა მათ ზულიერთამ, განიკურნენ მისნი წყლულებანი, ხოლო რომელმან არა მიიღოს წამალი იგი ზულიერი, ეგოს წყლულებამ მისი უკუარ-

ნებელად და უძრავსა საშჯელსა მიეცეს. ნუმცა უკუე აწუხარე ვიქმნებით კურნებასა სედა წყლულებათა ჩუენთასა, ნუცადამცა გუელმის, დაღაცათუ სასასა ჩუენსა მწარედ ჩნდეს წამალი იგი სწავლისამ, არამედ გუხაროდენ, რამეთუ უკუანაძსკნელ ფრად ტკბლი ნაყოფი მოგუეცეს ჩუენ ყოვლით კერძო. უკუეთუ ვისწრაფოთ, რამთა ოდენ წმიდანი წყლულებათა მათგან, რომელნი ცოდვისა კბილთა მოუწევიან ჩუენ ზედა, მივიდეთ სასუფეველსა მას საუკუნესა, რამთა ღირს ვიქმნეთ პირსა უფლისასა ხილვად და არა მივეცნეთ ძტანჯველთა მათ უწყალოთა „ვიხილე უფალი მჯდომარე საყდართა ზედა მალალთა“.¹ და იოვანე ეწამების მას და იტყუს. „ესაია თქუა, იხილა რამ დიდებამ მისი“ და იტყოდა მისთვის. ანუ ეზეკიელისათუს რამ ვთქუათ? რამეთუ მანცა ქერობინთა ზედა მჯდომარე იხილა? ანუ დანაელისათუს რამ გულისხმავყოთ, რომელი იტყუს, ვითარმედ: „ძუელი დღეთამ მჯდომარე იყო?“² და კუალად მოსესთვის რამ მოვიგონოთ, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „მიჩუენე დიდებამ შენი?“³ ხოლო იაკობ წოდებამცა სახელისამ ამისგან მიილო, რამეთუ ისრაჲლ ეწოდა, რომელ არს „მხილველი ღმრთისამ“ და სხუათაცა მრავალთა იხილეს იგი, ვითარ უკუე იოვანე იტყუს, ვითარმედ: „ღმერთი არა ვინ სადა იხილა“, არამედ ამას მოასწავებს. ვითარმედ იგი ყოველნივე განგებულებით ქმნილ იყვნეს და არა თუ ბუნებითი არსებამ მისი უხილავს ვის, არამედ თითოსახენი ხილვანი იყვნეს განგებულებითნი.

რამეთუ უკუეთუმცა ბუნებამ ღმრთეებისამ ეხილვა მათ, არამცა თვთოეულსა სხუად-სხუად სახედ ეწოდა, რამეთუ იგი ბუნებამ მარტივი არს, გამოუსახველი და შეურევენელი და შემოუწერელი, და არა ზის, არცა დგას, არცა ვალს. და რამეთუ ესე ყოველი გუამთა მათ ნივთიერთამ არს, ხოლო იგი ვითარმე არს, ვითარცა მან მხოლომან უწყის. და ამას მოასწავებს წინაძსწარმეტყუელისა მის მიერ, რომელი იტყუს, ვითარმედ: „მე ჩუენებანი განვამრავლენ და კელთა შინა წინაძსწარმეტყუელთამსა მსგავსებამ მოვილე“,⁴ ესე იგი არს,

¹ ესაია 6,1

² დან. 7,9

³ გამოსლვ. 33,13

ვითარმედ „განგებულებით სხუად და სხუად გეჩუენე და არა თუ ვითარცა ვარ, ეგრეთვე განვეცხადე“. რამეთუ ვინამთ-გან ეგულებოდა მხოლოდშობილსა ძესა მისსა ჭეშმარიტითა ჯორცითა გამოჩინებად, ამისთვის ღირს-ყვნა წინამსწარმეტყუელნი ხილვად მისა თვთოეული, ვითარცა შემძლებელ იყო, თუ არა, ვითარცა არს ღმერთი, არა თუ წინამსწარმეტყუელთა, არამედ არცა თუ ანგელოზთა და მთავარანგელოზთა უხილავს, არამედ უკუეთუ ჰკითხო მათ ბუნებისა მისისათვის, არაჲად გესმეს მისთვის, გარნა ესე, ვითარმედ: „დიდებაჲ მალალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშუდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ“.¹

და უკუეთუ ქერობინთაგან, ანუ სერაბინთა ინებო ცნობად კუალად წმიდა არსისა იგი საიდუმლოჲ, გესმეს, ვითარმედ: „სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა“,² და უკუეთუ უზეშთაესთარე ძალთა ჰკითხო, ყოველთა მიერ ქებაჲ ოდენ გესმეს მისი, რამეთუ იგი არს საქმე მათი. ხოლო ხილვად მისა ვერ ძალ-უც, გარნა ძმ და სული წმიდაჲ ჰხედვენ მას, რამეთუ ყოველმანვე ბუნებამან დაბადებულთამან ვერ უძლოს ხილვად დაუბადებელისა მის, რამეთუ უკუეთუ უჯორციოთა ბუნებასა, რომელნი დაბადებულნივე არიან, ვერ შემძლებელ ვართ ხილვად განცხადებულად, და ესე მრავალგზის გამოჩინებულ არს ანგელოზთა მიერ, მაშა, უჯორციო იგი დაუბადებელი ბუნებაჲ ვითარმცა ვინ იხილა? ამისთვისცა პავლე იტყუს, ვითარმედ: „რომელი არავინ იხილა, ვერცა ხილვად შემძლებელ არს“.³ გარნა რასა იტყუთ, ნუუკუე მამასა ოდენ აქუსა ესე და ძესა არა? ისმინე მისივე პავლესი, ვითარმედ: „ხატი არს უხილავისა ღმრთისაჲ“.⁴ ხობო უხილავისა ხატი უხილავივე არს, თუ არა, ვითარ იყოს ჭეშმარიტად ხატი მისა, ამისთვისცა იტყუს, ვითარმედ: „რომელი-იგი გამოჩნდა ჯორცითა“,⁵ რამეთუ გამოჩინებაჲ იგი ჯორცითაჲ

¹ ლუკ. 2,14

² ესაია 6,3

³ 1 ტიმ. 6,16

⁴ კოლ. 1,15

⁵ 1 ტიმ. 3,16

იყო და არა ბუნებისა მის ღმრთეებისაჲ. და რამეთუ სცნა, ვითარმედ არა კაცთა მიერ ოდენ უხილავ არს, არამედ ანგელოზთა მიერცა, ამისთვის დიდმან პავლე თქუა რაჲ, ვითარმედ: „ღმერთი გამოჩნდა კორცითა“, და მეყსეულად შესძინა, ვითარმედ: „ეჩუენა ანგელოზთა“ ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ ანგელოზთაცა მაშინ ეჩუენა, რაჲამს კორცნი შეიძოსნა. ხოლო ამისა პირველ ვერ ჰხედვიდეს მას, რამეთუ მათდაცა უხილავ იყო ბუნებაჲ იგი. უკუეთუ კულა იტყოდის ვინმე: „და ვითარ იტყუს უფალი: „ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ერფსაცა ამათ მცირეთაგანსა. გეტყვ თქუენ, ვითარმედ: ანგელოზნი მათნი მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“. ¹ არამედ რაჲ არს სიტყუაჲ ესე: პირი აღგსა ღმერთსა და ცათა შინა შემოწერილ არსა? გარნა ვინმცა იყო ესრეთ განცოფებულ, რომელმანცა ესე მოიგონა? გარნა რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ვითარცა-იგი, რომელი იტყუს, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“, ² გონებითსა მას ხილვასა იტყუს, რომელი შესაძლებელ არს ჩუენ მიერ, და გულისხმის-ყოფასა მას ღმრთისასა? ეგრეთვე უკუე ანგელოზთათვის გულისხმა-ჰყოფთ, ვითარმედ სიწმიდისათვის და მღუძარებისა ბუნებათა მათთაჲსა მარადის ჰხედვენ ბუნებითა ღმერთსა ძალისებრ მათისა და, არა თუ ვითარცა არს ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ, ეგრეთ იხილვენ. ამისთვისცა ქრისტე იტყუს, ვითარმედ: „არავინ უწყის მამაჲ, გარნა ძემან“. ³ რაჲ არს უკუე, ყოველნი უმეტარ მისა ვართა? ნუ იყოფინ! არამედ ესრეთ არავინ იციან იგი, ვითარ ძემან, რამეთუ ვითარცა იხილეს იგი მრავალთა ძალისებრ მათისა, ხოლო არსებაჲ იგი ბუნებისა ღმრთისაჲ არავინ უხილავს, ეგრეთვე ვიცით მრავალთა ღმერთი, ხოლო არსებაჲ მოსი, თუ რაჲ არს, არავინ უწყის, გარნა მხოლომან, რომელი იშვა მისგან. რამეთუ ცნობად აქა ჰქეშმარიტსა ხლვასა და მეცნიერებასა იტყუს, ვითარ-იგი აქუს მამასა ძისათვის, რამეთუ იტყუს: „ვითარცა მიცის მე მამამან, მეცა

¹ შლრ. მათ. 18,10

² მათ. 5,8

³ მათ. 11,27

ვიცი მამაა“.¹ ამისთვისცა იხილე, მახარებელი ვითარითა ძალი-
თა იტყვს. რამეთუ თქუა რამ, ვითარმედ: „ღმერთი არსადა
ვინ იხილა“, არა თქუა, თუ ძემან იხილა და მან გამოთქუა,
არამედ რომელი არს წიალთა მამისათა, მან გამოთქუაო. რა-
მეთუ ხილვისა წიალთა შინა ჯდომამ ფრიად უზეშთაეს არს,
რამეთუ რომელი კიდეთა ჰხედვიდეს, თუმცა ყოველსავე გუ-
ლისნმა-ჰყოფდა, რამთ შეუძლებელ არს? ხოლო რომელი წი-
ალთა შინა იყოს, ყოველივე უწყის მან კეთილად. და რამთა
არა სთქუა, ვითარმედ: „დალაკათუ ყოველთასა უმეტესად
უწყის, არამედ ვითარ არს ესრეთ, არა იცის“ ამისთვის თქუა
მახარებელმან, ვითარმედ: „წიალთა შინა მჯდომარე არს“, და
თავადმან ქრისტე თქუა, ვითარმედ: „ვითარცა მიცის მე მამა-
მან, მეცა ვიცი იგი“.

ჰკითხე უკუე წინააღმდეგომსა მას, ვითარმედ: „იცის მა-
მამან ძე?“ და უკუეთუ სრულიად არა განცოფებულ იყოს
იგი, თქუას მან, ვითარმედ: „იცის იგი კეთილად და ვითარცა
არს“. და მერმე ამის სიტყუსაგან დაუმტკიცე მას, ვითარმედ
ძემანცა სამე კეთილად უწყის იგი და ესრეთ ვითარცა არსო,
რამეთუ მან თავადმან თქუა: „ვითარცა მიცის მე მამამან,
ძეცა ვიცი მამაა“, და კუალად იტყვს, ვითარმედ: „ღმერთი
არავინ იხილა, გარნა რომელი-იგი არს ღმრთისაგან“. და
ამისთვის, ვითარცა ვთქუ, მახარებელიცა წიალთა აჯსენებს და
ყოველსავე ამით ერთითა სიტყუთა გამოაჩინებს, ვითარმედ
ფრიადი არს თვისებისა მის მხოლოდშობილებად და ვითარმედ
უცვალებელ არს მეცნიერებად მამისა და ძისაჲ. და სწორ
არს კელმწიფებად მათი, რამეთუ უკუეთუმცა არა ესრეთ იყო,
ამცა იყო იგი წიალთა შინა მისთა, რომელ-ესე საქმე არს
ძისა საყუარელისაჲ და თანასწორისაჲ. და ესრეთ საცნაურ
არს, ვითარმედ იცის იგი სრულებით, და სწორი არს მისი და
თანამზრახველი. გნებავსა, რამთა დაუსაბამოებამცა და და-
უსრულებელობამ გულისნმა-ჰყო? ისმინე, იტყვს მოსე
მამისათვის, რამეთუ ჰკითხა რამ, ვითარმედ: „უკუეთუ მკით-
ხონ ებრაელთა, თუ: „ვინ მოგავლინა? რამ მიუგო?“ ჰრქუა
მას ღმერთმან: „თქუ, რომელი-იგი არს, მან მომავლინა

¹ იოან. 10,15; იოან. 6,46

ძე...¹ ხოლო .თუ რაჲ არს ესე სიტყუჲჲ, სამარადისოჲსა მის ყოფისა მომასწავებელ არს, დაუსაბამოდ ყოფისა და ჳეშმა-რიტად ყოფისა და ამასვე მოასწავებს პირველითგან ყოფაჲ, იგი, რამეთუ სამარადისოჲსა ყოფისა მომასწავებელი არს. და ამასვე სიტყუჲსა აჳა იჳმარებს იოჲნე, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ დაუსაბამოდ და დაუსრულებელად წიადთა შინა მამისათა არს ძე, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: რაჲთა არა ჳგონებდე უძღურებისათჲს შენისა, თუ ერთი ვინმე არს იგი მადლითა შვილ ღმრთისა ჳმნულთაგანი, ამისთვის ისმინე ყოველთაგან განყოფილი ესე სახელი მხოლოდშობილობისაჲ. უკუეთუ კულა ამასცა ჴედა უგულისხმოვე ხარ, მოვილო შო-რის კაცობრივიცა სიტყუჲჲ თქუჲმად ღმრთისათჲს, ვითარ-იგი არს წიადთა შინა მამისათა, რაჲთა ოდენ განგათავისუფლო უგულისხმოებისაგან და მდაბალთა საქმეთა მოგონებისა. იხილეა კაცთმოყუარებაჲ და სახიერებაჲ მეუფისაჲ, რამეთუ უაღრესთა სახელთა დაიდებს თავსა ჴედა თჲსსა, რაჲთა ოდენ შენ აღიხილნე თუალნი და მადლით გულისხმის-ყოფაჲ მძილო, და შენ ჳერეთ ქუედადრეკილ ხარ? მითხარდა, რაჲსათჲს ჳსენებულ არს ამას ადგილსა წიადთა ჴრჳელი ესე და ჳორციელი სახელი, რაჲთამცა ჳორციელად გულისხმა-ვეყავთა ღმერთი? ნუ იყოფინ! ესე რაჲსათჲს უკუე თქუჲმულ არს? რაჲთამცა-რაჲ გულისხმა-ვეყავთ. არა ნაცნაურ არსა, ვითარმედ სხჲსა არარაჲსათჲს, არამედ რაჲთამცა სწორებაჲ იგი და დაუსაბამოობაჲ ძისაჲ. მამისა თანა გულისხმა-ყავთ. მან გამოთქუაო. რაჲ გამოთქუა? გარნა ესე, ვითარმედ: „ღმერ-თი არასადა ვინ იხილა?“ და ვითარმედ: „ერთარს ღმერთი“. არამედ ესე სხუათაცა წინამსწარმეტყუელთა თქუეს და მოსე დადადებს, ვითარმედ: „უფალი ღმერთი შენი უფალი, ერთ არს“,² და ესაია იტყჲს: „პირველ ჩემსა არა ყოფილ არს ღმერთი და შემდგომად ჩემსა არა არს“.³ რაჲ უკუე ვისწა-ვეთ უმეტესი ძისაგან, რომელი-იგი არს წიადთა შინა მა-მისათა? პირველად უკუეთუ თჲთ ესე სიტყუანი მისითავე

¹ გამოსლვ. 3,14

² II სჯულ. 6,4

³ ესაია 43,10

ძალითა თქუმულ არიან, და კუალად ფრიად უმჯობესი და უზეშთაესი მოვილეთ მის მიერ სწავლაჲ; ერთად, ვითარმედ სულ არს ღმერთი და თაყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ქეშმარიტებითა უკმს თაყუანის-ცემა¹ და ვითარმედ, ხილვად ღმრთისაჲ შეუძლებელ არს და არავინ იცის იგი, გარნა ძემან; და ვითარმედ: „მაჲჲ არს ძისა მხოლოდშობილისაჲ“, და სხუად რაოდენი მისთვის თქუა. ხოლო გამოთქუჲჲჲ ცხადსა და ძლიერსა საქმესა მოასწავებს, რომელი-იგი არა თუ ჰურიათა ოდენ მიმართ, არამედ ყოვლისა სოფლისა შიშართ ქმნა და წარჰმართა. რამეთუ წინაჲსწარმეტყუელთასა არცა ჰურიანი ისმენდეს ყოველნივე, ხოლო მხოლოდშობილის ძისა ღმრთისაჲ ყოველმან ზოფელმან ისმინა და ჰრწმენა. გამოთქუჲჲჲ უკუე ამას ადგილსა განცხადებულსა მას და მტკიცესა სწავლასა მოასწავებს. ამისთვისცა „ს ი ტ ყ უ ა“ ეწოდების მას და „დი დ ის ა ზ რ ა ხ ვ ის ა ა ნ გ ე ლ ო ზ“. ვინაჲთგან უკუე ესოდენი პატივი მოგვლებიეს და უსრულესი სწავლაჲ, რამეთუ არა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ, არამედ თავადისა მიერ ძისა გუეზრახა ჩუენ ღმერთი. ამისთვის თანაგუაჲ, რაჲთა ფრიად უზეშთაესი და ღირსი პატივისა მის მოქალაქობაჲ ვაჩუენოთ, რამეთუ ბოროტ არს, უკუეთუ იგი თავადი ესოდენ დამდაბლდა, რომელ არღარა მონათა მიერ, არამედ თავისა მიერ თვისისა გუეტყოდა ჩუენ, ხოლო ჩუენ არღარაჲ ვაჩუენოთ პირველისა მის უმაღლესი ცხორებაჲ? რამეთუ პირველთა მათ მოსე აქუნდა მოძღურად, ხოლო ჩუენ — მეუფჲ იგი მოსესი.

ს წ ა ვ ლ ა ჲ ი ე

ს ი ე უ ა რ უ ლ ი ს ა თ ვ ს. გუაკურთხენ, უფალო

ღირსი უკუე ესევეითარისა მის პატივისაჲ მოქალაქობაჲ ვაჩუენოთ და ნუმცა რაჲ გუაქუს ზიარებაჲ ქუეყანისათანა, რამეთუ ამისთვის ზეციით მოგუართუა ჩუენ სწავლაჲ მოქალა-

¹ იოან. 4,23

ქობისაჲ, რაჲთა მოძღუროსა მის სწავლასა შეუდგეთ ძალო-საებრ ჩუენისა, ხოლო მსგავსებაჲ ამისი ესრეთ იქმნების, რაჲთა არა თვსთა თავთასა ვეძიებდეთ ყოლადვე, არამედ მო-ყუასთასაცა, ვითარცა-იგი ქრისტემან ქმნა. და რაჲმს კაცი არა თვსსა ეძიებდეს, არამედ მოყუსისასა, მაშინ ეძიებს თვსსა, რამეთუ მოყუსისაჲ ყოველივე ჩუენი არს, ვინაჲთგან ერთ გუჲმ ვართ და ურთიერთას ასოებ, ნუმცა უკუე ვინ იტყუს: თუ: „იგი ვინმე არა არს მეგობარ ჩემდა, არცა ნათე-სავ, ივითარ მიყუარდეს იგი, ვითარცა ჩემნი იგი?“ რამეთუ გულისხმა-ყავ, დაღაცათუ არა მეგობარი არს და ნათესავი, არამედ კაცი არს შენისავე ბუნებისაჲ და მისვე მეუფისა შონაჲ, რომლისაჲცა შენ ხარ, და შენ თანა მკვდრი, რამეთუ ყოველნი ერთსა სოფელსა შინა მკვდრ ვართ, და ვინაჲთგან სარწმუნოებისა შენისა ზიარი არს, აჰა, ესერა, ასოჲცა არს შენი, რამეთუ რომელი მეგობრობაჲ იქმს ესეოდენსა თვსება-სა, ვითარ ერთობაჲ იგი სარწმუნოებისაჲ, და ამისთვის არა ესრეთ თანა-გუაც ურთიერთას სიყუარული, ვითარ ნათე-სავთა და მეგობართა, არამედ ვითარცა ასოსა უყუარნ ასოჲ, რამეთუ ამის საქმისა უმეტესი სახე სიყუარულისაჲ არარაჲ არს. ვითარცა უკუე ვერ ძალ-გვც თქუმად, თუ: „ვინაჲ არს თვსებაჲ ესე და მახლობლობაჲ, რომელი გაქუს თავისა ჩე-მისა მიმართ?“ რამეთუ საცინელ არს სიტყუაჲ ესე, ეგრეთვე არცა ძმისათვს ჳერ-არს ამისი თქუმაჲ, რამეთუ ყოველნი ნათელდებულნი ერთ გუჲმ ვართ, ნუმცა უკუე უგულუბელს-ვჰყოფთ ურთიერთას. რამეთუ არავინ თვისი გუჲმი და ასონი უგულუბელს-ყვნის, არამედ აფუფუნებნ და ილუწინ, ამისთვის ერთი სახლი მოგუცა ღმერთმან — სოფელი ესე — და ყო-ველივე ზოგად განგყო და ერთსა მზესა ყოველთა აღმოგვ-ბრწყინვებს და ერთი სართული გარდაართხა ჩუენ ზედა — ცაჲ, და ერთი ჰაყოფელი — ქუეყანაჲ, ერთი ტაბლქა ცხო-რებისაჲ — ტაბლაჲ იგი შესაწირავისაჲ, ერთი სახე შობისაჲ მოგუცა ყოველთა — წმიდაჲ ნათლის-ღებაჲ — და ერთ არს ყოველთა მამით სასუფეველი და ერთისა სასუმელისაგან ვსუამთ ყოველნი, არა თუ მდიდართა უმეტესად მიეცემის და გლახაკთა უდარესად, არამედ ყოველთა სწორად უწოდა, კორციელი უკუე ყოველი სწორად განგყო და სულიერი —

სწორად. ვინაჲ არს უწესობეჲა ესე? გარნა ანგაპრებისაგან ძლიდართაჲსა და ამპარტავანებისაგან მათისა, არამედ ნულარა იყოფინ ესე, ძმანო, ნუცამცა განგუყოფენ ჯორციელნი ესე საქმენი, რომელნი სულიერად ერთ ვართ, რამეთუ ჯორციელი ყოველი აჩრდილი არს, და აჩრდილისა უძღლურეს, არამედ საკრველი იგი სიყუარულისაჲ მტკიცედ დავიცვათ და ვერაჲ ვნებათაგანი შემოგვკდეს განყოფად ესევითარისა მის ერთობისაგან, რომლისა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლოსა ჩუენისა იესუ ქრისტეს-სითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებეჲა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი ვ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: „და ესე არს წამებეჲა იოვანესი, ოდეს მიავლინნეს ჰურიათა იერუსალჴმით მდღელნი და ლევიტელნი, რაჲთა ჰკითხონ მას, ვითარმედ: „შენ ვინ ხარ?“ (1,19)
თ ა რ გ მ ა ნ ი: ბოროტ არს შური, საყუარელნო, ბოროტ არს მოშურნეობისათჳს და არა რომელთა ეშურებოდინ! და პირველად მათ ავნებს, ვითარცა გესლი სასიკუდინე, სულთა შორის მათთა დამკვდრებული, და უკუეთუ სადა რომელთა მიმართ იყოს შური, მათცა ავნოს მცირე ვნებეჲა, და არარაჲთა უმეტესი არს სარგებელი სავენებელისაჲ. ხოლო ესე ყოველი ვთქუ შურისა მისთჳს ჰურიათაჲსა, რამეთუ რომელნი-იგი განვიდეს ქალაქთაგან იოვანეს მიმართ და ნათელ-ილეს, იგი-ხივე შემდგომად ნათლის-ღებისა, ვითარმცა შეენანა საქმჴ იგი, მიავლენენ იოვანეს მიმართ და ჰკითხვენ, ვითარმედ: „შენ ვინ ხარ?“ ჰეშმარიტად ნაშობნო იქედნეთანოჲ ნათესავო, ბოროტო და მემრუშეო, ნათლის-ღებისა შემდგომად ჰკითხავთა და იწულილავთ? რამეთუ ვითარ განხვდოდეთ მისა? და ვითარ აღუარებდით ცოდვათა? ვითარ ნათელ-იღებდით? ვითარ ჰკითხევდით, თუ რასა ვიქმოდითო? ვინაჲთგან არა უწყოდეთ, თუ ვინაჲ არს, რამეთუ ყოველივე იგი თქუენი საქმე პირუტყუებრი იყო. არამედ ნეტარმან იოვანე ამისგანი

არარაჲ ჰქრქუა მათ, არცა აბრალა, არამედ სიტკბოებით მიუგო, რაჲთამცა უმეტესად გამოაცხადა მათი სიბოროტე. რაჲმეთუ ვინაჲთგან იოვანე მრავალგზის ეწამა ქრისტესა და რაჲჲმს ნათელს-სცემდა, ყოველთა ეტყოდა, ვითარმედ: „მე ხათელ-გცემ წყლითა, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერესი ჩემსა, მან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა“.¹ ხოლო მათ ვითარცა უყუარდა მარადის კაცობრივი და ამოჲ საქმე, არა ენება ესე, რაჲთა ქრისტესა დაემორჩილნენ, არამედ უფროჲსად იოვანე აქუნდა დიდად, ხოლო ქრისტესთვის იტყოდეს, ვითარმედ: „ძმ არს ხუროჲსაჲ“; და ვითარმედ: „ნაზარეთით არს“, რომელი-იგი შეურაცხად აქუნდა; და ვითარმედ: „მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჳამსო“, რომელი-იგი იქმოდა ამას, რაჲთამცა იგინი მოიზიდნა, და რაჲმეთუ არა ემოსა სამოსელი სტევისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ. და ამას ყოველსა უბადრუკნი იგი ვერ გულისხმა-ჰყოფდეს, არამედ შეურაცხად აქუნდა ქრისტე.

ხოლო, რაჲჲმს იოვანე მარადის მისა მიმართ მიავლენდა მათ, და მათ სირცხულ-უჩნდა საქმე ესე და ენება, რაჲთამცა უფროჲსად იოვანე აქუნდა მოძღურად, ხოლო ცხადად ამისა თქუმად ვერ იკადრებდეს, არამედ არა მიავლინეს მისა მიმართ შეურაცხნი კაცნი, არამედ მღდელნი და ლევიტელნი, რაჲთამცა ჰკითხეს, თუ: „შენ ვინ ხარ?“ რაჲმეთუ არა თუ უცნაური კაცი იყო, არამედ შობაჲცა მისი ყოველთა მიერ იქმნა საცნაურ, ვიდრემდე იტყოდეს, ვითარმედ: „რაჲმე იყოს ყრმაჲ ესე?“² რაჲჲმს იორდანეს მოვიდა, ყოველნი მისა მივიდოდეს და ესრეთ საცნაურ არს, ვითარმედ არა თუ უმეცარ იყვნეს, თუ ღინ არს, არამედ მისთვის ჰკითხვიდეს, თუ რომელი პირველ ვთქუ.

ისმინე უკუე ნეტარისა იოვანესი, ვითარ მიუგო გონებისაებრ მათისა და არა სიტყუსა. რაჲმეთუ არა თქუა მეყსეულად, თუ: „მე, ჳმად ლაღადებისაჲ უდაბნოსა ზედა“,³ არამედ იჳვი იგი მათი განაქარვა პირველ, რაჲმეთუ ჰკითხეს რაჲ, ვითარმედ: „ვინ ხარ?“ აღიარა და არა უარ-ყო და აღიარა, ვითარ-

¹ მათ. 3,11

² ლუკ. 1,66

³ იოან. 1,23

ძედ: „მე არა ვარ ქრისტი“. ხოლო მათ სხუასა სიტყუასა იწყეს კითხვად, ვითარმედ: „ელია ხარა?“ და მან თქუა, ვითარმედ: „არა ვარ“, რამეთუ ელიამსსაცა მოელოდეს მოსლვასა, ვითარცა სხუასა ადგილსა წერილ არს.¹ და კუალად ჰკითხეს, ვითარმედ: „წინამსწარმეტყუელი იგი ხარა?“ და ჰრქუა მათ: „არა ვარ“.² და იგი წინამსწარმეტყუელი იყო, რად უკუე უარ-ყო? გარნა რამეთუ გონებათა მათთა ხედვიდა, ხოლო მათ ასმიოდა მოსესგან, ვითარმედ: „წინამსწარმეტყუელი აღადგინოს უფალმან ღმერთმან, ვითარცა მე. მისი ისმინეთ!“³ რამეთუ იგი ქრისტი იყო, ამისთვის არა ჰრქუეს, თუ: „წინამსწარმეტყუელი ხარა?“, ვითარცა ერთი სხუათა წინამსწარმეტყუელთაგანი, არამედ ესრეთ ჰრქუეს, ვითარმედ: „წინამსწარმეტყუელი იგი ხარა, იგი რომელი მოსე თქუაო?“ ამისთვის ამან თქუა, ვითარმედ: „არა ვარ“, არა თუ წინამსწარმეტყუელი არა ვარო, არამედ იგი წინამსწარმეტყუელი არა ვარო, რომელსა მოსე იტყოდა. ხოლო მათ ჰრქუეს მას: „გუარქუ ჩუენ, ვინ ხარ, რათა სიტყუად მივართუათ მომავლინებულთა ჩუენთა“. ჰხედავა, ვითარ აიძულეზენ მას? ხოლო იგი სიტკბოებით დაჰქსნის ყოველსა იჰუსა ბოროტსა და ესრეთ იტყვს თავისა თქსისათვს, თუ ვინ არს. და ჰრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე კმაღ დაღადებისაღ უღაბნოსა ზეღა. წარჰმართენით გზანი უფლისანი, ვითარცა თქუა ესაიღ წინამსწარმეტყუელმან“. მივლინებულნი იგი იყვნეს ფარიღსეველთაგანი და ჰკითხვიდეს მას და ჰრქუეს: „რამსათვს ნათელღსცემ, უკუეთუ არა ხარ ქრისტი, არცა ელია, არცა წინამსწარმეტყუელთაგანი (1,23-24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხეღავა, რამეთუ არა ამოღ ვიტყოღე, ვითარმედ ენება, რამღთამცა ათქუმიღეს, ვითარმედ მე ვარ ქრისტიო; და ამისთვის ჰკითხვიდეს და არა ჰრქუეს იგი განცხადებულად. ხოლო ვინღამთგან ჰრქუა მან, ვითარმედ: „არა ვარ ქრისტი“, მერმე ენება დაფარვად თვისსა ზაკუვისაღ, და ჰრქუეს ელიამსთვის და წინამსწარმეტყუელისა მისთვის. და ვითარცა ჰრქუა, ვითარმედ:

¹ შღრ. მათ 17,10

² იღან. 1,21

³ II სჯულ. 18,15

„არა ვარ“. მერმე დაუტევეს სიტყუაი იგი და გამოაცხადეს მზაკუარი იგი გონებად თჳსი და ჰრქუეს, ვითარმედ: „რამ-სათჳს ნათელ-სცემ, უკუეთუ არა ხარ შენ ქრისტე, არცა ელია, არცა წინადაწარმეტყუელი იგი?“ რამეთუ ვინაჲთგან შეტყუვილითა ვერ ათქუმიეს, რამ-იგი არა იყო, მერმე ბრალობისა სახედ ინებეს შეჭირვებად, რამთამცა თქუა, რამ-იგი არა იყო, არამედ ვერ შეუძლეს, ხოლო იგი არავე განრისხნა, არცა თქუა, ვითარმედ: „თქუენ დამდებთა მე მჯუღლსა?“ არამედ კუალად სიბრძნისა და სიტკბობისა სიტყუად შემოიღო და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო შორის თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით, რომელი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, რომლისა არა ვარ ღირს, რამთა განვჰკსნნე საბელნი ჳამლთა მისთანი“ (1,26-27). თ ა რ-გ მ ა ნ ი: რამლა თქუან აწ ჰურიათა? რამეთუ, აჰა, ესერა, საშჯელი შეუენდობელი განუმზადეს, თჳთ მათ თავთა თჳსთა ზედა, რამეთუ სარწმუნოდ შეჰრაცხეს იოვანე, და ესრეთ ჳეშმარიტად, რომელ არა თუმცა სხუასა წამებდა, არამედ თავისაცა თჳსისათჳს, რამთამცა ეთქუა: ჰრწმენა, რამეთუ თავისა თჳსისათჳს მათი გურწამს, რომელნი ფრიად ჳეშმარიტისა მეტყუელად გუაჰუნდენ. და ვინაჲთგან ესრეთ სარწმუნოდ აქუნდა იოვანე, რამასთჳს არა ჰრწმენა წამებამ მისი, რომელი წამა მან ქრისტესთჳს? და მიავლინნეს მისა კაცნი ესე რამ წარჩინებულნი, მღდელნი და ლევიტელნი, და მან აღი-არა წინაშე ყოველთა, ვითარმედ: „არა ვარ ქრისტე, არცა ელია, არცა წინადაწარმეტყუელი იგი“ და გამოაჩინა უზეშთაე-სობა ქრისტესი; და ვითარმედ: „ჩემი ნათლისცემამ მცირე არს, ხოლო მისი იგი დიდ და მალა“. და შემოიყვანა შორის ესადას წინადაწარმეტყუელებად, რომელი-იგი უფლით ხადის მას და. იოვანეს — მ ს ა ხ უ რ ა დ. და ამას ყოველსა ზედა არა ჳერ-იყოა რწმუნებამ და თაყუანის-ცემამ წამებუ-ლისამ მის და ღმრთად აღსაარებამ მისი? „ხოლო შორის თქუენსა მდგომარე არსო, რომელი თქუენ არა უწყით“. რამეთუ ვითარცა ჩანს, თუ უფალი შორის ერსა მას აღრეულ იყო, ვითარცა იყო იგი მარადის სიმდაბლისა მეძიებელ, ხოლო ზედადს ზედა იტყჳს ამას, თუ: „შემდგომად ჩემსა მო-

ვალს“, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ნუ ჰგონებთ, თუ ყოველი ძალი ჩემი ამას ნათლის-ცემასა შინა არს. და უკუეთუმცა ესრეთ სრულ იყო, არამცა მოვიდოდა სხუაჲ შემდგომად ჩემსა სხსა ნათლის-ცემად მოცემად უმაღლესისა, არამედ მისი წინამორბედი არს და განმზადებაჲ და ხატი არს მისი ესე“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „პირველ ჩემსა იყო“ (1,30) **თ ა რ გ მ ა - ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „უპატიოსნეს და უმაღლეს ჩემსა არს“. და ენება გამოჩინებად, ვითარმედ იგი უზეშთაესობაჲ ამისთვის თქუა, ვითარმედ: „არა თუ ესრეთ მცირედ უზეშთაეს არს იგი, არამედ ესოდენ, რომელ არცა თუ უღარესთა მონათა მისთა თანა შერაცხილ ვარ“, რამეთუ განჯსნაჲ ჯამლთაჲ ამას მოასწავებს.

ს წ ა ვ ლ ა მ ი ვ

ამპარტავანებისათს და სიმდიდრისა და მოწყალებისა

ხოლო უკუეთუ იოვანე არა ღირს იყო საბელსა ჯამლთა მისთასა განჯსნად, იოვანე, რომლისა უზეშთაესი ნაშობთა შორის დედათაჲსა არა აღდგომილ არს,¹ ჩუენ სადა დავაწესნეთ თავნი ჩუენნი? უკუეთუ რომელი-იგი უზეშთაესი იყო ყოვლისა სოფლისა, მან თქუა, ვითარმედ: „უკუანაჲსკნელთაცა მონათა მისთა თანა შერაცხად არა ღირს ვარ“, რაჲ ვთქუათ ჩუენ, რომელნი ბევრეულითა ბოროტითა საესე ვართ, რომელნი ესოდენ ნაკლულევან ვართ მისისა სათნობისაგან, რომელ ცაჲ ქუეყანისაგან არა არს ესრეთ შორს?

და მან თქუა, ვითარმედ: „საბელსა ჯამლთა მისთასა განჯსნად არა ღირს ვარ“, ხოლო მტერთა მათ ქეშმარიტებისათა იკადრეს თქუმად, ვითარმედ: „ვიციოთ იგი, ვითარცა მან თვთ თავი თვისი“. რაჲ არს ამის ამპარტავანებისა უმეტეს, ანუ

¹ ლუკ. 7,28. მ. 11,11

უბოროტეს? კეთილად იტყოდა ბრძენი ვინმე კაცი, ვითარ-
ბედ: „დასაბამი ამპარტავანებისაჲ არს არამეცნიერებაჲ
ღმრთისაჲ“. არამცა გარდამოვრდომილ იყო ზეცით ეშმაკი,
უკუეთუმცა არა ამით სენითა შეპყრობილ იყო, ამან შთაჯადა
იგი გეპენიად. ესე იქმნა მიზეზ ბევრეულთა ბოროტთა, რო-
ბელ-ესე მარტოდ შემძლებელ არს ყოველისავე სათნოებისა
განრყუნად, რამეთუ მაღალი იგი წინაშე კაცთა საძაგელ არს
წინაშე ღმრთისა. არა სამე სიძვაჲ ოდენ შეაგინებს კაცსა,
არამედ ესეცა, რამეთუ სიძვაჲ დაღაცათუ ბოროტ არს, არა-
მედ აქუს მიზეზად გულისთქუმაჲ ჯორცთაჲ. ხოლო ამპარტა-
ვანებისა მიზეზი არცა ერთი არს, არამედ სენი არს ბოროტი
სულისაჲ, უგულისხმოებისაგან შობილი, რამეთუ არარაჲ
არს უბოროტეს კაცისა ამპარტავანისა, დაღაცათუ ფრიალ
ძდიდარ იყოს, არარაჲ არს უუგუნურეს მისა, დაღაცათუ ყო-
ველი სიბრძნე კაცთაჲ ესწაოს და ყოველი ძალი მას აქუნ-
დეს. რამეთუ უკუეთუ რომელი სათნოებასა და მოღუაწე-
ბასა ზედა ზუაობდეს, ყოველსა მას სასყიდელსა მისსა წარ-
სწყემდეს. უკუეთუ რომელი სიზმართა და აჩრდილთა ზედა
ზუაობდეს, რომელ არს ამის სოფლისა დიდებაჲ, მისთვის რაჲ
ვთქუა? რამეთუ მსგავს არს კაცსა, რომელი სიყმილითა და
სიგლახაკითა მოკუდებოდის, და უკუეთუ სადამე იხილოს
სიზმარი რაჲმე კეთილი, მას ზედა მაღლოდის. უბადრუკო
კაცი, სული შენი ბევრეულითა სენითა სავსე არს და შენ,
რომელ ოქროჲ და ვეცხლი გაქუს, ამისთვის გონებაჲ უმადლეს
ღრუბელთასა გიპყრიეს, არამედ სიმდიდრე ეგე არა შენი არს
და, უკუეთუ ჩემი არა გრწამს, თვთ საქმენი იხილენ. და
უკუეთუ ჭერეთ გთრავს, და არა გულისხმა-პყოფ სხუათაცა
ზედა მოწევნულთა საქმეთაგან, მცირედ ელოდე და შენ ზედა
ძოწევნულისაგან სცნა, ვითარმედ ესე ყოველი არას გერგე-
ბის, რაჲამს-იგი მოიწიოს სიკუდილი და ერთისაცა ჟამისა
უფალ არა იყო, არამედ უნებლიათ ყოველივე დაუტეო და
ხუუკუე, ვიეთი არა გინდეს, მათ წარიღონ. რამეთუ მრავალ-
თა სიტყვისაცა თქუმად ვერ ჯელ-ეწიფა, არამედ, რაჲთა ესე
არა მოიწიოს ჩუენ ზედაცა, ამისთვის, ვიდრედა ცოცხალ
ვართ, წარვსცეთ ყოველივე ჩუენი მას ქალაქსა, რაჲთა მუნ
ვპოვოთ ყოველი იგი. რამეთუ მუნ არღარა არს შიში წარწყ-

შედისაჲ, არცა სიკუდილისამიერი, არცა სხუსა რაჲსამე განსაცდელისაჲ, არამედ თითოეული უკუნისამდე იმუებდეს თუსსა მან სიმდიდრესა ზედა. მიეცევალოთ უკუე სიმდიდრე, ჩუენი ამიერ მუნ, რამეთუ არა საკმარ არიან ჩუენდა ამის ძირცვალებისათეს კარაულნი, ანუ აქლემნი, ანუ ნავნი, არამედ გლახაკთა მიერ იქმნების ესე საქმე კეთილად, უძლურთა შიერ, მკელობელთა და ბრმათა იგინი წარიღებენ მას ყოველსა ამიერ მუნ, იგინი მოწყალესა მას თანა შეგუყვანებენ სასუფველსა ცათასა, რომელსა ღირმცა ვართ ჩუენ ყოველნი შიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა შამასა შეუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი ზ

ს ი ტ ყ უ ა მ : „ესე ბეთაბრას იყო წიად იორდანესა, სადა-იგი იყო იოვანე ნათლისმცემელი. ზვალისაგან იხილა იესუ მომავალი მისა და თქუა: „აჲა, ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“ (1,28) თ ა რ გ მ ა ნ ი : დიდი სიქადული არს კადნიერებაჲ საღმრთოჲ, უშიშობაჲ კაცთაგან, და რაჲთა ყოველივე არად შეგუერაცხოს ქრისტეს აღსარებისა თანა. და ესრეთ დიდ არს საქმე ესე, ვითარცა ძქ ღმრთისაჲ მხოლოდშობილი ბრძანებს, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს წინაშე კაცთა, აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა“.¹ და არა სწორ არს ნაცვალი ესე, რამეთუ შენ უკუეთუ აღიარო იგი, აღიარებ ქუეყანასა ზედა, ხოლო იგი ცათა შინა და შენ — წინაშე კაცთა, ხოლო იგი — წინაშე მამისა თუსისა და ანგელოზთაცა. ხოლო ესევეითარი იყო დიდი იოვანე, რამეთუ არად შეჰრაცხა ყოველივე, არამედ განცხადებულად ქრისტესა ქადაგებდა, რამეთუ მისთვის თქუა მახარებელმან ადგილიცა, რაჲთა გამოაჩინოს დიდი იგი კადნიერებაჲ მისი, ვითარმედ არა თუ სახლსა შინა, ანუ ადგილსა უჩინოსა

¹ მათ. 10,32

ქადაგა, არამედ იორდანესა ზედა, ყოველსა მას შორის ერსა, რომელნი ნათელს-ილებდეს, რამეთუ მუნ ქადაგა დიდი იგი ქადაგებამ ქრისტესი, და ვითარმედ: „არა ვარო ღირს საბელსა გამლთა მისთასა განქსნად“. ამისთვის იტყუს მახარებელი, ვითარმედ: „ესე ბეთაბრას იყო, წიად იორდანესა“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „ხვალისა დღე, იხილა იესუ მომავალი მისა და თქუა: აჰა, ტარიგი ღმრთისამ, რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“ (1.28) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** განიყვნეს ჟამნი მახარებელთა; რამეთუ მათე პირველ იოვანეს შეპყრობისა ქმნულნი საქმენი შეამოკლნა და შემდგომთა მათ იტყუს, ხოლო იოვანე უფროდს პირველ შეპყრობისა მისისა ქმნილთა შინა იქცევის. და მან კუალად დაიდუმნა შემდგომად იოვანეს უდაბნოთ მოსლვისა ქმნულნი საქმენი და მეყსეულად თქუა საპყრობილისათუს: „ვითარცა ესმა რამ იესუს იოვანეს შეპყრობამ, წარვიდა უდაბნოდ“.¹ ხოლო იოვანე შემდგომად იოვანეს უდაბნოთ გარდამოსლვისა ქმნილთა მათ საქმეთა იტყუს და შემდგომად თქუმისა მათ საქმეთამსა თქუა, ვითარმედ: „არღა იყო იოვანე საპყრობილედ შევრდომილ“.² ხოლო რამსათუს მოვიდა აწ იესუ მისა, არა ერთ ოდენ, არამედ ორგზისცა? რამეთუ მათე თქუა მიზეზი მოსლვისა მისისამ — ხათლის-ლებამ, ხოლო იოვანე შემდგომად ნათლის-ლებისაცა იტყუს მოსლვასა. რამსათუს უკუე მოვიდა? გარნა ამისთვის. რამეთუ ვინამთგან მისგან ნათელს-ილო სხუათა მათ ერთა თანა, რამთა არავინ მოიგონოს, ვითარმედ, ვითარცა ერთი სხუათაგანი ნათელს-ილებს ცოდვათა აღსარებად. ამისთვის შეორედ მოვიდა მისა, რამთამცა მისცა მიზეზი საკვრველსა მას ქადაგსა ქადაგებად მისა, რომელმანცა ქადაგა, ვითარმედ: „აჰა, ტარიგი ღმრთისამ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“. რამეთუ, რომელი ცოდვათა სოფლისათა აღიხუამს, თვთმცა ვითარ აქუნდა ცოდვამ? ხოლო სიტყუამ იგი ვითარმედ: „აჰა, ტარიგი ღმრთისამ“, თქუა მრავალთა მათთვის, რომელნი ეძიებდეს მას მრავლით ჟამითგან, უჩუენა და ჰრქუა: „აჰა, რომელსა ეძიებდით, ესე არს ტარიგი ღმრთისამ“. ხოლო ტ ა რ ი გ ა დ უწოდა მას, რამთამცა მოაქსენა ჰურიათა

¹ შლრ. მათ 14.13

² იოან. 3.24

წინამდწარმეტყუელებამ იგი ესაიამსი და იგავი იგი მოსესა, რამთა სახისა მისგან გულისხმა-უყოს ქეშმარიტებაჲ. ხოლო მან ტარიგმან არავისნი ცოდვანი აიხუნა, ხოლო ამან ყოველი სოფელი წარწყმედისაგან და რისხვისა ღმრთისა იქსნა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესე არს, რომლისათჳს მე ვთქუ: „შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო“ (1,30) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ თარგმნის პირველ მისსა ყოფილსა? რამეთუ თქუა რაჲ, ვითარმედ: „რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“, მერმე შესჰინა, ვითარმედ: „პირველ ჩემსა იყო“, რამთამცა უჩუენა, რამეთუ ესე არს პირველობაჲ — ახუმაჲ ცოდვათა სოფლისათაჲ, ნათლისცემაჲ სულითა წმიდითა. რამეთუ მე სხუაჲ არარაჲ შემეძლო, გარნა ქადაგებაჲ მისი და განბანაჲ ესე წყლითა, ხოლო მას ძალ-უც ყოველთა კაცთა განწმედაჲ და მადლსა მას ნუგეშინისმცემელისასა მოცემად. „ესე იყო პირველ ჩემსა, რამეთუ პირველ ჩემსა არს“, ესე იგი არს, ფრიად უდიდებულეს და უბრწყინვალეს. ჰრცხუენოდენ ყოველთა, რომელთა პავლე სამოსატელისა წვალებჲა შეიწყნარეს, რამეთუ ესევითარსა ცხადსა ქეშმარიტებასა წინააღუდგებიან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე არა ვიცოდე იგი“ (1,31) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** უეუქელ-ჰყოფს წამებასა თჳსსა, ვითარმედ არარაჲ არს მას შინა კაცობრივისა სიყუარულისა საქმჳ, არამდე საღმრთოჲსა გამოცხადებისაგან ქმნილ არს, რამეთუ, რომელი არა იცოდა, ვითარმცა იტყოდა მისთჳს ტყუვილსა, რამთამცა სათნო ეყო, ამისთჳს იტყჳს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე არა ვიცოდე იგი, არამედ, რამთა გამოცხადოს ისრაჴლსა, ამისთჳს მოვედ წყლითა ნათლისცემად! (1,31). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ ამას არა უკმდა ხათლის-ცემამო, არცა სხჳსა რაჲსმე მიზეზისათჳს ნათელ-ვსცემერსა, არამედ რამთამცა უქადაგე ქრისტჳ. რაჲ არს უკუე თჳნიერ ნათლის-ცემისა ქადაგებაჲ არა იქმნებოდაა? არა იქმნებოდა, რამეთუ უკუეთუმცა ნათლის-ლებჲაჲ არა იყო, არა შეკრბებოდეს ერნი სმენად ქადაგებისა მის. რამეთუ არა თუ ამისთჳს განვიდოდეს, რამთამცა ქადაგებაჲ იგი ისმინეს, არამედ განვიდოდეს ნათლის-ლებად და აღსაარებად და ში-რაჲ-ვიდოდეს, ესმოდა ქრისტესთჳს ქადაგებაჲ მისი.

სახარება: „და წამა იოვანე და თქუა, რამეთუ: „ვიხილე სული ღმრთისაჲ, გარდამოშავალი ზეცით, ვითარცა ტრედი, და დადგრომილი მას ზედა“ (1,32) თარგმანი: გამოაჩინებს, ვითარმედ სულისა წმიდისა მიერ იცნა იგი, ხოლო კუალად რაჲთა არავინ მოიგონოს, ვითარმედ საჯმარ მისა იყო გარდამოსლვად სულისა წმიდისაჲ, ვითარცა-ესე ჩუენდა საჯმარ არს. ისმინე, ვითარ ამასცა იქუსა დაქვსნის და გამოაჩინებს, ვითარმედ გარდამოსლვად სულისაჲ ქრისტეს ქალაგებნათს იქმნა, რამეთუ თქუა:

სახარება: „მე არა ვიცოდე იგი, არამედ, რომელმან მოშავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მარქუა მე: „რომელსა ზედა იხილო სული გარდამოშავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-სცეს სულითა-წმიდითა“ (1,33). თარგმანი: ჰხედავა, რამეთუ საქმე სულისა წმიდისაჲ ესე იყო, რაჲთამცა ქრისტე გამოაჩინა, რამეთუ იყო იოვანესიცა წამებად უეჭუელ და ენება, რაჲთამცა უმეტესად სარწმუნო-ყო იგი. ამისთვის ღმრთისა და სულისა წმიდისა მიმართ აღიყვანა იგი, რამეთუ ვინაჲთგან წამა ესრეთ დიდი და საკვრველი საქმე, რომელი შემძლებელ იქმნა მრავალთა განკვრებად, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა ცოდვათა იგი მხოლოდ აღიხუამს და ესოდენისა სიმრავლისა საჯსრად კმა არს ნიჭისა მის სიმაღლს. ამისთვის ესევითარსა უეჭუელსა წამებასა მოიღებს, ხოლო საქმე მისი ესე არს, რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ ძმ არს ღმრთისაჲ და არა ეკმარების ნათლის-ლებად, და ვითარმედ საქმე სულისა წმიდისა გარდამოსლვისაჲ ამისთვის იქმნა, რაჲთამცა ოდენ ქრისტე საცნაურ-ყო, რამეთუ შეუძლებელ იყო იოვანეს მიერ მიცემაჲ სულისა წმიდისაჲ, და ამას გამოაჩინებენ მის მიერ ნათელლებულნი იგი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: „არცა ლათუ არს სული წმიდა, გუასმიეს“.1 და საცნაურ არს, ვითარმედ: არა ეკმარებოდა ქრისტეს ნათლის-ლებად, არამედ უფროჲს ნათლის-ლებასა ეკმარებოდა ძალი ქრისტესი. რამეთუ ესე ოდენ აკლდა — თავი ყოველთა კეთილთაჲ — რაჲთამცა სულსა წმიდასა ღირს ექმნებოდა ნათელლებული იგი. და ესე სულისა წმიდისა მოლებად შესძინა ქრისტემან მოსლვითა თვისითა.

¹ საქმ. 19,2

სახარებაჲ: „და წამა იოვანე და თქუა, რამეთუ ვიხილე სული ღმრთისაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამომავალი ზეცით, და დადგრა მას ზედა. მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე წყლითა ნათლის-ცემად. მან მრქუა მე: „რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-სცეს სულითა წმიდითა“. და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძმ ღმრთისაჲ“ (1,32—34) **თარგმანი:** ზედაჲსზედა იტყუს ამას სიტყუასა, ვითარმედ: „მე არა ვიცოდე იგი“. ხოლო რამსათუს იტყუს ამას? გარნა ამისთუს, რამეთუ ნათესავი იყო მისი ჯორციელად, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „აჰა, ესერა, ელისაბედცა, ნათესავი შენი, მიდგომილ არს ძესა“. ¹ და რაჲთა არავინ თქუას, ვითარმედ ნათესაობისა მისისათუს აღიღებს ძა, ამისთუს იტყუს, ვითარმედ: „არა ვიცოდე იგი“. რამეთუ იყოცა მარადის უღაბნოთა შინა და გარეგან მამულისა სახლისა მისისა, და ესრეთ აღესრულებოდა სიტყუად მისი. არამედ უკუეთუ პირველ სულისა წმიდისა გარდამოსლვისა არა იცოდა იგი, ვითარ პირველ ნათლის-ღებისა აყენებდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: „მე შენგან მივმს ნათლის-ღებაჲ“. ² რამეთუ ესე სახე არს ფრიადისა მეცნიერებისაჲ, გარნა პირველ მრავლისა ჟამისა არა იცოდა იგი, არამედ მას ჟამსა გამოუცხადა მას ღმერთმან, რაჲჲმს მოავლინა ნათლის-ცემად იორდანესა. ხოლო პირველ მისა არა იცოდა იგი, რამეთუ საკრველებანი იგი, რომელნი სიჩჩოსა ქრისტესა ექმნნეს, ვითარიგი მოგუთათუს და სხუად ესევითარი, პირველ მრავლსა ჟამისა ყოფილ იყო, რაჲჲმს იოვანეცა ჩჩულ იყო, და ვიდრე ჟამამდე ნათლის-ღებისა ფრიადი ჟამი გარდასრულ იყო, თუ არა უკუეთუმცა იცოდა იგი, არამცა ეთქუა, ვითარმედ: „არა ვიცოდე იგი“. და ამისგან საცნაურ არს, ვითარმედ სასწაულნი იგი, რომელნი და-ვიეთმე-უწერიან და იტყუან, ვითარმედ: „სიყრმე ქრისტესიო“, ზღაპარ არიან და ტყუვილ ამაოთა ვიეთმე კაცთა თქუმულნი, რამეთუ უკუეთუმცა სიჩჩოდასაგანვე სასწაულთა იქმოდა, არამცა იყო იოვანე მისა

¹ ლუკ. 1.36

² მათ. 3.14

უმცარ, არცამცა ერსა: უკმდა მისთვის სხვსა ქადაგებაჲ. ხოლო აწ იტყვს, ვითარმედ: „ამისთვის მოვედო ნათლის-ცემად“, რაითამცა განეცხადა ისრაჴლსა, რამეთუ ეჲმსა მას გამოუცხადა მისთვის ღმერთმან და მოავლინა იორდანედ ნათლის-ცემად და ქადაგებად. ამისთვისცა პირველ სულისა გარდაძოსლვისა ეტყოდა ერსა, ვითარმედ: „შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო“. და ამისთვისცა დასამტკიცებლად მოსისა წამებისა მამაცა გმითა ეწამა ძედ და სული წმიდაჲ გარდამოჴდა, რაითამცა ეჲმად იგი ქრისტეს ზედა დაამტკიცა, რამეთუ ვინაითგან იოვანე ნათელს-სცემდა და ქრისტე ნათელს-იღებდა, რაითა არავინ თქუას მუნ მდგომარეთაგანმან, ვითარმედ: „ეჲმად იგი იოვანესთვის იყო“, ამისთვის სული წმიდაჲ უფალსა ზედა მოვიდა, რაითამცა იქვ იგი განჴმართა. და ესრეთ უკუე საცნაურ არს, რაეჲმს იტყოდეს, თუ: „არა ვიცოდე იგი“, პირველ ეჲმითავს იტყვს და არა ძახლობელად ნათლის-ღებისა, თუ არა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: „მე შენგან მიჴმს ნათლის-ღებაჲ?“ იტყვან უკუე ვიეთხიმე: „და ვითარ არა ჴრწმენა ჴურიათა, რამეთუ არა იოვანე ოდენ იხილა სული წმიდაჲ, სახედ ტრედისა მოსრული უფალსა ზედა, არამედ მათცა?“ გულისხმა-ყავთ, რამეთუ ესევითართა ხილვათა სულერნი თუალნი ეჴმარებიან და არა კორციელნი ოდენ, რაითა არა საუცრად შეჴრაცხონ საქმე იგი. რამეთუ ჴხედვიდეს რაჲ სასწაულთა მათ, რომელთა იჴძოდა ქრისტე, და ვითარ შეახებდა ოდენ ბრმათა და მკელობელთა და სხუათა ყოველთა უძლურთა, და მეყსეულად განჴკურნებდა. და მათ ესრეთ ეთრო შურიითა, რომელ ამას ყოველსა ისწრაფდეს განმტყუენებად, ნუუკუე სულისა წმიდისა მოსლვითა ოდენმცა განაგდესა ურწმუნოებაჲ? ხოლო ვიეთხიმე იტყვან, ვითარმედ: „არცა უხილავს იგი ყოველთავე, რამეთუ იოვანეს ოდენ და სხუათა, რომელნი სარწმუნოებით იყვნეს“. რამეთუ დადაცათუ კორციელითა თუალითა შესაძლებელ იყო სახედ ტრედისა ხილვად გარდამოსლვაჲ იგი სულისა წმიდისაჲ, არამედ არაჲვე ჴირ იყო ყოველთა მიერ ხილვაჲ მისი, ვითარცა-იგი ზაქარიაცა წინაჲსწარმეტყუელმან და დანიელ და ეზეკიელ და მოსე მრავალი იხილეს ხილულითა თუალითა, და სხუაჲ ვერვინ ჴხედვიდა და ფერის-

ცვლებად უფლისად არა ყოველთა მოწაფეთა იხილეს და არცა აღდგომაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მე ვიხილე და ვწამე, ვითარმედ იგი არს ძმ ღმრთისაჲ (1,34). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ ხარებად უწოდა მას და ვითარმედ სულითა წმიდითა ეგულების ნათლის-ცემად, ხოლო ძედ ღმრთისა აწ ოდენ თქუა, რამეთუ შემდგომად ნათლის-ღებისა არლარას იტყუან სხუანი მახარებელნი სიტყუასა იოვანესსა, არამედ სასწაულთა ქრისტესთა იწყებენ, რომლისათჳს საცნაურ არს, ვითარმედ ესე ყოველი და ამისა უმრავლესი დაიდუმეს და ამას მოასწავებს ესევე მახარებელი აღსასრულსა შინა სიტყუსა თჳსისასა, ვითარმედ მრავალი რამე დაუდუმებოეს, რამეთუ ესრეთ შორს იყვნეს ტყუვილისაგან, რომელ რაოდენი-რაჲ არს საყუედრელი და შეურაცხებაჲ, ყოველნივე ერთპირად იტყუან მას, ხოლო სასწაულთა და ქებათა რომელთამე თითოეული იტყუს, და რომელნიმე ოთხთავე დაიდუმნეს. ხოლო ესე არა ამოდ ვთქუ, არამედ უკეთურებისათჳს წარმართთაჲსა. რამეთუ ესე კმა არს სახედ ჭეშმარიტებისა მისთჳს მოციქულთაჲსა, რომელ არას იტყუან თავით თჳსით მისთჳს საკურველსა, და ესეცა სიტყუად გაქუნდინ წინააღმდგომისათჳს ურწმუნოითაჲსა.

ს ვ ა ვ ლ ა ჲ ი ჳ

ვითარმედ: ჭერ-არს, რაჲთა სიტყუანი
სარწმუნოებისანი კეთილად ვიცნოდით

არამედ ეკრძალებით, რამეთუ ბოროტ არს, რაჲთა მკურხალი ილუწიდეს თჳსისა კელოვნებისათჳს და ეგრეთვე ხუროჲ, ანუ გალატოზი და ყოველი კელოვანი, და ქრისტეანე-მან თჳსისა სარწმუნოებისა სიტყუანი არა იცნოდის. რამეთუ მათი უმეცრებაჲ საფასეთა დაჭირვებასა იქმს, ხოლო ამათი უმეცრებაჲ — სულიერსა დაჭირვებასა; არამედ ჩუენ ესევეითარსა უბადრუკებასა შინა ვართ, რამეთუ იგინი თჳსისა

ქელოვნებისათვის ესრეთ მოსწრაფე არიან, ხოლო ჩუენ, რო-
ძელ-ესე მიზეზი არს ჩუენისა ცხორებისაჲ, ვითარცა არარასა,
ესრეთ შეუტაცებ-გვყოფთ მას.

ესე უკუე საქმე არა შეუენდობს წარმართთა თვისისა მის
საცთურისა დატევებად, რამეთუ რაჟამს იგინი თვისსა მას
საცთურსა და ტყუელისა მრავლითა სიტყუთა შეამკობდენ და
ქადაგებდენ, ხოლო ჩუენ, ქეშმარიტებისა ესე მსახურნი, პირ-
თაცა ვერ აღვახუმიდეთ, ვითარ არა თქუან, ვითარმედ:
„ფრიად სამე უძლურ არს შჯული მათი“, ვითარ არა ჰგმობ-
დენ ქრისტესა, და გმობისანი მის ჩუენ ვართ მიზეზნი, რო-
ძელთა არა გუნებავს, რაჲთამცა სიტყუათა შინა ცხორებისათა
ძლძარე ვიყვენით, არამედ ესევეთარი ყოველივე გარეწარად
გუაქუს და ქუეყანისასა ვზრუნავთ. და უკუეთუ მომღერალთა
და ცხენთა ვინ სძაგებდეს, ბევრეულთა ქებათა იტყუან მათთვის
ძრავალნი, ხოლო უკუეთუ ქრისტეანობისათვის შემოვიდეს
სიტყუაჲ, დადუმნებიან და იწყებენ ფხანად თავთა, და ესრეთ
წარვლენ მოკიცხულნი. და ვითარ არა ღირს არს საქმეჲ ესე
ძრავლისა რისხვისა, უკუეთუ ქებაჲ მგოსანთაჲ უმეტეს
გვსწავიეს, ვიდრელა ქრისტესი? და უკუეთუ საძაგელსა მას
საქმესა შეასხმიდეთ, ბევრეულთა სიტყუათა ჰპოვებთ, ხოლო
ქრისტეს სასწაულთა, რომელთა ყოველი სოფელი აცხოვნეს,
არა იცით ქებაჲ? რამეთუ გურწამს ჩუენ მამაჲ, ძმ და სული
წმიდაჲ, აღდგომაჲ მკუდართაჲ და ცხორებაჲ საუკუნოჲ. აწ
უკუეთუ ვინმე წარმართთაგანმან გკითხოს, ვითარმედ: „ვინ
არს იგი მამაჲ? ანუ ვინ არს ძმ? ანუ ვინ არს სული წმიდაჲ?
ვითარ სამთა ღმერთთა იტყუ, და ჩუენ მრავალღმრთეებასა
ძაბრალობთ?“ რაჲ სთქუათ, ანუ რაჲ მიუგოთ და ვითარ გა-
რემიაქციოთ სიტყუაჲ მისი? და უკუეთუ სდუმნეთ და კუა-
ლად თქუას სიტყუაჲ საძიებელი, ვითარმედ: „რაჲ არს აღდ-
გომაჲ მკუდართაჲ? ანუ ამითვე ჯორცითა აღვდგეთა, ანუ
სხუთა? და უკუეთუ ამითვე აღვდგეთ, რად საჯმარ არს დაჯსნაჲ
ამისი?“ რაჲ სთქუათ ამის ყოვლისათვის? და კუალად უკუეთუ
იტყოდის, ვითარმედ: „რად აწლა და არა პირველ მრავალთა
ჟამთა მოვიდა ქრისტე? ანუ აწლა ინება შეწყნარებაჲ კაცთა
და პირველთა მათ ესოდენტა ჟამთა უგულუბელს-ვეყვენითა?“
და სხუათა მრავალთა ძიებათა შემოიღებდეს. რამეთუ არცა

კეთილ არს ერთბამად მრავალთა საძიებელთა თქუმაჲ და ავსნისა მათისა დადუმებამ, რამეთა არა უმეტესად ეენოს უსწავლელთა, რამეთუ კმა არიან თქუმულნი ესე განფრთხობად თქუენდა. რამეთუ უკუეთუ ესე გკითხონ, ხოლო თქუენ სიტყუაჲცა ერთა ვერ მიუგოთ, მცირედსა საშჯელსა ღირს იქმნეთა, რაჟამს ესოდენისა საცთურისა მიზეზ ექმნებოდით ბნელსა შინა მსხდომარეთა მათ? მენება, უკუეთუმცა უამი მაქუნდა, რამეთამცა შორის შემოვიღე ყოველივე წიგნი ბოროტისა ვისმე წარმართისა ფილოსოფოსისაჲ, რომელი ჩუენდა წინააღდგომად დაუწერია, რამეთამცა ესრეთ განვიფრთხვეთ. რამეთუ მათ უკუეთუ ესრეთ ისწრაფეს ჩუენთჳს ბოროტისა თქუმად, ჩუენ რასა ღირს ვართ, რაჟამს სიტყუათაჲცა მათთა ვერ წინააღუდგებოდით? არა გესმისა მოციქულისაჲ, რასა იტყჳს, ვითარმედ: „მზა იყვენით სიტყჳს-მიგებად ყოველთა, რომელნი ეძიებდნენ თქუენგან სიტყუასა სასოებისათჳს თქუენისა?“¹ და კუალად იტყჳს, ვითარმედ: „სიტყუაჲ ქრისტესი დამკვდრებულ იყავნ მდიდრად თქუენ შორის“.² არამედ რასა იტყჳს უგუნურნო, ვითარმედ: „წერილ არს, ვითარმედ: სული წრფელი კურთხეულ არს“ და „რომელი ვიდოდის სიწრფოებით, ვალს იგი სასოებით“,³ რამეთუ ესე არს ყოველთა ბოროტთა მიზეზი, რომელ წამებასაჲცა წერილთასა არა კეთილსა ზედა იქმარებენ მრავალნი, რამეთუ არა თუ უსწავლელთა და უგუნურთა აკურთხევს წერილი, არამედ მას, რომლისა თანა უკეთურებაჲ არა იყოს. თუ არა, უკუეთუმცა ესრეთ იყო, ვითარ იგინი იტყჳს, ამო იყომცა სიტყუაჲ იგი, რომელი იტყჳს: „იყვენით ბრძენ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“.⁴ ხოლო ჩუენ, რომელთა არცა ერთი რამ კეთილი წარგვმართებია, ვითარ ვთქუათ ესე სიტყუაჲ, თუ: „წრფელნი ვართ“, რომელნი-ესე უუბადრუკეს ვართ ყოველთასა, მაბრალობელ ურთიერთას და ბრალთა ჩუენთა არა განმმართლებელ, არამედ აწ გვედრები, ნუმცა ოდენ თავთა ჩუენთა ვაბრალობთ, არამედ საქმენიცა სათნოებათანი მო-

¹ პეტ. 3,15

² კოლ. 3,16

³ იაკვ. 10,9

⁴ მათ. 10,16

ვიგნეთ, რაათა ცხორებამ ჩუენი სადიდებელად ღმრთისა იყოს და საუკუნომ დიდებამ ვპოვოთ, რომელსა ღირსმცა ვართ შიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებამ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი თ

ს ი ტ ყ უ ა ი ე ს ე: „ხვალისა დღე დგა კუალად იოვანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი. მიჰხედა იესუს, ვილოდა რაჲ, და თქუა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“. და ესმა მისი ორთა მოწაფეთა მისთა, იტყოდა რაჲ იგი, და შეუდგეს იესუს“ (1,35—37) თ ა რ გ მ ა ნ ი: ბუნებამ კაცთამ უღები არს და მოსწრაფე წარწყმედისა მიმართ, არა თუ თვთ ესრეთ დაბადებულ არს ღმრთისა მიერ, არამედ სიბოროტისათჳს ნებათა ჩუენთაჲსა. ამისთვის ფრიადი უკმს სწავლამ, რამეთუ ქუეყანაჲსან ერთგზის რაჲ მიიღის თესლი, შეყსეულად გამოიღის ნაყოფი. და არა უკმნ მეორედ თესვამ. ხოლო ჩუენ ნეტარ, თუმცა მრავალგზის რაჲ მოვილოთ და მაშინ გამოვილოთ ნაყოფი, რამეთუ პირველად ძნად შეიწყნარებს გონებამ სწავლასა ფრიადისა მისი სიცხარისა მისისა და მრავალთა ეკალთათჳს, რომელნი აშთობენ მას. და მერმე, რაჟამს შეიწყნაროს თესლი, მიერითგან ფრიადივე მოსწრაფებამ უკმს აღორძინებად, და კუალად რაჟამს აღორძინდენ, რაათა მტკიცედ ეგნენ, რამეთუ მრავალგზის სრულ რაჲ იქმნის ნაყოფი იგი, მოიწიის რამმე მის ზედა და ჯანხრწნის იგი. ხოლო ესე სიტყუანი არა ცუდად ვთქუენ, არამედ ამისთვის, რაათა რაჟამს გესმეს იოვანესი, ვითარმედ მათვე სიტყუათა იტყუს, არა ამაოდ მეტყუელად შეჰრაცხო იგი, არამედ რაათა სარწმუნოებით შეიწყნარო, რამეთუ მას ენება, რაათამცა ერთითა მით ოდენ თქუმითა ყოველთამცა ესმა, არამედ ვინაჲთგან არამრავალთა ისმინეს მისი ფრიადისა მისგან უღბებისა მათისა, ამისთვის მეორედცა განაღძებს მათ ვმითა თჳსითა, რამეთუ, იხილე, ვითარ იტყუს, ვითარმედ: „რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, პირველ ჩემსა იყო“, და ვითარმედ: „არა ღირს ვარ საბელსა ჯამლთა

მისთვის განჯსნად“. და ვითარმედ: „იგი ნათელს-სცემს სულითა წმიდითა და ცეცხლითა“. და ვითარმედ: „ვიხილე სული წმიდად გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა“ და წამა, ვითარმედ: „ესე არს ძმ ღმრთისაჲ,¹ და არავინ ისმინა მისი, არცა ვინ ჰკითხა, თუ: „ვისთვის იტყვ ამას?“ ხოლო მან კუალად თქუა, ვითარმედ: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“, და ესრეთცა არა მოვიდეს გულისხმის-ყოფად. ამისთვის აიძულა კუალად თქუმად მათვე სიტყუათა, რაათა სიტყუთა თვისითა, ვითარცა საჯნველითა, ფიცხელი იგი ქუეყანაჲ გონებათა მათთაჲ მოჯნას, და დასთესა მას შინა თესლი კეთილი. ამისთვისცა განაგრძობს სიტყუასა თვისსა, რამეთუ ერთი იყო მოსწრაფებაჲ მისი, რაათამცა ოდენ ქრისტე გულისხმა-უყო მათ. რამეთუ იცოდა, ვითარმედ უკუეთუ ოდენ იცნან იგი, არლარა იქმარონ სხვსაგან მისთვის სწავლაჲ. და ესრეთცა იქმნა, რამეთუ მი-რაჲ-ვიდეს მოწაფენი და ესმა მისგან ერთსა ოდენ მწუხრსა, არლარა მიიქცეს იოვანეს მიმართ. არამედ ესრეთ შეეყუნეს მას, რომელ საქმე იოვანესი მათ მიიღეს და ქადაგად გამოჩნდეს. რამეთუ ქუემორე იტყუს, ვითარმედ: „პოვა მან ძმაჲ თვისი სიმონ და ჰრქუა მას: ეპოვეთ ძესია, რომელსა ჰრქვან ქრისტე“.² იხილე, ვითარ იტყოდა რაჲ, ვითარმედ: „რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, პირველ ჩემსა იყო“; და ვითარმედ: „არა ღირს ვარ საბელსა ჯამლთა მისთვისა განჯსნად“, და არავინ მოვიდა გულისხმის-ყოფად. ხოლო რაჲამს განგებულებისა მისისათვის თქუა დღე სიმდაბლედ მოიყვანა სიტყუაჲ თვისი, მაშინ შეუდგეს მას მოწაფენი. რამეთუ არა ესრეთ შეიყუარებენ ღმერთსა კაცნი, რაჲამს საშინელებაჲ რაჲმე და სიმდიდრე ესმოდის მისთვის, ვითარ რაჲამს სახიერებაჲ და სიტკბოებისა სიტყუაჲ ესმოდის. რამეთუ ესმა რაჲ, ვითარმედ: „აღიხუნამს ცოდვათა სოფლისათა“, მეყსეულად შეუდგეს, ვითარმცა იტყოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ ცოდვათა განბანაჲ იქმნების, რად უდებ ვართ, ვინაჲთგან აქა არს უშრომელად განმწმედელი ჩუენი? არა უგუნურება არსა დროებაჲ?“ ისმინედ სიტყუაჲ ესე

¹ შტრ. იოან. 1,27—34

² იოან. 1,41

კოდვილთა, რომელნი ღღემდე სიკუდილისა სდროებენ მოქცევასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „დგა კუალად იოვანე, იხილა იესუ და თქუა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“ (1,35-36). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** არარას იტყვს ქრისტჳ, არამედ ყოველსავე იოვანე, რამეთუ ვითარცა სიძჳ არარას იტყვს, არამედ სხუანი იტყვან მისთვის და შეჰრთვენ მას სძალსა, და ვინაჲთჳნ შეირთოს იგი, მიერთგან არღარა არს შოვამდგომელი შორის მათისა, ეგრეთვე ქრისტჳ მოვიდა შეწყნარებად ეკლესიისა და თვთ ღუმნა, არამედ მეგობარმან მისმან იოვანე შეაწყნარნა მას სულნი კაცთანი და, შე-რაჲ-წყნარნა, მიერთგან ყოველსავე კეთილად განაგო მათთვის და საყდართა ნათ მიმართ მამულსა აღიყვანნა. ხოლო რაჲსათვს არა თვსაჲნ წარიყვანნა მოწაფენი თვსნი და ჰრქუნა მათ სიტყუანი ესე იოვანე, არამედ წინაშე ყოვლისა მის ერისა თქუა, ვითარმედ: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“. რამეთუ არარაჲ იყო კაცობრივი მის თანა, არაჲდ ყოველივე საღმრთოჲ, რამეთუ უკუეთუმცა თვსაგან ეთქუა მათდა და შეეწყნარნეს ქრისტჳსდა, ნუჟუჟე კუალად მისავემცა მიქცეულ იყვნეს. ხოლო აწ იგი ყოველთა შორის ჭადაგებდა და მათ თავით თვსით გამოარჩიეს მის თანა მისლვაჲ თვსისა სარგებელისათვს და არღა იოვანესთვის. რამეთუ წინაჲსწარმეტუელთა და მოციქულთა ყოველთა ჭადაგეს ქრისტჳ: რომელთამე — პირველ განკაცებისა და რომელთამე — შემდგომად ამაღლებისა, არამედ იოვანე ხოლო ჭადაგა იგი წინაშე პირსა მისსა. ამისთვის მეგობარ სიძისა ეწოდებინ მას, რამეთუ მან ყო დაწყებაჲ საქმეთა კეთილთაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და მიხედნა იესუს, ვიდოდა რაჲ იგი და თქუა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“ (1,36) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ არა კმითა ოდენ, არაჲდ თუალითაცა წამებდა და ისარებდა და მხიარულ იყო. და უკვრს ამას ადგილსა და ნიჰსა მას დიდსა, რომლისათვს მოვიდა უფალი და სახესა მას განწყმედისასა ჭადაგებს, ხოლო ტარიგი ამას ორსავე მოასწავებს. ხოლო თქუა, ვითარმედ: „აღიხუნა კოდვანი სოფლისანი“, არამედ არა ერთ ოდენ აღიხუნა, არამედ მარადის აღიხუნაჲს: არა თუ რაჲამს-იგი ჭუარს-ეცუა, მაშინ ოდენ აღიხუნა, არამედ მიერთგან ვიდრე აქამომდე მარადის განსწმედს, არა

თუ მარადის ჯუარს-ეცუმის, რამეთუ ერთგზის შეწირა ცოდ-
 ვათა ჩუენათვს მსხუერპლი, არამედ მარადის წმიდა-ჰყოფს
 ერთისა მის მიერ. რამეთუ ვითარცა სიტყუაჲ არს ღმრთისაჲ
 და არა კაცობრივი, არამედ ძმ ღმრთისაჲ, განშორებული
 კაცობრივისა ძეობისაგან და წინაჲსწარმეტყუელი, არამედ
 არა ვითარცა სხუანი და მწყემსი კეთილი, არა სხუათა მწყემ-
 სთა მსგავსი და ცხებული, არამედ არა ვითარცა სხუანი ცხე-
 ბულნი, ეგრეთვე ტარიგი არს ღმრთისაჲ, არამედ არა სხუათა
 ტარიგთა მსგავსი, გარნა ამხუმელი ცოდვათა სოფლისათაჲ.
 ხოლო რადსათვს არა მიმოვიდოდა შორის ჰურიასტანსა იოვა-
 ხე და ქადაგებდა, არამედ მდინარისკიდესა ოდენ დგა და
 ელოდა? და რადთამცა მოვიდა იგი და ესრეთმცა უჩუენა ყო-
 ველთა? ამისთვის, რამეთუ მოსწრაფებაჲ მისი ამას ზედა იყო,
 რადთა ოდენ საცნაურ-ყოს იგი და არწმუნოს მცირედთა
 ოდენ სმენად სიტყუათა მათ საუკუნოჲსა ცხორებისათა. ხო-
 ლო უმეტესი იგი და უზეშთაესი წამებაჲ მას დაუტევა: რადთა
 თავადმან აღასრულოს იგი საქმეთა მიერ, ვითარცა თავადი
 უფალი იტყვს, ვითარმედ: „მე კაცთაგან წამებასა არა მოვი-
 დებ, არამედ საქმენი, რომელნი მომცნა მე მამამან. იგინი
 არიან, რომელნი წამებენ ჩემთვის“. ¹ და იხილე, ვითარ ესრეთ-
 ცა უმჯობეს იყო, რამეთუ ვინაჲთგან მცირე ნაბერწყალი და-
 აგდო, მეყსეულად საჯმილი იგი აღეტყინა. რამეთუ, რომელ-
 ნი-იგი პირველ არა ისმენდეს სიტყუათა მათ, უკუანაჲსკნელ
 იტყოდეს, ვითარმედ: „ყოველი, რომელი თქუა იოვანე
 ძისთვის, ჭეშმარიტ იყო“. ² და მერმე კუალად, უკუეთუმცა
 მიმოვიდოდა და ქადაგებდა მას, ჰგონებდესმცა, ვითარმედ
 კაცობრივითა რადთმე მოსწრაფებითა იქმს საქმესა ამას,
 და არამცა სარწმუნოდ აქუნდა წამებაჲ მისი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა მისთა,
 იტყოდა რად იგი მას, და მისდევდეს იესუს (1,37) **თ ა რ გ-**
მ ა ნ ი : სხუანიცა იყვნეს მოწაფენი იოვანესნი, გარნა იგინი
 არა ოდენ არა შეუდგეს, არამედ მოშურნეცა იყვნეს მისა მი-
 მართ და იტყოდეს: „რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა

¹ შტრ. იოან. 5.34—36

² იოან. 10,45

წიად იორდანესა, რომელსა შენ ეწამე. აჰა, იგი ნათელ-სცემს და ყოველნი მივლენან მისა“, და კუალად დრტუნვიდეს, ვითარმედ „რამსათუხ ჩუენ ვიმარხავთო და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?“ ხოლო ესენი იყვნეს ყოველთა უმჯობეს და არარად ესევეითარი შეემთხვა, არამედ ვითარცა ესმა მისთვის, ძეყსეულად შეუდგეს მას. ხოლო შეუდგეს მას არა თუ, რამთამცა მოძღუარი შეურაცხ-ყვეს, არამედ უფრომსად, რამეთუ ჰრწმენა სიტყუად მისი. და ესმა რად, ვითარმედ იგი ნათელ-სცემს სულითა წმიდითა, შეუდგეს მას, რამთამცა ცნეს, თუ რად აქუს უმეტესი იოვანესა. და იხილე მოსწრაფებად მათი კრძალულებითურთ, რამეთუ არა მოუკდეს ძეყსეულად იესუს და ჰკითხეს მალალთა რათმე და დიდთა საქმეთათუა წინაშე ყოველთასა, არამედ ისწრაფეს თუსაგან სიტყუად მისა, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ მოძღურისა მათისა სიტყუანი ჭეშმარიტ იყვნეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „იყო ანდრია, ძმად სიმონისი, ერთი ორთაგანი, რომელთა ესმა იოვანესგან, და მისდევდეს მას“ (1,40) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამსათუხ მეორისა მისცა სახელი არა გუაუწყა, რამეთუ ვითენიმე იტყუან, ვითარმედ: თუთ იოვანე იყო მახარებელი, აღმწერელი ამის სახარებისად, რომელი შეუდგა? მაშინ ხოლო არად საჯმარ იყო ამას ადგილსა თქუამდ სახელისად მის, რამეთუ ანდრიაჲს სახელისა თქუამდ საჯმარიყო, რამეთუ ქუემორე უწოდს იგი ძმასა თუსსა. და კუალად რაჟამს გესმეს, ვითარმედ ჰრქუა იესუ სიმონ-პეტრეს: „შემობიდეგ მე და გყვნე თქუენ მონადირე კაცთა“.1 და მას არა უცხოდ აღუჩნდა სიტყუად ესე, რამთა სცნა, ვითარმედ მიელო სარწმუნოებად მისი პირველითგან ძმისა მისისაგან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მოიქცა იესუ და იხილნა იგინი, მი-რამსდევდეს, და ჰრქუა მათ: „რასა ეძიებთ?“ (1,38) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამის მიერ გულისკმა-გჰყოფ, ვითარმედ არა უსწრობს ღმერთი ჩუენთა განზრახვათა ნიჭითა თუსითა, არამედ, რაჟამს ჩუენ ვაწყოთ ნებებად კეთილისა, მაშინ იგი მრავალთა ნიჭთა მისთა მოჰყენს ჩუენ ზედა. „რასა ეძიებთ?“ რად არს სიტყუად ესე? რომელმან-იგი იცნის გულისზრახვანი კაც-

1 მათ. 4,19

თანნი და დაფარულთა მხედველ არს, იგი ჰკითხვიდაა? არა-
მედ არა თუ ამისთვის ჰკითხვიდა, რამთამცა ცნა (რამეთუ რად
უქმდა მას ამისთვის კითხვად?), არამედ ჰკითხნა, რამთამცა ეს-
რეთ უმეტეს მისცა კადნიერებაჲ. და ღირს-ყვნა სიტყუად და
გულნი მათნი მხიარულ-ყვნა, რამეთუ იყვნეს მისა უმეცარ და
უექუელად ჰრცხუენოდამცა სიტყუად, რამეთუ აქუნდა იგი
სიტყუსა მისგან მოძღუერისა მათისა, და ამისთვის ჰკითხნა,
რამთამცა დაჰქსნა შიში მათი და სირცხული და რიღობაჲ.
ხოლო მათ არა შედგომითა ოდენ, არამედ სიტყუთაცა მათითა
გამოაცხადეს სურვილი, რომელი აქუნდა მისა მიმართ, რამე-
თუ ვიდრე არარაჲ ასმიოდა მისგან, არცა ესწავა, მოძღუ-
რად უწოდდეს და მოწაფეთა თანა დააწესნეს თავნი მათნი
და უჩუენნეს, ვითარმედ ამისთვის შეგიდევით სწავლად კეთი-
ლისა შენ მიერ. ამისთვის არცა აღროეს, არცა თქუეს, თუ:
„ხვალე მოვიდეთ და ვისმინოთ“, არამედ ისწრაფეს მაშინ
სმენად მისგან, რამეთუ იყო მიმწუხრი ჟამი მათს. იხილე,
ვითარ უჩუენეს მოსწრაფებაჲ. მ სიბრძნე იგი ნეტართაჲ მათ
და სარწმუნოებისა სიმბურვალე! და ამისთვისცა ჰრისტემან
არა უთხრა სასწაული სახლისაჲ მის, სადა იყო, არამედ ჰრქუა:
„მოვედით და იხილეთ, თუ სადა ვიყოფვი“,¹ რამთამცა
უმეტესად მოიზიდნა და უჩუენამცა, ვითარმედ შეუწყნარე-
ბიან ივინი. და ამისთვის არცა ჰრქუა, თუ: „მოვედით ხვალე
და ისმინოთ“, არამედ, ვითარცა თუსთა მეგობართა და მეც-
ნიერთა ჰრქუა: „მოვედით და იხილეთ!“ ხოლო ვითარ იტყუს
სხუასა ადგილსა, ვითარმედ: „ქესა კაცისასა არა აქუს, სადამ-
ცა თავი მიიდრიკა“.² და აქა იტყუს, ვითარმედ: „მოვედით და
იხილეთ“, სადა ვიყოფვი, არამედ მუნ ამას მოასწავებდა, ვი-
თარმედ არა აქუს თუსი სახლი და ტაძარნი და არა თუ მას
მოასწავებს, თუ სახლსა შინა არა დადგებოდა. და დაადგრეს
უკუე მოწაფენი იგი მას ღამესა მის თანა და ისწავნეს მისგან
ერთსა ღამესა სწავლანი. ესრეთ, ვიდრელა გან-რამ-თენა, ორ-
ნივე სხუათა მასწავლებელ იქმნნეს.

¹ იოან. 1,39

² ლუკ. 9,58

**ვითარმედ ყოველივე ჟამი მარჯუე არს საღმრთოთა
სიტყუათა სმენად და რაითა ვივლტოდით მავნებელთა
ზრახვათაგან**

ამისთვის უკუე ვისწრაფოთ, რაითა ყოველივე საქმე ვარე-წარად გუაქუნდეს სმენასა თანა საღმრთოთა საქმეთა და სიტყუათასა, და ნუცამცა ერთი ჟამი გუაქუს უჟამოდ საქმისა ამისთვის, არამედ გინა თუ უცხოსა სახლსა ჭერ-იყოს მისლვამ, ანუ თუ უცნაურთა კაცთა თანა ზრახვამ, ნურარასმცა ზედა უღებ ვიქმნებით, რამეთუ თითოეულთა საქმეთა ამის სოფლისათა აქუნდინ თჳსი ჟამი. ხოლო სწავლისა საღმრთოთა ყოველივე ჟამი ჟამცა არს, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „შჯულსა უფლისასა ზრახვენ იგი დღე და ღამე“.¹ და ჰურიათა მოსე მარადის ამისი ქმნამ უბრძანა, რამეთუ რაოდენცა შევიდოდის საღმრთომ სწავლამ სულსა შინა, ესოდენცა განამტკიცებს და განანათლებს მას. ხოლო ჩუენ ამათა და ბოროტთა და სულისა მავნებელთა ზრახვათა ყოველი ჟამი ჟამად გუაქუს, და განთიად და შუადღე და მიმწუხრი და ღამით მას ვიქმთ და ადგილთა განვაწესებთ ცუდისა მის ზრახვისათა, ხოლო საღმრთომ სწავლამ უკუეთუ ერთ, ანუ ორგზის გუესმეს დღესა შინა, განვძლებით და მოგუეწყინების. რამ არს უკუე მიზეზი ამის საქმისამ? გარნა ესე, რამეთუ ბოროტად უძლურ არს სული ჩუენი და ბუნებითი გულისთქუმამ მისი, რომელი მისცა. დმერთმან გულისთქუმად კეთილთა საქმეთა და ჩუენ ბოროტთა მიმართ მივცვალებთ, და ამისთვის არღარა სურის სულიერისა მის საზრდელისათვს, ხოლო ესე დიდისა სენისა სასწაული არს, რაჟამს საზრდელისათვს არა სწადოდის.

და უკუეთუ კორციელად დიდისა სენისა სახმ არს, არა უფრომსად სულსა ზედა იყოსა ესრეთ, არამედ ვითარ შეუძლოთ დაქსნილსა მის განძლიერებად? გარნა ესრეთ ზედამს-ზედა წურთითა სიტყუათა მათ საწინამსწარმეტყუელოთა და სამოციქულოთა და სახარებისათა და სხუათა ყოველთა სწავ-

¹ ფს. 1.2

ლითა და მაშინ ვცნათ, ვითარმედ ფრიად უმჯობეს არს მათი ძილებამ, ვიდრეღა არაწმიდათა ქამადთა, რამეთუ ესრეთ უწოდ მე ყოველსა მავნებელსა და ცუდსა ზრახვასა. და მითხარღა, რამ უმჯობეს არს, რამთა უბანთა და ქალაქთა და ლაშქართა და ბრძოლათათს ვზრახვიდეთ, ანუ საქმეთათს ზეცისათა და, თუ რამ ყოფად არს ჩუენდა, გან-რამ-ვიდეთ ამიერ სოფლით, ანუ რამ უმჯობეს არს, რამთა მოყუსისა საქმეთა ვიტყოდით და მას ძვრსა უზრახვიდეთ, ანუ უკუეთუ ანგელოზთათს და სათნოებათათს ვიტყოდით, რომელი-იგი ჩუენდა სარგებელ არს ფრიად. არამედ იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ საღმრთოთა მათ საქმეთათს რაჟამს ერთგზის და ორგზის ვთქუათ, ყოველსავე აღვასრულებთ, და არღარამ გუაქუს სხუამ, რამ ვთქუათ, და მათვე სიტყუათა თქუამად გუეწყინების. ხოლო რამ არს ამათა მათ ზრახვათათს, ამას არა გულისხმა-ჰყოფთა? არამედ ყოველნი დღენი ცხორებისა თქუენისანი მას შინა წარაგენით, და ჳერეთ სიტყუათა მათ მავნებელთა და ცუდთა პირი ვერ აღასრულეთა? ხოლო რამ ვთქუა უძვრესთა მათთს საქმეთა, რომელნი მგოსანთა და ხუმართა და მოკიცხართა წარმოადგენენ ზრახვასა შინა მათსა და სასმენელთა თვსთა შეაგინებენ, სულთა განხრწნიან, გონებასა კაცობრივსა განაჳუებენ ბოროტთა მათ სიტყუათა მიერ და ყოვლისა ბოროტისა სახესა თვსთა გონებათა შინა შემოიკრებენ? ხატნი ბოროტნი გულთა შინა მათთა დაემკვდრებინ, მჳურვალეზამ სიძვისამ ჳორცთა მათთა შინა აღეტყინების, რაჟამს დედაკაცი მეძავი შორის შემოიყვანიან, და იტყვნ იგი სიტყუათა მათ ბილწთა და იქმნ სახეთა მათ ბოროტთა, იდუღებნ თუალთა, უფრომს მახვლისა აღლესულისა მომწყლველ სულისა არნ პირი მისი, თმანი მისნი ეშმაკისა მსგავს იყვნინ და ლაწუნი მისნი ეშმაკისაებრ მრავალღონე მავნებელ.

არამცა უკუე გევნოა ჩემთაცა სიტყუათაგან? არამედ ნუ გრცხუენინ თქუამად, რამეთუ ბუნებამ ჩუენი, ბოროტსა ზედა ძიდრჳილი, ეძიებს ესევითართა საქმეთა და სმენისაგანცა ევენების, არამედ უკუეთუ ჩემთა სიტყუათაგან და წმიდასა ეკლესიასა შინა მდგომარეთა სმენით ოდენ სავენებელ ჩანს სახე ამათ სიტყუათამ და ვსენებამ საქმეთამ მათ, რამ ყოფად

არს მათა, რომელნი ურცხვნიოდ პირსა მას ბოროტთასა ჰხედვენ? გარნა ნუუყუე თქუას ვინმე თქუენგანმან, ვითარმედ: „უყუეთუ, ვითარცა იტყუ, და ბუნებაჲ ჩუენი მას ეძიებს, ჩუენ რად გუაბრალობ?“ არამედ, არა თუ ბუნებასა თუთ აქუს სიყუარული ბოროტთაჲ, არამედ ჩუენ ვყავთ იგი ესრეთ. და მერმე დაღაცათუ ესე სუბუქირე ბრალი არს ჩუენ ზედა და არა დიდი, რომელ გულისთქუმაჲ გუაქუს ბოროტისაჲ, არამედ ხედვაჲ საქმეთაჲ მათ ნებითა ჩუენითა არს. და ამისთჳს ბევრეულთა ბოროტთა ღირს ვართ, რამეთუ ცეცხლისაგანცა დაწუვაჲ ბუნებითი არს, რაჲთა, უყუეთუ მივეახლნეთ, დავიწუნეთ, არამედ ბუნებაჲ იგი ვერ გუმძლავრობს, რაჲთამცა ცეცხლსა შთავცუვენით, უყუეთუ კულა შევიდეთ, ჩუენი არს ბრალი და არა ბუნებისაჲ. და ამისთჳს გევედრები, ნუ შთავსთხვეთ თავთა ჩუენთა ბოროტთა მათ შინა, ნუცამცა ნებსით შთავცუვით ცეცხლსა, რაჲთა არა უნებლიაჲთ შთავუყარნენ ცეცხლსა მას განმზადებულსა ეშმაკათჳს. ხოლო ღირსმცა ვართ ყოველნი განრომად ბოროტთაგან და მისლვად წიაღთა აბრაჰამისთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ი თ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: „პოვა მან პირველად ძმად თჳსი სიმონ და ჰრქუა მას: „ვპოვეთ მესია“, რომელ არს თარგმანებით ქრისტჳ, და მოიყვანა მან იესუჲსა“ (1,41-42). თ ა რ გ მ ა ნ ი: ღმერთმან დაჰბადა რაჲ დასაბამსა კაცი, არ უტევა იგი მარტოდ, არამედ მისცა მას შემწედ დედაკაცი, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ფრიადი სარგებელი იქმნებოდა ერთობისა მისგან, დაღაცათუ ქველისმოქმედებაჲ იგი დედაკაცმან მან ბოროტად იქმარა. არამედ უყუეთუ ბუნებაჲ ვინ გულისხმაცოს კეთილად, ფრიადი სარგებელი პოვოს ერთობისა მისგან. და არა ცოლსა ზედა და ქმარსა ოდენ პოვოს ესე სარგებელი. არამედ ძმანიცა თუ ვინ იყვნენ, ეგრეთვე არს. ამისთჳსცა

წინამწარმეტყუელი იტყვს, ვითარმედ: „რამე კეთილ, ანუ რამე შეენიერ, არამედ დამკვდრებაჲ ძმათაჲ ერთად“.¹ ამისთვისცა ქალაქები და დაბნეები აღეშენა, რაჲთა ერთბამად ვიყოფოდით არა ქორციელად ოდენ, არამედ წესითაცა და საკრველითა სიყუარულისაჲთა, რამეთუ ვინაჲთგან უძლურ ვართ და თუთოეული თავსა თვისსა ვერ აცხოვნებს, ამისთვის განაგო ღმერთმან, რაჲთა ურთიერთას შევეწეოდით და ნაკლულევანებჲსა ერთმანერთისასა აღვასრულებდეთ. მენება, რაჲთამცა განვაგრძვე სიტყუაჲ ამის პირისაჲ, რაჲთამცა გამოვაჩინე, თუ რაოდენსა ზედა სარგებელ არს ჩუენდა ერთობაჲ, არამედ სხუასა სიტყუასა. თქუემად ვისწრაფი, რომლისათვისცა ესე ყოველი ვთქუ. რამეთუ ანდრია დადგა რაჲ მას ღამესა ქრისტეს თანა და ისწავა, რაჲ-იგი ისწავა, არა დამალა შორის თავსა თვისსა საუნჯე იგი, არამედ მირბიოდა და მისცა ძმასაცა თვისსა კეთილთა მათგან, რომელნი თუთ მიეხუნეს, და ჰრქუა მას: „ვპოვე მესია“, რომელ არს თარგმანებით ქრისტე. ჰხედავა, თუ ვითარი სწავლაჲ ისწავა ერთსა ღამესა, რომელ იცნა ჭეშმარიტად ქრისტე? გამოაჩინა აწ აქა სიბრძნეცა იგი მიუწუდომელი მოძღურისაჲ, რომელმან ესრეთ დაარწმუნა ჭეშმარიტებაჲ, და გამოაჩინა თვისიცა გულსმოდგინებაჲ და ვითარმედ პირველითგან ამას ზრუნვიდეს და ამას მოელოდეს, რამეთუ ესე სიტყუაჲ სულისაჲ არს, რომელი მოელიან მოსლევასა მას მისსა აღრითგან, და იხილის რაჲ იგი, იხარებნ, რამეთუ აღესრულა მოლოდებაჲ მისი, და ახარებნ სხუათაცა. ესე არს განგებაჲ ძმათა კეთილთაჲ! ესე არს სულისა სიკეთე, რაჲჲმს ისწრაფდეს სხუასაცა სარგებელისათს!

იხილე პირველითგან კეთილი იგი და მორჩილი პეტრეს გონებაჲ, რამეთუ მეყსეულად ჰრწმენა და მივიდა იესუსა და მოიყვანა იგი ძმამან მისმან უფლისა, რაჲთა მან ყოველივე კეთილი ასწაოს მას და ასუას წყაროჲსა მისგან უკუდავებისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „მიჰხედა მას იესუ და ჰრქუა: „შენ ხარ სიმონ, ძე იონასის. შენ გეწოდოს კეფა, რომელი ითარგმანების კ ლ დ ე“ (1,42). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იწყებს აქა გამოჩინებად საქმეთა მათ ღმრთეებისათა და გამოცხადებად მისა

¹ ფს. 132,1

მცირედ-მცირედ წინააღმდეგობით, ეგრეთვე ნათა-
ნაელს ზედა ქმნა და კუალად დედაკაცსა მას ზედა სამარი-
ტელსა, რამეთუ არა უღარცს სასწაულთა განაკრვებენ
კაცთა სასწაულთა წინააღმდეგობებიანცა, რამეთუ სას-
წაულნი მრავალგზის ურწმუნო-ყვნეს და იტყოდეს, ვითარ-
მედ: „ბელზებულთა განასხამს ეშმაკთა“. ხოლო წინააღმარ-
მეტყულებისათვის არარაჲ სადა თქუმილ არს ესევეთარი.
პეტრეს და ნათანაელს ზედა უკუეთუ აჩუენა წინააღმარმეტ-
ყულებამ, ხოლო ანდრიას და ფილიპეს ზედა არა, რამეთუ
ანდრიას და მისთანასა მას აქუნდა სიმტკიცე იოვანეს წამე-
ბისაგან. და ფილიპეს კუალად ჰრწმენა, ჰხედვიდა რაჲ, მუნ
მღვდმარეთა ვითარ ჰრწმენა, არამედ პეტრეს უწინააღმარ-
მეტყუელა და ჰრქუა: „შენ ხარ სიძონ იონამსი“. საცნაურისა
მისგან უცნაური იგი სარწმუნო უყო მას, რაჲთა ცნას, ვი-
თარმედ, რომელმან სახელი მამისაჲ ცნა, არამცა ყოფადიცა
იგი იცოდაა? ესრეთ უკუე მარადის წინააღმარმეტყულება-
თა მიერ იდიდების ღმერთი. რამეთუ ესე საქმე მარადის
ღმრთისაჲ არს, რომლისაჲ ვერ ძალ-უც ეშმაკთა ბაძვად, და-
ლაცათუ ფრიად ისწრაფდენ სასწაულთათვის, ნუუკუედა იქ-
მოდინ უცნებითა, ხოლო წინააღმარცნობასა ყოლად ვერ
შემძლებელ არიან და, უკუეთუ სადა ქმნან, იქვთ და შეტყუ-
ვილით იქმან, ხოლო ჰეშმარითებაჲ არარაჲ იციან. ხოლო
პეტრე არარაჲ მიუგო უფალსა, რამეთუ ჯერეთ არა იცნობდა
მას კეთილად, რამეთუ ქრისტემანცა არა ჰრქუა ჯერეთ, თუ:
„მე გიწოდო კლდედ. ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ“,
არამედ: „შენ გეწოდოს კეფაო“. რამეთუ ჯერეთ სიმდაბლით
ეტყოდა და დიდსა მას კელმწიფებასა თვისსა არა გამოაჩი-
ხებდა. ხოლო რაჲმს კეთილად ასწავა ღმრთეებისა თვისისა
ძალი, მაშინ კელმწიფებით ეტყოდა: „შენ გეწოდოს კლდე
და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ“. და სიმონს უკუე
პეტრე უწოდა, რომელ არს კლდე, ხოლო ძეთა ზებედესთა
ძედ ქუხილისა, რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ იგა არს, რო-
მელმან ძუელსა შჯულსა შინა უწოდა სახელები: და აბრაამს
უწოდა აბრაჰამ და იაკობს — ისრაჲლ; და მრავალთა შობით-
გან უწოდა სახელები, ვითარ ისაკს და სამსონს და იოვანეს
და მრავალთა შემდგომად მშობელთა მიერ წამებისა, ვითარ-

ცა თავადსა ენება. და თვითსახე იყო მაშინ სახელები, ხოლო აწ ჩუენ ერთი გუაქუს ყოველთა სახელი უზეშოაესი ყოველისაჲ, რამეთუ ქრისტეანე გუეწოდების და შვილ ღმრთისა და მეგობარ უფლისა და გუამ ქრისტესა, რამეთუ კმა არს ესე სახელი უფროჲს მათ ყოველთა განფრთხობად ჩუენდა და მოკებად სათნოებათა.

ს ვ ა ვ ლ ა მ ი თ

რაჲთა კეთილად ვიკმარებდეთ სიმდიდრესა და არა ბოროტად

ნუმცა უკუე ვიკმთ საქმეთა უღირსთა ჩუენისა ამის სახელისათა, რომელთა-ესე ქრისტესად გუეწოდების, რამეთუ პავლე ესე ესრეთ გვწოდა, ვითარმედ: „თქუენ ქრისტესნი ხართო“. გულისხმა-ვყოთ სახელისა ამის სიმალლმ, რამეთუ უკუეთუ ვისმე მეფისად, ანუ ერისთვისად ეწოდებოდის, დიდად აქუს პატივად, რომელ მისად ეწოდების. მაშა, ჩუენ, რომელთა ზედა არა მეფისა და მთავრისა მიწისაგანისა სახელი წოდებულ არს, არცა ანგელოზისა და მთავარანგელოზისა, ანუ ქერობინისა, არამედ თავადისა ყოველთა მეუფისა ღმრთისაჲ, არა დავდვათა სული ჩუენი სიკუდილად. რაჲთა არა შეურაცხად გამოჩნდეს ჩუენი იგი სახელი? არა ჰხედავა, მკედართა მათ, გარემოჲს მეფისა მდგომარეთა, რაოდენი პატივი აქუს? ხოლო ჩუენ ღირს ქმნულ ვართ მახლობელ ქრისტესა ყოფად, არა ვითარცა-იგი მეფისა, არამედ ვითარცა გუამი მახლობელ არს თავსა, და არა ყოველით კერძო ჯერ-არს მოსწრაფებაჲ, რაჲთა მსგავს ქრისტესა ვიკმნნეთ? ხოლო უკუეთუ ქრისტეს ბაძვად გუნებავს, ისმინეთ, რასა იტყვს იგი, ვითარმედ: „მელთა ქურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადამცა თავი მიიდრიკა“. და ჯერ-იყო ჩუენდაცა ესრეთ ყოფად, არამედ რაჲთა ესე დაუტევო თქუენისა უძლურებისათვს და ვითხოვო თქუენგან სუბუქი საქმმ, რაჲთა არა ესრეთ ფრიად მო-

ყუარე იყვნეთ საფასეთა და, ვითარცა მე უძღურებისა თქუენისათეს სრულსა მას სათნობასა არა ვითხოვ თქუენგან, ეგრეთვე თქუენ განეშორენით ფრიადსა მას უკეთურებასა. და ხუ მონა მონაგებთა თქუენთა იქმნებით, არამედ უფალ მათდა იქმნენით. რამეთუ საკმარ ამისთვის ეწოდების საფასეთა, რაჲთა ვიკმარებდეთ; რამეთუ დამარხვამ მონისამ არს, ხოლო ექმარებამ — უფლისამ, არა თუ ამისთვის მოგუეცნეს საფასენი, რაჲთა დავკფლათ ქუეყანასა შინა, არამედ რაჲთა განუყოთ, რომელთა-იგი უკმდეს. და უკუეთუმცა უნდა ღმერთსა დაფლვამ ოქროსამ, არამცა მოვცა იგი კაცთადა, არამედ დაეტევამცა იგი სიღრმეთა შინა ქუეყანისათა, ხოლო მოგუცა იგი, რაჲთა ურთიერთას მივსცემდეთ. უკუეთუ კულა ექმარხვიდეთ მას, არღარა უფალ მისა ვართ, არამედ მონა. და უკუეთუ ამისთვის კმარხავ, რაჲთა განმრავლდეს, იხილე, რამეთუ ვაჭარნიცა განაბნევენ ოქროსა, რაჲთა უმეტესი შემოიკრიბონ, და ნავად შევლენ და შორთა ქუეყანათა წარვლენ, რაჲთა განაბნიონ ოქრომ მათი და უმეტესად შეიძინონ; და ჩუშაკნი განაბნევენ იფქლსა მიწასა შინა, რაჲთა მრავალწილად მოიღონ და შურებიან მას ზედა მრავალ ჟამ. ხოლო შენდა არცა ხავი საკმარ არს, რაჲთა უცხოთა ქუეყანათა წარხვდე, არცა შეუღლებამ კართამ მოცნვად ქუეყანისა, არცა ზრუნვამ წუმისათეს, ანუ შიში სეტყვსამ, გინა აღძრვამ ზღვსამ, ანუ შიში კლდეთაგან ზღვსათა, არამედ მას ვაჭრობასა და მუშაკობასა ერთი უკმს, რაჲთა განაბნიო საფასე და სხუამ ყოველივე მან მუშაკმან ქმნას, რომლისათეს იტყვს ქრისტემ, ვითარმედ: „მამამ ჩემი მუშაკი არს“. ვითარ უკუე არა ბოროტ არს, უკუეთუ ესე სადა უშრომელად მოგუეცემის, ყოველხივე ამას ზედა უღებ ვიყვნეთ, სადა-იგი ფრიადი არს შრომამ და ზრუნვამ და უცნაურ არს, თუ იქმნასა, თუ არა, და მუნ ყოველსავე მოსწრაფებასა ვაჩუენებთ? ნუ, გვედრები, ნუ ვართ ესრეთ უღებ ჩუენისა ცხოვრებისათეს, არამედ, სადა-ესე შრომამ არა ფრიად არს და სარგებელი მრავალ, მას ვეძიებდეთ, რაჲთა საუკუნეთა კეთილთა მივემთხუნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა კშუენის დიდებამ სულთი წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: „ხვალისაგან უნდა განსლვად გალი-
ლელად, და პოვა ფილიპე და ჰრქუა მას: „მომდევდი მე“, ხო-
ლო იყო ფილიპე ბეთსაილით ქალაქისაგან ანდრიაჲსა და
პეტრესა“. თ ა რ გ მ ა ნ ი: იტყუს უფალი, ვითარმედ:
„ყოველი რომელი ეძიებდეს, პოვოს“. და ამისთვისცა
პოვა ფილიპე მოწფობაჲ ქრისტესი, რამეთუ, ვინამთგან
ანდრიას იოვანეს მიერ ასმიოდა, ხოლო პეტრეს ანდრიაჲსგან,
არამედ ამას არავესგან ასმიოდა, გარნა ოდეს ესმა უფლისა
სიტყუაჲ, და მესესეულად შეუდგა და ქადაგ მისა იქმნა, და
ხათანაელ მოაქცია, რამეთუ ჰრქუა მას, ვითარმედ: „რომელი
დაწერა მოსე შჯულსა შინა და წინამსწარმეტყუელთა, ვპო-
ვეთ“. იხილეა, ვითარი სული აქუნდა, რომელი მარადის იწურ-
თიდა სიტყუათა შჯულისათა? ხოლო საკურველ არს ანდრია-
ჲსთვის და პეტრესთვის და ფილიპესთვის, და არა ესე ოდენ, რო-
მელ პირველ სასწაულთა ხილვისა ჰრწმენა, არამედ ესეცა,
რომელ ესევეთარისა უსწავლეღისა ადგილისა, რომლისათვის,
იტყუს, ვითარმედ: „გალილიამთ წინამსწარმეტყუელი არა აღდ-
გომილ არს“. და იგინი ესევეთარნი გამოჩნდეს მუნით, გარნა
აქაცა ქრისტემან თვისი ძალი გამოაჩინა, რამეთუ ესევეთარისა
უნაყოფოჲსა ქუეყანისაგან ესევეთარნი მნათობნი გამოაჩინნა.
ხოლო ვინაჲ ცნა ფილიპე, თუ ესე არს ქრისტე? მე ვპვონებ,
ვითარმედ პეტრეს და ანდრიაჲს მიერ ესწავა. და ამისთვისცა
ადრე შეუდგა, ხოლო იტყუს მახარებელი დაბასაცა მისსა,
რამთა სცნა, ვითარმედ უძღურნი სოფლისანი გამოირჩინა
ღმერთმან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „პოვა ფილიპე ნათანაელ და ჰრქუა მას:
„რომელი დაწერა მოსე შჯულსა და წინამსწარმეტყუელთა,
ვპოვეთ: იესუ, ძე იოსებისი, ნაზარეთით“ (1,45). თ ა რ გ-
მ ა ნ ი: ვინამთგან ნათანაელ შჯულისმეცნიერი იყო და ჰემ-
ძარტიჲსა მეძიებელი, ვითარცა ქრისტე წამებს, ამისთვის შჯუ-
ლი და წინამსწარმეტყუელნი მოიყვანნა ფილიპე მოწამედ,
რამთამცა ესრეთ დაარწმუნნა, ხოლო უკუეთუ ძედ იოსებისა
თქუა, ნუ შეშფოთნები, რამეთუ ჯერეთ საგონებელ იყო, ვი-
თარმედ ძმ არს იოსებისი, ხოლო ვითარცა-იგი ანდრია

ჰეტრეს ძლიერად ვერ უქადაგებდა, არამედ ქრისტეს მიმართ შოიყვანა იგი, ეგრეთვე ფილიპე ქმნა, თუ ვითარ-იგი არს ქრისტე, ანუ თუ ვითარ ქადაგეს წინააღმართულებითა, არა თქუა, არამედ ოდენ ისწრაფა, რაათამცა მოიყვანა იგი ქრისტესა, რამეთუ იცოდა, ვითარმედ უკუეთუ ესმეს მას სწავლამ მისი, არლარა განეშოვროს მისგან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „და თქუა ნათანაელ: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაასმე ყოფად?“ პრქუა მას ფილიპე: „მოვედ და იხილე“. იხილა რაა იესუ ნათანაელ, მიმავალი მისა, და თქუა მისთვის: „აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიტელი, რომლისა თანა ზაკუვამ არა არს“ (1,47). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვიხაფიან თქუა, ვითარმედ: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაასმე ყოფად?“ ამისთვის აქებს მას. და არა უფროდსად ბრალობამ ჯერ-იყო, არამედ არა, რამეთუ ნათანაელ არა თუ უკეთურებით და ურწმუნოებით თქუა სიტყუამ იგი, არაჰედ ვინაფიან შჯულისმეცნიერი იყო და აღმოეკითხა წერილთა შინა, ვითარმედ: „ბეთლემს შობად არს ქრისტე“. და ესმა, ვითარმედ: „ნ ა ზ ა რ ე თ ი თ“, ამისთვის დაუკერდა. არამედ იხილე მისი სიკეთე, რამეთუ არა პრქუა ფილიპეს, ვითარმედ: „მაცთუნებ და შენ ცთომასა შინა ხარ“, არამედ აღდგა და შეუდგა, რაათამცა ისწავა ჭეშმარიტი და, რომელ-იგი არა შეიწყნარა ნაზარეთით მოსლვამ მისი, ამით წინააღმართულებით სიტყუასა ზედა მტკიცეობამ გამოაჩინა და, რომელ მოვიდა ფილიპეს თანა, ამით კუალად სურვილი თვისი გამოაცხადა, რომელ აქუნდა ქრისტეს მოსლვისათვის, რამეთუ გულისხმა-ყო, ვითარმედ ნუუკუედა ბეთლემს შობილი არს, და ფილიპე არა იცის. ხოლო იხილე, ვითარ სიტყუამცა მისი სიბრძნით არს, რამეთუ არა თქუა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს, თუმცა ნაზარეთით კეთილი რამე იქმნა“, არამედ კითხვისსახედ და სიმშვიდით პრქუა, ვითარმედ: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილი რამე ყოფად?“ ხოლო იხილე ფილიპესიცა სიბრძნე, ვითარ რაჟამს იხილა, ვითარმედ არა პრწმენა, არცა განეშორა მას, არამედ დაადგრა, ვიდრემდის მოიყვანა და პირველითგანვე აჩუენებდა სიმტკიცესა მას, რომელი ჰშუენოდა მოციქულთა. ხოლო იესუ იხილა რაა ნათანაელი, თქუა: „აჰა, ჭეშმარიტად ისრაელიტელი“, რა-

შეთუ არს მტყუვარიცა ისრაიტელი. ხოლო იგი არა ესრეთ იყო, რამეთუ თუალუხუავ იყო საშჯელი მისი და ჭეშმარიტად არა ვითარცა ჰურიათაჲ, რომელთა პირველ ხილვისა მისისა თქუეს, ვითარმედ: „ბეთლემს იშვების ქრისტჲ“, და იხილეს რაჲ იგი, თქუეს შურისა მისგან ფრიადისა, ვითარმედ: „არა ვიცითო, თუ ვინაჲ არს“.

ხოლო ამას პირველ ხილვისაცა და შემდგომად ხილვისა ერთი კეთილისა მეძიებელი გონებაჲ აქუნდა და ცნა, ვითარმედ არა ნაზარეთს შობილ იყო, არამედ ნაზარეველ შუნ აღზრდისა მისთვის ეწოდა, ხოლო ქრისტემან არა ჰრქუა მას, ვითარმედ: „არა ნაზარეველ ვარ“, ანუ თუ: „ბეთლემს შობილ ვარ“, რამეთუ სხუანიცა მრავალნი შობილ იყვნეს ბეთლემს და არა ქრისტე იყვნეს, არამედ უფალმან სხუთა სახითა უჩუენა, ვითარმედ ჭეშმარიტად იგი არს ქრისტჲ, რამეთუ თქუა რაჲ ნათანაელ, თუ „ვინაჲ მიცი მე?“ მიუგო იუსუ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „პირველ ფილიპეს კმობადმდე შენდა, იყავ რაჲ ლელუსა ქუეშე, გიხილე შენ“ (1,48) თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილე კაცი მტკიცე და დაწყნარებული, და არა აღზუავნა ქებისა მისგან, არამედ იწყო კითხვად, რაჲთამცა ცნა, თუ ვინაჲ იცნობს მას. და ჰკითხვიდა იგი, ვითარცა კაცსა, ხოლო იესუ მიუგო მას, ვითარცა ღმერთმან, ვითარმედ: „პირველ ფილიპეს კმობადმდე გიხილე შენ ლელუსა ქუეშე, რამეთუ არავინ იყო მათ თანა, იტყოდეს რაჲ ფილიპე და ნათანაელ და უფალმან ჰრქუა მას ადგილიცა და ხმ და ძალი ფილიპეს სიტყუათაჲ, რაჲთა ესრეთ გულისხმა-ყოს, ვითარმედ ჭეშმარიტი ღმერთი არს, რომლისათვისცა გულისხმა-ყო, ვითარმედ იგი არს უეჭუელად ქრისტე წინამწარმეტყუელებისა მისთვის, დაფარულთა ცნობისა მისისათვის განიხარა და აღიარა და თქუა: „რაბი, შენ ხარ ძჲ ღმრთისაჲ? შენ ხარა მეუფჲ ისრაჲლისაჲ?“ იხილეა სული მოხარული საქმესა ზედა: „შენ ხარო, რომელსა გეძიებდი მარადის?“ იხილეა ჭეშმარიტებაჲ მისი და სიყუარული ღმრთისაჲ?

რამთა არა სიტყვთ ოდენ, არამედ საქმითცა
გუყუარდეს ღმერთი

ეგრეთვე უკუე ჩუენდაცა ჯერ-არს სიხარული, რამთა ღირს ვიქმნნეთ ცნობად ძისა ღმრთისა, ხოლო სიხარული არა გონებითა ოდენ ჯერ არს, არამედ საქმითაცა, რამთა მცნებათა მისთა ვიქმოდით, და უკუეთუ განვარისხებდეთ მას, ვინაჲ გამოჩნდეს, თუ გვხარის მისთვის. არა ჰხედავთა, ვითარ, რაჲჲმს მეგობარი ვინმე მოვიდის ჩუენდა და გვხაროდის მისთვის, ვისწრაფდით ყოვლით კერძო ნებისა მისისა აღსრულებად; ხოლო უკუეთუ ნებასა მისსა არა აღვასრულებდეთ, დაღაცათუ ბევრეულგზის ვიტყვთ, თუ გვხარის მოსლვისა მისისათვის, არა ჰრწამს მას სიტყუად იგი. ეგრეთვე, უკუეთუ გამოვაჩიხოთ, ვითარმედ ჰეშმარიტად გვხარის მოსლვად მისი, და ნუმცა რას ზედა განვარისხებთ მას, შევამკოთ სახლი იგი, რომელსა შინა შემოვალს, წარმოუდგათ სერი, რომელი მას ჰხედავს. ხოლო რაჲ არს სერი იგი, მან თავადმან თქუა, ვითარმედ: „ჩემი ჰამადი ესე არს: რამთა ექმნე ნებაჲ მომავლიხებელისა ჩემისაჲ“. ვიხილოთ თუ მშვიერი, გამოვზარდოთ იგი და უკუეთუ—წყურთიელი, ვასუათ მას. დაღაცათუ მცირე იყოს და უნდო მიცემად ჩუენი, შეიწირავს იგი გინა თუ გრილსა წყალსა, ანუ თუ ორთა წულილთა, რამეთუ ვინაჲთგან არა ექმარების მას, ამისთვის არცა ეძიებს ფრიადსა, არამედ სიკეთისა გონებისასა. ოდენ გამოვჩინოთ, ვითარმედ გუყუარს იგი და გვხარის მოსლვად მისი. ვიხილოთ, თუ ვითარ არს იგი ჩუენდა მომართ, რამეთუ სული მისი დაღვა ჩუენთვის და შემდგომად ამისა ჩუენვე გუთხოვს. და უკუეთუ მის მიერ მოცემული მას მივსცეთ, ვითარმცა ჩუენი მიგუეცა, ეგრეთ შეიწყნარებს. ვიცი, ვითარმედ ყოველნი ჰრისტეანენი იტყუან, ვითარმედ: „ვის არა უყუარდეს იგი?“ და სიტყუთა და გონებითა არავინ უარ-ჰყოფს მას, არამედ არა სიტყვთ ოდენ ჯერ-არს სიყუარული, რამეთუ უკუეთუ სიტყვთ ვიტყოდით, თუ: „გუყუარს“, და საქმით არა ვიქმოდით, ესე კიცხევად არს არა თუ ღმრთისაჲ ოდენ, არამედ კაცთაჲცა, არამედ საქმით.

ვაჩუენოთ სიყუარული მისი, რადთა მანცა აღგუარნეს მას ღღესა, რაჟამს წინაშე მამისა თუსისა აღგუარებღეს ღირსთა. რამეთუ მისი არს ღიდღებაჲ თანა მამით და სუღით წმიდღი-თურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამღე, ამენ.

თ ა ვ ი ა ა

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: „მიუგო ნათანაელ და ჰრქუა: „რაბი, შენ ხარა ძმ ღმრთისაჲ? შენ ხარა მეუფც ისრაჲლისაჲ?“ მიუ-გო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ: „გარქუ შენ, ვითარმედ გიხიღე ქუეშე ღელუსა, და გრწამს, უფროდსი ამათსა იხიღო“ (1,49—50) თ ა რ გ მ ა ნ ი: ფრიადი მოსწრაფებაჲ გვკმს ჩუენ, საყუარელნო, რადთა სიღრმც წმიდათა წერიღთაჲ გუღისხმა-გყოთ, რამეთუ ესრეთ უშრომელად არა იქმნების გუღისხმის-ყოფაჲ მათი, არამედ გვკმს ღოცვაჲ მკურგალც და მოსწრაფებაჲ ღიღი, რადთა გუღისხმა-გყვენთ სიტყუანი იგი. რამეთუ, აჰა, ესერა, ღღესცა არა მკირე საძიებელი აღ-ძოვიკითხეთ, თუ ვითარ თქუა რად ნათანაელ, თუ: „შენ ხარ ძმ ღმრთისაჲ?“ ქრისტემან მიუგო, ვითარმედ: „რომელ გი-ხიღე შენ ღელუსა ქუეშე, გრწამს ესე, უფროდსი ამათსა იხი-ღო“. ხოლო რად არს ამის სიტყუსა საძიებელი? რამეთუ პეტრე შემღგომად ესოღენთა სასწაულთა ხიღვისა თქუა რად, ვითარმედ: „შენ ხარ ძმ ღმრთისაჲ“. ჰნატრის მას უფალი, ვი-თარმედ: „მამისა მიერ მოიღე გამოცხადებაჲ ეგე“. ხოლო ხათანაელ პირველ სასწაულთა ხიღვისა და ყოვღისავე სწავ-ღისა ესევე თქუა და არარად ესევეითარი ჰრქუა მას ქრისტე-მან, არამედ ვითარმცა არარად ეთქუა, ესრეთ უწეშთაესისა შიმართ აწუეგს მას ქრისტც. რად არს ამისი მიზეზი? გარნა ესე, რამეთუ სიტყუანი ამისნიცა და პეტრესნიცა ერთ იყვნეს, ხოლო გონებითა არა ერთითა თქუეს, არამედ ამან სხუთა გონებითა თქუა და მან — სხუთა. და პეტრე აღიარა იგი ძედ ღმრთისა, ვითარცა ჰეშმარითი ღმერთი, ხოლო ესე ჳერეთ, ვითარცა კაცსა, ჰხედვიდა მას, ამისთუსცა შესძინა, ვითარ-მედ: „შენ ხარ მეუფც ისრაჲლისაჲ“, ხოლო ძმ ღმრთისაჲ არა ისრაჲლისაჲ ოღენ, არამედ ყოვღისა სოფღისაჲ და ყო-

ველთა დაბადებულთაჲ მუჟღჳ არს. რამეთუ პეტრჳს სარწმუნოებაჲ სრული იყო, ამისთვისჳ ჰრქუა ჳრისტემან, ვითარმედ: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ“. ხოლო ამას რაძეთუ ჳურეთ ფრიად აკლდა საზომისაგან სარწმუნოებისა, ამისთვისჳა შემდგომი იგი შესძინა და თჳუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „რამეთუ გარჳუ შენ, ვითარმედ: „გიხილე შენ ჳუეშე ლელუსა“, და გრწამს, უფრომსი ამისა იხილო. და ჰრქუა მას: „ამენ, ამენ გეტყუ თჳუენ: ამიერთგან იხილნეთ ცანი განხუშულნი და ანგელოზნი ჳმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა ზედა კაცისასა“ (1,50-51).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა, რამეთუ აღმალლებს მას ჳუეყანიო და ასწავებს, რადთა არა კაცად შეჳრაცხოს იგი? რამეთუ რომელსა ანგელოზნი ჰმსახურებენ, ვითარმცა იყო იგი კაცი? ამისთვისჳ თჳუა, ვითარმედ: „უფრომსი ამისა იხილო“, რომელ არს ანგელოზთა მსახურებაჲ. ხოლო სიტყუაჲ ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „დიდად გაჳუს ესე, შ ნათანაელ, და ამისთვისჳ შეუფედ ისრაჳლისა მიწოდე, ხოლო, რაჳამს იხილო ანგელოზთა აღსლვაჲ და გარდამოსლვაჲ ჩემ ზედა, მაშინ რად ჳყო?“ რადთამცა ესრეთ დაარწმუნა, რადთამცა მეუფედ ანგელოზთა აღიარა იგი, რამეთუ მარადის მოვიდოდეს იგინი შისა, ვითარცა მონანი ჳამსა მას ჳუარს-ცუმისასა და აღდგომისა და ამალღებისასა, და რაჳამს იყო უდაბნოს და ჳამსა მას შობისასა, და სხუაჲ მრავალგზის. ხოლო ამათ სიტყუათა მიძართ ნათანაელ არარაჲ მიუგო, ამისთვისჳა ჳრისტემან აჳამომდე ყო სიტყუაჲ თვისი და დაუტევა, რადთა თვისაგან გულისხმა-ყოს მან ძალი მათ სიტყუათაჲ, რამეთუ: „ჳუეყანასჳ კეთილსა შინა დასთესა თესლი და დაუტევა, რადთა აღმოცენოს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „ხოლო მესამესა დღესა ჳორწილი იყო კანას გალილეამსასა. და იყო დედაჲ იესუმსი მუნ. და მიხადეს იესუს და მოწაფეთა მისთა ჳორწილსა მას“ (2,1-2).

თ ა რ გ მ ა ნ ი: სხუასა ჳამსა მითჳუამს, ვითარმედ გალილევას შინა მეცნიერ იყო იგი, ამისთვისჳა მიჳხადეს იგი ჳორწილსა მას. ხოლო არა თუ რადმე მალლით გულისსიტყუაჲ აჳუნდა მისთვისჳ, არამედ, ვითარცა ერთი მრავალთაგანი, და, ვითარცა მეცნიერი, მიჳხადეს, ხოლო მან არარაჲ უღირს-იჩინა, რომ-

შელმან — იგი ხატი მონებისაჲ შეიმოსა და მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჯდის, რამეთუ მარადის ჩუენსა უმჯობესსა განაგებდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და ვითარცა მოაკლდა ღუნოჲ. ჰრქუა იესუს დედამან მისმან: „ღუნოჲ არს აქა“ (2,3). **თ ა რ - გ მ ა ნ ი :** ვიდრე ნათლისღებამდე უფალსა სასწაულთა არარაჲ უქმნიეს, არამედ მიერიტგან იწყო სასწაულთა, რამეთუ სიყრმესა მისსა სხუაჲ არარაჲ ექმნა საკრველი, გარნა ვითარცა ლუკა იტყუს, ოდეს-იგი ჯდა შორის მოძღუართა ათორმეტისა წლისაჲ და ასწავლიდა და ისმენდა სწავლასა, თუ არა სხუაჲ არცა ერთი რაჲ უქმნიეს, ამისთვისცა უცნაურ იყო ყოველთა მიერ. ხოლო უკუეთუმცა პირველითგან სასწაულთა იქმნოდა, არამცა უცნაურ იყო, ვითარცა-იგი, რაჲჲმს იწყო ქმნად სასწაულთა, განჯდა სახელი მისი მცირედსა ჟამსა მას შინა ყოველსა ასურეთსა, არამედ უჯერო იყო მრავლითა სახითა პირველითგან ქმნაჲ სასწაულთაჲ, რამეთუ ურწმუნოცა მრავალნი იქმნებოდეს, ვითარცა-იგი უკუანამსკნელ იქმნნეს, არამცა უფრომსად სიყრმისა მისისათვის ურწმუნო იქმნნეს და ჯუარცუმაჲ ადრე ქმნულ იყო, რომელი-იგი არა ჯერ-იყო, არამედ უფალმან სიბრძნითვე ნათლისღებამდე არცა ერთი რაჲ ქმნა სასწაული, ამისთვის უცნაურ იყო. ხოლო დედასა მისსა აქუნდა მეცნიერებაჲ დიდებულებისა მისისაჲ მუცლად-ღებისა მიერ დიდისა მის და საკრველისა და ქადაგებისაგან იოვანესისა. და რამეთუ ჟამი იყო გამოცხადებისა მისისაჲ, ამისთვის ჰრქუა აქა ვედრებით, ვითარმედ: „ღუნოჲ არა არს“, რაჲთამცა ესრეთ გამოცხადნა დიდებაჲ ძისა მისისაჲ. ამისთვისცა უფალმან ჰრქუა: „რაჲ არს შენდა და ჩემდა, დედაკაცო? არლა მოწვევულ არს ჟამი ჩემი“. ხოლო არა თუ დედასა თვისსა შეურაცხ-ჰყოფდა და ამისთვის ეტყოდა ესრეთ, — ნუ იყოფინ! — არამედ, რაჲთამცა ასწავა კეთილად ძალი თვისი, თუ ვინ არს, ანუ ვითარ ჯერ-არს კრძალვაჲ და პატივი მისი. და რაჲთა არა აქუნდეს, ვითარცა სხუათა დედათა ძენი თვისნი, და, რამეთუ სადა არა ჯერ-არს, არა უსმინოს, ვითარცა-იგი რაჲჲმს შორის ერსა იყო და ასწავებდა, და მოვიდეს, და ეძიებდეს მას, და თავად-მან თქუა, ვითარმედ: „ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ვინ არიან

ძმანი ჩემნი?“ რამეთუ უფალი მარადის უმჯობესსა ყოველ-
თასა განაგებდა და კუალად ამისთვისცა ურჩ ექმნა ამას
ადგილსა, რამეთუ არა ენება, რაათა დედისა თვისისა სიტყვაჲ
ქმნას სასწაული იგი, რაათა არა იკუთუელ იქმნას მრავალ-
თაგან, არამედ ელოდა, რაათამცა სახლისა უფალნი იგი ვევედ-
რნეს, რაათა ესრეთ უეკუთუელ იყოს საქმე იგი და საქებელ და
ამის ყოვლისათვის უკუე მიუგო ესრეთ დედასა თვისსა, რაათა
მასცა ასწაოს ჳეროვანი საქმე, და რაათა სასწაულნი ჳერისა-
ებრ იქმნებოდინ.

ს ვ ა ვ ლ ა დ კ ა

**ვითარმედ ჳერ-არს სათნოებისა მოგებაჲ, და ვითარმედ
მშობელთა სიწმიდე ჩუენ არას გუერგების**

ხოლო შენ ესე ყოველი გულისხმა-ყავ და კუალად რაჳამს
გესმეს, ვითარმედ: „დედაკაცმან ვინმე ღალად-ყო: „ნეტარ
არს მუცელი, რომელმან გიტურთა შენ, და ძუძუნი, რომელ-
თა სწოვდ“. და უფალმან თჳუა: „არამედ ნეტარ არიან, რო-
მელთა ქმნან ნებაჲ მამისა ჩემისაჲ“. გულისხმა-ყავ, ვითარმედ
ესრეთ იტყვს, თუ: უკუეთუმცა არა იყო იგი თვთ ჳეშმარო-
ტად ღიდ და წმიდა და შემკულ ყოვლითა სათნოებითა, ჩე-
შიმცა შობაჲ არასვე ერგო. და უკუეთუ მარიამის ღმრთის-
მშობელისაჲ ესრეთ არს, ნულარამცა ვინ იქადის ჩუენგანი.
ვითარმედ: „ანუ ძმ მივის წმიდაჲ, ანუ მამაჲ, ანუ ძმაჲ, ანუ
სხუაჲ რაჲმე“. რამეთუ უკუეთუ ჩუენ არა შემკულ ვიყვნეთ
სათნოებითა, არა ვინ გუერგოს ჩუენ მას ღღესა, გარნა სათ-
ნოებანი და სასოებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ უფლისაცა ნათე-
ნაენი იყვნეს მრავალნი, თვისნი იგი დედისა მისისანი, არამედ
არცა თუ სახელები ვიციით მათი, ხოლო მოციქულნი არა მის-
ნი ნათესავნი იყვნეს, არამედ სათნოებისა მათისათვის ესრეთ
ღიდად გამოჩნდეს.

და ჩუენცა უკუე ნუმცა ვზუაობთ სიწმიდესა ზედა ნათე-

სავთასა, არამედ ჩუენ თვთ ვისწრაფოთ, რაჲთა სათნო ღმრთისა ვიქმნნეთ, რამეთუ ესე უფროჲსად დასაშჯელ არს, უკუეთუ მამა გუესუას წმიდაჲ, ანუ ძმ, ანუ ძმაჲ, და ჩუენ უკეთურნი ვიყვნეთ. ხოლო ამას ყოველსა ვიტყუ ამისთვის, რამეთუ მრავალთა უღებთა რაჲთამს ვინ ასწავებდეს სათნოებისათს, იტყუან, ვითარმედ: „მამა ჩუენი და პაპი და ძმაჲ წმიდანი კაცნი იყვნეს“. ხოლო მემცა ვარქუ მას, თუ: „უბად-რუკო, ესე არს უფროჲსად დასაშჯელ შენდა, რომელ ესევე-თარნი სახენი სათნოებისანი გაქუნდეს, და შენ არა ჰბაძევიდი, რამეთუ მარადის მშობელთა სათნოებაჲ დასაშჯელ არს უღებთა შვილთა, ვითარცა იტყუს წინამსწარმეტყუელი ყუ-ედრებით ისრაჲლისათს, ვითარმედ: ცოლისა მიერ ჰმონა ისრაჲლმან და ცოლისა მიერ დაიცვა სიწმიდმ“. და უფალქ იტყუს: „აბრაჰამ, მამამან თქუენმან, განიხარა, რაჲთა იხილოს ღმრთე ჩემი“. ხოლო ჩუენ, რომელთა ესე ყოველი უწყით, ვისწრაფოთ, რაჲთა ჩუენითა სათნოებითა სათნო ვეყვნეთ ღმერთსა, რაჲთა არა ვესვიდეთ სხუათა სათნოებასა და მაშინ ვცნათ, ოდეს არლარა გუერგოს. რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „ჯოჯოხეთს შინა ვინმე აღგიაროს შენ?“ არამედ აქავე შევინა-ხოთ, რაჲთა საუკუნენი კეთილნი ვპოვნეთ, რომელთა ღირს-მცა ვართ მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფ-ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰმუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი კ ბ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: „რაჲ არს შენდა და ჩემდა, დედა-კაცო? არლა მოწევნულ არს უამი ჩემი“ (2,4). თ ა რ გ მ ა - ნ ი: აქუს მოძღუარებასაცა მრავალი შრომაჲ, არამედ ამის 'შრომისა თქუენ უფალ ხართ, რაჲთა ანუ დაგვძიმოთ, ანუ აღგვსუბუქოთ, რამეთუ უკუეთუ თქუენ გარემიაქცევდეთ სიტყუათა ჩუენთა და არა აღასრულებდეთ მათ საქმით, დაამ-ძიმებთ შრომასა ჩუენ ზედა. უკუეთუ კულა კეთილად აღას-რულებდეთ სიტყუათა ჩუენთა, არა შრომად, არამედ სინა-

რულად გუაქუს საქმე იგი, რაჟამს ვხედვიდეთ ნაყოფსა სიტყუათა ჩუენთასა. აწ უკუეთუ გუნებავს, რაჟთა არა საწყისოდ გუაქუნდეს საქმე ესე, გკრუენეთ ხაყოფი სიტყუათა ჩუენთამ, რაჟთა შემდგომსაცა სინარულით აღვასრულებდეთ. რამეთუ არა მცირე საძიებელი გუაქუს დღესცა, ვითარმედ დედამან უფლისამან ჰრქუა მას, ვითარმედ: „ღნომ არა აქუს?“ და თავადმან მიუგო: „რაჟ არს შენდა და ჩემდა. დედაკაცო? არლა მოწევნულ არს ჟამი ჩემი“. და მერმე იგივე საქმე-ქმნა, რაჟ-იგი დედამან მისმან ჰრქუა. ხოლო რაჟ არს სიტყუამ ესე, რომელ არა აქა ოდენ თქუმულ არს, არამედ სხუათაცა ადგილთა, რამეთუ იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „ვერ შეიპყრეს იგი, რამეთუ არლა მოწევნულ იყო ჟამი მისი“. და კუალად იტყვს, ვითარმედ: „უნდა მს ზედა დასხმამ კელთამ და ვერ შეუძლეს, რამეთუ არლა მოწევნულ იყო ჟამი მისი“. და კუალად იტყვს: „მამაო. მოიწია ჟამი, აღიდე ძმ შენი“. რაჟ არს უკუე სიტყუამ ესე? რამეთუ ამისთვის მრავალი შემოვკრიბე, რაჟთა ყოველთათს ერთი სიტყუამ ვთქუა, რამეთუ არა თუ ჟამთა იძულებასა ქუეშე იყო შემოქმედი იგი ჟამთამ, არცა ამისთვის იტყოდა, თუ: „არღარა მოწევნულ არს ჟამი ჩემი“, ვითარმცა ჟამი რაჟმე უჩნდა, და თვნიერ მისამცა ვერ ეძლო ქმნად? არამედ ამას შოასწავებდა, ვითარმედ თითოეულსა ჟამსა თსსა ჭერ-არს ქმნად, რამეთუ არა ერთბამად იქმოდა ყოველსა, არამედ თითოეულსა ჟამსა თსსა, რაჟთა არა უწესობით იქმნას რაჟმე, რამეთუ არა ჭერ-იყო, რაჟთამცა ერთბამად ქმნა შობამ და აღდგომამ და საშჯელი, რამეთუ დაჰბადა სოფელი, არამედ არა ყოველი ერთბამად — რომელიმე პირველსა დღესა და რომელიმე — მეორესა დღესა და რომელიმე — მეექუსესა. და კუალად ჭერ-იყო სიკუდილი კაცთამ და აღდგომამ საშჯელად, არამედ არა ქმნა ღმერთმან ორივე ერთბამად. და კუალად მოეცა შჯული ძუელი და მერმე თსსა ჟამსა — კუალად ახალი. და ესრეთვე უფალი არა თუ ჟამთა ქუეშე იყო, არამედ ჟამთა წესსა იგი დასდებდა, ვითარცა შემოქმედი მათი. ამისთვისცა აქა თქუა, ვითარმედ: „არლა მოწევნულ არს ჟამი ჩემი“, ხოლო სიტყუამ ესე ესევითარი არს, რამეთუ ჭერეთ უფალი უცნაურ იყო შორის ერსა მას, და მოწაფენი

ანდრია ოდენ და ფილიპე იყვნეს მის თანა, და არცა ქორწილ-
სა მას მყოფთა იცოდეს დიდებაჲ მისი. და ეტყუს უფალი
~~და არცა ქორწილსა ვითარმედ: „არა მოწიგნულ არს ჟამი ჩე-
მი“~~, ესე იგი არს, ვითარმედ: „არლა საცნაურ ვარ შორის ამის
ერისა და ჭერეთ არცა იციან ყოველთა, თუ ღვთაჲ დააკლდა.
დაიდუმე უკუე, რომელ იგინი მევედრნენ პირველად, რაათა
არა შენითა სიტყუთა ექმნა, და იჭუეულ იქმნეს სასწაული
იგი“. ხოლო რაჲსათს თქუა, ვითარმედ: „არლა მოწიგნულ
არს ჟამი ჩემი“, და მერმე იგივე ქმნა, რაჲ-იგიპრქუა დე-
დამან? არამედ, ერთად, რაათა არცხვნოს მათ, რომელნი
იტყუნ. ვითარმედ: „ჟამთა ქუეშე იყო იგი“, რამეთუ უკუე-
თუმცა ესრეთ იყო, ვითარმცა ექმნა მაშინ საქმე იგი, რომელ
მან თქუა, ვითარმედ: „არლა მოწიგნულ არს ჟამი ჩემი“? და
კუალად. რაათა არა სრულიად ურჩ ექმნეს დედასა თვსსა,
და მერმე, რაათა არა იქვ უძღურებისაჲ ვის შთათუგდოს, რა-
მეთუ დედამანცა მისმან აუწყა მსახურთა, რაათა მისა მივი-
დენ და პრქუა, ვითარმედ: „რაჲცა გრქუას, მას იქმოდეთ“,
რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა უძღურებისაგან ურჩ ექმნა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „იყვნეს მუნ ქვისა სარწყულნი ექუსნი
მსგავსად განწმედისა მის ჰურიათაჲსა, რომელთა შთაასხიან
საწყაული ორ-ორი, გინა სამ-სამი, და პრქუა მათ იესუ: „აღავ-
სენით სარწყულნი ეგე წყლითა“ და აღავსნეს იგინი პირის-
პირ“ (2,6-7).

თ ა რ გ მ ა ნ ი : „არა თუ ცუდად თქუა, ვი-
თარმედ: „მსგავსად განწმედისა მის ჰურიათაჲსა“, არამედ
რაათა ვერვინ თქუას, თუ: საღვინი სამე იყვნეს სარწყულნი
იგი და თხლმ დაშთომილ იყო. და შე-რაჲ-ვიდა წყალი თხლესა
მას, აღერია და იქმნა ღვთაჲ. ამისთვის თქუა ვითარმედ:
არაოდეს ყოფილ იყო მათ შორის ღვთაჲ, არამედ აქუნდა იგი
მუნ სავსებით წყლითა განწმედისათს მათისა. ხოლო რად
არა ქმნა სასწაული იგი პირველ აღვსებისა მათისა წყლითა,
რომელ-იგი უფროჲსად საკვრველ იყო, რამეთუ სხუაჲ არს
ხივთისა ერთისაჲ სხუად ნივთად შეცვალებაჲ და კუალად
სხუაჲ არს ყოვლადვე არაარსისა არსად მოყვანებაჲ, არამედ,
დაღაცათუ უსაკვრველმს იყო საქმე იგი, გარნა მრავალთამცა
უძნებად შეერაცხა საქმე იგი, ამისთვის მსახურთა უბრძანა

აღვსებად, რაფთა იგინი თვთ მოწამე იყვნენ, ვითარმედ წყალი იყო მუნ შთასხმული იგი, და კულად, რაფთა გამოაჩინოს, ვითარმედ იგივე არს, რომელი ვაზსა შინა წყალსა ღვინოდ გარდასცვალეbs, და წუმისაგან მოსრულსა მას ნივთსა შესცვალეbs ღვინოდ. ამისთვის ესე ქმნა, რამეთუ რა-იგი მუნ მრავალ ჟამ იქმნების, ქორწილსა მას მეყსა შინა ქმნა იგი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და ჰრქუა მათ: აღმოავსეთ აწ და მოართუთ პურისა უფალსა“. ხოლო მათ მოართუეს, და ვითარცა გემოდ იხილა პურისა უფალმან. წყალი იგი, რომელი ღვინოდ იქმნა და არა იცოდა, თუ ვინაჲ იქმნა, ხოლო მსახურთა მათ იცოდეს, რომელთა აღავსნეს წყლითა, მოუწოდა სიძესა მას პურისა უფალმან და ჰრქუა მას: „ყოველმან კაცმან ღვინოდ კეთილი პირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრვნიან, მაშინ უჭერსსიცა, ხოლო შენ დაჰმარხე ღვინოდ კეთილი აქამომდე“ (2,8-10). თ ა რ გ მ ა ნ ი : უბრძანა, რაფთა პურისა უფალსა მოართუან, რომელი-იგი არა მთრვალ იყო, არამედ ფრთხილ, რაფთა მის მიერ და სიძისა მიერ გულისხმა იქმნეს საქმე იგი და ცხად. რაჟამს იხილეს გემოდ ღვინისაჲ მის ესრეთ კეთილისაჲ, რამეთუ ესევეითარნი იყვნეს ქრისტეს სასწაულნი, ფრიად უაღრესნი ბუნებითანი, და რაჟამს-იგი ასოდ უძლური განკურნის, უშუენიერეს მრთელისა მის ყვის იგი. და აქაცა პურისა უფალი და სიძე მოწამე იყვნეს სიკეთესა მას ღვინისასა, ხოლო თუ ქრისტეს მიერ იქმნა წყალი ესე ვითარმედ ღვინოდ, მსახურნი იყვნეს მოწამე, რომელთა აღსავსნეს სარწყულნი იგი წყლითა.

ს ვ ა ვ ლ ა ე კ ბ

ნაყოვანებისათჳს

მაშინ უკუე წყალი ღვინოდ გარდააქცია იესუ, ხოლო მაშინცა და აწცა არა დასცხრების გონებათა დაქსნილთა და უღებთა შეცვალეზად, რამეთუ არიან კაცნი, რომელნი არა-

რამთ განყოფილ არიან წყლისაგან ,ესრეთ გრილნი და უდებხი. და ესევითართა მათ უკუე გონებათა მივართუმიდეთ უფალსა, რამთა გარდააქცინეს წყლისა მსგავსებისაგან სიმტკიცედ ღუნისა, რამთა ძლიერ იყვნენ და სიხარულისა მიზეზ თავთა თვსთათვს და სხუათათვსცა. ხოლო ვინ არიან ესევითარნი იგი გრილნი, გარს იგანი, რომელნი არა შეურაცხ-ჰყოფდენ სოფლისა საქმეთა და შუებასა ამოსა, არამედ ტრფიალ არიან დიდებისა და შუებისა წარმავალისა და უმაღლს წყლისა მდინარისა დაუდგრომელისა, რამეთუ მრავალგზის, რომელი დღეს მდიდარ არნ, ხვალე გლახაკ იქმნის, და, რომელი დღეს დიდებულ არნ, ხვალე საპყრობილესა შეიყვანის.

და კუალად ნაყროვანი ეგრეთვე წყლისა მსგავს არს, აღმოივსის მუცელი თვისი ძლიერად და მყის დაცალიერდის, რამეთუ ხრწნალებად, ვითარცა წყალსა, უჩინო-ჰყოფნ მას, და მან მეყსეულად კუალად აღმოივსის და მარადის, ვითარცა წყალი, დინ იგი, რამეთუ ყოველი საქმმ ამის სოფლისაჲ ბუხებით დაუდგრომელ არს, ხოლო შუებაჲ და ნაყროვანებაჲ არა თვთ ოდენ დის, არამედ დინებასაცა მისსა თანა ძლიერებასაცა და სიწმიდესა სულისასა წარრღუნის და კორცთა სიმრთელესა დაჰქსნის, რამეთუ მდინარჲ მძაფრი არა შეჰამს ესრეთ კიდეთა თვსთა, ვითარ მრავალნი ჰამადნი სიმრთელესა, და უკუეთუ სამკურნალოდ მიხვდენ და ჰკითხო, გესმეს, ვითარმედ ყოველი სენთა მიზეზი მისგან არს, რამეთუ ტაბლად ლიტონი სიმრთელისა დედაჲ არს. ამისთვისცა მკურნალთა არაგანძლომასა სიმრთელედ უწოდეს და წერილ არს წიგნთა მათთა, ვითარმედ არა განძლომაჲ ჰამადითა არს სიმრთელჲ.

აწ უკუეთუ ნაკლულევანებაჲ ჰამადთაჲ დედაჲ არს სიმრთელისაჲ, სიმაძღრე სამე დედაჲ არს ყოვლისა სენისაჲ, რამეთუ ნიკრისნი და სიბრმენი და თრთოლანი და სიცოფენი და მამაცნი და თავქედნი, გრძელნი და სხუაჲ მრავალი არა ნაკლულევანებისაგან, არამედ ნაყროვანებისაგან არს. ხოლო იხილენ სულისაცა სენნი, რომელნი მისგან იშვებიან: ანგაჰრებაჲ, უდბებაჲ, ბილწებაჲ და ძილი და სხუაჲ ყოველივე ბოროტი. და კუალად გემოცა არა არს ჰამასა შინა მათსა, რამეთუ მარხვაჲ დედაჲ არს გემოვნად ჰამისაჲ, ხოლო სიმაძღრე დაჰქსნის და განჰყუნის გემოსა ჰამადთასა. ამისთვის

უკუე ვინაფთგან ესრეთ ბოროტ არს ნაყროვანებამ, ვივლტოდით სიმთრვალისაგან და სიმადღრისა და ვიშუებდეთ უფლისა ძიმართ, რამეთუ მან მოგუცეს თხოვად გულისა ჩუენისა და საუკუნენი კეთილნი მოგუანიჭნეს, რამეთუ მისი არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ა ზ

ს ი ტ ყ უ ა ა ე ს ე: ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა იესუ კანას გალილეასასა (2,11) **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ფრიად ისწრაფის ეშმაკი მარადის წარწყმედად ჩუენდა. ამისთვის ფრიადი მოსწრაფებამ გვკმს, რამთა არა პოვოს ჩუენ თანა ყოვლადვე ადგილი, რამთა არა მცირედ-მცირედ ყოველივე ძალი თვისი ჩუენ შორის დაამკვდროს, რამეთუ ბოროტ არს და უგუნურება, უკუეთუ იგი ესრეთ ისწრაფდეს წარწყმედად ჩუენდა და ჩუენ არა ვიღუწიდეთ ცხორებისათვის სულთა ჩუენთაასა. ხოლო ესე სიტყუანი ამისთვის ვთქუენი, რამეთუ მეშინის, ნუუკუე შორის სამწყსოსა აღიტაცოს მგელმან ცხოვარი და წარიღოს უდებებითა ჩუენითა, რამეთუ უხილავ არს წყლულეზამ სულისა და არავინ იცის კაცისა, გარნა სულმან მისმან. და ამისთვის სიტყუა ჩემი ყოველთა მიმართ არს, ხოლო თითოეულმან, ვითარცა ენებოს, მიიღენ. რამეთუ მე არა უწყი, რომელი არს სნეულ, ანუ რომელი არს მრთელ, ამისთვის ვიტყვ მრავალსახეთა სიტყუათა, ოდესმე ანგაპრებისათვის, და კუალად ნაყროვანებისათვის და მერმე სიძუასათვის, და კუალად მოწყალეებისათვის, რამთა ესრეთ თითოეულმან, რომელიცა ენებოს, წამალი მიიღოს, რამეთუ მეშინის, ნუუკუე ერთისა რაასმე ვნებისა კურნებასა ვიქმოქლი მარადის და უცნაურად სხუამან ვნებამან მოაკუდიხოს ვინმე. ამისთვის თვთოსახეთა სიტყუათა ვიტყვ, რამთა განსწმიდნეთ თავნი თქუენნი ყოვლისაგან ვნებისა და ესრეთ ისმინნეთ სიტყუანი საღმრთონი, რომელნი-ესე დღესაცა აღმოვიკითხენით.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: ესე ქმნა დასაბამად სასწაულთა იესუ კანას გალილეასასა (2,11) **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ვიეთნიმე იტყვან,

ვითარმედ: არა იგი იყო დასაბამი სასწაულთა მისთაჲო, არა-
შედ კანას ოდენ გალილეაჲსასა იყო დასაბამ სასწაულთა, ვი-
თარცა იტყვს, ვითარმედ: „ესე იყო დასაბამი კანას გალილეაჲ-
სასა“. ხოლო ამისთვის არცა ვიცილობი, არამედ ამას დავამტ-
კიცებ, ვითარმედ პირველ ნათლის-ღებისა სასწაული არა
უქმნიეს, არამედ შემდგომად ნათლის-ღებისა იწყო ქმნად
სასწაულთა.

სახარებაჲ: და გამოაცხადა ღიღებაჲ თვისი (2,11).
თარგმანი: გამოაცხადა ღიღებაჲ თვისი, რაოდენ-იგი
მისგან ჯერ-იყო, უკუეთუ კულა ჰურიათა არა ჰრწმენა, ესე
მათისა უკუეთუებისა სახმ არს, გარნა მოწაფეთა მისთა
ჰრწმენა. რამეთუ მუნ ჯერ-იყო ქმნაჲ სასწაულისაჲ, სადა
სარწმუნოებად მოვიდოდეს მოწაფენი, გინა სხუანი ვინმე.

სახარებაჲ: ამისა შემდგომად შთავიდეს კაფარნაუმდ
იგი და დედაჲ მისი და ძმანი მისნი, და მოწაფენი მის თანა,
და მუნ დაადგრა არა მრავალ დღე. და მოახლებულ იყო
პასეჟი ჰურიათაჲ. და აღვიდა იერუსალმმდ და პოვა ტაძარსა
მას შინა მოფარდული ზროხათა და ცხოვართა და ტრედთაჲ,
და მეკერმენი მსხდომარენი, და შექმნა შოლტი საბლისაჲ და
ყოველი გამოასხა ტაძრისაგან (2,12-15). **თარგმანი:**
შთავიდა დედისა თვისისა თანა კაფარნაუმდ და დაადგრა მუნ
მცირედ ჟამ პატივისათს მისისა და ესრეთ აღვიდა იერუ-
სალმმდ და ქმნა მუნ საქმე იგი საკვრველი და სავსე ფრია-
ლითა ჯელმწიფებითა, რამეთუ მოფარდულნი იგი ზროხათა
და ცხოვართანი და მეკერმენი ყოველნი განასხნა და ჰრქუა
მათ: „ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჰრო“. ¹
ხოლო სხუაჲ მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „განასხმიდა
და ეტყოდა: „ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა ქუაბ ავა-
ზაკთა“; ² ხოლო არა თუ ურთიერთას წინააღუდგებიან მახა-
რებელნი, — ნუ იყოფინ! — არამედ გამოაჩინებენ, ვითარ-
მედ ორგზის ქმნა საქმე იგი და არა ერთსა ჟამსა, არამედ ესე
შემდგომად ნათლის-ღებისა იყო მცირედითა ჟამითა, ხოლო
იგი ჟამსა ენებისასა მიახლებულად. ხოლო რაჲსათს ქმნა

¹ ოან. 2,16

² მათ. 21,13; მარ. 11,17; ლუკ. 19,46

ესე ქრისტემან, რომელი ესრეთ რისხვით მოუქდა მათ და 'მოდტათა განასხნა, რომელ-ესე—აროდეს' უქმნიეს, რა-
~~უმსაგ~~ აგინებდიან და ჰგმობდიან? გარნა ვინათგან შა-
 ბათსა შინა ეგულებოდა სასწაულისა ქმნაჲ და სხუათა მრავალთა ესევითართა აღსრულებად, რომელნი მათ მიერ შჯულისა გარდასლვად შერაცხილ იყვნეს, და რაჲთა არავის აქუნდეს სიტყუად, ვითარმედ წინააღმდგომ არს მამისა და 'შჯულისა დამკსნელ; ამისთვის ქმნა ესე, რამეთუ ვითარმცა ეგებოდა, თუმცა რომელმან-იგი ტაძრისათვის ესეოდენი 'შური აჩუნა და ტაძრისა მის მეუფისამცა, რომელი მას შინა იმსახურებოდა, მისამცა წინააღმდგომ იყო? რამეთუ პირველნიცა იგი ჟამნი, რომელნი შჯულიერად დაყვნა, კმა იყვნეს გამოჩინებად, ვითარმედ არა წინააღმდგომი არს და დამკსნელი შჯულისაჲ, არამედ, ვინათგან იგი ყოველთა დავიწყებად იყო, ამისთვის ქმნა ესეცა წინაშე ყოვლისა მის სიმრავლისა, რომელი შემოკრებულ იყო დღესასწაულსა, რაჲთა იხილონ ყოველთა, ვითარმედ მეძიებელი არს პატივისა ღმრთისაჲ, და რამეთუ ყოველსავე აღირჩევდა მოწევნად მის ზედა პატივისათვის სახლისა მის, ხოლო არა თუ საქმიით ოდენ, არამედ სიტყუთაცა გამოაჩინა ერთობაჲ მისი ღმრთისა თანა. და რამეთუ არა თქუა, თუ: „სახლსა წმიდასა“, არამედ „სახლსა მამისა ჩემისასა“. აჰა, ესერა, მამადცა უწოდა, და არა განრისხნეს, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ ესრეთ ლიტობად იტყუს, ხოლო ვინათგან იწყო დამტკიცებად სიტყუასა მას, მერმე შეუქდა მათ შური, ხოლო აწ ჰრქუეს მას, ვითარმედ: „რასა სასწაულსა გვჩუენებ?“¹ მ უგულისხმოებაჲ! რამეთუ სასწაულსა ეძიებდეს დაცხრომად ბოროტისა მის საქმისა და ფრიადი იგი შური კეთილისაჲ არა აქუნდა სახედ მისისა დიდებულებისა და სათნოებისა, ხოლო მოწაფეთა მისთა, რომელნი სულისა სიკეთითა და სიწრფოებითა სავსე იყვნეს, მათ მოიკსენეს წერილისაჲ, რომელი იტყუს, ვითარმედ: „შურმან სახლისა შენისამან შემჰკამა მე“, არამედ მათ არა მოიკსენეს წინააღმართეყუელებაჲ იგი და ეტყოდეს: „რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ?“² რამეთუ მწუხარე

¹ იოან. 2,18

² იოან. 2,18

იქმნნეს, რომელ ანგაპრებისა მათისა მიზეზი დაქსნად ენება, რადამცა სიტყუათა მათთა მიერ დააყენნეს იგინი. ამისთვისცა უფალმან არა მისცა მათ სასწაული, ვითარცა-იგი პირველ, რაჟამს ითხოვდეს სასწაულსა. და უფალმან პრქუა მათ, ვითარმედ: „ნათესავი ბოროტი და მემრუმცხ სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინამსწარმეტყუელისაჲ“.³ და მაშინ ცხადად პრქუა მათ სიტყუად იგი, ხოლო აქა იგავითრე. და ამას იქმს მათისა მის უკუანამსკნელისა უგულისხმოებისათვს, რამეთუ ხედვიდა სიბოროტესა გონებისა მათისასა, თუ არა, უკუეთუმცა არა ესრეთ იყო, არცამცა დააყენა ჩუენებად სასწაული, რომელი-იგი თვნიერ მათისა თხოვისა მრავალგზის იქმს სასწაულთა; ხოლო აქა, ვინამთგან იხილა უკეთურებაჲ მათი, ამისთვის პრქუა მხედველმან მან გონებათამან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : დაჰქსენით ტაძარი. ესე და მესამესა დღესა აღვადგინო (2,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მრავალსა იტყვს ესევითარსა, რომელი მაშინდელთა მათ არა საცნაურ იყო, ხოლო შემდგომთა მათ გამოეცხადა. და რადსათვს უკუე ჰყოფსა ამას? რადთა გამოჩნდეს, ვითარმედ პირველითგანვე იცოდა ყოველი ყოფადი, ვითარცა-ესე ამას წინამსწარმეტყუელებასა ზედა იქმნა, და შემდგომად აღდგომისა მისისა მოევსენა მოწაფეთა სიტყუად იგი, რომელი პრქუა მათ იესუ, ხოლო რომელნიმე მაშინ განკვრებულ იყვნეს სიტყუასა მას ზედა, და რომელნიმე აცილობდეს, და იტყოდეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ორმოცდაექუსსა წელ აღეშენა ტაძარი ესე და შენ სამსა დღესა შინა აღაშენთა ეგე? (2,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ორმოცდაექუსსა წელსა უკანამსკნელისა მის აღშენებისათვს იტყოდეს, რამეთუ პირველ ოც წელ სრულ იქმნა. ხოლო უფალმან რადსათვს არა ავსენა იგავი იგი და თქუა, ვითარმედ: „კორცთა ჩემთათვს ვიტყვ და არა ტაძრისათვს“, არამედ დაიდუმა? რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა შეიწყნარებდეს სიტყუასა მას ურწმუნოებისა მათისაგან, რამეთუ, ერთად, აღდგომაჲ ურწმუნოდ აქუნდა, და მერმე, ესეცა არავე პრწმენა, თუ ღმერთ არს იგი, რომელ-ესე ორივე მოასწავა

³ მათ. 12,39; 16,4; ლუკ. 11,29

უფალმან ერთითა მით სიტყუთა, რომელ თქუა, ვითარმედ: „დაჰქსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვაშენო ესე“. რამეთუ ითხოვეს რამ მათ სასწაული, ესე პრქუა მათ უფალმან ამისთვის, რამეთუ არარაჲ იყო სხუად ესრეთ გამომაჩინებელ, ვითარმედ არა ლიტონი კაცი არს, ვითარ ესე, რომელ სიკუდილსა ესრეთ მძლე ექმნა და მძლავრებაჲ მისი და მძიმე ბრძოლაჲ მისი ესრეთ კეთილად დაჰქსნა. ამისთვის იტყუს, ვითარმედ: რაჟამს აღამაღლოთ ძმ კაცისად, მაშინ სცნათ, ვითარმედ მე ვარ,¹ რაჟამს-იგი აღვდგე და ყოველი სოფელი ჩემდა მოვიზიდო, მაშინ სცნათ, ვითარმედ ამას ყოველსა, ვითარცა ღმერთი და ძმ ღმრთისად მხოლოდშობილი ვიქმოდე, ხოლო იგინი სავსე იყვნენ უკეთურებითა, ამისთვისცა რომელთამე სიტყუათა უფლისათა ყოვლადვე არა ისმენდეს, და რომელთამე ისმენდეს უკეთურითა გონებითა. ხოლო ესე საძიებელ არს, თუ ვითარ არა უწყოდეს მოწაფეთა, ვითარმედ მკუდრეთით აღდგომაჲ ეგულუბოდა, გარნა ჭერეთ მადლსა სულისა წმიდისასა არღა ღირსქმნულ იქმნენს. ამისთვისცა ზედა-დსზედა ესმოდეს სიტყუანი აღდგომისანი და ვერ გულისხმა-პყოფდეს სიტყუათა მათ, არამედ იგონებდეს, თუ რამ არიან სიტყუანი იგი; რამეთუ ფრიად საკვრველ არს და უცხო სიტყუად აღდგინებაჲ თავისა თვისისად მკუდრეთით. ამისთვისცა პეტრესცა შეჰრისხნა, რამეთუ არღა იცოდა მან აღდგომისათვის, და ეტყოდა, ვითარმედ: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო“.² ხოლო ქრისტემან არა გამოუცხადა პირველ აღდგომისა ძალი სიტყუსად მის, რამეთა არა ურწმუნო იქმნენ ამისთვის რამეთუ საქმცა იგი ფრიად საკვრველ იყო, და უფალსაცა ჭერეთ ვერ ფრიად კეთილად იცნობდეს, თუ ვინ არს. ამისთვის არა გამოუცხადა, ვიდრემდის საქმით აღესრულა სიტყუად მისი, რამეთუ საქმით აღსრულებულსა სიტყუასა არავინ ურწმუნო იქმნების, ხოლო სიტყუასა ოდენ მრავალნი ურწმუნო იქმნებიან; ამისთვისცა, ვინაჲთგან სიტყუად მისი საქმით აღესრულა, მაშინ მისცა მათ გულისხმის-ყოფად პირველთქუმულთაჲ მათ სულისა მიერ წმიდისა, ვითარცა იტყოდა, ვითარმედ: „მან გასწაოს და მოგაცხენოს თქუენ ყოველი, რომელსაცა გეტყოდე

¹ იოან. 8,28

² მათ. 16,22

თქვენ“.¹ რამეთუ რომელთა-იგი დამესა მას შეპყრობისა შისისასა დაუტევეს და ივლტოდეს, ვითარმცა მოიკსენნეს ყოველთა მათ ჟამთა ქმნულნი და თქუმულნი, უკუეთუმცა არა სული წმიდაჲ მოაკსენებდა მათ, რომელ-იგი მოსცა მათ ღმერთმან, და მათ შეიწყნარეს თვისისა სათნოებისა სიკეთითა? რამეთუ პირველად მადლისა მიერ ღმრთისა იქმნა მათ ზედა მოსლვაჲ სულისა წმიდისაჲ ესრეთ მდიდრად და დიდებულად, ხოლო დამკირვაჲ მადლისაჲ მის მათისა სათნოებისა მიერ იქმნა, რამეთუ მოქალაქობაჲ აჩუენეს ბრწყინვალჲ და შრომანი დიდნი, და შეურაცხ-ყვეს ცხორებაჲ ესე წარმავალი და კაცობრივსა არაარას მიჰხედნეს, არამედ უზეშთაეს იქმნეს მის ყოვლისა და, ვითარცა ფრთოსანი, ზეცად აღფრინდეს, ამისთვისცა მიუწუდომელად აქუნდა მადლი სულისა წმიდისაჲ.

ს წ ა ვ ლ ა დ კ ზ

მოწყალებისათჳს

მათ უკუე ვჰბაძვიდეთ ჩუენცა და ნუმცა დავჰშრეტთ ლამ-პართა ჩუენთა, არამედ დავიცვნეთ იგინი ბრწყინვალედ მოწყალებისა მიერ, რამეთუ ამის ცეცხლისა ნათელი უშრეტ არს. შევეკრიბოთ ჭურჭელთა ჩუენთა ზეთი, ვიდრეღა აქა ვართ, რამეთუ მუნ არა არს სავაჰროჲ, არცა ვინ მიიღოს სხვსა ვისგან, გარნა კელთაგან გლახაკათაჲსა. შევეკრიბოთ უკუე აქავე მდიდრად, უკუეთუ გუნებავეს სიძისა მის თანა შესლვაჲ და არა გარე დაშთომაჲ, რამეთუ დაღაცათუ ბევრეული სათნოებაჲ წარვჰმართოთ, თვნიერ მოწყალებისა ვერ შევიდეთ სასუფეველსა, არამედ მოვიგოთ იგი მოსწრაფედ, რაჲთა საუკუნეთა კეთილთა ღირს ვიქმნნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰჳუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ იოან. 14,26

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : და ვითარცა იყო იერუსალმს, პასექსა მას დღესასწაულისასა, მრავალთა ჰრწმენა მისი (2,23).
თ ა რ გ მ ა ნ ი : მაშინდელნი იგი კაცი რომელნიმე საცთურსა მიქცეულ იყვნეს, და რომელნიმე ჭეშმარიტებასა უსმენდეს, და მათგანნი რომელნიმე მოიქცეოდეს და კუალად დაეცემოდეს, რომელნიცა ქრისტემან თვთოსახესა ქუეყანასა მიამსგავსნა: რომელნიმე — კლდოვანსა, და რომელნიმე — ეკლოვანსა და რომელნიმე — კეთილსა ქუეყანასა. და ამას მოასწავებს მახარებელი და იტყვს, ვითარმედ: „რამეს იყო იერუსალმს, მრავალთა ჰრწმენა მისი, ჰხედვიდეს რამ სასწაულთა მისთა, რომელთა იქმოდა“. ხოლო თვთ იესუ არა არწმუნებდა მათ თავსა თვსსა, რამეთუ მოწაფენი ჭეშმარიტნი იგინი იყვნეს, რომელნი არა სასწაულთაგან, არამედ სწავლისა მიერ მოიქცეოდეს და შეუდგეს მას, ხოლო ზრქელთარე სასწაული მოაქცევენ და გულისხმისყოფელთარე — სწავლანი, და რომელნიცა სწავლისა მიერ მოიქცეს, იგინი სასწაულთა მიერ უმეტესად განმტკიცებოდეს, რომელთაცა ჰნატრიდა ქრისტე, ვითარმედ: „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ დავჰრწმენე“.¹ ხოლო იგინი, რომელთა აწ ჰრწმენა, არა ფრიად ჭეშმარიტნი იყვნეს. ამისთვისცა უფალმან, რომელმანცა ყოველივე იცოდა, არა არწმუნა მათ თავი თვისი, რამეთუ არა უქმდა მას წამებად კაცისაგან, არამედ ყოველივე თვთ იცოდა და გულთა მათთა ჰხედვიდა. ამისთვისცა არა ჰრწმენნეს სიტყუანი მათნი, და ამისთვის არა მიანდობდა თავსა თვსსა, ვითარცა მტკიცეთა ვიეთმე, რამეთუ არწმუნებამ სიტყუათამ კაცისამ არს, ხოლო ხედვამ გულთამ მხოლომსა დმრთისამ არს, რომელმან დაჰბადნა გულნი, რამეთუ იტყვს წინააღმარმეტყუელი: „შენ უწყნი გულნი მხოლომან“. არა უქმდეს უკუე მას მოწამენი, რამთამცა ცნნა გულნი მის მიერ დაბადებულთანი, რომელმან-იგი იცნის ყოველნი მომავალნი და უხილავნი, და მათცა ადვილად შეეცვალებამ ბოროტისა მიმართ იცოდა და ამისთვის არა არწმუნებდა მათ თავსა თვსსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : იყო ვინმე კაცი ფარისეველთაგანი, ნი-

¹ იოან. 20,29

კოდემოს სახელი მისი, მთავარი ჰურიათაჲ ესე მოვიდა მისა ღამე (3,1-2). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ესე შორისცა სახარებასა ჩანს, ვითარმედ ილუწიდა ქრისტესათჳს, რამეთუ ეტყოდა მათ, ვითარმედ: „შჯული ჩუენი არაჲვის შჯის, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან“.¹ და კუალად ჟამსა ვნებისასა ფრიადი მოლუაწებაჲ აჩუენა, რამეთუ მოვიდა ღამით ნიკოდემოსცა და ძიოლო მური და ალოჲ ასი ლიტრაჲ. და აწცა ქრისტეს მიმართ აქუნდა სარწმუნოებაჲ, არამედ არა ვითარცა ჯერ-არს, ამისთჳსცა ღამით მოვიდა მისა, რამეთუ დღისი ეშინოდა, არამედ კაცთმოყუარებან უფალმან არავე გარემიაქცია, არცა გამოაჯუა თჳსისა სწავლისაგან, არამედ ასწავნა სწავლანი მალანი და დიდნი. ხოლო ისმინე, რასა იტყჳს ნიკოდემოს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო: „რაზი, ვიცი, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ შენ მოძღურად, რამეთუ ვერვის კელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკუეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა.“ (3,2). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ჯერეთ კაცობრივი გულისსიტყუაჲ აქუნდა ნიკოდემოსს და, ვითარცა წინამსწარმეტყუელსა ვისმე, ესრეთ ეტყოდა: „ვიცი, რამეთუ ღმრთისა მიერ მოვლინებული ხარ მოძღურად“. არამედ ქრისტემან არარაჲ ამხილა, თუ რად კაცობრივი გულისსიტყუაჲ გაქუს ჩემთჳს? რამეთუ თუთ უფალი იტყჳს, ვითარმედ: „არა მოვედ, რადთა დავსაჯო სოფელი, არამედ რადთა ვაცხოვნო სოფელი“.¹ და ვითარცა მრავალგზის მითქუამს, ღმრთისა მიერ მოვლინებული ხარ მოძღურად“. არამედ რადთამცა მრავალნი აცხოვნნა და დაარწმუნა ყოველთა, ვითარმედ არარას იქმს წინააღმდეგომსა მამისასა. ამისთჳსცა მრავალგზის სიმდაბლით იტყჳს უფალი, ხოლო საქმით, რაჟამს იქმს სასწაულთა, გამოაჩინებნ მუნ თჳსსა კელმწიფებასა, ვითარცა-იგი რაჟამს ჰრქუა კეთროვანსა: „მნებავეს, განწმდი!“² და: „ჭაბუკო, აღდეგ!“ და: „მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი!“³ და: „აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე!“⁴ და „შენ

¹ შტრ. იოან. 7,51

¹ იოან. 12,47

² მათ. 8,3; მარ. 1,41; ლუკ. 5,13

³ ლუკ. 7,14

⁴ მარ. 2,9; იოან. 5,8, 11,12

გეტყვ: ეშმაკო, განვედ!“ და ვითარმედ: „იყავნ შენდა, ვითარცა გნებაეს!“¹ და: „დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“.² და ყოვლისაგანვე ვხედავთ კელმწიფებასა მისსა, რამეთუ საქმეთათჳს არვის აქუნდა სიტყუაჲ, ხოლო სიტყუათათჳს მრავალნი დაჰბრკოლდიან, უგუნურნი იგი, და იტყოდინ, ვითარმედ: „ზუაობით იტყვს“. ამისთვისცა ნიკოდემოსს ცხადად მალალსა სიტყუასა არა ეტყვს, არამედ იგავით ასწავებს თჳსსა ძალსა, ვითარმედ შემძლებელ არს თავით თჳსით ქმნად სასწაულთა თჳნიერ ყოვლისა შემწისა, რამეთუ მამამან სრული შვა იგი და არარაჲთ ნაკლულევანი. და იხილეთ, ვითარ ეტყვს მას, რამეთუ ვინაჲთგან ნიკოდემოს თქუა, ვითარმედ: „რაბი, ვიცი, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღურად, რამეთუ ვერვის კელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკუეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა“, და ჰგონებდა, ვითარმედ დიდად მიქიეს და მიდიდებიეს ქრისტჳ ამათ სიტყუათა მიერ, ხოლო უფალსა ენება, რაჲთამცა უჩუენა: ვითარმედ ჯერეთ კარსაცა არა შესრულ არს მისისა გულისხმა-ყოფისასა და ვითარმედ შორს არს სასუფეველისაგან ყოველი, რომელი მისთჳს ესევითართა სიტყუათა იგონებდეს, ამისთვისცა ჰრქუა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამენ გეტყვ შენ: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ კელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისაჲ“ (3,3) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს: უკუეთუ შენ არა მოილო შობაჲ იგი სულიერი და ზეცისა გულისხმისყოფაჲ, და ზეცით მოილო სწავლაჲ სარწმუნოებისაჲ, გარე ხარ სასუფეველსა ცათსა. გარნა ესრეთ ცხადად არა ჰრქუა, არამედ, რაჲთა უტკივარ-ყოს სიტყუაჲ იგი, ამისთვის თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე, — ესე იგი არს, ვითარმედ გინა თუ შენ, გინა თუ სხუაჲ ვინ იყოს, — და ჩემთჳს ესევითარი უძღური და კაცობრივი სიტყუაჲ აქუნდეს და იტყოდის, ვითარმედ: „უკუეთუ ღმერთი არამცა იყო შენ თანა, ვერ იქმ სასწაულთა“, დაარა უწყოდის, ვითარმედ მე ვარ თუთ ღმერთი და არავის მიერ მივმს შეწევნაჲ, ესევითარი

¹ მათ. 15,28

² ლუკ. 23,43

იგი ვერ ღირს იქმნეს სასუფეველსა ცათასა, არამედ ჰურიათა, უკუეთუმცა ასმიოდა სიტყუად იგი, განეცინნესმცა. გარნა ამაჲნი გამოაჩინა თესი სწავლისმოყუარებაჲ. ამისთვისცა ქრისტემან უწყოდა მისი სწავლისმოყუარებაჲ და იგავით ჰრქუა, რათა აღძრას იგი კითხვად და ძიებად სიტყუსა მის, რამეთუ ყოველი დაფარული მოსწრაფეთა გამოძიებად მოიყვანებს. ხოლო სიტყუად ესე, რომელსა იტყუს, ესევეთარი არს, ვითარმედ: უკუეთუ არა იშვე მეორედ შობითა მით ზეცისაჲთა და მიიღოს სული იგი მეორედ შობისაჲ, ვერ ძალ-გიც ჩემთვის რაჲსმე ღირსად გულისხმის-ყოფად. რამეთუ, რომელსა აწ იტყვ, ეგე გულისსიტყუად არა სულიერი არს, არამედ მშუმიწივიერი, და, რომელი არა ესრეთ შობილ იყოს, ვერ იხილოს მან სასუფეველი ღმრთისაჲ; ხოლო სასუფეველად თვისსაცა თავსა მოასწავებდა, ვითარმედ: „უკუეთუ ესრეთ არა იყო, ვერ მახილო, ვითარცა ჯერ-არს“. ესე რაჲ ესმა ნიკოდემოსს, ჰრქუა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ვითარ კელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რა ბოთ უწოდ მას და ღმრთისა მიერ მოსრულად და არა გრწამსა სიტყუად მისი? არამედ ურწმუნოებისა ამას სახესა და სიტყუსა შემოიღებ შორის, რამეთუ სიტყუა ესე, თუ: „ვითარ?“ ურწმუნოთაჲ არს. იხილე ნიკოდემოს ვითარ შემფოთნა, რამეთუ გულისხმა-ყო, ვითარმედ მისა მიმართ იყო სიტყუად იგი და დაუკრდა და შეძრწუნდა, რამეთუ მისრულ იყო, ვითარცა კაცისა მიმართ, და ესმოდა ყოველივე უზემთაესი კაცთაჲსაჲ და ვერ ძალ-ედვა გულისხმის-ყოფად სიტყუათა მათ. ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „შეუძლებელ არს“, რათამცა მოიყვანა იესუ სწავლად მისა უსრულესადრე და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისასა შესლვად და მეორედ შობად? (3,4) **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავთა, ვითარ, რაჲამს სულიერთა ვინ სიტუათა ჯორციელად და კაცობრივთა საქმეთაებრ. გულისხმა-ჰყოფდეს. საქიცხელ და ტყუვილ-უჩნს, რაჲამს თვსთა საქმეთა გამოიწულილვიდეს, და არა სარწმუნოებით შეიწყნარებდეს გამოუწულილვილად, რამეთუ ესმა ნიკოდემოსს შობად და ვერ ბულისხმა-ყო, თუ სულიერსა შობასა იტყუს, არამედ დიდი იგი და მაღალი სიტყუად ჯორციელსა სიმდაბლესა შინა შთა-

მოიყვანა და ამისთვის საკიცხელ-უჩინდა სიტყუაჲ იგი. ამისთვის იტყუს პავლე, ვითარმედ: „მშუმიწვიერი კაცი ვერას შეიწყნარებს სულიერსა“, გარნა ამან ამასცა ზედა დაიცვა პატივი ქრისტესი და არა განაგდო სიტყუაჲ იგი, არამედ თქუა, ვითარმედ: „ვითარ შესაძლებელ არს?“ და დაიდუმა, რამეთუ ორი იყო წინააღმდეგომი: ერთად, შობაჲ ესევეთარი, და კუალად, სასუფეველი, რამეთუ არცაღა სასუფეველი იცოდეს ჰურიათა და ამისთვის უკვრდა მას საქმე იგი.

ს წ ა ვ ლ ა დ კ დ

რამათა არა გამოვიწულილვიდეთ საქმეთა ღმრთისათა. არამედ ოდენ გურწმენეს, და სათნოდ ცხოვრებისათს

ხოლო ჩუენ ნუმცა კაცობრივთა გულისსიტყუათა გამოვეძიებთ საქმეთა ღმრთისათა, არამედ ყოველსავე შევიწყნარებდეთ შეუორგულელებლად, რამეთუ გამომწულილველი იტყვებს ვერარას, არამედ ოდენ სულსა ზედა თსსა საშჯელსა მოაწევს, და საძიებელსა მას ვერ ჰპოებს; რამეთუ გესმეს შენ „შობაჲ“. ნუ იტყუ, თუ: „ვითარ იშვა?“ ნუცა ურწმუნო იქმნებო, არამედ შეიწყნარე სარწმუნოებით, რამეთუ უკუეთუ ნიკოდემოს, რომელ შობაჲ იგი სულიერი ვერ გულისხმა-ყო, იბრაღა, უკუე რომელნი საშინელსა მას და დაუსაბამოსა ძისა შობასა უარ-ჰყოფენ, ვითარიმე საშჯელი მიიღონ? რამეთუ გონებაჲ კაცთა ამპარტავანთაჲ ბნელ არს. არამედ ჩუენ ზეცით ვითხოვით გულისხმის-ყოფაჲ, რამათა ესრეთ განათლებულ ვიყვნეთ; ხოლო ესე მაშინ მოგუეცეს, რაჟამს საქმენი კეთილნი ვაჩუენნეთ, რამეთუ ბოროტნი საქმენიცა დაბნელებენ გონებასა და სული ვნებული ვერარას შემძლებელ არს კეთილსა გულისხმის-ყოფად, არამედ მარადის მრღვე და ბნელს არს, ხოლო ჩუენ განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი, განვანათლნეთ გონებანი ჩუენნი, ნუმცა ვთესავთ ეკალთა ზედა, რომელ არიან ზრუნვანი და საცთურნი ამის სოფლისანი, რამეთუ, ვითარცა

ეკალნი მუშაკისა საძულელ არიან და ცეცხლისა მიერ ადვილად დასაწუვეელ, ეგრეთვე ამის სოფლისა საქმენი; და ვითარცა ეკალთა შინა გუელნი და იქედნენი და ყოველნი ქუეწარმავალნი დაემკვდრებიან, ეგრეთვე საცთურსა შინა სოფლისასა. არამედ მოვიყვანოთ ცეცხლი იგი სულისა წმიდისაჲ, რაჲთა ეკალნიცა იგი მოიწუნენ და მკეცი ვლტოლვილ იქმნენ და ქუეყანაჲ ჩუენი წმიდა იქმნეს და შემწყნარებელ საღმრთოთა თესლთა. დაჰვნერგოთ ნაყოფიერი იგი ზეთისხილი, შინაური იგი ნერგი მარადის შუებული განმანათლებელი, სიმართლისა მოქმედი, რომელ არს მოწყალებაჲ, რომელი მარადის განანათლებს სულსა და გონებასა. უკუეთუ იგი გუაქუნდეს, შეუძლოთ კადნიერებით სასძლოსა მასცა შესლვად და სიძისა მის ხილვად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა კშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი კ ა

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: მიუგო იესუ და პრქუა მას: ამენ, ამენ გეტყუ შენ: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა წმიდისა, ვერ კელეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (3,5). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ყრმანი მცირენი მარადის სასწავლოდ მივლენ და ისწრაფიან სწავლად და ღამეთაცა დღეთა ზედა დაპრთვენ, და ესე ყოველი კაცობრივი არს, ხოლო აწ მეცა ვითხოვ თქუენგან სულიერსა მოსწრაფებასა, რაჲთა ისმენდეთ კეთილთა სწავლათა მოსწრაფედ, რაძეთუ ამოსთვს მე მცირედ-მცირედ გეტყუ მარადის და არა ყოველსა ერთბამად, რაჲთა კეთილად და ადვილად გაცხოვდენ სიტყუანი ჩემნი. გარნა, თუ ვინმე სრულიად უდები იყოს და დაცხნილი, ისმინეთ უკუე დღესაცა აღმოკითხული ესე, რამეთუ ნიკოდემოს რაჲ განკვრდა და იტყოდა, ვითარმედ: „მეორედ შობაჲ ბერისაჲ შეუძლებელ არს“, აჰა, ესერა, უფალი გამოუთარგმნის, თუ ვითარ იქმნების შობაჲ იგი, რომელი, დაღაცათუ ძნიადვე გულისხმისსაყოფელ იყო, გარნა პირველისა

მის უადვილეს იყო, რამეთუ ჰრქუა მას, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ კელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“. შენ იტყვ, ვითარმედ შეუძლებელ არს მეორედ შობაჲ, ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ არა თუ ოდენ შეუძლებელ არს, არამედ საჭიროცა, რამეთუ თვნიერ მისა არა იქმნების ცხორებაჲ, რამეთუ ქუეყანისაჲ და კორციელი შობაჲ მიწისაგან არს. ამისთვისცა სულიერისაგან შორს არს იგი, ხოლო იგი შობაჲ სულისაჲ არს და ადვილად შეიყვანებს სასუფეველად. ისმინეთ, უნათლავნო, და შეძრწუნდით ამის ბრძანებისაგან! საშინელ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ შეუძლებელ არსო შესლვაჲ სასუფეველად, რომელი არა შობილ იყოს წყლისაგან და სულისა, არამედ ნიკოდემოსს ჯერეთ უცხო-უჩნდა სიტყუაჲ იგი, რამეთუ ბოროტ არს, რაჲმს კაცი სულიერთა საქმეთა კორციელებრ გულისხმაჲჲყოფდეს. რამეთუ ვითარცა პირველ ვთქუ, საქმეთა ღმრთისათა შეუორგულებელად და გამოუკულებელად ჯერ-არს რწმუნებაჲ, რომელი-ესე უკუეთუმცა ექმნა ნიკოდემოსს, არამცა შეუძლებელად უჩნდა სიტყუაჲ იგი, არამედ ქრისტესა ენება, რაჲთამცა განათავისუფლა იგი ურწმუნოებისა მისგან და ასწავა, ვითარმედ არა კორციელსა შობასა იტყვს. ამისთვის ჰრქუა მას, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ კელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: სხუასა შობასა ვიტყვ, ნიკოდემოს, რად მოიღებ მას ქუეყანისა შობასა თანა? რად დაამდაბლებ სიტყუასა მას მაღალსა? უზეშთაეს არს ესე შობაჲ საღმრთათა ამათგან კორცთა, რამეთუ დაღაცათუ შობა ეწოდების მას, არამედ სახელით ოდენ ზიარ არს კორცთა მათ თანა, ხოლო საქმით უცხო არს მისგან რამეთუ მნებაჲს. რაჲთა სხუაჲ შობაჲ შემოვილო სოფლად და სხუებრ იშვებოდიან კაცნი, უცხოჲსა დაბადებისა ქმნად მოვედ, რამეთუ პირველ ექმენ კაცი მიწისაგან და წყლისა; და უქმარ იქმნა შექმნული იგი, ხოლო აწ მნებაჲს, რაჲთა წყლისაგან და სულისა დაეკბადო, ხოლო, უკუეთუ ვინ იტყოდის: „და ვითარ იყოს წყლისაგან?“ მეცა ვჰრქუა: და მიწისაგან ვითარ დაიბადა? ვითარ ერთი იგი თიჯაჲ მრავალსახედ განიყო? ვინაჲ არიან ძუალნი და ძარღუნი და ტყავი და ღვძლი და ფაწალაჲ და გული და

სისხლი და ნღველი? ვინაჲ არიან ესეოდენნი იგი ძალნი და ესეოდენნი ფერნი? რამეთუ ესე ყოველი არა მიწისა საქმს არს, ვითარ მიწაჲ მიიღებს თესლსა და აღმოაცმენებს, ხოლო გუამი მიიღებს და განხრწნის და განპლევს? ვითარ ქუეყანაჲ ზრდის მას შინა შთათესულსა, ხოლო გუამი იზარდების მას შინა შთასრულთაგან და არა ზრდის მათ? და ქუეყანაჲ მიიღებს წყალსა და ღვნოდ შესცვალებს, ხოლო გუამი მრავალგზის ღვნოსა წყლად გარდააქცევს. და ვითარ ქუეყანისაგან არს ესე ყოველი? ვინათგან წინააღმდგომ არს ესე ქუეყანისა, გარნა კაცთა მიერ შეუძლებელ არს ამისი პოვნაჲ, არამედ სარწმუნოებით ჯერ-არს შეწყნარებაჲ, უკუეთუ არა უფროხად სულიერთა მათ საიდუმლოთა ჯერ-არსა ესრტოქმნაჲ? და ვითარცა მიწაჲ იგი უსულოჲ ნებითა ღმრთისაჲთა ესრეთ განძლიერდა და თითოსახედ ფერად და ძალად შეიცვალა. ეგრეთვე წყლისა მიერ ძალითა სულისა წმიდისაჲთა მიუთხრობელი იგი საიდუმლოჲ იქმნების. და ნუ ურწმუნო იქმნები, დაღაცათუ არა ჰხედავ მას, რამეთუ სულსა კაცისასა არა ჰხედავ, გარნა უწყი, ვითარმედ სული არს, რამეთუ მაშინ ნივთად იყო მიწაჲ, არამედ ყოველივე შემოქმედისა მიერ იყო საქმს. და აწცა არს ნივთად წყალი, არამედ ყოველივე საქმს სულისა წმიდისაჲ არს; და მაშინ იქმნა კაცი სულად ცხოვრელად, და აწ მოვალს მის ზედა სული ცხოველსმყოფელი, რომლისა მიერცა ქმნეს მოციქულთა სასწაულნი იგი დიდნი, და მაშინ ხატად ღმრთისა დაებადა კაცი, ხოლო აწ ქრისტიმან სრულიად ღმერთსა შეაერთა იგი. მაშინ მკეცთაჲ მისცა კელმწიფებაჲ, ხოლო აწ უმაღლეს ცასა ცათასა აღიყვანა ბუნებაჲ ჩუენი და ყოველივე ახლად მოგუანიჭა და ახალი ცხოვრებაჲ. და მაშინ ადამ მიწისაგან დაიბადა და ევა ადამის გუერდისაგან და აბელ თესლისაგან ადამისა და ერთისაგანცა მათგანისა. ვერ გამოვსთარგმნით სიტყვთ, რომელნი-იგი ზრქელნი საქმენი არიან, და ვითარ შეუძლოთ, რაჲთამცა საიდუმლოჲ ესე ნათლის-ღებისაჲ გამოვთქუთ, რომელი უმაღლეს გონებასა კაცთასა არს? რამეთუ რაჲამს შობაჲ ესე სულიერი იქმნებოდის, ანგელოზნიცა მუნ მდგომარე არიან, გარნა საქმისა მის საიდუმლოსა ვერ გამოსთარგმანებენ, არამედ დგანან ოდენ და ხედვენ საქმესა მას დიდსა და იქმან

არარას, არამედ მამამ, ძმ და სული წმიდამ იქმს ყოველსავე. გურწმენეს უკუე სიტყუამ ღმრთისამ, რამეთუ ხილულისა ფრიად უსარწმუნოეს არს იგი, ვინამთგან თუალნი ჳორცულნი მრავალგზის სცთებიან, ხოლო მისი სიტყუამ არაოდეს იპოვების ცთომილ. და იგი იტყვს, ვითარმედ: „შობამ არს საქმს ესე“. და უკუეთუ ვინ თქუას: „და ვითარ არს შობამ?“ დაადუმე იგი სიტყვთა ღმრთისამთა, რომელი-იგი დიდი სიმტკიცე არს. და უკუეთუ ვინმე გუკითხოს, ვითარმედ: „რამსათვს მოპოვნებულ არს წყალი?“ ჩუენცა ვპრქუათ: „და ვითარ რამსათვს პირველად მიწამ შემოვიდა შესაქმედ კაცისა?“ და ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, რამეთუ თვნიერ მიწისაცა შესაძლებელ იყო ღმრთისა მიერ შექმნამ კაცისამ. ნურარას უკუე გამოეძიებ, რამეთუ გამოაჩინა მოციქულმან პეტრე ფრიადი იგი სავმარობამ მისი, რაჟამს მოვიდა ოდესმე სული წმიდამ პირველ წყლისა ვიეთმე ზედა, არამედ მოციქულმან არავე უდებ-ყო საბანელი წყლისამ, არამედ თქუა, ვითარმედ: „რამლა ყენება არს ნათლის-ცემად, რომელთა ზედა სული წმიდამ გარდამოვდა, ვითარცა ესე ჩუენ ზედა?“ ხოლო თუ რამ არს სავმარობამ იგი წყლისამ, იგიცა ვთქუა ძალისაებრ ჩემისა, რამეთუ მრავალნი არიან საქმენი მისნო, გარნა მრავალთა მათგან ერთი ვთქუა. ესე იგი არს, ვითარმედ: საღმრთომ სახმ აღესრულების მას ზედა: დაფლვამ, სიკუდილი და აღდგომამ და ცხორებამ. და ესე ყოველი ერთბამად იქმნების, რამეთუ, ვითარცა საფლავსა შინა, ესრეთ შთავჳყოფთ თავთა ჩუენთა წყალსა მას შინა, და დაიფარვის მუნ ძუელი იგი კაცი და დაინთქმის სრულიად ყოველივე. და კუჳლად, რაჟამს აღმოვილოთ თავი, აღმოვალს ჩუენ თანა ახალი იგი კაცი, რამეთუ ვითარცა ადვილ არს შთაყოფამ თავისამ წყალსა და აღმოღებამ, ეგრეთვე ადვილ არს წინაშე ღმრთისა დაფლვამ და დანთქმამ სრულიად ძუელისა მის კაცისამ და გამოჩინებად ახლისა. ხოლო სამგზის იქმნების შთაყოფამ თავისამ წყალსა, რამთა სცნა, ვითარმედ ძალი მამისა და ძისა და წმიდისა სულისამ აღასრულებს მას ყოველსა და არა იჳუ არს საქმს ესე. ისმინე პავლესი, რასა იტყვს, ვითარმედ: „დავეფლენით მის თანა ნათლის-ღებითა სიკუდილად“, და ვითარმედ „ძუელი იგი კაცი ჩუენი ჳუარს-ეცუა“.

ხოლო არა თუ ოდენ ნათლის-ღებასა ჯუარ-ცუმა ეწოდების, ჯამედ ჯუარ-ცუმასაცა ნათლის-ღება, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელვილო, ნათელ-ილოთ“.¹ რამეთუ, ვითარცა ჩუენ ადვილად შთავჰყოფთ წყალსა თავთა და აღმოვიღებთ, ეგრეთვე უფალი ადვილად მოკუდა და, ინება რაჲ, აღდგა, დაღაცათუ საიდუმლოდ სამ დღე იყო სატლავსა შინა.

ს წ ა ვ ლ ა მ კ ე

ვითარმედ უნათლავსა დაღაცათუ ბევრეულნი
სათნოებანი აქუნდენ, გეჰენიად მივალს

ხოლო აწ რომელნი ესევითართა საიდუმლოთა ღირსქმნულ ვართ, ცხორებამცა მოვიგოთ ღირსი მის ნიჭისაჲ, და რომელნი არა ღირსქმნულ ხართ მას ყოვლითა სახითა ოწრაფეთ, რაჲთა ღირს მისა იქმნეთ. და ვიქმნეთ ერთგუამ და ურთიერთას ძმა, რამეთუ ვიდრემდის ამით საქმით განყოფილ ვიყვნეთ, არცა ერთ არს ერთობაჲ, დაღაცათუ ჯორციელად ძმა ვიყვნეთ, რამეთუ უცხო არს უნათლავი ნათლისღებულისაგან. არა აქუს ორთავე ერთი მამაჲ, არცა ერთი ქალაქი, არცა ერთი საზრდელი, არცა ერთი სამოსელი, არცა სხუაჲ რაჲ; არამედ ყოველივე შეცვალებულ არს, და ნათელღებულისაჲ ყოველივე ზეცისაჲ არს, ხოლო უნათლავისაჲ ყოველივე ქუეყანისაჲ და ცოდვისაჲ. ხოლო ნათელღებულისაჲ მეუფჷ ქრისტჷ არს და უნათლავისაჲ — ეშმაკი და ცოდვაჲ, და არცა ერთი რაჲ აქუს ზიარებაჲ ურთიერთას. ვისწრაფოთ უკუე, რაჲთა ყოველნი ზეცისა ქალაქსა მკედრ ვიქმნეთ. ვიდრემდის ვართ ექსორიობასა, მივიდეთ პირველსა მას ჩუენსა მამულსა, ხოლო უკუეთუ ვინ უნათლავი წარვიდეს, დაღაცათუ ყოველივე სათნოებაჲ მას აქუნდეს, არასადა მივალს სხუად,

¹ მათ. 20,23

გარნა გეჰენიასა ცეცხლისასა და მატლსა წამლენასა და ბნელსა გარესკნელსა. არამედ ნუმცავის ზედა მოწვევულ არს იგი სატანჯველი, გარნა რაითა ვისწრაფოთ საქმეთა მეურ კეთილთა და აღვაშენოთ ოქროჲ და ვეცხლი და ქვანი პატროსანნი საფარველსა მას ზედა მოციქულთასა, რაითა ესრეთ ვიპოვნეთ მუნ მდიდრად, რაჟამს ყოველივე მონაგები ჩუენი მუნ მივიღოთ ჯელითა გლახაკთაითა, რამეთუ ფრიადი თანა-გუაც ქრისტესი არა საფასჲ, არამედ ცოდვათა თანანადები, ვავასხოთ უკუე საფასჲ, რაითა მოგვტევენეს ცოდვანი და ნუმცა შეურაცხ-ვპყოფთ აქა მშიერსა და შიშუელსა, რაითა მუნ გამოგუზარდნეს ჩუენ და შეგუმოსოს სამოსელი იგი უხრწნელებისაჲ. უკუეთუ აქა ვასუათ მას, არა ვთქუათ, ვითარცა მან მდიდარმან, თუ: „მოავლინე ლაზარე, რაითა დამისოვლოს ენაჲ“.¹ უკუეთუ აქა შევიწყნაროთ იგი, მუნ სავანეთა მრავალთა განმიმზადებს. უკუეთუ მივიდეთ მისა, საპყრობილესა შინა, მანცა გვჯსნნეს საპყრობილისაგან. უკუეთუ უცხოჲ იყოს იგი და შევიწყნაროთ, მანცა შემიწყნარნეს უცხოქმნულნი ესე სასუფეველსა ცათსა. უკუეთუ უძლური იყოს და ვიხილოთ, მანცა ადრე განგუათავისუფლნეს უძლურებათაგან ჩუენთა. და ამისთვის მივსცნეთ დიდთა მათ ნიჭთათვის მცირენი და არარანი საქმენი. ვიდრეღა ჟამი გუაქუს, ვსთესოთ, რაითა ოდეს ზამთარი მოვიდეს, გუაქუნდეს საუნჯჲ სავსჲ, რაჟამს ზღუაჲ არღარა ივლებოდის, რაჟამს მოიწიოს დღჲ იგი დიდი, რამეთუ მაშინ არღარა ივლების ზღუაჲ ესე დიდი და ვრცელი. აწ არს ჟამი თესვისაჲ, და რომელმან არა სთესოს, საწყალობელ იქმნეს იგი. ნუმცა უკუე უდებ ვიქმნებით, არამედ ვსთესოთ კეთილად და განვაბნიოთ საფასჲ, რაითა ნაყოფი მდიდრად მოვიღოთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

¹ შტრ. ლუკ. 16,24

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: შობილი იგი ჯორცთაგან ჯორცი არს და შობილი იგი სულისაგან სული არს (3.6). თ ა რ გ მ ა ნ ი: დიდთა საიდუმლოთა ღირს-მყვნა ჩუენ მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან რომელთა ჩუენ არა ღირს ვიყვენით, რამეთუ ჩუენ არა თუ ოდენ ნიჭთა არა ღირს ვიყვენით, არამედ უფრომსად დიდთა სატანჯველთა ღირს იყო მოწვევნაჲ ჩუენ ზედა. არამედ მან არა თუ ბოროტთაგან ოდენ განგუათავისუფლნა, არამედ ჰეთილთაცა ესევითართა ღირს-მყვნა და ახლდაბადებულ იქმნა ჩუენთეს, ვითარცა იტყუს პავლე: „რომელიცა არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული“. ისმინე მისი, ვითარ იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისა მიერ და სულისა, ვერ კელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“,¹ რამეთუ ჩუენ არცა ქუეყანისასა ღირს ვიყვენით, ხოლო მან ცანიცა მოგუცნა. ერთისა ხისა არაჰამად ვერ შევიკრძაღეთ, და მან სასუფეველი ცათაჲ მოგუცა. სამართლად იტყოდა პავლე მოციქული, ვითარმედ: „მ, სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ!“ რამეთუ არღარა არს ჩუენ ზედა შობაჲ ვნებული, არამედ საიდუმლოჲ წყლისაგან და სულისა წმიდისა, რამეთუ ვითარცა საშობ დედისაჲ არს ჩხელისა საყოფელ და მზრდელ, ეგრეთვე წყალი საშობ არს, მზრდელი მორწმუნისაჲ, რომელი ნათელილებდეს. რამეთუ ვითარცა-იგი თქუმულ არს მზისათეს, ვითარმედ: „ვითარცა სიძე გამოვალნ სასძლოდთ თვისით“, ესევე ჯერ-არს თქუმად მორწმუნეთათეს ნათელილებულთა, აღმო-რად-ვიდოდინან წყლისაგან, რამეთუ ფრიად უმეტესი ბრწყინვალეობაჲ აქუს მათ, ვიდრე მზესა. გარნა, რომელი-იგი საშობსა შინა იშვებოდის, ჟამისა სიგრძე უკმს, ხოლო წყალსა შინა არა ესრეთ, არამედ წამსა შინა იქმნების ყოველივე, რამეთუ, სადა-იგი მოკუდავი არს ცხორებაჲ და კრწნილები-საგან არს დაწყებაჲ, მუნ ჟამისა სიგრძე საკმარ არს, რამეთუ ესრეთ არს: ჯორციელი საქმე ჟამისა სიგრძესა სრულ იქმნების, არამედ სულიერი არა ესრეთ არს, გარნა ვინაჲთგან ნიკოდემოს ამას ესევითართა სიტყუათა ზედა შეძრწუნებულ

¹ იოან. 3.5

იყო. იხილე, ვითარ გამოუცხადებს მას სიდიდესა მას საიდუმლომასსა, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „შობილი იგი კორცთაგან კორც არს და შობილი იგი სულისაგან სულ არს“. სრულიად შორს-ჰყოფს მას კორციელთაგან, რამთა არღარა თუაღიოთა კორციელთა ეძიებდეს საქმეთა მათ ხილვად, რამეთუ ეტყუს, ვითარმედ: „არა კორცთათუს, არამედ სულისათუს ვიტყვ“. შ, ნიკოდემოს, ხოლო სული კორცთა არა შობს? ნუ ჰგონებ! და უკუეთუ ვინ თქუას: და კორცნი უფლისანი ვითარ იყვნეს? არა სულისაგან წმიდისა იშვნესა? არამედ გულისხმა-ყავთ, ვითარმედ არა სულისაგან ოდენ იშვნეს, გარნა კორცთაგანცა ქალწულისათა. ამისთვისცა მოციქული იტყუს, ვითარმედ: იშვა დედაკაცისაგან, იქმნა შჭულსა ქუეშე, რამეთუ იყვნეს კორცნი იგი სულისა მიერ წმიდისა, გარნა საშოისაგან ქალწულისა იყვნეს. ხოლო თუ ვითარ იქმნა ესე, გამოთარგმანებაჲ შეუძლებელ არს. ხოლო ესე ამისთვის იქმნა, რომელ არავინ ჰგონებდეს, ვითარმედ უცხო ჩუენისა ბუნებისაგან არს შობილი იგი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : შობილი იგი სულისაგან სული არს (3,6)
თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა პატივისა მას სულისასა? და საქმესა მას, რომელსა მამაჲ იქმს, იგიცა იქმს, ვითარცა-იგი ზემო თქუა, ვითარმედ: „ღმრთისაგან იშვნეს“. ხოლო აქა იტყუს, ვითარმედ: სული შობს მათ, რამეთუ შობილი იგი სულისაგან სული არსო. ხოლო სიტყუაჲ ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: შობილი იგი სულისაგან სული არს, რამეთუ შობასა აქა არა თუ არსად მოსლვასა იტყუს, არამედ პატივისა და მადლისასა. ხოლო ვინამთგან ესრეთ ჰრქუა უფალმან და იხილა იგი, ვითარმედ ჭერეთ ვერვე გულისხმა-ჰყოფდა, ამისთვის ხილული იგავი მოართუა მას სახედ და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ნუ გიკურს, რამეთუ გარქუ შენ: ესრეთ ჭერ-არს თქუენდა შობაჲ მეორედ. სულსა ვიდრეცა უნებნ, ჭრინ (3,7,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილა იგი განკურვებული და ინება, რამთამცა უჩინა მას სახმ რამდე, რამეთუ კორციელთა და ნივთიერთაგან განაშოვრა, რაჟამს ჰრქუა, ვითარმედ: „შობილი სულისაგან სულ არს“, და „ვინამთგან არა იცოდა მან, თუ რაჲ არს სიტყუაჲ ესე, ამისთვის კორციელისავე მიმართ მოიყვანა და არა სრულიად ზრქელთაგან გუამთა მოართუა

სახმ, არცა კუალად სრულიად უჯორცოთაგან, რამეთუ ვერ-
ძალ-ედვა მას სრულიად გულისხმის-ყოფად, არამედ პოვა-
ნაშუვალი ჯორციელისა და უჯორცოდასა ბუნებისა — ქრო-
ლა იგი ქარისაჲ. რამეთუ ქარისათჳს ეტყჳს მას, თუ: „კმაჲ
მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს, ანუ ვიდრე
ვალს“. ხოლო რაჟამს თქუას, თუ: „ვიდრე უნებზ, ქრინ“, არა
თუ ნებასა რასმე მოასწავებზ ქარისასა, არამედ ბუნებით მი-
ცემულსა მას მისდა დაუყენებელსა ქროლასა, რომელსა კაც-
თაგანი ვერვინ აყენებზ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ი: ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან.
(3,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** აჲა აღასრულა სიტყუაჲ თჳსი, რა-
მეთუ უკუეთუ მას, რომლისა ცნობასა სასმენელითა მიიღებ
და პირსა გეცემის და გზაჲ მისი არა იცი, ვერცა ნივთსა
ძისსა გულისხმა-ჰყოფ, ვითარ გამოეძიებ საქმესა სულისა წმი-
დისასა, რომელმან ქარისა ბუნებაჲ არა იცი, რომლისა კმაჲ
გესმის? და კუალად სიტყუაჲ ესე, თუ: „ვიდრეცა უნებზ,
ქრინ“, სახედ სულისა წმიდისა არნ, რამეთუ უკუეთუ ესე
ნივთიერი და უძლური ბუნებაჲ ესრეთ არს და მოცემულ არს
მისდა, რაჲთა ვიდრეცა უნდეს, ქროდის, და ვერვინ აყენებზ
მან, უკუეთუ არა უფროდასად სული წმიდაჲ მოჰფენდესა
ძალსა თჳსსა, ვიდრეცა ენებოს და ვერ უძლონ შჯულთა
ბუნებისათა დაყენებად, არცა საზღვართა ჯორციელისა შობი-
სათა, ანუ სხუამან რამანმე? რამეთუ ვითარცა ქარისათჳს იტყჳს,
თუ: „კმაჲ მისი გესმის“,¹ ამისგან საცნაურ არს, რამეთუ
უკუეთუმცა არა ქარისათჳს იტყოდა, არამედ სულისა წმიდი-
სათჳს, ვითარცა ჰრქუა კაცსა ჰურიასა, რომელმან არა იცოდა
სულისა წმიდისათჳს, ვითარმედ: „კმაჲ მისი გესმის“. და ვი-
თარცა ქარი არა ჩანს, დაღაცათუ კმაჲ მისი ისმის, ეგრეთვე
მადლი სულისა წმიდისაჲ ჯორციელითა თუალითა არა იხილ-
ვების, არცა შობაჲ იგი სულიერი, რამეთუ ქარიცა ნივთი
არს, დაღაცათუ არა ზრქელი არს, არამედ თხელი. და უკუე-
თუ ნივთიერსა ამას ვერ ჰხედავ და არავე გიკჳრს, ვითარ სუ-
ლისა წმიდისათჳს გიკჳრს და არა გრწამს? ხოლო ნიკოდემოს
ჯერეთ ჰურიათასავე სიმდაბლესა შინა იყო და უძლურებასა

¹ იოან. 3,8

ამათ ყოველთა სახეთა ზედა, ამისთვისცა ჰრქუა უფალსა:

სახარება: ვითარ შესაძლებელ არს ესე ყოფად? ჰრქუა მას იესუ: „შენ ხარ მოძღუარი ისრაჲლისა და ესე არა უწყია?“ (3,9-10). **თარგმანი:** არასადა აბრაღა მას უკეთურებისათჳს, არამედ უფროჲს უგულისხმოებისათჳს. ხოლო რაჲ ზიარებაჲ აქუნდა ამას შობასა ჰურიათასა თანა? რაითამცა მისგან ესე ცნა, გარნა ფრიადი აქუნდა ზიარებაჲ, რამეთუ პირველდაბადებული კაცი, და კჳალად გუერდისაგაჲ. მისისა შექმნული, და შობაჲ იგი ბერწთაჲ და საქმენი იგი ყოველნი, რომელნი წყალთა მათ ზედა აღესრულნეს, წყალსა მას ზედა, რომლისაგან ელისე რკინაჲ აღმოიღო, და კჳალად ზღუაჲ მუწამული, რომელი განვლეს ჰურიათა, და ემბაზი იგი, რომელსა ანგელოზი აღსძრვიდა, და ასურისა ნემანის საქმე, რომელი იორდანეს განწმდა. და ესე ყოველნი ნათლისღებისა სახესა მოასწავებდეს და კჳალად მრავალი თქუეს ამისთვის წინააღმართუელთა, ვითარცა იტყუს, ვითარმედ: „ერსა მას შობადსა, რომელ ქმნა უფალმან“, და ვითარმედ: „განაზღდის, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“, და: „ნათელ-იდე, ნათელ-იდე, იერუსალჲმ!“ და: „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნენ უმჯულოებანი“, და კჳალად შობაჲ ისაკისი ბერწისაგან და სხუათა მრავალთაჲ სახე იყო ამისვე შობისაჲ, და ქალწულისაგან შობისაჲცა. და ამას ყოველსა მოაჯსენებს მას და ეტყუს, ვითარმედ: „შენ ხარ მოძღუარი ისრაჲლისაჲ. და ესე არა უწყია?“¹ „ამენ, ამენ, გეტყჳ შენ, რამეთუ რომელი ვიციით, ვიტყუთ და, რომელი ვიხილეთ, ვწამებთ. და წაშებასა ჩუენსა არავინ შეიწყნარებს“. ენება, რაითამცა სრულიად გულსაგსე-ყო იგი, ამისთვის თქუა, ვითარმედ: „რომელი ვიციით, ვიტყუთ და, რომელი ვიხილეთ, ვწამებთ“.² რამეთუ ვინაითგან ჩუენ მიერ უფროჲს ყოველისა თუალნი სარწმუნო არიან და, რაჲამს ვის ვეტყოდით დარწმუნებად, ესრეთ ვიტყუთ, ვითარმედ: „თუალთა ჩუენითა გვხილავს“. ეგრეთვე ქრისტე კაცობრივ ეტყუს მას უძღუარებისა მისისათჳს და, ვითარმედ ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ მისი, ამისთვის ეტყუს, ვი-

¹ იოან. 3,10

² იოან. 3,11

თარმედ: „რომელი ვიხილეთ, ვწამებთ“, რა მთა დაარწმუნოს, ვითარმედ ჭეშმარიტად ესრეთ არს და სხუებრ არა. ხოლო ხილვად ამას ადგილსა ჭეშმარიტსა ცნობასა იტყვის და რამეთუ იგი პირველ ყოფისა ყოველსა მომავალსა. ჰხედვიდა, და ამისთვის თქუა რამ, ვითარმედ: „შობილი სულისაგან სული არს“, შესძინა, ვითარმედ: „რომელი ვიხილეთ, ვწამებთ“, რამეთუ საქმე იგი არღა ქმნულ იყო, გარნა იგი ყოველსავე პირველ ყოფისა ხედვიდა. ხოლო სიტყუასა ამას, თუ: „რომელი ვიციით“, გინა თუ თავისა თვისისათვის და მამისათვის იტყვის, გინა თუ თავისა თვისისათვის ოდენ. ხოლო სიტყუად იგი, ვითარმედ: „არავინ შეიწყნარებს“, არა განრისხებულისა არს, არამედ საქმესა მას ვითარ იქმნა, იტყოდა. რამეთუ თავადი სიტყუთცა და საქმითცა ყოველსავე სიმშუდესა და სიტკბოებასა ჩუენებდა, რამეთუცა ჩუენცა გუასწავა სიმშვიდმც, და, რამთა რაჟამს ვიეთმე ვეტყოდით რას, და წინააღმდეგებოდინ, არა განვრისხნებოდით, რამეთუ ყოველი მრისხანე ვერარას კეთილსა აღასრულებს, არამედ უფრომხად ყოველსა კეთილსა დაარლუევს.

ს ვ ა ვ ლ ა ე კ ვ

მრისხანებისათვის

ამისთვის ჭერ-არს ყოვლითა მოსწრაფებითა განწორებამ. მრისხანებისაგან და ამბოხებისა, რომელი-იგი ნივთი არს მრისხანებისა, რამეთუ რისხვად ვნებამ არს ბოროტი და მრავალღონე დაბნელებამ სულისა. ამისთვის ჭერ-არს, რამთა ყოვლით კერძო ვეკრძალნეთ მას, რამეთუ ბოროტ არს. უკუეთუ მკეცთა დამშუდებამ ძალ-გუედვას და გონებასა ჩუენსა განმკეცებულსა უგულებელს-ვპყოფდეთ, რამეთუ გულისწყრომამ ცეცხლი არს შემწუველი სულისა და მავნებელი კორცთამ და უშუერ-მყოფელი. და უკუეთუმცა მრისხანესა ეამსა რისხვისასა ძალ-ედვა თავისა თვისისასა ცნობამ, თუ

ვითარი არს, არამცა საკმარ იყო სხუად სწავლად, რამეთუ არარაჲ არს უბოროტეს მრისხანისა. მთრვალობად არს ბოროტი მრისხანებაჲ, და უფროდს მთრვალობისა უბოროტეს და ეშმაკეულობისა უძრვს, არამედ მოვიწყულოთ ჩუენგან რისხვად და ჳმამაღლობად სიტყუსაებრ პავლე მოციქულისა, და ჟამსა განრისხებისასა მოვიჳსენებდეთ ცოდვათა ჩუენთა. და რაჟამს მონასა შენსა ჳრისხვიდე და ჳპეროვოდი, და იგი დგეს მღუმარიად და მშუდად, იგი კმა იყავნ შენდა სასწაულად, რამეთუ დაღაცათუ მონაჲ არს, არამედ კაცივე არს და სული აქუს უკუდავი და იგივე ნიჳნი ჳქონან ღმრთისაგან. ვითარ — ეგე შენ. და უკუეთუ, რომელი-იგი სულიერითა პატივითა სწორ ჩუენდა არს და ჳორციელისა ამის და არარაჲსა ჳელმწიფებისათჳს ესრეთ სიმშუდით თავს-რისხამს სიტყუათა ჩუენთა, ჩუენ რომელი სიტყუად მიუგოთ ღმერთსა, რაჟამს შიშისა მისისათჳს ესრეთ არა აღჯრ-ვასხმოდეთ გონებათა ჩუენთა, ვითარ-იგი მონანი ჩუენთჳს. ამას უკუე ყოველსა გულისხმავჳყოფდეთ და ცოდვათა ჩუენთა ვიჳსენებდეთ და ბოროტისა ამის ვნებისაგან ვივლტოდი, რაჲთა ვპოვოთ განსუენებაჲ სულთა ჩუენთაჲ მადლითა უფლოსა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჳშუენის დიდებაჲ სულით წმიდირჳურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

თ ა ვ ი კ ჳ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : უკუეთუ ჳუეყანისაჲ გითხრა თქუენ და არა გრწამს, ვითარ უკუე ჳეცისაჲ გითხრა თქუენ და გრწმენეს? და არავინ აღკდა ჳეცად, გარნა, რომელი გარდამოკდა ჳეცით, ძმ კაცისაჲ, რომელი არს ცათა შინა (3,12—13).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვითარცა მრავალგზის მითქუამს, აწცა მასვე ვიტყჳ, ვითარმედ ენება იესუს, რაჲთამცა მაღალნი იგი სიტყუანი ღმრთეებისა თჳსისათჳს გამოთქუნა, გარნა უძღურებისათჳს მსმენელთაჲსა მრავალგზის არა იქმს ამას, და მრავალგზის იტყუს სიტყუათა სიმდაბლითა სავსეთა, რამეთუ ფრიად სარგებელ ეყოფვოდა მათგან უძღურთა გონებითა, ვიდრეღა მაღალთა მათ სიტყუათა, რომელთა ვერ ძალ-ედგა გულისხმის-

ყოფად, არამედ მაღალნი იგი კმა-იყვნეს თქუმად ერთგზის, გინა ორგზის, რადთამცა გულისხმა-ვეყავთ მათგან სიმადლჳ მისი და დიდებამ ძალისაებრ ჩუენისა, ხოლო მდაბალთა სიტყუათა უკუეთუმცა არა ზედამსზედა იტყოდა, არამცა მოდრეკილ იყვნეს მრავალნი, არამედ რადთა არა კუალად სიმდაბლისა სიტყუათაგან სხუად რადმე ვნებად მოიწიოს და მისნი მსმენელნი სრულიად ქუე დაამდაბლნეს, ამისთვის მიზეზსა იტყვს მისისა მის სიმდაბლით სიტყუსათვს, რამეთუ თქუა რად ხათლის-ლებისათვს, რად-იგი თქუა და შობისათვს სულიერისა. რომელი იქმნების ქუეყანასა ზედა, და ენება, რადთამცა თქუა თვისისა მის გამოუთქუმელისა და მიუწუდომელისა შობისათვსცა, გარნა არა თქუა, და მიზეზიცა თქუა, თუ რადსათვს არა იტყვს, რომელ არს სიზრქჳ და უძღურებამ მსმენელთად მათ. და ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ ქუეყანისად გითხრა თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე ზეცისად გითხრა თქუენ, და გრწმენეს?“¹ და საცნაურ არს უკუე. ვითარმედ სადაცა კაცობრივი რად სიტყუად თქვს, უძღურებისათვს მსმენელთადსა ყვის. ხოლო ქუეყანისად აქა, რომელნიმე ქარისათვს თქუმულსა მას სიტყუასა იტყვან, ვითარმედ უკუეთუ ქუეყანისაგან მოგართუ სახჳ და არავე გრწმენა, ვითარ გრწმენენ უმაღლჳსნი სიტყუანი? უკუეთუ კულა ნათლის-ლებასა იტყვ ამას ადგილსა ქუეყანისად, გინა თუ, რამეთუ ქუეყანასა ზედა იქმნების, ანუ თვისსა მას საშინელსა შობასა თანა სახელ-სდებს ამის ქუეყანისად, ესეცა სიტყუად კეთილვე არს, რამეთუ დალაცათუ შობად ესე ნათლის-ლებისად ზეცისად არს, გარნა უკუეთუ ვინ მას თანა იტყოდის მაღალსა მას მამისაგან შობასა ძისასა, მას თანა ქუეყანისად არს. და არა ჰრქუა, ვითარმედ: არა გულისხმა-ჰყავთ, არამედ: არა გრწმენაო. რამეთუ რაჟამს მათ საქმეთა არა შეიწყნარებდეს კაცი, რომელთა გონებითა შემძლებელ იყოს გულისხმის-ყოფად, მათ ზედა სამართლად ითქუას უგულისხმობებამ, ხოლო რაჟამს მათ არა შეიწყნარებდეს, რომელთა გონებით მიწუდომამ შეუძლებელ იყოს და სარწმუნოებისა მიერ ოდენ ჳერ იყოს შეწყნარებამ, მას ურწმუნოებისა სენი

¹ იოან. 3,12

აქუნს; ხოლო უფალმან რაჟამს ესრეთ ამხილა მას, მერმე უჩუ-
ენა, ვითარმედ არა თუ ოდენ ესე უწყის, არამედ უმეტესიცა
ამის ყოვლისაჲ. ამისთვის ჰრქუა მას, ვითარმედ: „არაინ აღკდა
ზეცად, გარნა რომელი გარდამოკდა ზეცით, ძმ კაცისაჲ,
რომელი არს ცათა შინა“,¹ ვინამთგან მან ჰრქუა, ვითარმედ:
„ვიცით, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოხუედ მოძღურად“.²
ამისთვის უფალი ეტყუს, ვითარმედ: ნუ ჰგონებთ, თუ ესევი-
თარი ვარ, ვითარცა სხუანი წინამსწარმეტყუელნი, რომელნი
ქუეყანით იყვნეს, რამეთუ მე ზეცით მოსრულ ვარ, და წი-
ნამსწარმეტყუელთაგანი არაინ ასრულ არს ზეცად, გარნა
მე ზეცით მოვედ და ცათა არავე დავაკლდი, რამეთუ ზეცათა
შინა ვარ. ჰხედავა, ვითარ დიდ არს სიტყუაჲ ესე და მაღალ?
არამედ მისსა დიდებასა თანა მცირე არს, რამეთუ იგი არა
თუ ცათა შინა ოდენ არს, არამედ ყოველგანცა. გარნა აწ უძ-
ღურებასა ამას ნიკოდემოსისსა ესეცაჲკმა ეყვნეს სიტყუანი,
ხოლო ძედ კაცისა ამას ადგილსა ვორცთა სახელ-სდებს, არა-
მედ უღარქსისა ამის ბუნებისაგან ყოვლითურთ ღმრთეები-
საცა ბუნებასა თესსა უწოდა, რამეთუ ამას მრავალგზის იქმს,
და ოდესმე ღმრთეებისა მისისა სახელითა ოდენ ღმრთეება-
საცა მოასწავებს და კაცებასაცა. და კუალად ოდესმე კაცე-
ბისა ოდენ სახელითა ეგრეთვე ორსავე ბუნებასა მოასწა-
ვებს — ღმრთეებისაცა და კაცებისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუე-
ლი უღაბნოსა ზედა, ეგრეთ ჯერ-არს აღმაღლებაჲ ძისა კაცი-
საჲ (3,14). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** პირველად თქუა დიდი იგი ქვე-
ლისმოქმედებაჲ თვისი, რომელი მოსცა კაცთა ნათლის-ღებისა
მიერ, და აწ შესძინა თქუმად მისისა მის მიზეზისა და არა-
რამთ უღარეს მის ქველისმოქმედებისა, რომელ არს ჯუარ-
სამიერი იგი, ვითარცა-იგი პავლე ეტყოდა რაჲ კორინ-
თელთა, ესე ორნივე ერთბამად თქუნა, ვითარმედ: „ნუუკუე
პავლე ჯუარს-ეცუა თქუენთვის, ანუ სახელსა ზედა. პავლესსა
ნათელ-იღეთა?“ რამეთუ ყოვლისა უფროჲს ესე ორნი საქმენი
გამოაჩინებენ გამოუთქმელსა მას კაცთა მიმართ სიყუარულსა

¹ იოან. 3,12

² იოან. 3,2

ძისსა, რამეთუ მტერთა თვსთათვს მოკუდა, რამეთუ ჩუენ ყოველნი მაშინ მტერ მისა ვიყვენით, და რომელ არა ესეოდენ, არამედ ნათლის-ღებისა მიერ სრულსა ცოდვათა შენდობასა მოგუანიჭებს. ხოლო რაჲსათვს არა თქუა ცხადად, თუ: „მეგულების ჭუარ-ცუმაჲ“, არამედ ძუელისა მის სახისა მიმართ მიიყვანა სიტყუაჲ? ერთად, ამისთვს, რაჲთა ცნან, ვითარმედ ძუელი იგი მახლობელ არს ახლისა და ზიარ მისა და არა უცხო. და მერმე, რაჲთა სცნა, ვითარმედ არა იძულებით მივიდოდა ჭუარ-ცუმაჲდ, და კუალად, რაჲთა გულისხმა-ჰყო, ვითარმედ მისი არარაჲ ვნებაჲ იყო საქმე იგი, და ვითარმედ სხუანი ყოველნი მისგან ცხოვნდებოდეს, რაჲთა არა თქუას ვინმე, თუ: „ვითარ აცხოვნოს ჭუარცუმულისა და მოკლულისა სარწმუნობამან ვინმე?“ ამისთვს ძუელისა მის საქმისა მიმართ მიგუყვანნა, რაჲთა მოვიგონოთ, უკუეთუ რეალისა გუელსა ჰხედვიდეს ჰურიანი და ცხოვნდებოდეს, აჰრა უფროჲსად, უკუეთუ ვინ ღმერთი ჭუარცუმული ჩუენთვს ირწმუნოს, ცხოვნდესა? და არა თუ უძლურები (. . .) რამეთუ, ვინაჲთგან სიკუდილი და ჭუარ-ცუმაჲ აქსენა, რაჲთა არა თქუას, რომელსა-იგი ესმოდა, თუ სიკუდილი ეუფლების მას და ევნების რაჲ, ამისთვს თქუა, ვითარმედ: „ყოველთა, რომელთა ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ“.

ხოლო ესე საცნაურ არს, რაჲთა რომელი სხუათა ცხორებასა მიანიჭებს, მასმცა ვითარ ეუფლა სიკუდილი? და უკუეთუ რომელთა ჭუარცუმულისაჲ ჰრწმენეს, ცხოვნდებიან, ჭუარცუმულსამცა ვითარ რაჲ ევნებოდა, რომელ — იგი წყაროჲ არს ცხორებისაჲ? ჰხედავა, ვითარ ყოველსა ადგილსა სარწმულსამცა ვითარ რაჲ ევნებოდა, რომელ-იგი წყაროჲ ცხორებისა, რომელსა-იგი გონებაჲ კაცობრივი არა ადვილად შეიწყნარებს, არამედ უძლურებასა მას გონებისასა უზეშთაესი სარწმუნობაჲ ადვილად შეიწყნარებს, ხოლო ვინაჲ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე ესრეთ, სხუაჲთ არასადათ, გარნა სახიერებისაგან ოდენ თვისისა.

გლახაკთმოწყალებისათვის

შევიკდიმთ უკუე ჩუენცა სიუუარულისა მისგან მისისა, შევირცხნოთ დიდისა მის კაცთმოყუარებისაგან მისისა, რამეთუ მან მხოლოდშობილსა ძესა თვისსა არა პრიდა ჩუენთვის, ხოლო ჩუენ საფასეთა ვშურობთ მისთვის, და უფრომსად თავთა ჩუენთათვის, და არა ფრიადისა საშჯელისა ღირს ვართა? რამეთუ, უკუეთუ კაცმან ვინმე ჩუენთვის ჭირი და შრომათა თავს-იდვას, ჩუენცა გუხარის მისთვის თავს-დებამ ჭირისამ და ყოველი ჩუენი მისთვის მინიჭებად არა გუშურის. ხოლო ქრისტეს მიმართ ამასცა არა ვიქმთ, რომელმან სული თვისი დადვა ჩუენთვის და სისხლი თვისი პატიოსანი დასთხია, რომელნი-ესე მტერ მისა ვიყვენით, და საუკუნო მსა საშჯელისაგან გუკსნნა, და ჩუენ აწ არცა უნდოსა საგმარსა მივსცემთ მას. ვინ მიკსნნეს საუკუნო მსა ცეცხლისაგან? არა ჩუენ თვთ დავ-შჯითა თავთა ჩუენთა? არა საუკუნო მსა გუკენიასა ნებსით მი-ვეცემითა? რამეთუ, რომელმან სული თვისი ჩუენთვის დადვა, არა შევიწყნარებთ, რამეთუ არა საფასენი, არამედ სულთაცა ჩუენთა გუნდა მიცემამ. და არცა მაშინ იყო ღირს რამმე ჭველისმოქმედებისა მისისამ, არამედ არა გულისხმა-გუყოფთ ამას ყოველსა, გარნა ვართ უგულისხმო და უკეთურ, და მონათა და ცხენთა ოქრომთა შევამკობთ, ხოლო მეუფესა ჩუენსა არცა თუ პურსა არა მივსცემთ მრავალგზის, და, შიშუელთუ იყოს, არა შევკმოსთ, არამედ უფრომსად რისხვით განვს-დევენით: და იგი ამას ყოველსა იქმს, რამთამცა ჩუენ მიზეზ-ვეციოთ მრავლისა წყალობისა მისისა ჩუენ ზედა მოფენად, და შიშუელი მოვალს, რამთამცა შენ მიზეზი მიეც შემოსად შენდა სამოსელი უხრწნელებისამ, გარნა სამოსელნი რომელნიმე მლილთა მიერ შეკმულ არიან, და რომელნიმე ამოდ სხენან, და რომლითამე შეიმკვები, რამთამცა უბანისა კაცთა გიხილეს, და სულისა შენისა შემკობამ არა გუნებავს. რამსა ესრეთ მოსწრაფე ხარ შემკობად თავისა შენისა? რამ კეთილი არს მაგას შინა? რამეთუ დედანიცა მეძავნი ესრეთ იძკვი-ბიან, და უმეტესადცა; არამედ ჭეშმარიტი სამკაული სათნო-

ებამ არს, რომელი შუენიერ-ჰყოფს სულსა. ამას მარადის ვიტყვ და თქუმად არა დავსცხრები, რამეთუ არა მეწყალიან ესეზომ გლახაკნი, რაზომ თქუენნი სულნი. იხილეთ, თუ უწყალობამან მდიდარისამან ვის უფრო ავნო, ლაზარეს, ანუ თვთ მას? ეგრეთვე თქუენ უფრომსად გვენოს უწყალოებითა, ვიდრელა გლახაკთა. და მათვე სიტყუათა მდიდარისათა იტყო-დით ცეცხლსა მას შინა და არა ჰპოვებდეთ წყალობასა, არა-მედ ნუმცა ვის ასმია ჳმად იგი, გარნა წიაღთამცა აბრაჰამისთა მიწევნულ ვართ ყოველნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი კ მ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: რამეთუ არა ესრეთ მოავლინა ღმერთმან ძმ თვისი სოფლად, რაათა დასაჯოს სოფელი, არამედ რაათა ცხოვნდეს სოფელი მის მიერ (3,17). თ ა რ გ მ ა ნ ი: მრავალნი კაცნი უდებნი და ცოდვისმოყუარენი მიზეზად თვისისა დაჯსნილობისა ივმარებენ სიტყუათა ამათ და იტყუან, ვითარმედ: არა არს ჯოჯოხეთი არცა სატანჯველი, არამედ ღმერთი ყოველთა ცოდვათა შეგუნდობს, რომელთა მიმართ იტყუს წერილი, ვითარმედ: „ნუ იტყვთ თუ: მოწყალებანი მისნი მრავალ არიან, და მილხინონ ცოდვათა ჩემთა“, რამეთუ წყალობამ და რისხვამ არს მის თანა და მრავლისაებრ წყალობისა მისისა მრავალ არს მხილებამცა მისი, რამეთუ ცოდვათაებრ ჩუენთა მოგუეცემის მოსაგებელი, ვითარცა იტყუს წინადაწარმეტყუელი, ვითარმედ: „შენ მიაგო კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“.¹ და ესე დიდი კაცთმოყუარებამ არს ღმრთისამ, რამეთუ ღმერთმან ორად ცხოვრებად განყო საქმე ჩუენი: ერთად, საწუთროდ, და მეორედ, საუკუნოდ. და ერთი ესე ცხოვრებამ ღუაწლთა ჟამად განაწესა და მეორე იგი გვრგვნთა და მოსაგებელთა. და ამასცა ზედა დიდი კაცთმოყუარებამ გუაჩუენა, რამეთუ ვქმნენით ჩუენ მრავალ-

¹ მათ. 16,27 .

ნი ცოდვანი და არა დავსცხერით სიყრმითგანვე სიბერედმდე შეგინებად სულისა, მათ ყოველთა შენდობაჲ მოგუცა წმი-
 დითა ნათლის-ღებითა და მოგუანიჟა ჩუენ სიწმიდჳ. და კუა-
 ლად, რომელმან სიჩჩოათგან მიიღოს წმიდისა ნათლის-ღები-
 სა საიდუმლოჲ, და მერმე შემდგომად ამისა შეაგინოს სული
 თვისი, იგი ბევრეულთა სატანჯველთა ღირს არს, გაჩნა მასცა
 განულო ღმერთმან კარი სინანულისაჲ და მოსცა მრავალი
 ღონჳ განწმედად ცოდვათა თვისთა. და ესე ყოველი გულისხმა-
 ყავ, ვითარისა სახიერებისა სახენი არიან, პირველად, რომელ
 მოგუცემს სრულიადსა შენდობასა ცოდვათასა ნათლის-ღები-
 თა, და კუალად, უკუეთუ ვცოდოთ, მოგუტევებს სინანულითა
 ბოროტთა მათ ჩუენთა და გუადროებს შენანებად. და ამის
 ყოვლისათჳს ეტყოდა ქრისტე ნიკოდემოსს, ვითარმედ: არა
 ძოავლინა ღმერთმან ძმ თვისი, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არა-
 მედ რაჲთა ცხოვნდეს სოფელი მის მიერ, რამეთუ ორნი არიან
 ქრისტეს მოსლვანი: პირველად, ესე და, კუალად მეორედ,
 რომელი ყოფად არს, არამედ ორნივე არა ერთსა ზედა არიან;
 რამეთუ პირველ მოვიდა, რაჲთა არა გამოიძინეს, არამედ მოგუ-
 ტევენეს ცოდვანი, ხოლო მეორედ მოსლვად არს, არა რაჲთა
 მოკეტევენეს, არამედ რაჲთა გამოიძინეს. ამისთჳსცა პირველი-
 სათჳს იტყუს, ვითარმედ: „არა მოვედ, რაჲთა დავსაჯო სოფე-
 ლი, არამედ რაჲთა ვაცხოვნო“, ხოლო მეორისათჳს იტყუს,
 ვითარმედ: „ოდეს მოვიდეს ძმ კაცისაჲ დიდებითა მამისაჲთა
 და დაიდგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი მარც-
 ხენით“.¹ და უკუეთუმცა არა ფრიადითა სახიერებთა. თჳსითა
 შეგვნდობდა პირველიმცა მოსლვაჲ მისი საშჯელიმცა კაცთაჲ
 ყოფილ იყო, რამეთუ პირველ მოსლვისა მისისაცა შჯული იყო
 ბუნებით, და კუალად შჯული და წერილი და სიტყუანი წი-
 ხადსწარმეტყუელთანი და საქმენი სასწაულთანი და სა-
 ტანჯველთათჳს საუკუნეთა სიტყუანი და სხუაჲ ესეკითარი
 მრავალი; და ღირს იყო, რაჲთამცა მის ყოვლისათჳს სიტყუაჲ
 იძია, არამედ მან კაცთმოყუარებისა თვისისათჳს პირველი ყო-
 ველი შეგვნდო, თუ არა, ყოველნიმცა წარწყმედულ ვიყვი-
 ნით, რამეთუ ყოველთავე ვცოდეთ და დაკლებულ ვიყვინით

¹ მათ. 25,33.

დიდებასა ღმრთისასა, არამედ განვმართლდით უსასყიდლოდ მაღლითა მისითა. ინილუა მიუწუდომელობაჲ იგი სახიერებისა მისისაჲ? უკუეთუ კულა ვინ თქუას, ვითარმედ: უკუეთუ არა მისთვის მოვიდა, რაჲთა დასაჯოს სოფელი, ვითარ იტყვს, ვითარმედ: „რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დაშვილ არს?“ უკუეთუ არა არს ჟამი საშჯელისაჲ, ვითარ დაშვილ არს? არამედ გულისხმაყავთ, ვითარმედ, ანუ იტყვს, ვითარმედ თუთ იგი საქმჲ ურწმუნოებისაჲ და უნათლავად ყოფაჲ სატანჯველ არს, რამეთუ გარეგან ნათლისა ყოფაჲ თუთ კმა არს ბოროტად. ანუ თუ მომავალისა მას საუკუნოხსა საშჯელსა მოასწავებს სიტყუთა ამით, რამეთუ, ვითარცა კაცისმკლველი დაღაცათუ მსაჯულისა სიტყუთა არა დაისაჯოს, არამედ ბუნებითა მის საქმისაჲთა დაშვილ არს, ეგრეთვე ურწმუნოჲ, რამეთუ აღამსცა ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „რომელსაცა ღღესა შჯამო ხისა მისგან, მოჰკუდღე“. და მან შემდგომად ჳამისა მრავალი ჟამი დაყო. და ვითარ ჰრქუა ღმერთმან, ვითარმედ: „რომელსა ღღესა შჯამო, მასვე ღღესა მოჰკუდღე?“ გარნა დაღაცათუ საქმით არა იქმნა მაშინვე სიკუდილი, არამედ ბრძანებითა მით ღმრთისაჲთა და ბუნებითა მის საქმისაჲთა, და ვინაჲთგან გამოჯდა მის ზედა განჩინებაჲ სიკუდილისაჲ, ვითარცა მომკუდარ იყო, დაღაცათუ დაყენა ჟამნი რაოდენნიჲმე. რამეთუ, რაჲთა არავის ესმეს ვითარმედ: „არა მოვედ დაშჯად სოფლისა“, და ჰგონებდეს, თუ არა სამე არს საშჯელი. ამისთვის თქუა სიტყუაჲ ესე, რაჲთა ვიცოდით, ვითარმედ საშჯელი ყოფად არს. და ესე დიდი სახიერებაჲ არს ღმრთისაჲ, რომელ არა ოდენ ძმ მოსცა, არამედ ჟამიცა საშჯელისაჲ დააყოვნა, რაჲთა აქუნდეს ცოდვილთა ჟამი სინანულისაჲ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : რომელსა ჰრწმენეს ძისაი, არა ისაჯოს (3,18). **თ ა რ გ მ ა ნ ო :** „რომელსა ჰრწმენესო“, არა თუ რომელი გამოეძიებდეს ორგულებით, და უკუეთუ ვინ თქუას: „და უკუეთუ ვისმე ჰრწმენეს კეთილად, და საქმენი ბოროტნი აქუნდენ, რაჲ ყოფად არს?“ არამედ გულისხმაყავთ, ვითარმედ ესევეითართა მათ არცა მოარწმუნედ ჳეშმარიტად სახელსდებს მოციქული პავლე, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „აღიარებენ სიტყუთ, ხოლო საქმით უარჰყოფენ. გარნა მე ამასცა ვიტყვ, ვითარმედ: „იტყვს უფალი, თუ: „რომელსა ჰრწმენეს,

არა დაისაჯოს“. ესე იგი არს, ვითარმედ ამის პირისათეს არა ისაჯოს, ხოლო ბოროტთა მათ საქმეთათეს მიიღოს უმეტესი საშჯელი, ხოლო ურწმუნოებისათეს არა ისაჯოს, უკუეთუ მორწმუნე იყოს. ჰხედავა, ვითარ საშინელთა საქმეთაგან იწყო და კუალად საშინელთავე ზედა დაასრულა სიტყუაჲ თჳსი? რამეთუ დაწყებასა სიტყუსასა იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლითა და სულითა, ვერ კელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“, აქა დასასრულსა ზედა იტყუს, ვითარმედ: „რომელსა არა პრწმენეს, აწვე დაშჯილ არს“. ხოლო ნუ ჰგონებ, თუ დროებაჲ ესე ერგების რას, რომელი არა ინანდეს, რამეთუ ურწმუნოჲ არაარათ უმჯობეს არს მათსა, რომელნი ჯოჯოხეთს შინა არიან.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და ესე არს საშჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი. (3,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო სიტყუაჲ ესე ესევეითარი არს, ვითარმედ ამისთვის დაისაჯებიან კაცნი. რამეთუ ნათელსა დაუტევებენ და ბნელი უყუარს და არა ჰნებაეს მისლვაჲ ნათლად, რამეთუ „უკუეთუმცა მოსრულ ვიყავ შჯად და არა შენდობად ცოდვათა“, აქუნდამცა სიტყუაჲ თუ ამისთვის ურწმუნო ვიქმნენით, ხოლო ვინაჲთგან „მოვედ გამოყვანებად ბნელისაგან და მოყვანებად ნათლად“, ვინლა შეიწყალოს იგი, რომელსა არა ენებოს ბნელისაგან ნათლად მოსლვაჲ? ვითარცა სხუასა ადგილსა იტყუს, ვითარმედ: „მომიძულეს მე ცუდად“,¹ და ვითარმედ: „უკუეთუმცა არა მოსრულ ვიყავ, ცოდვაჲმცა არა აქუნდა“,² რამეთუ რომელსა არა აქუნდეს ნათელ და ამისთვის ჯდეს ბნელსა შინა, წყალობისა ღირს არს, ხოლო რომელი შემდგომად მოსლვისა ნათლისასა ბნელსა შინა დაადგრეს, არღარა ღირს არს წყალობისა. ხოლო თქუა მიზეზიცა, რომლისათეს უყუარს კაცთა ბნელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ. ყოველი, რომელი ბოროტსა იქმნ, სძულნ ნათელი და არა მოვიდის ნათელსა, რადთა არა ემხილნენ საქმენი მისნი (3,19-20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ უკუეთუმცა სამშჯავ-

¹ იონა 15,25

² შდრ. იონა. 15,22

რომ დაედვა და შვიდა, ჰქონდამცა მათ სიტყუაჲ, რომელ არა მოვიდოდეს მისა, რამეთუ ეშინოდა, ხოლო, ვინამთგან შენდობად მოვიდა, რად არა მოვიდეს მისა და მიიღეს შენდობაჲ, ვითარცა მრავალთა მეზუერეთა და ცოდვილთა ქმნეს? არამედ რომელთა-იგი აღირჩიეს უკუე ბნელსა შინა ყოფაჲ და ცოდვასა, ეშინოდა მათ სათნოებისაგან, და ამისთვის აღირჩიეს ვიდრე სიკუდილადმდე ცოდვასა შინა ყოფაჲ, არამედ იტყუან ვიეთნიმე წარმართნი, რომელთა არა ჰნებავს მოსლვაჲ ნათლად და განშორებაჲ ცოდვისაგან, ვითარმედ: „არა არიანა მრავალნი წარმართნი სათნოებისა მოქმედნი და ქრისტიანენი — ცოდვილნი?“ გარნა მე ამას ვიტყუ, ვითარმედ მრავალნი არიან ქრისტიანენი ცოდვილნი, ხოლო წარმართნი სათნოებისა მოქმედნი არასადა იპოვებიან, — ნუ იყოფინ! — და ნუ იტყუ მათთვის, რომელი სადამე იპოვნენ ბუნებით არა სიძვისმოყუარენი, ანუ არა ვეცხლისმოყუარენი, არამედ პოვე ერთიცა, რომელი წინააღმდეგობის ბრძოლასა ვნებათასა და უკუეთუ სადა ჰპოვო, კაცთა დიდებისათვის ჰპოვო საქმს მისი და, რომელი კაცთათვის იყოს, მაშინ ოდესცა პოვოს ეამი ფარული, — ნუ იყოფინ! — თუმცა აღჯრ-ასხნა გულისთქუმასა თვისსა, გარნა რამთა არა შემოვიდოთ ცილობაჲ, ვთქუათ, ვითარმედ: იყოს წარმართი მოქმედი სათნოებისაჲ, არა უფრომხად საწყალობელ არსა, რომელ აქა დაშურების და იჭირვის, და მუნ გეჰენიად მივალს, რამეთუ არა მოვიდა ნათლად, რამეთუ მოვიდა ნათელი თავით თვისით; არა თუ მათ მოიძიეს, ანუ თუ დაშურეს მისთვის, თვთ მოვიდა და არა შეიწყნარეს მათ, რამეთუ ვინმცა იყო, რომელმანცა დაუტევა ცოდვაჲ და არამცა მოვიდა ნათლად? არამედ რომელიცა ჰგიეს ბნელსა შინა ურწმუნოებისასა; უწყიმცა, ვითარმედ სიყუარულისათვის ცოდვათაჲსა ჰგიეს. და ნუ იტყუ ამას, ვითარმედ: „არს ვინმე წარმართი, რომელი არა ისიძავს, ანუ არა იტაცებს“, არამედ უწყოდე, ვითარმედ მას ყოველსა დიდებისათვის კაცთაჲსა იქმს და ფარულად არა ერიდების ცოდვასა. ანუ კაცთა დიდებისათვის არა მოვალს ნათლად, რამეთუ ჰრცხუენინ ანუ მოყუისისაგან, ანუ თვისთაგან. და ესე არს უკეთურებაჲ, რამეთუ ყოველი მონაჲ ამპარტავანებისაჲ უარეს მსიძავისაცა არს და უძრცსთა ბოროტთა იქმს.

ცუდადმზუაობრებისათჳს

ხოლო ჩუენ ვივლტოდით, მჳანო, ცუდადმზუაობრებისაგან, რამეთუ უძრჳს არს ყოველთა ვნებათასა. ამის მიერ იშვებობა ანგაჰრებაჲ და საკმართა სიყუარული, აჳის მიერ იქმნებობა სიძულვილნი და ბრძოლანი და შფოთნი, რამეთუ რომელი უმეტჳსსა დიდებასა ეძიებდეს, მარადის ბრძოლათა და ბოროტთა შინა არს და ვეროდეს ჰპოვებს გულისთქუმისა თჳსისა დასასრულსა. ხოლო ესე ყოველი ცუდადმზუაობრობისაგან არს. რამეთუ რაჲსაგან არს სიმრავლჳ სამკაულთაჲ და მონათა და ტაძართაჲ, რომელ ჰქონან მრავალთა? არა თუ საკმარ მათა არს იგი ყოველი, არამედ რაჲთა ამჳარტავენებისა და ზუაზობისა მათისა მოწამენი მრავალნი ჰყვენ, ხოლო უკუეთუ მას ვსძლიოთ რაჲთ, მრავალნი სხუანი ვნებანი უჩინო-ყვენთ მის თანა. და არღარა იყოს დამაყენებელ, რაჲთა ესრეთ ვიყოფოდით ქუეყანასა ზედა, ვითარცა ცათა შინა, რამეთუ ესე ვხუბაჲ არა თუ ცოდუათა შინა ოდენ არს, არამედ სათნოებათაცა შეერთვის და განძრყუნელი არს სათნოებისა ყოველისაჲ, რომელსაცა თანა იყოს, რამეთუ შრომათა თავს-დებად გუაიძულებს და ნაყოფისა მოკრებად არა შეგუნდობს, რამეთუ აჳავე მიუღებოეს სასყიდელი ყოველისა შრომისაჲ ცუდადმზუაობრათა. და რაჲმცა იყო ამის დაჰირვებისა უსაწყალობელჳს? რამეთუ შეუძლებელ არს, თუმცა სოფლისაცა დადებასა ვეძიებდეთ და ღმრთისასაცა, და ორივემცა ვპოვეთ, არამედ მაშინ ოდენ ვპოვებთ ორსავე, რაჲამს ერთსა ოდენ ვეძიებდეთ ღმრთისამიერსა. და ამისთჳს გევედრები, რაჲთა ვივლტოდით დიდებისაგან კაცთაჲსა და ვეძიებდეთ დიდებასა ღმრთისაგან, რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხუევეად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსითა, რომელსა ჰშუენის დიდებაჲ და პატივი და სიმტკიცე აჳ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: ამისა შემდგომად მოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი ქუეყანად ჰურიასტანისა. და მუნ იყოფოდა მის თანა და ნათელ-სცემდა (3,20). თ ა რ გ მ ა ნ ი: არარაჲ არს ჭეშმარიტებისა უძლიერჲს, ვითარცა-იგი არარაჲ არს ტყუვილისა უუძლურჲს, დაღაცათუ ბევრეულნი საჭურველნი აქუნდენ, უძლურ არს, ეგრეთვე ჭეშმარიტებაჲ, დაღაცათუ შიშუელ იყოს, უშიშვე არს მარადის და უძლეველ. და შეენიერ არს წინაშე მხილველთა მისთა და არა ეშინის მბრძოლთა მისთაგან, ყოვლადვე არა ჰსურის დიდებისათჳს კაცთაჲსა, არამედ ამის ყოვლისა უზეშთაეს არს; და რომელნი მისა მიივლტოდინ უშიშად, დაიცავს ყოვლისაგან ბოროტისა, დამალვისაგან თჳსთა საქმეთაჲსა შორს არს, რამეთუ ყოველი მისი საქმჲ ცხადად ბრწყინავს. ამისთჳსცა ქრისტე ეტყოდა პილატეს, ვითარმედ: „მე მარადის ცხადად ვასწავლიდი და ფარულად არაჲ მიტყუამს“,¹ ეგრეთვე აქაცა იქმს, რამეთუ მოვიდა ჰურიასტანად და მუნ ნათელ-სცემდა. იყო იოვანეცა და ნათელ-სცემდა ენონს, მახლობელად სალემსა, რამეთუ წყალნი ფრიად იყენეს მუნ, და მოვიდოდეს და ნათელს-იღებდეს, რამეთუ უფალი დღესასწაულთა ქალაქად მოვიდოდა, რამთა შორის ყოვლისა ერისა იქმოდის სასწაულთა და შემდგომად დღესასწაულთა კუალად იორდანედ მივიდის, რამეთუ მუნცა მრავალნი შეკრებოდეს. და უფალი მარადის, სადა ერი მრავალი არნ, მუნ მივიდის სწავლად და სარგებელად. ხოლო არათუ თვთ ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი, ვითარცა ქუემორე იტყეს მახარებელი, ვითარმედ: „თვთ იესუ არა ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი“.² ხოლო რამსათჳს არა ნათელ-სცემდა თვთ? გარნა ამისთჳს, რამეთუ პირველ თქუა იოვანე, ვითარმედ: „მან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა და ცეცხლითა“,³ ხოლო უფალსა ჯერეთ სული წმიდაჲ არა მიეცა, და ამისთჳს სამართლად არა ნათელ-სცემდა თვთ, არამედ მოწაფენი მისნი ნათელს-სცემდეს. რამთამცა მრავალნი

¹ შლრ. ოან, 18,20

² იოან. 4,2

³ მათ. 3,11; ლუკ. 3,16

მოიყვანნეს ქრისტესა. და რამათჳს უკუე იწყეს რამ მოწაფეთა უფლისათა ნათლის-ცემად, იოვანე არა დასცხრა ნათლის-ცემისაგან, არამედ იგიცა ნათელ-სცემდა ენოსნ? და რად არა დასცხრა, რამთამცა უფროსად შესაწყნარებელ იქმნა ნათლის-ცემად მოწაფეთა უფლისათად? გარნა ამისთჳს არა დასცხრა ნათლის-ცემისაგან, რამთამცა არა თჳსნი მოწაფენი უმეტესსა შურსა შთაყარნა მათ მიმართ, რამეთუ, უკუეთუ ესეოდენითა სწავლითა და ქადაგებითა ქრისტესითა ვერ შეაწყნარნა იგინი მას, უკუეთუმცა ესე იქმნა, არამცა ფრადსა შურსა შესრულ იყვენსა? ამისთჳსცა ქრისტემან მაშინ იწყო ქადაგებად უფროსად, რაჲამს იოვანე აღესრულა. და მუ ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ამისთჳს შენდობილ იქმნა იოვანესი ადრე აღსრულებად, რამთამცა ყოველი იგი სიმრავლე ქრისტესა შეუდგა, და არღარამცა ორთა მათ მიმართ განიყოფოდეს გონებანი მათნი. და თჳნიერ ამისცა იგი ნათელ-სცემდა და, რამ მარადის ქრისტესა ქადაგებდა და უზეშთავსად გამოაჩინებდა, და ვინამთგან ესრეთ იქმოდა, ამისთჳს უმეტესად უმჯობეს იყო ნათლის-ცემად მისი და არა წინააღდგომად ქრისტეს მოწაფეთად, რამეთუ მათვე შესწევდა და ქრისტესა მიავლენდა ყოველთა მის მიერ ნათელლებულთა, არა თუ თავსა თჳსსა მოატყუებდა დიდებასა, არამედ ქრისტესა და უფროსად მისსა შეიწყნარებდეს ერნი, ვიდრე მოციქულთასა, რამეთუ იგი დიდად ჰყვა ყოველთა, ვითარცა იტყჳს მათე, ვითარმედ: „განვიდოდეს მისა იერუსალმში და ჰეროდისი წიად იორდანესა“,¹ და ორნივე იგი ნათლის-ცემანი იოვანესიცა და ქრისტეს მოწაფეთანი ერთ იყვნეს, რამეთუ ვერცა იგი მისცემდა სულსა წმიდასა ჭერეთ, ვერცა იგინი. არამედ ამისთჳს იყო მათიცა და მისიცა ნათლის-ცემად, რამთამცა ქრისტესა შეიწყნარებდეს. და რამთა სცნა, ვითარმედ ორნივე იგი ნათლის-ცემანი ერთ იყვნეს, ისმინენ შემდგომნი იგი სიტყუანი:

ს ა ნ ა რ ე ბ ა ა : იყო გამოძიებად მოწაფეთაგან იოვანესთა ჰურიათა თანა განწმედისათჳს (3,25). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ შური აქუნდა მარადის მოწაფეთა იოვანესთა ქრისტეს

¹ შდრ. მათ. 3,5

მოწაფეთა მიმართ და თავადისაცა ქრისტეს მიმართ, და ვინა მათგან იხილნეს მოწაფენი მისნი, რამეთუ ნათელ-სცემდეს, იწყეს სიტყუად ნათელღებულთა მიმართ და აქებდიან მათისა მის მოძღუროსა ნათლის-ცემასა, და მას უაღრმესად იტყოდიან. ამისთვის იწყეს სიტყუად ერთისა ვაჟსე ნათელღებულთაგანისა მიმართ ქრისტეს მოწაფეთა მიერ და ენება დარწმუნებად მისა, არამედ ვერ დაარწმუნებდეს. ამისთვის იტყვის მახარებელი, ვითარმედ: „იყო გამოძიებაჲ მოწაფეთაგან იოვანესთა ჰურიათა თანა განწმედისათვის“. იხილე სახარებაჲ მახარებელისაჲ, ვითარ არა ბრალობით თქუა სიტყუად ესე, არამედ, რადგენ შესაძლებელ არს, განჰკურნებს ცთომასა მათსა და იტყუს, ვითარმედ გამოძიებაჲ იქმნაო, თუ არა, იგინი ყოველსავე მას შურითა იქმოდეს. და ამას მოასწავებენ შემდგომნი ესე სიტყუანი, რამეთუ მივიდეს იოვანესა და ჰრქუეს მას:

სახარებაჲ: რაზი, რომელი-იგი იყო შენ თანა წიად იორდანესა, რომლისათვის შენ სწამე, აჰა, იგი ნათელს-სცემს და ყოველნი მივლენან მისა (3,26). **თარგმანი:** ესე იგი არს, ვითარმედ, რომელსა შენ ნათელ-ეც და შენითა წამებითა ყოველთა შეასწავე და საცნაურ-ჰყავ იგი, აწ შენდა სწორქმნილ არს, რომელი იყო შენ თანა წიად იორდანესა, ვითარმედ რომელი მოწაფეთა შენთა საზომსა იყო, აწ განყოფილ არს შენგან და ნათელ-სცემს, და ყოველნი მივლენან მისაო, და ჩუენ შეურაცხქმნილ ვართ. და ამის მიერ საცნაურ არს, ვითარმედ არა თუ ჰურიასა მას მძლე ექმნნეს სიტყუთა, რომლისა თანა ძიებასა მას იქმოდეს. ხოლო ამას იტყოდეს, რამეთუ უძღურ იყვნეს გონებითა და არა განწმედილ იყვნეს კაცობრივისა საქმისაგან, არამედ იოვანე არავე შეჰრისხნა მათ ფრიად, რამეთუ ეშინოდა. ნუჟკუე მისგანცა განეშოვრნენ და სხუასა რასმე ბორბტსა შთაცუვენ, არამედ ჰრქუა მათ:

სახარებაჲ: ვერ ჯელ-ეწიფების კაცსა მოღებად თავით თვისით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა იყოს მისა. მოცემულ ზეცით. თქუენ თუთ მეწამებით მე, რამეთუ ვთქუ: „არა ვარ მე ქრისტი, არამედ მოვლინებულ ვარ მის წინაშე“ (3,27-28). **თარგმანი:** ესე იგი არს, ვითარმედ უკუეთუ ჩემი წამებაჲ გრწამს, რამეთუ იტყუთ, ვითარმედ „რომლისათვის შენ სწამე“ ამის მიერ შეიწყნარეთ და გულისხმა-ყავთ,

ვითარმედ ფრიად უზეშთაეს არს იგი ჩემსა, რამეთუ მე ესევე ვწამე, ვითარმედ „არა ღირს ვარ საბელსა ჯამლთა მისთასა განჯსნად“,¹ და კჳალად წამებამ იგი არა ჩემი იყო, არამედ ღმრთისაჲ, რამეთუ კაცსა რამცა აქუნდა თავით თუსით კეთილი, არამედ ღმრთისა მიერ. და წამებამცა იგი უკუე ღმრთისა მიერ იყო: რამეთუ, უკუეთუ სარწმუნოდ გიჩნ, მე ესეცა ვწამე, ვითარმედ: „მოვლინებულ ვარ წინაშე მისა“;² და მსახური ვარ, აღმასრულებელი სიტყუასა მომავლინებელისა ჩემისასა. არა თუ კაცობრივითა რაჲთმე საქმითა მივანიჭებ მას, არამედ მამისა მისისა მოვლინებითა ვიტყუ ყოველსა, რომელი ბრძანებულ არს ჩემდა. და ნუ ჰგონებთ, თუ რომელ ვეწამე მას, ამისთვის მე უმეტეს მისა ვარ, რამეთუ იგი არს უფალ ყოვლისავე. ამისთვის შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : რომელსა აქუს სძალი, იგი სიძჳ არს, ხოლო მეგობარი სიძისაჲ, რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჳმითა სიძისაჲთა (3,29). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარ, რომელი-იგი იტყოდა, ვითარმედ: „არა ღირს ვარ საბელსა ჯამლთა მისთასა განჯსნად“, აწ მეგობრად მისა უწესს თავსა თუსსა? არამედ არა თუ აწ აღამაღლებს თავსა თუსსა, — ნუ იყოფინ! — არამედ გამოაჩინებს სახელითა ამით მეგობრებისაჲთა, ვითარმედ არა მწუხარე არს საქმესა ამას ზედა, არამედ ფრიად მხიარულ და წადიერ არს. და ფრიად ისწრაფდა იგი, რაჲთამცა ესე საქმე ესრეთ იქმნა. და ესე ყოველი სახელითა მით მეგობრებისაჲთა გამოაჩინა, რამეთუ არა ესრეთ იხარებენ მსახურნი სიძისანი, ვითარ მეგობარნი იხარებენ. და კჳალად არა დაბრკოლებისათვის მოწაფეთა თუსთაჲსა თქუა ესრეთ და არა თუ შეასწორებდა მის თანა თავსა თუსსა, არამედ, ერთად, მოწაფეთა თუსთათუს, და კჳალად, რაჲთა არავინ ჰგონებდეს, თუ მწუხარე არს იგი ამის საქმისათვის. ამისთვის მეგობრად უწოდა თავსა თუსსა, რაჲთა აჩუენოს, ვითარმედ არა თუ ოდენ არა მწუხარე არს, არამედ ფრიადცა უხარის, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: მე ამისთვის მოვედ, რაჲთამცა ესრეთ იქმნა და ფრიადმცა მწუხარე ვიყავ, უკუე-

¹ შღრ. მათ. 3,11; ლუკ. 3,16; მარკ. 1,7

² იოან. 3,28

თუმცა არა ესრე ქმნილ იყო; უკუეთუმცა არა შერთულ იყო სძალი იგი სიძისა და, მაშინმცა ვიგლოვდ, არამედ აწ ვიხარებ, რამეთუ, რაჲ-იგი მინდა, აღსრულებულ არს, რამეთუ მისითა წარმართებითა ჩუენ ვცხოვრდებით. და აწ მხიარულ ვარ, რომელ საქმე ჩემი სრულ იქმნა და იცნა სძალმან სიძე. და ამას თქუენ მწუხარე ხართ, რომელნი იტყვთ, ვითარმედ: „ყოველნი მისა მივლენ?“ რამეთუ ამისთვის ვისწრაფდი მე და აწ იქმნა რაჲ ესე, ვიხარებ და განვსცხრები“. ხოლო რაჲ არს სიტყუაჲ იგი ვითარმედ: „დგას და ესმის“, გარნა რამეთუ იგავისა მისგან სიტყუაჲ ესე საქმისა ამის მიმართ მოიღო, და ვინამთგან სიძე და სძალი აცენნა, გამოაჩინებს, ვითარმედ ესრეთ ვმითა და სიტყუთა იქმნების შეერთებაჲ მეულლეთაჲ. და ესრეთვე ეკლესიაჲ შეერთო ღმერთსა, ამისთვისცა პავლე იტყოდა, ვითარმედ: „სარწმუნოებაჲ სმენისაგან არს, ხოლო სმენაჲ სიტყუათაგან და კმისაგან მე ვიხარებო“. და ესეცა სიტყუაჲ, ვითარმედ: „დგას“, არა ცუდად თქუა, არამედ რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ მისი ყოველივე დაცხროძილ არს. და მიერიოთგან მოუთუალაჲს სძალი სიძისადა, რომელ არს კრებული კაცთა მორწმუნეთაჲ, და თვთ უკმს ოდენ დგომად და სმენად. ამისთვისცა იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ესე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს“ (3,29). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: აღმისრულებიეს საქმე, რომელი ჭერ-იყო ჩემდა ქმნად და არღარას ძალ-მიც უმეტესისა ქმნად, და უჩუენა მათ წინამსწარ დიდი იგი დიდებაჲ მისი, რომელი ყოფად იყო შემდგომად ვნებისაჲ, და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „მისა ჭერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად“ (3,30). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: რომლისაგან-ეგე თქუენ გეშინის არა აწ ოდენ არს, არამედ შემდგომად მცირედისა ფრიად უმეტესად ყოფად არს, არამედ ამას ყოველსა ზედა მე მიხარის, რამეთუ მისი დიდებაჲ ჩემი სიხარული არს. ჰხედავა, ვითარ მცირედ-მცირედ სიბრძნით ვნებაჲ შურისა მათისაჲ დაჰქსნა და უჩუენა, ვითარმედ შეუძლებელთა საქმეთა კელ-ჰყოფენ. ამისთვის განგებულებით მისსავე სიცოცხლესა იქმნა ესე, რაჲთა მან თვთ უთხრას მათ დიდებაჲ უფლისაჲ და, უკუეთუ არა ჰრწმე-

ნეს, არღარა აქუნდეს სიტყუაჲ, რამეთუ მათ თვთ ჰკითხეს მას და ესმა მისგან ყოველი იგი. და უკუეთუმცა არა ჰრწმენა, არღარა აქუნდა სიტყუაჲ, ვითარცა-იგი ჰურიათა, რომელთა მიავლინეს მისა და მერმე არა ჰრწმენა სიტყუაჲ მისი და გამოაქუნეს თავნი თჳსნი ყოვლისგან სიტყუსა.

ს წ ა ვ ლ ა ჲ კ თ

ცუდადმზუაობრებისათჳს

ხოლო ჩუენ ამის ყოვლისაგან რასა ვისწავებთ? გარნა. ამას, ვითარმედ ყოვლისა ბოროტისა მიზეზი არს ცუდადმზუაობრებაჲ, და ამან მოიყვანნა ივინი შურად, და ამან კუალად დაარწმუნა მათ, და მოუჯდეს იესუს და ჰრქუეს, ვითარმედ: „რად არა იმარხვენ მოწაფენი შენნი?“¹

ვივლტოდით უკუე, საყუარელნო, ამის ვნებისაგნ და, უკუეთუ ამისგან ვივლტოდიო, გეჰენიისაგან განვერნეთ, რამეთუ ესე არს, რომელი აღატყინებს ცეცხლსა გეჰენიისასა და ყოველგან განუფენიან თჳსნი რტონი და ყოველი ჰასაკი და ნათესავი უპყრიეს. ამან ეკლესიანი ზე და ქუე ქმნნა, და ქალაქნი და ნათესავნი, ვიდრემდე უდაბნოთა განვიდა, და მუნცა თჳსი ბოროტი ძალი გამოაჩინა. რამეთუ რომელნი სოფლისა დიდებასა განეშოვრნეს და ყოველსა შუებასა და ძძლავრთა მათ გულისთქუმათა, არცხუნეს მათ მრავალგზის, სძლო ამან ვნებამან ცუდადმზუაობრობისამან, და ყოველივე იგი წარწყმიდეს ამის ვნებისა მიერ, და მრავალთა ცოდვათა მოქმედსა მეზუერესა უდარესად გამოჩნდა. გარნა ძაგებაჲ ვნებისა ამის არა ძნელ არს, და ყოველთა ძალ-უც ესე, არამედ საქმეჲ ესე არს, რაჲთა ვსძლოთ მას. ხოლო ვსძლოთ ესრეთ, უკუეთუ წინააღუდგინოთ დიდებასა დიდებაჲ. რამეთუ, ვითარცა სიმდიდრესა შეურაცხ-ვპყოფთ, რაჲემ,

¹ მათ. 9,14; მარკ. 2,18; ლუკ. 5,33

სხვა სიმდიდრისა მიმართ ვხედვიდეთ, და ცხორებასა ამას შეუტაც-ვპყოფთ, რაჟამს ცხორებამ საუკუნომ გულისხმა-ვყოთ. ეგრეთვე ცუდი დიდებამ დავთრგუნოთ, უკუეთუ მერმისა მის დიდებისა სურვილი გუაქუნდეს, რამეთუ კაცთა დიდებამ ამო არს და ცუდი, ოდენ სახელი აქუს და საქმე არა, ხოლო ზეცისა იგი დიდებამ ჭეშმარიტ არს და არა კაცო, არამედ ანგელოზნი და მთავარანგელოზნი და ანგელოზთა მეუფე იყოს მაქებელ ესევეითარისა. უკუეთუ იგი საუკუნომ და იგი მსაჯული გულისხმა-პყო, ვერარამან სოფლისა საქმემან გაცთუნოს. რამეთუ სოფელსაცა ამას ვინმცა აღირჩია წინაშე მეფისა მდგომარეთაგანმან, რომელსა თვთ მეფე და ყოველნი მკედარნი მისნი აქებედ, რათამცა აღირჩია მან ქებამ ბუზთა და მუმლთაჲ? და ესრეთ არს კაცობრივი დიდებამ ღმრთისა თანა, ვითარცა ჳმამ ბუზთა და მუმლთაჲ ქებასა მას თანა მეფისა და მთავართაჲსა, არამედ რომელთა-ესე უნდობამ კაცობრივთა საქმეთაჲ ვიცით, ყოველითა ღონითა საუკუნომ იგი და მიუწუდომელი დიდებამ ვიძიოთ, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჳშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ლ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: ზეგარდამომავალი იგი ყოველთა ზედა არს და, რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყუს (3,31). თ ა რ გ მ ა ნ ი: ბოროტ არს ცუდადმზუაობრობისა იგი სენი და მრავლითა ეკლითა სავსე და მკეც ველურ და მრავალთაჲ, რამეთუ მოყუარეთა თვსთა შეშჳამს. რამეთუ, ვითარცა ჳიამ, შეშჳამს, რომლისაგან იშავების, და გესლი რკინასა მას, რომლისაგან იქმნების, განპლევს, ეგრეთვე ზუაობამ სულსა მას, რომელი ჳზრდის მას, წარსწყმედს. და ფრიადი მოსწრაფებამ გვღირს, რათა აღმოვძვხურათ იგი ჩუენგან. რამეთუ იხილე აქაცა, რაოდენ ასწავა იოვანე მოწაფეთა თვსთა, ამის სენისა მიერ. შეტყრო-

ბილთა, და ძლით დაამშენდა, რამეთუ პირველთქმულთა მათ ზედა იტყვს აწ აღმოკითხულთაცა სიტყუათა, ვითარმედ, ზე-გარდამომავალი იგი ყოველთა ზედა არს და, რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყვს. ხოლო სიტყუად ესე ესევეითარი არს, ვითარმცა თქუენ იტყვთ, თუ: „შენითა წამებითა დიდ იქმნაო იგი“. არამედ ესე უწყოდეთ, შეუძლებელ არს, თუმცა ზეცით მოსრული იგი მიწისაგანისა ამის მიერ იდიდა. ხოლო სიტყუად ესე, ვითარმედ: „ყოველთა ზედა არს“, ამას მოასწავებს, ვითარმედ არა უკმს მას სხვსა წამებად, არამედ კმა არს იგი თავისა თვისისა მოწამედ, რამეთუ უზეშთაეს არს ყოველთასა. ხოლო „ქუეყანისად და ქუეყანი-სასა მეტყუელად“ თავსა თვისსა იტყვს, არა თუ რამეთუ იგი თვისით თავით რასმე იტყოდა, არამედ ვითარცა ქრისტემან თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ ქუეყანისაჲ გრქუა თქუენ, და არა გრწამს“, და ნათლის-ღებასა იტყოდა ქუეყანისად, არა თუ, რამეთუ ქუეყანისაჲ არს, არამედ მიუწუდომელსა მას შობასა მისსა თანა ქუეყანისაჲ არს; ეგრეთვე აქა იოვანე ქრისტეს სწავლასა თანა ქუეყანისასა მეტყუელად უწოდა თავ-სა თვისსა, ესე იგი არს, ვითარმედ ჩემნი სიტყუანიო მისთა თანა მდაბალ და უნდო არიან, რამეთუ ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი მის თანა არიან დაფარულნი, ხოლო მე ქუეყანასა ზედა მყოფი ვარ და უღირსი მის თანა, რამეთუ იგი ზეცით მოსრულ არს. ესრეთ უკუე დაჰქსნა ვნებაჲ მათი და მერმელა იწყო უმაღლესთა სიტყუათა თქუმად ქრისტესთვის კადნიერე-ბით, რამეთუ პირველ ეკალნი აღმოჰფხურნა და ესრეთ დას-თესა თესლი კეთილი და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ზეცით მომავალი იგი ყოველთა ზედა არს, და რომელი იხილა და ესმა, ამას წამებს და წამებასა მისსა არავინ მიიღებს“ (3,31-32). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** დიდი და მაღალი სიტყუად თქუა მისთვის, და აწ კუალად სიმდაბლედ მოიყვანა, ვითარმედ: „რომელი იხილა და ესმაო“, და ესე სიტყუანი კაცობრივნი არიან. ხოლო მან არა თუ სმენითა და ზილვითა იცოდა, რაჲ-იგი იცოდა, არამედ ყოველივე ბუ-ნებით აქუნდა, რამეთუ სრულად გამოსრულ არს წიაღთაგან მამისათა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ვითარცა მიცის მე მა-

მამან, მეცა ვიცი მამაა“.¹ რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „რომელი იხილა და ესმა, მას წამებს?“ გარნა, რამეთუ ჩუენ ამათ ორთა საცნობელთა მიერ დავამტკიცებთ ყოველსა საქმესა — ხილვითა და სმენითა. და რომელი გუეხილვოს ანუ გუასმიოდის, იგი სარწმუნო არს ჩუენ მიერ, ეგრეთვე იოვანე ამას დაამტკიცებდა. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „რომელი იხილა და ესმა“, ესე იგი არს, ვითარმედ არარაჲ მისთა თქუმულთაგანი ტყუვილ არს, არამედ ყოველი ჭეშმარიტ, რამეთუ არა უცნაურთა საქმეთა მეტყუელი არს, რაჲთამცა რაჲ არა იცოდა და მას იტყოდა, არამედ ყოველი, რომელი უხილავს და იცის ჭეშმარიტებით, მას ასწავებს. რამეთუ თვტყა უფალი რაჲამს იტყოდის, ვითარმედ: „ვითარცა მესმის, ვშჳი“.² და: „რაჲ-იგი მესმა მამისაგან, მას ვიტყვ“,³ და რასაცა ესევეითარსა იტყოდის, არა თუ ამისთვის იტყვს, რაჲთამცა ვცნათ, თუ სწავლაჲ უკმს მას, რამეთუ ესე უკუანამსკნელი უღმრთოებაჲ არს, არამედ ამისთვის იტყოდა მას ყოველსა, რაჲთა ვერარას იტყოდინ უღმრთონი ჰურიანი, თუ „არა ჭეშმარიტსა იტყვ“, რამეთუ ვინაჲთგან არა აქუნდა ამისთვის გულისსიტყუაჲ, ვითარი ჳერიყო, ამისთვის ზედაჲსზედა მამასა მოიყვანებდა მოწამედ და მრავალგზის წერილთაცა, და ამას ყოველსა უძლურებისათვის მათისა იქმოდა. ხოლო სიტყუაჲ ესე იოვანესი ესევეითარი არს, ვითარმედ: ჩემდა ჳერ-არს სმენაჲ მის მიერ თქუმულთაჲ, რამეთუ იგი ზეციით მოსრულ არს და გვთხრობს, რაჲ-იგი მან მხოლომან იცის, და სხუამან არავინ. და ამას მოასწავებს სიტყუაჲ იგი, რომელი თქუა, თუ: „რაჲ იხილა და ესმა, წამებს“, ვითარმედ რაჲ-იგი მან მხოლომან უწყისო საიდუმლოებანი, მათ გუასწავებს, ხოლო სიტყუაჲ იგი, რომელი თქუა, ვითარმედ: „წამებასა მისსა არავინ მიიღებს“, არა თუ ამას მოასწავებს, თუ არავინ იპოვა ყოვლად მორჩილ მისა. რამეთუ მოწაფენიცა ჰყვეს უფალსა და სხუათაცა ჰრწმენა, გარნა აქა სიმცირესა მას მორწმუნეთასა გამოაჩინებს, თუ არა უკუეთუმცა ამას იტყოდა, თუ ყოვლადვე არავის ჰრწმენა, ვი-

¹ იოან. 10,15

² იოან. 5,30

³ იოან. 15,15

თარმცა ეთქუა მეყსეულად, ვითარმედ: რომელმან მიიღო წამებაჲ მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ არს. რამეთუ აქა თვსთაცა მოწაფეთა ამხილებს, ვითარ არა ჰრწმენა, რომელთა-იგი ამისაცა შემდგომად არავე ჰრწმენა. და ესეცა საცნაურ არს მისგან, რაჟამს-იგი იყო საპყრობილესა, მიავლინნა მისა, რადთამცა ჰრწმენა, რომელთა ჰრქუა ქრისტემან, ვითარმედ: „ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ“.¹ და ამისთვის აქა ჰრქუა, ვითარმედ: „წამებასა მისსა არავინ მიიღებს“, ვითარმცა ეტყოდა: „ნუ ჰგონებთ, თუ ტყუვილ რადმე არს სიტყუაჲ მისი და ამისთვის არა ჰრწამს მრავალთა, რამეთუ მას ყოველი რად უხილავს, მას იტყვს ჭეშმარიტსა“. ხოლო ამას „იტყვს“ სამხილებელადცა ჰურიათა იტყოდა, ვითარცა-იგი მახარებელმანცა დასაბამსა სიტყვსა თვისისასა თქუა: „თვსთა თანა მოვიდა და თვსთა იგი არა შეიწყნარეს“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : რომელმან მიიღო წამებაჲ მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ არს (3,33). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** შეაშინებს მათ და გულისხმა-უყოფს, ვითარმედ, რომელსა მისი არა ჰრწმენეს, არა თუ მას ოდენ, არამედ მამასაცა განარისხებს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : რომელი მოავლინა ღმერთმან, სიტყუათა ღმრთისა იტყვს (3,34). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინათგან სიტყუათა ღმრთისათა იტყვს, საცნაურ არს, ვითარმედ, რომელსა ჰრწმენეს, ღმრთისაჲ ჰრწამს; და რომელი ურწმუნო იყოს, ღმრთისა ურწმუნო არს. ხოლო თუ „დაჰბეჭდა“, ესე იგი არს, ვითარმედ გამოაჩინა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ არს, აღაორძინებს შიშსა მას სიტყუთა ამით, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: შეუძლებელ არს ურწმუნობაჲ მისი, უკუეთუ არა ტყუვილი ვინ დასწამოს მომავლინებელსა მისსა ღმერთსა, რამეთუ იგი ყოველსავე მისსა იტყვს. ჰხედავა, ვითარ შეაშინნა, რამეთუ მათ ჯერეთ არად შეერაცხა ქრისტეს ურჩებაჲ, ხოლო ამან გამოაჩინა, ვითარმედ ღმრთისა შეურაცხ-ყოფაჲ არს მისი ურჩებაჲ. და მერმე თქუა სხუაჲცა სიტყუაჲ საზომისაებრ უძლურებისა მათისა:

¹ მათ. 11,6; ლუკ. 7,23

სახარება: „რამეთუ არა ზომით მისცემს ღმერთი სულსა“ (3,34). **თარგმანი:** კუალად სიმდაბლისა კერძსა მოიყვანა სიტყუად თვისი, რამეთუ თვთოსახედ შესცვალებს მას, რადთა ესრეთ შესაწყნარებელ იქმნეს მსმენელთა მათ, რამეთუ უკუეთუმცა დიდი რამე და მალალი სიტყუად თქუა ქრისტესთვის, არა შეიწყნარებდეს. ამისთვის მამასა მოიყვანებს შორის და ყოველსა მისთვის იტყვს და ქრისტესთვის, ვითარცა კაცისათვის, ასწავებს. ხოლო რა არს სიტყუად ესე, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „არა ზომით მისცემს ღმერთი სულსა“? გარნა ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „ჩუენ, ყოველთა, ზომით მოვიღეთ მადლი სულისაჲ“. და რამეთუ სულად აქა მადლსა მას სულისა წმიდისასა იტყვს. რამეთუ რომელი-იგი განიყოფვის წმიდათა ზედა და ჩუენ გუაქუს იგი ზომით, თვთოეულსა თვისისა საზომისაებრ, ხოლო ქრისტეს განუყოფელად აქუს, არა ზომით, არამედ სრულიად, ვითარცა არს ყოვლითურთ სული წმიდაჲ, თავსა შორის თვისსა აქუს, რომლისა-იგი მადლი აურაცხელ არს და უფროჲსდა არსებად მიუწუდომელ, რამეთუ უკუეთუ მადლი მისი მიუწუდომელ არს, არსებასამცა ვითარლა ვინ მისწუდა? და რომელსა-იგი ყოველი მადლი სულისა წმიდისაჲ სრულებით თავსა შინა თვისსა აქუს და ყოველი ღმრთისაჲ იცის, ვითარ იკუეული ხართო და ურწმუნო მისა? რამეთუ არარას იტყვს იგი, რომელიმცა არა იყო მამისა და სულისა წმიდისა, და ჯერეთ არარაჲ თქუა სიტყვასათვის ღმრთისა, არამედ მამისაგან და სულისა წმიდისა სარწმუნოყო სწავლაჲ თვისი, რამეთუ მათ ესე იცოდეს, თუ ღმერთი არს და სული წმიდაჲ, დაღაცათუ არა ვითარცა ჯერ-არს, გარნა ძმ ყოლად არა იცოდეს. ამისთვის მამისა და სულისა წმიდისა მიმართ მიიყვანა სიტყუად თვისი და ესრეთ დაარწმუნნა თქუმულნი იგი, თუ არა უკუეთუმცა არა მათისა უძღურებისათვის იყვნეს სიტყუანი იგი, ფრიად უჯერო იყო ქრისტესთმსთვის ესრეთ თქუმაჲ, რამეთუ არა თუ ამისთვის სარწმუნო იყო ქრისტე, რომელ სულისა წმიდისა მადლი აქუნდა, რამეთუ მას არა თუ შეწევნაჲ უკმს, არამედ თავადი თვთ კმა არს თავისა თვისისა, არამედ იოვანე მათისა მის უძღურებისათვის ეტყოდა ესრეთ. ხოლო ამას ყოველსა ამისთვის ვიტყვ, რადთა არა გამოუძიებელად თანაწარვკვდებო-

დით სიტყუათა წერილისათა, არამედ გულისსიტყუასაცა მეტ-
 ყუელისასა და გონებასა მსმენელთასა და სხუასა ესევეითარსა
 ყოველსა გამოვეძიებდეთ გამოწულივით, რამეთუ არა თუ
 მოძღუარნი ყოველსა, ვითარცა ენებოს, ესრეთ იტყუან, არა-
 მედ მრავალსა იტყუან, ვითარცა გონებასა მას უძღურთასა
 მოპვიდოდის. ამისთვისცა პავლე იტყვის: „ვერ უძლე სიტყუად
 თქუნდა, ვითარცა სულიერთა. ვითარცა კორციელთა სძმ
 გაწოე თქუნ და არამტიკიცმ საზრდელი“, რამეთუ არა თუ მას
 ვერ ეძლო სიტყუად, ვითარცა სულიერთა მიმართ, არამედ
 მათ ვერ ეძლო ტვრთვად. ეგრეთვე იოვანეს ენება დიდთა
 მათ საქმეთა სწავლად მოწაფეთა თესთა, არამედ ვერ ეძლო
 მათ ტვრთვად. ამისთვის მდაბალთა მათ სიტყუათა შინა
 იქცევის.

ს წ ა ვ ლ ა დ ლ

რამთა წერილთა ჭერისებრ ვიკმარებდეთ და მართლისა ცხოვრებისათს

ჭერ-არს უკუე, რამთა წერილთა კეთილად და ჭეროვნად
 გულისხმა-ვპყოფდეთ და ვიკმარებდეთ, რამეთუ წერილნი
 საქურველნი არიან სულისანი, არამედ უკუეთუ, ვითარცა
 ჭერ-არს, ესრეთ არა შევიჭურნეთ მათ მიერ, არად სარგებელ
 გუეყვნენ, რამეთუ კორციელისაგან გულისხმა-ყავთ, უკუეთუ
 ვისმე აქუნდეს ჭაჭვ კეთილად ქმნილი და ჩაფხუტი და ფარი
 და ლახუარი, და არა შეიმოსნეს საქურველნი იგი ჭერისაებრ
 და წესისა, არამედ ჭაჭვ შეიმოსოს ფერკთა და ჩაფხუტი არა
 თავსა დაირქუფს, არამედ პირსა უკუნიდგას და ფარი არა მკერ-
 დსა მოიყრდნას, არამედ ფერკთა მოიბას, ირგომცა რამეა
 ამა თვან? და არა უფრომსად ევნოსა, გარნა არა თუ უძღურე-
 ბითა მით საქურველთამთა, არამედ გამოუცდელობისაგან
 თვისისა, რამეთუ არა იკმარნა, ვითარცა წესი იყო. ეგრეთვე
 წერილნი უკუეთუ არა თვთოეული სიტყუად თესსა ადგილსა

და წესსა ზედა ვიჯმაროთ, მათ თვისი ძალი აქუნდეს, ხოლო ჩუენ არას გუერგენენ, ამათ ესევითართა სიტყუათა მარადისა გეტყუ და არას სარგებელსა ვხედავ, არამედ ქუეყანისა საქმეთა შექცეულ ხართ და სულიერნი შეურაცხ-გიყოფიან. ამისთვის მოძღუართა ჭეშმარიტებისათა არა აქუს ფრიადი ძალი, არამედ საკიცხელ ვართ ჰურიათა და წარმართთა. და უკუეთუმცა ყოველსავე ზედა უღებნი ვიყვენით, მაშინმცა არავე გუაქუნდა სიტყუად, გარნა მცირედი რამე მიზეზი იყომცა. ხოლო აწ სოფლისა საქმეთა შინა თვთოეული მახვლისა უმკუეთმს არს, ხოლო სულიერთა ზედა ფრიადსა ვხედავ უღებებსა, რამეთუ გარეწარნი შინაგანად შერაცხილ არიან და შინაგანნი ესე საქმენი გარეწარად და გარეწართაცა უშეურაცხმს. ანუ არა უწყითა, ვითარმედ ყოველნი ესე წერილნი არა თუ მაშინდელთა მათ კაცთათვის ოდენ დაწერილ არიან, არამედ ჩუენთვისცა სწავლად დაწერილ არიან, რომელთა ზედა აღსასრულნი ჟამთანი მოიწინეს, ვითარცა მოციქული პავლე იტყვის ამისთვის: „ყოვლადვე ვიტყუ და არავინ ისმენს, გარნა მე არავე დავსცხრე სიტყუად და ესრეთ ღმერთმან მომცეს სასყიდელი“. რამეთუ რომელი მორჩილთა ასწავლიდეს აქუს მას ნუგეშინის-ცემაჲ — მსმენელთა მათ მორჩილებაჲ, ხოლო რომელი ზედაღსზედა იტყოდის, და არავინ უსმენდეს, და იგი არავე დაცხრებოდის სიტყუად, უმეტესსა სასყიდელსა ღირს არს, რამეთუ ნებისთვის ღმრთისა, დაღაცათუ არავინ უსმენდა, მან თვისი აღასრულა. არამედ მე სურვიელ ვარ, რამთა თქუენცა სცხოვნდეთ. და ესე მაქუს დიდად სასყიდელად; და მწუხარე ვარ, უკუეთუ არა გამოილოთ ნაყოფი, არამედ ღირსმცა ვართ ყოველნი გამოღებად ნაყოფთა სულიერთა და საუკუნეთა კეთილთა მიმთხუევად ძადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ლ ა

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: მამასა უყუარს ძმ და ყოველივე მოსცა კელთა მისთა, რომელსა ჰრწმენენ ძმ, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურწმუნო იყოს ძისა, არა

იხილოს ცხორებამ, არამედ რისხვამ ღმრთისამ დადგრომილ არს მის ზედა (3,35-36). თ ა რ გ მ ა ნ ი: კეთილ არს კაცისა, რაითა არა ყოველსავე ერთბამად ისწრაფდეს ქმნად, არამედ მცირედ აღასრულებდეს საქმესა თვისსა. რამეთუ ესრეთ იქმნების სწავლამ კელოვნებათამ, ესრეთ აღეშენებიან ქალაქნი და ტაძარნი, ესრეთ ჰგვის ყოველივე ცხორებამ კაცთამ. და არა ჯორციელი ოდენ, არამედ სულიერიცა საქმე ესრეთ სრულ იქმნების, რამეთუ ესრეთ მცირედ-მცირედ სწავლითა განერნეს ჰურიანი კერპთმსახურებისაგან, ეგრეთვე კუალად მოციქულთა მცირედ-მცირედ მოზიდვითა მოაქცინეს წარმართნი, ეგრეთვე ქრისტე იქმნოდა მრავალთა მიმართ. ესრეთ ქმნა იოვანეცა მოწაფეთა მიმართ, რამეთუ იწყო სიტყუად ქრისტესთვის, ვითარცა კაცისა ვისთვისმე საკვრველისა, და მალაღნი სიტყუანი თანაშეთხზნა მდაბალთა; . რამეთუ იწყო რამ დასაბამსა, ესრეთ იტყოდა ვითარმედ: „ვერ კელეწიფების კაცსა მოლებად თავით თვისით არცა ერთი რამ“. ¹ და მერმე მალაღი სიტყუამ შესძინა და თქუა, ვითარმედ: „ზეგარდამომავალი იგი ყოველთა ზედა არს“. ² და კუალად სიმდაბლედ მოიყვანა სიტყუამ თვისი, და თქუა სხუამ მრავალი რამ, და ვითარმედ: „არა ზომით მოსცემს ღმერთი სულსა“. ³ და მერმე შესძინა და თქუა, ვითარმედ: „მამასა უყუარს ძმ და ყოველივე მოსცა კელთა მისთა“. ⁴ და მერმე იტყოდა, ვითარმედ: „არა მოსდრეკს კაცსა ქადაგებამ კეთილისამ ესრეთ, ვითარ სატანჯველისამ“. ამისთვის აქა დაასრულა სიტყუამ თვისი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „რომელსა ჰრწმენეს ძმ, აქუნდეს ცხორებამ საუკუნომ, ხოლო რომელი ურწმუნო იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებამ, არამედ რისხვამ ღმრთისამ დადგრომილ არს მის ზედა“. ¹ კუალად აქა მამისა მიმართ აღიყვანა სიტყუამ თვისი, რამეთუ არა თქუა: „რისხვამ ძისამ“, რამეთუ იგი არს მსაჯული, არამედ მამასა სახელსდვა, რამეთუ მათ ჰერეთ მამისაგან ფრიად ეშინოდა, ხოლო ძმ არა კე-

¹ იოან. 3,27

² იოან. 3,31

³ იოან. 3,34

⁴ იოან. 3,35

¹ იოან. 3,36

თილად იცოდეს. რამ არს უკუე, რომელსა რდენ ჰრწმენეს ძმ ღმრთისაჲ, კმა არსა ესე მისა ცხორებად? ნუ იყოფინ! რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: „უფალო, უფალო, შევიდეს სასუფეველსა ცათა-სა;“¹ რამეთუ გმობაჲცა სულისა წმიდისაჲ კმა არს გეჰენიად ჰიცემაღ.

და რად ვიტყვ წვალებისათვს? რამეთუ დაღაცათუ მართლ-მადიდებელი იყოს, საქმენი კეთილნი არა აქუნდენ, ჯოჯოხეთს მივალს. გარნა არა თუ იოვანე ესრეთ იტყვს, თუ: „რომელსა ჰრწმენეს, იგი ცხოვრდეს“, არამედ იტყვს, ვითარმედ: „საქმე ესე ცხორებისმომატყუებელ არს“. უკუეთუ ვითარ საქმე კეთილი აქუნდეს, უკუეთუ კულა საქმენი ბოროტნი აქუნდენ, არა შევალს ცხორებად. რომელსა კულა სარწმუნოებაჲ არა აქუნდეს, დაღაცათუ ყოველი სათნოებაჲ მოიგოს, რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა. რამთა არა ჰგონებდე, ვითარმედ ხილულისა ამის სიკუდილისათვს იტყვს: „თუ არა იხილოს ცხორებაჲ“, არამედ საუკუნოჲსა საშჯელისათვს. ამისთვს ესე სიტყუაჲ თქუა, რამთა გამოაჩინოს, ვითარმედ უკუე მის ზედა არს რისხვაჲ; ესე ყოველნი სიტყუანი თქუნა იოვანე, რამთამცა ესრეთ შეაწყნარნა იგინი ქრისტესა, რა-ქამს უჩუენა, ვითარმედ ყოველმან, რომელმან არა ირწმუნოს ძისაჲ, რისხვაჲ ღმრთისაჲ ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე მის ზედა, და ესრეთ დაასრულა სიტყუაჲ თვისი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ვითარცა გულისხმა-ყო იესუ, ვითარმედ ცნეს ფარისეველთა მათ, ვითარმედ იესუს უმრავლესნი უსხენ მოწაფენი და ნათელ-სცემს, ვიდრე იოვანეს, და თვთ იესუ არა ნათელს-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი, დაუტევა ჰუ-რიასტანი და წარვიდა გალილეად (4,1-3). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** თვთ იესუ არა ნათელ-სცემდა, გარნა შემასმენელნი მისნი ესრეთ უთხრობდეს ჰურიათა. ხოლო რამესათვს წარვიდა უფა-ლი მიერ? არა თუ შიშისა მათისათვს, არამედ რამთამცა მი-ზეზი შურისა მათისაჲ დასცხრა, რამეთუ ძალ-ედგვა. უკუე-თუმცა ზედამოუტდეს, დააყენნამცა, არამედ არა ინება ამისი ზედამსზედა ქმნაჲ, რამთა არა ურწმუნო ვიდრე აღუჩნდეს

¹ მათ. 7,21

ბუნებად ვორცთაჲ. რამეთუ ამისთვის მრავალსა იქმს კაცობრივსა საქმესა, რაჲთა არა იუუეულ იქმნეს განკაცებაჲ მისი, რამეთუ ვითარცა ენება. რაჲთამცა პრწმენა. ვითარმედ ღმერთი არს, ეგრეთვე ენება. რაჲთა კაცებაჲცა მისი სარწმუნო იქმნეს. ამისთვის შემდგომად აღდგომისა პრქუა მოწაფეთათვისთა, ვითარმედ: „გამოიძიეთ და იხილეთ, რამეთუ სულსა ვორც და ძუალ არა ასხენ; ვითარ-ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ“.¹ ამისთვის პეტრესცა შეპრისხნა, თქუა რაჲ მან, ვითარმედ: „შენლობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ესე ესრეთ“.² ისწრაფდა სარწმუნო-ყოფად ამის საქმისა, რამეთუ თავიცა ჩუენთა კეთილთაჲ მისი განკაცებაჲ იქმნა. მის მიერ დაპქსნდა სიკუდილი და ცოდვაჲ განქარდა, წყევდა უჩინო იქმნა და ბევრეულნი კეთილნი გამოვიდეს ცხორებასა ჩუენსა. და ამისთვის ენება, რაჲთა ყოველთა მიმართ სარწმუნო იყოს ბუნებაჲ იგი ვორცთა მისთაჲ, ხოლო ღმრთეებასა არავე დაჰფარვიდა, არამედ მასცა გამოაჩინებდა, ხოლო წარ-რაჲ-ვიდა მიერ, არა ცუდად წარვიდოდა გალილეაჲსა კერძოსა, არამედ დიდნი საქმენი აღასრულნა სამარიას მისითა მით სიბრძნითა, და რაჲთა არარაჲ აქუნდეს ჰურიათა სიტყუაჲ, რომელსაცა მოასწავებს მახარებელი და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ჯ ა ა : ხოლო განსლვად იყო სამარიათ (4,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** გამოაჩინებს მახარებელი; ვითარმედ გარეწარად გზასა იმნა საქმე იგი; რამეთუ ვითარცა მოციქულთა სდეენიდიან რაჲ ჰურიანი, მაშინ წარმართთა მიმართ წარვიდიან, ეგრეთვე უფალმან ქმნის, რამეთუ რაჲამს-იგი სდეენიდიან, მაშინ წარმართთა მიმართ მივიდის. ეგრეთვე ფინიკელსა მას ზედაცა დედაკაცსა იქმნა სასწაული. ხოლო ამას ამისთვის იქმოდა, რაჲთა ჰურიათა ყოველი სიტყუაჲ დაეღიოს და ვერ იტყოდინ, თუ: „ჩუენ დაგვტეობდა და წინადაუცუეთელთა მიმართ მივიდრდა“. ამისთვის იტყოდეს მოციქულნი, ვითარმედ: „თქუენდა ჯერ-იყო თქუმაღ სიტყუაჲ ღმრთისაჲ. ვინაჲთგან უკუე უღირსად გამოაჩინებთ თავეთ თქუენთა, ამისთვის მოვიქცეთ წარმართთა მიმართ“.³ და ქრის-

¹ ლუკ. 24,39

² მათ. 16,22

³ საქმ. 13,46

ტე იტყოდა, ვითარმედ: „არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“;¹ ვინაჲთგან უკუე მათ არა ისმინეს, ამისთვის განულო კარი წარმართთა. და ესრეთ არა განზრახვით, არამედ გარეწარად მივიდა მუნ, წარჴვლიდა რაჲ, მი-უკუე-ვიდა ქალაქსა სამარიტელთასა, ვითარცა იტყუს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : მივიდა ქალაქსა სამარიტელთასა, რომელსა ჰრქჳან სჴქარ, მახლობელად დაბასა, რომელი მისცა იაკობ იოსებს, ძესა თვისსა, და იყო მუნ წყაროჲ იაკობისი (4,5-6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲსათჳს მოგვთხრობს წუღილ-წუღილად მახარებელი ადგილისა მის სასწაულთა? გარნა ამისთვის, რაჲთა რაჲჲმს გესმეს, ვითარმედ იტყოდა დედაკაცი, თუ: „იაკობ, მამამან ჩემმან, მოგუცა წყაროჲ,² ესე არა უცხოდ აღვიჩნდეს, არამედ სცნა, ვითარმედ იგი არს ადგილი, სადა ყვეს ლევი და სუმეონ შფოთი და ბოროტი იგი კაცისკლჳაჲ აღასრულეს.³ ხოლო კეთილ არს პირველად თქუმად, თუ ვინაჲ იქმნეს სამარიტელნი, რამეთუ ყოველსა მას ადგილსა სამარიჲჲ ეწოდებოდა. ვინაჲ უკუე მოიღეს სახელი იგი? პირველ ეწოდებოდა მთასა მას სომორ მომგებელისაგან მისისა, ვითარცა იტყუს წინაჲსწარმეტყუელი ესაიჲ, ვითარმედ: „და თჳ სომორისა ეფრემ“;⁴ არამედ მკედრთა მის მთისათა არა სამარიტელ, არამედ ისრაიტელ ეწოდებოდა. ხოლო ვითარცა გარდაჯდეს ეჲმნი რაოდენნიმე, შესცოდეს მათ ლმერთსა და იქმნა რაჲ ასურასტანს მეფედ ფაკეე, აღმოვიდა თელამასარ და გამოიხუნა ქალაქნი მრავალი ჰურიათანი და ებრძოლა იგი ილას და მოკლა იგი, და მის წილ მისცა მეფობაჲ ოსიეს. და მერმე კუალად მის ზედა მოვიდა სალმანასარ და გამოიხუნა სხუანი ქალაქნი და ყვნა იგინი ხარკისმიცემელ, და იყო მუნ მთავრად. უკუანაჲსკნელ გარდავარდა მთავრობისაგან და მივიდა ჰინდოთა თანა, ცნა ესე ასურასტანელმან, ვითარმედ სალმანასარ გარდააგდეს, აღმოვიდა მათა და მრავალნი მოსრნა და არლა შეუწდო მუნ ჳლომად

¹ მათ. 15,24

² იონ. 4,12

³ დაბ. 34,25

⁴ ესაიჲ 7,9

იქცა მისთვის განდგომილებისა მათისა, არამედ იგინი შთაიყვანა ბაბილონს და მიდეთს, და მუნით აღმოიყვანა მრავალთაგან ნათესავთა ერნი და დაამკედრნა მთასა მას სომოროს, რადთა არღარა აქუნდეს შიში განდგომილებისამ. ესე რამ იქმნა, ენება ღმერთსა, რადთამცა გამოაჩინა, ვითარმედ არა თუ უძლურებისაგან მისცნა ჰურიანი 'ასურასტანელთა, ვითარმცა ვერ ეძლო ცსნამ მათი, არამედ ცოდვათა მათთაგან მისცნა იგინი. ამისთვისცა მოავლინნა ლომნი წარმართთა მათ ზედა, რომელნი მკედრ იყვნეს მუნ, და მოსწყუედდეს ყოველსა ნათესავსა მათსა ლომნი იგი. ესმა ესე მეფესა და მოავლინა მათა მღდელი ჰურიათამ, რადთა ასწაოს მათ შჯული ღმრთისამ, არამედ ეგრეცა ვერსვე განთავისუფლდეს სრულიად თვისისა ურჩებისაგან. და გარდა-რამ-ჯდეს დღენი მრავალნი, კერპთაგან განეყენნეს და ჰრწმენა ღმერთი. და მორამ-იქცეს ჰურიანი მიერიტგან, შური აქუნდა მათა მიმართ და მტერობამ, ვითარცა უცხოთესლთა მიმართ, და მთისა მისგან სამარიტელ სახელ-სდებდეს მათ და წერილთა მოსესლთა ოდენ შეიწყნარებდეს, ხოლო წინაწარმეტყუელთასა არა, და მამად მათა უწოდდეს აბრაჰამს, რამეთუ ქალდეველი იყო, და ეგრეთვე იაკობს, რამეთუ ძისწული იყო მისი, ხოლო ჰურიათა დიდად საძაგელად უჩნდეს იგინი. ამისთვის ქრისტეს აყუედრებდეს, ვითარმედ: „სამარიტელ ხარ შენ“.¹ ხოლო მახარებელმან ამისთვისცა ავსენა სახელი და სასწაულნი ადგილისანი, რადთა სცნა უბადრუკებამ ჰურიათამ, რამეთუ ცოდვათა მათთათვის ადგილნი მშობელთა მათთანი უცხოთესლთა დაიპყრნეს. და რომელნი მამათა მათთა არათვისნი იყვნეს და მოიგნეს მათ, თვისნი იყვნეს და წარწყმიდნეს, და უცხოთესლთა მათ წყლულებათა მიერ ლომთამსა იცნეს ღმერთი, ხოლო მათ ესეოდენთა ტანჯვათა ზედა არა დაუტევეს ღვთის ურჩებამ. მოვიდა უკუე ქრისტე სამარიად არა ეტლითა, არამედ ფერკთა შრომით, რამეთუ მარადის ესევითარისა ცხორებისა მეძიებელ იყო, რადთამცა ჩუენ გუასწავა მოლუაწებამ და არა ძიებამ შეუებისამ. ამისთვის იტყოდა, ვითარმედ: „მელთა ჯურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა სადგური,

¹ იოან. 8,48

ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადამცა თავი მიიდრიკა“.¹ ამისთვის უფრომსსა უამსა მათათა შინა არნ, ამას მოასწავებდა დავითცა და იტყოდა, ვითარმედ: „ნაღუარევისაგან გზასა ზედა სუას მან“,² რამეთუ იხილე, ვითარ აღესრულა წინამწარმეტყუელებამ მისი ამას ადგილსა: „რაჟამს დამაშურალი გზისა სლვისაგან, იესუ ჭდა წყაროსა მას ზედა, უამი იყო ვითარ მეექუსც, მოვიდა დედაკაცი სამარიამთ ვსებად წყლისა. პრქუა მას იესუ: „მასუ მე წყალი“, რამეთუ მოწათენი მისნი წარსრულ იყვნეს ქალაქად, რამთა საზრდელი იყიდონ“.³ ამის მიერ გულისხმა-ვჰყოფთ, ვითარმედ უნდოებით იყოფოდა სოფელსა შინა უფალი და გარეწარად აქუნდა საზრდელისა საქმც. რამეთუ ამას გამოაჩინებს, რაჟამს თავსა კუვილისასა მუსრვიდეს, და ლელსა მის მივიდა, რამთამცა პოვა ჰამადი და აქაცა არარამ აქუნდა და არცა ეზრუნა პირველ უამისა, არამედ მაშინ ოდენ იყიდდეს და არა ვითარცა ჩუენ, რომელ გან-რამ-თენეს, მზარაულთა ხოლო მოუწოდთ და მეტრაპე-ზეთა. და იგი არს საქმც ჩუენი, და ზრუნვამ სულისამ გარეწარად გუაქუს. ამისთვის ყოველი საქმც ჩუენი ზე და ქუე იქმნა, რამეთუ საქმც გარეწარად გუაქუს და გარეწარი — საქმედ. ხოლო იხილე, ვითარ იყო შემოქმედი ცათა და ქუეყანისამ. რამეთუ არა თუ ოდენ დამაშურალ იყო, არამედ მარტორცა დაშთომილ. და არა ვინ იყო მოწათეთაგანი მის თანა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო იესუ მაშურალი გზისა სლვისაგან ჭდა წყაროსა მას ზედა. უამი იყო ვითარ მეექუსც. მოვიდა დედაკაცი სამარიტელი ვსებად წყლისა (4,6-7). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილე, ვითარ გამოაჩინებს მახარებელი, ვითარმედ დედაკაციცა იგი სხვსა საქმისათეს მოსრულ იყო. რამთამცა ესრეთ ყოველით კერძო დაუყო პირი ჰურიითა და ვერ აქუნდეს სიტყუამ, თუ იესუ თვსსა სიტყუასა წინააღუდგეების, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „ქალაქსა სამარიტელთასა, ნუ შეხუალთ“,⁴ აჰა, სამარიტელსა ჰზრახვიდა, ამისთვისცა იტყუს, ვითარმედ: „მოწათენიცა მისნი არღა მოსრულ იყვნეს“. და

¹ მათ. 8,20

² ფს. 109,7

³ იოან. 4,6-8

⁴ მათ. 10,5

ესრეთ მრავალთა მიზეზთა შემოიღებს მისა მიმართ ზრახვისა შისსათჳს. ხოლო ისმინე, რამ თქუა დედაკაცმან რაჟამს-იგი ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „მეც მე წყალი“. ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: „შენ ჰურიამ ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარტელისაგან დედაკაცისა? რამეთუ არა შეეხნიან ჰურიანი სამარტელთა“.¹ იხილა რამ სახც მისი, იცნა იგი, ვითარმედ ჰურიამ არს, თუ არა, სხუამცა სადათ იცოდა, თუ ჰურიამ არს? ხოლო იხილე, ვითარ განკრძალულ იყო დედაკაცი იგი, რამეთუ იხილა რამ, ვითარმედ ცოდვისაგან განყენებულ იყო და კუალად სხუასა ცოდვასა შჯულისა გარდასლვისასა ერიდებოდა, თუ არა მას რად უნდა თქუმად, რამეთუ არა თუ სამარტელნი ჰურიათა არა შეეხებოდეს, არამედ ჰურიანი — სამარტელთა. და უკუეთუ ვინმე იტყოდის: „და რად სთხოვა უფალმან მას წყალი, ვინამთგან შჯული არა უბრძანებდა?“ გარნა ესრეთ გულისხმა-ვყოთ, ვითარმედ ესევეითართა მათ არად სარგებელთა საქმეთა დაჰქსნიდა უფალი, რამეთუ ამისთვის მოვიდა, რამთა აჩრდილნი იგი განაქარვნეს და ჰეშმარტებამ გამოაჩინოს, რამეთუ არა თუ: „შემავალი შეაგინებსო კაცსა, არამედ გამომავალი“,² ხოლო ესეცა საქმც არა თუ მცირედ შესმენამ არს ჰურიათამ, რამეთუ იგინი ესეზომითა სწავლითა ვერ მოღრივნა. ხოლო დედაკაცი ესე ერთითა ოდენ სიტყუთა მოიქცა, რამეთუ იგი არა ამისთვის მოსრულ იყო, არამედ თჳსსა საქმესა ვიდოდა და უფალმანცა არა იძია ზრახვამ მისი, არამედ ვინამთგან მოვიდა და არა გამოაკუა თჳსისა სწავლისაგან და მოწაფეთა ესრეთ ჰრქუა, ვითარმედ: „ქალაქსა სამარტელთასა ნუ შეხუალთ“, არა თუ ესრეთ თქუა, თუ: „დაღაცათუ მოვიდენ, თქუენ გარემიაქციენით“, რამეთუ ესე ფრიად არა ღირს იყო მისისა სახიერებისა. ამისთვისცა ჰრქუა დედაკაცსა მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისამ და ვინ არს, რომელი გეტყვს შენ: „მეც მე წყალი, რამთა ვსუა“, შენმცა სთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი (4,10). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იცოდა პირველითგან უფალმან

¹ იოან. 4,9

² მათ. 15,11

წრფელი გონებად დედაკაცისად მის და ვითარმედ არა ღირს არს უგულუბელს-ყოფად მისი. ამისთვისცა იწყო სიტყუად მისა, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ცნას რაჲ ნიჭი ღმრთისად, ძეგსეულად მოიძიოს იგი, რომელ-ესე ჰურიათა არაოდეს ქმნეს, არამედ მარადის ესმოდა ნიჭი ღმრთისად და არაოდეს სთხოვეს, ხოლო დედაკაცმან ამან, ისმინე, თუ ვითარ ჰრქუა მას მეყსეულად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : უფალო, არცა სავსებელი გაქუს, და ჭურღმული ესე ღრმა არს. ვინაჲ გაქუს წყალი ცხოველი? (4,11).
თ ა რ გ მ ა ნ ი : გულისხმა-ყო მეყსეულად, ვითარმედ არა ვითარცა ერთი მრავალთაგანი არს, არამედ დიდებული ვინმე არს. ამისთვისცა არა განკიცხა საკურველი იგი სიტყუად, არამედ უფლით ჰხადის მას და უკვრს საკურველი იგი სიტყუად, უკუეთუ კულა მეყსა შინა ყოველი ძალი სიტყუსად მის ვერ გულისხმა-ყო, ნუ გიკვრს ესე, რამეთუ ნიკოდემოსცა მრავალთა მათ სიტყუათა შემდგომად ჯერეთ ვერ გულისხმა-ჰყოფდა სიტყუათა უფლისათა ძალსა. და ამანცა ჰრქუა პატივით: „უფალო, არცა სავსებელი გაქუს, და ჭურღმული ესე ღრმა არს, ვინაჲ გაქუს წყალი ცხოველი?“ რამეთუ სხუასა იტყოდა უფალი და იგი სხუასა გულისხმა-ჰყოფდა. და უკუეთუმცა ჰურიათა მსგავსი გონებაჲ აქუნდა, ეთქუამცა ურცხვნოდ, ვითარმედ: „უკუეთუმცა გაქუნდა წყალი ცხოველი, რადმცა მთხოვდი მე წყალსა? არამედ სტყუვი“. გარნა ყოველსავე კრძალულებით ეტყოდა აწცა და პირველ, რამეთუ მაშინ თქუა, ვითარმედ: „შენ ჰურიად ხარ და ითხოვ ჩემგან წყალსა?“ და არა ჰრქუა რისხვით, თუ: „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა მტერსა ჩემისა ნათესავისასა მივეც წყალი“. და აწცა კუალად კრძალულებით მიუგო:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნუუკუე შენ უფროს ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჭურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვარი მისი“ (4,12).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ამათ სიტყუათა მიერ ჩანს, ვითარმედ პირველსავე სიტყუსაგან მალლით გულისხმის-ყოფად მიიღო და იჭუეულ იქმნა, ვითარმედ აქუს სხუად რამე წყალი და კუალად ვერ ჰპოებდა, ამისთვის თქუა ესე, ვითარმედ: „ვითარ იყოს ესე? რამეთუ იაკობს და ძეთა მისთა სხუად

წყალი არა აქუნდა ამისი უმჯობესი, არამედ ამისგან სუმიდეს და შენ, უფალო, სავსებელი არა გაქუს, თუმცა ვთქუ, თუ: აქაფთ აღმოგიღებიეს წყალი ეგე, რომელსა იტყუ, კუალად სხუამ უმჯობესი სადაფთ ჰპოვე, რომელი იაკობ და ძეთა მისთა ვერ პოვეს? გარნა თუ უფრომს ხარა იაკობისა? თუ არასადაფთმცა გაქუნდა წყალი ეგე რომელსა იტყუ მოცემად?“ არამედ ჰურიათა არასადა აჩუენეს ესევეითარი განგებამ, გარნა მათცა ჰრქუა წყლისათვს ცხოველისა, და არა ინებეს. ხოლო აბრაჰამ რამ ავსენა, ქვასაცა დაჰკრებდეს; გარნა ამან დედაკაცმან თავს-იდვა სიცხესა შორის დგომამ და სიტყუათა. მისთა სმენამ და არა მოიგონა გულისსიტყუამ ერთიცა ჰურიანებრი, თუმცა მგმობრად შეჰრაცხა, ანუ სხუამ რამ ბოროტი თქუა.

ს ვ ა ვ ლ ა მ ლ ა

სათნოებისათვს

ხოლო უკუეთუ დედაკაცმან სამარიტელმან ესეოდენი მოსწრაფებამ აჩუენა, რაფთამცა კეთილი რაფმე ისწავა და დაადგრა ჰრისტეს თანა, რომელსა იცნობდაცა, არარამ მიუგოთ ჩუენ, რომელთა ვიცით იგი, და არა სიცხესა ქუეშე, არამედ ეკლესიასა შინა არა ვისმენთ სიტყუათა მისთა მოთძინებით არამედ ნუ ჰურიათამცა ვჰბაძავთ, გარნა სამარიტელსა მას მივემსგავსნეთ და ვისმინნეთ სიტყუანი მისნი. სიხარულით, რამეთუ აწცა ჩუენ შორის დგას და გუეტყვს ჩუენ წინამსწარმეტყუელთა მიერ და მოციქულთა. ვისმინნეთ უკუე სიტყუანი მისნი, ვიდრემდის ვართ ამაოებასა შინა და უფრომსად ბოროტსა შინა, რამეთუ არა ქმნამ ნებისა ღმრთისამ ბოროტ არს, რამეთუ, უკუეთუ რომელმან საფასჴ მიიღოს სავაჴროდ და ცუდად წარავოს, იტანჯვის, რამ ვყოთ ჩუენ, რომელნი ჟამსა ამას ცხორებისასა მოცემულსა ჩუენდა კეთილისათვს, ბოროტსა შინა წარვაგებთ? რამეთუ არა ამისთვს

დაგუბადნა ლმერთმან და მოგუყვანნა სოფელსა ამას და შთა-
 გუბერა სული, რაჟთა საწუთრომასა ამისთვის ოდენ ვიყოფო-
 დით, არამედ რაჟთა ყოველივე საუკუნომასა მისთვის ცხოვრე-
 ბისა მოვივაჟროთ, რამეთუ ამის საწუთრომასათვის პირუტყუნი
 ოდენ არიან, ხოლო ჩუენ ამისთვის გუაქუს სული უკუდავი,
 რაჟთა საუკუნომასა მისთვის ეზრუნვიდეთ და მუნ გა-
 მოვბრწყინდეთ და ანგელოზთა თანა ვიყოფოდით, წინაშე მე-
 უფისა ყოველთაჟსა ვდგეთ დაუსრულებელთა მათ საუკუნე-
 თა. ამისთვის მოგუეცა სული უკუდავი და კორცნი მოგუეცნენ
 ნაშინ უკუდავნი, რაჟთა საუკუნოთა კეთილთა შინა ვიშუებ-
 დეთ. უკუეთუ ზეცისაჲ შეურაცხ-ვყოთ და ქუეყანისასა
 ეზრუნვიდეთ, იხილე, ვითარ შეურაცხ-ვყოფთ მომცემელსა
 მას, რამეთუ რაჟამს-იგი ზეცისასა მოგუპყრობდეს, ხოლო
 ჩუენ არა შეგუურაცხოს იგი, არა მისი შეურაცხებაჲ არსა?
 ამისთვის გეჰენიადცა განჰმზადა შეურაცხისმყოფელთა მათთვის,
 რაჟთა ვცნათ, თუ ვითართა კეთილთაგან გამოვაცუებთ თავთა
 ჩუენთა, გარნა ნუ იყოფინ ხილვად ჩუენდა გემოჲ მწარეთა
 მათ სატანჯველთაჲ, არამედ რაჟთა სათნო გეყვნეთ მას და
 საუკუნენი კეთილნი დავიმკვდრნეთ მადლითა უფლისა ჩუე-
 ნისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდე-
 ბაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუ-
 ნისამდე, ამენ.

თ ა მ ი ლ ბ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: მიუგო იესუ და ჰრქუა მას: „რომე-
 ლი სუამს წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალად, ხოლო რო-
 მელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არა
 სწყუროდის უკუნისამდე. და წყალი, რომელი მე მივსცე მას,
 უქმნეს მას შინა წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხოვრებად
 საუკუნოდ (4,13—14). თ ა რ გ მ ა ნ ი: სულისა წმიდისა
 მადლსა წერილი ოდესმე ცეცხლად სახელ-სდებს და ოდესმე
 წყლად, რაჟთა გამოაჩინოს, ვითარმედ არა არსებისა მი-
 სისანიჲ არიან ესე სახელნი, არამედ საქმეთა მისთანი, რამე-
 თუ არა შესაძლებელ არს, თუმცა თვთოსახეთა არსებათაგან

იყო სულ წმიდა შემზადებულ, რომელ-იგი უხილავ არს და მარტოვ, რამეთუ იოვანე ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „მან ხათელ-გცეს სულითა წმიდითა და ცეცხლითა“.¹ ხოლო უფალი ღალღებს, ვითარმედ: „მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისანა“.² და ამას იტყოდა სულისა წმიდისათჳს, რომელი ეგულებოდა მიღებად მორწმუნეთა მისთა. ესრეთვე უკუე დედაკაცა მას ჰრქუა, ვითარმედ: „რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე. არღარა სწუროდის უკუნისამდე“. ხოლო ამას სულისა წმიდისათჳს იტყოდა, რამეთუ ცეცხლისა სახელითა სიმახვლესა მას და მკურვალეობასა მადლისა მისისასა და განმლევებობასა ცოდვათასა მოასწავებს, ხოლო წყლისა მიერ განწმედებობასა მას მისმოიერსა და ფრადსა მას ნუგეშინის-ცემასა, რომელი მიეცემის გონებათა მათ შემწყნარებელთა მისათასა, გამოაჩინებს. რამეთუ ვითარცა სამოთხმ საშუებელსა, მრავალთა მიერ ხეთა ნაყოფიერთა შემკობილსა, ესრეთ ჰყოფს სულსა მას შემწყნარებელსა მისსა, დადაშრეტს ყოველთავე განუკრებულთა ისართა მტერისათა. ხოლო შენ იხილე სიბრძნმ ღმრთისაჲ, ვითარ მცირედ-მცირედ მოიყვანებს დედაკაცა მას გულისხმის-ყოფად, რამეთუ პირველად სთხოვა წყალი და მისცა მიწეზი სიტყუსაჲ. მერმე ჰრქუა: „უკუეთუმცა იცოდე, თუ ვინ არს, რომელი გეტყვს: „მეც მე წყალი“. და ვითარცა აცენა მან მამათმთავარი იაკობ და ჰრქუა: „ნუუკუე შენ უფროდს: ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა?“ არა თქუა უფალმან; თუ: „ჰე, უფროდს ვარ“, რადთამცა არა დააბრკოლა გონებაჲ მისი, არამედ საქმეთაგან უჩუენა უზეშთაესობაჲ თჳს და თუ რაზომი განყოფილებაჲ აქუნდა მისგან, რამეთუ ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუ გიკურს, თუ ვითარმცა მოგეც ამისი უალრმისი წყალი და იტყვ: „ნუუკუე უფროდს იაკობისა ხარ? უკუეთუ მოგეც წყალი იგი, რომელსა ვიტყვ, არა მაშინ უმეტესად აღიაროა უზეშთაესობაჲ ჩემი? იხილე თუალუხუავი იგი საშჯელი დედაკაცისაჲ, რამეთუ საქმეთაგან იქმოდა შჯასა უზეშთაესობისასა, ხოლო ჰურიანი არა ესრეთ ხედვიდეს

¹ მათ. 3,11; ლუკ. 3,16

² იოან. 7,38

მას, ვითარ განასხამნ ეშმაკთა, და არა თუ ოდენ ამას იტყოდეს, თუ: „უზეწითაეს მამათმთავრისა არს“, არამედ ეშმაკეულითცა ჰხადოდეს. ამისთვის უფალი იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამს ჩემი. უკუეთუ ვიქმ, დაღათუ ჩემი არა გრწმენეს, საქმეთა გრწმენენ“. და ესრეთ ჰრწმენა საქმეთად დედაკაცსა მას. ამისთვისცა უფალმან უწყოდა, ვითარმედ საქმეთებრ შჯის იგი, დაუტევა იაკობისთვის სიტყუად და წყლისა მისთვის იტყვს, ვითარმედ: „რომელმან სუას წყლისა ამისგან, სწყუროდის კუალად, ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არა სწყუროდის უკუნისამდე“.¹ რამეთუ ესმა პირველად დედაკაცსა მას წყალი ცხოველი, და ვერ გულისხმა-ყო, არამედ ჰგონებდა, თუ წყლად ცხოველად წყაროსა იტყვს ხილულსა, დაუწყუებულად მდინარესა. ამისთვის ჰრქუა ქრისტემან, ვითარმედ: „რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე, არა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ ექმნეს მას შინა წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ“. ამათ სიტყუათა მიერ გულისხმა-უყო, ვითარმედ არარას ხილულსა ეტყვს მას, რამეთუ რომელმანცა ხილულმან წყალმან ქმნა, რამეთაცა ერთგზის მიღებრთა არღარა შეუენდო წყურილად, არამედ ექმნამცა წყაროდ მის შორის. და ესე რამ ესმა, ჰრწმენა მეყსეულად დედაკაცსა მას, რამეთუ ფრიად უგულისხმისყოფელეს გამოჩნდა ნიკოდემოსისა და არა უგულისხმისყოფელეს ოდენ, არამედ უმცნესცა, რამეთუ მას ბევრეული ესევითარი ესმა და არავის უქადაგა, არც კადნიერ იქმნა, ხოლო ამან საქმმ სამოციქულოდ ქმნა, რამეთუ ქალაქი სრული მოაქცია უფლისა და ყოველთა უქადაგა, და კუალად ნიკოდემოსს შეუძლებულად უჩნდა საქმმ იგი² და სახმცა იგი ქარისად მოართუა უფალმან და ვერვე შეიწყნარებდა სიტყუასა მას. ხოლო დედაკაცსა მას პირველ უკვრდა და ჰრქუა რამ უფალმან არა სახითა, არა მრავალღონობით, არამედ ოდენ განჩინებით, ვითარმედ: „არა სწყუროდის უკუნისამდე, რომელმან ჩემმიერი წყალი მიიღოს“, მეყსეულად ჰრწმენა და ჰრქუა მას:

¹ იოან. 4,14

² იოან. 3,9

სახარება: „უფალო, მეც მე წყალი ეგე, რამთა არა მწყუროდის და არცაღა მოვიდე აქა ვსებაო“ (4,15). თარგმანი: პირველ ესმა რამ: „წყალი ცხოველი“, ხილულსა წყალსა ჰგონებდა, ხოლო ისწავა რამ, ვითარმედ სულიერ არს წყალი იგი, ჰრწმენა, ვითარმედ ძალ-უც მას დაყენებად წყურვილსა, გარნა თუ რამ არს, არა იცოდა. ესე გულისხმა-ყო, ვითარმედ უნეშთაეს არს ხილულთა ამათ, გარნა თუ რამ არს ქეშმარიტებით, არა უწყოდა, არამედ ესე ცნა, ვითარმედ უნეშთაეს იაკობისა არს, და იწყო წყლისა მის თხოვად. ესე არს სული და გონებაჲ კეთილი, რამეთუ არცა ამოდ შეიწყნარა სიტყუაჲ იგი, არამედ კეთილად გამოიძია, არცა კუაღად მაცილობელ და ურწმუნო იქმნა, არამედ ცნა რამ ქეშმარიტებაჲ მათ სიტყუათაჲ, სთხოვა მას წყალი და არა ქმნა, ვითარცა ჰურიათა, რამეთუ ესმა რამ სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი თქუა, ვითარმედ: „რომელმან ჰამოს ჯორცი ჩემი, არა ჰშიოდის“¹ და დაბრკოლდეს, არამედ დედაკაცმან მან უფრამს სთხოვა, ხოლო უფალსა უკუეთუმცა ეთქუა მისდა, ვითარმედ: „წყალი ცხოველი მოგცე, რაჟამს ჩემდა მომართ გრწმენეს, რამეთუ ჩემდაჲ სარწმუნოებაჲ არს წყალი ცხოველი“, ვერ შეიწყნარებდა იგი სიტყუასა მას, რამეთუ არა იცოდა, თუ ვინ არს. რამეთუ ჰურიათა პირველად მრავალნი სასწაულნი უჩუენნა და მერმელა ჰრქუა: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არა სწყუროდის“, ხოლო ამას არამე ეხილვა სასწაული და ვითარმცა ჰრწმენა, უკუეთუმცა ეთქუა, თუ: „სარწმუნოებაჲ ჩემი არს წყალი ცხოველი?“ ამისთვის პირველად უჩუენა ძალი თვისი წინამსწარმეტყუელელებისა მიერ და არა ამხილა მეყსეულად, არამედ პირველად ჰრქუა მას:

სახარება: „წარვედ, მოუწოდე ჰმარსა შენსა და მოვედ აქა“ მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: „არა მივის ჰმარი“. ჰრქუა მას იესუ: „კეთილად სთქუ: რამეთუ არა გივის ჰმარი. ხოლო ხუთ ჰმარ გესხნეს და აწ რომელი გივის, არა არს ჰმარი შენი. ეგე ქეშმარიტად სთქუ. „ჰრქუა მას დედაკაცმან: „უფალო, ვხედავ, ვითარმედ წინამსწარმეტყუელი ხარ“. (4,16-19). თარგმანი: ეჰა, რაბაჲ არს სიბრძნე

¹ იოან. 6,35

დედაკაცსაჲ მის და ვითარ სამჴდით შეიწყნარა მხილებამ და არა ვითარცა ჰურიათა, რამეთუ მათცა ამხილა მრავალ-გზის გელისსიტყუამ გონებისაჲ, რომელ-იგი უზეშთაეს არს ვიდრე ქმნილისა საქმისასა ცნობად გულისსიტყუამ. რამეთუ ესე მხოლოესა ღმრთისა საქმე არს, გარნა ჰურიათა არა თუ ოდენ არა დაუკრდა, არამედ განრისხნესცა, რაჲმს ჰრქუა, ვითარმედ: „რამესა მეძიებთ მე მოკლვად?“¹ რომლი-თა-იგი სხუანიცა მრავალნი სასწაულნი მისნი ეხილვნეს და მას ყოველსა ზედა ეტყოდეს, ვითარმედ: „ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?“ ხოლო დედაკაცსა მას იგი ოდენ ეხილვა. საკვრველი, ხოლო არა აღშფოთნა, არამედ და-უკრდა და წინამსწარმეტყუელად აღიარა. და უკუეთუ ვინ იტყოდის, თუ: „რამსათჳს ჰრქუა, ვითარმედ: „მოხადე ქმარსა შენსა?“ გულისხმა-ყავთ, ვითარმედ ამისთვის, რამეთუ ით-ხოვდა დედაკაცი იგი ნიქსა მას წყლისა ცხოველისასა, ხოლო უფალსა ენება, რამთამცა უჩუენა ძალი სასწაულთა თჳსთაჲ, რამთამცა ჰრწმენა მისი დედაკაცსა, რამეთუ უკუეთუმცა არა ჰრწმენა, ვითარმცა მოელო წყალი იგი ცხოველი, და კუალად ესრეთ უკითხავად არა ამხილა? ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ: „მო-ხადე ქმარსა შენსა“, ხოლო დედაკაცსა მას ენება, რამთამცა ბაღწი იგი საქმმ დაფარა, რამეთუ, ვითარცა კაცსა ჰხედვიდა, და ჰრქუა: „არა მივის ქმარი“. ესე რამ ესმა ქრისტესა, და მერმე კუალად და თჳსსა ჟამსა ჰრქუა მხილებისა იგი სიტყუამ უც-თომელად, რამეთუ პირველნი იგი აღრაცხნა და მაშინდელი იგი ქმარი, რომელი არა ჰეშმარიტი და შჯულიერი ქმარი იყო, გამოაჩინა. ესე რამ ესმა, არა დაბრკოლდა, არამედ წი-ნამსწარმეტყუელად აღიარა, და წინამსწარმეტყუელად რამ აღიარა, არა ჰკითხა ჯორციელისა სიმრთელისათჳს, ანუ სიმ-დიდრისა, ანუ სხჳსა რამსმე, არამედ მეყსეულად სარწმუ-ნოებისათჳს ჰკითხა და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მამანი ჩუენნი მთასა ამას თაყუანის-სცემდეს“ (4,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აბრაჰამისათჳს იტყჳს, რამე-თუ იტყჳან, ვითარმედ: „მუნ აღიყვანა მან დაკლვად ისაკი“. და ვითარ თქუენ იტყჳთო, ვითარმედ: „იერუსალმმს არს

¹ იოან. 7,19

ადგილი, სადა ჯერ-არს თაყუანის-ცემამ?“ იხილეთ, ვითარ მა-
ლალ იქმნა გონებითა? ამისთვისცა ქრისტემან აღიყვანა იგი
უმეტესსა სიმაღლესა სიტყვთა თვისითა, ვინაფთვან მოიყვანა
იგი სარწმუნოებად თვსა.

ს წ ა ვ ლ ა მ ზ

კითხვისათვის საღმრთოთა წერილთადასა

შევიკდომოთ უკუე ჩუენცა, რამეთუ უკუეთუ დედაკაცი
სამარიტელი, რომელსა ხუთ ქმარ სხმოდეს, ესოდენი მოს-
წრაფებამ აჩუენა სწავლად საღმრთოთა სიტყუათა და არცა
სიცხემან დააყენა, არცა უამმან მან სასწრაფომან, რამ ვთქუათ
ჩუენ, რომელნი არასადა მცირედსაცა სწრაფსა ვაჩუენებთ
სწავლად საღმრთოთა საქმეთა, ანუ სიტყუათა? რამეთუ ვინ
თქუენგანი მი-რამ-ვიდეს სახედ თვსა, აღიხუმს კელთა საღ-
მრთოთა წიგნთა და გამოეძიებს წერილთა? არამედ უმეტესთა
ყოლად ზრუნვამცა არა აქუს, ვითარმცა არა აქუნდა, ესრეთ
არიან, რამეთუ დაბეჭდულად დაუმარხვან იგინი და არასადა
აღმოიკითხვენ და მოგებამცა მათი არა თუ სულისა სარგებე-
ლისათვის უქმნიეს, არამედ სიმდიდრისათვის. ესოდენი არს
ცუდადმზუაობრობისა ბოროტი, რამეთუ არავინ იქადის ამას,
თუ: „ვიცი ყოველი, რამ მათ შინა წერილ არს“, არამედ
ამას იქადინ, ვითარმედ: „ოქრომსა ასომთა წერილ არიან“.
არარამ არს სარგებელი, რამეთუ არა თუ ამისთვის მოგუეცენეს
წერილნი, რამთა წიგნთა შინა შთავწერნეთ, არამედ რამთა
გულთა შინა ჩუენთა შთავწერნეთ, ხოლო წიგნთა ოდენ ქო-
ნებამ მჯულისა ჰურიათადასა არს, რამეთუ ჩუენ არა ფიცართა
ზედა ჰვისათა დასაწერელად მოგუეცა, არამედ ფიცართა ზე-
და გულისათა.¹ ხოლო ამასლა ვიტყვ, არა თუ წიგნთა მოგე-
ბად გაყენებ, არამედ უფრომსად მიხარის ამას ზედა, გარნა

¹ იხ. II კორ. 3,5

გვედრები, რაათა მას თანა გონებასაა შინა შთავეწორნეთ
ძალნი და სიტყუანი წიგნთანი, რამეთუ, უკუეთუ სახლსა,
სადა სახარებაჲ იდვას, ვერ შევალს ეშმაკი, არა უფრომსად
სულსა, რომელსა შინა ძალი სიტყუათაჲ დამკვდრებულ იყოს,
შეეშინოსა შესლვად? და არა ოდენ ეშმაკი, არამედ ყოვე-
ლივე ბუნებაჲ ცოდვისაჲ. წმიდა-ყავ უკუე სული შენი, წმიდა-
ყვენ ჯორციცა ამათ საღმრთოთა სიტყუათა გულსა და პირსა
შენსა დამკვდრებითა, რამეთუ უკუეთუ ბოროტთა სიტყუათა
მეტყუელებაჲ შემაგინებელ კაცისა არს, უკუეთუ სულიერთა
სიტყუათა წურთამან და კითხვამან არა განწმიდოს სულიცა
და პირი და დაამკვდროს მას შინა მადლი სულისა წმიდისაჲ,
რამეთუ საღმრთონი წერილნი წამალნი არიან სულისანი, გან-
კუთრნეთ უკუე მათ მიერ სულნი ჩუენნი. ამათ სიტყუათა
მარადის გეტყვ და თქუმად არა დავსცხრე. რამეთუ ვითარ
არა ბოროტ არს, უკუეთუ მოყუარეთა სოფლისათა იციან მო-
ნაგებთა თვსთა ყოველი ბუნებაჲ და ცხენთა თვთოეულისა.
პაპისპაპნი და ბუნებანი, და რომელნი-ესე ეკლესიასა შინა
შემოკრებებით, არა იცნოდით აქა შინა თქუმულნი სიტყუანი
არცა თუ რიცხვ წიგნთაჲ, რომელთა მარადის ვიკმარებთ?
რამეთუ ფრიად ესენი უკუეთეს და უსაწადელეს არიან, ვიდრე
იგინი, თქუმულია, რომელი უსაკვრველეს არს ხილვად, რკი-
ნობაჲ კაცისაჲ კაცისა მიმართ, ანუ რკინობაჲ კაცისაჲ ეშმა-
კისა მიმართ და ჯორციელისა ბრძოლაჲ უკოროცოდა მიმართ
და ძლევაჲ? და უკუეთუ ამას ესევეითარსა ჰხედვიდე, ისწავო
შენცა ესრეთვე ძლევაჲ ეშმაკისაჲ. ამას ესევეითარსა მარადის
გეტყვ და არა დავსცხრები თქუმად, ხოლო თქუენ ნუ სიმ-
ძიმე-გიჩნან სიტყუანი ჩემნი, რამეთუ უკუეთუმცა სიმძიმე
ჯერ-იყო, მემცა მიმძიმდა, რომელი-ესე მარადის გასწავებ,
და მარადის ურჩ მექმნებით. და არა თქუენდა ჯერ-იყო სიმ-
ძიმე, რომელნი მარადის ისმენთ და არაოდეს იქმთ საქმით,
გარნა ღირს-გყვენინ უფალმან, რაათა არა იყოს მარადის
ბრალობაჲ ესე თქუენ ზედა, არამედ რაათა განეშორნეთ ყოვ-
ლისაგან საქმისა ბოროტისა და ღირს იქმნნეთ გულისხმის-
ყოფასა საღმრთოსა სიტყუთა და საქმითა, რაათა ნაყოფიცა
კეთილი გამოიღოთ და ღირს იქმნნეთ დამკვდრებად საუკუ-
ნოთა მათ კეთილთა სასუფეველისათა მადლითა და კაცთმო-

ყუარებოთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ლ ბ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: ჰრქუა მას იესუ: „გრწმენინ ჩემი, დედაკაცო. არცა მთასა ამას, არცა იერუსალმსა, არამედ თაყუანის-სცემდეთ მამასა. თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით. ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით, რამეთუ ცხობრებამ ჰურიათაგან არს“ (4,21-22). თ ა რ გ მ ა ნ ი: ყოველსა ადგილსა სარწმუნოებამ ჯერ-არს ჩუენდა, საყუარელნო, რამეთუ სარწმუნოებამ დედაი არს ყოველთა კეთილთამ და წამალი ცხოველმყოფელი, რამეთუ თუნიერ მისა ვერარას გულისხმა-ჰყოფთ მაღალთა მათ სიტყუათაგანსა, არამედ მსგავს იქმნებით კაცთა, რომელნი თუნიერ ჯელ-ჰყოფენ წიაღსლვად ზღუასა, რომელნი-იგი მცირედსა ადგილსა შემძლებელ არიან ჯელთა მიერ და ფერჯთა წარვლად, და, უკუეთუ შინარე შევიდენ, ადრე დაინთქმიან ლელვათაგან, ეგრეთე, რომელნი თუსითა გულისსიტყუთა ისწრაფდენ რამს-მე პოვნად წერილისა პირველ პოვნისა, დაინთქმიან, ვითარცა პავლე იტყუს, ვითარმედ: „რომელნი-იგი სარწმუნოებისაგან დაინთქნეს“.¹ არამედ ჩუენ რამთა არა მასეე შთავცუვეთ, ამისთვის კეთილი იგი ზღუდმ მოვილოთ, რომლითა აწ სამარიტელი მოიზიდა ქრისტემან, რამეთუ თქუა რამ მან თუთ: „ვითარ თქუენ იტყუთ, იერუსალმს არს ადგილი, სადა ჯერ-არს თაყუანის-სცემამ“, ჰრქუა მას ქრისტემან: „გრწმენინ ჩემი, დედაკაცო, მოვალს ჟამი, რომელსა არცა მთასა ამას, არცა იერუსალმს, არამედ თაყუანის-სცემდეთ მამასა“. ფრიად შალალი სიტყუამ გამოუცხადა მას, რომელი-ესე არცა ნიკოდემოსს, არცა ნათანაელს ჰრქუა, რამეთუ იგი დედაკაცი ისწრაფდა, რამთამცა საქმენი სამარიტელთანი უაღრესად ჰურიათა გამოაჩინნა, და მამათა მოწამედ მოიყვანებდა. ხოლო ქრისტემან არა მისისა კითხვისაებრ მიუგო, რამეთუ არცა

¹ ტიბ. 1,19

საქმარ იყო მაშინ ჩუენებამ, თუ რადასათუ მამანი მთასა მას და ჰურანი იერუსალმს თაყუანის-სცემდეს. ამისთუ ესე დაიდუმა და უაღრსი ორთადავე მიუთხრა და უჩუენა, ვითარმედ არცა ჰურიათა, არცა მათ აქუს დიდი რამ საქმე მომავალისა მის თანა, რომელი მოცემად იყო; და რაემს ესე გულისხმა-უყო, მაშინდა უჩუენა განყოფილებამ ორთამ მათ და ჰურიანი უპატიოსნესად გამოაჩინნა, არა თუ ადგილსა მისცა პატივი, არამედ გონებისაგან გამოაჩინა უაღრსობამ, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ადგილთათუ არა ჭერ-არს ცილობამ, გარნა გონებითა ჰურიათა უმჯობესად აქუს სამარტელთასა, „რამეთუ თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით“. ხოლო ვითარ არა იცოდეს სამარტელთა, რომელსა თაყუანის-სცემდეს? ამისთუ, რამეთუ ადგილსა მას შემოწერილად იცოდეს ღმერთი, და ესრეთ ჰმსახურებდეს; და ესრეთ მიუმცნეს სპარსთა მისთუ, ვითარმედ: „ადგილისა ამის ღმერთი მრისხავს ჩუენ“; და ამისთუ შეურაცხ იყო გულისსიტყუად ესე და ბოროტ, რამეთუ ღმერთსაცა ჰმსახურებდეს და ეშმაკისაცა და შეუერთებელთა ამათ საქმეთა შეაერთებდეს. ხოლო ჰურიანი ამის საქმისაგან წმიდა იყვნეს და ყოველისა სოფლისა ღმრთად იცოდეს იგი, დადაცათუ არა ყოველთა ამისთუ ჰრქუა, ვითარმედ: „თქუენ თაყუანის-სცემთ, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი ვიცით“. ხოლო ნუ გიკურს ესე, რომელ ჰურიათა თანა აღჰრაცხავს თავსა თუსსა, რამეთუ იქუსაებრ დედაკაცისა მის ეტყოდა მას, რომელი ჰგონებდა მას წინადაწარმეტყუელად ჰურიად. ამისთუსცა ჰრქუა, ვითარმედ: „თაყუანის-ვსცემთ, რომელი-იგი თაყუანისსაცემელ არს ყოველთა მიერ, რამეთუ მისა მოდრკეს ყოველი მუქლი“, გარნა აწ ვითარცა ჰურაამ ეტყოდა მას, ხოლო დაუმტკიცა სიტყუად იგი, რადთა არა ჰგონებდეს, ვითარმედ სიყუარულითა თუსისა ნათესავისადათა ეტყოდა სიტყუათა მათ. ამისთუ ჰრქუა: „გრწმენინ ჩემი, დედაკაცო, მოვალს ეამი, რაემს არცა მთასა ამას, არცა იერუსალმს თაყუანის-სცემდეთ“. და მერმელა უჩუენა უაღრესობამ ჰურიათამ და ვითარმედ ცხორებამ ჰურიათაგან არსო, ხოლო ცხორებამ გინა თუ ამას იტყუს, ვითარმედ მეცნიერებამ ღმრთი-

სამ და შეურაცხის-ყოფად კერპთად მათგან იწყო პირველად, და თქუენცაო დაღაცათუ არა კეთილად იცით ღმერთი. გარნა ეგე, რომელ იცით, მათ მიერ არს, ანუ თუ თვსსა გამოჩინებასა იტყოდა ცხორებად, რომელნი-ესე ორნივე ჰურიათაგან არიან, ვითარცა პავლე იტყვს, ვითარმედ: „რომელთაგან ქრისტე ჯორციელად, რომელი-იგი არს, ყოველთა ზედა ღმერთი“.¹ ჰხედავა თვსებასა ძუელისასა ახლისათანა? ხოლო ესე რად სიტყუანი მიუთხრნა, კუალად ვტყვს:

სახარება: „არამედ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს ჰეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჰეშმარიტებითა“ (4,21). **თარგმანი:** რაჟამს ჰეშმარიტნი აქსენნა, განყარნა ჰურიანოცა და სამართელნი, რამეთუ დაღაცათუ სამართელთასა უმჯობეს არიან ჰურიანი, გარნა ყოფადთა მათ ესოდენ უღარჲს არიან, რაზომ აჩრდილი ჰეშმარიტებასა. ხოლო იტყვს ეკლესიისათვს, ვითარმედ ჰეშმარიტი და ჯეროვანი თაყუანის-ცემად იგი არს, რამეთუ მამადცა ესევითართა ეძიებს თაყუანის-მცემელთა მისთა,² და ვინამთგან ესევითარნი ჰნებვან, მათცა სამე არანებსით. შეუენლო ესრეთ ყოფად, არამედ მათისა მის ფრიადისა უძლურებისათვს, და რადთა ესრეთ მცირედ-მცირედ იგინოცა მოაქცინეს, რამეთუ ჰეშმარიტნი თაყუანისმცემელნი იგინი არიან, რომელნი არა ადგილთა ჰმსახურებენ ღმერთსა, არამედ სულითა, ვითარცა მოციქული იტყვს, ვითარმედ: „რომელსა ვჰმსახურებ სულითა ჩემითა სახარებითა ძისა მისისადათა“.³ ხოლო რაჟამს თქუას, თუ „სულ არს ღმერთი“, არა თუ სხუასა რას მოასწავებს, გარნა ამას, ვითარმედ უჯორცო არსო, და ჯერ-არს, რადთა უჯორცოჲსა მის მსახურებად უჯორცოჲსთავე იქმნებოდის ჩუენ მიერ, რომელ არს სული და სიწმიდჲ გონებისაჲ. ამისთვს იტყვს, ვითარმედ: „თაყუანის-მცემელთა მისთად სულითა და ჰეშმარიტებითა ჯერ-არს თაყუანის-ცემად“.⁴ რამეთუ ვინამთგან სამართელნიცა და ჰურიანი სულისათვს არას მოსწრაფებასა იქმოდეს და ჯორც-

¹ რომ. 9,5

² იონ. 4,23

³ რომ. 1,9

⁴ იონ. 4,24

თა განწმედისათჳს ფრიადსა მოსწრაფებასა აჩუენებდეს, ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: არა კორცთა განბანითა, არამედ გონებისა სიწმიდითა იმსახურების ღმერთი. ნუ ცხოვართა და ზუარაკთა შესწირავ, არამედ თავი შენი შეწირე ყოვლითურთ ღმრთისა. და ესე არს ჭეშმარიტი თაყუანის-ცემად, თუ არა პატიველნი ყოველნი აჩრდილნი იყვნეს: წინადაცუეთად და მსხუერპლნი იგი, ხოლო აწ ყოველივე ჭეშმარიტება არს და არა კორცთად, არამედ ბოროტთა გულისსიტყუათად ჭერ-არს განწმედად და მოკუეთად და ჭუარ-ცუმად თავისა თჳსისად და ბოროტთა გულისსიტყუათა დაკვლად, ხოლო დედაკაცი იგი შეძრწუნდა და დაუქრდა ამათ სიტყუათათჳს, ამისთჳსცა პრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳნ კრისტე. ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი“. ჰრქუა მას იესუ: „მე ვარ, რომელი გეტყჳ შენ“ (4,25-26).
თ ა რ გ მ ა ნ ი : და ვინაჲ აქუნდა სამარიტელთა კრისტეს მოლოდებად გარნა მოსეს წიგნთაგან, რამეთუ ფრიად გამო-აცხადებს იგი ძესა, რამეთუ „ვექმნეთ კაცი ხატად ჩუენდა“,¹ მისა მიმართ თქუმულ არს და: „აბრაჰამს კარავსა შინა ძმ ჰხრახვიდა“,² და იაკობ მისთჳს თქუა, ვითარმედ: „არა მოაკლდეს მთავარი იუდაისგან, არცა წინამძღუარი წყვილთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომელი-იგი წინამდებარე არს და არს იგი მოლოდებად წარმართთად“.⁴ და თუთ მოსე თქუა, რამეთუ: „წინაჲსწარმეტყუელი აღგიდგინოს თქუენ უფალმან, ვითარცა მე, მისი ისმინეთ!“⁴ და გუელი რვალისად და კუერთ-ხი მოსესი და ისაკის დაკლვად და სხუად მრავალი ესევეთარი მოსლვისა მისისა სახენი იყვნეს. ხოლო თუ ვინ თქუას, თუ: რაჲსათჳს არა მოართუა მას სახმ წერილთაგან, ვითარ ნიკო-დემოსს და ნათანაელს? გულისხმა-ყავთ, რამეთუ იგინი წე-რალთა მეცნიერნი იყვნეს, ხოლო ესე დედაკაცი იყო გლა-ხაკი და უსწავლოჲ და ამისთჳს წყლისა მის ცხოველისა ვსე-ნებითა მოიზიდა იგი, და ესრეთ მცირედ-მცირედ მოეკსენა

¹ ლაბ. 1,26

² ლაბ. 18,1

³ ლაბ. 49,10

⁴ I-I სჯულ. 18,15

მას, ვითარ ასმიოდა სამე წერილი, და მერმელა გამოუცხადა თავი თესი, ხოლო პირველითგან ვერ იტურთვიდა იგი, რამთამცა წერილისა სიტყუათამ პრწმენა. და ჰურიანი იტყოდეს, ვითარმედ: „ვიდრემდის სულთა ჩუენთა წარგუჯდი? უკუეთუ მენ ხარ ქრისტი, გვთხარ ჩუენ“.¹ და არაჲამ პრქუა, ხოლო ამას თვნიერ გამოძიებისა გამოუცხადა თავი თესი, რამეთუ იცოდა, ვითარმედ მისი გონებაჲ წრფელი იყო, ვიდრე ჰურიანთამ, რამეთუ იგინი კიცხვეისათეს ჰკითხვიდეს, თუ არა, უკუეთუმცა უნდა ცნობის, კმა იყვნეს სასწაულნი და სწავლანი და წერილთა სიტყუანი გამოჩინებად მისა, ხოლო ესე წრფელითა გონებითა ეტყოდა და ამისთეს აღრე პრწმენა, ესმა რამ, და სხუანიცა მოიზიდნა მისა მიმართ. და ყოველთაგან დიდ არს სარწმუნოებაჲ დედაკაცისაჲ მის.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : და ამას ოდენ სიტყუასა მოვიდეს მოწაფენი მისნი და დაუკურდა, რამეთუ დედაკაცისა თანა იტყოდა და არავინ პრქუა მას: „რასა ეძიებ, ანუ რასა იტყუ მის თანა?“ (4,27). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ფრიად თესსა ეჲმსა მოვიდეს, აღ-რამ-სრულებულ იყო სწავლაჲ დედაკაცისა მის მიმართ. ხოლო დაუკურდა მათ მისი იგი სიმდაბლჲ მიუწუდომელი, რამეთუ ესევითარი დიდებული თავს-იდებდა გლახკსა და სამარიტელსა დედაკაცსა ესრეთ სიმდაბლით ზრახვად, არამედ დაღაცათუ დაუკურდა, არავე ჰკითხესო მიზეზო. ესრეთ განსწავლულ იყვნეს წესსა ზედა მოწუფობისასა, ესრეთ ეშინოდა და ერიდებოდეს მას, რამეთუ დაღაცათუ მისთეს ჯეროვანი გულისხმა-ყოფამ არა აქუნდა. გარნა, ვითარცა საკურველსა ვისმე, ესრეთ ჰხედვიდეს მას და ერიდებოდეს, დაღაცათუ სადამე კადნიერ იქმნიან, ვითარ იოვანე მკერდსა რამ მიეყრდნა, რამეთუ ოდეს ეტყოდეს, თუ: „ვინ უზეშთაეს არს?“² და სხუამ მრავალი ესევითარი, გარნა რამეთუ მათ იქმოდეს, რომელი თავთა თესთათეს რამე საჭირო არს საკითხავად, ხოლო აქა სხვსათეს იყო საქმჲ, და ამისთეს არა ჰკითხეს, და იოვანე რაჲამს მკერდსა მიეყრდნა, უკუანამსკნელ რამ უმეტესი კადნიერებაჲ მიეცა, რომელი-იგი იყო მოწაფჲ, რომელი უყუარდა უფალსა.

¹ იოან. 10,24

² შდრ. მათ. 18,1

სიმდიდრისათვის და სიმშუდისა

ვითარმედ ესენი აქუნდეს მახარებელსა იოვანეს, ამისთვის უყუარდა იგი უფალსა, რამეთუ რამცა იყო ამის ნეტარებისა უზეშთაესი? გარნა ნუმცა ვჰნატრიოთ ოდენ მოციქულსა მას, საყუარელნო ძმანო, არამედ ვისწრაფოთ, რადთა მახლობელ სანატრელისა მის ვიქმნნეთ და მივემსგავსნეთ ყოველითა ღობითა მახარებელსა მას და ვიხილოთ, თუ რომლისა საქმისათვის უფრომს ყოველთასა უყუარდა იგი უფალსა, რამეთუ დაუტევა მამად თსი და შეუდგა უფალსა. და ამას საქმესა ძმადცა მისი ზიარ იყო და პეტრეცა და ანდრია. ხოლო ესე რადსათვის უყუარდა უფრომს ყოველთასა? რამეთუ თვთ არა თქუა სიმდაბლისათვის მიზეზი იგი სიყუარულისაჲ, არამედ მე ამას გულისხმა-ვჰყოფ ამისთვის, რამეთუ ფრიად აქუნდა მას სიმშუდმ და სიმდაბლმ და სიწრაფობაჲ, ამისთვისცა არასადა აჩუენებს სახარებაჲ, თუმცა კადნიერქმნილ იყო კითხვალ რადსათვსმე, ვითარ პეტრე და ფილიპე და იუდა და თობა, გარნა მაშინ ოდენ, რაემს აიძულა პეტრე კითხვად, რამეთუ მათ ორთა ფრიად აქუნდა ურთაერთას სიყუარული, და სხუაჲ არასადა კადნიერ იქმნა, არამედ ფრიადსა აჩუენებდა სიმშუდესა და სიმდაბლესა. ხოლო ესევეითარი სათნოებაჲ მოსეს მიერცა საცნაურ არს, რამეთუ იგი დიდსა მას საზომსა ამან მიაწია და არარაჲ არს სწორ სიმშუდისა და სიმდაბლისა. მისთვის ნეტარებათა ამისგან იწყო ქრისტემან, რამეთუ, ვითარცა საფუძველი სათნოებათაჲ, ესე ავსენა პირველად, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“, და შეუძლებელ არს თვნიერ ამისა ცხორებაჲ, არამედ გინა თუ იმარხვიდეს ვინ, ანუ თუ ილოცვიდეს, ანუ რასაცა იქმოდის ზუაობით, საძაგელ არს წინაშე ღმრთისა, არამედ, უკუეთუ სიმდაბლით იყოს, მაშინ ყოველივე საქმმ მისი პატივოსან არს. მოვიგოთ უკუე სიმდაბლმ, საყუარელნო, რამეთუ უკუეთუ გვნდეს, ფრიად ადვილ არს ესე სათნოებაჲ. ანუ რაჲ არს, რომლისათვის ჰზუაობ, კაცო? არა ჰხედავა ბუნებისა შენისა უნდობასა და გონებისა ცთომილებასა? მოივსენენ ცოდვანი შენნი,

უკუეთუ კულა სათნოებანი გქონან და მათუს ჰზუაობ, ამით წარსწყმედ ყოველსავე, რამეთუ უკუეთუ გლახაკთა მისცემ, არა შენსა მისცემ, არამედ ღმრთისასა, და უფრომად სიმდაბლს გიღრს, რაჟამს გლახაკთა ხედვითა გულისხმა-ჰყოფდე ბუნებისა შენისა უნდობასა, რამეთუ უკუეთუ დღეს მდიდარ ვარა, ზიშუელნივე განსლვად ვართ. ანუ რაჲ არს სიმდიდრს? აზრდილი უნდოჲ, კუამლი განქარებადი, ყუავილი თავისაჲ და ყუავილსა უუძღურსი. რასა უკუე ჰზუაობ თივასა ზედა? ანუ არა მეძავნიცა და ავაზაკნი მოიგებენ სიმდიდრესა? უკუეთუ კულა პატივი და დიდებაჲ გიყუარს, ღმრთისმიერი მოიძიე, რომელი-იგი არაოდეს განქარდების, სიმდაბლს მოიგე და სხუანი სათნოებანი, რაჲთა მას დიდებასა ღირს იქმნე მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ლ ლ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: დაუტევა სარწყული იგი დედაკაცი მან მან და წარვიდა ქალაქად და უთხრა კაცთა მათ: „მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა მე ყოველი, რაჲცა ვქმენ. ნუუკუე იგი არს ქრისტე?“ (4,28-29). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ფრიად მოსწრაფებაჲ ჯერ-არს ჩუენდა, საყუარელნო, ყოველსა ზედა საქმესა სულიერსა, თუ არა, შეუძლებელ არს უდებობით აღსრულებაჲ რაჲსამე კეთილისაჲ. ამას მოასწავებდა ქრისტე და იტყოდა, ვითარემდ: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს“.¹ და კუალად იტყვს: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა“.² და ამათ ყოველთა სიტყუათა მიერ მოსწრაფედ მოღუაწებასა მოასწავებს. ესევეთარი იყო დედაკაცი იგი, რამეთუ ესრეთ განჯურდა გული მისი სიტყუათა მიერ უფლისასა, ვიდრელა დაუტევა სარწყული და მირბიოდა და ქადაგებდა მისთვის, რამეთუ მივიდა აღებად წყლისა და, პოვა რაჲ ცხო-

¹ მათ. 10,38

² ლუკ. 12,49

ველი იგი წყაროდ, არღარა აღიღო ხილული, არამედ დაუტე-
ვა, რადგან ჩუენცა ვისწავოთ და, რაჟამს სულიერი ვპოვოთ,
კორციელსა არღარად შევრაცხდეთ. რამეთუ ძალუსაებრ მისისა
რამ მოციქულთა ქმნეს, მანცა ქმნა, რამეთუ მათ მოუ-
წოდა უფალმან და შეუდგეს, ხოლო მან თვნიერ თქუმისა
დაუტევა სარწყული და აღიღო საქმე მახარებელთაჲ სიხარ-
ულისაგან ფრთოვანქმნულმან, და არა ერთსა, გინა ორთა
მოუწოდა, არამედ ყოველსა მას ქალაქსა. და იხილეთ, თუ
ვითარ სიბრძნით ქმნა, არა თქუა, თუ: „მოვედით და იხილეთ
ქრისტე“, არამედ: „მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან
მითხრა მე ყოველი, რადცა ვქმენ“. არა ინება დაფარვად
სირცხვისა თვისსაჲ, რამეთუ, რაჟამს სული განკურდეს საღ-
მრთოდ, არღარა ხედავს ქუეყანისასა. ნუჟუე იგი არს ქრის-
ტი, არა ინება, რადგანცა თუთ დაამტკიცა, თუ ქრისტე არს,
არამედ ისწრაფდა, რადგანცა მისა მიიყვანნა, და იცნობდა
ცხოველსა მას წყაროსა, ვითარმედ, უკუეთუ იხილონ გემოდ
მისი, თუთ პრწმენეს, ვითარცა მას პრწმენა. იხილეთ სიბრძნე
დუდაკაცისაჲ მის? რამეთუ თუსთაცა ცოდვათა მხილებად
გამოუცხადა, რადგანცა იგინი ოდენ მოიზიდნა უფლისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : და ამას სიტყუასა ზედამსწედა ეტყოდეს
მოწაფენი მისნი: „რაბი, ჳამე“, ხოლო თავადმან პრქუა მათ:
„მე ჳამადი მაქუს ჳამად, რომელი თქუენ არა იცით“. იტყო-
დეს მოწაფენი ურთიერთას: „მო-ვინმე-ართუა ჳამადი“
(4,31-33). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჳხედვიდეს მას დამაშურალსა
გზისა სღვისაგან და სიცხისა და უნდა ნუგეშინის-ცემის მისა
და ეტყოდეს: „რაბი, ჳამე“. ხოლო ესმა რამ ჳამადისათუს, ხი-
ლულსა ჳამადსა გულისხმა-ჳყოფდეს, რამ უკუე საკურველ
არს, უკუეთუ დედაკაცსა მას ესმოდა რამ „წყალი“,
ხილული წყალი ეგონა, ვინამთგან მოწაფეთაცა ხილული ჳა-
მადი ეგონა, არამედ წესისაებრ მოწაფეთაჲსა ერიდებოდეს
კითხვად და ურთიერთას გამოეძიებდეს. ამისთუს ხოლო
გულთმეცნიერმან უფალმან პრქუა მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ჩემი ჳამადი ესე არს, რადგანცა ვყო ნებაჲ
მომავლინებელისა ჩემისა და აღვასრულო საქმე მისი“ (4,34).
თ ა რ გ მ ა ნ ი : კაცთა ცხორებასა სახელ-სდვა ჳამადად
აქა, რადგანცა გამოაჩინა, რაოდენი მოსწრაფებაჲ აქუს ცხო-

რებისათვის ჩუენისა, რამეთუ ვითარცა ჩუენდა საწადელ არს ჰამამ, ეგრეთვე მისა ცხორებამ ჩუენი. ხოლო იხილე, ვითარ მარადის პირველად დაუარულად თქვს სიტყუამ თჳსი. და რაჟამს იწყის მსმენელმან გამოძიებად, მაშინლა გამოაცხადის, რამეთუ რად არა თქუა პირველადვე, ვითარმედ: „ჩემო ჰამადი ესე არს, რამთა ვყო ნებამ მამისა ჩემისამ“, არამედ პირველად ჰრქუა მათ, ვითარმედ: „მე ჰამადი მაქუეს ჰამად, რომელი თქუენ არა იცით?“ რაჟამს იწყეს მათ გამოძიებად. თუ რამ არს სიტყუამ ესე, მერმელა უთხრა, რამთა უკეთესად იშმინონ, და მერმე თარგმანაცა, თუ რამ არს ნებამ მამისამ. და ჰრქუა:

სახარებამ: „არა თქუენ იტყუთა, ვითარმედ: „ოთხდა თთუე არს და მოვალს მკამ“. აჰა, ესერა მე გეტყუ თქუენ: „აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად“ (4,35). **თარგმანი:** აჰა, ესერა, კუალად იგავით იტყვს, რამეთუ ჰამადი რამ თქუა, ცხორებასა კაცთასა მოასწავებდა, რომელნი მოსლვად იყვნეს მისა; და ყანამ კუალად ამასვე მოასწავებს — სიმრავლესა მას სულთა მორწმუნეთასა, და თუალთა იტყვს გონებისათაცა და კორციელთა, რამეთუ ხედვიდეს. ვითარ მოვიდოდეს სამარიტელნი, ხოლო „ყანად განსპეტაკებულად“ გონებათა მათთა მოასწავებდა, რომელნი მზა იყვნეს შეწყნარებად. რამეთუ, ვითარცა ყანამ რაჟამს განსპეტაკენს, მკად მზა არსო, ეგრეთვე ესენი ცხორებად მზა არიან. ხოლო რამსათვის არა ეტყოდა საქმესა მას განცხადებულად, არამედ იგავით ეტყოდა აქაცა და ყოველსა სახარებასა? და წინამწარმეტყუელნიცა მარადის იგავით იტყოდეს. რამ არს იგავთა მიზეზი, რამეთუ არა თუ ცუდად დაუწყებდეს იგი სულსა წმიდასა, არამედ, ერთად, რამთა უფროსად გამოცხადებულ და გულისხმის-საყოფელ იქმნენ სიტყუანი, რამეთუ გონებამან რაჟამს სახმცა ისმინოს საქმისამ და იხილოს რამ იგი, უმეტესად გულისხმა-ჰყოფს საქმესა მას, რომლისათვის ისწავლიდეს; და კუალად ამისთვის, რამთა უფრო ტკბილად საქსენებელ იყოს კაცისა, რამეთუ არა ესრეთ მოიხიდავს მსმენელთა სიტყუამ მარტივი, ვითარ რაჟამს სახმცა აქუნდეს გამოცდილისა საქმისამ, და სხუამცა მრავალი არს მიზეზი, რომელთათვის იგავნი თქუმულ არიან.

სახარება: „და მომკალმან სასყიდელი მიიღოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ“ (4,36). თარგმანი: რამეთუ ამის ხილულისა ყანისა საუნჯე არა საუკუნედ ცხორებად არს, არამედ საწუთრომსათეს, ხოლო ამის ყანისა, რომელსა მე ვიტყვ საუნჯე უკუნითი უკუნისამდე ცხორება არს, რამეთუ ვითარცა თქუა რამ; თუ: „რომელმან ამის წყლისაგან სუას, არლარა მოეწყუროს“, გამოაჩინა, ვითარმედ არა ხილულისა წყლისათეს იტყვს, ეგრეთვე აქა ქმნა, თქუა რამ, ვითარმედ: „შეკრიბონ ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ“.

სახარება: რამთა მთესვარსაცა და მომკალსა ერთბამად უხაროდის (4,36). თარგმანი: ვინ არს მთესვარი, ანუ ვინ არს მომკალი? წინადასწარმეტყუელნი არიან მთესვარნი, არამედ არა მომკეს მათ, გარნა მოციქულთა მომკეს, არამედ არა თუ ამისთვისცა მათ სიხარული არა აქუნდა, რამეთუ თქუენ თანავე ზიარ არიან სიხარულისა, რამეთუ მე თქუენ დაგმარებნო მკისათეს, სადა ესე შრომაჲ მცირედ არს და სიხარული უფრო, ხოლო ამათ სიტყუათა მიერ გამოაჩინებეს, ვითარმედ წინადასწარმეტყულთაცა ნებაჲ იგი იყო, რამთამცა კაცნი მისა მოვიდეს, და ამისთვის სთესვიდეს. და გამოაჩინებეს, ვითარმედ იგინიცა მან მოავლინნა, და ვითარმედ ფრიადი თესებაჲ აქუს ძუელსა მას ახალსა თანა. და მოიქსენა სიტყუაჲცა იგავითი, რომელსა მრავალნი იტყოდეს:

სახარება: რამეთუ ამით ჳემმარიტ არს სიტყუაჲ იგი. ვითარმედ: „სხუაჲ არს მთესვარი და სხუაჲ არს მომკალი“ (4,37). თარგმანი: ამას სიტყუასა იტყოდინ კაცნი, ოდეს სხუამან სთესის და სხუამან წარიღის ნაყოფი იგი და იტყვს უფალი, ვითარმედ: „ესე სიტყუაჲ უფრომსად აქა აღესრულა კეთილად: „რამეთუ დაშურეს წინადასწარმეტყუელნი და თქუენ მოიმკით მათსა თესულსა“. არა თქუა, თუ: „მათსა მადლსა“; რამეთუ არა თუ იგინი უმადლოდ დაშთეს, არამედ ნაყოფი თქუენ მიიღეთო. ამისთვისცა პირველვე თქუა, ვითარმედ: „რამთა მთესვარსაცა და მომკალსაც ერთბამად უხაროდის“¹ რამთა არავინ თქუას, თუ წინადასწარმეტყუელ-

¹ იოან. 4,36

თა განაგდებს მადლისაგან. და თქუა უცხოჲ ესე საქმჲ, რამეთუ სოფელსა ამას უკუეთუ სხუამან სთესოს და სხუამან მოიძკოს, არა შესაძლებელ არს, თუმცა ორთავე უხაროდა, არამედ მთესვარი მწუხარე არს და მომკალი ოდენ იხარებს, არამედ აქა ორთავე უხაროდის, რამეთუ იგინიცა მადლისა მის მკვდრ იქმნეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე წარგავლინებ თქუენ მკად, რომელსა თქუენ არა დაჰშუერთ და სხუანი მაშურალ არიან, და თქუენ შრომილსა მათსა შემოხუედით“ (4,38). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაჲთგან წარავლენდა მათ ქადაგებად სოფლისა და საქმე იგი ჩნდა ძაელად, ამისთვის ეტყუს, ვითარმედ: „უძნელსი საქმჲ წინაჲსწარმეტყუელთაჲ იყო, — დათესვაჲ თესლთაჲ და სრულიად უმეცართა შორის ქადაგებაჲ, — ხოლო თქუენდა უადვილს არს. რამეთუ მომკალსა არა უნებს ესოდენი შრომაჲ, ვითარ მთესვარსა: ყაბთა სიგრძენი, და ჳნვაჲ, და წუმისა ლოდინებაჲ და ესეყათარნი მრავალნი. და თვთ საქმენი გამოაჩინებდეს სიტყუსა მისისა ჳეშმარტებასა, და ამას რაჲ იტყოდა, მოვადოდეს სამარტელნი და რწმუნებდეს მისსა, და შეკრებებოდა ნაყოფი იგი სულიერი და მრავალთა მის ქალქისათა ჳრწმენა მისი სიტყვთა მის დედაკაცისაჲთა, რამეთუ წამებდა, ვითარმედ: „ყოველივე მითხრა მე, რაოდენიცა ექმენ“.¹

ს წ ა ვ ლ ა ე ლ ლ

ვითარმედ უკმს მონანულსა, რაჲთა არა საქმით ოდენ განეყენოს ცოდვასა, არამედ გონებითაცა მოიძაგოს იგი

მივემსგავსნეთ უკუე ჩუენცა დედაკაცსა მას და ცოდვათა ჩუენთათჳს ნუმცა გურცხუენის გამოცხადებად, არამედ გუე-შინოდენ ღმრთისაგან, რამეთუ ყოველსა ჳხედავს და ჳუნ დასტანჯავს უნანელთა, რამეთუ ჩუენ, რომელსა იგი ეგუ-

¹ იოან. 4.29

ლების შჯად, არა გუეშინის ძიგან, ხოლო გამოცხადებად კა-
 ცისა წინაშე ცოდვათა ვიშიშვით და არა უწყით, ვითარმედ
 რომელმან არა შეინანნეს მისნი ბოროტნი, მას დღესა არა
 წინაშე ერთისა და ორისა კაცისა, არამედ წინაშე ყოველთა
 დაბადებულთა გამოცხადნებიან, რამეთუ მუნ დაჯდების სა-
 ხალველი თვთოეულისა საქმეთად, ვითარნიცა იყვნენ, კე-
 თილნი ანუ თუ ბოროტნი. გულისხმა-ყავთ, უკუეთუ რად
 გექმნეს ბოროტი, ანუ მოგიგონებიეს, და დაჰფარავ კაცთა-
 გან, გარნა ღმერთსა ვერ დაუფარავ. და შენ კაცთაგან გეში-
 ნის და ღმრთისა შიშსა არა მოიგონება? და გულისხმა-ყავ,
 ვითარმედ კაცთაცა ვერ დაუფარო მას დღესა, რამეთუ ყო-
 ველნი ბოროტნი ჩუენნი, ვითარცა გამოწერილნი, დადგენ
 წინაშე ჩუენსა, რადთა თვთ დაშვილ ვიყვნეთ, ვითარცა-იგი
 მდიდარი ჰხედვიდა ლაზარეს წინაშე თუალთა თვსთა და,
 რომელი-იგი საძაგელ-უჩნდა, მისსა თითსა ინატრიდა, რად-
 თამცა ნუგეშინის-სცა. ამისთვის გვედრები: შევიდეთ თითოე-
 ული გონებასა ჩუენსა და დავსუათ სამშჯავროდ, და წარ-
 მოვიხუნეთ შორის ცოდვანი ჩუენნი, და იყავნ გონებად მსა-
 ჯულ. და უკუეთუ მას დღესა არა გუნებავს განქიქებად, აქავე
 განვკურნნეთ წყლულულებანი ჩუენნი, და დავასხათ მათ ზედა
 წამალი სინანულისად, რამეთუ შესაძლებელ არს განკურნე-
 ბად წყლულულებათა ჩუენთა, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარ-
 მედ: „უკუეთუ მიუტეოთ, მიგეტევენ თქუენ ცოდვანი“,¹
 ეგრეთვე ვიქმთ, უკუეთუ გუენებოს სინანულისა მიერ, ხო-
 ლო სინანული ესრეთ იქმნების, რადთა განვეშორნეთ ქმნისა-
 გან ბოროტთადასა, აღმოვპკოცნეთ იგინი სრულიად გონებათა
 ჩუენთაგან და ესრეთ ვიწყოთ დადებად წამლისა წყლულუება-
 თა ჩუენთა ზედა. და უკუეთუ მიგიტაცებდეს, განეშორე
 მისგან, და დაიდევ წამალი მოწყალეებისად, და უკუეთუ გისი-
 ძავს, განეშორე მისგან და დაიდევ წამალი სიწმიდისად, და
 უკუეთუ გიზარახავს ძმისადა, აჩუენე კუალად მის ზედა სიყუა-
 რული და ესრეთ ვიქმოდით თითოეულსა ზედა საქმესა, და
 ნუმცა თანაწარუპკედებით ცოდვათა ჩუენთა, რამეთუ მოახ-
 ლებულ არს ეამი საშჯელისად, ვითარცა იტყვს მოციქული,

¹ მათ. 9,2-5; მარკ. 2,5-9; ლუკ. 5,20-23; 7,48

ვითარმედ: უფალი ახლოს არს. ნუ ჰზრუნავთ,¹ რომელნი მოლუაწებათა და ჳირთა შინა ხართ, ხოლო რომელნი ცოდვათა შინა ხართ, თქუენ ესრეთ გეტყუ: უფალი ახლოს არს, ზრუნედიტ, რამეთუ მოახლებულ არს აღსასრული. და უკუეთუ პირველ სამასისა წლისა, ოდეს პავლე იყო, იტყოდა, ვითარმედ: „უფალი ახლოს არს“, არა აწ უფრომსად ახლოს არსა? უკუეთუ მას ჟამსა ჟამთა აღსასრულად უწოდა მოციქულმან, არ უფრომსად აწ იყოსა აღსასრული? არამედ შევიკრძალნეთ თავნი ჩუენნი შიშითა ღმრთისაჲთა, რამეთუ ოდეს არა უწყოდით, არამედ უზრუნველ ვიყვნეთ, მაშინ ძოვიდეს აღსასრული მეყსა შინა, ვითარცა იტყუს უფალი, ვითარმედ: „ვითარცა დღეთა ნოესთაო და ღოთისთა, ესრეთ იყოს“.² რამეთუ მეყსა შინა მოიწვევის, ვითარცა საღმობაჲ შობადისაჲ უცნაურად მეყსა შინა ეწიის დედაკაცსა, რაჟამს არა მოელინ, მრავალგზის, და ამისთვის ვიყვნეთ მარადის მზა, რამეთუ მარადის არა მოგუეცემის ჟამი სინანულისაჲ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ჯოჯოხეთს შინა ვინმე აღვიაროს შენ“,³ არამედ აქავე შევინანოთ, რაჲთა მოწყალე გუექმნეს მას დღესა უფალი და ვპოვოთ შენდობაჲ მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნიტი უკუნისამდე. ამენ.

თ ა ვ ი ლ ე

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: მოვიდეს მისა სამარტელნი იგი და ეტყოდეს მას, რაჲთა დაადგრეს მათ თანა, და დაადგრა მუნ ორ დღე და უფრომსსა სიმრავლესა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ და დედაკაცსა მას ეტყოდეს: „არღარა სიტყუთა შენითა გურწამს, რამეთუ ჩუენ თუთ გუესმა მაგისგან და უწყით, რამეთუ ესე არს კეშმარტად მაცხოვარი სოფლისაჲ“ და შემდგომად ორისა დღისა გამოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად. (4,40-42). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** არა რაჲ არს უუძღურჳს შური-

¹ ფილპ. 4,5-6

² მათ. 24,57

³ ფს. 6,8

სა და ამპარტავანებისა. ესენი არიან ბევრეულთა ბოროტთჳ მოქმედნი. ამათ მიერ ჰურიანი, რომელთა უმეტესი გულისხმის-ყოფად აქუნდა, ვიდრე სამარიტელთა, და წინამსწარმეტყუელთა თანა აღზრდილ იყვნეს, უღარეს სამარიტელთასა გამოჩნდეს. რამეთუ ამათ სიტყუათაგან ოდენ დედაკაცსა მას ჰრწმენა თვნიერ სასწაულთა ხილვისა და განვიდეს მისა და ევედრებოდეს ქრისტესა დადგრომად მათ თანა, ხოლო ჰურიანი ესოდენთა სასწაულთა ხილვასა ზედა სდევნიდეს მას ქუეყანით მათით. ამისთვისცა არა ჯერ-იჩინა უფალმან, რამთამცა გარემიაქცინა იგინი, რომელნი ევედრებოდეს მას და შეუვრდებოდეს, არამედ დაადგრა მათ თანა, ვითარცა ჰმუნოდა მისსა კაცთმოყუარებასა, რამეთუ მათ ენება და ევედრებოდეს, რამთა იყოს მათ თანა, ხოლო უფალმან არა თავსიღვა, არამედ ორ ღღე ოდენ, და მრავალთა ჰრწმენა მისი ორსა მას დღესა, და ძნელ იყო რწმუნებაჲ მათი, რამეთუ სასწაული არა ეხილვა, და რამეთუ ჰურიათა ემტერებოდეს, არამედ ვინაითგან უვნებელად დაადგრა, შურიით ისმენდეს სიტყუათა მისთა, არაჲ იქმნა დამაყენებელ მათა სარწმუნობად და დედაკაცსა მას ეტყოდეს, ვითარმედ: „არღარა შენისა სიტყუსათჳს გურწამს, ჩუენ თუთ გუესმა და ვიცით, რამეთუ ესე არს მაცხოვარი სოფლისა ქრისტე“.

მოწაფენი მოძღუართა წარჰკდეს და ჰურიათა ფრიად უადრჳს გამოჩნდეს, რამეთუ ესევითარი არს ჰემმარიტებაჲ, რაჲმს პოვოს სული წრფელი, დაემტკიცების მას შინა და, უკუეთუ არა დაემტკიცოს მას შინა, სულის მის არს ბრალი, და არა მისი, რამეთუ მზჳცა განანათლებს თუალთა მრთელთა, ხოლო უძღურთა ვერ განანათლებს არა თუ თჳსისა უძღურებისაგან, არამედ თუალთა მათგან. ისმინე უკუე, რასა იტყუნ სამარიტელნი იგი, ვითარმედ: „ვიცით, რამეთუ იგი არს მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე“. ჰხედავა, ვითარსა გულისხმისყოფასა მოვიდეს მეყსა შინა და ცნეს, ვითარმედ ყოვლისა სოფლისაჲ მისა ეგულებოდა მოქცევაჲ, და არა ჰურიათა ოდენ თანა დაუტეობდა თჳსსა განგებულებასა, არამედ ყოველსა სოფელსა განანათლებდა, არამედ ჰურიათა არა ესრეთ ქმნეს, გარნა თჳსსა სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად, და სიმართლესა ღმრთისასა ვერ მისწუდეს. ხოლო ესე

ნი აღიარებენ, ვითარმედ: „ყოველთა ცოდეს, არამედ განმართლდებიან უსასყიდლოდ მადლითა ღმრთისაჲთა“.¹ და ესე არს ჭეშმარიტად საცხოვარი სოფლისაჲ ქრისტე, წარწყმედულისა მის ბუნებისა მკსნელი და ჭეშმარიტისა ცხორებისა მომნიჭებელი. ესე არს საქმე მკურვალისა სარწმუნოებაჲ, რამეთუ საკვრველ არს მათთვის, ვითარმედ თუნიერად სასწაულთა ხილვისა სწავლითა ოდენ ესრეთ მკურვალედ ჰრწმენა, ხოლო სწავლაჲ თუ რაჲ უთქუამს მუნ, არღარას იტყვს მახარებელი, რაჲთა სცნა, ვითარმედ მრავალსა რას თანაწარჰყდებიან მახარებელნი სიტყუათა მისთა და სასწაულთა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და შემდგომად ორისა დღისა გამოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად, რამეთუ თავადი იესუ წამებდა, ვითარმედ: „წინაჲსწარმეტყუელსა თუსსა სოფელსა პატივი არა აქუს“ (4,43). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რადღა სწერია ამას ადგილსა ესე, თუ: „თუსსა მამულსა პატივი არა აქუს“, გარნა ამისთვის, რამეთუ ამას ადგილსა მამულად კათარნაუმსა იტყვს, და რაჲთა არავინ თქუას, თუ: „რად დაადგრა სამართელთა თანა და კათარნაუმს თანაწარჰყდა?“ — ამისთვის იტყვს ამას, რაჲთა სცნა, ვითარმედ სხუსა არარაჲსათვის ქმნა ესე, გარნა, რამეთუ ურწმუნო იყვნეს იგინი და არა ისმენდეს მისსა, ამისთვის არა წარვიდა მუნ, რაჲთა არა უმეტეს იყოს მათ ზედა საშეჯელი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და ოდეს მოვიდა იგი გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა, რამეთუ ყოველი ეხილვა, რაოდენი ექმნა იესუს დღესასწაულსა მას იერუსალმს. და იგინიცა მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას (4,45). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, რამეთუ რომელნი შეურაცხად აქუნდეს ფარისეველთა და მწიგნობართა, იგინი უფროჲსად მოიქცეოდეს, რამეთუ გალილეაჲსათვის იტყოდეს, ვითარმედ: „გალილეაჲთ წინაჲსწარმეტყუელი არა აღდგომილ არს“,² და სამართელნი კულად საძაგელად აქუნდეს, ვიდრეღა აგინებდეს რაჲ, ეტყოდეს, ვითარმედ: „სამართელ ხარ შენ!“ და აჰა, ესერა, სამა-

¹ რომ. 10,3

² იოან. 7,52

რიტელთაცა და გალილეველთა ჰრწმენა უფალი სირცხულად და საყუედრელად ჰურიათა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : მოვიდა იესუ მერმეცა კანად გალილეა-სა, სადა-იგი ქმნა წყალი ღვინოდ, და იყო ვინმე სამეუფო-სა კაცი, რომლისა ძმ სნეულ იყო კაფარნაუმს. ამას ესმა, ვითარმედ მოსრულ არს იესუ ჰურიასტანით გალილეად. მოვიდა მისა და ევედრებოდა, რადთა მივიდეს და განკურნოს ძმ იგი მისი (4,46). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კანას გალილეასასა მოვიდა, რადთა მოაქსენოს მათ სასწაული იგი, მის მიერ ქმნილი, და უმეტესად მორწმუნე-ყვენეს მისა მიმართ, ხოლო კაცი ესე სამეუფო, გინა თუ ნათესავისაგან იყო სამეუფო-სა, ანუ თუ მთავრობისათუს სახელ-სდგა სამეუფოდ, ხოლო იტყუან ვიეთ-ნიმე, ვითარმედ: ესე იყო, რომლისათუს მათე იტყუს, არამედ არა ესე არს, რამეთუ არა პატივისაგან ოდენ საცნაურ არს, ვითარმედ არა თუ იგი იყო, არამედ სარწმუნოებისაგანცა, რამეთუ იგი იტყოდა, ვითარმედ: „არა ვარ ღირს, რადთა სართულსა ჩემსა შემოხვდე“, ხოლო ესე ევედრებოდა მისლვად, და მუნ მთით მოსრულ იყო კაფარნაუმს, და აქა სამარიადთ კანას.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : ჰრქუა მას იესუ: „უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არასადა გრწმენეს?“ ჰრქუა მას სამეუფო-სა კაცმან: „უფალო, მოვედ მოსიკუდიმდე ძისა ჩემისა“. ჰრქუა მას იესუ: „ვიდოდე, ცოცხალ არს ძმ შენი“ (4,48). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამას ადგილსა ანუ სამარიტელთა აქებს, ვითარმედ თვნიერ სასწაულთა ჰრწმენა, გინა თუ ქალაქსა მას აყუედრებს, კაფარნაუმს, ვინამ კაცი იგი იყო, რამეთუ დაღაცათუ ჰრწმენა მას, არამედ არა სრულიად, ამისთვისცა ჰკითხვიდა თუსთა მონათა, მი-რამ-ფიდა. რაჟამს მიუთხრეს სიმრთელმ ძისა მისისამ, მაშინლა გულისხმა-ყო და ჰრწმენა ყოვლითურთ სახლეულით მისით და ესე იცოდა უფალმან, მხედველმან გონებათამან. ამისთუს ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს?“ რამეთუ იხილენ სიტყუანი მისნი, ვითარ უძლურ არიან, ვითარ იტყოდა, ვითარმედ: „მოვედ ვიდრე მოსიკუდიმდე ყრმისა მის“, ვითარმეცა ვერ ძალ-ედვა შორითგან განკურნება, ანუ თუ მკუდრეთით აღდგინება, : ხოლო

რამსათვის, რომელ თავით თვისით მივიდოდა და აქა არცა ლათუ წოდებით მივალს? ამისთვის, რამეთუ მუნ სარწმუნოებამ სრული აქუნდა ასისტავსა. ამისთვის მივიდა, რამთა ვცნათ, ვითარმედ სათნო-უჩნდა კაცი იგი, ხოლო ამას არა აქუნდა ესევეითარი სარწმუნოებამ და არა იცოდა, თუ შორითცა ძალ-უც განკურნებამ, არამედ აიძულებდა მისლვად. ამისთვის არა მ-ვიდა, რამთა, რაემს პოვოს განკურნებული, კრწმენეს, ვითარმედ ძალ-უც უფალსა შორითცა განკურნებამ. ხოლო, რაემს გესმეს სიტყუამ იგი, ვითარმედ: „უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს“, გულისხმა-ყავ, რამეთუ ამას იტყვს, ვითარმედ არა გაქუს სარწმუნოებამ, ვითარ ჭერ-არს.

ს წ ა ვ ლ ა მ ე

ვითარმედ ჭერ-არს ყოველსავე ზედა მადლობამ ღმრთისამ

ხოლო ჩუენ ამის ყოვლისაგან ვისწავოთ, რამთა არა სასწაულთა ხილვასა ვეძიებდეთ ღმრთისაგან, არცა გვქმდეს რამ სახმ ხილვად საწამებლად ძლიერებისა ღმრთისა, რამეთუ ვხედავ აწცა, ვითარმედ მრავალნი მაშინ განკურნებიან ძლიერებისათვის ღმრთისა, რაემს ანუ შვილნი, ანუ ძმამ, ანუ სხუამ რამ განთავისუფლდეს სენისაგან, არამედ ჭერ-არს, რამთა გინა თუ ვიხილოთ ესევეითარი სასწაული, გინა თუ არა ყოველსავე ზედა უკმადლობდეთ უფალსა და ვადიდებდეთ, რამეთუ ესე არს საქმე ერთგულთა მონათამ, ესე არს სახმ სიყუარულისა ღმრთისამ, რამთა გინა თუ გუტანჯვიდეს, გინა თუ გვლხენდეს, გვყუარდეს იგი, რამეთუ უფალსა რომელი უყუარნ, ტანჯის; ხოლო რაემს განსუენებისა ყამსა ოდენ გვყუარდეს იგი, მაშინ არა არს სიყუარული იგი. რამეთუ რად ვიტყვ ზენთა, ანუ ჯორციელთა განსაცდელთა, არამედ, დაღაცათუ გეპენიამ გესმეს და ჯოჯოხეთი, არცა მაშინ გივმს მადლობისაგან ღმრთისა დაცხრომამ. რამეთუ ესე არს სახმ

სრულისა კეთილისაჲ, და რომელი ესრეთ იყოფებოდეს, ესეცა ცხორებაჲ განსუენებით წარვლოს და საუკუნეთა კეთილთა მიემთხვოს და კადნიერებაჲ პოვოს წინაშე ღმრთისა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ლ ვ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე : ესე კუალად მეორჳ სასწაული ქმნა იესუ, მო-რად-ვიდა ჰურიასტანით გალილეად. ამისა შემდგომად იყო დღესასწაული ჰურიათაჲ და აღვიდა იესუ იერუსალმმდ (4,54; 5,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარცა თუალთა ოქრომსა გამოსაღებელთა არცა თუ მკირესა თუალსა ვინ შეურაცხ-ჰყოფს მეძიებელთა მისთაგან, ეგრეთვე წერილთა შინა ერთსაცა ბეწუსა თანაწარსლვად უჯერო არს, არამედ ყოველსავე ჯერ-არს გამოძიებაჲ, რამეთუ სულისა წმიდისა მიერ თქუმულ არიან ყოველნივე იგი სიტყუანი. და ისმინე უკუე აქაცა, რომელსა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „ესე კუალად მეორჳ სასწაული ქმნა იესუ, მო-რად-ვიდა ჰურიასტანით გალილეას“. რამეთუ არა ცუდად თქუა სიტყუად ესე, თუ: „მეორჳ სასწაული“, რადთა სცნა, ვითარმედ ორგზისცა ქმნა სასწაული მათ თანა და არავე იქმნეს სწორ სამაჩიტელთასა, რომელთა არა ეხილვა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ამისა შემდგომად იყო დღესასწაული ჰურიათაჲ და აღვიდა იესუ იერუსალმმდ (5,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მე ვპკონებ, თუ მარტურისა იტყვს, ხოლო ზედადსზედა მოვიდოდა იესუ დღესასწაულთა ქალაქად, ერთად, რადთა აჩუენოს, ვითარმედ მათ თანა დღესასწაულობს, და მეორედ, რადთა მოიზიდოს უზაკუველი იგი სიმბავლმ, რამეთუ უფრომსად ესევეითართა მათ დღესასწაულთა უსწავლელნი და წრფელნი კაცნი შემოკრებებოდეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : და არს იერუსალმმს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქვან ებრაელებრ ბეთელ, და ხუთ

სტოვა იყო და ამას შინა ისხა სიმრავლმ უძლურთაჲ, ბრმები და მკელობელები, განკმელები, რომელნი მოელოდეს წყლისა მის აღმრღევეასა (5,2-3). თ ა რ გ მ ა ნ ი: რაჲ იყო სახმ იგი კურნებისაჲ მის, რომელსა საიდუმლოსა გუასწავებს ჩუენ? რამეთუ არა თუ ცუდად იყო იგი, არამედ მომავალსა მოასწავებდა, რამეთუ ეგულებოდა ღმერთსა მოცემად ჩუენდა ნათლის-ღებაჲ, რომელსა არს დიდი ნიჭი და ძალი, განმწმენდელი ესე ცოდვათა და განმაცხოველებელი სულისაჲ, და ვითარცა ხატითა გამოისახვოდა ამის საბანელისა მიერ და სხუთა მრავლითა სახითა; და ერთად გამოისახვოდა წყლითა მით, რომელი მოცემულ იყო განსაბანელად ბილწებათა და და სხუანი მრავალნი საქმენი აღესრულებოდეს წყლისა მიერ, რომელნი-იგი ყოველნივე სახენი იყვნეს ნათლის-ღებისანი. და ესეცა სახმ იყო ნათლის-ღებისაჲ, ამისთვისცა ჰკურნებდა სენთა. და ანგელოზი გარდამოვიდოდა და აღამრღევედა წყალსა მას და, რომელიცა პირველ შევიდის, განიკურნის, რაჲთა ცნან ჰურიათა, ვითარმედ უკუეთუ ანგელოზსა მიერ იქმნებოდა კურნებაჲ სენთაჲ, არა უფროჲსად მეუფემან ანგელოზთამან განწმიდნესა ყოველნი სენნი ნათელღებულთანი? და ვითარცა მუნ წყალი იქმოდა, მარადისმცა იკურნებოდეს, არამედ ანგელოზისა მისლვითა იქმნებოდა საქმე იგი, ეგრეთვე ჩუენ ზედა არა თუ ლიტონად წყალი იგი იქმს რასმე, არამედ რაჲმს მადლი სულისა წმიდისაჲ მოიღოს, მაშინ ყოველთავე ცოდვათა დაჰქსნის, არამედ მაშინ უძლურებაჲ დაბაყენებელ იქმნებოდა განკურნებისა, რომელსა-იგი ენების, განკურნების. ხოლო აწ უფალ არს თვთოეული საქმისა ამის ქმნად, რამეთუ არა ანგელოზი არს აღმძრველ წყლისა, არამედ ანგელოზთა მეუფე. აწ არღარა არს ამის სიტყუსა თქუმაჲ, თუ: „კაცი არა მაქუს. და ვიდრე მე მივიდოდი, სხუაჲ უწინარეს ჩემსა მივალს“, რამეთუ დაღაცათუ ყოველი სოფელი მოვიდეს, არა დაილევის მადლი იგი, არამედ ვითარ არს, ეგრეთვე ჰგიეს და ვითარცა მზისა ნათელი მარადის ბრწყინავს, და არაოდეს დაილევის, ეგრეთვე უფროჲსად ესე მადლი არს სულისა წმიდისაჲ და არა ოდეს მოაკლდების სიმრავლისაგან მიმღებელთა მისთაჲსა და იქმნებოდა იგიცა საქმე, რაჲთა გულისხმა-ყონ კაცთა, ვითარმედ უკუეთუ კორციელთა

სნეულებათა განსწმედს წყალი, სულიერთაცა სამე ძალ-უც
ღმერთსა წყლისა მიერ განსწმედაჲ. ხოლო რაჲსათჳს ყოველნი
დაუტევენა უფალმან და მისა მივიდა, რომელსა აქუნდა ოც-
დაათრვაამეტი წელი, გარნა ამისთჳს, რაჲთა ცნან ყოველთა
სიმრავლჳ მოთმინებისა მისისაჲ, რომელი საკრველ იყო,
რამეთუ ოცდაათრვაამეტი წელი აქუნდა, და ვერ განიკურნა,
და ჯერეთ მუნვე მოთმინე იქმნებოდა და არა განეშორებოდა
და არცა მოიგონებდა, თუ უინაჲთგან ესეზომთა ამათ ჟამთა
ვერ ეწიფა შთასლვაჲ, არცა ამიერითგან წიფებად არს სიმ-
რავლისაგან სნეულთაჲსა.

ს წ ა ვ ლ ა ო ლ ვ

რაჲთა არა მოვიწყინებდეთ საღმრთოთა
სათნოებათა მიმართ

შევიკდიმთ უკუე, საყუარელნო, ჩუენისა ამის უღბები-
სათჳს, რამეთუ ოცდაათრვაამეტი წელი აქუნდა და არა უსასო
იქმნებოდა იგი თხოვისაგან ღმრთისა და სასოებისა. და ჩუენ
უკუეთუ ათსა დღესა ვითხოვოთ ღმრთისაგან რაჲმე და არა
მოგუტეს, მოწყინე ვიქმნებით და დაუტევებთ ვედრებასა მას
და უკუეთუ კაცთა დიდებასა ვეძიებდეთ, ყოველთა დღეთა
ცხოვრებისა ჩუენისათა არა დავსცხრებით ვედრებად და მსა-
ხურებად და ყოვლისა ღონისა ქმნად, და მრავალგზის სასოე-
ბისა მის ჩუენისაგან დავეცემით. ხოლო ღმერთსა, მეუფესა
ყოველთასა, რომლისათჳს გულსავე ვართ, ვითარმედ უეჭუე-
ლად ყოვლისა ვედრებისა და სათნოებისა ნაცვალი მოგუე-
ცემის, მისსა სასოებასა შინა არა დავადგრებით მცირედსაცა
ჟამსა. და არა ღირს არსა მრავლისა სატანჯველისა საქმჳ ესე?
რამეთუ დაღაცათუმცა არა მოგუეცემოდა ყოვლადვე თხოჲ
ჩუენი, თუთ ვედრებაჲ ღმრთისაჲ და სიტყუაჲ მისა მიმართ
არაბევრეულთა კეთილთა უმჯობჳს არსა? უკუეთუ კულა
იტყვ, თუ: „მარადის ლოცვაჲ ძნელ არს“, მითხარ, თუ რომე-

ლი სათნოებათაგანი არს ადვილ? არამედ იტყვან უდებბის-
ძოყუაენი იგი, ვითარმედ: „და რად არს საქმე ესე, რომელ
ცოდვამ ესრეთ გულისსათქუმელ არს, ხოლო სათნოებასა
თანა შეერთებულ არს ჳირი? და მრავალნი გამოეძიებენ საქ-
მესა ამას, ხოლო რამ არს ამისი მიზეზი? რამეთუ მოგუცა
ჩუენ ღმერთმან პირველად ცხორებამ თავისუფალი ჳრუნვა-
თაგან და ჳირთა, ხოლო ჩუენ არა ვივმარეთ ჳეროვნად მადლი
იგი და ნიჳი ღმრთისამ, არამედ გარდავაქციეთ კეთილისაგან
და გამოვეცვენით სამოთხით, ამისთვის ჳრომით შეერთებულ-
ყო ცხორებამ ჩუენი, ვითარმცა ეტყოდა ნათესავსა კაცთასა,
ვითარმედ: „მოგეც თქუენ პირველითგან შუებამ და განსუე-
ნებამ, ხოლო თქუენ განსუენებამ იგი ბოროტად ივმარეთ და
მის მიერ უფრომსად გვენო. ამისთვის მიბრძანების თქუენდა
ჳრომამ და ოფლი“. და ვინამთგან ვერცა ჳრომითი იგი
ცხორებამ შემძლებელ იქმნა ცოდვისაგან დაყენებად, ამისთვის
მოგუეცა ჩუენ შჯულიცა წერილი და სწავლანი მრავალნი,
რამთამცა რომლითაცა ღონითა განვეყენენით ცოდვასა, და
ამისთვის მოცემულ არს ჩუენდა ჳირით ცხორებამ, რამეთუ
იხილა ღმერთმან, ვითარმედ უჳირველობამ მავნებელ იყო
ჩუენდა, რამეთუ ბუნებამ ჩუენი უქმად დგომასა არა თავს-
იდებდა, არამედ ბოროტისა მიმართ მიდრკების, ანუ უკუე-
თუმცა განსუენებით ვიყვენით, ვითარმცა ვივმარეთ განსუე-
ნებამ იგი, გარნა ბოროტისა მიმართმცა მივდრკით, არამედ
იტყვან მეტყუელნი იგი ამოებისანი, ვითარმედ: „და რამ-
სათვის რომელ ცოდვისა თანა არს ფრიადი სიტკბობამ, ხო-
ლო სათნოებასა ფრიადი ჳირი?“ ხოლო მე ვეტყვ ამისსა
მეტყუელსა, ვითარმედ: „რამ მადლი იყო შენი, ანუ რამ-
სათვისმცა მიიღე სასყიდელი, უკუეთუმცა უჳირველ იყო სრუ-
ლიად სათნობამ? რამეთუ მრავალნი გიჩუენნე, რომელთა
ბუნებით დედაკაცისა თანა შეერთებამ საძაგელად უჩნს და
სძულს, და მათ მიიღესმცა გჯრგვნი ქალწულებისამ? — ნუ
იყოფინ! — რამეთუ ქალწულებამ არს მაშინ, რაჳამს ბრძო-
ლითა გულისთქუმისამთა სძლოს კაცმან ვნებასა მას. და მკე-
დარიცა მაშინ გჯრგვნოსან იქმნების, რაჳამს ფიცხელსა ბრძო-
ლასა შევიდეს და არავინ იყოს მბრძოლი. ამისთვისცა უფალმან
სამნი სახენი თქუნა საქურისობისანი და ორთათვის იტყვს, ვი-

თარმედ: უგვრგვნო არიან; ხოლო ერთსა მას ოდენ შეიყვანებს სასუფეველად, არამედ კულად იტყვს მეტყუელი იგი, ვითარმედ: „და რად საჯმარ იყო ყოვლადვე დაბადებამ ცოდვისა და უკეთურებისა?“ ხოლო ამას მეცა ვიტყვ, ვითარმედ: რად საჯმარ იყო დაბადებამ ცოდვისა, გარნა მითხარ, თუ ვინ არს შემოქმედი ცოდვისა და უკეთურებისა, ანუ ვინ არს სხუამ შემოქმედი მისი, გარნა დაჯსნილობამ ნებისა ჩუენისა? უკუეთუ კულა იტყვ ამას: „და რად არა კეთილნი ოდენ ვართ, არამედ ბოროტსა მივდრკებით?“ მეცა გეტყვ, ვითარმედ: რამ არს ბუნებამ კეთილობისა: სიფრთხილე და მისწრაფებამ, ანუ ძილი და ქუეწოლამ? და უკუეთუ იტყვ, ვითარმედ: „რად არა ესე უქმნიეს ღმერთსა სათნოებად, რომელი უადვილე იქმნების, უჭირველად წარემართების?“ პირუტყუთა სიტყუასა იტყვ, რომელთა ღმერთ მუცელი აქუს. ანუ მითხარ მე: „უკუეთუ იყვნენ ერთბამად მეფე და ერისთავი, და მერმე მეფე დაითროს და დაიძინოს, და მოიწინენ მბრძოლნი, და აღდგეს ერისთავი და სძლიოს მბრძოლთა მათ, არამცა მისი იყოა მადლი, რომელი შურა და სძლოა? ჰხედავა, ვითარ ტკბილ ექმნის უკუანამსკენელ სულსა საქმე იგი, რომლისათვის დაშურა? ამისთვის შეჭრთო სათნოებასა თანა შრომამ, რომელ შეიყუაროს სულმან შრომით მოგებული იგი, ამისთვისა სათნოებამ, დაღაცათუ არა გუექმნას, გყუარს და გკვრს, და ცოდვამ საძაგელ არს წინაშე ყოველთა, დაღაცათუ ეამსა მას საქმისასა ეშმაკი დაუტკობს. და უკუეთუ იტყვ, თუ: „რად არა საკვრველად გვჩნან ბუნებით კეთილნი იგი, ვიდრე ბრძოლითა კეთილად ქმნულნი?“ გულისხმა-ყავ, ვითარმედ ამისთვის, რამეთუ ჯერ-არს, რამთა დამაშურალი უშრომელისა მის უპატიოსნეს იყოს; ხოლო შრომამ ამისთვის მოგუეცა, რამეთუ უშრომელობამ არა ვიკმარეთ კეთილად, და თუ უქმობამ ბოროტ არს და საძაგელ. და უკუეთუ იტყვ: „თუ სხუამ არს საქმე, რამთა არა ვიყვნეთ უქმად, და სხუამ არს ჭირი, რად არა მოგუეცა საქმე უჭირველი სათნოებად?“ ისმინე ჩემი, რამეთუ ღმერთმანცა ესრეთ მოგუცა, და ესრეთ ინება, რამთა ესრეთ უშრომელი და უჭირველი საქმე გუაქუნდეს, არამედ შენ არა ინებე, რამეთუ დაგადგინა სამოთხესა შინა საქმედ მისა, და საქმე განაგო, ხოლო ჭირი არა

შეპრთო მ-ს თანა, რამეთუ შესაძლებელ არს უწრომელად საქმე, ვითარცა ანგელოზნი არიან, რომელთათჳს თქუმულ არს, ვითარმედ: „ძლიერნი ძალითა, რომელნი ჰყოფენ ნებასა მისსა“. და შენცა ეგრეთვე გყო, არამედ ნებისთ მოიგე საჭიროდ იგი საქმე და აწ თვნიერ ჭირისა შეუძლებელ არს ცნობრებაჲ. ამისთჳს გევედრები, რაათა ყოველი უდებებაჲ განვაგდოთ და მოვიგოთ სათნობებაჲ. რამეთუ ცოდვისა გემოდ მცირედ არს, ხოლო მწუხარებაჲ სამარადისო და სათნობისა შრომაჲ მცირედ არს და სიხარული საუკუნო; და ცოდვაჲ პირველ ჯოჯოხეთისა სტანჯავს მოქმედსა მისსა მხილებითა მით გონებისაჲთა, ხოლო სათნობებაჲ პირველ სასუფეველისა ნუგეშინს-სცემს მოქმედსა მისსა. თვნიერ ამისაჲცა რაჲ გემოდ არს გემოდ იგი ცოდვისაჲ, რამეთუ გამოჩინებისაჲვე თანა უჩინო იქმნების, გინა თუ ჯორცთაჲ სთქუა, გინა თუ შუები-საჲ? და მას ყოველსა ზედა სატანჯველი მიელის საუკუნოდ მოქმედთა მისთა, არამედ ჩუენ, რომელთა-ესე ყოველი უწყით, ყოველი სწრაფად ვაჩუენოთ სათნობისათჳს, რაათა ესრეთ ჰეშმარიტი იგი დიდებაჲ ეპოვოთ მადლითა და კაცთ-მოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულთ ვზიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ლ ზ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე: ჰრქუა მას იესუ: „გნებავსა, რაათა ვანიკურნო?“ ჰრქუა მას უძღურმან მან: „უფალო, კაცი არა მაქუს, რაათა რაჲმს აღიმრღუეს წყალი ესე, და შთამაგდომ-ცა საბანელსა მას“ (5,6-7). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** დიდ არს წმი-დათა წერილთაგან სარგებელი, და თეთოსახეთა წამალთა საუნჯე არიან საღმრთონი სიტყუანი, გინა თუ ზუაობისა წამალსა ეძიებდე, ანუ თუ გულისთქუმისა, ანუ ვეცხლისმო-ყუარებისა ანუ მწუხარებისა, ყოველივე მათ შინა იპოვების. რამეთუ ვინმცა იყო შეჭირვებული ანუ სიგლახაკისაგან ანუ გრძელისა სნეულებისა და აღმოიკითხამცა წინამდებარე ესე სიტყუად, არამცა ნუგეშინის-ეცა? რამეთუ ოცდაათრვაშეტსა

წელსა იყო სენსა მას შინა, და რად წელ ჰხედვიდა სხუათა კურნებასა და იგი არა უსასო იქმნა და არცა წარვიდა. ისმინე სიტყუამ მისი, ვითარ არაჲა თქუა დრტუნვით, არცა რისხვით, არამედ სიმშუდით მიუგო და არცაღა იცოდა, თუ ვინ არს, რომელი ეტყვს მას, ანუ თუ განკურნებაჲ მისი ეგულებს. ხოლო ისმინე, თუ რად ჰრქუა უფალმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: ჰრქუა მას იესუ: „ალიღე ცხედარი შენი და ვიდოდე“ (5,8). თ ა რ გ მ ა ნ ი: რომელნიმე იტყვან, თუ: „ესე არს, რომლისათვისცა მათეცა იტყვს“, და არა ესე არს, რამეთუ მას მრავალნი ჰყვეს მოღუაწენი, რომელთა მოიყვანეს უფლისა, ხოლო ამას არცა ერთი აქუნდა. მან არად ჰრქუა უფალსა, ხოლო ამან ყოველივე ცხორებაჲ თვისი მიუთხრა, და ესე შაბათსა განკურნა, ხოლო იგი სხუასა დღესა, და იგი სახლსა შინა განკურნა, ხოლო ესე საბანელსა თანა და დას ჰრქუა: „მიგეტევენენ ცოდვანი შენი“;¹ ხოლო ამას ეტყოდა: „იხილე, ნუ კუალად სცოდავ!“² და ჰურიანი აქა შაბათისათვის დრტუნვიდეს, ხოლო მუნ გმობასა სწამებდეს. ხოლო შენ იხილე უფლისა სახიერებისა მიუწუდომელობაჲ, ვითარმედ არა თუ ოდენ განკურნა, არამედ ძალიცა ესევითარი მისცა, რადთა აღიღოს ცხედარი თვისი და ვიდოდის, რადთა საქმცა იგი განცხადნეს და არა საუცრად შეჰრაცხონ, რამეთუ ამას უფალი ფრიად იქმოდა და ჰურთა მათ ზედა რადთა არა თქუან, თუ: „უცნებაჲ იყო“, ამისთვის ფრიადი ნეშტი დააშთინა და კეთროვანსა მას ჰრქუა, ვითარმედ: „წარვედ და უჩუენე თავიშენი მღდელსა“,³ რადთა განწმენდაცა მისი საცნაურ იყოს და, რომელნი იტყოდეს თუ: „წინააღუდგების შჯულსა ღმრთისასა“, მათ პირი დაუყოს. ხოლო იხილე სარწმუნოებაჲ განრღუეულისაჲ მის, ვითარმედ მეყსეულად ჰრწმენა და აღდგა, სიტყუსაებრ მისისა აღიღო ცხედარი თვისი და არა ერჩიდა მათ, რომელნი ეტყოდეს, ვითარმედ: „შაბათი არს და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარისა“, არამედ ჰრქუა მათ, ვითარმედ: „რომელმან-იგი განმკურნა, მან მრქუა, ვითარმედ: „ალიღე ცხედარი შენი და

¹ მათ. 9,5

² შდრ. იოან. 5,14

³ მათ. 8,4

ვიდოდე!“ ხოლო მე ახოვნებად მიჩნს დიდად, რომელ არავის უსმინა ესოდენტა ერთა, რამეთუ არცა იცოდა, თუ ვინ არს, რომელმან განკურნა იგი, რამეთუ იესუ მიეფარა. ხოლო იხილე უკეთურებამა ჰურიათამა, არა ჰრქუეს, თუ: „ვინ არს, რომელმან ჰრქუა: „ალიღე ცხედარი შენი და ვიდოდე?“ არამედ: „ვინ არს, რომელმან განკურნაო?“ და რამეთუ მარადის ცხორებასა კაცთასა ეშურებოდეს. ხოლო უფალი რად მიეფარა? ერთად, რამათა უეჭუელ-ყოს წამებამ იგი, რაჟამს უფალი არა მუნ იყოს, და მეორედ, რამათა გულისწყრომამ. მათი არა უმეტესად აღიძრას. ხოლო იგინი დრტუნვიდეს, თუ რად იქმს შაბათსა შინა ესევეითარსა, რამეთუ არა თუ შჯულასა გარდასლვისათუს შფოთ იყვნეს, არამედ ცხორებისათუს განრღუეულისა მის.

ს წ ა ვ ლ ა მ ლ ზ

შ უ რ ი ს ა თ ვ ს

იხილეთ უკუე, ვითარი ბოროტი არს შური და ვითარ თუ-
 ალთა დაუბრმობს მის მიერ ძლეულთა, რამეთუ ვითარცა
 განცოფებულნი მრავალგზის თავთა თუსთა მოიკლვენ, ეგრეთ-
 ვე მოშურნენი თუსსა ცხორებასა წარსწყმედენ. ესენი უბო-
 როტჳს მვეცთასაცა არიან, რამეთუ იგინი ბოროტისა წილ
 მიაგებენ ბოროტსა, ხოლო ესენი კეთილისა წილ ბოროტსა
 იქმან. და ესრეთ მვეცთაცა უძრჳს არიან და სწორ ეშმაკთა,
 და ნუუკუე მათსაცა უძრჳს, რამეთუ მათ ჩუენდა მომართ-
 დაუგებელი ბრძოლამ აქუს, ხოლო ურთიერთას არა იბრძ-
 ვიან, არამედ მოშურნენი არა ერიდებიან ზიარებასა ბუნები-
 სასა, და არა აქუს სიტყუამ ამის ბოროტისა მოქმედსა, რა-
 მეთუ წუხილი გვქმს ჩუენთა ბოროტათუს და არა სხუსა კე-
 თილისათუს. მსიძავსა აქუს მიზეზად გულისტქუამა და მპა-
 რაუსა — სიგლახაკჳ და კაცისმკლველსა — გულისწყრომამ
 და არარამ და ცუდ არიან მიზეზნი ესე, გარნა არიან რამე

მიზეზ. ხოლო შენ, მოშურნეო, მითხარ, თუ რომელი მიზეზი
სტყუა? არცა ერთი რაა გაქუს მიზეზი, გარნა უკეთურებისა
სიმრავლმ, რამეთუ უკუეთუ მტერთაცა სიყუარული ბრძანე-
ბულ არს, რაჟამს მოყუარენიცა გძულდენ, რაა სიტყუაა
მიუგო? და ვითარცა უფალი იტყუს: რომელი მეგობართა
ოდენ ჰყუარობდეს, არარაათ უმჯობმს არს წარმართთასა.
მაშა, რომელი კეთილისმყოფელთაცა ბოროტსა უყოფდეს,
რომელი სამკელი მიიღოს მან? ესე უნებაა სიძვისა უბოროტმს
არს და მრუშებისა, რამეთუ იგი მოქმედსა მისსა თანა ოდენ
ჰგეის, ხოლო შურისა ბოროტმან ეკლესიანი დიდნი გარდააქცინა
და სოფელი განხრწნა. ამის მიერ მოკლა კაენმან აბელი, ამის
მიერ ეძიებდა მოკლვად ესავი იაკობს; ამის მიერ განყიდეს
იოსებ ძმათა; ამის მიერ ჰბრძავს ეშმაკი ყოველთა კაცთა. და
ყოვლისა უძრმს არს ესე, რომელ ცოდვამ ესე სუბუქად
შერაცხილ არს, არამედ ყოველთა უმძიმეს არს, დაღაცათუ
იტყუ, მოშურნეო, თუ: „მე არა მოვკლავ, არცა განვკვიდო
ძმასა ჩემსა“, გარნა უკუეთუ ემტერები და არა გნებავს კე-
თილი და სათნოებაა მისი, მასვე ბოროტსა შინა ხარ და
ღმერთსა ებრძვი, რომელსა იგი ჰგონებს. ხოლო იხილე, ვი-
თარ უბოროტეს არს სიძვისაცა, რამეთუ ისიძვა ვინმე კო-
რინთეს შინა, და შეპრისხნეს მას და მოიქცა სინანულად.
ეშურებოდა აბელს კაენი და არა მიიღო კურნებაა, არამედ
ღმერთი ზედადსზედა ეტყოდა, და იგი უმეტესად განძნდე-
ბოდა. ესრეთ უძრმს არს ესე და ძნიად საკურნებელ, უკუე-
თუ არა ვისწრაფოთ ფრიად ძირითურთ აღმოფხურად მისა,
ხოლო აღმოვჭფხურათ ესრეთ, უკუეთუ ვჰგონებდეთ, ვითარ-
მედ განვარისხებთ ღმერთსა, უკუეთუ ვეშურებოდით მოყუ-
რისა კეთილსა, ეგრეთვე დავატებობთ ღმერთსა ჩუენ ზედა,
უკუეთუ ვიხარებდეთ კეთილსა ზედა მოყურისასა. ამისთვის
პავლე გუამცნობს სიხარულსა მოხარულთა თანა და ტირილსა
მტირალთა თანა, რაათა ორკერძოვე დიდ ვექმნეთ სულითა,
დაღაცათუ ჩუენ არა დავშურეთ, თანაზიარ შრომისა მათისა
ვექმნეთ, რომელთათვის გვხაროდის. ეგრეთ უკუე ვილუაწოთ
აღმოფხურად ჩუენგან შურისა, რაათა საუკუნეთა მათ კე-
თილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფ-
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომ-

ლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებამ სულით წმიდითურთ აწ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი ლ უ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: ამისა შემდგომად პოვა იგი იესუ
ტაძარსა მას შინა და ჰრქუა მას: „აჰა, ესერა, ცოცხალ იქმენ,
ნულარა სცოდავ, რაათა არა უძრჳსი რამე გეყოს შენ“.
(5,14). თ ა რ გ მ ა ნ ი: ბოროტ არს ცოდვად და მავნებელ სუ-
ლისა, ხოლო მრავალგზის გარდა-რა-ემატოს ბოროტებამ
ძისი, ჯორცთა შეეხების, რამეთუ ვინაითგან სულისა სენსა
არა ფრიად ვზრუნავთ, რამეთუ ჯორცთასა მცირესაცა ზედა
დიდსა მოსწრაფებასა ვიქმთ, რაათა განვკურნოთ. ამისთვის
ღმერთმან უღარესი ესე ტანჯის მრავალგზის, რაათა მის
შიერ უღარჳსიცა იგი, რომელ არს სული, მიემთხვოს კურ-
ნებასა რასმე. ესრეთ კორინთელთა თანა შეცოდებული იგი
პავლე განჰმართა და ჯორცთა ტანჯვითა სული განკურნა, ვი-
თარცა მკურნალმან კელოვანმან. და განრღუეულსა ამასცა
ზედა უკუე ქრისტე ამასცა მოასწავებს, რამეთუ ჰრქუა მას,
ვითარმედ: „აჰა, ესერა, ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ,
რაათა არა უძრჳსი რამე გეყოს შენ“. რასა ვისწავებთ უკუე
ამისგან? ერთად, ვითარმედ ცოდვათაგან იშვა სენი იგი, და
მეორედ, რაათა დაეყოს პირი მათი, რომელნი იტყვან, ვი-
თარმედ: „ერთსა წამსა მოვკალ კაცი, და ერთსა ჟამსა ვისიძვე
და საუკუნოდმცა ვიტანჯებოდეა ერთისა მისთვის წამისა?“
რამეთუ, აჰა, ესერა, ამანცა არა ესეოდენთა წელთა ცოდა,
რაზომცა იგი იტანჯებოდა, რამეთუ არა თუ ჟამსა ზედა გა-
ნიშებნიან ცოდვანი, არამედ ბუნებისაებრ. მათისა. და კუა-
ლად ამასცა გულისხმა-ვჰყოფთ ამისგან, ვითარმედ, დაღაცა-
თუ ფრიად ვიტანჯნეთ ცოდვათათვის და შემდგომად ამისა
კუალად მათვე ცოდვათა შინა შთავეცვეთ, უძრჳსი ტანჯვად
მოიწიოს ჩუენ ზედა. დაღაცათუ მრავალთა ვხედავთ. ცოდ-
ვილთა შუებასა შინა, ნუმცა მივენდევებით მას, არამედ უფ-
რომსად ვტიროდით, რაჟამს ესრეთ იყოს. რამეთუ მაშინ მი-
გუელის ჩუენ უძრჳსი სატანჯველი, რამეთუ აჰა ტანჯვად
16. გ. არიშვილი

ყოველი სწავლად ჩუენდა არს, ხოლო ჰემმარტი ტანჯვად იგი არს, რომლისა არა არს დასასრული. ხოლო იტყვან ვიეთნომე, ვითარმედ: „ესე განრღუეული შემასმენელ ქრისტესა ყოფილ იყო“, არამედ არა ესრეთ არს, ნუ იყოფინ! გარნა სხუათა ცოდვათათჳს მოწევნულ იყო მის ზედა სენი იგი, ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, თუ: „რად არა სხუათაცა სნეულთა ჰრქუა სიტყუად ესე, რომელნი განკურნნა, არამედ მას ოდენ?“ ამისთჳს ვიტყვთ, ვითარმედ ამას სამე ცოდვათათჳს შემთხუეულ იყო სენი იგი, ხოლო სხუათა ბუნებითისა სენისაგან. და კუალად ამასცა ვიტყვ, ვითარმედ იხილა სამე ფრიადი მოთმინებაჲ სულსა შინა მისსა და იცოდა, ვითარმედ ძალუც სწავლისა მის დამარხვად. ამისთჳს ამცნო და შიში შთაუგდო გულსა, რადთა ერიდოს ცოდვასა. ხოლო იხილე: ვითარ ჰრქუა, ვითარმედ: „აჰა, ესერა, ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რადთა არა უძვრჳსი რადმე გეყოს შენ“.¹ უჩუენა, ვითარმედ არა თუ ღირსი ცოდვათად ტანჯვად მიელო, არამედ სახიერებით იქმნა საქმე იგი მის ზედა. რამეთუ არა ჰრქუა, თუ: „აჰა, ესერა, სწორი ცოდვათა შენთად ტანჯვად მიილე“, არამედ: „აჰა, ესერა, ცოცხალ იქმენ მადლითა და არა ღირსებისათჳს, ნულარა სცოდავ“. ამას ჩუენცა ვეტყოდით თავთა ჩუენთა, ძმანო, რაჟამს მოიწიოს ცოდვათა ჩუენთათჳს ჩუენ ზედა ტანჯვად და კუალად გუელხინოს, ვითარმედ: „აჰა, ესერა, ცოცხალ ქმნულ ვართ, ნულარმცა ვცოდავთ“. უკუეთუ კულა ვცოდვიდეთ და არა ვიტანჯებოდით აჟავე, მოვიკსენებდეთ სიტყუასა მას პავლე მოციქულისასა, ვითარმედ: „სიტკბობად ღმრთისად სინანულად მოგუყვანებს, ხოლო სიფიცხისაებრ ჩუენისა და უნანელისა გულისა ვიუნჯებთ რისხვასა დღესა მას რისხვისასა“.²

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : წარვიდა კაცი იგი და ჰრქუა ჰურიათა, ვითარმედ: „იესუ არს, რომელმან განმკურნა მე“ (5,15).
თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილეთ, ვითარ ჰგიეს პირველსავე ერთგულეებასა ზედა და ქადაგებს მკურნალსა მას და სხუათაცა მონიხიდავს მისა მიმართ, რამეთუ არა თუ შესმენით თქუა სიტ-

¹ იოან. 5,14

² რომ. 2,4

ყუამ ესე, ანუ ვითარმცა ქმნა საქმე ესე? დაღაცათუშცა ძვეცი იყო, კმა იყო ქველისმოქმედება იგი და შიში, რომლითა შეაშინა უფალმან მოდრეკად მისა, არამედ არა ესრეთ არს, გარნა დიდისა კაღნიერებისა არიან სიტყუანი ესე და ქადაგებს ქველისმოქმედსა მას არა უღარცს ბრმისა მის, რომელმან თქუა, ვითარმედ: „ქმნა თიჯამ და აღმიხილნა თუალნი“,¹ ეგრეთვე ამან თქუა, ვითარმედ: „იესუ არს, რომელმან განმკურნა მე“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : სღვენიდეს ჰურიანი იგი იესუს, რამეთუ ამას იქმოდა შაბათსა შინა, ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: „მამამ ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ“ (5,16). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჟამს-იგი მოწაფეთათს მიუგებდა, დავით შემოიყვანა შორის და თქუა: „არა აღმოგიკითხავსა, რამ-იგი ქმნა დავით, რაჟამს შეემშია მას და მისთანათა მათ?“² ხოლო რაჟამს-ესე თავისა თვისსათს უნდა მიგებამ, მამისა მიმართ მივიდა, რაჟათა გამოაჩინოს სწორებამ მისი პატრივითა, რამეთუ მისებრვე იქმს და უნდა ამაღლებამ გონებათა მათთამ, რაჟათა არა ვითარცა კაცსა ხედვიდენ, არამედ ვითარცა ღმერთსა და შჯულისმდებელსა და უკუეთუ თქუას ვინ, ვითარმედ: „რასა იქმს მამამ?“ ისმინენ, ვითარ წერილ არს, ვითარმედ: „განისუენა ღმერთმან დღესა მეშუდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა“, და გულისხმა-ყავნ სახც საქმისა მისისამ, თუ ვითარ იქმს, რამეთუ განაგებს, სცნობს წინამსწარ, იმპირავს და განამტკიცებს ყოველთა მათ ქმნულთა. და რაჟამს ჰხედვიდეს მზისა აღმოსლვასა, მთოვარისა სრბასა და ტბათა და მდინარეთა და წყაროთა და წუმათა და ბუნებისა სრბათა თესლთა შინა, და გუამთა შინა ჩუენთა, და პირუტყუთასაცა და სხუათა ყოველთა მათ საქმეთა, რომელთა მიერ ყოველივე ესე სოფელი ჰგიეს, მათ ყოველთაგან გულისხმა-ჰყოფდ სამარადისოსა მას მამისა მოქმედებასა, რამეთუ აღმოაბრწყინებს შუესა მისსა კეთილთა ზედა და ბოროტთა, და წუმს მართალთა ზედა და ცოდვილთა. და კუალად იტყოდა უფალი, ვითარმედ: „იხილენით შროშანნი ველისანი, ვითარ შეჰმოსს

¹ იოან. 9,6

² მათ. 12,3

მათ¹,¹ და მფრინველთათვის იტყოდა, ვითარმედ: „მამამ თქუენი ზეცათამ ზრდის მათ“,² რამეთუ სადაცა-იგი სიტყვთ ოდენ ქმნის სასწაული, მათისავე საქმისა მიერ დაუყვის პირი, ხოლო აქა, ვინამთგან ცხედრისა აღებად უბრძანა, გამოაჩინებდა შაბათისა დაქსნასა და მამისა მიმართ აღიყვანა სიტყუად თვისი. და ოდესცა შაბათისათვის იყოს სიტყუად, არცა ვითარცა კაცი ოდენ იტყვს მას, არცა ვითარცა ღმერთი ოდენ, არამედ ოდესმე ესრეთ და ოდესმე ეგრეთ. რამეთუ ენება ამის ორისაგვე საარწმუნო-ყოფად, განგებულებისაცა მისისა სიმდაბლესა და ღმრთეებისა მისისა პატივისა, ამისათვის აწ ვითარცა ღმერთი მიუგებს, რამეთუ უკუეთუმცა კაცობრივ ეტყოდა მას, ვეროდესმცა მიელო ღმრთეებისა მისისა გულისხმის-ყოფად. ამისთვის მამასა შორის შემოიღებს და იტყვს, ვითარმედ: „რომელსა მე ვიქმ, მამამცა ჩემი იქმს“.³

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : ამისთვის უფროდს ეძიებდეს მოკლვად იესუს, რამეთუ არა ხოლო შაბათსა დაჰქსნიდა, არამედ ღმერთსაცა მამად თვისა იტყოდა, და თავს თვისსა სწორ-ჰყოფდა ღმრთისა. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: „ამენ, ამენ გეტყუთქუენ: არა ძალ-უც ძესა თავით თვისით საქმედ არცა ერთი რად“ (5,18). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამის სიტყვსათვის იტყუან შეტყუელნი ამოებისანი, ვითარმედ: არა თუ ქრისტე იტყოდა თავსა თვისსა სწორ მამისა, არამედ ჰურიანი ეჭუდეს მას. ამისთვისცა ქრისტე დაჰქსნის იქუსა მათსა და იტყვს, ვითარმედ: „არა ძალ-უცო ძესა საქმედ თავით თვისით არცა ერთი რად“. არამედ ამო არიან და უკეთურებათა საფსევ სრტყუანი ესე, რამეთუ ისმინეთ, ვითარ თქუა პირველად, ვითარმედ: „მამამ ჩემი მოაქამომდე იქმს და მეცა ვიქმ“. რად არს ამის სწორებისა უმეტესი? აჰა, ესერა, არცა ერთი რად დაუტევა განყოფილება და არა თქუა, თუ: „მამამ ჩემი იქმს, და მე თანაშევსწევ“. არამედ: „ვითარცა იგი იქმს, მეცა ვიქმ“. ანუ უკუეთუ არა ქრისტე ჰყოფდა თავსა თვისსა სწორ ღმრთისა, ვითარცა იგი სწორი არს, არამედ ჰურიანიმცა ეჭუდეს მას. **მ,** უმჯულოებისა შეტყუელნი, არამცა ყოველი მოსწ-

¹ მათ. 6,28; ლუკ. 12,27

² მათ. 6,26

³ იოან. 6,19; იოან. 5,17

რაფებამ ქმნაა ქრისტემან, რაფთამცა იქუ მათი დაქსნა? არამედ, აჰა, ვხედავთ, ვითარმედ არცა ერთსა სადა ადგილსა: ენება დაცხნა იქუსა მათისაჲ, არამედ უფრომსად დამბტკიცებლა, ანუ მახარებელსამცა არა ეთქუაა, თუმცა ესრეთ იყო, ვითარმედ ქრისტე არა იტყოდა ამას ესრეთ, არამედ ჰურიახი ექუდეს ამას, ვითარცა-იგი სხუათა ადგილთა იქმს, რაჟამს სხუასა იტყუნ უფალი და იგინი სხუასა ექუდიან, ვითარცა-იგი თქუა რაჲ, ვითარმედ: „დაქსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვაშენო“,¹ და მათ ტაძრისა მისთვის გულისხმა-ყვეს. ხოლო მახარებელმან თქუა, ვითარმედ: „იესუ ტაძრისათეს ვორცთა მისთამსა იტყოდა“,² და აქაცა უკუეთუმცა ესრეთ იყო, არამცა ეთქუაა, თუ ჰურიახი ამას გულისხმა-ჰყოფდეს, ხოლო ქრისტე არა ესრეთ იტყოდა, გარნა არასადა არს ესე ესრეთ. ხოლო სიტყუაჲ ესე, რომელ თქუა, უფალმან, ვითარმედ: „არა ძალ-უც ძესა თავით თვისით საქმშ არცა ერთი რაჲ“,³ არა თუ სწორებისა დამკსნელი არს, შ, კაცო, არამედ უფრომსად დამამბტკიცებელი. გარნა ისმინეთ განკრძალულად, რამეთუ არა მცირე საძიებელ არს სიტყუაჲ ესე, თუ «თავით თვისით ვერ ძალ-უც», მრავალსა ადგილსა არს «ძხათესცა და სულისა წმიდისა» და ჯერ-არს, რაფთა კეთილად ვისწავოთ სიტყუსა ამის ძლით, რაფთა არავინ შთავარდებოდის ამის მიერ ცოდვასა. რამეთუ ვითარცა არს და ესრეთ ვინ გულისხმა-ყოს იგი ლიტონად, იხილე, რაბამი ბოროტი იქმნას, რამეთუ არა თუ ესრეთ თქუა, თუ: რომელიმე ძალ-მიც ქმნად თავით თვისით და რომელიმე — არა, არამედ არცა რაჲ ერთი ძალ-უცო“. ვპკითხავ უკუე წინააღმდეგომსა მას ჩემსა, რაფთა მითხრას, ვითარმედ: „და არარაჲსა ძალ-უცა ძესა ყოფად თავი თვისით?“ და უკუეთუ თქუას, ვითარმედ: „არა“, მიუგო მას: „და თავი იგი ყოველთა კეთილთაჲ არა თვისით ქმნაა?“ და პავლეცა დაღადებს, ვითარმედ: „არა ნატაცებად შეჰრაცხა სწორ ღმერთისა ყოფად, არაშედ თავი თვისი წარმოიცალიერა და ხატი მონებისა შეიმოსა“.⁴ და კუალად

¹ იოან. 2,19

² იოან. 2,21

¹ ფილიპ. 2,6

³ იოან. 5,19

თავადი იტყვს, ვითარმედ: „კელმწიფებამ მაქუს დადებად სუ-
ლისა ჩემისა და კელმწიფებამ მაქუს კუალად მოლებად იგი,
და არაინ მიმილოს იგი ჩემგან“.¹ ჰხედავა, რამეთუ სიკუდი-
ლისა და ცხორებისა კელმწიფებამ აქუს და ესევითარი ივა
განგებულებამ თავით თვისით ქმნა? და რად ვიტყუ ქრის-
ტესთს, რამეთუ ჩუენცა, რომელთა უდარცს არაარა არს,
მრავალსა ვიქმთ თავით თვისით და ბოროტსა თავით თვისით მო-
ვიგებთ და სათნოებასა თავითვე თვისით ვიქმთ; თუ არა, უკუე-
თუმცა არა გუაქუნდა კელმწიფებამ და არამცა ვიქმოლდეთ თა-
ვით თვისით, არცამცა ცოდვისათს ჯოჯონეთს ივეცემოდეთ,
არცამცა სათნოებისათს სასუფეველსა შევიდოდეთ. რა არს
უკუე სიტყუაჲ ესე, თუ „ვერ ძალ-უც თავით თვისით ქმნად?“
ესე იგი არს, ფითარმედ, ვერ ძალ-უც, თუმცა რამე ქმნა წინა-
აღდგომამ მამისამ, და ესე სიტყუაჲ უფრომსად სწორებასა
მოსწავებს და უკუეთუ იტყუთ, თუ: „რად არა თქუა, ვითარ-
მედ: არა იქმს წინააღმდგომსა მამისასა“, არამედ: „ვერ ძალ-
უცო ქმნად?“ გარნა ამისთს, რამთა უმეტესი იგი ერთობამ
გამოაჩინოს, რამეთუ არა თუ უძლურებასა სწამებს მას
სიტყუაჲ ესე, არამედ უფრომსად ძალსა ფრიადსა. და სხუა-
საცა ადგილსა იტყვს პავლე მამისათს: „რამთა ორითა საქ-
მითა შეუძრავითა, რომლითა ვერ შემძლებელ არს ცრუებაჲ
ღმერთი“. და კუალად იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ ჩუენ
უარ-ვყოთ, იგი სარწმუნოდ ჰგიეს, რამეთუ უარის-ყოფად
თავისა თვისისა ვერ შემძლებელ არს“.¹ და არა თუ სიტყუან
ესე უძლურებასა წამებენ მისთს, არამედ უფრომსად ძალსა
მიუთხრობელსა, რამეთუ სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს,
ესევითარი არს, ვითარმედ შეუწყნარებელი არს იგი ბუნებამ
ესევითარისა რამსამე. ვითარმცა ვიტყოდეთ, თუ: „შეუძლე-
ბელ არს, თუმცა უფალმან ცადა“, და არა თუ სიტყუთა ამით
უძლურებასა ვსწამებთ მისთს, არამედ უფრომსად ძალსა გა-
მოუთქუმელსა აღვიარებთ. ეგრეთვე რაქამს თქუას, თუ:
„ვერ ძალ-მიც თავით ჩემით საქმს არცა ერთი რამ“, ამას
იტყვს, ვითარმედ: „არა შესაძლებელ არს, არცა ეგების, არცა

¹ II ტიმ. 2,12

იქმნების, თუმცა ვქმენ რაჲ წინააღმდეგომი მამისაჲ“. და რაჲ-
თა სცნა. ვითარმედ ესრეთ არს სიტყუაჲ ესე, შემდგომნი იგი
სიტყუანი ვიხილნეთ, თუ ვის ეწამების ქრისტე, ჩუენმიერთა
ამათ სიტყუათა, ანუ თქუენმიერთა. რამეთუ შენ იტყუ, ვი-
თარმედ: „ძალსა და კელმწიფებასა მისსა დაჰქსნის სიტყუაჲ
ესე“, ხოლო მე ვიტყუ: „უფროსად სწორებასა და მამისაგან
შეუცვალებელობასა მისსა გამოაჩინებს, და ვითარმედ ყო-
ველსავე, ვითარცა ერთისა გონებისაგან, იქმან“. ვისმინოთ
უკუე სიტყუაჲ ქრისტესი, შემდგომი ამისი, და ვიხილოთ, თუ
შენისა იქუსაებრ, ანუ ჩუენისა სიტყუსაებრ თარგმნის სიტ-
ყუასა ამას. ისმინეთ უკუე, რასა იტყუს ქრისტე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამეთუ რაოდენსა-იგი მამაჲ იქმს,
მისა მსგავსად ძმცა იქმს“ (5,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავთა,
ვითარ ძირითურთ აღმოჰფხურა სიტყუაჲ თქუენი და ჩუენ
მიერ თქუმული ესე დაამტკიცა, რამეთუ, უკუეთუ ძმ თავით
თუსით არას იქმს, მაშა მამაჲცა სამე არას იქმს თავით თუსით,
ვინადთგან ყოველსავე, რაოდენსაცა იგი იქმს, ძმცა იქმს.
იხილვა, ვითარ მაღალი არს ძალი სიტყუათაჲ ამათ, და შენ
უგულისხმოებისაგან სიმდაბლედ მოიყვანებ, რამეთუ არა
უკმს მას შეწევნაჲ, რამეთუ ყოვლით კერძო სწორ არს მა-
მისა, რამეთუ ვითარცა მახარებელი იტყუს: „ყოველაჲვე მის
მიერ იქმნა და თუნერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა“.¹ ჰხედა-
ვა, ვითარ ყოვლით კერძო გამოჩნდების კელმწიფებაჲ მისი?
უკუეთუ კულა რომელთამე სიტყუათა სიმდაბლისა სახითა
იტყუს, ანუ გიკვრს, რამეთუ, ვინადთგან რაჲამს მაღალნი სიტ-
ყუანი ესმნიან ჰურიათა, სდევნიდიან მას და ღმრთისა წი-
ნააღმდეგომად სახელ-სდებდიან. ამისთვის მცირედ სიმდაბლისა
კერძო მოიყვანა სიტყუაჲ თუსი და კუალად სიმალედ აღიყ-
ვანა, და კუალად სიმდაბლედ მოიყვანა, და ესრეთ თუთოფერ-
ყო სიტყუაჲ თუსი, რაჲთა შესაწყნარებელ იყოს უგულისხმო-
თა მიერცა, რამეთუ გულისხმა-ყავ, ვითარ არს: პირველად
თქუა. ვითარმედ: „მამაჲ ჩემი იქმს და მეცა ვიქმ“ და გამოა-
ჩინა თავისა თუსისა მამისა თანა სწორებაჲ და კუალად თქუა:
„არა ძალ-უც ძესა თავით თუსით არცა ერთი რაჲ საქმედ,

¹ იოან. 1,3

უკუეთუ არა მამისაგან რაიმე იხილოს საქმე“. და მერმე კუალად აღიყვანა სიმალლისა კერძო და თქუა, რამეთუ: „რაოდენსა-იგი მამამ იქმს, მისა მსგავსად ძმცა იქმს“, და კუალად სიმდაბლედ მოიყვანა სიტყუამ თვისი და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : რამეთუ მამასა უყუარს ძმ და ყოველსავე უჩუენებს მას, რაოდენსა-იგი იქმს, და უფროსი ამისი უჩუენოს მას საქმე (5,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილე კუალად, რაბამი არს სიმდაბლმ ესე, და სამართლადცა, რამეთუ ვითარცა სხუასა ადგილსა ვთქუ, აწცა ვიტყვ, ვითარმედ, რაჟამს სიმდაბლისა სიტყუასა რასმე იტყოდის, გარდამატებულითა სიმდაბლისა სახითა იტყვს მას, რაითა უგულსხმონი დაამტკიცნეს სიტყუათა მათ ფრიადმან სიმდაბლემან, რაითა გულისხმა-ყონ, ვითარმედ შეუძლებელ არს ესრეთ ყოფად, არამედ სხუამ რაიმე ძალი აქუს სიტყუასა ამას მალალი, რამეთუ რაჟამს თქუას, თუ: „უფროსი ამისა უჩუენოს მას საქმე“, უკუეთუ ვინ სიტყუამ ესე, ვითარცა ესმოდის, ესრეთ გულისხმა-ყოს, იხილე, ვითარი ბოროტი იქმნას. რამეთუ თქუას, თუ: „ჭერეთ საქმენი არიან, რომელნი არა უსწავლიანო“, რომელ-ესე არცა თუ მოციქულთათვის თქუმულ არს, რამეთუ, მათ ზედა რაჟამს მოვიდოდა მადლი იგი სულისა წმიდისაჲ, ყოველივე ცნეს მეყსა შინა, რაოდენცა საქმარ იყო მათა ცნობად. და რამცა იყო უუკეთურეს ამისა, უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ: „ჭერეთ ისწავლის ძმ ღმრთისაჲ“. არამედ ისმინეთ, თუ რაჲ არს სიტყუამ ესე, ვინაფთგან განრლუეული განკურნა და ეგულებოდა მკუდრისაცა აღდგინებაჲ. ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „ამისთვის გიკვრსა? უფროსიცა ამისა იხილოთ“. გარნა ესრეთ არა თქუა სიტყუამ ესე, არამედ სიმდაბლისა სახითა; რაითამცა ნუგეშინის-სცა სიბორგილესა მათსა; რაითა სცნა, ვითარმედ სიტყუამ იგი, რომელი თქუა, თუ: „უმეტესი ამისა უჩუენოს“, არა ჭეშმარიტად თავისა თვისისათვის თქუა, ისმინე შემდგომიცა სიტყუამ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ვითარცა მამამ აღადგინებს მკუდართა და ცხოველ-ჰყოფს, ეგრეთვე ძმ, რომელთაჲცა ჰნებავს, ცხოველ-ჰყოფს (5,21). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილელა, ვითარ სიტყუამ იგი, რომელ თქუა, ვითარმედ: „არა შემძლებელ არს თავით თვისით საქმედ არცა ერთი რაჲ“, არა დამკსნელი არს

კელმწიფებისა მისისად, რამეთუ, აჰა, ესერა, აქა იტყუს, ვითარმედ: „რომელთადაცა ჰნებავს, ცხოველ-ჰყოფს“. რამეთუ უკუეთუ არა ძალ-უც საქმედ თავით თვისით, ვითარ. რომელთადაცა ჰნებავს, ცხოველ-ჰყოფს? ვინაფთვან სიტყუად ესე, თუ: „ვითარცა მამად აღადგინებს მკუდართა“, ესე ძალისა მისისა შეუცვალებელობასა მოასწავებს. ხოლო სიტყუად ესე, თუ: „რომელთადაცა ჰნებავს“, კელმწიფებისა სწორებასა აჩუენებს. ჰხედავა, რამეთუ სიტყუად იგი, რომელი. თქუა, ვითარმედ: „არარაა ძალ-უც საქმედ თავით თვისით“, არა თუ კელმწიფებდასა მისისა დაჰკნისის, არამედ შეუცვალებელობასა მას ძალსა ნებისა მისისასა გამოაჩინებს. ეგრეთვე გულისხმა-ყავ იგიცა სიტყუად, რომელი თქუა, ვითარმედ: „უჩუენოს მას“, რამეთუ სხუასა ადგილსა იტყუს, ვითარმედ: „მე აღვადგინო იგი უკუანადასკნელსა მას დღესა“¹ და კუალად გამოაჩინებს, ვითარმედ არა უკმს შეწვენად და იტყუს, ვითარმედ: „მე ვარ აღდგომად და ცხოვრებად“² რაფთა ვერ სთქუათ, თუ: „მკუდართა აღადგინებს და ცხოველ-ჰყოფს, ხოლო სხუასა ვერ ესრეთ იქმს“. ამისთვის წინადასწარ ყოველი სიტყუად მოსწყუდა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „რაოდენსაცა იგი იქმს, მისა მსგავსად ძმცა იქმს“, გინა თუ მკუდართა აღდგომად სთქუა, გინა თუ გუამოვნებისა დაბადებამ, გინა თუ ცოდვათა შენდობამ, გინა თუ სხუად რამე, ყოველივე მსგავსად მისა ითქუმის, არამედ არცა ერთსა ამათვანსა ისმენენ, რომელთაიგი სძულს თვისი ცხოვრებამ. ესევეითარი ბოროტი არს წინამძღურებისა გულისთქუმად. ამან შენა წვალებანი, ამან დაამტკიცა წარმართთა უმჯულოებამ, რამეთუ ღმერთსა ენება, რაფთა უხილავნი მისნი დაბადებულთა მიერ ამის სოფლისათა გულისხმა-გყვენეთ, ხოლო მათ არა ინებეს ამას სწავლასა შედგომად, არამედ სხუად გზად მოიპოვენს. ამისთვისცა ჰქუმა-რიტისაცა მისგანცა გზისა დაეცნეს და ჰურიათა არა ჰრწმენა, რამეთუ დიდებასა კაცთაგან მიიღებდეს და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებდეს.

¹ იოან. 6,39, 40, 44, 54

² იოან. 11,25

ცუდადმზუაობრებისათჳს

არამედ. ჩუენ, საყუარელნო, ვივლტოდით ამის სენისაგან ყოვლითავე მოსწრაფებითა, რამეთუ, დაღაცათუ ბევრეულნი სათნობანი გუქონდინ, ყოვლისავე შემძლებელ არს დაქსნად ვნებაჲ იგი ცუდადმზუაობრებისაჲ, რამეთუ უკუეთუ ქებაჲ გვყუარს, რაჲთა ღმრთისაგან ვეძიებდეთ ქებასა და არა კაცთაგან, თუ არა, სხუათაჲ, ვითარცა იყოს, გამოჩნდის რაჲ, მეყსეულად უჩინო იქმნის და წარწყმდის, დაღაცათუ მცირედ ჟამ დაადგრეს, სარგებელი არცა ერთი რაჲ მოგუეცემის ჩუენ მისგან, რამეთუ რაჲ საკრველ არს კაცთამიერი დიდებაჲ, რომელი მრავალთა მეძავთა და მტაცებელთა და ბორტის-მოქმედთა აქუს. ხოლო რომელი ღმრთისა მიერ იდიდებოდის. არა მათ თანა იდიდების, არამედ წმიდათა თანა წინაჲსწარ-მეტყუელთა და მოციქულთა, და რომელთა აჩუენეს ანგელოზებრივი ცხორებაჲ. უკუეთუ ერისა მიერ ქებაჲ და დიდებაჲ გიყუარს, ყვენ მაქებელ შენდა ანგელოზნი და იქმენ საშინელ ეშმაკთა და კაცთამიერი ნურარაჲ გნებაჲს, არამედ დათრგუნენ კაცთა საქმენი ყოველნი, ვითარცა მწურჭ და თიჯაჲ, და მაშინ გულისხმა-ჰყო, ვითარმედ არარაჲ ესრეთ აენებს სულსა შენსა, ვითარ ცუდადმზუაობრებაჲ. და შეუძლებელ არს, თუმცა რომელი მის მიერ ძლეულ იყო, და მან-ძცა ადასრულა ცხორებაჲ კეთილი, ვითარცა-იგი შეუძლებელ არს კუალად, თუმცა რომელმან მას სძლო და არამცა უმეტესნი ვნებანი დათრგუნნა. ხოლო შენ, საყუარელო, ისმინე, რამეთუ ძლევაჲ მისი ესრეთ იქმნების, უკუეთუ საუკუნოჲსა მიმართ დიდებისა ვხედვიდეთ მარადის, რომლისაგან ჰნებაჲს ამას გამოყვანებაჲ ჩუენი; რამეთუ უკუეთუ ზეცისა დიდებასა ვეძიებდეთ, მან აქაცა განგუაბრწყინვენს და საუკუნოჲსა მიმართ ცხორებისა ჩუენ თანა განვიდეს, და ყოვლისავე ჳორციელისა მონებისაგან განგუათავისუფლენს, რომელსა აწ ფრიადითა უკეთურებითა ვჰმონებთ, და ყოვლითურთ თაენი ჩუენნი ქუეყანისადა შეგვმშჳუალვან, რამეთუ სადაცა მიხვდე, გინა თუ უბანთა, გინა თუ სახლთა, გინა თუ გზათა.

ანუ სადაცა მიხვდეს, ყოველსა ადგილსა ამის სოფლისა საქმეთა ზრუნვად ჰპრო და ვითარმედ თუთეული ამისთვის იგუეშების, რამ უკუე იყოს ჩუენდა სასობეად ცხორებისად, როძელ ქუეყანასა ზედა ღმრთისასა მკედრ ვართ და არა ღმრთისა მონებისათვის ვისწრაფით, არამედ რომელთადა ბრძანებულ არს, რამთა უცხო ვიყვნეთ სოფლისაგან, ჩუენ უცხო ვართ ზეცისაგან და მოქალაქე სოფლისა და არა სასუფეველისა? რამცა იყო ამის უგულისხმოებისა უძრვს, რამეთუ მარადლე სიტყუანი საშჯელისა და სასუფეველისანი გუესმიან და ჩუენ ნოეს ზე ყოფილთა კაცთა და სოდომელთა ვჰბაძავთ, რამთამცა საქმით მოიწინეს ჩუენ ზედა ყოველნი იგი ბოროტნი. და იგი ყოველი ამისთვის დაწერილ არს, რამთა რომელნი მომავალისათვის ურწმუნო იქმნებოდნან, გარდასრულისაგან აქუნდეს მომავალისა მის წამებად. ამას უკუე ყოველსა ვიგობებდეთ. გარდასრულსაცა და მომავალსაცა, რამთა ესრეთ ძვირედ განვიფრთხოთ მწარისა ამის მონებისაგან და ვიზრუნნეთ სულნი ჩუენნი, რამთა საუკუენთა კეთილთა მივემთხუნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებად სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა მ ი ლ თ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე: მამად არავის შჯის, და ყოველი საშჯელი მოსცა ძესა, რამთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა-იგი პატივ-სცემენ მამასა (5, 22-23).
 თ ა რ გ მ ა ნ ი: ფრიადი მოსწრაფებად გვკმს ჩუენ ყოველსავე ზედა, საყუარელნო, რამეთუ სიტყუად თანა-გუაც მიცემად სიტყუათათვისცა და საქმეთა ცხორებასა მას, რომელსა მისლვად ვართ. და საყდარსა, რომლისა წინაშე წარდგომად ვართ მოგებად საქმეთა ჩუენთაებრ, გინა თუ კეთილი გუექმნას, გინა თუ ბოროტი. მას უკუე სამშჯავროსა ვიკსენებდეთ მარადის და ესრეთ შეუძლოთ ყოფად სათნოებასა შინა, რამეთუ ვითარცა რომელმან დღე იგი სულისაგან თვისისა აღმოიგდოს, ვითარცა უადვროდ, კლდეთა შინა და კაპანთა შთავარდების,

რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ბილწ არიან გზანი მისნი ყოველსა ჟამსა“, და მერე მიზეზიცა თქუა მის საქმისად, ვითარმედ: „მიღებულ არიან სამართალნი შენნი პირისაგან მისისა“.¹ ეგრეთვე, რომელსა მარადის შიში აქუნდეს, კეთილითა მოქალაქობითა იყოფვის, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „იქსენებდი აღსასრულსა შენსაო და უკუნისამდე არა სცოდო“.² რამეთუ, რომელნი-იგი აწ ცოდვათა ჩუენთა შეგვნდობს, მას ეგულების შჯად ჩუენი. რომელი ჩუენთს მოკუდა, იგი არს, რომელმან განიკითხოს ბუნებაჲ ჩუენი. ამისთვისა იტყოდა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : მამად არავის შჯის, არამედ ყოველი საშჯელი მოსცა ძესა, რადთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა-იგი პატივ-სცემენ მამასა (5, 22-23). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჟამს თქუას, ვითარმედ: „ყოველი საშჯელი მოსცა ძესა“, ყოველსა იტყუს, ვითარმედ უფალი არს პატივისცემისა და ტანჯვისად, რამეთუ იხილა ბუნებაჲ კაცთად უგულისხმო, და ვითარმედ არა ესრეთ მოდრკებიან კეთილისა ქადებითა, ვითარ შიშითა ტანჯვისადთა. ამისთვის მიუთხრა ესე, რადთა ნუჟუკუე შიშმან მოიყვანნეს პატივად მისა. ხოლო სიტყუად ესე, ვითარმედ: „მოსცა“, თქუმულ არს, რადთა არა უშობელად შეპრაცხო იგი, არცა ორნი მამანი მოიგონნე, რამეთუ ყოველივე, რადცა არს მამად, იგივე არს ძმ, შობილი და დადგრომილი ღმრთეებასა შინა ძედ. და რადთა სცნა, ვითარმედ სიტყუად ესე, თუ: „მოსცა“, ამას მოასწავებს, ვითარმედ: შვა. ისმინე სხუად სიტყუად, რადთა მისგან ესეცა სცნა, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „ვითარცა იგი მამასა აქუს ცხორებაჲ თავისა თვისისა თანა, ეგრეთვე ძესა მოსცა, რადთა ცხორებაჲ აქუნდეს თავისა თვისისა თანა“.¹ რად არს უკუე სიტყუად ესე: პირველად შვა და მერმელა მისცაა ცხორებაჲ? რამეთუ რომელი მისცემდეს არსსა ვისმე, მისცემს; და რად არს, შობილ იყოა იგი ოდესმე თვნიერ ცხორებისა? არამედ ამას არცა თუ ეშმაკნი მოიგონებენ, რამეთუ უშჯულოებასა თანა უგულისხმოებაჲცა ფრიადი აქუს, არამედ ვითარცა

¹ ფსალ. 9,27

² ეკლ. 7,10

¹ იოან. 5,26

სიტყუად იგი, თუ: „მოსცა ცხორებაჲ“, ესე არს, ვითარმედ: „შვა იგი“. ეგრეთვე სიტყუად ესე, თუ „მოსცა საშჯელი“, ესე არს, ვითარმედ მსაჯულად შვა იგი, რამეთუ იგი მოვალს შჯად, რაჲთა სცნა, ვითარმედ ყოვლითურთ სწორ მამისა არს, რამეთუ. რომელსა კელმწიფებაჲ აქუს ტანჯვად და პატივისცემად, რომელთაჲცა ენებოს, მას სწორადვე მამისა ძალ-უც, თუ არა, ვითარ იტყუთ, ვითარმედ არა ესრეთ არს, ვითარ-ესე მე ვიტყუ, არამედ პირველ იშვა და მეტემ მიეცაო კელმწიფებაჲ ესე? ანუ რომლისა საქმისათჳს მიეცა მას შემდგომად შობისა საქმს ესე? რომლითა წარმართებითა მოვიდა ამას პატივისა? არა გრცხუენისა ამათ კაცობრივთა ზრახვათა უნდოთა შემოღებად უხრწნელსა მას ბუნებასა ზედა, რომლისა თანა არარაჲ არს უკუანაჲსკნელ შემოსრული? ხოლო უკუეთუ იტყუ, ვითარმედ: „რად იტყუს ესრეთ?“ გულისხმავ, რამეთუ ამისთჳს იტყუს ესრეთ, რაჲთა შესაწყნარებელ იქმნეს სიტყუად მისი და გზა-უყოს მაღალთა მათ სიტყუათა. ამისთჳს შეპრთავს მდაბალთა მაღალთა თანა და მაღალთა მდაბალთა თანა და ისმინე პირველითგან, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „მამაჲ ჩემი მოაქამდე იქმს და მეცა ვიქმ“, და აჩუენა ამის მიერ სწორებაჲ თჳსი, არამედ მათ ინებეს მისი შოკლვაჲ. იხილე უკუე, კუალად რაჲ ქმნა, რამეთუ სიტყუად სიმდაბლისაჲ თქუა, ხოლო ძალი იგივე, ვითარმედ არა ძალ-უც ძესა თავით თჳსით საქმედ არცა ერთი რაჲ და მერმე კუალად აღიყვანა სიმალლედ სიტყუად თჳსი, ვითარმედ: „რაოდენსა-იგი მამაჲ იქმს, მისა მსგავსად ძმცა იქმს“, და კუალად სიმდაბლედ მოიყვანა, ვითარმედ: „მამასა უყუარს ძმ და ყოველივე უჩუენა მას, რაოდენსა-ცა-იგი იქმს და უფროჲს ამისა უჩუენოს მას საქმს“. და კუალად სიმალლედ აღიყვანა სიტყუად თჳსი, ვითარმედ: „ვითარცა მამაჲ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეთვე ძმ, რომელთაჲ ჰნებაეს, აცხოვნებს“. და ამისა შემდგომად კუალად თქუა სიტყუად, ერთბამად სიმდაბლისა-ცა მომასწავებელი და სიმალლისა-ცა, ვითარმედ: „მამაჲ არავის შჯის, არამედ ყოველი საშჯელი მოსცა ძესა“, და კუალად აღიყვანა სიმალლედ, ვითარმედ: „რაჲთა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა-იგი ყოველნი პატივ-სცემენ მამასა“. ჰხედავა, ვითარ თუთო-

ფერ-ჰყოფს სიტყუასა თვისსა და მალლითა და მდაბლითა სიტყუთა და სახელითა ქსოვს მას, რაჲთა მაშინდელთა მიერცა შესაწყნარებელ იქმნეს და შემდგომთაცა ნათესავთა არარაჲ ევენოს. რამეთუ ჩუენ გულისხმა-ვჰყოფთ, ვითარმედ მიზეზი მდაბალთა სიტყუათა მისთაჲ ყოველივე ღმრთივშუენიერ არს და მალალ, რამეთუ ჩუენთვის იქმოდა, რაჲთა ვისწოთ სიზღაბლჲ, და რაჲთა ვჩუენოს ცხორებაჲ, რამეთუ მის მიერ იქმნების, რომელსაცა თავადი მოასწავებდა სხუასა ადგილსა და იტყოდა, ვითარმედ: „ამას ვიტყვ, რაჲთა თქუენ სცხოვნდეთ“, რამეთუ ვინაჲთგან იოვანეს წამებაჲ შორის შემოიღო და თვისი დაუტევა, რამეთუ ესე არა ღირს იყო მისისა დიდებულებისა. ამისთვის მიზეზსა იტყვს ესოდენისა მის სიზღაბლისა სიტყუათაჲსა, ვითარმედ: „ამას ვიტყვ, რაჲთა თქუენ სცხოვნდეთ“. ხოლო ისმინეთ კუალად სიტყუაჲ სწორებისაჲ მამისა თანა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : რომელმან არა პატივ-სცემს ძესა, არა პატივ-სცემს მამასა, რომელმან მოავლინა იგი (5,23). **თ ა რ - გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ შეთხზულ არს პატივი ძისაჲ პატივსა თანა მამისასა, რამეთუ არა თქუა, თუ: „უკუეთუ არა პატივ-სცემდენ“ ოდენ, არამედ, „რომელი არა პატივ-სცემდეს ესრეთო, ვითარცა მამასა, იგი არა პატივ-სცემს მამასა“. რამეთუ იტყვს სიბრძნით სიტყუათა თვისთა, რაჲთა მიზეზიცა გულისხმა-ვყოთ და საბელიოზის წვალებასა არა შთავევარდეთ და ჰურიათაცა უძლურებაჲ განიკურნოს ამით სახითა, რაჲთა არა შერაცხილ იყოს იგი მათ მიერ ღმრთისა წინააღმდგომად, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: „ესე არა ღმრთისაგან მოსრულ არს“, და ამის იქვსა დაჯსნად ვერ ესრეთ შემძლებელ იყვნეს მალალნი სიტყუანი, ვითარ მდაბალნი. ამისთვის ზედაჲსზედა იტყოდა მოვლინებასა თვისსა, არა თუ რაჲთამცა უღარჲსობაჲ მისი რაჲმე გულისხმა-ვყავთ სიტყუსა მისგან, არამედ რაჲთა მათნი პირნი დაუყვნეს. ამისთვის ზედაჲსზედა მამისა მიმართ მიიყვანებს სიტყუასა თვისსა და თანა თვისსაცა პატივსა გამოაჩინებს, რამეთუ უკუეთუმცა მარადის თვისისა ბუნებისა და პატივისაებრ იტყოდა, არამცა შეიწყნარნეს მათ სიტყუანი იგი, ვინაჲთგან მცირენიცა თუ ესევეითარნი სიტყუანი ესმნიან, სდევნიდიან მას. და კუალად უკუეთუმცა მათთვის ყო-

ველთავე სიმდაბლისა სიტყუათა იტყოდა, შემდგომად მისა მრავალთამცა ევნო. ამისთვისცა შეზავა სიტყუამ თვისი სიმალ-
ლითა და სიმდაბლითა. ამისთვისცა შემდგომიცა ესე თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამენ გეტუჲ თქუენ: რამეთუ რომელ-
მან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი
ჩემი, აქუნდეს მას ცხორებაჲ საუკუნომ“ (5,24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ ისწრაფის განქარვებად იქუსა მის,
რომელი აქუნდა მათ, თუ წინააღმდეგომი არს ღმრთისაჲ, და
შეშინებითაცა და კეთილისა ქედებითა წინააღმდეგომასა მისსა
აყენებს, და აქაცა დაამდაბლებს სიტყუასა თესსა, რამეთუ
არა თქუა, ვითარმედ: „რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს
და ჰრწმენეს ჩემი“, თუ არა კუალადმცა ზუაობაჲ დაე-
წამა მისდა, რამეთუ უკუეთუ შემდგომად მრავლისა ქამისა
და მრავალთა საქაულთა ესე ვერ გულისხმა-ყვეს და ჰრქუეს
მას: „აბრაჰამ მოკუდა და წინამსწარმეტყუელნი მოსწყდეს,
და შენ ვითარ იტყუ, თუ: „რომელმან ისმინოს სიტყუამ
ჩემი, და ჰრწმენეს, არა იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ?“¹ და
ამისთვის, რამთამცა არა აწცა განმქეცდეს, თქუა ესრეთ, ვი-
თარმედ: „რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს
მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს მას ცხორებაჲ საუკუნომ“,
რამეთუ ესე არა მცირედ შესაწყნარებელ-ჰყოფდა სიტყუასა
მისსა, რამთამცა ცნეს, ვითარმედ მამისა სარწმუნოებასა ქა-
დაგებს და უკუეთუმცა ესე გულსმოდგინედ შეიწყნარეს,
სხუადცამცა უადვილმსად ჰრწმენა. და ესრეთ საცნაურ არს,
ვითარმედ მდაბალნიცა სიტყუანი მაღალთავე შეეწეოდეს,
რამეთუ თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „აქუნდეს მას ცხორებაჲ საუკუნომ, და
საშჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს სიკუ-
დილისაგან ცხორებად საუკუნომ“ (5,24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :**
ორითა სახითა სარწმუნო-ჰყოფს სიტყუასა თესსა: ერთად,
რამეთუ მამასა სარწმუნო-ჰყოფს, და მეორედ, რამეთუ მრავალთა
კეთილთა მიანიჭებს, რომელთაცა ჰრწმენეს. ხოლო თუ
„საშჯელსა არა შევიდეს“, ესე არს, ვითარმედ არა იტანჯოს,
რამეთუ სიკუდილად არა თუ ამას იტყუს საწუთრომსასა, არა-

¹ იოან. 8,52

შედ საუკუნესა, ვითარცა-იგი ცხორებასა მას უკუდასა იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ამენ, ამენ, გეტყუ თქუნენ, რამეთუ მოვალს უამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი, და რომელთა ისმინნენ, ცხოვნდენ“ (5,25)

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინამთგან იტყოდა: ვითარმედ: „ვითარცა მამამ აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეთვე ძმ, რომელთამ ჰნებავს, აცხოვნებს“, და რამეთა არა სიტყუამ ოდენ იყოს და ტყუვილად შეჰრაცხონ მათ, ამისთვისა საქმისადა ქვეშარიტებასა გამოაჩინებს, ვითარმედ: „მოვალს ეამი“, და რამეთა არა შორს მოელოდიან, ამისთვის იტყუს, ვითარმედ: აწვე არსო, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი და ცხოვნდენ. იხილე აქაცა კელმწიფებამ მიუთხრობელი, რამეთუ ვითარცა მერმესა აღდგომასა, ეგრეთვე აწ იყოსო, რამეთუ მამინ ბრძანებითა ღმრთისამათა აღვდგეთ და აწცაო, ვიდრე მე თქუნენ თანა ვიყო, იქმნეს ესე საქმე და მერმე შემოიღებს სიტყუასა დამამტკიცებელსა ამის პირისასა და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვითარცა-იგი მამასა აქუს ცხორებამ თავისა თვისისა თანა, ეგრეთვე მოსცა ძესა, რამეთა აქუნდეს ცხორებამ თავისა თვისისა თანა“ (5,26).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა შეუცვალელებლობასა და ვითარმედ ერთი ოდენ არს განყოფილებამ თვთებისამ? რამეთუ იგი მამამ არს და იგი — ძმ. ხოლო სხუამ ყოველივე სწორ და შეუცვალეებელ არს და ამით საცნაურ არს, ვითარმედ ესევიტარითა ძალითა და კელმწიფებითა იქმს ყოველსავე, ვითარ-იგი მამამ და არა სხუებრ რამმე, რამეთუ ესრეთ აქუს ცხორებამ, ვითარცა მამამა. ამისთვისა შემდგომიცა იგი სიტყუამ არს, რამეთა მისგან ესე გულისხმა-ვყოთ, რამეთუ იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და კელმწიფებამ მოსცა მას საშჯელისადა ყოფად“ (5,27).

თ ა რ გ მ ა ნ ი : „რამათუს, რომელ აღდგომასა და საშჯელსა ამას ადგილსა ზე და ქუე აქცევს? ამისთვის, რომელ ესე სიტყუანი უფრომს ყოვლისა მოაქცევენ გონებასა: რამეთუ რომელსა ესე ჰრწმენეს, შეშინდების და ისწრაფის, რამეთა დაიმშდოს მსაჯული იგი.“

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამეთუ ძმ კაცისამ არს, ნუ გიკურს ესე“

(5, 27 28) **თარგმანი:** რამეთუ ვინაიფთვან ურწმუნოდ უჩნდა მსმენელთა მათ სიტყუად იგი და შეერაცხა ქრისტე კაცად ლიტონად, ხოლო სიტყუანი იგი უზეწითაეს კაცთა და ანგელოზთაცა იყვნეს მხოლოდსა ღმრთისანი, ამისთვის თქუა, ვითარმედ: „ნუ გიკვრს ესე, რამეთუ ძმ კაცისაჲ არს“, და ვითარმცა იქმნა ესეო, რამეთუ მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი, რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჳმისა მისისაჲ და გამოვიდოდინ კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტისმოქმედნი აღდგომასა მას საშჯელისასა“. და რაჲათჳს არა თქუა, თუ: ნუ გიკვრს, ვითარმედ ძმ კაცისაჲ არს, რამეთუ ძმ ღმრთისაჲცა არს, არამედ აღდგომად ხოლო აქსენა? ამისთვის, რამეთუ ზემო თქუა, ვითარმედ: „ისმინონ ჳმად ძისა ღმრთისაჲ“, ხოლო აქა თქუა: „საქმმ, რომელი ღმრთისაჲ ოდენ არს“, რაჲათა მის მიერ მოიგონონ, ვითარმედ ღმერთი სამე არს და ძმ ღმრთისაჲ, რომელი აშას იქმს. რამეთუ უკუეთუმცა თვთ იტყოდა ამას ზედასზედა, და ნუუკუე წინააღმდეგმცა იპოვა საქმმ იგი, არამედ სასწაულთა მიერ უფროდს უვნებელ-ჳყოფდა სწავლასა მას. და პირველ, რაჲამს ლაზარეს აღდგომასა აქსენებდა, ესრეთ თქუა, ვითარმედ: „მოვალს ჟამი და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი“, და საშჯელი მუნ დაიდუმა, ხოლო აქა ყოველთა აღდგომისათჳს რაჲ იტყოდა, საშჯელიცა აქსენა, ვითარმედ: „გამოვიდოდინ კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა და ბოროტისმოქმედნი აღდგომასა საშჯელისასა“, რამეთუ ვინაიფთვან ზემო თქუა, ვითარმედ: „რომელმან სიტყუანი ჩემი ისმინეს და ჳრწმენეს მომავლინებელი ჩემი, საშჯელსა არა შევიდეს“. რაჲათა არავინ ჳგონებდეს, ვითარმედ ესე ოდენ ჳმა არს ცხორებად, ამისთვის საქმეთათჳსცა თქუა, ვითარმედ: „კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა და ბოროტისმოქმედნი აღდგომასა საშჯელისასა“. ვინაიფთვან უკუე თქუა, ვითარმედ: „ყოველსა სოფელსა სიტყუს-მიცემად მისდა თანა-აც, ვითარმედ ყოველნი ჳძითა მ[ისი]თა აღდგენ“. საქმმ ახალი, რამეთუ აწცა მრავალთა მიერ ურწმუნო არს, და მაშინცა ჳუღრიათა ვითარ არა ურწმუნო უჩნდა? ამისთვის ისმინე, ვითარ სარწმუნო-ჳყოფს

სიტყუასა მას და უძლურებასა მათსა თანა დამდაბლდებ-
და იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „არა ძალ-მიც საქმედ თავით ჩემით არა-
რამ, არამედ ვითარცა მესმის, ვშჯი და საშჯელი ჩემი მარ-
თალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა
მომავლინებელისა ჩემისასა“ (5,30). თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ
ვინადითგან ესრეთ უჩნდა მათ,თუ უცხოთა რათმე სიტყუათა
იტყუს უფრომს წინამსწარმეტყუელთასა, რამეთუ იგინი იტ-
ყოდეს, ვითარმედ: „ღმერთი არს, რომელმან განსაჯოს ქუეყა-
ნა“. ხოლო ქრისტე იტყოდა, ვითარმედ: „მამად არავის
შჯის, არამედ ყოველთავე მე ვშჯი“, და სიტყუად ესე აღმ-
ფოთებდა პურიათა და დაარწმუნებდა, რადთა წინააღმდგომად
ღმრთისა თქუან იგი. ამისთვის ფრიადისა სიმდაბლისა სიტყუად
თქუა აქა, რადთამცა მათი უძლურებად განკურნა და ბოროტი
იგი იქვ ძირითურთ აღმოფხურა. ამისთვის თქუა, ვითარმედ:
„არა ძალ-მიც საქმედ თავით ჩემით არარამ“, ესე იგი არს,
ვითარმედ: „შეუძლებელ არს, თუმცა იხილეთ, ანუ გესმა
ჩემგან საქმე, ანუ სიტყუად წინააღმდგომი მამისა“. და ვი-
თარცა ზემო იტყოდა, ვითარმედ: „რომელი გუესმა, ვიტყუთ
და, რომელი ვიხილეთ, ვწამებთ“,¹ ორსავე ქეშმარიტისა ცნო-
ბისათეს იტყოდა, და არა თუ ხილვისა და ცნობისათეს, ეგ-
რეთვე აქა სმენად რამ თქუა, არარას სხუასა მოასწავებს, გარ-
ნა ამას, ვითარმედ: „შეუძლებელ არს, თუმცა სხუად რამ
ვინებე მე, გარნა რადიგი მამასა ჰნებაავს“, არამედ არა
თქუა ესე ესრეთ: „ვითარ მე ვიტყუ“, თუ არა არამცა შეეწყ-
ნარა, არამედ სიმდაბლით თქუა და კაცობრივ, ვითარმედ:
„ვითარცა მესმის, ვშჯიო“. არა თქუა, თუ: „ვითარცა ვისწა-
ვებ“, არამედ: „ვითარცა მესმის“, არამედ, არა თუ ვითარცა
სმენად უკმდა, ესრეთ იტყუს ამას, რამეთუ არა თუ სწავლად
ოდენ არა საკმარ იყო მისა, არამედ არცა სმენად, გარნა ერ-
თობასა მოასწავებდა და შეუცვალებელობასა საშჯელისასა;
ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ესრეთ ვშჯი, ვითარცა თვთ
მამად, უკუეთუმცა შჯიდა“. და მერმე იტყუს, ვითარმედ: „საშ-
ჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა,

¹ იოან. 3,11

არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“. რასა იტყვ, გაქუსა შენ სხუად ნებაჲ მამისაგან კიდე? და ვითარ სხუასა ადგილსა იტყვ, ვითარმედ: „ვითარცა მე და შენ, მამაო, ერთ ვართ“, და ნებისათჳს და ერთობისათჳს იტყოდა, არამედ გულისხმა-ყავთ, ძმანო, რამეთუ სიტყუად ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „არა თუ სხუად არს ნებაჲ ჩემი და სხუად არს ნებაჲ მამისაჲ, არამედ ვითარცა ერთისა ბუნებისა ერთი ნებაჲ არს, ეგრეთვე ჩემი და მამისაჲ. და არარაჲ არს ჩემი სხუად ნებაჲ, მამისაგან განყოფილი, არამედ რაჲ-იგი მას ჰნებაჲს, მეცა იგივე მნებაჲს, და რაჲ მე მნებაჲს, მასცა იგივე ჰნებაჲს, და ვითარი მამისაჲ არს საშჯელი, ეგევეითარივე ჩემი არს.“ და რამეთუ ერთისაგან გონებისა გამოვალს ორთავე ბრძანებაჲ?“ ხოლო რომელ ესრეთ კაცობრივ იტყვს სიტყუასა ამას, ნუ გიკვრს, რამეთუ ჭერეთ ლიტონად კაცად შეერაცხა იგი. და ამისთჳს ჭერ-არს, რაჲთა ესევეითართა ადგილთა არა თუ თქუმულთა მათ ოდენ გამოვეძიებდეთ, არამედ თუ ვითარი გონებაჲ აქუნდა მსმენელთა მათ და ესრეთ ვისმენდეთ, ვითარცა მათისა გონებისა მიმართ თქუმულსა, რამეთუ უკუეთუ ვინ სიტყუათა წერილისათა ვითარცა ჰპოებდეს და ესრეთ გულისხმა-ჰყოფდეს, მრავალსა ბოროტსა შთავარდეს. და ვითარმცა იყო ესე? თუმცა უფალი იტყოდა, თუ: „სხვაჲ არს ნებაჲ ჩემი და სხუად არს მამისაჲ“, რომელ-ესე კაცნიცა ჰქუძარიტად ღმრთისმსახურნი არავე იტყვან ამას. რამეთუ უკუეთუ ჰავლე ესრეთ შეზავა ნებაჲ თჳსი ნებასა ღმრთისასა, ვიდრელა იტყოდა, ვითარმედ: „არლა მე ცხოველ ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ შორის ქრისტე“. ვითარ უკუე მეუფემანცა ყოველთამან თქუა, თუ „სხუად არს ნებაჲ ჩემი და მას არა ვეძიებ, არამედ მამისა ჩემისა ნებასა ვეძიებ?“ გარნა გონებათაებრ მსმენელთაჲსა და იტყსაებრ მათისა, რომელთა მიმართ მაშინ იტყოდა, თქუა ესე, რამეთუ ვინაჲთგან ზემოდთვე იტყოდა სიტყუათა მათ, რომელთამე — ღმრთივშუენიერად და რომელთამე — კაცობრივ და აქაცა კუალად, ვითარცა კაცი, იტყვს, ვითარმედ: „საშჯელი ჩემი მართალ არს“, ამისთჳს, „რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა“, რამეთუ ვითარცა კაცთა შორის, რომელი ნებისა თჳსისა აღსრულებისაგან შორს იყოს და სიყუარუ-

ლისაგან თავისა თვისისა, უჯერო არს მისთვის თქუმაჲ, თუ უსამართლოდ შჯის. ეგრეთვე ვერცა ჩემდა აწ ძალ-გიც მხილებად, რამეთუ რომელი ეძიებდეს თვისისა ნებისა დამტკიცებად, ნუუკუედა იჭუეულ იქმნეს მრავალთაგან, ვითარმედ გარდააქცევს სამართალსა. ხოლო რომელი თვისსა ნებასა არა ეძიებდეს, რაჲდა მიზეზი არს, რომელმცა არა სამართალსა 'შჯიდა? და ესე გულის-სიტყუაჲ მოიპოვეთ ჩემთვისცა, რამეთუ უკუეთუმცა ვიტყოდე, თუ: არა მამისა მიერ მოვლინებულ ვარ, და არამცა მისსა მივიღებდი დიდებასა ამათ საქმეთასა, ხუუკუედა იჭუეულმცა ვინმე იქმნა თქუენგანი, თუ თავისა ჩემისა დიდებაჲ მნებავს და ამისთვის არა ვიტყვ ჭეშმარიტსა, ვინაჲთგან უკუე მას ვადიდებ, რაჲდა მიზეზი გაქუს შესძენად ჩემდა? ჰხედავა, სადა მოიყვანა სიტყუაჲ თვისი? ჰხედავა, რამეთუ, ვითარცა მრავალგზის ვთქუ, გარდამატებაჲ სიმდაბლისა სიტყუათა მისთაჲ უფროჲსად ასწავლის გონიერთა, რაჲთა არა ვითარცა ესმეს და ესრეთ გულისხმა-ჰყოფდენ სიტყუათა მისთა და დაეცემოდინ, არამედ ასწავებს, რაჲთა სიმალღესა მას ძალისა მათისასა აღვიდოდინ და არა ევენბოდის.

ს წ ა ვ ლ ა ჲ ლ თ

ძვრისკსენებისათს და მოწყალებისა

ხოლო ჩუენ, ძმანო, რაჲამს ესე ყოველი გუესმოდის, ნუმცა ამაოდ თანაწარვჰვდებით სიტყუათა ამათ, არამედ კეთილად გამოვეძიებდეთ და მიზეზსა თქუმულთა ამათ გამოვიწულოღვიდეთ, და ნუმცა ვჰგონებთ, თუ კმა არს ჩუენდა სიტყუს-გებად ღმრთისა უგულისხმოებაჲ და უსწავლელობაჲ, რამეთუ არა თუ უმანკოებაჲ ოდენ გვბრძანა უფალმან, არამედ სიბრძნეცა. მოვიგოთ უკუე სიწრფილებასა თანა სიბრძნეცა და განვიკითხვიდეთ აქავე თავთა ჩუენთა; რაჲთა არა სოფელსა თანა დავისაჯნეთ. და ესევეითარნი ვიყვენეთ მოყუასთა მიმართ, ვითარ გუენებავს, რაჲთა იყოს ღმერთი ჩუენდა მო-

მართ, რამეთუ ვიტყვთ: „მოგვტყვენ თანამედებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტყევებთ თანამედებთა მათ ჩუენთა“.¹ და ვაცი, ვითარმედ რაჟამს სული შეიწუხოს მეორისა მიერ, არა თავს-იღებს მას შეუწუხებელად და უტკივარად, არამედ უკუ-ეთუ გულისხმა-ვყოთ, ვითარმედ არა შემაწუხებელსა მას, არამედ თავთა ჩუენთა უყოფთ კეთილსა. უკუეთუ არა გან-ვრისხნეთ, ესრეთ შეუძლოთ გესლსა მას გულისწყრომისასა აღმოვდებად, რამეთუ რომელმან-იგი ასისა მის დრაჰკა-ნისათჳს ტანჯა მოყუასი იგი თჳსი, არა თუ მას ავნო, არამედ თავი თჳსი ბევრეულისა მის ტალანტისა თანამედებ-ყო, რომელთაჲ პირველად შენდობაჲ მიეღო. რაჟამს უკუე სხუათა არა შეუენდოთ, თავთა ჩუენთა არა შეუენდობთ.

ნუმცა უკუე ღმერთსა ოდენ ვეტყვთ მარადის, თუ: ნუ მოიჯსენებთ ცოდვათა ჩუენთა, არამედ ჩუენთაცა თავთა ვპრქუათ, ვითარმედ: ნუ მოიჯსენებ ცოდვათა მოყუასისათა, რომელნი ჩუენდა მომართ ქმნეს, რამეთუ პირველად შენ დასწერ შჯულსა შენდობისასა და ეგრეთ ღმერთი აღასრუ-ლებს მას, ესე იგი არს, ვითარმედ: უკუეთუ შენ სხუათა შე-უნდო, იგი შენ შეგიენდობს. აწ უკუე სხუანი მღჳძარებითა და კმელსა წოლითა და ბევრეულითა ტანჯვითა და უბადრუკე-ბითა აღჰკოცენ ცოდვათა თჳსთა, ხოლო შენ შემძლებელ ზარ აღვილითა ამით გზითა, რომელ არს ძვრუქსენებულბაჲ, ყოველთა ცოდვათა შენთა ავოცად. რამსათჳს უკუე ჰლესავ მახვლსა და მოიწყლავ თავსა შენსა, ვითარცა ცოფი, და საუ-კუნოჲსა ცხორებისაგან თავსა შენსა გამოაჯუებ? ჯერ-არს ყოველისა მოსწრაფებისა ქმნად, რამთანიცა მას წინააღი-ცხორებასა. რამეთუ უკუეთუ საწუთროჲსა ამის ცხორებაჲ ესრეთ საწადელ არს, რამ ვინ თქუას მისთვის, საღა-იგი არა არს საღმობაჲ, არცა მწუხარებაჲ, არცა სულ-თქენაჲ? მუნ შიში სიკუდილისაჲ არა არს, არცა იჳ არს მათ კეთილთა აღ-სრულებისაჲ. ნეტარ არიან და სამგზის სანატრულ და პევრე-ულგზისცა, რომელნი ნეტარსა მას ცხორებასა ღირს იქმნენ. ვითარცა-იგი უბადრუკ არიან და ბევრეულგზის საწადლო-ბელ, რომელნი მას ნეტარებასა დააკლდენ. და უკუეთუ იტყუ,

¹ მათ. 6,12

ვითარმედ: „და რომელი საქმე არს, რომელი მას ცხორებასა
 ღირს-მოყვას ჩუენ?“ ისმინე თავადისაჲ მის, რასა ეტყუხ
 ჭაბუკსა ვისმე, რომელმან თქუა, ვითარმედ: „რამ ვყო, რამ-
 თა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო?“¹ და უფალმან ჰრქუა
 მას სხუათა მათ მცნებათათჳს და უკუანამსკნელ მოვიდა სი-
 ყუარულსა მოყუისისასა, ვითარცა ბეჭედსა მას ყოვლისასა, და
 უკუეთუ ვინ თქუას აწცა, ვითარმედ: „არა მიმრუშავს, არა
 მიპარავს, არა კაც მიკლავს“, გარნა ესემემცა იპოა მანცა წარ-
 ძარბებაჲ, რამთამცა შეიყუარა მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი,
 რამეთუ უკუეთუ ვის ეშურა, ანუ ძჳრი უზრახა, ანუ ბორო-
 ტისა წილ ბოროტი მიაგო, ანუ არა მისცა, რამ მას უკმდა,
 არა შეუყუარებდეს, ვითარცა თავი თჳსი. და არა ესე ოდენ
 ბრძანა ქრისტემან, არამედ სხუაჲცა, ვითარმედ: „განყიდე
 მონაგები შენი, მიეც გლახაკთა და მოვედ, და შემომიდეგ მე“,²
 რამეთუ საქმეთა მიერ მსგავსებასა უწოდა შედგომად. რასა
 უკუე ვისწავლით ამისგან? ერთად, ვითარმედ, რომელსა ესე
 ყოველი არა აქუნდეს, ვერ მიემთხუევის სრულებასა მას ცხო-
 რებასა შინა. რამეთუ, ვითარცა სისრულისა მომატყუებელი,
 თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ გნებავს სრულ-ყოფაჲ, განყიდე
 მონაგები შენი, და მიეც გლახაკთა“. და კუალად ამასცა გუ-
 ლისხმა-ვჰყოფთ, ვითარმედ თვთ მასცა ამხილა, ვითარმედ
 ამაოდ ზუაობს, რამეთუ რომელი ესევითარსა სიმდიდრესა
 შინა იყო და სხუათა შეურაცხ-ჰყოფდა სიგლახაკესა შინა,
 ვითარმცა შეიყუარა მან მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი, და
 არცა სადამე მას იტყოდა ჰეშმარიტებით, არამედ ჩუენ ვისწ-
 რაფოთ ყოვლითა ძალითა ყოვლისა მონაგებისა ჩუენისა მი-
 ცემად და მოსყიდად სასუფეველსა ცათასა, რამეთუ უკუეთუ
 კაცნი სოფლისა პატივისათჳს ყოველსა მონაგებსა მისცემენ
 პატივისა აქავე დაშთომადისა, და მრავალგზის აქაცა არავე
 დაადგრის მათ თანა მრავალ ჟამ, უკუე ჩუენ რამ ვთქუათ,
 რომელნი საუკუნოჲსა მის პატივისათჳს არცა თუ მცირედსა
 რას წარვაგებთ, არა უკუე ფრიადი სიცოფჳ არსა, რომელ აქა
 დაშთომადი ესე არა გუნებავს ჩუენ თანა წარლებად? რამ
 უკუე სიტყუაჲ გუაქუს, რომელ ადვილი ცხორებაჲ წინა-გვც,

¹ მარკ. 10,17; ლუკ. 10,25

და ჩუენ კლდეთა შთავიჭრებით და უგზოთა ვალთ? არამედ განვიფრთხოთ და გონებათა ჩუენთა მოვადეთ და ცხოვრება ჩუენი კეთილად განვაგოთ, რაათა საუკუნომ ცხოვრება მოვიგოთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდება უკუენითი უკუენისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „უკუეთუ მე ვწამებ თავისა ჩემისათს, წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ; სხუაჲ არს, რომელი წამებს ჩემთს, და ვიცი, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი“ (5, 31, 32). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რომელი თუალთა, ოქროსა გაბოსალდებელთა, ეძიებდეს და იყოს კელოვნებისა მის გამოუცდელ, სარგებელი არაჲ სადა პოვოს, ვერცა ოქროჲ გამოილოს, არამედ ცუდი ოდენ შრომაჲ თავს-იდვას. ეგრეთვე, რომელთა არა იცოდინან წესი წმიდათა წერილთაჲ და ჩუეულებაჲ და ძალსა მათსა ეძიებდენ, იგინი ოქროსა მიწასა შინა აღჭრევენ და არაოდეს პოვონ მათ შინა მყოფი იგი საუნჯეჲ უცებებითა. ხოლო ესე ამისთს ვთქუ, რამეთუ წინამდებარესა ამას სიტყუასა შინა ოქროჲ ფრიადი არს, გარნა არა საჩინომ, არამედ დაფარული, ამისთს გუქმს, რაათა ვილუაწოთ, ვიდრემდის ეპოვოთ. რამეთუ ვინ არამცა განკურდა, რომელსა ესმოდის ქრისტესი, ვითარ იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ მე ვწამებ თავისა ჩემისათს, წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ“, და იგი ჩანს მრავალთა ადგილთა, ვითარმედ წამებს თავისა თვისისათს, რამეთუ სამარტელსა მას ჰრქუა: „მე ვარ ქრისტე“,¹ და ბრმასა მას ჰრქუა, ვითარმედ: „რომელი იტყუს შენ თანა, იგი არს“² და ჰურიათა ჰრქუა: „ვითარ იტყუთ, თუ: „გმობს“, რამეთუ ვთქუ თუ: „ძმ ღმრთისაჲ ვარი მე“,³ და სხუათა მრავალთა ადგილთა იქმს ესრეთ. რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე, ვითარ გულისხმა-ვეოთ. რამეთუ კუალად ქუე-

¹ შლრ. იოან. 4,25—26

² იოან. 9,37

³ იოან. 10,36

მორე იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ მე ვწამებ თავისა ჩემისათს, წამებაჲ ჩემი ჭეშმარიტ არს“,¹ და აქა ესრეთ იტყუს, ვითარმედ: „უკუეთუ მე ვწამებდე, არა არს ჭეშმარიტ?“ რაჲ არს უკუე, რომელი შევიწყნაროთა ამათ ორთაგანი? უკუეთუ არა გამოვიძიოთ მიზეზი სიტყუსაჲ ამის და თუ რაჲსათს თქუა, ანუ რომელთა პირთა მიმართ, რაჲთა არა განსაცდელსა შთავცვეთ, რამეთუ, უკუეთუ წამებაჲ მისი არა ჭეშმარიტ არს, რაჲ იყოს ჩუენდა სასოებაჲ ცხორებისაჲ? არამედ ჯერ არს ჩუენდა მღუძარებაჲ, რაჲთა არა დავშთეთ სიტყუათა ოდენ შინა, არამედ ძალიცა და პირი სიტყუსაჲ გამოვიძიოთ, რამეთუ ესრეთ შესცდეს მწვალებელნი: ვითარცა ესმეს, ესრეთვე გულისხმა-ჰყოფდიან სიტყუათა წერილისათა. და უკუეთუ ესე ვქმნეთ, რომელ არა გამოვიძიოთ ჟამი და სიტყუაჲ და გონებაჲ მსმენელისაჲ, დიდსა ბოროტსა შთავცვეთ. რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე: „ეგულებოდა ჰურიათა რქუმად მისა, ვითარმედ: „შენ თავისა შენისათს სწამებ და წამებაჲ შენი არა არს ჭეშმარიტ?“ ამისთს უფალმან უსწრო წინაჲს-წარ და პრქუა ესე, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „ნუუკუე მრქუათ თქუენ, თუ შენი არა გურწამს, არამედ მამაჲცა წამებს ჩემთს“. რამეთუ სიტყუსაჲ ამის, თუ „წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ“, არა ჯერ-არს ესრეთ ლიტონად გულისხმის-ყოფაჲ, არამედ ესრეთ ჯერ-არს, ვითარმედ: „წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ წინაჲშე თქუენსა“, რაჲთა მათიცა იქუ თანაშეჰრთოდა, და არა თუ სიტყუაჲ ესე, ვითარცა არს, ესრეთ თქუა, არამედ მათისა გონებისა მიმართ მიუგო, და რაჲჲმს თქუას, თუ „წამებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ“, უკეთურებასა გონებისა მათისასა ამხილებს და ყოფადსა მას მისა მიმართ მათსა წინააღგომასა. ხოლო რაჲჲმს თქუას, თუ „უკუეთუ მე ვწამებდე თავისა ჩემისათს, წამებაჲ ჩემი ჭეშმარიტ არს“, თუთ საქმისა მის ბუნებასა გამოაჩინებს, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა ვითარცა ღირსსა, ჭეშმარიტად აღიარებენ სიტყუასა მისსა. დაღაცათუ თავისა თვისისათს იტყოდის, რამეთუ ვინაჲთგან თქუა აღდგომაჲ მკუდართაჲ და საშჯელი და ვითარმედ, „რომელსა პრწმენეს მისი, საშჯელად

¹ იოან. 8,14

არა მივალს, არამედ ცხორებად; და ვითარმედ იგი არს, რომელ-
დაჯდეს მსაჯულად და ვითარმედ სწორი მამისად აქუს კელ-
მწიფებამ და ძალი და ენება ამის ყოვლისა დამტკიცებამ.
ამისთვის თქუა სიტყუამ ესე პირველად, რომელ მათსა ბუნება-
სა შინა იყო, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „მე ვთქუ, რამეთუ,
„ვითარცა მამამ აღადგინებს მკუდართა და ცხოველ-ჰყოფს,
ეგრეთვე ძმ, რომელთადაცა ენებოს, ცხოველ-ჰყოფს“; და ვი-
თარმედ: „მამამ არავის შჯის, არამედ ყოველი საშჯელი მოსცა
ძესა“; და ვითარმედ: „რომელი პატივ-სცემდეს ძესა, იგი
პატივ-სცემს მამასა“, და ვითარმედ: „ჯერ-არს, ვითარცა
მამისად, ეგრეთვე ძისა პატივი“, და ვითარმედ: „რომელმან
სიტყუანნი ჩემნი ისმინნეს და პრწმენნეს, არა შევიდეს საშ-
ჯელსა, არამედ გარდაიცვალოს სიკუდილისაგან ცხორებად“, და
ვითარმედ: „მკუდართა ისმინონ ჳმისა ჩემისად, რომელთამე
აწ და რომელთამე — უკუანამსკნელ“, და ვითარმედ: „ყო-
ველთა სიტყუამ მოვჰჯადო საქმეთა მათათუს, და ვინამთგან
ესე ყოველი წამებამ ჩემი არს, და წამებამ ჩემი წინაშე თქუ-
ენსა არა ჳეშმარატი არს, იხილენით სხუანი იგი მოწამენი
ჩემნი“. და ესრეთ სარწმუნო-ჰყოფდა სიტყუასა თუსსა. რაჟამს
პირველად დაფარული გონებათა მათთამ გამოუცხადა და
ესე ერთი სასწაული უჩუენა თუსისა ძალისად, და შემდგო-
მად მისა სხუანიცა სიმტკიცენი შემოიხუნა, რამეთუ სამნი
მოწამენი მოართუნა სიტყუათა თუსთანი. ერთად, საქმენი,
რომელთა იქმოდა და მერმე, წამებამ მამისად და ქადაგებამცა
იოვანესა, და პირველად უდარჰსი იგი უთხრა მათ, რომელ
არს იოვანესი, რამეთუ თქუა რამ, ვითარმედ: „სხუამ არს,
რომელი წამებს ჩემთუს, და ვიცი, რამეთუ ჳეშმარატი არს წა-
მებამ მისი“, მეყსეულად შესძინა და თქუა:

ს ა ნ ა რ ე ბ ა მ : „თქუენ მიავლინეთ იოვანესა, და წამა
ჳეშმარატი“ (5,33). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ ამითცა
სიტყუთა საცნაურ არს, ვითარმედ სიტყუამ იგი, თუ: „წამე-
ბამ ჩემი არა არს ჳეშმარატი“, მათისა იჳსსა მიმართ თქუმულ
არს, ხოლო თქუა, ვითარმედ: „თქუენ მიავლინეთო იოვანე-
სა“, რადთა ვერ თქუან მათ, ვითარმედ: „და რამ არს, უკუეთუ
მან შენისა მომადლებისათუს წამა“ და ამისთვის თქუა, ვითარ-
მედ: „თქუენ მიავლინეთო“, და უკუეთუმცა არა გყვა იგი

კაცად ფრიად სარწმუნოდ, არამცა მიგვევლინა მისა. და რამეთუ არა ქრისტესთვის ჰკითხვიდეს, არამედ თავისა თვისისათვის, ვითარმედ: „შენ ვინ ხარო?“ რომელ-ესე უმეტესისა სარწმუნოებისა სასწაული არს; რამეთუ რომლისასა თავისა თვისისათვის წამებასა შევიწყნარებდეთ, არამცა უფროხად, უკუეთუ სხვისათვის წამოს, შევიწყნაროთა? და მივლინებულნი იგი არა თუ შეურაცხნი ვინმე იყვნეს, არამედ მღვდელნი და ფარისევლები. და ესე ყოველი მოასწავა სიტყუთა მით, რომელი თქუა, ვითარმედ: „მიავლინეთ იოვანესა და მან წამა ჰეშმარიტი“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო მე წამებაჲ კაცისაგან არა მოვილო“ (5,34). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და რაჲსათვის შემოიღო იოვანეს წამებაჲ, რამეთუ იგიცა არავე კაცობრივი იყო, რამეთუ იტყვის, ვითარმედ: „რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა“. და იოვანესიცა სამე წამებაჲ ღმრთისაჲ იყო, რამეთუ მის მიერ ესწავა და იტყოდა, არამედ მათ ესე არა იცოდეს, გარნა ვითარცა თავით თვსით მეტყუელად აქუნდა იოვანე. და რაჲთა არა თქუან, ვითარმედ: „ვითარ იტყვის, თუ ღმრთისაგან მისწავიეს ყოველი და მისმიერი ვარი, და კუალად იოვანესაგან მოიღებს წამებასა?“ ამისთვის გოხებასა მათისაებრ მიუგო, ვითარმედ: „მე წამებაჲ კაცისაგან არა მოვილო“. და კუალად, რაჲთა ვერ თქუან მათ, ვითარმედ: „უკუეთუ არა მიიღებ კაცისაგან წამებას, რად შემოიღებ იოვანეს ქადაგებასა მოწამედ?“ ამისთვის, რაჲთა ესე ვერ თქუან, შესძინა შემდგომიცა ესე და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არამედ ამას ვიტყვი, რაჲთა თქუენ სცხოვნდეთ“ (5,34). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო სიტყუაჲ ესე ესევეთარი არს, ვითარმედ: მე არა მეკმარების წამებაჲ მისი, რამეთუ ღმრთი ვარ კაცთა ბუნებისაჲ, არამედ ვინაჲთგან თქუენ ისმენთ იოვანესა და სარწმუნოდ გიჩნს მისი სიტყუაჲ და, ვითარცა წინამსწარმეტყუელისა მიმართ, მიხუედით მისა ხოლო მე არცა სასწაულთაგან მისმენთ. ამისთვის მოგაკსენებ წამებასა მისსა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამეთუ იგი იყო სანთელი აღთებულნი საჩინოდ, ხოლო თქუენ ინებეთ სიხარული ჟამ ერთ ნათელსა მისსა“ (5,35). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და რაჲთა ვერ თქუან, ვი-

თარმედ: „მან თქუა, ხოლო ჩუენ არა შევიწყნარეთ სიტყუაჲ მისი?“ და გამოაჩინებს, ვითარმედ შეიწყნარნეს სიტყუანი მისნი და განიხარეს სიტყუათა მისთა ზედა. ესრეთ საკრველად აქუნდა იგი და სიტყუათა მისთა არა წინააღმდეგობდეს, ხოლო სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „ჟამ ერთ“ ამისთვის თქუა, რაჲთა მათისა გონებისა სისუბუქჳ გამოაჩინოს, ვითარმედ აღრე განეშორნეს მასცა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო მე მაქუს წამებაჲ უფროჲს იოვანესა“ (5,36). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ, უკუეთუმცა გენება, რაჲთამცა ჳეშმარიტებისაებრ საქმეთაჲსა შეიწყნარებდით სარწმუნოებასა, მეცა საქმეთა მიერ სარწმუნო-გყვენ თქუენ. ვინაითგან უკუე არა ესრეთ გნებავს თქუენ, ამისთვის იოვანეს მიმართ მიგიყვანებ. არა თუ მისი წამებაჲ მეკმარების, არამედ ყოველსავე ღონესა ვიქმ, რაჲთამცა თქუენ სცხოვნიდით. და მაქუს წამებაჲ, უზეშთაესი იოვანესა, საქმეთა ჩემთა მიერ, არამედ მე ესე მნებავს, რაჲთა რომლითაცა ღონითა მოგიყვანნე თქუენ სარწმუნოებად. და ენება მხილებაჲ მათისა გონებისაჲ, ვითარმედ მცირედ ჟამინებეს სიხარული მის მიერ. და დაუდგრომელი იგი გონებაჲ: მათი მოასწავა და სანთელად სახელ-სდვა იოვანე!.. რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ არა თუ თავით თვისით აქუნდა ნათელი, არამედ შადლისაგან სულისა წმიდისა. და ესე რაჲ აქსენა, ამხილა, ვითარმედ მისვე გონებისაგან, რომლითა იგი შეურაცხ-ყვეს, მითვე ვერცა ქრისტესი ჳრწმენა, რაქეთუ ჟამ ერთ მოიგეს მისა მიმართ სარწმუნოებაჲ, თუ არა, უკუეთუმცა არა ესრეთ ექმნა, აღრემცა მოეყვანნეს მას იგინი იესუმს მიმართ, და გამოაჩინნა იგინი ყოვლით კერძო, ვითარმედ არა ღირს წყალობისა არიან, და მეყსეულად შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „მე მაქუს წამებაჲ უფროჲს იოვანესა, რაქეთუ საქმჳ, რომელი მომცა მე მამამან, რაჲთა აღვასრულო იგი, ესე საქმენი წამებენ ჩემთვის, ვითარმედ მამამან მომავლინა მე“. **თ ა რ გ მ ა ნ ი .** აქა მოაქსენა მათ საქმჳ იგი, განრღუეულსა მას ზედა ქმნილი, და სხუათა მათ მრავალთა სასწაულთაჲ. რაქეთუ სიტყუათათს იოვანჳსთა ნუუკუედა თქუესმცა, თუ არა ჳეშმარიტ იყვნეს, არამედ მომადლებისა მისისათს თქუა. დაღაცათუ ამისიცა თქუმაჲ ბოროტ იყო იოვა-

ნმსთვის, კაცისა ესრეთ ჰეშმარიტისა და მათ მიერცა ესრეთ შერაცხილისა, და საქმისათს ყოველადვე შეუძლებელ იყო განცოფებულთაგანცა თქუმად ესევეითარი რაამე. ამისთვის ესე 'შემოილო მეორედ წამებად და თქუა: „საქმე, რომელი მომცა მე მამამან, რაათა აღვასრულო იგი, ესე საქმენი წამებენ ჩემთვის, ვითარმედ მამამან მომავლინა მე“. აქა შაბათისაცა დაქსნისა მიმართ იტყუს, რამეთუ ვინაათგან იგინი იტყოდეს, ვითარმედ: „არა ღმრთისაგან არს, რამეთუ შაბათსა არა დაიცავს“.¹ ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „რომელი მომცა მე“, და იგი კელმწიფებით იქმოდა ყოველსავე, არამედ რაათამცა დამტკიცებულად გამოაჩინა, ვითარმედ არარას იქმს წინააღმდგომსა მამისასა, ამისთვის მდაბალი ესე სიტყუაჲ თქუა, რამეთუ: რად არა თქუა, თუ: „სიტყუანი, რომელნი მომცნა მე მამამან, იგინი წამებენ, ვითარმედ სწორი ვარ მამისაჲ? რამეთუ საქმეთა მიერ ორივე ესე იცნობებოდა, ვითარმედ სწორი არს მამისაჲ და ვითარმედ არარას წინააღმდგომსა მისსა იქმს. და რაასათს არა თქუა ესრეთ, არამედ თქუა, ვითარმედ: „საქმენი წამებენ, რამეთუ მამამან მომავლინა მე“? ამისთვის, რამეთუ ისწრაფდა, რაათამცა ესე დაარწმუნა, ვითარმედ არარას იქმს წინააღმდგომსა მამისასა, რამეთუ უკუეთუმცა ესე არა ჰრწმუნა, იგიმცა ვითარ ჰრწმუნა, თუ სწორი არს მამისაჲ? და ამისთვის ისწრაფდა, რაათამცა უღარმსი ესე დაარწმუნა და იცოდა, ვითარმედ უკუეთუ ესე დაირწმუნონ კეთილად, მერმე იგიცა ადვილად ჰრწმუნეს, და აქსენა უზეშთაესიცა იგი წამებაჲ და უღარმსი საქმე აქსენა, რაათამცა იგიცა შეიწყნარეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „და რომელმან მომავლინა მე მამამან, მან წამა ჩემთვის“ (5,37). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და სადა წამა მისთვის მამამან? ერთად, იორდანეს, ვითარმედ: „ეგე არს ძმე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“.¹ არამედ ჯერ-იყო, რაათამცა გამოაჩინა იგი, რამეთუ იოვანმს წამებაჲ ყოველთა მიერ საცნაურ იყო და ვერ უარ-ჰყოფდეს, და კუალად სასწაულნი, უფლისა მიერ ქმნილნი, იგინიცა ცხად იყვნეს და ვერ უარ-

¹ მათ. 2,17; 17,5; მარკ. 9,7; ლუკ. 9,35

ჰყოფდეს. ხოლო ჯერ-იყო, რადთა მამისაცა წამებამ გამოაჩინოს და სარწმუნო-ყოს, და ამისი ენება უფალსა ქმნამ. ამისთვის თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „არცა ვმამ მისი გესმა თქუენ სადამე და არცა ხატი მისი იხილეთ“ (5,37). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და ვითარ მოსე იტყუს თავისა თვისისათვის, ვითარმედ: „მოსე ეტყოდა და ღმერთი მიუგებდა მას კმითა“,¹ და დავით იტყუს: „ენამ, რომელი არა იცოდა, ესმა“,² და კუალად ხილვასა მისსა იტყუნ ესაია და იერემია და ეზეკიელ და სხუათა მრავალთა. რამ არს უკუე სიტყუამ ესე ქრისტესი? გარნა ესე არს, რამეთუ ენება, რადთამცა მცირედ-მცირედ, ასწავა მათ გულისხმის-ყოფად კეთილი, რადთა ცნან, ვითარმედ არცა ვმამ არს ღმრთისამ, არცა ფერი, რადთამცა ესმა კაცსა, ანუ იხილა, არამედ უზეშთაეს არს სახეთა და სიტყუათა ესევეითაროა ღმერთი, რამეთუ არა თუ იტყუს, თუ ღმერთი ვმასა გამოიღებს, გარნა არა სასმენელსა, ანუ თუ ფერი რამე აქუს არასახილველი, არამედ ამას მოასწავებს, ვითარმედ არარამ არს ნივთიერთა ამათ საქმეთაგანი ღმრთისა თანა, რამეთუ რადთა არა თქუან, ვითარმედ: ღმერთი მოსეს ოდენ ეტყოდა, ვითარცა-იგი თქუესცა, ვითარმედ: „ჩუენ ვიცით, რამეთუ მოსეს ეტყოდა ღმერთი, ხოლო ესე არა ვიცით, ვინამ არს“.³ ამისთვის იტყუს, ვითარმედ: „არცა ვმამ არს ნივთიერი ღმრთისა თანა, არცა ფერი, და არა თუ ოდენ ვმამ მისი არა გასმეოსო, და არცა ხატი მისი გიხილავს, არამედ, რომელსა ზედა ჰზუაობთ, თუ სწავლანი მისნი გქონან, ვერცა მაგას შემძლე-ბელ ხართ“. ამისთვის შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „და სიტყუამ მისი არა არს თქუენ თანა დადგრომილ“ (5,38). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, შჯული და წინამწარმეტყუელებანი ყოველნიო, დადაცათუ ღმერთმან ბრძანნა იგინი, გარნა თქუენ თანა არამ დადგრომილ არს მათგანი, ვინამთგან ჩემი არა გრწამს. რამეთუ უკუეთუ წერილნი ყოველნი ჩემთვის ქადაგებენ, და თქუენ მე არა გრწამ,

¹ გამოსლვ. 19,91

² ევ.ალ. 80,60

³ იოან. 9,29

არარაჲ სამე დადგრომილ არს მათგანი თქუენ თანა. ამისთვის-
ცა შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „რამეთუ, რომელი მან მოავლინა, მისი
თქუენ არა გრწამს“ (5,38). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ხოლო რაჲთა
არა იტყოდინან, ვითარმედ: „ვინაჲთგან ჳმად მისი არა გუას-
ძიეს, ვითარ გურწმენეს, რომელი მან მოავლინა?“ ამისთვის
იტყუს, ვითარმედ: „გამოიძიეო წიგნთაგან, რამეთუ იგ-ნი ნა-
ძებენ ჩემთვის“.1 თუ მათ მიერ წამებსო ჩემთვის მამად, და
მან იორდანესაცა ზედა წამა და თაბორსცა, არამედ არა შემო-
იხუნა შორის ჳმანი იგი, თუ არა, არამცა ერწმუნა, რამეთუ,
ერთი იგი, არა ასმიოდა თაბორისაჲ, და მეორე, დაღაცათუ
ასმიოდა, არა ჰრწმენა. ამისთვის წერილთა მიმართ მიავლინნა,
რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ მამისა წამებაჲ მათ შინა არს,
და პირველად დაჰქსნა ზუაობაჲ მათი, რომელნი ჰგონებდეს;
თუ ლმერთი უხილავს და ჳმად მისი ასმია, და ესრეთ მიავლენს
გამოძიებად წერილთა.

ს წ ა ვ ლ ა ე მ

**ვითარმედ სრული სათნოებითა იგი არს, რომელი
ყოველთა მცნებათა იქმოლის, და მოწყალებისათვის**

და ჩუენცა, რაჲამს მწვალებელთა ვეტყოდით, ესრეთ შე-
ვიტურვოდით, რამეთუ „ყოველი წერილი საღმრთო არს და
სარგებელსულისა სწავლად და მხილებად, რაჲთა სრულ იყოს
კაცი ღმრთისაჲ ყოვლისა კეთილისა მიმართ“,2 რამეთუ, რო-
მელსა ერთი აქუნდეს კეთილი, და მეორე არა აქუნდეს, იგი
არა სრულ არს. რამეთუ რაჲ სარგებელ არს, უკუეთუ ილოც-
ვიდეს ფრაად, და მოწყალებაჲ არა აქუნდეს? ანუ მოწყალე-
ბაჲ აქუნდეს, გარნა მოტაცებულისაგან, ანუ მაჩუენებლობით

1 იოან. 5,39

2 II ტიმ. 3,16—17

კატათს, ანუ კეთილად იქმოდის მოწყალებასა, გარნა ზუ-
ობდეს, ანუ თუ მდაბალი იყოს, გარნა ვეცხლისმოყუარებად
აქუნდეს, დედა იგი ყოველთა ბოროტთა? რამეთუ ძირი
ყოვლისა ბოროტისა ვეცხლისმოყუარებად არს და ვივლტო-
დით უკუე მისგან, რამეთუ მან სოფელი ყოველი დაუწყნარე-
ბელ-ყო. ესე მონებისაგან ქრისტესისა განგუაშოვრებს, რა-
მეთუ შეუძლებელ არს მონებად ღმრთისა და მამონაისი.
რამეთუ ქრისტე გუამცნებს მოწყალებასა, ხოლო იგი მტა-
ცებლობასა; ქრისტე გვბრძანებს, რაათა შეუნდობდეთ თანა-
მდებთა ჩუენთა, ხოლო იგი, რაათა რომელთა არა ევნოს,
მათცა ვავნებდეთ. ქრისტე იტყვს, ვითარმედ: „მოწყალე
იყავ“, ხოლო იგი იტყვს: უწყალო იყავო და გულ-ფიცხელ
და ნურარად შეგირაცხიან ცრემლნი გლახაკთანი, რაათა მას
დღესა უწყალო იყოს უფალი ჩუენ ზედა, რამეთუ მაშინ ყო-
ველი საქმე ჩუენი წინაშე თუალთა ჩუენთა წარმოგვდგეს და
ჩუენ მიერ ჰირვეულნი იგი და ძრხილულნი, და ყოველსა
სიტყუასა ჩუენგან მიგვლებდენ. რამეთუ უკუეთუ ლანარეს
არაჲ ჰვნებოდა მდიდრისაგან, არამედ ოდენ, რამეთუ მოწყა-
ლებად მის მიერ არა მიელო, იყო შემასმენელ მისა და პირისა
დამყოფელ? რაჲ ეყოს მათ, რომელნი გლახაკთასა მიიტაცე-
ბენ და ობოლთა აჰირვებენ და დააქცევენ? უკუეთუ, რო-
მელთა მშვიერი გლახაკი არა გამოზარდეს, ესოდენსა ბოროტსა
შთაცვებს, ხოლო რომელთა უცხოჲ მონაგები მოიტაცეს, იგი-
ნი რასალა ღირს იქმნენ? ანუ რაჲ ნუგეშინის-ცემაჲ პოვონ?
ვივლტოდით უკუე ამის ბოროტისაგან. მოვიჯსენნეთ პირველ
ჩუენსა ყოფილნი ანგაჰარნი, არა საფასენი მათნი სხუათა
ჰქონანა, ხოლო იგინი ცეცხლსა შინა იგუემებიან? ვითარ უკუე
არა სიცოფე არს ესევითარი უბადრუტებად, რაათა სიცოცხლე-
საცა შრომასა და ბოროტსა შინა ვიყვნეთ და, წარ-რაჲ-ვიდეთ
მიერ საუკუნოდ, ბოროტად ვიტანჯებოდით? ვიქმოდით მოწყ-
ალებასა, რაათა აქაცა განსუენებაჲ ვპოოთ და მუნ სასუ-
ფეველი ცათაჲ დავიმკვდროთ, რამეთუ, ვითარცა ცოდვად
პირველ გეჰენისსაცა აქავე სტანჯავს მხილებითა მით გონე-
ბისაჲთა მოქმედთა მისთა, ეგრეთვე სათნობებაჲ პირველ სა-
სუფეველისსაცა მოქმედთა მისთა სასოებითა კეთილითა ახა-
დაჲსი ვიღუაწოთ უკუე ჩუენცა, რაათა ესევითარი მოქალა-

ქობაჲ გუაქუნდეს, რაჲთა აქაცა განვისუენოთ და მუნ საუ-
კუნეთა კეთილთა მივემთხვენეთ მადლითა და კაცთმოყუარე-
ბითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს
დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ა

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „გამოიძიეთ წიგნთაგან, რამეთუ
თქუნ ჰგონებთ თავთა თქუენთა, ვითარმედ ცხორებაჲ გაქუს
საუკუნოჲ მათ მიერ, და იგინი არიან, რომელნი წამებენ
ჩემთვის, და თქუნ არა გნებავს მოსლვად ჩემდა. რაჲთა ცხო-
რებაჲ საუკუნოჲ გაქუნდეს“ (5,39—40). თ ა რ გ მ ა ნ ი :
ფრიადი მოსწრაფებაჲ მოვიგოთ, საყუარელნო, საღმრთოთა
სიტყუათა გულისხმის-ყოფისათუს, და ნუ ესრეთ ლიტონად
და უგულისხმოდ ვიკითხავთ მათ, რამეთუ ამისთვის ქრისტე
უფალი ეტყოდა რაჲ ჰურიათა, წერილთათუს არა ჰრქუა, თუ:
„იკითხედით“ ოდენ, არამედ: „გამოეძიებდითო“, რამეთუ
ვინამთგან მისთვის თქუმულნი იგი სიტყუანი ფრიადისა გამო-
ძიებისა ღირს იყვნეს, რამეთუ პირველითგან დაფარულად და
იგავით თქუმულ იყვნეს უმჯობესისათუს. ამისთვის უბრძანებთ
კეთილად გამოძიებისათუს, რაჲთა პოვნენ სიღრმესა მათსა
შინა დაფარულნი საიდუმლონი, რამეთუ არა თუ ზედაპირსა
იდვა საიდუმლოჲ იგი, არამედ, ვითარცა საუნჯე დიდი, სიღრ-
მეთა დაფარულ იყო და რომელი არა ეძიებდეს მოსწრაფებით,
სიღრმესა შინა დამარხულსა ვერ ჰპოვებს. ამისთვის თქუა:
„გამოიძიეთ წიგნთაგან, რამეთუ თქუნ ჰგონებთ თავთა თქუ-
ენთა, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ მათ მიერ“. არა
თქუა თუ: „გაქუს ცხორებაჲ“, არამედ „ჰგონებთო“, რამეთუ
უჩუენებს, ვითარმედ არცარას მათ მიერ ირგებდეს, რომელნი-
იგი ჰგონებდეს, ვითარმედ კითხვითა ოდენ ცხოვნდებიან, ხო-
ლო სიტყუაჲ ესე ესევეთარი არს, ვითარმედ: „არა იტყვთა
თქუნ, ვითარმედ: „წერილნი ჰეშმარიტ არიან და მიზეზ
ცხოვრებისა“, და მეცა უკუე მათ მიერ მოვიღებ წამებასა,
რამეთუ იგინი წამებენ ჩემთვის, და არა გნებავს მოსლვაჲ

ჩემდა, რაფთა ცხორებამ საუკუნომ გაქუნდეს“. ხოლო ვინა-
ათგან მრავალი ღონს ქმნა, რაფთამცა ჰრწმენა მათ მისი და
იოვანეს წამებამ მოაქსენა, და საქმეთა თესთამ და მამისა-
მიერი, და რაფთა ვერ თქუან მათ, ვითარმედ: „დიდებამ კაც-
თამიერი ჰნებავს მას“. და ამისთვის იტყუს სიტყუათა მათ და
მოიყვანებს სარწმუნოებად მისა. ამისთვის ჰრქუა მათ უფალ-
მან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „დიდებამ კაცთაგან არა მოვიღებ“
(5,41). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ესე იგი ა¹, ვითარმედ არა მექმა-
რების, არა ესევითარი არს ბუნებამ ჩემი, რაფთამცა მექმა-
რებოდა კაცთამიერი დიდებამ, რამეთუ, უკუეთუ მზს სანთ-
ლისა მცირისაგან შემატებასა ნათლისასა არა მიიღებს, არა
უფრომად მემცა შორს ვიყავა კაცობრივისა დიდებისა ჯმა-
რებისაგან? არამედ ამას ვიტყვ, რაფთა თქუენ სცხოვნდეთ.
და კუალად სხუამცა მიზეზი თქუა ამისთვის:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „არამედ გიცნი თქუენ, რამეთუ სიყუა-
რული ღმრთისამ არა გაქუს თავისა თქუენისა თანა“ (5,42).
თ ა რ გ მ ა ნ ი: ხოლო ვინათგან იგინი იტყოდეს, თუ:
„ღმერთი გყუარს და ამისთვის გდევნით შენ, რამეთუ სწორ
ღმრთისა ჰყოფ თავსა შენსა“ და უფალმან იცოდა, ვითარმედ
არა ეგულების რწმუნებამ მისი, და რაფთა არა ვინ თქუას,
ვითარმედ: „უკუეთუ კაცთა დიდებამ არა გიქმს, რად იტყვ
ესევითართა სიტყუათა?“ ამისთვის თქუა, ვითარმედ: „ვიტყვ
ამათ სიტყუათა, რაფთა გამხილო თქუენ, ვითარმედ არა
ღმრთისა სიყუარულისათვის მდევნით მე, რამეთუ ვინათგან
გიჩუენე, ვითარმედ იგი წამებს ჩემთვის, უკუეთუმცა მისთვის
მდევნიდით, არამცა მოხუედითა აწ ჩემდა მომართ, უკუე-
თუმცა ღმერთი გიყუარდა? არამედ არა არს თქუენ თანა სი-
ყუარული ღმრთისამ“. და ამისთვის სხუამცა სასწაული უჩუე-
ნა მათ არასიყუარულისა ღმრთისამ და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისამათა,
არა შემინწყნარეთ მე, უკუეთუ სხუამ მოვიდეს სახელითა
თესითა, იგი შეინწყნაროთ?“ (5,43). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ჰხედავა,
ვითარ ყოვლით კერძო ისწრაფა, რაფთა მიზეზი მოუწყუდოს?
და ამისთვის თქუა, ვითარმედ: „მამამან მომავლინა“, რაფთა
არღარა აქუნდეს სიტყუამ. ხოლო ვინ იტყუს, თუ: „თესითა

სახელითა მოვიდეს“, ანტესა მოასწავებს აქა და გამოაჩინებს გარდამატებულსა მათსა უგულისკმობასა. რამეთუ უკუეთუმცა ღმრთისა სიყუარულისათვის მდევნიდით, არა უფროსად ანტისა ჯერ-იყოა დევნა? რამეთუ მან ესევეითარი არარაა თქუას, არცა თუ მამისა მიერ მოვლინებად, არამედ ყოველი წინააღმდეგომი, და მძლავრებით მისა მიიტაცებდეს, და ყოვლითურთ ღმრთად იტყოდის თავსა თვსსა. რამეთუ ესე არს სახელითა თვისითა მოსლვაჲ, ხოლო მე არა ესრეთ, არამედ სახელითა მამისაჲთა მოვედ. და ვინაჲთგან, რომელი იტყოდა ღმრთისა მიერ მოვლინებულად, არა შეიწყნარეს, ხოლო რომელსა ეგულეების სახელითა თვისითა მოსლვაჲ და თქუმაჲ, ვითარმედ: „მე ვარ ღმერთი“, მისი გეგულეების თაყუანისცემაჲ. ესე სასწაული არს, ვითარმედ შურითა და სიძულილითა ღმრთისაჲთა სდევნიდეს მას. ამისთვის ესე ორნი მიზეზნი დასხნა სიტყუათა თვსთანი: ერთად; მათი ცხობებაჲ, „რათა თქუენ სცხოვნიდეთო“, და: „რათა ცხობებაჲ გაქუნიდეს“. და ვინაჲთგან ეგულეობდა მისი კიცხევაჲ, ჰრქუა მეორცა მიზეზი, უკეთურებისა მათისა გამოაჩინებელი, რამეთუ პავლე ანტისათვის თქუა. წინააღმართეულებით: „მოავლინოს ღმერთმან ძალი საცთურისაჲ, რათა განსაჯნეს ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა ჰეშმარიტებაჲ“. ¹ ხოლო ჰრისტემან არა თქუა, ვითარმედ: „მოვიდეს“, არამედ: „უკუეთუ მოვიდესო“. რამეთუ ერიდებოდა მსმენელთა მათ და ამისთვის დაიდუმა მიზეზი მოსლვისა მისისაჲ, ხოლო პავლე მიზეზიცა თქუა: „რამეთუ იგი არს, რომელმან ყოველი სიტყუაჲ მიუღოს მათ“. და ამისა შემდგომად მიზეზიცა თქუა მათისა ურწმუნოებისაჲ უფალმან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ვითარ კელ-გეწიფების რწმუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ, და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებთ“ (5,44). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და ამითცა სიტყუთა გამოაჩინებს, ვითარმედ არა ღმრთისასა ეძიებდეს იგინი, არამედ მით მიზეზითა თვსსა ნებასა აღასრულებდეს, რამეთუ იგინი არა ღმრთისასა ეძიებდეს, არამედ კაცთა დიდებასა. ხოლო გამოაჩინა რაჲ მრავლით კერძო, ვი-

¹ II ტიმ. 3,10—11

თარმედ სიყუარული ღმრთისაჲ არა აქუს და ამხილა ცხადად, ვითარმედ ყოველი სიტყუაჲ მიღებულ არს მათგან, მერმე მოიყვანა მოსეცა შემასმენელად მათა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინენ თქუნ მამასა, არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუნ ესავთ. უკუეთუმცა გრწმენა მოსცსი, გრწმენა ჩემი-ცამცა, რამეთუ მან ჩემთვის დაწერა. უკუეთუ წიგნთა მისთაჲ არა გრწამს, ვითარმე სიტყუათა ჩემთაჲ გრწმენეს?“ (5,45).

თ ა რ გ მ ა ნ ი: სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყუს, ესევეითარი არს, ვითარმედ: „ჩემითა შეურაცხებითა ჩემსა უწინარეს მას აგინებთ, რამეთუ მოსეს უფრო ურწმუნო ექმნენით, ვიდრეღა მე“. ჰხედავა, ვითარ ყოველივე სიტყუაჲ მოუღო მათ, რამე-თუ იტყუს, ვითარმედ: „იტყოდეთ, თუ: „ღმერთი გყუარს“, და გამოვაჩინო, ვინაჲთგან მე მღევნით, არა გიყუარს; იტყო-დეთ, ვითარმედ: „შაბათსა დაჰქსნი და შჯულსა გარდახუალ“, ეგეცა შესმენაჲ გამოვაჩინე; ანუ რად იტყუთ, თუ: „მოსცსსა ვისმენთ“, და სიტყუათა მისთათჳს მღევნით? გამომიჩინებიეს, ვითარმედ ჩემითა ღევნითა უფროჲსად შეურაცხ-ჰყოფთ მოსეს. და უფროჲს ყოველთა მან შეგასმინენს თქუნ“, და ესრეთ დაუყო მათ პირი, რაჟამს უჩუენა, ვითარმედ არცა მოსცსი ჰრწამს, რამეთუ მან თქუა, ვითარმედ: „უკუეთუ ვინ-მე მოვიდეს, და იქმოდის სასწაულთა, და მიგიყვანებდეს ღმრთისა და მომავალსა ყოველსა ჰეშმარიტებით იტყოდის. გრწმენინ-მისი“. და ესე ყოველი ქმნა ქრისტემან, რამეთუ სასწაულნი ქმნნა ჰეშმარიტებით, და ყოველთა ღმრთისა მიიყვანებდა და მომავალსა ყოველსა იტყოდა, და არა ჰრწმენა-უკუეთუ კულა თქუა, ვითარმედ: „მე წამებასა კაცისაგან არა მოვიღებ“, და აწ მოსე მოიყვანა მოწამედ. ნუ გიკვრს, რა-მეთუ არა მოსე, არამედ სიტყუანი ღმრთისანი მოიხუნა მოწა-მედ და პირი მოსცსი ავსენა, რაჲთამცა უფროჲსად შეაშინნა იგინი. ხოლო გულისკმა-ყავ, ვითარ სიტყუაჲ დაუღია, რამე-თუ იტყოდეს, ვითარმედ: „სიყუარულისათჳს ღმრთისა ვსდევ-ნით“; უჩუენა, ვითარმედ სიძულილისაგან ღმრთისა იქმოდეს-ამას; კულად იტყოდეს, ვითარმედ: „მოსცსი გურწამს“, უჩუენა, ვითარმედ არა ჰრწმენა მოსესი და ამისთჳს იქმო-დეს ამას, რამეთუ, უკუეთუ ღმერთი გიყუარსო, ჯერ-არს

ჩემიცა სიყუარული, უკუეთუ მოსცის გრწამს, ჯერ-არს, რა-
თა ჩემიცა გრწამენს და თაყუანის-მცეთ, რომლისათჳს მან
ქადაგა. უკუეთუ მისდა ურწმუნო ხართ, რაჲ საკურველ არს,
უკუეთუ ჩემდაცა ურწმუნო იყენეთ?“ და ამას ყოველსა ზედა
არა მოიქცეს, რამეთუ ესევითარი არს უკეთურებაჲ, რაოდენ-
საცა ვინ იტყოდის და იქმოდის, არა მოღრკების, არამედ
თჳსივე გესლი აქუს.

ს წ ა ვ ლ ა მ ა

ვითარმედ არარაჲ ესრეთ განაბრძნობს კაცსა, ვითარ
სათნოებაჲ და ვითარმედ ყოველი ბოროტი
უკეთურებისაგან მიიღებს დასაბამსა

ამისთჳს უკუე ვისწრაფოთ, რაჲთა ყოველი უკეთურებაჲ
განვდევნოთ სულთაგან ჩუენთა და არაოდეს ვიქმოდით ზა-
კუვასა, რმეთუ გულარძნილთა მიმართ გულარძნილნი გზანი
მიავლინენს უფალმან ღმერთმან, და წმიდაჲ იგი სული
ღმრთისაჲ ივლტის ზაკუვისაგან და ზრახებათაგან ბოროტთა,
რამეთუ არარაჲ ესრეთ ცოფ-ჰყოფს კაცსა, ვითარ უკეთუ-
რებაჲ, და არარაჲ ესრეთ განაბრძნობს კაცსა, ვითარ სათ-
ნოებაჲ; რამეთუ ჰყოფს კაცსა სათნოებაჲ მადლიერ, კაცთ-
მოყუარე, მშუდ და ტკბილ, და რაჲმცა იყო ესევითარისა მის
უბრძნეს, რამეთუ წყაროჲ და ძირი სიბრძნისაჲ სათნოებაჲ
არს, ვითარცა-იგი ყოვლისა უკეთურებისა. დაწყებაჲ
უგუნურებისაგან არს, რამეთუ ამპარტავანი და მრისხანე
ნაკლულევანებისაგან ცნობისა იძლევის ვნებათა მათგან.
ამისთჳცა წინამსწარმეტყუელი იტყოდა: „არა არს კურნებაჲ
ჯორცთა ჩემთაჲ პირისაგან უგუნურებისა ჩემისა“,¹ რაჲთამ-
ცა გჳჩუენა, ვითარმედ ყოველი ცოდვაჲ დაწყებასა უგუნუ-
რებისაგან მიიღებს, და სათნოჲ და მოშიში უფლისაჲ უბრძნეს

¹ .ფს. 37,4—6

ყოველთასა არს, რამეთუ „დასაბამი სობრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ“,¹ და ვინამთგან სობრძნე შიში უფლისაჲ არს, ხოლო უკეთურსა შიში უფლისაჲ არა აქუს, სობრძნისაგან სამე გამოკუებულ არს, და უუგუნურეს არს ყოველთასა. და მრავალნი უკეთურთა ბრძნად უწოდენ, რამეთუ ავნებენ სხუათა კელოვნად. და არა იციან, ვითარმედ ესე არს დიდი უგუნურებაჲ, რამეთუ, რომელი სხუასა ავნებდეს, არა მას ავნებს, არამედ თვისა გულსა განსწონს მასვლსა და ვერ გულისკმაჲ-ჰყოფს. და ესე არს დიდისა უგუნურებისა სასწაული, არამედ ჩუენ ნუმცა ჰირვეულთა და სხუათაგან ვნებათა სახელს-ვსდებთ უბადრუკად, არამედ უფრომად მავნებელთა და მაჰირვებელთა მათთა, რამეთუ იგინი არიან ვნებულნი, რომელნი ღმრთისა მბრძოლად აღიდგენენ თავთა თვისთათს და ბევრეულთა შესმენათა პირსა აღუღებენ, და დიდსა საშ-ჯელსა განიმზადებენ ჯოჯოხეთს შინა, ხოლო, რომელნი ჰირ-ვეულნი იყვნენ და მოითმენდენ, მათ ღმერთიკა სწყალობს და ყოველნი კაცნი, და ამასცა სოფელსა სობრძნესა თვისა აჩუენებენ და მას საუკუნესა დაუსრულებელთა კეთილთა ჰპოვებენ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრის-ტმსითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დი-დებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუ-ნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ბ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : ამისა შემდგომად წიად-კდა იესუ ზღუასა მას გალილეამასა, რომელ არს ტიბერიისაჲ, და მის-დევდა მას ერი მრავალი, რამეთუ ჰხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა უძლურთა ზედა. და აღვიდა მთასა იესუ და დაჯდა მოწაფეთა თვისთა თანა. და იყო მოახლოებულ პასქაჲ, დღესასწაული ჰურიათაჲ (6,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ბოროტთა კაცთა ნუმცა ფრიად აღვერევით, ძმანო, არამედ, ოდეს ჩუენსა სათნოებასა არა ევნებოდის, ადგილ-ვსცემდეთ მათსა უკეთუ-

¹ ივანე 1,7

რებასა და განვეშორებოდით, რამეთუ, აჰა, ესერა, უფალი ფრიადისა მის ფარისეველთა და სხუათა ჰურიათა უკეთურებისათს მივიდა გალილეას, რამეთამცა შური და რისხვამ მათი დაშრიტა. და აწ კუალად წიალცდა ზღუასა მას და წარვიდა მთად კერძო. და მისდევდა მას ერი მრავალი, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა. გარნა არა იტყუს მახარებელი თვთოეულად სასწაულთა მათ, რამეთუ ამან ისწრაფა, რამეთამცა უფროსად სწავლანი უფლისანი, რომელნი ჰრქუნა ჰურიათა, იგინიმცა მოგვთხრნა. და აჰა, ესერა, წელიწდისამ მის არარამ სასწაული თქუა, გარნა ოდენ განრღეულისამ მის და ძისა სამეუფოვსა მის კაცისამ, რამეთუ შეუძლებელ იყო ყოველთა სასწაულთა მისთა თქუმაჲ. ამისთვის მრავლისაგან მცირედი მოგვთხრა. ხოლო იხილეთ სიზრქე გონებისა ერისამ მის, რამეთუ ესეოდენთა სასწაულთა ზედა ჯერეთ სასწაულთათსვე შეუდგეს და არა სიტყუათა მისთათს, რომელ-ესე ზრქელისა გონებისა საქმე არს, რამეთუ სასწაული ურწმუნოთათსო, არა მორწმუნეთა ხოლო. რამსათს აღვიდა მთად? გარნა ამისთვის, რამთა გუასწავოს ჩუენცა სიყუარული უდაბნოვსამ და სივლტოლამ შფოთთაგან, რამეთუ კეთილ არს უდაბნოჲ და საყუარელ, და ამისთვის უფალი მრავალგზის მარტომ ივლტოდის მთად და ილოცავნ, რამთა გუასწავოს, ვითარმედ რომელსა ენებოს მიახლებამ დმრთისამ, შფოთთაგან შორს უკმს ყოფამ, ხოლო აწ აღვიდეს მოწაფენი ოდენ, რამეთუ სხუამ იგი ერი ურწმუნოებისათს არა აღვიდა მათ თანა მთად, არამედ უკუანამსკნელ მივიდეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : იყო მოახლებულ პასქამ, დღესასწაული ჰურიათამ, აღიხილნა იესუ და იხილა მრავალი ერი მოსრული მისა (6,4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამსათს, რომელ პასქასა ყოველნი იერუსალმედ მივიდოდეს, და უფალი გალილედ? რამეთუ იწყო მცირედ-მცირედ უკეთურებისათს ჰურიათამსა თანაწარსლვად დღესასწაულთა მათთა, ხოლო ჯდა მოწაფეთა თანა სიმდაბლით, და ვითარ მე ვჰგონებ, საიდუმლოთა რათმე ასწავებდა მათ. ამისთვისცა შექცეულ იყო მათ, და აღიხილნა თუალნი და იხილა მოსრული ერი. და იტყვან სხუანი მახარებელნი, ვითარმედ: მოწაფენი მოუკდეს და ეტყოდეს უფალსა ერისათს. ხოლო ესე იტყუს, ვითარმედ ფილიპეს ჰკითხა

უფალმან, და ორივე ესე ჭეშმარიტ არს, გარნა არა ერთსა ჟამსა ქმნილ არს ორივე ესე, და რომელსა იგინი იტყუან, არამედ იგი იქმნა პირველად, რომელსა სხუანი მახარებელნი იტყუან. და ესე იქმნა უკუანაესკნელ. ხოლო რადასათუს ჰკითხა ფილიპეს, გარნა რამეთუ თავადმან იცოდა, თუ რომელთა მოწაფეთა უქმს უმეტესი სწავლაჲ. რამეთუ ესე არს, რომელსა ეგულეობს შემდგომად ამისა თქუმად, ვითარმედ: „გუჩუებე ჩუენ მამაჲ შენი“.¹ და ამისთვის პირველთგანვე განამტკიცებდა მას და ასწავებდა. და აწცა ჰკითხა პირველად და მან აღიარა უქონელობაჲ მათი, რომელი აქუნდა, და ვითარმედ: „ორისა დრაჰკნისა პური ერისა ამისთვის ვერ კმა არს“,² და ვითარცა აღიარა პირითა თესითა საქმისა მის სიდიდჲ, მაშინ ქმნა იესუ სასწაული იგი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო ამას იტყოდა და გამოსცდიდა მას, რამეთუ თავადმან იცოდა, რაჲ ეგულეობდა ყოფად (6,6).
თ ა რ გ მ ა ნ ი : რაჲ არს სიტყუაჲ ესე, თუ: „გ ა მ ო ს ც დ ი დ ა“? რაჲ ეგულეობდა მას თქუმად? რამეთუ ყოველივე პირველ ქმნისა და თქუმისა იცოდა, არამედ, რაჲ არს სიტყუაჲ ესე, ძეელისაგან გულისხმა-ყავ, რამეთუ მუნ იტყუს, ვითარმედ: „ღმერთი გამოსცდიდა აბრაჰამს“,³ არცა მუნ იტყუს ამას, თუ შემდგომად გამოცდისა სცნობდა საქმისა მის აღსასრულსა, თუ უსმინოს, ანუ არა. ნუ იყოფინ! რამეთუ ვითარმცა ეგულეობდა ესე მისთვის, რომელმან ყოველივე პირველ ყოფისა იცის, არამედ ორივე ესე კაცობრივ თქუმულ არს. რამეთუ, ვითარცა რაჟამს იტყოდის, ვითარმედ რომელი გამოეძიებს გულსა კაცთასა, არა ამას იტყუს, თუ არა იცის და ეძიებს ცნობად, არამედ მოასწავებს ჭეშმარიტსა მას მეცნიერებასა მისსა. ეგრეთვე ოდეს თქუას, თუ: „გ ა მ ო ს ც დ ი დ ა“, არარას სხუასა იტყუს, გარნა ამას, ვითარმედ იცოდა კეთილად და ენება, რაჲთამცა იგიცა გამოცდილ იქმნა და მტკიცე და, ვითარცა აბრაჰამ, ეგრეთვე ესე კითხვითა თესითა მოიყვანა უზეშთაესისა სასწაულისა მის გულისხმის-ყოფასა. ამისთვისცა, რაჲთა არა უძლურებისათეს სიტყუსა ამის ბორო-

¹ იო:5. 14,8

² იოან. 6,7

³ დაბ. 22,1

ტი რამე მოიგონო, თქუა მახარებელმან, ვითარმედ: „თავადმან იცოდა, რაა ეგულებოდა ყოფად“. რამეთუ, სადაცა იქვ ბოროტი შემოვიდოდეს, ისწრაფის მახარებელი განმართლებად მისა. ხოლო ჰკითხა რაა უფალმან ფილაპეს, მიუგო მას ანდრია:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „არს აქა ყრმაი, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისა და ორი თევზი. არამედ ესე რაა არს ესეოდენტა წინაშე?“ (6,9). თ ა რ გ მ ა ნ ი: უმაღლეს იყო ესე გონებითა ფილიპესა, გარნა არცა ესე იყო სისრულესა მიწუდომილ და ვითარ ჰგონებ, გულისხმა-ყვნა სასწაულნი წინამწარმეტყუელთა მიერ ქმნულნი? და ვითარ ელისე ქმნა სასწაულნი პურთა მათ ზედა, გარნა სრულად ვერ ეძლო გულისხმის-ყოფად, რამეთუ ჰგონებდა, თუ მცირედისაგან მცირედი განამრავლოს და ფრიადისაგან ფრიადი, რამეთუ არა იცოდა, ვითარმედ მისდა ადვილ იყო მცირედისაგანცა და ფრიადისა სწორად განმრავლებად პურთა მათ. და არა თუ ნივთი უკმდა მას წინამდებარედ, არამედ რაათა არა ვინ თქუას, თუ: „დაბადებულნი უცხო არიან მისისა სიბრძნისაგან“, ვითარცა იკადრა ამისა შემდგომად მარკიონ თქუამდ, ამისთვის: „დაბადებულთაგან მოილო ნივთი სასწაულისა ამის ქმნად“? და ვინაითგან ორთავე მათ მოწაფეთა წარაწირეს სასოებად პურისა, მაშინ იწყო ქმნად სასწაულისა და გამოაჩინა უზეშთაესობად სასწაულისა მის უფრომს წინამწარმეტყუელთა მიერ ქმნილასა. და ვიდრე პურნი არღარასადა ჩნდეს, რაათა სცნა, ვითარმედ არარსი, ვითარცა არსი, არს წინაშე მისა, ვითარცა პავლე იტყუს, ვითარმედ: „რომელმან მოუწოდის არარსთა, ვითარცა არსთა“.¹ ამისთვის აქაცა პირველ პურთა მოღებისა, ვითარცა გზასა ზედა ტაბლასა, უბრძანა დასხდომად ერსა მის, რაათა გონებასაცა მოწაფეთასა არგოს, ხოლო იგინი კითხვისა მისგან მოსრულ იყვნეს გულისხმის-ყოფად. ამისთვის შეუორგულებელად იქმოდეს ბრძანებასა მისსა და დასხმიდეს ერსა მას. არცა თქუეს, თუ: „რაა არს ესე? ჩანს არარაა, და უბრძანებ დასხდომასა ერისასა“? არამედ რომელნი-იგი პირველ ურწმუნო იყვნეს და იტყოდეს: „ვინაა ვიყიდოთ

¹ რომ. 4,17

პერი?¹ აწ პირველ ხილვისაჲ მოვიდეს სარწმუნოებად, ხოლო რაჲ არს, რომელ განრდელუსა რაჲ განკურნებულა და სხუათა სასწაულთა იქმოდა, არა ილოცა, და აქა ილოცავს? რაჲთა გუასწაოს საზრდელისა ქამსა ლოცვაჲ და კუალად ამისთვის, რამეთუ უდარცსთა მათ სასწაულთა ზედა ილოცავს, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ არა თუ ლოცვაჲ ეკმარების. რამეთუ უკუეთუმცა ეკმარებოდა, არამცა უფრომსად უზემთაესთა მათ ზედა იქმოდა? და რომელი მათ დიდთა სასწაულთა კელმწიფებით იქმოდა, საცნაურ არს, ვითარმედ აქაც არად ეკმარებოდა ლოცვაჲ, არამედ ერა ბრავალი იყო და ენება, რაჲთამცა ჰრწმენა მათ, ვითარმედ ნებითა ღმრთისაჲთა მოსრულ არს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : და მოიხუნა იესუ პური იგი, ჰმადლობდა და მიხცემდა, რომელნი-იგი დასხმიდეს, და ეგრეთვე თევზთა მათგანნი, რაოდენი-იგი უნდა მათ. და ვითარცა განძღეს, ჰრქუა იესუ მოწაფეთა თვსთა: „შეკრიბეთ ნეშტი ეგენამუსრევი“. ხოლო მათ შეკრიბეს და ადავსეს ათორმეტი გოდორი“ (6,11). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილეა, რაოდენი განყოფილებაჲ არს შორის მონათა და მეუფისა? რამეთუ მათ ზომითა აქუნდა მადლი და ესრეთ იქმოდეს სასწაულთა, ხოლო ღმერთი უშურველითა ძალითა იქმს ყოვლისავე, ხოლო დაშთა ნეშტი იგი. არა თუ ამისთვის ქმნა, რაჲთამცა იხილეს კაცთა. არამედ რაჲთა არავინ თქუას, თუ: „უცნებაჲ იყო საქმე იგი“.. ამისთვისცა წინამდებარისა ნავთისაგან ქმნა იგი, ხოლო რაჲმსათვის, რომელ მოწაფეთა ეტურთა გოდრები? ამისთვის, რამეთუ ენება, რაჲთამცა კეთილად სწავლულ იქმნნეს იგანი, რომელთა ეგულებოდა მოძღურებაჲ ყოვლისა სოფლისაჲ. და იყო ესე იუდაისიკა არამცირედი საშველი, რამეთუ ეტურთა მასცა გოდორი. და რაჲთა სცნა, ვითარმედ მათსა სწავლისათვის ქმნა, ისმინე, ვითარ უკუანაძეკნელ მოაქსენებდა, ვითარმედ: „არა გულისხმა-ჰყავთა, რაოდენი გოდორი აღილეთ“? და რამეთუ სწორად რიცხვსა მის მოწაფეთაჲსა იყვნეს გოდორნი. ხოლო კუალად სხუასა ქამსა, რამეთუ უფრო სწავლულ იყვნეს, შუდი აღილეს და არა ათორმეტი, რამეთუ რაო-

¹ იოან. 6,5

დენი ენების, ესოდენი ყვის ნეშტი იგი. და პურთათეს იქმნა დაშთომამ, რაათა არა უცნებად შეირაცხოს, ხოლო თევზთათეს მაშინ არარაჲ იქმნა დაშთომამ, არამედ შემდგომად აღდგომისა თნიერ წინამდებარისა ნივთისა იხილვა თევზი, რაათა სცნა, ვითარმედ აწცა არა თუ ნაკლულევანებისათეს ივმარა ნივთი იგი, არამედ რაათა დაუყვენეს პირნი მწვალებელთანი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო ერი იგი იტყოდა: „ესე არს ქეშ-მარიტად წინაჲსწარმეტყუელი“ (6,14). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** მ, ნაყროვანებისა გარდამატებულებაჲ! ბევრეულნი ამისა უსაკ-ვრველჴსნი ქმნნა, და არა სადა მოიგონნეს ესენი და აწ, ოდეს მუცელი აღმოივსეს, მაშინ წინაჲსწარმეტყუელად აღიარეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო იესუ გულისხმა-ყო, რამეთუ მო-ვიდოდეს წარტაცებად მისა, რაათამცა ყვეს იგი მეფე, გა-ნეშორა და წარვიდა იგი მარტოჲ“ (6,15). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** იხილეთ ბუნებათა მათთა სისუბუქჴ, არლარა შაბათისა დაქს-ნაჲ იზრუნეს, არცა შჯულისაჲ რაჲ მოიგონეს; რომელსა პირ-ველ იტყოდეს, არამედ მუცელი რაჲ აღივსეს, წინაჲსწარ-მეტყუელად ეტყოდეს და მეფედ დასუმაჲ ეგულეზოდა; ხო-ლო ქრისტე ივლტოდა, რაათამცა გუასწავა სოფლისა პატივ-თა შეურაცხებაჲ, და ვითარმედ არარაჲ უვმს მას ქუეყანისაჲ, რამეთუ ყოველი უნდოჲ გამოირჩია: დედაჲ და სახლი და ქა-ლაქი და ზრდილობაჲ და სამოსელი, და არა უნდა, რაათამცა ქუეყანისა საქმეთა მიერ გამოჩნდა, რამეთუ ზეცისაჲ ყოველი ბრწყინვალე იყო, და დიდად ანგელოზნი და ვარსკულავი და მამაჲ ქადაგებდა; და სული წმიდაჲ წამებდა და წინაჲსწარ-მეტყუელთა პირველვე ეთქუა, ხოლო ქუეყანისაჲ ყოველი უნდოდ აქუნდა, რაათა ესრეთ უფრომსად გამოჩნდეს ძალი მისი, რამეთუ მოვიდა, რაათა გუასწაოს შეურაცხებაჲ სოფ-ლისაჲ. ამისთეს პილატეს ეტყოდა: „მეუფებაჲ ჩემი არა არს ქუეყანისაგან“.1 ხოლო რომელ წინაჲსწარმეტყუელი იტყვს, ვითარმედ: „აჰა, მეუფჴ შენი მოვალს“;2 მეუფებასა ზეცისასა იტყოდა და არა ქუეყანისასა. ამისთეს უფალმან თქუა, ვი-თარმედ: „დიდებაჲ კაცთაგან არა მოვილო“.3

1 იოან. 18,36

2 ზაქ. 9,9

3 იოან. 5,41

ვითარმედ არარაჲ არს სოფლისა ამის დიდებაჲ

ვასწავოთ უკუე, საყუარელნო შეურაცხებაჲ კაცთამიერისა დიდებისაჲ, რამეთუ ჩუენ გუჟქუს პატივი დიდი, რომლისა თანა ესე გინებაჲ არს და შეურაცხებაჲ. ვითარცა სიმდიდრე სოფლისაჲ მას სიმდიდრესა თანა სიგლახაჲე არს და ცხორებაჲ ესე თვნიერ მისა სიკუდილ არს, ეგრეთვე დიდებაჲ ესე მას თანა კიცხევა არს და სირცხულ, რამეთუ „დიდებაჲ კაცისაჲ, ვითარცა ყუავილი არს თივისაჲ“.¹ ხოლო რაჲ არს უდარეს ყუავილისა და თივისა, დაღაცათმცა არა ამოაი იყო, სულსა რაჲმცა არგო? არარაჲ! რამეთუ ავნებსცა უზომოდ და მონათა მონა-ჰყოფს მეძიებელთა მისთა. ხოლო არა უმჯობეს არსა აზნაურებაჲ ვიდრე მონებაჲ, აზნაურებაჲ კაცთაგან და მონებაჲ ღმრთისა? და უკუეთუ გაყუარს დიდებაჲ, უკუდავი იგი დიდებაჲ გიყუარდინ, რომლისა სარგებელი ფრიად არს, რამეთუ უკუდავ არს დიდებაჲ იგი. რაჲ უკუე უმჯობეს არს კაცთამიერი დიდებაჲ, ანუ ღმრთისამიერი, ქუეყანასა ზედა, ანუ ცათა შინა? ერთსა დღესა უმჯობეს არს გვრგვონსებაჲ ანუ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა? მიეც გლახაკსა და ნუ მისცემ მომღერალსა, რაჲთა არა საფასესა შენსა თანა სულიცა შენი წარიწყმიდო და მისიცა. რამეთუ შენ ხარ წარწყმედისა მისისა მიზეზ, რომელი ბოროტისა შისთვის პატივ-სცემ, რამეთუ, უკუეთუმცა იცოდეს მგოსანთა და მომღერალთა, ვითარმედ უსარგებლო არს ჯელოვნებაჲ მათი, ადრევემცა დაცხრომილ იყვნეს საქმისა მისგან. ხოლო ოდეს გხედვიდენ, ვითარმედ გიყუარს საქმე იგი და მისცემ მისთვის ფრიად, დაღაცათუ არა უნდეს, გულისთქუმაჲ საფასეთაჲ აქმნევს. განვეშორნეთ უკუე უსარგებლომსა მის წარსაგებელისაგან, ვიცნათ და გულისხმა-ყვით, თუ სადა ჯერ-არს წარგებაჲ, რაჲთა არა ორკერძოვე ღმერთი განვარისხოთ, რაქამს, სადაჲთ არა ჯერ-იყოს, შევიკრებდეთ, და, სადა არა ჯერ-იყოს, განვაზნევდეთ, რამეთუ ვითარ არა უმჯულოება

¹ ესაია 40,6

არს, რაჟამს გლახაკსა თანაწარჰედე და მეძავსა მისცე, დაღაცათუმცა სიმაართლით მოგეგო საფასჲ იგი? ბოროტვე იყო საქმჲ ესე — სასყიდლად ბოროტისა მიცემად და რომლისათვისცა ტანჯვად ჯერ-იყო მისთვის პატივ-სცემ. ხოლო ოდეს ობოლთაცა განსძარცვიდე და ქურბივთა კმძლავრობდე, და სასყიდელად ცოდვილსა მისცემდე, გულსხმა-ყავ, თუ ვითარსახედ ცეცხლსა მოაწევ სულსა შენსა ზედა. რამეთუ უკუეთუ აქებ მომღერალსა და სათნო-გიჩნს საქმჲ მისი, უადრეს მისა ხარ, რამეთუ მას, დაღაცათუ არა აქუს სიტყუად, გარნა სიგლახაკჲ მიზეზად აქუს, ხოლო შენ რომელი მიზეზი სთქუა, გარნა წარწყმედად სულისად? რად სთქუა სამშჯავროსა მას ზედა დიდსა, სადა გულისსიტყუათათვისცა სიტყუს-მიცემად თანა-გედვას, რომლითა თუალითა იხილო მსაჯულე? რად მიზეზი სთქუა საქმისა მაგის? არა არს მიზეზი, რომელიმცა სთქუ: გარნა სატანჯველი საუკუნოდ დაუსრულებელი, არამედ ღირსმცა ვართ ჩუენ ყოველნი მიმთხუევად სასუფეველსა მისსა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ბ

ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე: და ვითარცა შემწუხრდა, შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად და შევიდეს ნავსა და მივიდოდეს წიად ზღუასა მას კაფარნაუმდ. და შე-ოდენ-რიუენებოდა და არა მოსრულ იყო მათა იესუ. ხოლო ზღუად იგი ქარისაგან დიდისა აღიძრვოდა (6,16—18). თ ა რ გ მ ა ნ ი: არა თუ ოდეს მათ თანა არნ ქრისტე ვორციელად, არამედ ოდეს შორსცა არნ, უმკობესსა განაგებდა. და იხილე, რად ქმნა აქაცა, რამეთუ დაუტევნა მოწაფენი და აღვიდა მათდ. და იგინი შთავიდეს ზღუად, შემწუხრდა რად, ხოლო მწუხრადმდე მოელოდეს მას მოსლვად მათა, და ვითარცა არა მოვიდა, არღარა ელოდეს, არამედ იწყეს ძიებად მოძლუარისა თვისისა. ესოდენ აქუნდა სიყუარული მისა მიმართ, და არა დაერიდნეს არარას, არამედ აღჲდეს ნავად, რამეთუ ამისთვის ეამიცა თქუა

ძახარებელმან. ხოლო ქრისტემან რამსათუს დაუტევნა იგინი და მერმე კუალად ეჩუენა? ამისთუს დაუტევნა, რამთა სურვილი მათი აღორძინდეს, ხოლო ეჩუენა, რამთა ძალი მისი ცნან, რამეთუ ჭერ-იყო, რამეთუ იგინიცამცა ჰხედვიდეს თუსაგან სასწაულთა მისთა, რომელნი-იგი მოძლუარ სოფლისა ყოფად იყვნეს. ამისთუს იხილნეს სასწაულნი თუსაგან: ფერის-ცვალებად და ესე აწ ზღუასა ზედა, და შემდგომად აღდგომისა, და სხუანი მრავალნი. ხოლო მოვიდოდეს კათარნაუმდ ძიებად უფლისა. და იყო მწუხრი და ზღუად აღძრულ იყო, და იგინი იყვნეს, ვითარ ოცდახუთ უტევან ზღუასა შინა. და იხილეს იგი ზღუასა ზედა მავალად და შეეშინა,¹ ხოლო თავადმან ჰრქუა: „მე ვარ, ნუ გეშინინ“,² რამეთუ უჩუენა მათ, რამთა ცნან, ვითარმედ იგი არს დამკსნელი ზამთრისად მის. ამისთუსცა ენება რამ აღყვანებად მისი ნავად, იპოვნეს ქუეყანასა, ვიდრეცა ვიდოდეს, ხოლო ერსა მას არა უჩუენა, რამეთუ უზეშთაეს უძლურებისა მათისა იყო სასწაული იგი, არამედ მოწაფეთა უჩუენა, და მეყსეულად უჩინო იქმნა. ხოლო ესე სხუად არს და, რომელსა იტყვს მათე, იგი სხუად არს, სადა პეტრეცა ჰრქუა, ვითარმედ: „მოვიდე შენდა“,³ რამეთუ მრავალგზის ერთი სასწაული ერთგზის და ორგზისცა და სამგზისცა ქმნის, რამთა არა უცხო-უჩინდეს მხილველთა მათ. არამედ სარწმუნოებით შეიწყნარებდენ. ამისთუსცა მამან უცნებად შეჰრაცხეს საქმს იგი და ძალი ჰრწმენა, ხოლო აწ იხილეს რამ, მეყსეულად ცნეს, ვითარმედ უფალი არს. და უფალი არა აღვიდა ნავად, რამთამცა უფრომსად დაუკვრდა, რამეთუ შეუენდო ზამთრისა მოწევნად, რამთა ეძიებდენ უფალსა, და დააცხრვო ზამთარი, რამთა ძალი მისი ცნან და არა აღვიდა ნავად, რამთა სასწაული იგი უზეშთაეს იქმნეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ზვალისაგან ერი იგი, რომელ დგა წიად ზღუასა; უწყოდეს, რამეთუ სხუად ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი, ხოლო რომელსა შესრულ იყვნეს მოწაფენი იესუმსნი, და რამეთუ არა შევიდა მათ თანა იესუ ნავსა მას (6,22).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ამას მოასწაეებს მახარებელი სიტყუათა ამათ-

¹ შდრ. იოან. 6,18—19

² იოან. 6,20

³ შდრ. მათ. 14,28

გან, ვითარმედ ერიცა იგი დალაცათუ არა განცხადებულად, არამედ იქვთრე ჰგონებდა საქმესა მას საკურველსა უფლოსასა, რამეთუ იცოდესო, ვითარმედ სხუამ ნავი არა იყო მუნ, და ესეცა იცოდესო, ვითარმედ არა შევიდა იესუ მოწაფეთა თანა ნავსა მას. და ვითარცა პოვეს იგი კაფარნაუმს, რამცა უკუე მოიგონეს სხუამ, გარნა ვითარმედ ზღუასა ზედა სღვითა მივიდა, და ამას ყოველსა ზედა წარვიდეს რამ და პოვეს, არა ჰრქუეს, თუ: „ვითარ გამოჰვლე“? არამედ: „ოდეს მოხუედო აქა“?¹ გარნა ვითარმედ სიტყუამ ესე, თუ: „ოდეს მოხუედ“, ამისა ნაცვალი იყო, ვითარმედ: „ვითარ მოხუედ?“ ხოლო იხილე სუბუქი იგი და არარას ზედა მტკიცჴ გონებათ მათი, რამეთუ რომელნი იტყოდეს, თუ: „წინამწარმეტყუელი არს“ და ეძიებდეს მეფედ დასუმად, და პოვეს რამ, არარამ ჰრქუეს ესე ვითარი, არამედ სასწაული იგი დაჰვიწყებოდა და სხუასა ეძიებდეს ხილვად. ხოლო კეთილად ყო, რამეთუ მო-რამ-ვიდოდა კაფარნაუმდ ფიცხელთა მათ თანა, პირველად სასწაული იგი პურთამ ქმნა, რამთამცა მოდრკეს გულნი მათნი, არამედ არა მოიქცეს იგინი, გარნა სხუასაცა სასწაულსა ეძიებდეს, რამთამცა კუალად განძლეს პურითა მით.

ს წ ა ვ ლ ა დ მ მ

რამთა სულიერთა და არა სოფლისა საქმეთა
 ვითხოვდეთ ღმრთისაგან

ხოლო ჩუენ ვჰმადლობდეთ ღმერთსა ყოვლისათსუვე ხილულთა ამათ კეთილთა, რომელნი მომცნა ჩუენ, და უფროასლა სულიერთათს, რამეთუ მასცა ესრეთ ჰნებავს და სულიერისათს მოგუცემს ჯორციელსაცა, რამთა ესრეთ გონებითა უძღურნი უფროას მოიზიდნეს და განსწავლნეს. ამისთს გვჰმს, რამთა მარადის სულიერსა ვითხოვდეთ, რა-

¹ იოან. 6,25

მეთუ, უკუეთუ სულიერი კეთილი გუაქუნდეს, კორციელი დაღაცათუ არა გუაქუნდეს, არარას გუევნების. უკუეთუ კულა-კორციელი გუაქუნდეს და სულიერი არარაჲდა იყოს სასო-ებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ, ამისთვის მარადის სულიერსა ვით-ხოვდეთ ღმრთისაგან. და ესრეთცა უსწავებიეს მას ჩუენდა და, უკუეთუ გულისხმა-ყვით ლოცვაჲ, რომელი მან მასწავა-ჩუენ, არარაჲ ვპოვით მას შინა კორციელი, არამედ ყოველი სულიერი. ხოლო ისმინეთ, ვითარ სულიერ არს ყოვლითურთ: „მამო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი. შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი ვითარცა-ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა. პური ესე არსობისაჲ მომეც ჩუენ ღღეს“.¹ ესე მცირე სიტყუაჲ თქუა ხილული-სათვს, და ესეცა სულიერი და წმიდაჲ. და მეყსეულად კუა-ლად იტყუს: „მოგვტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარ-ცა ჩუენ მიუტევენთ თანამდებთა მათ ჩუენთა“.² არარაჲ დადვა დიდებისა კორციელისა, ანუ სიმდიდრისა, ანუ სხუსა. რაჲსამე თხოვაჲ, არამედ ყოველივე სულიერი და ზეცისაჲ. ვითარ უკუე არა უბადრუკება არს, უკუეთუ ვითხოვდეთ ღმრთისაგან, რაჲ-იგი მას არა უბრძანებიეს, რაჲთა, დაღაცა-თუ რაჲ გუაქუნდეს, და-ვე-უტეოთ, რამეთუ ესე არს მრავალმეტყუელებაჲ ლოცვასა შინა, რაჲჲმს კორცთასა რას-ვითხოვდეთ. უკუეთუ კულა ვინ თქუას, თუ: „ვითარ უკე-თურნი განმდიდრდებიან“? გულისხმა-ყავთ, ვითარმედ უკე-თურთა არა თუ ღმერთი მისცემს სიმდიდრესა, არამედ თვთ მოტაცებითა და ანგაპრებითა მოიგებენ. და თუ სთქუა, ვი-თარმედ: „რად შეუნდობს ღმერთი“? გულისხმა-ყავთ, რამე-თუ ღმერთმან მასცა მდიდარსა მიუშუა განმდიდრებად, რაჲ-თა უკეთურებისა თვისისათვს უმეტესად დაისაჯოს. და მისთვის აბრაჲამ ეტყოდა: „შვილო, მიგიღებიეს კეთილი შენი ცხო-რებასა შენსა“,³ არამედ რაჲთა არა ჩუენცა იგივე კმაჲ: გუესმეს, შეებითა და ცოდვათა შინა ყოფითა ჩუენითა. ამისთვის მოვიგოთ ჭეშმარიტი იგი სიმდიდრჲ და რაჲთა საუ-კუნეთა კეთილთა მივემთხვნეთ მაღლითა და კაცთმოყუარე-

¹ მათ. 6,9—11; ლუკ. 11,2—3

² მათ. 6,12

³ ლუკ. 16,25

ბითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებამ და სიმტკიცემ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ღ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: „ამენ, ამენ, გეტყვ თქუენ, რამეთუ მეძიებთ მე არა თუ, რამეთუ ოხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ შჳამეთ პურთა მათგან, და განსძელით. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ“ (6,26—27). თ ა რ გ მ ა ნ ი: სიტკბოებამ და არამხილებამ არა მარადის კეთილ არს, არამედ რომელსამე ადგილსა სიფიცხლმცა კმუენის მოძღუარსა, რამეთუ, რაჲმს მოწაფემ უღები და დაქსნილი იყოს, მაშინ საწერტელი უქმს. რაჲთა მისი უღებამ მცირედ აღემართოს. და ეგრეთვე ძემან ღმრთისამან ქმნა სხუათა მრავალთა ადგილთა, არამედ აქაცა. რამეთუ მო-რაჲ-ვიდა ერი იგი და ეტყოდეს მას: „რაბი, ოდეს მოხუედ აქა“? უნდა უფალსა, რაჲთამცა გამოაჩინა, ვითარმედ არა ეძიებს კაცთა დიდებასა, არამედ ცხორებასა ოდენ სულისა მათისასა ეძიებს. ამისთვის მხილებით ჰრქუა, რაჲთამცა ცნობამცა მათი განჰმართა, დაფარული გონებისა მათისაჲ განაცხადა, რამეთუ ჰრქუა მათ: „ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: არა თუ სასწაულთათვის მეძიებთ, არამედ რამეთუ შჳამეთ და განსძელით“. ამხილა, არამედ სიტკბოებითვე და არა ფიცხლად, და უჩუენა, ვითარმედ არა თუ სასწაულისა მისთვის გიკვრსო, არამედ განძლომისათვის. და ამისთვის შემდგომად მცირედისა გამოჩნდა გონებამ მათი, რამეთუ ჰრქუეს, ვითარმედ: „სასწაულსა რასა მიჩუენებ? მამათა ჩუენთა ჰამეს მანანაჲ უდაბნოსა, რამეთუ საზრდელსავე ეძიებდეს ჯორციელსა“.¹ ხოლო უფალი არა დაადგრა მხილებასა ზედა ოდენ, არამედ სწავლადცა იწყო მათა და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუ-

¹ იოან. 6,31

კუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუნ, რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა ღმერთმან“ (6,27). თ ა რ გ მ ა ნ ი: სიტყუად ესე, რომელსა იტყვს, ესევეითარი არს, ვითარმედ: ხუ ამის საზრდელისა ხართ მეძიებელ. არამედ მის სულიერი-სა, ხოლო რომელნი განსუენებისა და უქმობისა მოყუარე არიან, ამას სიტყუასა შემოაღებენ მიზეზად. და კეთილ არს მათა მიჰართცა სიტყუად, რამეთუ სიტყუასა მასცა მოიღებენ, რომელი თქუა უფალმან, ვითარმედ: „მართა, ზრუნავ და ეფოთ ხარ მრავალთა მათ საქმეთა შინა, ხოლო მარამ კეთილი ნაწილი გამოირჩია“,¹ და კუალად რომელ იტყვს, ვითარმედ: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისა“.² ხოლო კეთილ არს, რამათა ამის ყოვლისათუს ვთქუა, რამათა იგინიცა დასცხრენ, რომელნი ამას იტყვან და არა უფოთი შემოვილოთ შორის საღმრთოთა სიტყუათა, რამეთუ იტყვს მოციქული პავლე, ვითარმედ: „გვედრები, რამათა არა უქმ იყვნეთ, არამედ მოქმედებით შეუნიერად ხვდოდით. და მპარავი იგი ნულარა იპარავნ. არამედ შურებოდენ კელითა თუსითა, რამათა აქუნდეს სხუათაცა მიცემად, რომელთა უქმდეს“.³ რამეთუ, აჰა, ესერა, არა ოდენ საქმე ბრძანა პავლე, არამედ შრომითცა და ოფლით. და კუალად იგივე იტყვს, ვითარმედ: „საჯმართა ჩემთა და, რომელნი იყვნეს ჩემ თანა, კმსახურეს კელთა ამათ“,⁴ და კუალად თქუმულ არს მისთუს, ვითარმედ: „დაადგრა აკვლას თანა და პრისკილას, და შურებოდა“.⁵ და ჯერ-არს უკუე, რამათა თარგმანიცა ვთქუათ ამის სიტყუსად და არა ოდენ წინააღმდგომსა ვიტყოდით. ამას უკუე ვიტყვ, ვითარმედ არაზრუნვად არა თუ არაშრომად არს, არამედ რამათა არა შეეკმშქუალოთ გონებამ ჩუენი სოფლისა საქმეთა, და გარეწარად გუაქუნდეს საქმე ვორცთად, და არა ვიუნჯებდეთ ხვალისა, რამეთუ არა თუ არა ეგების შრომად და არა უნჯებამ ხვალისათუს, რამეთუ არა ერთი არს შრომად და ზრუნვად, არამედ იქმნების შრომად და არა ზრუნვად და, რომელ-იგი მართას

¹ ლუკ. 10,41—42

² მათ. 6,34

³ თეს. 4,10—11

⁴ საქმ. 20,34

⁵ საქმ. 18,2

პრქუა, არა თუ საქმესა აყენებდა, არამედ რაათა არა სწავლისა ჟამსა და ლოცვისასა წარაგებდეს ჯორცთა ზრუნვასა შინა, არამედ თვისა ჟამსა იქმოდის ყოველსავე, და არა თუ უქმობასა ასწავლიდა, არამედ სწავლისა კეთილად სმენასა, ვითარცა ეტყოდა, ვითარმედ: „მოვედ თქუენდა უმჯობესისა სწავლად და შენ ტაბლასა ჰზრუნავა? რამეთუ მე ესე ტაბლა მნებაეს, რაათა კეთილად ისმენდე სიტყუათა ჩემთა, ვითარცა, ესერა, და შენი იქმს. არა თუ უცხოთმოყუარეობასა აყენებდა, — ნუ იყოფინ! — არამედ რაათა ჟამსა სწავლისასა არარას სხუასა შეექცეოდის, ხოლო სიტყუად ესე, თუ: „იქმოდის ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა“, არა თუ ამას მოასწავებს, თუ უქმობად ჯერ-არს, რამეთუ ესე არს უფროსად საზრდელი წარსაწყმედელი უქმობად, „რომელმან ყოველნი ბოროტნი ასწავნა კაცთა“,¹ არამედ ამას მოასწავებს, რაათა ვიქმოდით და სხუათა მივსცემდეთ. რამეთუ ესე არს არაწარსაწყმედელი საზრდელი, ხოლო უკუეთუ ვინ უქმად იყოს, ოდენ იშუებდეს და აღმოვივსებდეს მუცელსა, იგი იქმს საზრდელსა წარსაწყმედელსა. უკუეთუ კულა შურებოდის ვინ და ქრისტესა შეჰმოსდეს და ზრდიდეს, რომელ არიან გლახაკნი, ვინმცა იყო ესრეთ განცოფებული, რომელმანცა თქუა მისთვის, ვითარმედ: „წარსაწყმედელსა საზრდელსა იქმს?“ რომლისათვის აღთქუმული არიან საუკუნენი კეთილნი, ხოლო მათ ერთა ვინამთგან სულიერისათვის არცა ერთი ზრუნვად აქუნდა, არცა ეძიებდეს, თუ რომლითა ძალითა იქმს უფალი საქმეთა მათ, არამედ ოდენ მუცლისა აღმოვსებასა ეძიებდეს. ამისთვის სამართლად ესევითარსა მას საზრდელსა საზრდელად წარსაწყმედელად სახელ-სდვა უფალმან, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „გამოვზარდენ მე ჯორცნი თქუენნი“, რაათამცა სულიერისა საზრდელისა ძიებად მოხუედით და თქუენ ჯერეთ ქუეყანისასა ეძიებთა? ამისთვის გეტყუ, რაათა არა ამას უნდოსა ეძიებდეთ, არამედ მას, რომელი არა საწუთროდ არს, არამედ საუკუნოდ, რომელი არა ჯორცთა ზრდის, არამედ სულთა“.

ხოლო ვინამთგან დიდი სიტყუად თქუა თავისა თვისისათვის,

¹ ეკლ. 33,29

ვითარმედ: „ესე ძემან კაცისამან მოგცეს თქუნ“, რაითა არა ევნოს მათ სიტყუსა მისგან, ამისთვის შესძინა და თქუა მამისათს, რამეთუ ჰრქუა რამ, ვითარმედ: „ძემან კაცისამან მოგცეს თქუნ“, მეყსეულად შესძინა და თქუა, რამეთუ: „ამას მამამან დაჰბეჭდა ღმერთმან, ესე იგი არს, ვითარმედ ამისთვის მოავლინა, რაითა ესევითარი საზრდელი მოგართუას თქუნ“. ხოლო მოასწავებს სიტყუაჲ ესე სხუასაცა ძალსა, რამეთუ იტყვს სხუასა ადგილსა ქრისტე, ვითარმედ: „რომელმან ისმინნეს სიტყუანნი ჩემნი“,¹ დაჰბეჭდა მან, ვითარმედ ღმერთი ჰეშმარიტ არს, ესე იგი არს, ვითარმედ გამოაჩინა და დაამტკიცა თვისითა წამებითა, რამეთუ უფალიცა თვთ გამოაჩინებდა თავსა თვსსა, არამედ ოდეს ჰურიათა ეტყვნ, მამისა წამებაჲ შორის შემოიღის.

ს ვ ა ვ ლ ა დ მ ე ლ

ვითარმედ არარაჲ არიან კეთილნი ამის სოფლისანი

ვისწრაფოთ უკუე ჩუენცა, საყუარელნო, რაითა ესევი-
თართა საქმეთა ვითხოვდეთ ღმრთისაგან, ვითარი ჯერ-არს
მის მიერ. თხოვად, რამეთუ საწუთრომსა საქმენი, დაღაცათუ
ჰირითა მოგუეცემოდინ, არას გუევენების, არამედ მცირედ
ჟამ თუ განვმდიდრდეთ, მცირედ ჟამ ყოფად ვართ მათ შინა,
გინა თუ დავგლახაკნეთ, არარაჲ გუევენების სიგლახაკისა მის-
გან, რამეთუ არცა კეთილნი ამის საწუთრომსანი არიან სიხა-
რულ, არცა ჰირნი საგლოველ, არამედ ორივე შეურაცხ არს
და ადრე წარმავალ, ამისთვისცა „გზად“ წოდებულ არს ცხო-
რებაჲ ესე ღმრთისა მიერ, ერთი იგი ფართოდ და მეორე
იწროდ და საჭიროდ. საუკუნომ საქმე სულისაჲ ყოველივე
უკუდავად ჰგიეს — ტანჯვადცა და სუფევადცა. ამისთვის
უკუე ვიღუაწოთ, რაითა სატანჯველთაგან განვერნეთ

¹ იოან. 3,33

და განსუენებაჲ ვპოვოთ. რამეთუ რაჲ არს სარგებელი შუებისა ამის საწუთრომისა? დღეს არს და ხვალე არა არს, დღეს არს ყუავილ ბრწყინვალე და ხვალე მტუერ წარწყმედულ; დღეს არს ცეცხლ მოტყინარე და ხვალე ნაცარ დამშრტალ, არამედ სულიერი არარაჲ არს ესრეთ, გარნა მარადის ჰგიეს იგი ბრწყინვალედ და ყუავის იგი შუენიერად და მარადლე უბრწყინვალე იქმნების, სიმდიდრჲ იგი არაოდეს დასცხრების, არას სხუასა მიეცემის, არცა დაილევის; არცა მოაწევს ოდეს ზრუნვასა და შურსა და შესმენასა, არცა კორცთა წარსწყმედს, არცა სულსა განხრწნის, რამეთუ ესე ყოველი სოფლისა სიმდიდრესა შინა იპოვების. ხოლო იგი დიდებაჲ არა ზუაობად მიიყვანებს, არცა ჯურგებასა შეუქმს, არცა ოდეს განილევის და განსუენებაჲ იგი ზეცისაჲ ეგრეთვე უკუე ჰგიეს უცვალეებლად და უკუდავად, არა არს უკუნისამდე აღსასრული მისი. იგი უკუე ცხორებაჲ მოვიძიოთ, რამეთუ, უკუეთუ მას ვეძიებდეთ, სოფლისაჲ ამის არარად შეეპრაცხოთ, არამედ შეურაცხ-ვყოთ და ვეცინოდით მას, დაღაცათუ მეფობასა ვინ ქუეყანისასა მოგუცემდეს, არა შევეწყნაროთ, უკუეთუ ესე სასოებაჲ გუაქუნდეს, რამეთუ სოფელსა ამას მეფობისა უმჯობესი არაჲ იპოვების, გარნა, რომელთა სურვილი ზეცისაჲ აქუნდეს, იგიცა საკიცხელად და არარად უჩნს მათ და არარაჲსა ღირსად, რამეთუ ყოველი საქმჲ ადრე დალევნადი არასაწადელ არს და ყოველი საქმჲ, რომელი დღეს არს და ხვალე არა არს, დაღაცათუ ფრიად დიდ იყოს, ფრიად მცირე და არარაჲ არს. ნუმცა უკუე ვიმჭირავთ ვლტოლვადთა მათ საქმეთა და მსგავსად მდინარისა წარმავალთა, არამედ მტკიცენი და შეურყეველნი კეთილნი მოვიგნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ ჩუენ, ყოველნი; მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე: ჰრქუეს მას: „რამ ვყოთ, რამთა ვიქ-
 მოდით საქმესა ღმრთისასა?“ მიუგო იესუ და ჰრქუა მათ:
 „ესე არს საქმე ღმრთისამ, რამთა გრწმენეს, რომელი-იგი
 მოავლინა მან“. და მათ ჰრქუეს: „რასა სასწაულსა იქმ, რამთა
 ვიხილოთ და გურწმენეს შენი, რასა იქმ?“ (6,28—30). თ ა რ-
 გ მ ა ნ ი: არარამ არს უბოროტეს ნაყოფანებისა. ესე
 ზრქელ-ჰყოფს გონებასა, ესე ჯორც-ჰყოფს სულსა. ესე
 დააბრმობს და არა უტევებს ზეახილვად. იხილეთ უკუე, ვი-
 თარ იქმნა ჰურიათაცა ზედა, რამეთუ ვინაიფიან ნაყოფანე-
 ბისა მიმართ მოსწრაფე იყვნეს და ყოვლითურთ სოფლის-
 მოყუარე, და არარას გულისხმა-ჰყოფდეს სულიერსა. ამისთვის
 მრავალთა სიტყუათა ეტყოდა მათ ქრისტე სამხილებელად და
 შესარცხვენებელად მათ, და არავე აღდგებოდეს, არამედ ჭე-
 რეთ ქუემდებარე იყვნეს, რამეთუ ჰრქუა მათ, ვითარმედ:
 „მეძიებთ მე არა თუ, რამეთუ იხილნეთ სასწაულნი, არამედ
 რამეთუ შქამეთ პურთა მათგან და განსძელით“. და მოწყუნა
 იგინი მხილებითა მით, უჩუენა, თუ ვითარისა საზრდელისა
 ჭერ-არს ძიებამ, რაყამს-იგი ჰრქუა მათ, ვითარმედ: „იქმოდეთ
 ნუ საზრდელსა. წარსაწყემდელსა, არამედ საზრდელსა, რო-
 მელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ“. და წინააღმდგომი იგი
 მათი განკურნა, თქუა რამ, ვითარმედ: „ამას მამამან დაჰბეჭ-
 და“, ხოლო იხილეთ მათი იგი უგულისხმოებამ, ვითარმცა
 არარამ ასმიოდა მისგან, ესრეთ ეტყოდეს მას, ვითარმედ:
 „რამ ვყოთ, რამთა ვიქმოდით საქმესა ღმრთისასა?“ ხოლო
 ამას იტყოდეს არა თუ, რამთამცა ისწავეს და ქმნესმცა კეთი-
 ლი. რამეთუ ამას შემდგომნი იგი სიტყუანი არუენებენ, რო-
 მელ არა ამისთვის ჰკითხვიდეს, რამთამცა ისწავეს და ქმნეს,
 არამედ ამისთვის, რამთამცა კუალად მოიყვანეს იგი მიცემად
 საზრდელისა და განძლომად მათა. ხოლო უფალმან, იხილე,
 ვითარ მიუგო:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ: „ესე არს საქმე ღმრთისამ, რამთა გრწმე-
 ნეს, რომელი-იგი მოავლინა მან“. და მათ ჰრქუეს მას:
 „რასა სასწაულსა იქმ, რამთა ვიხილოთ და გურწმენეს? მა-
 მანი ჩუენნი ქამდეს მანანასა უღაბნოსა ზედა“ (6,29—31).

თ ა რ გ მ ა ნ ი: არარაჲ არს უუგუნურეს მათსა, არცა უპირუტყუჴს, რამეთუ სასწაული იგი კელთალა შინა. მათთა იყო და, ვითარმცა არარაჲ ექმნა, ესრეთ ეტყოდეს, ვითარმედ: „რასა სასწაულსა იქმ“? და ჰკითხეს რაჲ, კითხვისა მისცა, სასწაულისა მის არავე უფალ-ყვეს, არამედ ჰგონებდეს ჳირად შთაგდებასა მისსა, და რაჲთამცა არარაჲ იქმნა სხუაჲ, გარნა ვითარ-იგი იქმნა მამათა ზედა მათთა, ამისთვისცა ეტყუან: „მამათა ჩუენთა ჳამეს მანანაჲ უდაბნოს“, რამეთუ ჰგონებდეს, რაჲთამცა სიტყუთა ამით დაარწმუნეს მასცა ესე-ვითარისა სასწაულისა ქმნად და სურვილადმცა საქმისა მის მოიყვანეს იგი, რაჲთა გამოზარდნეს იგინი ჳორციელად. რამეთუ რაჲსათვის არა თქუეს სხუაჲ რაჲმე საკვრველებათა მათ პირველთაგანი, რომელ-იგი მრავალ არიან, ვითარ იგი საკვრველნი, რომელ იქმნეს ეგვბტეს შინა და კუალად ზღუასა ზედა მეწამულსა, არამედ დაუტევეს ყოველივე და მანანაჲ აჯსენეს? გარნა ამისთვის, რამეთუ ნაყროვანნი იყვნეს და, რომლისა მიერ იქმნებოდა აღმოსებაჲ მუცლისაჲ, მას ეძიებდეს, რამეთუ მონა იყვნეს მუცლისა. ანუ ვითარ თქუენ, რომელნი-ეგე წინაჲსწარმეტყუელებით ჰხადოდეთ მას, რაჲამს იხილეთ სასწაული იგი და მეფედ გენება დასუმაჲ, აწ ესრეთ უმაღლო და უკეთურ იქმნენით, ვითარცა არცა ერთი რაჲ გეხილვა მის მიერ სასწაული და სასწაულსა ითხოვთ ნაყროვანებისა სახესა. და საკვრველ არს წინაჲშე თქუენსა მანანაჲ და არა საზრდელი სულისაჲ. და იხილეთ საქმჴ იგი მათი: არა თქუეს თუ: „მოსე ესე სასწაული ქმნა, შენ რასა იქმ“? რამეთუ ჰგონებდეს განრისხებად მისა. არამედ ჳერეთ პატივით ეტყუან მას მოლოდებითა მით სანოვაგისაჲთა და არა ესრეთ იტყუან, თუ: „ღმერთმან ესე ქმნა, შენ რასა იქმ“? რაჲთამცა არა შეასწორეს იგი ღმერთსა, არცა მოსე მოიყვანეს შორის, რაჲთა არადამდაბლებად შეჳრაცხოს, არამედ შორის დააწესეს იგი და თქუეს, ვითარმედ: „მამანი ჩუენნი ჳამდეს მანანასა უდაბნოს“, და კეთილ იყო, დაღაცათუმცა ეთქუა, ვითარმედ: „უმეტეს მოსჴსა ვქმენ მე საკვრველი, რომელმან არცა კუერთხი ვიქმარე, არცა ლოცუაჲ საქმარ არს ჩემდა, არამედ ყოველსავე ვიქმ, ვინებო რაჲ. უკუეთუ კულა მანანასა იტყუთ, აჰა, ესერა, პური მიგცე თქუენ“, არამედ

ერთი ოდენ მოსწრაფებამ იყო მისი, რამთამცა სულეერისა მის საზრდელისა სურვილად მოიყვანნა, და იხილე უზომოდ იგი სიბრძმ მისი, ვითარ მიუგებს მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეციით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეციით“ (6, 32). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ რადასათეს არა თქუა, ვითარმედ: „არა მოსე მოგცა თქუენ, არამედ მე“, არამედ მოსტს წილ ღმერთი, და მანანამსა წილ თავი თუსი თქუა? ამასთეს, რამეთუ ფრიადი იყო უძღურებამ იგი მათი და ესე საცნაურ არს შემდგომთა მათგან სიტყუათა, რამეთუ ესრეთცა თქუა, და ეგრეთცა ვერვე დაიმჭირნა, დაღაცათუ პირველვე ეთქუა მათ. ვითარმედ: „მეძიებთ მე, არა თუ რამეთუ იხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ შქამეთ პურთაგან და განსძელათ“. და ამის პირისათეს შემდგომად ამისაცა ასწავა და ვერცა ეგრეთ განაყენნა გულისსიტყუსა მისგან, არამედ რაჟამს სამარტელსა აღუთქემიდა მიცემად წყლისა, არა აქსენა მამამ, არამედ თქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა იცოდენიქი ღმრთისამ, და თუ ვინ არს რომელი გეტყუს: „მომეც მე წყალი, რაათა ესუა“, შენმცა სთხოვე მას და გცამც- წყალი იგი ცხოველი“. და კუალად იტყუს, ვითარმედ: „წყალი, რომელი მე მივსცე“. ხოლო აწ აქა მამასა აქსენებს, რაათა სცნა შენ, თუ რაზომ იყო სამარტელისა მის სარწმუნობამ, და რაზომ იყო ჰურიათა მათ უძღურებამ. ხოლო მანანამ ვინამთგან ღრუბელთაით იყო და არა ზეციით, ვითარ ზეცისად ეწოდების? გარნა ვითარცა მფრინველნი ცისანი ითქუმიან, რომელნი-იგი ჰაერთა შინა ფრინვენ, და ჭუხნდა უფალი ცით გამო, ეგრეთვე არს ესე, ხოლო „პურად ჭეშმარიტად“ უწესს მას, არა თუ რამეთუ ტყუვილ იყო საკვრეველებამ იგი მანანამსამ, არამედ რამეთუ სახმ იყო, ჭეშმარიტებისა მომასწავებელი, და არა თვთ ჭეშმარიტება. ხოლო მოსე რამ აქსენა, არა თავი თუსი თქუა ნაცვალად მისა, რამეთუ არღა პატრის-სცემდეს მას უფრომს მოსტსა, არამედ ჯერეთ მისთეს უმეტესი დიდებამ აქუნდა. ამისთესცა თქუა რამ, ვითარმედ: „არა მოსე მოგცა“? არა შესძინა, თუ: „მე მოგცემ“, არამედ მის წილ მამასა იტყუს მომცემელად, არამედ მათ ესმა რამ, თქუეს:

სახარება: „მომეც ჩუენ პური ესე ჳამად“ (6,34).
თარგმანი: რამეთუ ხილულსა რასმე საქმესა ჳგონებდეს ყოფად და მუცლისა აღმოვსებად მოელოდეს. და ამისთვის ადრე მიზბიოდეს საქმისა მის მიმართ, ხოლო ქრისტესა ენება გონებათა მათთა სიმაღლედ აღყვანებად მცირედ-მცირედ. ამისთვისცა თქუა, ვითარმედ: „პური ღმრთისაჲ არს, რომელი მომავალ არს ზეცით და ცხორებასა მოსცემს სოფელსა, არა ჳურაისტანსა ოდენ, არამედ ყოველსა სოფელსა“¹ და არა თქუა, თუ: „საზრდელი“ ოდენ ესრეთ ლიტონად, არამედ „ცხორებად უცხოდ და დიდებულად“ უწოდა, ხოლო „ცხორებად“ უწესს მას, რამეთუ მის მიერ განცხოველდეს ყოველნი კაცნა, რომელნი-იგი პირველ მომკუდარ იყვნეს, არამედ ჳერეთ იგინი ქუე დადრეკილ იყვნეს გონებითა და ეტყოდნეს, ვითარმედ: „მომეც ჩუენ პური ესე“, და თავადსა ენება მხილებად მათა, თუ ვითარ, ვიდრემდის ხილული ეგონა საზრდელი იგი, ეძიებდეს მას და, რაჟამს ცნეს თუ სულიერი არს და უხილავი, არღარა ამისთვის ჳრქუა მათ:

სახარება: „მე ვარ პური ცხორებისაჲ. რომელი მოვიღეს ჩემდა, არა ჳშიოდის და რომელსა ჳრწმენეს; ჩემი, არასადა სწყუროდის, არამედ გარქუ თქუენ: მიხილეთ და არა გრწამ“ (6,35).
თარგმანი: ესრეთვე იოვანეცა ჳმნა, პირველ იტყოდა რაჲ, ვითარმედ: „რომელი იცის, იტყვს, და რომელი იხილა, წამებს და წამებასა მისსა არავინ მიიღებს“.² და კუალად იგი თავადი იტყვს, ვითარმედ: „რომელი ვიცით, ვიტყვთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და არა გრწამს ჩემი“. ხოლო ამას იჳმოდა, რადთამცა უჩუენა პირველვე, ვითარმედ ვერარაჲ საქმჳ შემძლებელ არს აღშფოთებად მისა, არცა ჳსურის დიდებანათს კაცობრივისა, არცა უმეცარ არს დაფარულთა გონებისათა, არცა ყოფადთა და მომავალთა.

სახარება: „მე ვარ პური ცხორებისაჲ“ (6,35).
თარგმანი: აჳა, ესერა, საიდუმლოთა მაღალთა, ეგულების, რადთამცა გულისჳმის-ყოფად მოიყვანნა და პირველ ღმრთეებისა

¹ იოან. 6,33

² იოან. 3,32

მისისათვის იტყვს, ვითარმედ: „მე ვარ პური ცხორებისა“. რამეთუ ესე არა უხორწნელისა მის ჯორცისა მისისათვის თქულ არს, რამეთუ მისთვის ქუემორე იტყვს, ვითარმედ: „პური, რომელი მე მოგცე, ჯორცი ჩემი არს“. გარნა აწ ჯერეთ ღმრთეებისათვის იტყვს, რამეთუ იგი სიტყუსა მისთვის ღმრთისა პურ არს, ვითარცა პური ესე შესაწირავისაჲ სულისა მისთვის მის ზედა მომავალისა პურ ზეცისა იქმნების. ხოლო აქა არა იქმარებს მოწამეთა, ვითარ იგი პირველსა მას სწავლასა ქმნა, რამეთუ აქუნდა მოწამედ საქმე იგი პურთაჲ მათ, და რამეთუ ჯერეთ იჩემებდეს სარწმუნოებასა, ხოლო მუნ დრტვნვიდეს და სიტყუას-უგებდეს, ამისთვის აქა განჩინებასა იქმს. და იგინი ვინაჲთგან მოელოდეს ნუკევისა ჯორციელისა პოვნად, ამისთვის არა შფოთ იყვნეს, ვიდრემდის შემდგომად ამისა წარიკუეთეს სასობაჲ. და ეგრეთცა არავე დაიდუმა მან, არამედ მრავალთა მხილებისა სიტყუათა ეტყოდა, რამეთუ, რომელი-იგი ჭამდეს რაჲ პურთა მათ და წინაჲსწარმეტყუელით ჰხადოდეს მას, აქა დაბრკოლდებიან და ძედ ხურომსა უწოდენ. არამედ რაჲამს პურნი იგი მიიხუნეს, არა ესრეთ იქმოდეს მაშინ, გარნა იტყოდეს, ვითარმედ: „ესე არს წინაჲსწარმეტყუელი“, და ენება მისი მეფობაჲ, ხოლო აქა იჩემებენ განრისხებასა სიტყუსა მისთვის, რომელ თქუა, თუ: „ზეციით მოსრულ ვარ“, არამედ ჭეშმარიტი მიზეზი განრისხებისა მათისაჲ არა ესე იყო, გარნა იგი, რომელ არა მოელოდეს ჯორციელისა ტაბლისა ხილვად, რამეთუ უკუეთუმცა ჭეშმარიტად მისთვის დაბრკოლდებოდეს, უქმდა კითხვად, თუ ვითარ არს პური ცხორებისაჲ? ანუ ვითარ მოსრულ არს ზეციით? გარნა აწ ამას არა იქმან, არამედ ოდენ დრტვნვენ. და ვითარმედ არა ესე იყო დამაბრკოლებელ მათა, რომელ თქუა, თუ: „ზეციით მოსრულ ვარ“, ამის მიერ საცნაურ არს, რამეთუ თქუა რაჲ, ვითარმედ: „მამაჲ ჩემი მიგცემს თქუენ პურსა“, არა ჰრქუეს მას, ვითარმედ: „ვეედრე, რაჲთა მოგუცეს“, არამედ: „მოგუეცე პური ესე“ და მას არა ეთქუა, თუ: „მე მიგცემ“, არამედ: „მამაჲ ჩემი მიგცემსო“.

ხოლო მათ გულისთქუმისა მისთვის ჭამადისა მის იგი შეპრაცხეს მომცემელად საზრდელისა მის და შემძლებელად ამის საქმისა. და რომელთა-იგი აქუნდა შემძლებელად მო-

ცემად ესევითარი იგი პური? ვითარცა დაბრკოლებულ იყვნეს უკუანაძსკნელ და უფროადა, რაჟამს-იგი ესმა მისგან, ვითარმედ: „მამად მოგცემს“. რად არს უკუე მიზეზი მათისა მის დაბრკოლებისა? გარნა ესე, რამეთუ ესმა რად, ვითარმედ: „არა ჯორციელად იქმნების ჭამად მისი“, ამისთვის დაბრკოლდეს და ურწმუნო იქმნეს და ურწმუნოებისა მათისა საბურავად მიიღებენ სიმაღლესა მას მის სიტყვასა. ამისთვის ეტყუს:

სახარებაჲ: „მიხილეთ და არა გრწამს“ (6, 36).

თარგმანი: და ხილვად უწოდა, ერთად, სასწაულთა მათ, რომელნი ქმნნა წინაშე მათსა, და მეორედ, წამებასა მას წერილთასა, რამეთუ იგინი არაანო, რომელნი წამებენ ჩემთვის, და ვითარმედ: „მოვედ სახელითა მამისადათა და არა შემიწყნარებთ მე, ვითარ შეუძლოთ რწმუნებად, რომელნი დიდებასა კაცთაგან მიიღებთ?“

სახარებაჲ: „ყოველი, რომელი მომცეს მე მამამან, ჩემდა მოვიდეს და, რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე“ (6, 37). **თარგმანი:** იხილეთ, ვითარ ყოველსავე იქმს ცხოვრებად მათა, რამეთუ ამისთვის შესძინა ესე სიტყუად, რადთა არა შეირაცხოს ამოადა მეტყუელად. ხოლო რად არს სიტყუად იგი, რომელსა იტყუს, თუ „ყოველი, რომელი მომცეს მე მამამან, ჩემდა მოვიდეს“, და ვითარმედ: „აღვადგინო იგი უკუანაძსკნელსა მას დღესა“¹ რამეთუ რადასათეს ზოგადსა მას ყოველთა აღდგომასა, რომელსა უშჯულონიცა მიიღებენ, ვითარცა დიდსა რასმე ნიჭსა, აქსენებს მიცემად მორწმუნეთა მისთა? ამისთვის, რამეთუ არა ესრეთ ლიტონსა აღდგომასა აქსენებს, არამედ ესევითარსა აღდგომასა, რამეთუ პირველ თქუა, ვითარმედ: „არა განვაძო იგი“, და ვითარმედ: „არა წარვწყმიდო“, და მერმე თქუა, ვითარმედ: „აღვადგინო იგი“, რამეთუ აღდგომასა მას რომელნიმე განვარდებიან, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „განჯადეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა“.² და კუალად რომელნიმე წარწყმდებიან, ვითარცა იტყუს, ვითარმედ: „გეშინოდენ მისგან, რომელსა

¹ შლკ. ი. 6, 39, 40, 44, 54

² მათ. 22,13

ძალ-უც სულისადა და კორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა¹.
 და კუალად სიტყუაჲ იგი, რომელსა იტყუს, ვითარმედ: „მე
 ცხორებასა საუკუნესა მივსცემ“, ამასვე მოასწავებს, და ვი-
 თარმედ: „გამოვიდენ მოქმედნი კეთილისანი აღდგომად ცხო-
 რებისად და მოქმედნი ბოროტისანი აღდგომად წარწყმედი-
 სა“². აქაცა უკუე ესე აღდგომაჲ თქუა კეთილისაჲ, ვითარ-
 მედ: „აღვადგინო იგი უკუანამსკენელსა მას დღესა აღდგომი-
 თა მით კეთილითა და არა დასაშჯელითა“. ხოლო ჴასა მო-
 ასწავებს სიტყუთა მით, რომელ თქუა, ვითარმედ: „ყოველი,
 რომელი შომცეს მე მამამან, ჩემდა მოვიდეს“, ამხილებს
 სიტყუთა ამით ურწმუნობასა მათსა და აჩუენებს, ვითარმედ,
 რომელსა მისი არა ჰრწმენეს, იგი ნებასა მამისასა გარდავალს
 გარნა ესრეთ განცხადებულად არა თქუა ესე, არამედ იგა-
 ვითრე და დაფარულად ყოველთაგან იქმს, რაჲთა უჩუენოს,
 ვითარმედ, რომელნი ურწმუნო მისა არიან, იგინი არა მას
 ოდენ, არამედ მამასაცა განარისხებენ. რამეთუ უკუეთუ ნებაჲ
 მასი ესე არს, რაჲთა აცხოვნნეს კაცნი და ამისთვის მოსრულ
 არს, რომელთა არა ჰრწმენეს, იგინი ნებასა მისსა გარდაჰკლე-
 ბიან, ესე იგი არს, ვითარმედ რაჲამს მამაჲ უძლოდის ჩემდა
 მოსლვად, არღარაჲ არს დამაყენებელ მოსლვად; და სხუასა
 ადგილსა იტყუს, ვითარმედ: „ვერვის ძალ-უც მოსლვად ჩემ-
 და, უკუეთუ არა მამამან მოიყვანოს იგი“³. ხოლო მოციქული
 პავლე იტყუს, ვითარმედ: „იგი მისცემს მამასა, რამეთუ რაჲამს
 მისცესო მეუფებაჲ ღმერთსა და მამასა“, ვითარცა უკუე მამაჲ
 რაჲ მოსცემდეს, არა თუ რომელსა-იგი მას მოსცემს, თა-
 ვისაგან თვისსა გამოაყუებს და მას მისცემს, ხოლო თუ
 არღარა აქუს იგი, — ნუ იყოფინ! — ეგრეთვე, რაჲამს ძმ
 მისცემდეს მამასა მეუფებასა, არა თუ თავსა თვისსა მეუფე-
 ბისა მისგან გამოიყვანებს. ნუ იყოფინ! — არამედ იოქუმი⁴
 მიცემად ამისთვის, რამეთუ მის მიერ ვპოვეთ მისლვაჲ და
 შეწყყნარებაჲ მამისაჲ და მან შეგუწირინა მისა.

¹ ლუკ. ლუკ. 12,5

² იოან. 5,29

³ იოან. 6,44

დენით ზიარებად ძისა მისისა და ნებიტა მამისადათა“. და კუა-
 ლად იტყვს: „ნეტარ ხარ შენ, სამონ, ძეო იონადასო, რამეთუ
 ჯორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს“, ხოლო რომელსა
 ესე მოასწავებს, ესე არს, ვითარმედ: არა ესრეთ უნდოდა
 საქმე არს ჩემდა მომართ სარწმუნოებად, არამედ ზეცით შე-
 წევნად, და რომელი უკმს, და ამას ყოველსა მას შინა სიტყუ-
 ასა თვისსა დაამტკიცებს, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ სული
 ახოვანი უკმს და ღმრთისა მიერ მოცემული ღმობიერებად
 ამას სარწმუნოებასა, არამედ ნუჟუე თქუას ვინმე, ვითარ-
 მედ: „უკუეთუ ყოველა, რომელი მოგუცეს მამამან, შენდა
 მოვალს, და რომელნი მან მოიყვანნეს, და უკუეთუ ვერვის
 ძალ-უც შენდა მოსლვად, არა თუ მოცემულ იყოს მისა ზე-
 ცით? უკუეთუ იგინი სადამე, რომელნი არა მოიყვანნეს მამა-
 ძან, გარეგან არიანა ყოვლისავე ბრალისა“? გარნა ესევი-
 თარნი სიტყუანი არიან ამოინი და ცუდნი. ხოლო ჩუენიცა
 ნებად და მოსწრაფებადცა საქმარ არს, რამეთუ მიღებად
 სწავლისა და რწმუნებად ნებისაგან იქმნების. ხოლო აქა
 სიტყუთა ამით, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ყოველი, რო-
 მელი მომცეს მე მამამან“, არარას სხუასა მოასწავებს, გარნა
 ამას, ვითარმედ: არამცირჲ საქმე არს ჩემდა მომართ სარწ-
 მუნოებად, არცა კაცობრივითა გულისსიტყუთა საქმარი,
 არამედ ზეცით უკმს გამოცხადებად და სული კეთილი, რადთა
 შეიწყნაროს გამოცხადებად იგი, და ვითარმედ: „მომავალი
 ჩემდა ცხოვნდეს“, ესე იგი არს, შეწევნად ფრიადი ჰოვოს,
 რამეთუ ამისთვის მოვედ და ჯორციელ ვიქმენ, და ხატი მო-
 ნისა შევიმოსე. ხოლო შემდგომად ამისა შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „გარდამოვკედ, არა რადთა ვყო ნებად
 ჩემი, არამედ ნებად მომავლინებელისა ჩემისა“ (6,38) თ ა რ-
გ მ ა ნ ი : რასა იტყვ: „და სხუად არსა ნებად შენი, და სხუად
 ნებად მომავლინებელისა?“ არამედ რადთა არავინ ესე მოი-
 გონოს, ამისთვის განჰმართა სიტყუად იგი კუალად შემდგომი-
 თა მით სიტყუთა, რომელ თქუა, ვითარმედ: „ესე არს ნებად
 მომავლინებელისა ჩემისა, რადთა ყოველი როიელი ხედვი-

დეს ძესა და პრწმენეს მისი, აქუნდეს ცხობეამ საუკუნომ“.¹ რასა იტყვ, და შენი ნებაჲ არა არსა ამას ზედა? და ვითარ იტყვ სხუასა ადგილსა, ვითარმედ: „ცეცხლისა მიფენად მოვედ ქუეყანასა ზედა და მიინდა, უკუეთუმცა აღგზნებულ იყო“?² ხოლო უკუეთუ შენცა ესევე გნებავს და მამასაცა, ესე საცნაურ არს, ვითარმედ ერთი ნებაჲ არს ორთაჲვე, რამეთუ სხუასაცა ადგილსა იტყვს, ვითარმედ: „ვითარცა მამაჲ აღადგინებს მკუდართა და ცხოველ-ჰყოფს, ეგრეთვე ძმ, რომელთაჲ ჰნებავს, ცხოველ-ჰყოფს. რაჲ არს უკუე ნებაჲ მამისაჲ? რაჲთა არა წარწყმიდოს მათგანი ერთიცა, ხოლო ესე შენცა გნებავს, უფალო! არა არს უკუე შენი ნებაჲ სხუაჲ და მამისაჲ სხუაჲ, რამეთუ ქუემორე იტყვს, ვითარმედ: „რაოდენგზის ვინებე შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, და არა ინებეთ“.³ რაჲ არს უკუე სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს? გარნა ესე არს, ვითარმედ: არა თუ ამისთვის მოსრულ ვარ, რაჲთამცა სხუაჲ რამე ვქმენ, რომელი მამასა არა ჰნებავს, და არა თუ მე სხუაჲ რაჲმე ნებაჲ მაქუს, რომელი მამასა არა აქუს, რამეთუ „ყოველივე მამისაჲ ჩემი არს, და ჩემი მამისაჲ არს“.⁴ აწ უკუეთუ ყოველივე მამისაჲ და ძისაჲ ზოგადი არს, კეთილად სამე იტყვს, ვითარმედ: „არა მოვედ, რაჲთამცა ჩემი ნებაჲ ვქმენ“, რამეთუ არცა მაქუსო ნებაჲ, რომელი მამასა არა ჰნებავს. ხოლო ესე აქა არა თქუა, თუ: ყოველივე მამისაჲ ჩემი არს, ხოლო დასასრულისა კერძა იტყვს ამას, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, მაღალთა მათ საქმეთა ჳერეთ ჰფარვიდა და არა უთხრობდა და ჰნებავს ჩუენებად, ვითარმედ, უკუეთუმცა ვთქუა, თუ: „ესე არს ნებაჲ ჩემი“, შეუტრაცხმცა-ეყო სიტყუაჲ მისი? ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „მეცა ძისსავე ნებასა ვიქმ“, რაჲთამცა უმეტესად მოწყლნა იგინი, ვითარცა ეტყოდა, ვითარმედ: რასა ჰგონებთ, თუ მე ოდენ განძარისხებთა ურწმუნოებითა თქუენითა? არამედ უფროდსად მამასაცა ჩემსა განარისხებთ, რამეთუ „ესე არს ნებაჲ მოშავლინებელისა ჩემისაჲ, რაჲთა ყოველი, რომელი მომცა მე,

¹ იოან. 6,40

² ლუკ. 12,49

³ მათ. 23,37

⁴ შდრ. იოან. 17,10

არა წარვწყმიდო მისგანი“. და აქა გამოაჩინებს, ვითარმედ არა მას ეკმარების მათი მორჩილება, არცა თავისა თვისისათვის მოსრულ არს, არამედ მათისა ცხორებისათვის, და არცა მათმიერისა პატივისათვის, ვითარცა-იგი პირველ იტყოდა, ვითარმედ: „დიდებასა კაცთაგან არა მოვიღებ“;¹ და კუალად იტყვს, ვითარმედ: „ამას ვიტყვ, რაათა თქუენ სცხოვნდეთ“.² რამეთუ მარადის ამას ზედა იყო მოსწრაფებად მისი, რაათამცა დაარწმუნა, ვითარმედ მათისა ცხორებისათვის მოსრულ არს, და რაათა დიდებად მოატყუას მამასა, რაათა ესრეთ უეჭუელ იყოს, და, ვითარმედ ამისთვის იტყოდს, ეპე შემდგომთა მათ სიტყუათა მიერ მოასწავა, რამეთუ: „რომელი იქმოდისო ნებასა თვისსა, იგი დიდებასა თავისა თვისისასა ეძიებს, ხოლო რომელი ეძიებდეს დიდებასა მომავლინებელისა თვისისასა, იგი ჭეშმარიტ არს და არა არს მის თანა სიცრუემ. ხოლო ესე არს ნებად მამისა, რაათა ყოველი, რომელი ჰხედვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს მას ცხორებად საუკუნომ, და მე აღვადგინო იგი უკუანამსკნელსა მას დღესა“.³ ხოლო რაქსათვის აქცევს ესრეთ აღდგომასა ზე და ქუე? ამისთვის, რაათა არა ამის საწუთრომსა საქმეთა ზედა ოდენ გულისხმა-ჰყოფდენ ღმრთისა განგებულებასა, რაათა, დაღაცათუ აქა არა მიიღონ ნაცვალი, არა იქმნენ ამის მიერ უზრუნველ და უღებ, არამედ რაათა მომავალსა მას საუკუნოსა მოელოდიან, რაათა არცა ამის სოფლისა ჭირთა მერმესა მას განსუენებასა არა მოელოდიან, არცა ამის საწუთრომსა განსუენებითა უზრუნველ იყვნენ მერმეთა მათ სატანჯველთათვის, არამედ რაათა სხუასა ცხორებასა მოელოდიან.

¹ იოან. 5,41

² იოან. 5,34

³ იოან. 7,18

ქსენებისათვის საშჯელისა

გარნა მათ არარა ირგეს ზედამსზედა მოქსენებითა მიჲ: სიტყუასა მას აღდგომისასა, ხოლო ჩუენ ვირგოთ, ძმანო, ძრავალგზის სმენითა აღდგომისა მისთვის მერმისა, გინა თუ ანგაპრებამ ვინებოთ, ანუ თუ მოტაცებამ, გინა თუ სხუსა რამსმე ბოროტისა ქმნამ, მეყსეულად დღესა მას საშინელსა. მოვიქსენებდეთ და სამშჯავროდ იგი საშინელი გამოვსახოთ ჩუენ შორის და ამან ესევითარმან გულისსიტყუამან უძლიერჲს ყოვლისავე აღვრისა დააყენოს აღძრვამ იგი ბოროტი, და ვატყოდით მარადის ურთიერთას და თავთა ჩუენთა. ძიმართ, ვითარმედ აღდგომამ არს და საშჯელი საშინელი მიგუელის ჩუენ. დაღაცათუ ვინ ვიხილოთ აღზუავეებული და ამას საწუთრომსა კეთილთა ზედა მოხარული, ესრეთვე ვპრქუათ მას და უჩუენოთ მას, ვითარმედ ყოველივე აქა დარჩომად არს. უკუეთუ სხუამ ვინ შექირვებული ვიხილოთ და სულმოკლე-ქმნილი ჳირთაგან, ეგრეთვე ვპრქუათ და უჩუენოთ მას, ვითარმედ მცირედ ჟამ ყოფად არნ ჳირი იგი. უკუეთუ ვინ კუალად უდბებოთ ვიხილოთ და დაცსნილობით, ამითვე სახითა ვასწავებდეთ მას და უჩუენებდეთ, ვითარმედ უეჭუელად მიცემად-უც სიტყუამ უდბებისა მისთვის.

კმა არს ესე ოდენ სიტყუამ აღდგომისამ უფრომს ყოვლისა წამლისა განკურნებად სულთა ჩუენთა, რამეთუ არსცა აღდგომამ, და აღდგომამ იგი არა შორს არს, არამედ კართა ზედა არს, რამეთუ მცირედლა და მომავალი იგი მოვიდეს და არა ყოვნოს. და ჩუენ, ყოველთა, წარდგომამ გუეგულების წინაშე საშინელსა საყდარსა ქრისტჲსსა, კეთილთაცა და ბოროტთაცა, ბოროტთა, რამთა წინაშე ყოველთასა პრცხუენეს, ხოლო კეთილთა, რამთა წინაშე ყოველთასა განბრწყინდნენ. რამეთუ ვითარცა სოფლისა ამის მსაჯულნი ბოროტთა სტანჯვენ, ხოლო კეთილთა წინაშე ყოველთასა პატივის-სცემენ ეგრეთვე მუნ ყოფად არს, რამთა მათი სირცხული უმეტჲს იყოს, ხოლო ამათი ბრწყინვალეზამ — უდიდებულეს. ამას ყოველსა უკუე მარადლე გამოვისახვიდეთ გონებათა შინა ჩუენთა.

ამას მარადის ვიკსენებდეთ თავთა შინა ჩუენთა და ვერცა ერთმან სოფლისა ამის საქმეთაგანმან გუავენოს ჩუენ, რამეთუ „ხილულნი, ესე წარმავალ არიან, ხოლო უხილავნი იგი სიუკუნე“. ამისთვისცა უკუე ზედადსზედა ვეტყოდით თავთა ჩუენთა და ურთიერთას, ვითარმედ აღდგომამ არს და საშჯელი და ნაცვალისა მიგებად საქმეთად და რაოდენნიცა იტყუან არა ყოფად აღდგომასა, იტყუან სიტყუასა ამას და განერნენ სენისა მისგან“. უკუეთუ აღდგომამ არს და საშჯელი და ნაცვალისა მიგებად საქმეთად, ვითარ ურწმუნო ვინ იყოს აღდგომასა? გარნა მრცხუენის ქრისტეანთა მიმართ აღდგომისათვის სიტყუად, რამეთუ რომელსა ეკმარებოდის აღდგომისათვის სწავლამ და არა დაერწმუნოს სრულიად, ვითარმედ არა ესრეთ ამო არიან საქმენი ესე, არამედ აღდგომამ ყოფად არს, იგი არა არს ქრისტეანე. ამისთვის გევედრები, ძმანო, განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ყოველთაგან ბოროტთა და ვისწრაფოთ ყოვლითყარძო, რადთა დღესა მას ვპოვოთ წყალობამ და გუაქუნდეს სიტყუად სამშჯავროსა მას შინა მის დღისასა. გარნა ნუუკუე თქუას ვინმე, ვითარმედ: და ოდეს იყოს აღსასრულა და აღდგომამ? აჰა, ესერა, ესეოდენნი გარდაცდეს ჟამნი და არარამ ესევითარი ქმნილ არს, გარნა ყოფად არს, გრწმენინ ჩემი. რამეთუ უწინარეს წყლითრღუნისაცა ესრეთვე იტყოდეს და ეცინოდეს ნოეს, არამედ მოიწია წყლითრღუხამ და პოვნა ურწმუნონი იგი, და მორცმუნე ნოე განარინა. და კუალად სოდომელნი არა მოელოდეს ღმრთისამიერსა მას რისხვასა, ვიდრემდის მოიწინეს მეხისტეხამ იგი და ცეცხლი წუნწუბითურთ და იგინი ყოველნი ავოცნა. და არცა მათ ზე და არცა ნოვეს ზე იქმნეს საქმენი წინამძღუარნი და მომასწავებელნი მის რისხვისანი, არამედ იგინი, რომელნი იშუებდეს და ბორგდეს და უშჯულო იყვნეს, მოიწია რისხვამ იგი, ეგრეთვე იყოს აღდგომამ. ამისთვისცა მოციქული პავლე იტყოდა, ვითარმედ: „იტყოდინ, რადთა თუ: „აჰა, მშუდლობამ და უტომომელობამ, მაშინ მეყსა შინა მოიწიოს მათ ზედა დაქცევა, ვითარცა საღმობამ შობადისამ, ეწიის რამ ჟამსა შობისასა და ვერ განერნენ“.1 ხოლო ესე ამისთვის არს,

1 I თესალ. 5,3

რომელ უცნაურად მომავალ არს დღე იგი, რაფთა მარადის შიშსა შინა ვიყვნეთ და არა ოდეს უზრუნველ ვიქმნებოდით. რასა იტყვ: არა მოელია აღდგომასა და საშეჯლსა? ეშმაკნი აღიარებენ აღდგომასა და შენ ურწმუნო ხარა? რამეთუ ისმინე, რასა ეტყვან იგინი უფალსა, ვითარმედ: „მოხუედ აქა უწინარეს ეამისა ტანჯვად ჩუენდა?“¹ ხოლო, რომელნი ტანჯვასა აღიარებენ, მათ აღდგომადცა იციან და საშეჯლი. ნუმცა უკუე განვარისხებთ ღმერთსა საქმითა ამით ბოროტითა, რაფთამცა სხუათა მათ ბოროტთა ჩუენთა თანა აღდგომასაცა ურწმუნო ვიყვენით, რამეთუ ვითარცა სხუათა მათ საქმეთა ზედა დასაბამ ჩუენდა იქნნა ქრისტე, ეგრეთვე ამასცა ზედა, რამეთუ ამისთვის „პირშიოდ შესუენებულთა“² ეწოდებან მას. უკუეთუმცა კულა არა უფად იყო აღდგომად, ვისიმცა პირშიოდ იყო, ვინაფთგან აღდგომადმცა არავის ეგულებოდა? უკუეთუმცა არა იყო აღდგომად, სადა არს ღმრთისა იგი სამართალი? ვინაფთგან ესეოდენნი უკეთურნი კაცნი კეთილსა შინა არიან ამას სოფელსა, და ესეოდენნი მართალნი კაცნი ჭირსა შინა არიან და ჭირსა შინა აღასრულებენ ცხოვრებასა მათსა, რამეთუ სადა მიიღებს თითოეული მათი ღირსებისაებრ მათისა, უკუეთუ აღდგომად: არა არს? არამედ არა ვინ კეთილთა და მართალთა კაცთაგანი ურწმუნო არს აღდგომასა, გარნა მარადის ილოცვენ წმიდასა ამას, სიტყუასა და იტყვან, ვითარმედ: „მოვედინ სუფევად შენი“³ ხოლო ვინ არიან, რომელნი აღდგომასა ურწმუნო არიან, არამედ იგინი, რომელნი ვლენ გზასა ბლწსა და ცხოვრებასა არაწმიდასა, ვითარცა წინაფარმეტყუელი იტყვს, ვითარმედ: „ბილწ არიან გზანი მისნი ყოველსა ეამსა და მიღებული არიან სამართალნი მისნი პირასა მისისაგან“, რანეთუ შეუძლებელ არს, თუმცა ვის აქუნდა ცხოვრებად კეთილი, და იგიმცა ურწმუნო იყო აღდგომასა, რამეთუ, რომელთა არარად ღირსი ტანჯვისა აქუნდეს, მათ უფრომსად ჰრწამს და უხარის, რაფთა მიიღონ კეთილთა მათთა ნაცვალი. აწ უკუე ნუმცა განვარისხებთ მას, შ,

¹ მათ. 8,29

² კოლ. 1,18

³ მათ. 6,10

ძმანო, არამედ ვისმინოთ სიტყუაჲ მისი, რომელსა იტყუს, ვითარმედ: „გეშინოდენ მისა, რომელსა ძალ-უც სულთა და კორცთა გეპენიასა შინა წარწყმედაჲ“;¹ რაჲთა შინისა მის ძიერ მოვიქცეთ კეთილისა მომართ და განვეშორნეთ წარწყმედისაგან, და ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ, სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ მ

ს ი ტ ყ უ ა ე ს ე: ღრტუნვიდეს მისთვის ჰურიანი იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „მე ვარ. პური იგი, რომელი ზეცით გარდამოვყედ“, და იტყოდეს: „არა ესე არს იესუ, ძმ იოსებისი, რომლისა მამაჲ და დედაჲ ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე იტყუს აწ ესე, ვითარმედ: „ზეცით გარდამოვყედ“ (6,41—42). თ ა რ გ მ ა ნ ი: „რომელთაჲ ღმერთი მუცელი არს და დიდებაჲ მათი არს სირცხულსა შინა მათსა“;² ვითარცა მოცაქელი იტყუს ჰურიათათს; და ესე საცნაურ არს პირველთა მათცა სიტყუათაგან და საცნაურ არს აწინდელთა ამათცა სიტყუათაგან, რაჲამს-იგი მოუქდეს ქრისტეს, რამეთუ, ოდეს-იგი პურა მისცა მათ და მუცელი მათი აღმოავსო, წინაღსწარმეტყუელით ჰხადოდეს მას და მეფედ დადგინებად ეძიებდეს, ხოლო რაჲამს-იგი სულიერისა მის საზრდელისათს ასწავებდა და ცხოვრებისათს საუკუნოჲსა, რაჲამს-იგი ქუეყანისა ამის ხილულთაგან საქმეთა აღამაღლებდა და აღდგომისათს ეტყოდა და გონებათა მათთა წმიდა-ჰყოფდა, რაჲამს-იგი უმეტესად ჯერ-იყო განკვრებდა და თაყუანისცემად მისი, მაშინ უმეტესად ღრტუნვენ. არამედ მითხარდა თქუენ, მ, ჰურიანო, უკუეთუ ეგე არს წინაღსწარმეტყუელი იგი, რომლისათს თქუენ იტყოდეთ, ვითარმედ: ესე არს წინაღსწარმეტყუელი იგი, რომლისათს თქუა მოსე, ვითარმედ: „წინაღსწარმეტყუელი აღგიდგინოს თქუენ უფალმან

¹ ფილბ. 3,19

² მათ. 10,28

ღმერთმან თქვენმან ძმათაგან თქვენთა, ვითარცა მე, მისი
 ისმინეთ¹ და ვინაფთგან ამას იტყოდეთ და წინადასწარმეტ-
 ყუელად შეგერაცხა იგი, ჯერ-იყო, რაფთამცა ისმინეთ მისი,
 და დაიჯერეთმცა სიტყუაჲ იგი, რომელ თქუა, ვითარმედ:
 „ზეცით გარდამოვკედ“, არამედ იხილეთ მათი იგი უგულისხ-
 მოებაჲ, ვითარ არა ირწმუნებდეს მისსა, არამედ ღრტუნვიდეს
 და ჯერეთ ერიდებოდეს, რამეთუ ახლად ქმნილ იყო ოდენ
 სასწაული პურთაჲ მათ და ამისთვის ცხადად არა სიტყუა-
 უგებდეს მას ჟამსა, არამედ ღრტუნვიდეს და ესრეთ აჩუენებ-
 დეს, ვითარმედ მრისხანე იყვნეს, რომელ-იგი არა დაუგო
 მათ ტაბლაჲ იგი, რომლისათვის ჰსუროდა, და ღრტუნვიდეს
 და იტყოდეს: „არა ესე არსო ძმ იოსებისი?“ და ამის მიერ
 საცნაურ არს, ვითარმედ საკურველსა მას შობასა მისსა უმე-
 ცარ იყვნეს, ამისთვის უწოდდეს მას ძედ იოსებისა. ხოლო იგი
 არა ჰრისხვიდა მათ, არცა ეტყოდა მათ, თუ: „არა ვარ ძმ
 იოსებისი“, არა თუ ამისთვის არა ეტყოდა: თუ: „არა ძმ ვარ
 იოსებისი“, რომელ ძმ მისი იყო, არამედ ამისთვის, რამეთუ
 არღა ძალ-ედვა ტვრთად და გულისხმის-ყოფად საკურველისა
 მის შობისა. და უკუეთუ კორციელისა მის შობისა მისისა
 სმენად ვერ ძალ-ედვა, ვითარ არა უფრომსად გამოუთქმე-
 ლისა მის მამისაგან შობისა მისისა სმენადმცა ვერ ძალ-ედვა?
 უკუეთუ უმდაბლესი იგი არა გამოეცხადა, უმაღლესიმცა იგი
 ვითარ უთხრა? დაღაცათუ ესე უფრომსად დააბრკოლებდა
 მათ, რომელ ესრეთ გლახაკისა და უნდომსა მამისა ძე ეწო-
 დებოდა, გარნა ამასცა ყოველსა ზედა არავე გამოუცხადა,
 რაფთამცა არა, ვიდრელა ენება ერთისა მის დაბრკოლებისა
 გამართლებად, უმეტესსამცა დაბრკოლებასა შთაცვეს, არა-
 ძედ იხილეთ, რასა იტყუს, და-რაა-ბრკოლდებოდეს მისა
 მიმართ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არავის კელეწიფების მოსლვად ჩემდა,
 უკუეთუ არა მომავლინებელმან ჩემმან მამამან მოიყვანოს
 იგი ჩემდა“ (6,44). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამას სიტყუასა ზედა-
 მიუვლენ მანიქველნი და იტყუან, ვითარმედ: „არარაჲ არს
 ჩუენ ზედა“. ხოლო ესე აჩუენებს უფრომსად თვთუფლებასა

¹ II შჯ. 18,15

ნებათა ჩუენთასა, გარნა იგინი იტყუან, ვითარმედ: „უკუეთუ ვინ მივალს მისა მიმართ და ძალ-უც ნებსით მისლვად, რად-ღა უკმს მას მიყვანებაჲ“? არამედ ესე სიტყუაჲ არა თუ თუმფლობელობასა ჩუენსა აყენებს, არამედ გამოაჩინებს, ვითარმედ შეწევნაჲ გუკმს ჩუენ, და გულისხმა-გუყოფს ჩუენ აჟა არა თუ ამას, თუ უნებლიათ მოიყვანებს მამაჲ, არამედ ამას, ვითარმედ შეწევნაჲ გუკმს ჩუენ ღმრთისამიერი. და პერ-მე გუჩუენებს სახესა მასცა მოყვანებისა მისისასა, რამეთუ, რაითა არა ვინ კუალად ხილული რამეჲ გულისხმა-ყოს ღმრთისათჳს, ამისთჳს შესძინა და თქუა, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „არა თუ ღმერთი ვის უხილავს, არამედ რომელი — იგი არს ღმრთისაგან, ამან იხილა მამაჲ“ (6,46).
თ ა რ გ მ ა ნ ი : და უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ „და ვითარ მოიყვანებს“? ისმინენ მან წინამსწარმეტყუელისაჲ, ვითარ იტყოდა პირველჳე, ვითარმედ: „იყვნენ ყოველნივე ღმრთივსწავლულ“ . იხილეა პატივი იგი სარწმუნოებისაჲ, ვითარმედ არა კაცთაგან არს, არცა კაცთა მიერ, არამედ თავადისა მიერ ღმრთისა ისწავების იგი? ამისთჳსცა დასამტკიცებელად სიტყუსა თჳსისისა წინამსწარმეტყუელთა მიმართ მიაყლინნა იგინი, გარნა უკუეთუ ყოველნივე ღმრთივსწავლულ იყვნენ, ვითარ ვიეთმე არა ჰრწამს? ამისთჳს, რამეთუ სიტყუაჲ იგი სიმრავლესა მას მორწმუნეთასა მოასწავებს. და კუალად წინამსწარმეტყუელი მათ ეტყუს ყოველთა, რომელთა ენებოს, ვითარმედ მჯდომარე არს იგი მასწავლელად განმზადებულად მიცემად ყოველთადა მისმიერი კეთილი, რომელთა ოდენ ენებოს მიღებად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „და მე აღვადგინო იგი უკუანამსკენლსა მას ღღესა“ (6,44).
თ ა რ გ მ ა ნ ი : არამცირედ გამოჩნდების აჟა პატივი იგი ძისაჲ, რომელ-ესე გუესმის, თუ მამაჲ მოიყვანებს მისა და იგი აღადგინებს. ხოლო ესე თქუმულ არს მამისაგან, რამეთუ ვითარმცა იყო ესე, არამედ სწორებასა მას ძალისასა აჩუენებს, რამეთუ ვითარცა იგი იტყოდა რაჲ, ვითარმედ „მომავლინებელი ჩემი მამაჲ წამებს ჩემთჳს“, რაითა არაკაცობრივსა ჳმასა ეძიებდენ, ამისთჳს უჩუენნა მათ სიტყუანა წერილთანი. ეგრეთვე აჟა, რაითა არა ესევითარი ვერაჲ მოიგონონ, წინამსწარმეტყუელთავე მიმართ მიაყ-

ლენს და ზედამსზედა ზე და ქუე აქცევს მათ, რაათა გამოა-
ჩინოს თავი თჳსი, ვითარმედ არა წინააღმდეგომ არს მამისა. და
უკუეთუ ვინ იტყოდის, ვითარმედ: „და პირველ მისა ვითარ
იყვნეს, არა ღმრთივსწავლულ იყვნესა? რაჲ იქმნა აწ უკუე
უმეტესობაჲ?“ ამისთვის იქმნა აწ უკუე უმეტესობაჲ, რამე-
თუ მაშინ კაცთა მიერ იქმნებოდა სწავლაჲ, ხოლო აწ მხო-
ლოდღმობილისა მიერ ძისა ღმრთისა და სულისა მიერ წმი-
დისა. მერმე უკუე თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ი: „მამაჲ არავის უხილავს, გარნა რომე-
ლი-იგი ღმრთისაგან არს“ (6,46). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ხოლო
ამას არა სიტყუთა მით მიზეზისაჲთა იტყუს, არამედ სიტყუთა
მით ბუნებისაჲთა, თუ არა, უკუეთუმცა სიტყუთა მით მიზე-
ზისაჲთა იტყოდა, ჩუენ ყოველნი ღმრთისაგან ვართ, ხოლო
სადა არს უმეტესობაჲ იგი ძისაჲ და ყოველთაგან განყოფი-
ლებაჲ? ანუ რაჲსათჳს არა გამოცხადებულადრე პრქუა მათ,
გარნა უძღურებესათჳს მათისა ქმნა ესე, რამეთუ უკუეთუ
რაჲამს-იგი თქუა ვითარმედ: „გარდამოგვედ ზეცით“. და
იგინი დაბრკოლდეს. უკუეთუმცა ესე უთხრა, რაჲმცა ყვეს?
ხოლო პუ რ ა დ ც ხ ო რ ე ბ ი ს ა უწესს თავსა თჳსსა, რა-
მეთუ იგი არს, რომლისა მიერ ცხორებაჲ ჩუენი ჰგეეს, აწინ-
დელიცა და მერმეცა. და იტყუს, ვითარმედ: „რომელმან ჰა-
მოს პური ესე, ცხოვნდეს უკუნისამდე“. ¹ ხოლო პუ რ ა დ
აქა გინა თუ სწავლათა მათ იტყუს ცხოველსყოფელითა: „ა-
სარწმუნოებასა მისსა, ანუ ჯორცსა თჳსსა, რამეთუ ორივე
ესე განაძლიერებს, და იპყრობს და გამოჰზრდის სულსა.

იხილეთ უკუე, თუ ვინაჲ იქმს მანანაჲსა მიმართ განყო-
ფილებასა მისსა აღსასრულისაგან. ჰერ-არს ორისავე საზრ-
დელისა ხილვაჲ, რამეთუ რაჲთამცა უჩუენა, ვითარმედ არა
უცხოსა რასმე საქმესა იქმოდა იგი, ამისთვის თქუა, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ი: „მამათა თქუენთა ჰამეს მანანაჲ უდაბნო-
სა და მოსწყდეს“ (6,49). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** და მერმე შეჰმზა-
დებს სიტყუასა თჳსსა, რაჲთა უჩუენოს, ვითარმედ: ფრიად
უმეტესსა ღირსქმნულ არიან იგინი, ვიდრე მამანი მათნი, ვი-

¹ იოან. 6,58

თარ მოსე და მსგავსნი მისნი, საკვრველნი იგი კაცნი, ათისათჳს თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: „მამათა თქუენთა ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა და მოკუდეს, ხოლო რომელი ჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვრდეს უკუნისამდე“ (6,49). თ ა რ გ მ ა ნ ი: და ესეცა სიტყუაჲ, თუ: „უდაბნოსა ზედა“, არა ცუდად თქუა, არამედ რაითამცა უჩუენა, ვითარმედ არცა დაყო მან მანანამან ჟამი მრავალი, არცა იყოფოდა მათ თანა, და შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა. ხოლო ესე პური არა ესევეთარი არს და „პური იგი, რომელი მე მივსცე ცხოვრებისათჳს სოფლისა“. ხოლო ამას ადგილსა საძიებელ არს, თუ რაჲ ჟამი იყო იგი ამით სიტყუათაჲ, რომელნი დამკნელ იყვნეს მრავალთა, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: „მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი წარვიდეს და იტყოდეს, ვითამედ: „ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე, ვის ძალ-უც სმენად ამისა?“¹ რამეთუ ჭერ-იყო მოწაფეთა მისთა მიმართ თჳსაგან თქუმაღ. ვითარცა-იგი მათეცა იტყოდა, ვითარმედ: „თჳსაგან ეტყუნ მათ“.² რაჲ ვთქუათ უკუე ამისთჳს, რაჲ იყო საკმრობაჲ ამით სიტყუათაჲ? ფრიად იყო საკმრობაჲ და საქმე, რამეთუ, ვინაჲთგან აიძულებდეს მას, და სთხოვდეს საზრდელსა კორციელსა, და მამათა მათთა მოცემულსა მას საზრდელსა აკსენებდეს და მანანასა დიდად საქმედ უწესდეს, ამისთჳს ენება ჩინებად. ვითარმედ იგი ყოველივე სახმე იყო და აჩრდილი, ხოლო მისნი იგი საქმენი არიან ჭეშმარიტება. ამისთჳს აკსენა საზრდელი იგი სულიერი, არამედ თქუას ვინმე, ვითარმედ: „ჭერ-იყო თქუმაჲ, თუ: „მამათა თქუენთა ჭამეს მანანაჲ უდაბნოს, ხოლო მე პური მიგეც თქუენ“, გარნა ფრიადი არს განყოფილებაჲ ამას შინა, რამეთუ შერაცხილ იყო მანანაჲსა მის საკვრველებაჲ იგი ზეცით უზეშთაეს პურთასა, რამეთუ მოსრულ იყო, ხოლო ესე ქუეყანასა ზედა იქმნა სასწაული. ვინაჲთგან უკუე ეძიებდეს ზეცით მომავალსა საზრდელსა, ამისთჳს ზედაჲსზედა ეტყოდა მათ, ვითარმედ: „ზეცით გარდამოვკედ“. უკუეთუ კულა ვინ გამოეძიებდეს,

¹ მარკ. 4,34

² იოან. 6,51

თუ რამსათვის იწყო მაშინ თქმად საიდუმლოთათვის კორ-
 ცისა და სისხლისა მისისათა, ესრეთ ვპრქუათ მას, ვითარმედ
 ფრიად იყო მაშინ მათ სიტყუათა მისთა ჟამი, რამეთუ დაფა-
 რულებამ თქუმულთამ მარადის მსმენელსა განაფრთხილებს
 და კეთილად მსმენელ-ჰყოფს. და ამისთვის არა დაბრკოლე-
 ბამ ჭერ-იყო, არამედ უფრომსად კითხვამ და გამოძიებამ.
 ხოლო იგინი წარვიდეს, გარნა, უკუეთუ წინამწარმეტყუე-
 ლად შეერაცხა იგი, ჭერ-იყო რწმუნებამ სიტყუათა მისთამ.
 ამისთვისცა საცნაურ არს, ვითარმედ მათისა უგუნურებისაგან
 იყო დაბრკოლებამ იგი და არა დაფარულებისაგან და სიძ-
 ნელისა თქუმულთა მისთამსა. ხოლო შენ იხილე, თუ ვითარ
 მცირედ-მცირედ მოიყვანებს მათ თავისა მიმართ თვისისა,
 რამეთუ აქა თავსა თვისსა იტყვს მიმცემელად პურისა მის,
 ვითარმედ: „პური, რომელი მე მივსცე, კორცი ჩემი არს,
 რომელი მე მივსცე ცხოვრებისათვის სოფლისა“. ¹ გარნა თქუას
 ვინმე, ვითარმედ: „უცხო იყო სწავლამ იგი და შეცვალებუ-
 ლი“, გარნა იოვანე პირველითგანვე მოასწავა ესე, ტარ-
 გად რამ სახელ-სდვა მას. და უკუეთუ ვინ იტყვს, თუ და-
 ღაცათუ იოვანე ესე თქუა, გარნა ვერვე გულისხმა-ეყო მათ.
 ხოლო ესე მეცა უწყი, გარნა არცა მოწაფეთა უწყოდეს, რა-
 მეთუ უკუეთუ აღდგომისათვის ჭერეთ არარამ უწყოდეს,
 ამისთვისცა ვერ გულისხმა-ყვეს სიტყუამ იგი, ვითარმედ: „დაჰ-
 წსენით ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვაშენო იგი“. ² და
 ვინამთგან იგი ვერ გულისხმა-ყვეს, ესემცა არა უფრომსად
 ვერ გულისხმა-ყვესა, რამეთუ ესენი ფრიად უძნელეს იყვნეს.
 ვიდრელა იგინი? და კუალად ამისთვისცა, რომელ-ესე იცოდეს,
 თუ წინამწარმეტყუელნი სხუანიცა აღდგომილ არიან, გარ-
 ნა ესე, ვის თუ კორცი ძისა კაცისამ უქამიეს, არლასადა ასმი-
 ოდა, რამეთუ არცა ვის სადა უთქუამს ესე წინამწარმეტ-
 ყუელთაგანსა, არამედ ამას ყოველსა ზედა დაღაცათუ ვერ
 გულისხმა-ჰყოფდეს, შე-ვე-უდგეს მას და აღიარებდეს, ვი-
 თარმედ სიტყუანი ცხოვრებისა საუკუნომსანი ჰქონან. რა-
 მეთუ ესე არს საქმე მოწფისამ, რამთა არა გამოეძიებდეს
 საქმეთა მოძღურისა თვისისათა, არამედ ოდენ ისმენდეს და

¹ იოან. 6,51

² იოან. 2,19

ირწმუნებდეს მისსა, და ჟამსა მარჯუესა მოელოდის, ოდეს შეუძლოს გულისხმის-ყოფად სიტყუათა მათ. ხოლო რო-ძელთა-იგი წინააღმდგომი ქმნეს და წარვიდეს მისგან ძართლუკუნ, ესე მათისა მის ბოროტებისა და უგულისხმოე-ბისაგან იქმნა, რამეთუ რაჟამს ძიებაჲ შემოვიდეს, თუ: „ესე ვითარ არს?“ და „იგი ვითარ?“ ძიებასა მას თანა შემოვალს ურწმუნოებაჲცა.

ეგრეთვე უკუე ნაკოდემოსცა განკრვებულ იყო და იტყო-და, ვითარმედ: „ვითარ შეუძლოს კაცმან მუცელსა დედისასა წესლვად?!“ და ესენიცა ესრეთვე შეშფოთებულ იყვნეს და იტყოდეს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ვითარ კელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა კორცი თუსი ჭამად?“ (6,52). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამე-თუ უკუეთუ ვითარობასა ეძიებთ პურთა მათ ზედა, რად არა ჰქმენით ესე და სთქუთ, თუ: „ვითარ ხუთნი იგი ესრეთ გა-ხამრავლნა?“ გარნა ამისთვის იქმნა ესე, რამეთუ განძლომასა ოდენ ჰხედევდით მაშინ და არა სასწაულსა მას, უკუეთუ კუ-ლა ამას იტყვთ, თუ: „მაშინ საქმემან გუასწავა ჩუენ და გულ-სავსე ვიქმნენით“, არამედ, ვინაჲთგან მაშინ საქმით იხილეთ და გულსავსე იქმნენით, ჯერ-იყო, რაჲთამცა მისგან ესეცა დაირწმუნეთ, რამეთუ ამისთვის პირველვე ქმნა დიდი იგი სას-წაული, რაჲთა მისგან ისწაოთ და არღარა ურწმუნო იყვნეთ მისა.

ს ვ ა ვ ლ ა დ მ მ

ზ ი ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ს

გარნა მათ მაშინ არაჲ ნაყოფი გამოილეს სიტყუათა მათ-გან უფლისათა, ხოლო ჩუენ ქველისმოქმედებაჲ მისი საქმით-ცა მოვილეთ, ამისთვის კეთილ არს, რაჲთა გულისხმა-ვყოთ, თუ რაჲ არს საკრველი ესე საიდუმლოჲსა ამის ზიარებისაჲ და რაჲსათვის მოგუეცა და რაჲ არს სარგებელი საქმისაჲ მის.

ისმინეთ უკუე და გულისხმა-ყავთ, რამეთუ ერთგუამ ვართ. და ასოებ ჯორცთა მისთაგანნი და ძულთა, ხოლო რომელნი-ეგე ნათელღებულნი ხართ და გულისხმისყოფელნი. თქუენ ისმინეთ სიტყუაჲ ესე და გულისხმა-ყავთ, ვინაჲთგან უკუე ასონი ვართ მისნი. ხოლო მას ენება, რაჲთამცა არა სიტყუთ ოდენ იყო ესე, არამედ საქმითცა შევერთნეთ ჯორცთა მისთა, ხოლო ესე იქმნებოდა ამის მიერ, რომელი-ესე მოგუეცა საიდუმლოჲ, რაჲთამცა გვჩუენა სიყუარული, რომელი აქუს ჩუენდა მომართ. ამისთუსცა შეაერთა თავი თვისი ჩუენ თანა, რაჲთა ესრეთ ერთ ვიქმნნეთ მის თანა, ვითარცა ერთ არს გუამი თავსა თანა, რამეთუ ესე არს საქმე ფრიადისა სიყუარულისა სახმ. და ამას მოასწავებდა იობ, იტყოდა რაჲ მონათა მათთუს, რომელთადა ფრიად სასურველ იყო, ვითარ იგინი ეტყოდეს მრავლისა მის მათისა სურვილისაგან, ვითარმედ: „ვინ მოგუეცს ჯორცთაგან მისთა განძლომად?“¹ ამისთუსცა ქრისტემან ქმნა ესე, რაჲთა უმეტესად საყუარულად მისა მომიყვანნეს ჩუენ, და თსიცა სიყუარული გვჩუენოს, რომელი აქუს ჩუენდა მომართ, და არა ხილვად ოდენ მისა ღირს-მყოფს ჩუენ. არამედ შეხებადცა და ჳამად მისა და ცოხნად კბილითა ჩუენითა უხრწნელსა ჯორცსა მისსა და შეერთებად მისდა და აღსრულებად სურვილისა მის ჩუენისა. აწ უკუე, ძმანო, ესრეთ წარვიდოდით ტაბლისა მისგან, ვითარცა ლომნი, რომელთა სცვიენ ცეცხლი, ესრეთ საშინელ ციყვნეთ ეშმაკისა და ანგელოზთა მისთა, და დავიციწყებდეთ თათა ჩუენთა და ვიქსენებდეთ სიყუარულსა მას, რომელი ქმნა მან ჩუენ ზედა, რომელი-იგი მეტყუს ჩუენ, ვითარმედ: მშობელთა მათ ჯორციელთა რომელნი მრავალგზის სხუათა მისცემენ აღზრდად შვილთა მათთა, არამედ მე არა ესრეთ ვიქმო, გარნა ჯორციითა ჩემითა გზრდი თქუენ და თავსა ჩემსა წინაშე დაგიდებ თქუენ, რამეთუ მნებავეს, რაჲთამცა თქუენ ყოველნი მთავარ და ღიდებულ იქმნენით. და მოგცემ თქუენ სასოებათა კეთალთა საუკუნოჲსა მისთუს, რამეთუ, რომელსა-ესე აქავე თავი ჩემი მიმრციემოეს თქუენდა და არა უფროჲსად მას საუკუნესა ვყოა ესე, რომელმან-ესე ვინებე ძმად თქუენდა

¹ იობ. 31,31

ყოფად, ზიარ ვიქმენ თქვენთვის ჯორცთა და სისხლთა, და კუალად ჯორცსა მას და სისხლსა მიგცემ თქვენ, რომელთათვის ვიქმენ ზიარ მათა? აწ უკუე ესე სისხლი, ძმანო, ხატსა მას სამეუფოსა კეთილად გამოსახავს და განაბრწყინებებს ჩუენ შორის. ესე პატროსნებასა მას სულისასა და მთავრობასა დაშრეტად და დაჰნობად არა უტევებს, არამედ რწყავს მას ზედადს ზედა და ზრდის. ესე სიკეთს არს მიუთხრობელი, რამეთუ ჯორციელთა ჭამადთაგან ჩუენ შორის განმრავლებული იგი სისხლი არა მეყსეულად სისხლ იქმნების, არამედ სხუად ნივთად შეიცვალების პირველ და მერმელა იქმნების სისხლ, ხოლო ესე არა ესრეთ არს, არამედ მი-რამ-ვილოთ, მეყსეულად სულსა მოჰრწყავს და დიდსა ძალსა მისცემს მას. ესე სისხლი საიდუმლოსა იოტებს ეშმაკთა და შორს-ჰყოფს ჩუენგან და მოუწოდს ანგელოზთა ჩუენდა და მეუფესა მას. ანგელოზთასა, რამეთუ სადა იხილონ სისხლი იგი სამეუფოა, ივლტიან ეშმაკნი და მიისწრაფიან მუნ ანგელოზნი. ესე სისხლი დაითხია რამ, ყოველივე სოფელი განბანა. ფრიად რამე სიბრძნისმეტყუელებს ამის სისხლისათვის ნეტარი პავლე ებისტოლესა მას შინა ებრაელთასა: „ამან სისხლმან უხილავნი იგი და წმიდანი წმიდათანი განწმიდნა“,¹ ხოლო უკუეთუ სახესა მისსა ესეოდენი ძალი აქუნდა ტაძარსა მას შინა ებრაელთასა და ეგვპტესა შინაცა წირთხილთა ზედა ცხებული იგი, მაშა, ჭეშმარიტებით ქმნილი ესე სისხლი მისა, რომლისა-იგი ყოველი სახს იყო, ვითარ არა ფრიად და მოუგონებელად დიდ იყო? ამან სისხლმან ოქროსა იგი საკურთხეველი წმიდა-ყო. თუნიერ ამისა ვერ იკადრებდა მღდელთ-მოდღუარი შინაგანსა მას ტაძარსა შესლვად. ამან განწმიდნა ცოდვანი პირველთა მათ სახეთა შინა და იგავთა, ხოლო უკუეთუ სახეთა მათ შინა და იგავთა ესეოდენი ძალი აქუნდა, უკუეთუ აჩრდილისაგან სიკუდილი შეძრწუნდა, ჭეშმარიტებისაგან ვითარ არამცა უზომოდ შეძრწუნდა? ესე არს ცხოვრებად სულთა ჩუენთა. ამით განიბანების სული, ამით შეიმკვების, ამით გამოიჯურვების, ესე ცეცხლისა უბრწყინვალეს-ჰყოფს გონებასა ჩუენსა, ესე ოქროსა უწმიდეს-ჰყოფს

¹ შლრ. ებრაელ. 9,22

სულსა. ესე სისხლი დაითხია და ცანი კაცთა სავალად ყვნა. ჭეშმარიტად საშინელ არს საიდუმლოდ ესე. აღმოვიდოდა სამოთხით წყაროდ და ხილულთა მდინარეთა აღმოაცენებდა, ხოლო ამის ტაბლისაგან აღმოვალს წყაროდ და სულიერთა მდინარეთა აღმოაცენებს, ამას წყაროსა თანა დანერგულ არიან არა ძეწნნი უნაყოფონი, არამედ ხენი, რომელნი ზეცას მსწუდებან. სავსენი მარადის ნაყოფითა მწიფითა და დაუჭინომელითა. რომელიცა უკუე შეჭირვებულ არს სიცხისაგან, ამას წყაროსა მოეახლენ და განაგრილენ სიცხე იგი თვისი, რამეთუ ესე წყაროდ ხორშაკსა დაქცნის და ყოველთავე შემთომართა სიცხისაგან ნუგეშინის-სცემს არა სიცხესა მზისასა, არამედ სიცხესა განუტრეხებულთა მათ მტერისა ისართასა, რამეთუ დასაბამი მისი ზეცით არს, და ძირი მისი მუნ არს, ვინაჲცა მოიწყვის. მრავალნი არიან ნაკადულნი და ნექტარნი და სადინებელნი ამის წყაროდსანი, რომელთა განავლენს ნუგეშინისმცემელი იგი სული და შუამდგომელ არს მხოლოდ-შობილი იგი ძმ. არა თუ სათხროლი აქუს და კუალსა იქმს, არამედ გონებათა ჩუენთა განახუამს ძალითა თვისითა. ესე წყაროდ ნათლისა წყაროდ არს, აღმომაცენებელი შარავანდედთა ჭეშმარიტებისათა. ამას წყაროსა წინაშე წარმოდგომილ არიან ზეცისა ძალნი და ჰხედვენ შუენიერებასა მას ღელვითა მისთასა, რამეთუ იგინი უმეტეს ჩუენსა ხედვენ წინამდებარეთა მათ საიდუმლოთა ძალსა და ბრწყინვალეებასა მას მათსა თუალთშეუდგამსა, რამეთუ ვითარცა ოქროდ რაჲ დნებინ ბრძმედსა შინა, გინა თუ კელი ვინ შთაყოს მას შინა, გინა თუ ენაჲ, მეყსეულად ოქროდსფერად გარდაქცევის. ეგრეთვე წმიდანი იგი საიდუმლონი ჰყოფენ სულსა. რამეთუ ესე მდინარე მჭურვალე არს უფროდს ცეცხლისა. გარნა არა შემწუველ არს, არამედ აწდობს ოდენ და შეუმუსრველ-ჰყოფს, რომელი მივიდეს მისა; ესე სისხლი პარველითგანცე გამოისახვოდა მარადის საკურთხეველთა ზედა და სიკუდილთა მათ შინა წმიდათასა; ესე არს სასყიდელი ყოვლისა სოფლისაჲ; ამით მოიყიდა ქრისტემან ეკლესიაჲ, ამით შეამკო იგი ყოვლით კერძო, რამეთუ, ვითარცა კაცი, რომელი მოიყიდინ მონათა, ოქროდ მისცის, და უკუეთუ შემკობაჲ მათი ჰნებავნ, ოქროდთავე ქმნის იგი, ეგრეთვე ქრისტემან მომი-

ყიდნა ჩუენ სისხლითა თჳსითა და კულად შემამკვნა ჩუენ სისხლითავე თჳსითა და, რომელნი ამის სისხლისაგან ეზიარებოდინან, იგინი ანგელოზთა თანა და მთავარანგელოზთა და ძალთა ზეცისათა მდგომარე არიან, და არა ვიტყუ არა ღირსებით, არამედ სიწმიდით და შეუმოსიეს სამოსელი იგი სამეუფოა და საქურველი იგი სულიერი. და რად ესრეთ ვიტყუ, რამეთუ თავადი იგი, მეუფეჲ ყოველთაჲ, შეუმოსიეს? ჰხედავა, ვითარ დიდ არს საქმჳ ესე და დიდებულ? აწ უკუე უწყოდე, ვითარმედ რაოდენ ესე დიდ არს და საკურველ, ეგრეთვე, უკუეთუ სიწმიდით მოუქდე მას, ცხოვრებად თავისა შენისა მისრულ ხარ, უკუეთუ კულა ბოროტითა გონებითა და შეგინებულითა მოუქდე, დასაშჯელად და წარსაწყმედელად თავისა შენისა მიიღებ, რამეთუ, რომელი ჳამდეს და სუმიდეს უღირსებით, იგი დასაშჯელად თავისა თჳსისა ჳამს და სუამს მას. რამეთუ, უკუეთუ, რომელთა შეაგინონ და დააბაყლონ პორფირი იგი სამეუფოა, მსგავსად მათსა, რომელთა დახიონ, დაიტანჯნენ. ესეცა არა სადამე უჯერო არს, ვითარმედ, რომელთა არაწმიდითა გონებითა მიიღონ კორცი და სისხლი ქრისტესი, დაისაჯებიან მსგავსადვე მათსა, რომელთა დაჳმჳქუალეს იგი ძელსა ზედა. იხილე უკუე, ვითარ საშინელად გამოაჩინა პავლე საშჯელი იგი უღირსთაჲ და თქუა, ვითარმედ: „შეურაცხ-თუ-ყოს ვინმე შჯული მოსესი, თუნიერ წყალობისა, ორთა ანუ სამთა მოწამეთა ზე მოკუდების“. ხოლო რაოდენ უფრომისა საშჯელისა ჳგონებთ ღირს-ყოფად, რომელმან ძმ ღმრთისაჲ დათრგუნოს და სისხლი იგი აღთქუმი-საჲ ლიტონად შეჳრაცხოს, რომლისა მიერ წმიდა იქმნა? ამისთვის უკუე ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რომელთადა მოცემულ არიან ესევითარი ესე კეთილნი, და რაჟამს გუენებოს ბოროტისა რამსამე თქუმად, ანუ აღვიტაცებოდით გულისწყრომად და რისხვად, ანუ სხუად რადმე ვნებად, მაშინ მოვიცენოთ, თუ ვითართა საქმეთა ღირსქმნულ ვართ, ვითარი სული მოცემულ არს ჩუენდა. და იყავნ ესე სიტყუაჲ აღვრმსხმელ ბოროტთა მათ ვნებათა, რამეთუ ვიდრემდის შემჳქუალულ ვართ წარმავალთა ამათ საქმეთა? ვიდრემდის არა განვიფრთხოვთ? ვიდრემდის არა ვზრუნავთ ცხოვრებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა? გუ-

ლისხმა-ვყოთ, თუ ვითარტა კეთილტა ღირს უქმნიეტ ქრისტესა, ვკმადლობდეთ მას და ვადიდებდეთ მას ნუ სარწმუნოებოტა ოდენ, არამედ საქმიტაცა, რაძტა ღირს ვიქმნნეთ კეთილტა მათ საუკუნეთა მადლიტა და კაცტმოყუარებოტა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესიტა, რომლისა მიერ და რომლისა ტანა მამასა ჰშუენის დიდებამ სულოტ წმიდიტურტ აწ და მარადის და უკუნოტი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ ე

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : „ჰრკუა მათ იესუ: „ამენ, ამენ გეტყუ თქუნ, უკუეთუ არა შუამოტ კორცი ძისა კაცისამ და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებამ თავისა თქუენისამ. ხოლო რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებამ საუკუნომ“ (6,53—54).
თ ა რ გ მ ა ნ ი : რაჟამს სულიერთა საქმეთატუს ვ-ტყოდოტ, ნუმცა რამ არს მას ჟამსა სოფლისა საქმეთაგანი სულტა შინა ჩუენტა, ნუმცა რამ იპოვების მიწისაგანი და ქუეყანისამ, არამედ ყოველივე ესევიტარი მას ჟამსა წარვდევნოტ ჩუენგან და მიუპყრნეთ ყურნი ჩუენნი და გულნი სიტყუატა მათ საღმრტოტა სმენასა, რამეთუ უკუეთუ მეფე რამ მივალნ, ყოველივე ამბოხებამ დაწყნარებულ იქმნის ადგილტა მათგან, რომელტა მივალნ. არა უფროძსად ვყოტა დაწყნარებამ, რაჟამს სული წმიდამ გუეტყოდის ჩუენ, და მყუდროებოტ და ძრწოლოტ ვისმენდეთ მისსა? რამეთუ ძრწოლისაცა დიდისა ღირს არიან სიტყუანი ესე, რამეთუ იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : ამენ, ამენ გეტყუ თქუნ, უკუეთუ არა შუამოტ კორცი ჩემი და ჰსუათ სისხლი ჩემი, არა გაქუნდეს ცხორებამ საუკუნომ (6,53).
თ ა რ გ მ ა ნ ი : რამეთუ, ვინამტგან იგინი იტყოდეს, ვითარმედ: „შეუძლებელ არს ამისი ქმნამ“, იგი გამოაჩინებს, ვითარმედ არა თუ ოდენ არა შეუძლებელ არს, არამედ თანაწარუვალცა არს, რომელსა ენებოს ცხორებამ.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებამ საუკუნომ და მე

აღვადგინო იგი უკუანამსკნელსა მას დღესა (6,54). **თარგმანი:** რამეთუ ვინამთგან თქუა რამ, თუ: „რომელი ჰამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს უკუნისამდე“, და იგინი წინააღმდეგობოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: „აბრაჰამ მოკუდა და წინამსწარმეტყუელნი, და ვითარ შენ იტყუ, თუ: „არა მოკუდეს?“¹ ამისთვის თქუა აქა აღდგომამ, რამთა აღუქსენოს საძიებელი იგი მათი და გულისხმა-უყოს, ვითარმედ, დაღათუ მოკუდეს მცირედ ჟამ, არამედ არა უკუნისამდე. ხოლო ზედადსხედა აქცევს სიტყუასა ამას ზიარებისასა წმიდათა მათთვის საიდუმლოთა, რამთა გულისხმა-უყოს და გამოაჩინოს სიდიდჷ იგი საქმისაჲ მის, და ვითარმედ თვნიერ ყოვლისა მიზეზისა ქმნამ მისი ჯერ-არს. ხოლო რამ არს სიტყუამ იგი, თუ „კორცი ჩემი ჰეშმარიტი საჰმელი არს და სისხლი ჩემი ჰეშმარიტი სასუმელი არს“² რამეთუ ანუ ამისთვის თქუა, ვითარმედ: „ჰეშმარიტი საჰმელი და სასუმელი არს“, რამეთუ ზრდის იგი სულსა, ანუ ამისთვის თქუა, რამთა გულისხმა-უყოს და დაარწმუნოს, სიტყუამ თვისი თუ არა იგავით თქუმულ არს, რამთა არა ეძიებდენ სახესა და იგავსა, არამედ გულისხმა-ყონ, ვითარმედ ჰეშმარიტებით ჰამამ ჯერ-არს კორცისა მისისაჲ. მერმე უკუე იტყუს; ვითარმედ:

სახარებაჲ: რომელი ჰამდეს კორცსა ჩემსა, ჩემ თანა დადგრომილ არს (6,56). **თარგმანი:** ხოლო ამას იტყოდა, რამთა გულისხმა-გყოს, ვითარმედ, რომელი მას ძიილებდეს, ღირსებით სრულიად უფალსა შევეერთების, რამეთუ „ჩემ თანა დადგრომილ არსო, და მე მის თანა“. ხოლო შემდგომი ამისი ესრეთ ჩანს, თუ შეუწყობელ არს პირველისა სიტყუსა მიმართ, უკუეთუ ძალი სატყუსაჲ არა გულისხმა-გყოთ. რამეთუ ვითარი შეწყობამ არს, ანუ რამ საქმჷ არსო, რომელ ვინამთგან თქუა, თუ: „რომელი ჰამდეს კორცსა ჩემსა, ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა?“ და მეყსეულად შესძინა ამას ზედა:

სახარებაჲ: „ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, მეცა ცხოველ ვარ მამისათვის“ (6,57); **თარგმანი:**

¹ იოან. 8,52

² იოან. 6,55

გარნა ფრიადი შეწყობალებად აქუს ამას სიტყუასა, რამეთუ ვინაძთგან ზემო და ქუემოცა იტყოდა ცხოვრებისათუს საუკუნოჲსა, და მერმე თქუა, ვითარმედ: „ჩემ თანა დადგრომილ არს“. ამისთვისცა თქუა შემდგომიცა იგი, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა, ჩემ თანა დადგრომილ არს, ხოლო მე ცხოველ ვარ“ და საცნაურ არს უკუე, ვითარმედ იგიცა ცხოველ იყოს. და მერმე იტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან (6,57). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ხოლო ესე სწორებისა და მსგავსებისაჲ არს და სიტყუად ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „ცხოველ ვარ მე ესრეთ, ვითარცა მამაჲ“. და რაჲთა არა უშობელად ჰგონებდე მას, ამისთვის თქუა, ვითარმედ: მაძისათუს არა თუ ამას მოასწავებს, თუ ძალი რაჲმე უკმს სხუსა მიერ ცხოვრებისათუს, რამეთუ ესე პირველვე აღმოჰფხურა. ჩუენგან და თქუა, ვითარმედ: „ვითარცა მამასა აქუს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, ეგრეთვე მოსცა ძესა, რაჲთა აქუნდეს ცხოვრებაჲ თავსა შორის თუსსა ესრეთვე, ვითარცა მამასა“.¹ ვინაძთგან უკუე ესრეთ აქუს ცხოვრებაჲ, ვითარცა მამასავე, ვერღარა სადაჲმე საკმარ არს მისდა სხუად შემწჳ ცხოვრებისადა. ხოლო რაჲ არს სიტყუად იგი, რომელ თქუა, თუ: „ცხოველ ვარ მამისათუს“, რამეთუ ამას ადგილსა მიზეზსა მას მოასწავებს, ხოლო სიტყუად ესე ესევეითარი არს, ვითარმედ: „ვითარცა მამაჲ ცხოველ არს, ეგრეთვე მე ცხოველ ვარ, და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხოველ არს ჩემთვის“. ხოლო ცხოვრებასა აქა იტყუს მალალსა მას საღმრთოსა და არა ლიტონსა ამას, რომელი ყოველთავე აქუს, რამეთუ ამის მიერ საცნაურ არს, რომელ არა კაცობრივისა მას ცხოვრებასა იტყუს, არამედ საღმრთოსა და წმიდასა, რომელ ამით კაცობრივითა ცხოვრებითა ყოველნივე ცხოველ არიან, ურწმუნონიცა და რომელთა არა ეკამოს კორცისა მისგან მისისა. ჰხედავა, ვითარ არა ამის ცხოვრებისათუს იტყოდა, არამედ საუკუნოჲსა ძის? რამეთუ ესევეითარი არს სიტყუად მისი, ვითარმედ: „რომელი ჭამდეს კორცსა ჩემსა, გან-რაჲ-ვიდეს ამის სოფლისაგან, არა წარწყმდეს, არცა იტანჯოს „დ. უალად, რომელ

¹ შტრ. იოან. 5,26

თქუა, თუ: „აღვადგინო იგი უკუნადასკნელსა მას დღესა“, არა ზოგადისა მის ყოველთა აღდგომისათჳს თქუა, რამეთუ ყოველნივე აღდგებიან, არამედ რჩეულისა მის და კეთილისა აღდგომისა, რომელსა აქუნდეს სასყიდელი განმრავლებულად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : მამათა თქუენტა ჳამეს მანანამ და მოსწყდეს, ხოლო რომელი ჳამდეს პურსა ამას, ცხოვნდეს უკუნისამდე (6,58). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აჳა, ესერა, მრავალგზის იტყჳს სიტყჳსა ამას, რამთამცა დაამტკიცა ესე გონებათა შინა მათთა და დარწმუნებად აღდგომისათჳს და ცხორებისა მის საუკუნოჲსა. ამისთვისცა აღდგომასა ავსენებს და ცხორებასა საუკუნესა აღუთქუამს, რამთა უჩუენოს, ვითარმედ არა აწ არს ცხორებამ იგი, არამედ შემდგომად აღდგომისა ყოფად არს. ხოლო უკუეთუ ვინ თქუას, თუ: „სადათ საცნაურ არს ესე?“ ისმინენ ყოველთა წერილთამ, რამეთუ ყოველსავე ადგილსა წერაღისა მიმართ მიავლენდა მათ და უბრძანებდა მათ მიერ ცნობად ჳეშმარიტებასა. ხოლო თქუა რამ, ვითარმედ, „ესე პური ცხორებასა მოსცემს სოფელსა“,¹ ამით სიტყჳთა ენება, რამთამცა შურად მოიყვანნა იგინი, რამთა შეჳმურდეს მათ სხუათა იგი შესლჳამ ცხორებასა და არა დაშთენ იგინი გარე, ხოლო ზედაჲსზედა მოავსენებს მათ მანანამსათჳს, რამთამცა უჩუენა, თუ რაოდენი განყოფილებამ აქუს ნიჳსა ამას, მის მიერ მოცემულსა, მანანამსა მისგან და რამთამცა მოიყვანნა იგინი სარწმუნოებად. რამეთუ უკუეთუ შემძლებელ იჳმნა ორგეოც წელ თჳნიერ მუშაკობისა და თესვისა ესრეთ გამოზრდად მათა, არა აწ უფროჲსად ჳმნასა ესე-ვითარი, ენებოს თუ, რომელი-იგი უმეტესითა მოწყალებითა კაცთამთა მოსრულ არს? რამეთუ უკუეთუ იგი ყოველი სახჳ იყო და ესრეთ უჳირველად იჳმნებოდა, არამცა აწ უფროჲსად იჳმნა საქმჳ იგი, სადა-იგი ფრიადი არს ჳეშმარიტებისა ძალი არაოდეს აღსრულებისა და ყოფისამ ცხორებასა მას შინა ჳეშმარიტსა? ხოლო ცხორებასა ყოველსავე ადგილსა ავსენებს, რამეთუ ცხორებამ სასურველ არს კაცთა მიერ და არარამ არს ესრეთ ტკბილ, ვითარ არა სიკუდილი. რამეთუ ძუელსა მასცა შინა აღთქუმასა ესე იყო კეთილ: სიგ-

¹ შდრ. იოან. 6,33

რძე დღეთად და ცხორებამ მრავალ ჟამ, არამედ აწ არა ოდენ სიგრძე არს, გარნა ცხორებამ დაუსრულებელი და კუალად ამას ყოველსა ზედა ენებაცა ჩუენებად, ვითარმედ სამჯელისა მის ურჩებისაგან ჩუენისა მოწევენულისა ჩუენ ზედა განქარვებამ ენება, და აწ განჩინებასა მას სიკუდილსა მიმყვანებელსა, დაჰკსნის და მის წილ შემოიდებს ცხორებასა საუკუნესა წინააღმდგომად პირველისა მის.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ესე თქუა შესაკრებელსა შორის და ასწავებდა კაფარნაუმს (6,59). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე ყოველი თქუაო კაფარნაუმს, სადა-იგი უმრავლესნი ძალნი იქმნნეს, და ამისთვის ჯერ-იყო რწმუნებამ მათი სიტყუათა მისთამ, ხოლო ასწავლიდა შესაკრებელთა შორის და ტაძართა, ერთად, ამისთვის, რადთამცა სიმრავლემ იგი ერთსად ისმენდა მისსა და მოიქცეოდესმცა, და, კუალად ამისთვის, რადთამცა უჩუენხა ყოველთა, ვითარმედ არა წინააღმდგომი არს მამისად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : მრავალთა, რომელთა ესმა ესე მოწაფეთა მისთაგან, და იტყოდეს: „ფიცხელ არს სიტყუად ესე“ (6,60). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვითარ ფიცხელ არს, საჭირო არსო და საშრომელ: და ვითარ თქუეს ესე? და ვინამთგან იგი არას იტყოდა ესევითარსა, რამეთუ არა თუ კორციელთა სათნოებაათთვის ასწავებდა, არამედ სარწმუნოებისათვის, რადსათვის უკუე ფიცხელ არს სიტყუად ესე? ამისთვის, რამეთუ ცხოვრებისა და აღდგომისა აღთქუმასა იქმს, ანუ რომელ თქუა, თუ „ზეციით გარდამოვკედო“. ანუ, ვითარმედ: „შეუძლებელ არს ცხორებამ, რომელმან არა ჰამოს კორცი მისი“, და ესენი არიანა ფიცხელ? და ვინ თქუას, თუ: „ესენი ფიცხელ არიან?“ ხოლო რად იტყოდეს, თუ: „ფიცხელ არს?“ გარნა ამისთვის, ვითარმედ ძნიად შესაწყნარებელ არს და უზეშთაეს უძლურებისა მათისა და სავსე შიშითა და ჰგონებდეს მას, თუ უმეტეს ღირსებისა თვისისა ეტყვის მათ და უზეშთაეს თავისა თვისისა, და იტყოდეს, ვითარმედ: „ვის ძალ-უც სმენად მისა?“ რამეთუ თავთა თვსთა განიმართლებდეს, რომელთა-იგი ენება წარსლვად მისგან. ხოლო იესუ ცნა რად სულითა თვისითა, ვითარმედ დრტუნვენ, რამეთუ ესეცა საქმემ ღმრთეებისა მისისად იყო, რომელ დაფარულთა მათ გულისათა გამოაცხადებდა, და ეტყოდა, ვითარმედ „ესე დაგაბრკოლებს

თქვენ?"¹ ესე უკუე ნათანაელს ზედაცა ქმნა, ვითარმედ: „გარქუ შენ, თუ გიხილე ლელუსა ქუეშე, გრწამს, ამისა უმეტესი იხილო“² და აქაცა აწ ეგრეთვე ეტყუს, ვითარმედ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ესე დაგაბრკოლებსა, უკუეთუ იხილოთ ძმ კაცისაჲ აღმავალი, სადაცა იყო პირველ?“ (6,61—62).
თ ა რ გ მ ა ნ ი : ესრეთ ნიკოდემოსსცა ეტყოდა, ვითარმედ: „არა ვინ აღვიდა ზეცად, გარნა ზეცით მოსრული იგი ძმ კაცისაჲ, რომელი იყო ზეცას“.³ რაჲ არს? ნუუკუე დაფარულე-ბასა დაფარულთა ზედა დაპრთავსა? გარნა არა, — ნუ იყოფინ! არამედ სიმალლითა მით და სიმრავლითა სწავლათა მისთაჲთა ენება მოქცევამ მათი, რამეთუ, რომელმან თქუას ესე ლიტონად, თუ: „გარდამოვკედ ზეცათ“, და სხუამ არარაჲ შესძინოს, უფროჲსად დააბრკოლებს. ხოლო მისნი იგი სიტყუან, რომელ იტყოდა, თუ „ჯორცი ჩემი ჭეშმარიტი ცხოვრებაჲ არს სოფლისაჲ“, და ვითარმედ: „ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, მეცა ცხოველ ვარ მამისათჳს“, და ვითარმედ: „ზეცით გარდამოვკედ, — ესე ყოველი დამკსნელი იყო ურწმუნოებისაჲ. რამეთუ რომელმან ერთგზის თქუას რაჲმე, ნუუკუედა საექუელცა იქმნას, თუ არა ჭეშმარიტი არს, ხოლო რომელი ესრეთ მრავალგზის და მრავალთა მოწამეთა წამებოთა და საქმითა ესეოდენითა გამოაჩინებდეს სიტყუსა თჳსისა ჭეშმარიტებასა, იგი ყოველსავე იქუსა უჩინო-ჰყოფს. ეგრეთ უკუე უფალი იქმოდა, ხოლო ყოველსავე იქმოდა და იტყოდა, რაჲთამცა განაჩინნა იგინი გულისსიტყუსა მისგან, რომელ ძედ იოსებისა ჰგონებდეს მას. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არა განმრავლებად დაბრკოლებისა მის იტყოდა სიტყუათა მათ. არამედ უფროჲსად სრულიად დაჯსნად დაბრკოლებისა, რამეთუ რომელი იოსების ძედმცა ჰგონებდა მას. არა შეიწყნარებდა იგი სიტყუათა მათ, ხოლო რომელმანცა ირწმუნა, თუ ზეცით გარდამოსრულ არს და მუნვე აღვალს იგი, აღვილად ირწმუნებდა ყოველთავე სიტყუათა მისთა. ხოლო შემდგომად ამათ სიტყუათა, აჰა, ესერა, იხილე, ვითარ სხუასაცა დაბრკოლებისა დამკსნელსა სიტყუასა ეტყუს მათ:

¹ იოან. 6,61

² იოან. 1,50

³ იოან. 3,13

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „სული არს განმაცხოველებელი, ხოლო კორცნი არად სარგებელ არიან“ (6,63). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს, ესევეთარი არს, ვითარმედ სულიერად ჯერ-არს ჩემთვის თქუმულთა მათ სიტყუათა სმენად, რამეთუ, რომელი კორციელად ისმენდეს მათ, მან ვერაჲ შეიძინოს, არცა სარგებელი პოვოს. ხოლო კორციელი ესე იყო, რომელ იტყუელ იყვნეს იგინი, თუ ვითარ გარდამოჲდა ზეცით, და რომელ ჰგონებდეს, თუ ძმ არს იოსებისი, და რომელ იტყოდეს, თუ „ვითარ ძალ-უც მოცემად ჩუენდა კორცი თვისი ჰამად?“ ესე ყოველი კორციელი იყო, ხოლო მათ საქმეთაჲ სულიერად და საიდუმლოდ ჯერ-არს გულისხმის-ყოფად და თუ ვინმე თქუას, თუ: „ვითარმცა შეუძლეს მათ ცნობად და გულისხმის-ყოფად, რაჲ არს ჰამად კორცისა მისისაჲ?“ გარნა ჯერ-იყო მათა, რაჲთამცა ჰკითხვიდეს და მოელოდესმცა ჟამსა გულისხმის-ყოფად და არამცა ესრეთ მეყსეულად დაბრკოლდებოდეს და იტყოდეს, თუ: „შეუძლებელ არს ამის საქმისა ჰმენად“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „სიტყუანი, რომელ გარჰუნ, სულ არიან და ცხოვრება“ (6,63). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო რაჲ არს ესე, თუ: „სულ არიან?“ ესე იგიარს, ვითარმედ სულიერ არიან და არარაჲ კორციელი ჰრთავს მათ შინა, არცა ბუნებისა ამის უძლურისა საქმენი, არამედ განყენებულ არიან ყოვლისაგანვე საქმისა ქუეყანისა და შჯულთა და წესთაგან ქუეყანისათა და სხუაჲ ძალი აქუს განშოვრებული და ამადლებული ამის ყოვლისაგან. ვითარცა უკუე აქა სული თქუა სულიერისა წილ, ეგრეთვე კორცი რაჲ თქუა, არა კორცთათუს თქუა, არამედ კორციელად სმენისათუს და მათცა უჩუენებდა, ვითარმედ მარადის კორციელისათუს ჰსურის მათ, არამედ ჯერ-იყო სულიერისათუს სურვილი, რამეთუ უკუეთუ ვინ სიტყუანი ესე კორციელად გულისხმა-ყვნეს, არარაჲ ერგოს, რაჲ არს უკუე კორცნი, არა კორც არიანა? ჰე, ჰეშმარიტად, ვითარ იტყვს, ვითარმედ: „კორცნი არად სარგებელ არიან“. არა თუსთა კორცთათუს იტყვს, — ნუ იყოფინ! — არამედ მათუს, რომელნი კორციელად გულისხმა-ჰყოფენ. ხოლო რაჲ არს კორციელად გულისხმის-ყოფად? გარნა ესე, რომელ კაცი ესრეთ ლიტონად ჰხედვიდეს სიტყუათა ამათ და არად შეე-

რაცხნენ დიდად საიდუმლოდ და მალლად, რამეთუ ესე არს
კორციელი, ხოლო ჭერ-არს, არა. ესრეთ გულისხმის-ყოფა
გარეგანითა თუალითა, არამედ ყოველთა მათ საიდუმლოთა
შინაგანითა თუალითა უკმს ხილვად და განცდად, რამეთუ ესე
არს სულიერი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რომელი არა კამდეს კორცსა ჩემსა და
არა სუმიდეს სისხლსა ჩემსა, არა აქუს ცხორებაჲ თავისა
თვისაჲ“ (6,54). თ ა რ გ მ ა ნ ი : ვითარ უკუე არა სარგე-
ბელ არიან კორცნი, რომელთა გარეშე ცხორებაჲ არა იქმნე-
ბის? ჰხედავა, ვითარმედ სიტყუაჲ ესე, თუ: „კორცნი არა
სარგებელ არიან“, არა თვისისა კორცისათჳს თქუმულ არს,
არამედ კორციელად სმენისათჳს?

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : არამედ არიან ვიეთნიმე თქუენგანნი, რო-
მელთა არა ჰრწამს. (6,64). თ ა რ გ მ ა ნ ი : კუალად ჩუე-
ლებისაებრსა მას პატიესა დასდებს სიტყუათა ზედა თჳსთა,
რამეთუ მომავალთა მათ დაფარულთა საქმეთა იტყჳს და უჩუ-
ენებს, ვითარმედ არა მათმიერი დიდებაჲ ეკმარების, და
ამიხზჳს იტყჳს ამას ყოველსა, არამედ რამეთუ ეწყალიან იგი-
ნი. ხოლო თქუა რაჲ, თუ „ვი ე თ ნ ი მ ე“, ამით სიტყუთა
მოწაფენი თჳსნი განარჩინა მათგან, რამეთუ პირველითგან
ეტყოდა, ვითარმედ: „მიხილეთ მე და არა გრწამს“,¹ ხოლო
აქა იტყჳს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „არიან ვიეთნიმე თქუენგანნი, რომელთა
არა ჰრწამს“, რამეთუ იცოდა იესუ პირველითგან, თუ ვინ
არიან იგინი, რომელთა არა ჰრწამს, ანუ ვინ არს მიმცემელი
მისი, და ამისთჳს იტყოდა, ვითარმედ: „ვერვის კელ-ეწიფე-
ბის მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა იყოს მიცემულ მისა მა-
მისაგან ჩემისა (6,64—65). თ ა რ გ მ ა ნ ი : ამას ადგილსა
მანარებელი ნებსითობასა მას მისისა განგებულებისასა აჩუე-
ნებს და ძრუჯსენებელობასა მას მისსა. და ესეცა უკუე
სიტყუაჲ, თუ: „პირველითგან იცოდა“, არა ცუდად არს აქა,
არამედ რაჲთა გულისხმა-ჰყო მასი იგი პირველითგანი ცნო-
ბაჲ უწინარჳს მრავლისა ჟამისა. და ვითარმედ უწინარჳს ამათ
სიტყუათა იცოდა ყოველივე და არა შემდგომად დაბრკოლე-

¹ იოან. 6,36

ბისა და დრტუნვისა ცნა მიმცემელი იგი, არამედ უწინარეს ამის ყოვლისა, რომელი-იგი საქმს იყო ღმრთეებისა მისისაჲ. მერმე იტყუს, ვითარმედ: „არა თუმცა მიცემულ იყო მისა ზეცით მამისა მიერ ჩემისა“, რადთამცა დაარწმუნა მათ მამად მისა აღსარებად ღმრთისა და არა იოსებისა, და რადთა უჩუენოს, ვითარმედ არამცირელი საქმს არს და ლიტონი მისა მიმართ სარწმუნოებაჲ. ვითარმცა იტყოდა, თუ არა შევძრ-წუნდები, არცა უცხო-მიჩნს მათი, რომელთა არა ჰრწმმნეს, რამეთუ მე ესე პირველითგანვე ვიცი ყოველივე, თუ ვითარ ყოფად არს, უწინარეს ყოფისა ვიცი ყოველი, თუ ვიეთდა წიუცემიეს მამასა.

ხოლო რაჟამს გესმეს, თუ „მიუცემიეს“, ნუ ესრეთ გულისხმა-ჰყოფ, თუ რომელთადამე მიუცემიეს ესრეთ ცუდად, და რომელთამე არა მისცემს, არამედ ესრეთ გულისხმა-ყავ და ირწმუნე, ვითარმედ რომელმან ყოს თავი თვისი ღირს მიცემისა, მას მიეცემა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთა-განნი უკუნეიქცეს და არღარა ვილოდეს მის თანა (6,66). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** კუალად, რამეთუ არა თქუა მახარებელმან, თუ „წარვიდეს“, არამედ „უკუნეიქცეს“, ესე იგი არს, ვითარ-ძედ წარმართება იგი, რომელ მოეგო სათნოებათა მიმართ, მიაქციეს ბოროტადვე და სარწმუნოებაჲ, რომელი აქუნდა, წარწყმიდეს და განწვალნეს მისგან თავნი მათნი, გარნა არა ათორმეტთა ქმნეს ესე, იხილეთ, უკუე, რასა ეტყუს მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნუუკუე თქუნცა გნებავსა წარსღვის“ (6,67). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რადთამცა უჩუენა კუალად, ვითარმედ არა ექმარების მას მათგან მსახურებაჲ და არცა ამისთვის შეიწყნარნა იგინი, რამეთუ ვითარმცა ამისთვის შეეწყნარნეს, რომელი მათცა ამასვე ეტყოდა, რამეთუ რადსათუს არა აქნა იგინი? რადსათუს არა დაუკვრდა მათთვის? ერთად, რადთამცა რად-იგი მოძღუარსა ჰმუენის, აღასრულა და რადთამცა უჩუენა, ვითარმედ ამით სახითა ჯერ-არს უფრომსად დამ-ქირვად მათი, და უკუეთუმცა ექნეს, ნუუკუე მოიგონესმცა, თუ მომადლებისა ჩუენისათუს იტყუს და კაცობრივიმცა რადმე შეემთხვა. ხოლო ესე, რომელ უჩუენებდა, ვითარმედ არა ექმარების მათი მის თანა ყოფად, უფრომსად დაიშკირვიდა

მათ. და იხილე, ვითარ სიბრძნით ჰრქუა მათ და არა ჰრქუა, თუ: „წარვედით“, რამეთუ ესე სახც არს განგდებისაჲ, არამედ ჰკითხა, ვითარმედ: „ნუჟუე თქუენცა გნებავსა წარსლვის“, რომელი-ესე ყოველსავე ჰირსა და იძულებასა მოულებდა, რადთა უჩუენოს, ვითარმედ არა ჰნებავს, რადთა სირცხვის-სათუს მისისა და რიდობისა დადგნენ მის თანა, არამედ უკუ-ეთუ უხარის და მადლიერ არიან; და არცა იგინი შეასმინნა ცხადად, არამედ უჩუენა, თუ ვითარ ჰერ-არს მის თანა ყოფაჲ. ხოლო ჩუენ ზედა ყოველივე წინააღმდგომი იქმნების და სამართლად. ამისთუს ნაკლულევანებად გჴჩნს შორს წარსლვაჲ ჩუენ თანა მყოფთაჲ, ხოლო მან არა მომადლებად მათა რაჲ თქუა, არცა განსხმით, არამედ ჰკითხა, არა თუ შეურაცხ-ჰყოფდა მათ, არამედ არა ინება იძულებით და ჰირით დაჟენებაჲ მათი; რამეთუ ესრეთ ყოფაჲ იძულებით სწორ არს არაყოფისა. ისმინე, უკუე რაჲ თქუა პეტრე:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : უფალო, ვისა მივიდეთ? სიტყუანი ცხო-რებისა საუკუნოჲსანი გჴონან, და ჩუენ გურწმენა და ვცანთ, რამეთუ შენ ხარ ჰრისტე, ძმ ღმრთისა ცხოველისაჲ (6,68—69). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, რამეთუ არა სიტყუანი იგი იყვნეს დამაბრკოლებელ, არამედ სიბრძნე და უგულისხ-მოებაჲ მსმენელთაჲ მათ. და უფროჲსად უკუეთუმცა არა ეთქუა, ყოლადვე საზრდელსამცა ვორციელსა მოელოდეს მისგან, რამეთუ იხილეთ, ვითარ ესენიცა ათორმეტნი სხუათა მათ ერთა თანა იყვნეს და ესმოდა სიტყუაჲ მისი. და უკუა-ნაჲსკნელ უფიცხლმსნიცა სიტყუანი ჰრქუნა, და მათ ამას ყოველსა ზედა თქუეს, ვითარმედ: „ვისა მივიდეთ?“ ხოლო ფრიადსა სიყუარულსა მათსა აჩუენებს სიტყუაჲ ესე, რომელი აქუნდა მისა მიმართ, და აჩუენებდეს, ვითარმედ უფროჲს ყოველისა ჰრისტე არს მათა პატიოსან, უფროჲს მამათა და დედათა და ყოველთავე დაბადებულთა და ვითარმედ, თუ წარვიდენ მისგან, არაღარა აქუს, თუ სადამცა მივიდეს, და ძერძე რადთა არა საგონებელ იყოს, თუ ამისთუს თქუა, ვი-თარმედ: „ვისა მივიდეთ?“ რომელ არა ვინ იყო შემწყყნარე-ბელ მათა. ამისთუს შესძინა და თქუა, ვითარმედ: „სიტყუანი საუკუნოჲსა ცხოვრებისანი გჴონან“. რამეთუ სხუანი იგი ვორციელად და კაცობრივითა გულისსიტყუათა ისმენდეს სიტ-

ყუათა მისთა, ხოლო ესენი — სულიერად შემკობილნი სარწმუნოებითა, რომლისათჳს იტყოდა უფალი, ვითარმედ: „სულ არიან სიტყუანი ესე და ცხოვრება“, ესე იგი არს, ვითარმედ ნუ კაცობრივთა საქმეთაებრ გულისხმა-ჰყოფ ჩემთა სიტყუათა, რამეთუ არა ესევეითარნი არიან სულიერნი სწავლანი, არა ჰმონებენ იგინი შჯულთა კორციელთა, ვითარცა მოციქული იტყჳს: „ნუ იტყჳ, თუ ვინ აღვიდეს ზეცად?“¹ ესე იგი არს, ქრისტესი გარდამოყვანება; ანუ „ვინ შთავიდესო უფსკრულად?“² ესე იგი არს, ქრისტესი მკუდრეთით აღმოყვანება.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ზ : „სიტყუანი ცხოვრებისა საუკუნოისანი გქონან“ (6,68). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** აჰა, ესერა, ამათ აღდგომაჲ შეეწყინარა და ყოველივე იგი განსუენებამ საუკუნოჲ, ხოლო იხილე შენ ძმათმოყუარჳ იგი და კეთილი პეტრე, ვითარ ყოვლისათჳსვე კრებულისა მიუგო და არა იტყჳს, თუ: „მრწმენა“, არამედ „გურწმენაო“. გულისხმა-ყავ, ვითარ სიტყუათა მათებრ მოძღუროისათა იტყჳს და არა ვითარცა ჰურიანი, რამეთუ იგინი იტყოდეს, ვითარმედ: „ესე არს ძმ იოსებისი“. ხოლო ამან თქუა, ვითარმედ: „შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისა ცხოველისაჲ“,³ და, ვითარმედ: „სიტყუანი ცხოვრებისა საუკუნოისანი გქონან“, რამეთუ ასმიოდეს მას კეთილად სიტყუანი იგი მოძღუროისანი, რომელთა იტყოდა, ვითარმედ: „აღვადგინო იგი უკუანამსკნელსა მას ღღესა და აქუნდეს ცხოვრებამ საუკუნოჲ“, რამეთუ აჩუენა, ვითარმედ ყოველნივე სიტყუანი მისნი აჴსოვნან, რაჲამს თუთ იგინი თქუნა. ხოლო ქრისტემან, იხილეთ, რაჲ ყო, არა აქო, არცა დაუკრდა პეტრჳსთჳს, არამედ მიუგო და ჰრქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არა მე ათორმეტნი გამოგირჩიენა? და ერთი თქუნთაგანი ეშმაკი არს“ (6,70). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო ვინამთგან თქუა პეტრე, თუ: „ჩუენ გურწმენაო“, მერმე უფალმან კრებულისა მისგან განყო ოუდა. რამეთუ სხუასა მას ადგილსა არარაჲ თქუა მან მოწაფეთათჳს, არამედ ოდენ ჰკითხა რაჲ იესუ, თუ: „თქუენ რასა იტყჳთ ჩემთჳს?“ მან ჰრქუა, ვითარმედ: „შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისა ცხოველი-

¹ რომ. 10,6

² იქვე

³ მათ. 16,15

სამა“, ხოლო აქა ვინაფთგან თქუა, თუ: „ჩუენ გურწმენა“, ამისთვს სამართლად არა უტევა იუდას კრებულსა შინა მათსა. ხოლო ესე თქუა, რაფთამცა პირველითგანვე თქუმითა მით უკეთურებად იგი მომცემელისა მისისაჲ მოაქცია, რამეთუ მან იცოდა, ვითარმედ არარაჲ ერგების მას სიტყუათა მათგან; გარხა იგი თვსსა იქმოდა, რაფთამცა ყოვლით კერძო არარაჲ დაუტევა, რომელიმცა ჯერ-იყო მის მიერ ქმნად, და იხილე სიბრძნე იგი! არცა სრულად გამოაცხადა იგი, არცა დაფარა, ერთი იგი, ამისთვს, რაფთა არა უმეტესსა კადნიერებასა და ურცხვნობასა მოვიდეს. ხოლო, მეორეც ესე, ამისთვს, რაფთა არა ჰგონებდეს მიმცემელი, თუ დაფარულ არს და უცნაურ არს მისგან მისი იგი განზრახვად. ამისთვსცა ქუმორე უმეტესთა მოაწევს მის ზედა მხილებათა, რამეთუ პირველად სხუათა თანა შეპრაცხა იგი და თქუა ვითარმედ: „არიან ვინმე თქუენგანნი, რომელთა არა პრწამს“, და, რამეთუ მიმცემელისა მისთვს თქუა, ისმინე, რასა-იგი იტყვს მახარებელი: იცოდა იესუ პირველითგან, თუ ვინ არიან, რომელთა არა პრწამს, ანუ ვინ არს მიმცემელი მისი; ვინაფთგან უკუე მას ზედაცა ეგრეთვე დაადგრა. ისმინე, რასა იტყვს უფიცხლმსად, ვითარმედ: „ერთი თქუენგანი ეშმაკი არს“, და ყოველთა ზედა მოაწევს შიშსა მას, რაფთამცა მან უბადრუკმან გულსხმა-ყო. ხოლო კეთილ არს აქა ძიებად, თუ რაფსათვს არას იტყვან აქა მოციქულნი, ხოლო უკუანაფსკნელსა მას თქუმასა მისსა შეშინდეს და თვთოეული ეტყოდა, „ნუუკუე მე ვარო“,¹ და „პეტრე იოვანეს წამ-უყოფდა კითხვად მიმცემელისა მისთვს, თუ ვინ არს“.² რაჲ არს უკუე მიზეზი ამისი? რამეთუ ვინაფთგან არა ეთქუა პეტრესდა, თუ: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო“,³ ამისთვსცა არცა ეშინოდა, ვინაფთგან უკუე შეპრისხნა მას უფალმან, და მას ფრიადითა გულსმოდგინებითა ეთქუა და არა სათნო ეყო უფალსა, არამედ სატანა უწოდა. ამისა შემდგომად ესმა რაჲ, ვითარმედ: „ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“,⁴ სამართლად შეძრწუნდა. და აწ

¹ მათ. 26,22

² იოან. 13,24

³ მარკ. 8,33

⁴ იოან. 3,21

უკუე არა იტყუს, თუ: „ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, არა-
მედ: „ერთი თქუენგანი ეშმაკი არსო“. ხოლო თქუა ესე,
რადთა უჩუენოსცა, თუ ვითარ არაჲაჲ კაცობრივი იპოვების
მისსა სწავლასა შინა. რამეთუ ვინაჲთგან ყოველთა დაუტე-
ვეს და იგინი ოდენ დაადგრეს მის თანა, პეტრეს მიერ ყო-
ველნივე აღიარებდეს მას ქრისტედ; რადთა არა ჰგონებდენ
მას, თუ: „ამისთვის კაცობრაჲად გუეტყოდის ჩუენ“, ამისთვის
განაყენებს იგი სიტყუასა თვისსა ყოვლისაგანვე კაცობრივისა.
ხოლო სიტყუად მისი, რომელსა იტყუს, ესევეთარი არს, ვი-
თარმედ: „არაჲაჲ არს, რომელმანცა დამაყენა მე მხილებად
ბოროტთა. ნუ ჰგონებთ, თუ ვინაჲთგან ჩემ თანა დაადგე-
რით, ამისთვისმცა კაცობრივ რადმე გეტყოდე თქუენ. ანუ,
რომელ შემომიდეგით მე, ამისთვისმცა არა ვამხილე უკეთურ-
თა. რამეთუ რომელი ამათსაცა უზეშთაეს არს, ვერცა იგი
დამაყენებს ამისგან, რამეთუ, რომელი დაადგრეს, იგი სი-
ყუარულსა მოძღურისასა გამოაჩინებს. ხოლო რომელი გა-
ძორჩეულ იყოს მის მიერ და მეჩემ განვარდეს, გულისსიტყუ-
ასა უგულისხმოებისასა მისცემს უგუნურთა, გარნა ვერცა ესე
დამაყენებს მხილებისაგან“. და აწცა უკუე ამასვე შემოიღე-
ბენ წარმართნი ბრალობად ქრისტესა უგულისხმოებისა და
ბოროტებისა მათისაგან, რამეთუ არა უწყიან, ვითარმედ
ღმერთი იძულებით არავის ჰყოფს კეთალ და არცა გამორჩე-
ვაჲ მისი მაიძულებელ არს მომავალთათვის ჟამთა, არამედ
ოდენ მწოდებელი არს კეთილისა მიმართ და მასწავლელი,
რამეთუ, რადთა სცნა, ვითარმედ წოდებაჲ მისი არა იძულებით
არს, ისმინე, რად წერილ არს, ვითარმედ: მრავალნი წოდე-
ბულთაგანნი წარწყმდეს. ამისთვისცა ცხად არს. ვითარმედ.
ჩუენსა ნებასა ზედა არს ცხობრებაჲცა და წარწყმედაჲცა.

ვეცხლისმოყუარებისათვის

ვინაიდან უკუე ესე ყოველი გუესმის, ვისწრაფოთ ჩუენცა განფრთხობად და მღვდარებად მარადის, რამეთუ, რომელი-იგი წმიდასა მას კრებულსა შინა იყოფოდა და ესოდენნი ნიჭნი მიეხუნეს უფლისა მიერ, რომელსა ესოდენნი სასწაულნი ექმნნეს, რამეთუ ერთი იგი იყო სხუათა მათგანი, რომელნი წარავლინნა იესუ მკუდართა აღდგინებად და კეთროვანთა განწმედად, ვინაიდან უკუე ესევეითარი იგი შეპყრობილ. იქმნა სენითა მით ბოროტითა ვეცხლისმოყუარებისადათა და მოძღუარი თვისი განყიდა და არარას სარგებელ ეყვნეს მას ქველისმოქმედებანი იგი და ნიჭნი უფლისანი, არცა მის თანა ყოფაჲ მისი, არცა დაბანაჲ იგი ფერკთაჲ, არცა ზიარებაჲ იგი ტაბლისა მისისაჲ, არცა ტურთვაჲ იგი გუადრუცასაჲ, არამედ უფროსად დასაშჯელ ექმნა მას ესე ყოველი, ამისთვის გევედრები, რაჲთა შევიშინოთ ჩუენცა, ნუუკუე მივემსგავსნეთ იუდას ვეცხლისმოყუარებითა, რამეთუ, დაღაცათუ ქრისტესა არა განვპყიდით, არამედ რაჲამს ვიხილოთ გლახაკი. სიყმილითა მომკუდარი, ანუ სიცივითა შექირვებული და სიკუდილად მიახლებული, და შეურაცხ-გყოთ, მითვე საშჯელითა დავისაჯებით და კუალად ოდეს უღირსებით ზოუკდეთ ზიარებად წმიდათა საიდუმლოთა, ესრეთ წარვწყმდებით, ვითარცა ქრისტეს მკლველნი და კუალად რაჲამს მოვიტაცებდეთ და ვაშთობდეთ უდარძსთა ჩუენთა, ფრიადსა საშჯელსა მოვაწევთ თავთა ზედა ჩუენთა, და სამართლადცა ვიდრემდის შეუპყრიეთ ჩუენ ტრფიალებასა წარმავალთა ამათ საქმეთასა, რომელთა შინა არცა ერთი არს სარგებელი? რამეთუ სიმდიდრჲ უსარგებლოთა მათ საქმეთაჲ არა კეთილ არს. ვიდრემდის შემეშუალულ ვართ ამაოებისადა? ვიდრემდის არა მივპხედავთ საქმეთა მათ მიმართ ზეცისათა, არა განვიფრთხოთ, არცა განვძლებით საქმეთა ამათგან ქუეყანისათა, უნდოთა ამათ და უმალეს წყლისა მდინარეთა? არცა ვისწაოთა უნდოებაჲ მათი თვთ საქმეთა მათ გამოცდილებისაგან? მოვიგონნეთ უწინარეს ჩუენსა განმდიდრებულნი იგი,

არა ყოველივე დიდებამ მათი სიზმარ იქმნა? არა აჩრდილ და ყუავილ დაქნობილ იქმნა? არა ზღაპარ და ჰამბავ იქმნა ყოველივე იგი? ვინმე განმდიდრდაო, და აწ სადა არს სიმდიდრე მისი? წარწყმდა და განიხრწნა. და ცოდვანი იგი, რომელნი სიმდიდრისა მის მიერ ექმნნეს, ჰგან და ცოდვათა მისთათვს სატანჯველი იგი არს, და უფრომსად, დაღაცათუმცა არცა სატანჯველი, არცა სასუფეველი წინამდებარე იყო, ბუნებისა მისგან ნათესავისა ჩუენისა სირცხელი ჭერ-იყო, რომელ არიან გლახაკნი. ხოლო აწ ჩუენგანნი მრავალნი ძაღლთა და ქორებსა და ავაზათა და სხუათა თუთოსახეთა მკეცთა ზრდიან, და კაცთა გლახაკთა შეუტრაცხყოფენ, ჳირვეულთა შიმშილითა, და უპატიოსნეს არს წინაშე ჩუენსა უცხოო იგი უფრომს ჩუენისა ბუნებისა, და უპატიოსნეს არს ჩუენდათვისი იგი უფრომს მისა, რომელსა-იგი არცა ერთი თვსებამ აქუს ჩუენ თანა. ანუ ტაძართა შინა კეთილადგებულთა ყოფამ და ოქრომოლესულთა სართულთა ხედვამ და ურციხუთა მონათა ქონებამ კეთილ და პატიოსან არსა? ნუ იყოფინ! არაშედ, უფრომსად ბოროტ არს და უსჯარგებლო, რამეთუ არიან სხუანი ტაძარნი და სართულნი ამათ უმჯობესნი და უპატიოსნენნი. ესევითართა მათ ტაძართა ხედვითა კეთილ არს განმხიარულებამ თუალთამ, რამეთუ არა ვინ არს დამაყენებელ. გნებავსა უკუე კეთილისა სართულისა ხილვამ? მე გიჩუენო შენ. მწუხრი მოიწიოს, მიჰხედენ ცასა, ვარსკულავითა შემკობილსა, ანუ იტყვა, თუ არა ჩემი არსო სართული იგი, არამედ გულისხმა-ყავ, ვითარმედ იგი არს უფრომსად შენი, ვიდრელა ესე, რამეთუ შენთვის ქმნილ არს და ზიარად არს შენი და ძმათა შენთამ, ხოლო ესე არა შენი არს, არამედ მათი, რომელთა შემდგომად სიკუდილისა შენისა დაიმკვდრონ იგი; იგი ფრიად სარგებელ გეყოს შენ, რაჟამს შეუენიერებითა მისითა დამბადებელისა მიმართ გულისხმის-ყოფასა მოგცემდეს შენ, ხოლო ამან ფრიად გაენოს, რაჟამს შემასმენელ შენდა იქმნეს დღესა მას საშჯელისასა, რაჟამს შენ ოქრომთა შემოსილ იყო და გლახაკსა, რომელ არს ჳრისტე, არცა მცირე სამოსელი აქუნდეს. ნუ ძმანო, ნუ ესრეთ უგულისხმო ვართ, ნუ ვსდევთ საქმეთა მათ, რომელნი გუეველტიან, ვსდევდეთ მათ, რომელნი გუელიან, ნუცა განვსცემთ ცხორებასა ჩუ-

ენსა, არამედ მოვეკიდნეთ სასოებასა მას მერმისა საუკუნო-
 მსასა. ბერნი ვიგონებდეთ, ვითარმედ, აჰა, ესერა, მოახლე-
 ბულ არს სიკუდილი, ჭაბუკნი კუალად ვიგონებდეთ, ვითარ-
 მედ, უცნაურ არს ჟამი სიკუდილისაჲ და, ვითარცა მპარავი
 ღამით, ესრეთ მოიწვევის დღე იგი.¹ ამისთვის უკუე ვეკრძალ-
 ნეთ ყოველნი და ვასწავებდეთ ურთიერთას შეურაცხ-ყოფად
 წარმავალთა ამათ და წარუვალთა მათ ზრუნვად, რაათა ღირს
 ვიქმნნეთ პოვად კეთილთა მათ საუკუნეთა მადლითა და
 კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა,
 რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ
 სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნი-
 სამედ, ამენ.

თ ა ვ ი მ მ

ს ი ტ ყ უ ა მ ე ს ე : ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ
 გალილეას, და არა უნდა ჰურიასტანს სლვად. იყო მოახლე-
 ბულ დღესასწაული ჰურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ
 (7,1-2). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** არარაჲ არს უძრესს შურისა. ამის მიერ
 შემოვიდა სიკუდილი სოფლად. რამეთუ იხილა რაჲ ეშმაკმან
 კაცი პატივისა შინა, ვერ თავს-იდვა მისი იგი კეთილი. ამისთვის
 ყოვლით კერძო ისწრაფდა მოკლვად მისა, და ყოვლადვე ამის
 ძირისა ნაყოფი ესევეითარი არს. ესრეთ აბელ მოიკლა და
 დავითს ეგულებოდა კნინდა სიკუდილი შურითა კელითა
 საულისითა. ამის მიერ იქმნნეს ჰურიანიცა ქრისტესმკლველ
 და ამისთვის იტყვს მახარებელი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ გალი-
 ლეას და არა კელ-ეწიფებოდა ჰურიასტანს სლვად, რამეთუ
 ეძიებდეს მას ჰურიანი მოკლვად (7,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :**
 რასა იტყვ, მ, ნეტარო იოვანე? არა კელ-ეწიფებოდაა ამას,
 რომელსა ძალ-ედვა ყოველივე, რაჲცა ენება, ქმნად? რამეთუ
 თქუა, ვითარმედ: „ვის ეძიებთ?“ და მეყსეულად დასცნა იგი-
 ნი მართლუკუნ? რომელი მრავალგზის არნ მათ შორის და
 ვერ ხედვიდიან, ამას ვერ კელ-ეწიფებოდა? და ვითარ უკუა-

¹ 1 თეს. 5,2

ნაძსკნელცა შორის მათსა განვლო შორის ტაძარსა, რაჟამს კრებაჲ იყო და მკლველნი იგი მუნ იყვნეს, და ფიცხელთა სიტყუათა ეტყოდა, ვიდრელა მათცა უკვრდა, ვითარმედ: „არა ესე არსა, რომელსა ეძიებდეს მოკლვად?“¹ და აჰა, ესერა კადნიერებით ეტყუს მათ და არარას ეტყუან მას, რანი არიან უკუე იგავნი ესე? გარნა არა იგავნი არიან, ნუ იყოფინ! -- არამედ ესრეთ ვიტყვ, თუ ღმრთეებისაცა საქმეთა აჩუენებდა და კაცებისათაცა და რაჟამს თქუას, თუ: „ქელმწიფებაჲ არა აქუნდა“, ვითარცა კაცისათჳს იტყუს და კაცობრივთა მათ საქმეთა მოქმედისა. ხოლო ოდეს იტყოდის, თუ: „შორის მათსა დგა და ვერ შეიპყრობდეს“, მაშინ ღმრთეებისა მათისა საქმეთა გვჩუენებს და ძალსა მას მისსა. რამეთუ ჭამაცა, ვითარცა კაცმან, და იყო ღმერთი და ორივე ქეშმარიტებით აქუნდა: ღმრთეებაჲცა და კაცებაჲცა. რამეთუ რომელი-იგი შორის მათსა დგა და ვერ შეიპყრობდეს, ესე ძალსა მას ძისსა უძლეველსა აჩუენებს და კუალად, რომელ-იგი იწიშვოდა, ესე განგებულებასა მას კაცებისა მისისასა გამოაცხადებს, რამთა ვერცა პავლე სამოსატელი შემძლებელ იქმნეს თქუმად გმობისა თჳსისა, ვერცა კუალად მარკიონ, რამეთუ ამათ ორ-თავე პირთა დაუყოფს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ : „შემდგომად ამისა იყო დღესასწაული პურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ“. (7,1). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო სიტყუაჲ ესე: თუ „შემდგომად ამისა, არარას სხუასა მოასწავებს, გარნა ამას, ვითარმედ ფრიადი ჟამი დაუტევა შორის ამისა; და ესე ამისგან საცნაურ არს, რამეთუ რაჟამს ძთასა ზედა ჯდა, პასექი იყო.² ხოლო აჟა კარვობასა აქსენებს და ხუთთა მათ თთუეთა შინა ქმნილი საქმე არლარა გუასწავა, გარნა ხუთთა მათ პურთა სასწაული ოდენ და მკამელთა მათ მიმართ ქმნილი იგი სიტყუაჲ მისი და სხუაჲ არარაჲ თქუა ხუთთა მათ თთუეთა საქმე, რამეთუ ხუთი თთუე გარდაჯდების პასექითგან ვიდრე კარვობადმდე. ხოლო იგი არაოდეს დასცხრებოდა ქმნად სასწაულთა, არცა დღისი, არცა მწუხრი, და მრავალგზის ღამითცა, ვითარცა-იგი მივიდა მოციქულ-

¹ იოან. 7,25

² იოან. 6,3—4

თა თანა ზღუასა შინა ღამით, ვითარცა ყოველნი მახარებელნი იტყვან. რამათს უკუე თანაწარკვდების მრავალთა მათსასწაულთა? ამისთვის, რამეთუ ყოველთავე საკურველებათა მისთა თქუმად ვერ ძალ-ედვა, არამედ ისწრაფდა თქუმად საქმეთა მათ, რომელთაგან ბრალბაჲ, ანუ სიტყუს-გებაჲ რამმე ქმნილ იყო ჰურიათაგან; რამეთუ მათ საკურველებათა, რომელთა იქმოდა, მსგავსნი მრავალნი იყვნეს. რამეთუ ესე მრავალგზის გუასმიეს, თუ სნეულნი განკურნა და მკუდარნი აღადგინა და საკურველნი ქმნა, ხოლო სადა უცხოჲ რამმე აქუნდეს თქუმად, ანუ რამმე ვნებაჲ და ჳირი მის ზედა მოწევნული, მას იტყვან: „ვითარ არს ესეცა, ვითარმედ ურწმუნო იყვნეს მისა ძმანიცა მისნი?“ რამეთუ არამცირელი შესმენაჲ არს ამასცა საქმესა შინა და ღირს არს საკურველებისა ქეშმარიტებისმოყუარჲ იგი საქმჲ მათი, ვითარ ყოლადვე არა ჳირიდებენ თქუმად საქმეთა მათ, რომელნი, ვითარცა სასირცხვლოდ, ჩანან და აწ უკუე მრავალსა თანაწარჯდა სასწაულსა და სწავლათა და საკურველებათა და ესე თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : ჳრქუეს მას ძმათა მისთა: „გარდაგუალე. ამიერ და წარვიდეთ ჰურიასტანად, რამთა მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა იქმ. რამეთუ არავინ იღუმაო რასმე იქმნ, და ჳნებავნ, რამთამცა განცხადებულ იყო, უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა“, რამეთუ არცაღა ძმათა მისთა ჳრწმენა მისი“ (7,3—4). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და რომელი სიტყუაჲ თქუეს ურწმუნოებისაჲ, რომელნი ევედრებოდეს მას სასწაულთა ქმნად? გარნა ფრიადისა ურწმუნოებისა სახე არიან სიტყუანიცა მათნი და უყამოჲ. იგი კადნიერებაჲცა, რამეთუ ჳგონებდეს, თუ, თვისებისა მათისათს ჳერ-არს კადნიერებით სიტყუაჲ მისა მიმართ და დაწყებაჲ იგი ჩანს, ვითარცა მოყუარეთაჲ, არამედ ფრადითა სიმწარითა საესე არიან სიტყუანი ესე, რამეთუ მოშიშებასა და დიდებისმოყუარებასაცა დასდებენ მის ზედა, რამეთუ სიტყუაჲ ესე, თუ, „არავინ იღუმალ რასმე იქმნ“, მოშიშებისათს მებრალბელთა სიტყუაჲ არს და რომელნი იჭუეულცა იყვიან საქმეთა მათთვის, ხოლო კუალად და ესე, თუ: „ჳნებავნ განცხადებულად ყოფაჲ“, დიდებისმოყუარებისა დამწამებელი არს.

ხოლო შენ გულისხმა-ყავ ძალი ქრისტესი, რამეთუ ამათ-

განნი რომელნი ამათ სიტყუათა ეტყოდეს, ერთი იქმნა პირველ იერუსალმისა ეპისკოპოს-ნეტარი იაკობ, რომლისათჳს მოციქული პავლე იტყჳს: „სხუად მოციქულთაგანი ვერ ვიხილო, გარნა იაკობ, ძმად უფლისად“,¹ და კუალად იუდა, და იგიცა ფრიად დიდ და საკვრველ იქმნა, გარნა ჳერეთ ფრიად უმეცარ იყვნეს, დაღაცათუ ესენიცა იყვნეს კანას, რაჟამს წყალი ღვინოდ გარდაქცია, და ჳერეთ ვერადვე გულისხმადეყო. საღამთ უკუე იქმნა მათა ესეზომი იგი ურწმუნობად? ნებისაგან მათისა და შურისაგან, რამეთუ თჳსთა მიმართ იქმნების მრავალგზის შური, ხოლო ვიეთნი იტყჳან აჳა მოწფად ერსა მას მრავალსა და არა ათორმეტთა? იხილე უკუე, თუ ქრისტემან რად ყო, ვითარ ტკბილად მიუგო, რამეთუ არა ჰრქუა თუ: „თქუენ ვინ ხართ, რომელ ამას მეტყუთ და მასწავლით?“ გარნა მიუგო.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ვითარმედ: „ჟამი ჩემი არღა მოწევნულ არს“ (7,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო ამით სიტყუთა, მე ვჳგონებ, თუ სხუასაცა რასმე მოასწავებს, რამეთუ ნუუკუე მიცემასაცა მისსა განიზრახედეს ჰურიათა და ამისთჳს თქუა, თუ: „ჟამი ჩემი არღა მოწევნულ არს“, ესე იგა არს, ჟამი ჳუარ-ცუმისა და სიკუდილისაჲ. „და რამსათჳს უწინარეს ჟამისა ისწრაფით მოკლვად ჩემდა?“

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ხოლო ჟამი თქუენი ოდესვე განმზადებულ არს (7,6). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: „თქუენ დაღაცათუ მარადის იყოფებოდით ჰურიათა თანა, არაოდეს მოგკლვენ, რომელნი-ეგე მსგავსადვე მათსა მოშურნენი ხართ, ხოლო ჩემსა მეყსეულად განიზრახვენ სიკუდილსა. ამისთჳს უკუე თქუენდა მარადის არს ჟამი მათ თანა ყოფად, უკუეთუ გნებავს, რამეთუ არარად მათ მიერ შოიწევის თქუენ ზედა. ხოლო ჩემი ჟამი მაშინ არს, რაჟამს ჟამი იგი ჳუარცუმისა ჩემისაჲ მოიწიოს და ჳერ-იყოს სიკუდილი ჩემი“. და ვითარმედ ამას იტყოდა და შემდგომითა მით სიტყუთა გამოაცხადა, რაჟამს ჰრქუა მათ, ვითარმედ: „ვერ ძალ-უც სოფელსა მოძულეზად თქუენდა“,² რამეთუ

¹ გალ. 1,19

² იოან. 7,7

ვითარ მოგიძულნესო, რომელნი-ეგე ესევითარისა მზრახ-
ვალნი ხართ და ესევითარისათჳს მოსწრაფენი?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვამხილებ
მას, რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ არიან“ (7,7). თ ა რ გ მ ა -
ნ ი : ხოლო ჩუენ ამის ყოვლისაგან ვისწავოთ არამრისხანე-
ბაჲ და რამთა არა უღირს-ვიჩინდეთ განზრახვასა სხუათასა,
დალაცათუ უნდონი და შეურაცხნი იყვენენ განმზრახნი იგი,
რამეთუ, უკუეთუ უფალმან ურწმუნოდ განმზრახნი იგი სიმ-
შუდით თავს-ისხნა, რომელნი განაზრახებდეს უჯეროსა და
არა კეთილითა ნებითა, ჩუენ რაჲ წყალობაჲ ვპოვოთ, რომელ-
ნი მიწა და ნაცარ ვართ, და განმზრახთა მიმართ განვრისხნე-
ბით, უკუეთუ მცირედცა უდარეს ჩუენსა იყვენენ? იხილე
უკუე, ვითარ სიმშუდით გარემიაქცევს შესმენასა მას, რამე-
თუ თქუეს რაჲ, თუ: „გამოუცხადე თავი შენი სოფელსა“,
თავადმან თქუა, ვითარმედ: „მე სოფელსა ვსძულო“, რაჲ-
თამცა სიტყუაჲ იგი მათი განაქარვა, ვითარმედ: ესეზომ შორს
ვარ კაცობრივისა დიდებისა ძიებისაგან, რომელ არაოდეს
დავსცხრები მხილებად მათა, რომელმან ესე ვრცი, ვითარმედ
შური იშვების და სიძუილი და სიკუდილი შეიმზადების და
თუ იტყვთ, თუ ოდეს ვამხილე, მითხართ თუ, ოდეს დავსცხერ
მხილებისაგან, არა ვეტყოდეა: „ნუ ჰგონებთ, თუ მე შეგას-
მინენ თქუენ მამასა. არს შემასმენელი თქუენი მოსე“,¹ და:
„მე გიცნი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა გა-
ქუს“,² და: „ვითარ ძალ-გიც რწმუნებად, რომელნი დიდებასა
კაცთაგან მიიღებთ და დიდებასა მხოლოესა ღმრთისასა არა
ეძიებთ?“³ ხოლო სიტყუათა ამათ მიერ სხუასაცა მოასწავებს,
ვითარმედ ამის მიერ იქმნებოდა სიძულვილი მათი მისა მი-
მართ, რომელ ესრეთ კადნიერებით ამხილებდა, და არა მის-
გან, რომელ შაბათსა დაჰკვნინდა. ხოლო რაჲსათჳს მათ წარავ-
ლინებს დღესასწაულად და ეტყვს, ვითარმედ: „აღვედით
თქუენ დღესასწაულსა ამას ხოლო მე არა აღვალ აწ?“⁴
ამისთჳს, რაჲთამცა უჩუენა, ვითარმედ არა ეკმარებინ მას

¹ იოან. 5,45

² იოან. 5,42

³ იოან. 5,44

⁴ იოან. 7,8

იგინი, არამედ ვინაიდან მათ არა ჰნებავს მის თახა ყოფად, მიუწეებს ყოფად საქმეთა მათ ჰურიათაჲსა. ხოლო რამათჲს აღვიდა, ვინაიდან ეთქუა, თუ: „არა აღმოვალო“? არა თქუა, თუ „არა აღმოვალ“, არამედ: „აწო არა აღმოვალ“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „რამეთუ ქამი ჩემი არღა აღსრულებულ არს“ (7,8). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამეთუ იგი მომავალსა მასღა პასუქსა ჯუარს-ეცუმოღა ვითარ უკუე არა აღვიდა იგიცა? რამეთუ უკუეთუ, რომელ ქამი არღა მოწევენულ იყო, ამისთვის არა აღვიდოღა, ყოღადვე არა უქმღა მაშინ აღსლვამ, არამედ არა ამისთვის არა აღვიდა, რამთა იგინის, არამედ რამთა იგინი განსწავლნეს. ხოლო რამათჲს ფარულად აღვიდა? რამეთუ „აღ-ედღა, რამთამცა ცხადამცა აღსრულ იყო და უწესოე-ღისა მათისაღა აღვრ-ესზნესმცა, ვითარცა მრავალგზის ქმნა, არამედ არა ენება ზეღამსზეღა ამის საქმისა ქმნამ, რამეთუ, უკუეთუმცა აღსრულ იყო ცხადად და კუღადამცა დაებრმნეს იგინი, უმეტესადმცა გამოეჩინა სასწაული ღმრთეებისაღ და გამოეცხადამცა იგი. ვინაიდან უკუე იგინი ჰგონებდეს, თუ რამეთუ უკუეთუ. რომელ ქამი არღა მოწევენულ იყო, ამისთვის თავადმან აჩუენა განგებულეზამცა კაცებისა მისისაღ და უშიშროეზამცა მისი, ვითარმედ, დაღაცათუ იცოღა ქამი იგი ვნებისაღ, მაშინ უმეტესად აღვიდოღეს მუნ. ხოლო რომელ ეტყვს, თუ: „აღვეღით თქუენ დღესასწაულსა ამას“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ნუ ჰგონებთ, თუ მე იძულეზით გაიძულეზ ჩემ თანა ყოფად თქუენ და უნებლეზით“. ხოლო სიტყუამ იგი, თუ: „ქამი ჩემი არღა აღსრულებულ არს“, მომასწავე-ბელი იყო, ვითარმედ სხუათაცა სასწაულთა ქმნამ ჯერ-იყო და სწავღათა თქუემამ, რამთა ერთაცა უმეტესთა ირწმუნონ და მოწაფენიცა უმეტესად განემტკიცნენ, ჰხედვიდენ რამ კად-ხიერეზბასა მას მოძღუარისა მათისასა და რამ-იგი თავს-იღვღა.

გულისწყრომისათვის.

ვისწაოთ უკუე ჩუენცა ამის ყოვლისა მიერ სახიერებად და სიმშუდც, რამეთუ იტყვს ვითარმედ: „ისწავეთ ჩემგახ, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“,¹ ესრეთ ვისწავოთ და აღურ-ვასხნეთ ყოველსავე უკეთურებასა, უკუეთუ ვინმე მალლოოდის ჩუენ ზედა, ჩუენ დავმდაბლდეთ და ნუ შურის-მეძიებელ ვართ და ამისთვის მოვკლავთ სულთა ჩუენთა. რამეთუ გულისწყრომაჲ მკეცი არს, მკეცი ბოროტი და ფიცხელი. ფეტყოდით უკუე თავთა ჩუენთა ჟამსა მას რისხვისასა სიტყუათა მათ წერილისათა, ვითარმედ: „მიწა ხარ და ნაცარ“;² და კულად, ვითარმედ: „წამი იგი გულისწყრომისა მისისაჲ დაცემასა მისსა“,³ და ვითარმედ: „კაცი მრისხანც უშუერ არს“,⁴ რამეთუ არარაჲ არს უბოროტეს პირისა განრისხებულისა, არცა უუშუერცს, ხოლო უკუეთუ პირისა უუშუერცს არარაჲ არს, სულისა განრისხებულისა უუშუერცს რაჲ იყოს? — რამეთუ სკორესა რაჲ ურევენ ვინ, უფრომსად აღიძრვინ სული სიმყრალისა მისისაჲ, ეგრეთვე სული გულისწყრომისა მიერ რაჲ შეშფოთებულ არს და ზამთარი ფრიადი არს შორის მისა? ანუ იტყვ, თუ: „ვერ თავს-ვიდებ, რაჟამს სხუად მაგინებდეს“, გარნა რამსათვის ვერ თავს-იდებ? რამეთუ უკუეთუ ჰეშმარიტსა გეტყვ სიტყუათა მათ გინებისათა, თვთ მისა პირველცა თანა-გაც უფრომსად ბრალობაჲ თავისა შენისაჲ. უკუეთუ კულა ტყუვის, ნუ განჰრისხნები, არამედ უფრომსად ეცინოდე და სულთ-ითქუენ მისთვის, რამეთუ „რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა: ცოფ, თანამდებ არს გეჰენისა“.⁵ რამეთუ რაჟამს გაგინოს, გულისხმა-ყავ სატანჯველი, რომელსა შინა შესლვად არს რისხვისა მისთვის და გინებისა, და ნუ ოდენ რისხვასა დააყენებ, არამედ ცრემლნიცა დასთხიენ მისთვის,

¹ მათ. 11,29

² დაბ. 3,19

³ ეკლ. 1,28,22

⁴ იგავ. 11,25

⁵ მათ. 5,22

რამეთუ სნეულასაცა მიმართ, გინა თუ მოწყლულისაცა არავინ განრისხნების, არამედ უფრომსად ეწყალის იგი, და სულიცა განრისხებული ესრეთ არს. დადაცათუ ბოროტისყოფაჲ მისი გნებაჲს, დადუმენ და ესრეთ უწყოდე, რამეთუ მოგიწყლავს იგი ძლიერად, უკუეთუ ყოფად კულა გინებაჲ გინებასა ზედა დაჰრთო, უფრომსად ცეცხლსა მას ალატყინებ, ანუ იტყუ: „ანუ თუ დავიდუმო, მუნ მყოფნი ყოველნი უძლურებასა დამწამებენ“? გარნა გულისხმა-ყავ, ვითარმედ არა უძლურებასა, არამედ სიბრძნესა ფრიადსა იტყუან შენთვის და განკრევებულ იქმნებაჲნ. უკუეთუ კულა იგინო რაჲ, განპრისხნე და აგინო შენცა, მაშინ დაამტკიცებ შენ თვთ, ვითარმედ უგუნურ ხარ შენ, და ვითარმედ სიტყუანი იგი ჭეშმარიტ არიან. რამეთუ უკუეთუმცა არა ჭეშმარიტ იყვნეს, რადმცა განპრისხნენ, რამეთუ, მდიდარსა უკუეთუ ვინ ჰრქუას, თუ: „გლახაკ ხარ“, რად არა განპრისხნების, არამედ უფრომსად ეციინის? ამისთვის, რამეთუ იცის, ვითარმედ არა გლახაკი არს. აწ უკუეთუ ჩუენცა ვიგინნეთ რაჲ, ვიციინოდით გინებასა მას ზედა, დავამტკიცებთ, ვითარმედ არარაჲ იბოვების ჩუენ თანა სიტყუათა მათგანი. და კულად დადაცათუ ესე არა ესრეთ არს, ჩუენ ვიდრემდის გუეშინის სიტყუსაგან კაცთაჲსა, ვიდრემდის შეურაცხ-ვჰყოფთ მეუფესა მას ყოველთასა და შემშკუალულ ვართ ქუეყანისადა? „რამეთუ ვინაითგან არს ჩუენ თანა შური და ედომაჲ და განწვალებანი, არა ჯორციელ ვართა?“¹ ვიქმნნეთ უკუე სულიერ და აღჯრ-ვასხნეთ ბოროტსა მას მკეცსა, რამეთუ არარაჲ არს განყოფაჲ რისხვისა და სიციფისაჲ, არამედ ეშმაკი არს ესე მძნვარჲ და უფრომსად ეშმაკეულისა უარეს-ჰყოფს კაცსა, რამეთუ ეშმაკეული საწყალობელ არს, ხოლო მრისხანჲ ბევრეულთა სატანჯველთა ღირს არს. რამეთუ ნეფსით შთაადღებს თავსა თუსსა მთხრებლსა მას წარწყმედისასა და უწინარჲს საუკუნისა მის გეჰეხიისა აჰავე დაშვილ არს, რამეთუ ამბოხებასა და შფოთსა ბოროტსა ღამე და დღე მოაწევს თუალთა ზედა სულისათა. აწ უკუე განვდევნოთ ჩუენგან ბოროტი ესე ვნებაჲ და ვაჩუენოთ ყოვლით კერძო სიმშუდჲ, რაითა ამასცა საწუთროსა ვიკს-

¹ კორ. 3,3

ნეთ თავნი ჩუენნი ბოროტისაგან და მას საუკუნესა სა-
ტანჯველთა მათგან მწარეთა განვერნეთ და ვპოვოთ აქაცა
განსუენებაჲ სულისაჲ და მერმესა მასცა საუკუნესა სასუფე-
ველი ცათაჲ ვპოოთ, რომელსა-იგი ღირსმცა ქმნულ ვართ
ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფ-
ლისა ჩუენისა ესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომ-
ლისა თანა მამასა ჰმუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აჲ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თ ა ვ ი მ თ

ს ი ტ ყ უ ა ჲ ე ს ე: ესე ჰრქუა მათ და დაადგრა გალი-
ლეას და აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულსა მას. მაშინ თა-
ვადიცა აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ვითარცა ფა-
რულად (7, 9, 10). თ ა რ გ მ ა ნ ი: საქმეთა ამათ, რომელთა
კაცობრივ იქმოდა უფალი განგებულებით, არა თუ ამისთვის
ოდენ იქმოდა, რაჲთამცა განკაცებაჲ თვისი დაამტკიცა, არა-
მედ ამისთვისცა, რაჲთა ჩუენ სათნოებაჲ გუასწავოს, რამეთუ,
უკუეთუმცა ყოველსავე ვითარცა ღმერთი იქმოდა, ვინამცა
შეუძლეთ ჩუენ ცნობად, რაჲამს-იგი საქმეთა ესევეითართა
შთავრდომად მოიწიოს, თუ რაჲ ჯერ-არს ყოფად? ხოლო
სიტყუად ჩემი ესევეითარი არს, რამეთუ, აჰა, ესერა, გუესმა-
ამის მახარებელისაგან, ვითარმედ განძნებულთა მათ ჰურია-
თა შორის შევიდა, რაჲამს იგინი ეძიებდეს მოკლვად და ძალი-
თა თვისისა ღმრთეებისაჲთა აღურ-ასხნა. ხოლო უკუეთუმცა
მარადის ესრეთ იქმოდა, ჩუენ ამისი ქმნაჲ ვერ ძალ-გვც.
ხოლო რაჲამს მოიწიამცა ესევეითარი საქმეს, ვითარმცა ვცანთ,
თუ რაჲ გვკმს ყოფად, გინა თუ დადებად ოდენ თავნი ჩუენნი
სიკუდილად, ანუ თუ მცირედ ღონისძიებით განგებულებაჲ,
რაჲთა წარემართოს სიტყუად იგი საღმრთოჲსა ქადაგებისაჲ.
რაჲმცა ვქმენით, რომელთა-ესე ვერ ძალ-გვც, რაჲთამცა
შორის მბრძოლთასა შევედით და იგინიმცა ვერ გუხედვიდეს?
ამისთვის ამასცა ვისწავებთ მისგან, რამეთუ თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: ესე თქუა იესუ და დაადგრა გალილეას,
ხოლო ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი, მაშინ თავადიცა აღვი-

და არა განცხადებულად, არამედ ვითარცა ფარულად (7; 9, 10). **თარგმანი:** ხოლო რომელსა-ესე იტყუს, თუ: „აღვიდეს ძმანი მისნი“, ესე მოსწავებამ არს, ვითარმედ: არა ენება მათ თანა აღსლვად და ამისთვის დაადგრა მუნ, და აღ-რამ-ვიდა, არავე გამოაცხადა თავი თვისი, დაღაცათუ იგინი ისწრაფდეს, რამთამცა გამოაცხადა, ხოლო რამსათეს, რომელ ძარადის კადნიერებით ეტყოდა, და აქა დამალა თავი თვისი? გარნა გულისხმა-ყავთ, თუ ვითარ არს სიტყუამ ესე, რამეთუ არა იტყუს მახარებელი, თუ: „იდუმალ“, არამედ „ვითარცა ფარულადო“, რამეთუ ესრეთ შერაცხილ იყო, თუ ფარულად არს და ამას იქმოდა, რამთა ჩუენ გუასწაოს გულისხმის-ყოფით ქმნად საქმეთა კეთილთამ. და კუალად თვნიერ ამისაცა არა ერთი იყო ამბოხებასა შინა მათსა მისლვამ მუნ, არამედ შემდგომად ამისა გარდა-რამ-ჰვდა დღესასწაული.

სახარებამ: ხოლო ჰურიანი ეძიებდეს მას და იტყოდეს: „სადამე არს იგი?“ (7, 11). **თარგმანი:** კეთილ რამამე არიან საქმენი მათნი, რომელთა დღესასწაულთა შინა იქმოდეს, რამეთუ კლვად განემზადებოდეს ძარადის და დღესასწაულთა შინა ისწრაფდეს შეპყრობად მისა. რამეთუ ეგრეთვე სხუასაცა ადგილსა იტყოდეს, ვითარმედ: „რასა ჰგონებთ, რამცა მოვიდა იგი დღესასწაულსა ამას?“¹

სახარებამ: და იტყოდეს: „სადა არს იგი?“ (7, 11). **თარგმანი:** ფრიადისა მის სიძულილისა და მტერობისა მათისაგან სახელითცა წოდებად მისა არა თავს-იღებდეს. ეჰა, დიდი სირცხვილი, რომელი აქუნდა დღესასწაულსა შინა, დიდი კრძალულებამ, რამთა ვთქუა კიცხევით, ვითარ-იგი დღესასწაულსა შინა ისწრაფდეს მონადირებად მისა.

სახარებამ: და დრტუნვამ იყო მისთვის ერსა შორის (7, 12). **თარგმანი:** ხოლო მე ვჰგონებ, ვითარმედ ადგილისა მისგანცა განრისხნებოდეს, სადა-იგი სასწაული ქმნა და ეშინოდა, ნუჟკუე სხუამცა ქმნას მან და ესრეთ ზრახვიდეს მისთვის და უნებლიამთ თვნიერ ნებისა მათისა გამოაცხადებდეს მას.

სახარებამ: და რომელნიმე იტყოდეს: „კეთილ არს

¹ იოან. 11,56.

იგი“; და სხუანი იტყოდეს: „არა, არამედ აცთუნებს ერსა“ (7, 12). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ხოლო სიტყუად ესე, თუ: „კეთილ არს“ — მრავლისა მის ერისაჲ არს, და ესე მთავართაჲ არს და მღღელთაჲ, რამეთუ სიტყუად ესე, ვითარმედ: „არა, არამედ აცთუნებს ერსა“, — ესე მას მოასწავებს. ხოლო რასა იქმოდა, რომელ აცთუნებდა? მითხართლა, ნუჟკუე აცთუნებდა და არა ჭეშმარიტებით იქმოდა სასწაულთა? გარნა ესე თუთ საქმემან გამოაჩინა, თუ უცნებით იქმოდა, გინა ჭეშმარიტებით.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: და არავინ განცხადებულად იტყოდა მისთვის შიშისათვის ჰურიათაჲსა (7, 13). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** ჰხედავა, ვითარ წინამძღუარნი იგი განხრწნილ იყვნეს, ხოლო ერნი იგი მრთელ იყვნეს გონებითა, გარნა არა აქუნდა სიმენცე იგი ჭეროვანი?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: და ვითარცა დღესასწაული იგი განოღენ-ზოგებულ იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და ასწავებდა (7, 14). **თ ა რ გ მ ა ნ ი:** დაყოვნებითა მით უმოსწრაფეს-ყვნა სძენად სიტყუათა მისთა, რამეთუ რომელნი-იგი პირველთა მათ დღეთა ეძიებდეს, რაჟამს იხილეს მეყსა შინა მოსრული, განალამცა გარემოდგეს იგინიცა, რომელნი კეთილად უწესდეს მას და იგინიცა, რომელნი მაცთურით ჰხადოდეს, იგინი ამისთვის, რადთამცა ესმა კულადმცა სწავლაჲ მისი, და ირგეს და განკვრდესმცა, ხოლო ესენი ამისთვის, რადთამცა პოვეს მიზეზი და შეიპყრეს; ცთუნებასა უკუე ერისასა სწავლისა მისისა სიტყუათათვის იტყოდეს, რამეთუ ვერ გულისხმა-ჰყოფდეს სიტყუათა მისთა ძალსა. ხოლო რომელნი იტყოდეს, თუ: „კეთილ არს იგი“, იგინი სასწაულთა მისთათვის იტყოდეს, არამედ თავადმან მიუშუა, ვიდრემდის დამდოვრდარე გულისწყრომაჲ მათი და ესრეთ მივიდა, რადთამცა შეუძღეს სძენად სიტყუათა მისთა, რაჟამს რისხვაჲ არღარამცა დაუყოფდა ყურთა მათთა. ხოლო მახარებელმან არა გამოგვცხადა, თუ რაჲ ასწავა, ანუ რაჲ თქუა, გარნა ამას ოდენ იტყუს, ვითარმედ: „საკვრველ იყო სწავლაჲ მისი“, და ვითარმედ: „მოაქცინა იგინი საკვრველებად“, და ესეოდენ იყო სწავლისა მის მისისა ძალი, რამეთუ, რომელნი-იგი იტყოდეს, თუ: „აცთუნებს ერსა, მოიქცეს და უკვრდა, ვითარმედ: „ვითარ

ამან წიგნი იცის უსწავლელად?“¹ ჰხედავა, ვითარ აქაცა უკეთურებით საცხე არს განკურვება იგი მათი? რამეთუ არა ესრეთ იტყუს მახარებელი: თუ სწავლამ მისი საკურველად უჩნდა, ანუ თუ შეიწყნარებდეს სწავლათა მისთა, არამედ უკრდაო, თუ სადაათ იცის ამან ესე ყოველი? ჭერ-იყო უკუე გულსხმის-ყოფად, ვითარ არა. კაცობრივი იყო მის თანა, არამედ, ვინაითგან მათ ესე არა გულისხმა-ყვეს, გარნა ოდენ უკრდა, იხილე, რასა ეტყუს მათ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : ვითარმედ „ჩემი ესე მოძღურებაა არა არს ჩემი, არამედ მომავლინებელისა ჩემისა“ (7, 16). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და კუალად მათისა მის იქუსა მიმართ მიუგებს, რათამცა მამად გულისხმა-უყო და პირიმცა მათი დაუყო.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მან მოძღურებაა ესე, ვითარ რაა არს, ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით ჩემით ვიტყუ (7, 17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო რაა არს სიტყუად ესე, რომელსა იტყუს? ესე იგი არს, ვითარმედ უგულისხმოებაა ეგე ავოცეთო და რისხეა და შური და სიძულილი, რომელი გაქუს ჩემდა მომართ ამოდ, და მაშინ არღარა იყოს დამაყენებელ თქუენდა ცნობად სწავლამ ესე ჩემი, ვითარმედ ჭეშმარიტად სიტყუანი ღმრთისანი არიან, რამეთუ აწ ბოროტნი ეგე ზრახვანი თქუენნი დაგაბნელებენ და არა გიტევებენ გულისხმის-ყოფად სიტყუათა ჩემთა, უკუეთუ კულა ყოველივე ეგე ბოროტებაა თქუენი აღპკოცოთ, მერმე არღარა იყოს დამაყენებელ თქუენდა. არამედ ესრეთ განცხადებულად არა თქუა ბოროტთა მათათუს, თუ არა უმეტესადმცა მოეწყლნეს გულნი მათნი, გარნა, დალაცათუ განცხადებულად არა თქუა, არამედ ესე ყოველი მოასწავა სიტყუსა მის მიერ, რომელი თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელი ჰყოფდეს ნებასა მისსა, მან ცნას მოძღურებაა ესე, ვითარ რაა არს, ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით ჩემით ვიტყუ“ (7, 17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ესე იგი არს, ვითარმედ: ანუ მე უცხოსა რასმე და წინააღმდეგომსა ვიტყუ, რამეთუ, რომელ იტყუს, თუ: „თავით ჩემით“, მარადის სიტყუად ესე ამას მოასწავებს, ვითარმედ: არარას ვიტყუ გარეგან

¹ იოან. 7, 15

ნებისა მისისა, არამედ ყოველივე, რაოდენა მამასა ჰნებავს, მეცა მნებავს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „უკუეთუ ვინ ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მოძღურებაჲ ესე“ (7,17). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲ არს უკუე: „უკუეთუ ვინ ნებასა მისსა ჰყოფდეს“? ესე იგი არს, ვითარმედ: უკუეთუ ვინ წადიერ იყოს ჰმნად სათნოებათა და სათნო-ყოფად ღმრთისა, მან გულისხმა-ყოს სიტყუათა ამათ ძალი. უკუეთუ ვინ ინებოს გულისხმის-ყოფად სიტყუათა წერილთასა, ცნას, თუ ეწამებთან ჩემთა სიტყუათა, ანუ არა.

ხოლო ვითარ, რომელ სწავლაჲ ესე მისი არს, და არა მისი? რამეთუ არა თქუა, თუ „სწავლაჲ ესე არა ჩემი არს“, არამედ პირველად თქუა, ვითარმედ „სწავლაჲ ჩემი არს“, და მერმელა შესძინა და თქუა, ვითარმედ: „არა ჩემი არს“. რამეთუ იტყვს, ვითარმედ „ჩემი ესე მოძღურებაჲ არა ჩემი არს“.¹ ვითარ შესაძლებელ არს უკუე. რაჲთამცა ერთი იგი მოძღურებაჲ მისიცა იყო და არა მისი? ესრეთ უკუე არს, რამეთუ მისი ამისთვის არს, რომელ არა თუ ვისგანმე ისწავლიდა და ესრეთ იტყოდა, არამედ უსწავლელად, ხოლო არა მისი ესრეთ, რამეთუ მამისაჲ იყო მოძღურებაჲ იგი. ხოლო ვითარ იტყვს სხუასა ადგილსა, თუ: „ყოველივე მამისაჲ ჩემი არს და ჩემი ყოველივე მისი არს“.² რამეთუ, უკუეთუ ესე ვინა-მთგან მამისაჲ არს, შენი არაჲ არს, უფალო? არა სამე ჰეშ-მარიტ არს სიტყუაჲ იგი, რამეთუ: „ვინამთგან მამისაჲ არს“, ამისთვის ჯერ-არს, რაჲთამცა შენი იყო. არამედ სიტყუაჲ ესე, ვითარმედ: „არა ჩემი არს“, ფრად თესობასა მოასწავებს მისსა და მამისასა, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: „არარაჲ აქუს განყოფილებაჲ“, ვითარმცა სხუსაჲ იყო: დაღაცათუ გუამი სხუაჲ არს, ესრეთ ვიტყვ და ვიქმ, რომელ არა საგონებელ არს, თუ არა ჰეშმარიტებით მამისაჲ არს, არამედ ეგევითარივე, ვითარი არს მამისაჲცა სიტყუაჲ, გინა თუ საქმე. და კუალად სხუასაცა სიტყუასა შემოიღებს შორის სიბრძნესა და სახესაცა კაცობრივსა, რაჲთამცა დაარწმუნნა. ხოლო რომელი არს ესე, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: რომელსა ენებოს

¹ იოან. 7,16

² იოან. 17,10

თვისა რამდენ სწავლისა დამტკიცებად, არარაისათეს იქმს ამას სხვისა, გარნა ამისთვის, რადთა დიდებამ მოატყუას თავსა თვისსა. ხოლო მე ვინაფთგან არა თავისა ჩემსა დიდებასა ვეძიებო, რამათსმცა ვისწრაფდი ამოდ ჩემისა მოძღურებისა დამტკიცებასა, უკუეთუმცა არა ჰეშმარიტად მამისა მიერ იყო? რამეთუ, რომელ თავით თვისით რას იტყოდის, ესე იგი არს, თვისსა რასმე და განყოფილსა. ამასთვის იტყუს: „რადთამცა დიდებამ თვისი დაამტკიცა“, უკუეთუ კულა: „დიდებასა მომავლინებელისა ჩემისასა ვეძიებ“, რამათსმცა გასწავლიდი უცხოისა მისგან სწავლისა? ჰხედავა. ვითარ მიზეზი რამდენ იყო, რომლისათეს მას იტყოდა და თუ რამათს ეტყოდის, ვითარმედ: „არარას თავით ჩემით ვიქმ“.1 რადთა ჰრწმუნეს, ვითარმედ არა ჰსურის მას დიდებისათეს კაცობრივისა. ამისთვის, რაჟამს სიმდაბლით იტყოდის, იტყუს, ვითარმედ: „მე დიდებასა მამისა ჩემისასა ვეძიებ“, რადთამცა დაარწმუნა, ვითარმედ არა უყუარს მათმიერი დიდებამ. ხოლო სიმდაბლით მეტყუელებისა ამის მიზეზნი მრავალნი არიან: ერთად, რადთა არა უშობელად საგონებელ იყოს, და რადთა არა წინააღმდეგომად მამისა ჰგონებდენ, და რადთა კაცებამ თვისი დაამტკიცოს და უძღურებისათეს მსმენელთა მათ, და რადთა ასწაოს კაცთა სიმდაბლმ და არა დიდად მეტყუელებამ თავთა თვსთათეს, ხოლო მაღლად და კელმწიფებით მეტყუელებისა მისისამ ერთი ოდენ არს მიზეზი — მეუფებამ იგი ბუნებისა მისისამ. და ამისთვის არა მარადის ესრეთ ჯერ-იყო სიტყუამ მათ უგულისხმთა მიმართ, რამეთუ, უკუეთუ თქუა, თუ: „პირველ აბრაჰამისა მე ვარ“2 და ამისთვის დაბრკოლდეს, უკუეთუმცა მარადის ესრეთ მაღალთამცა სიტყუათა ეტყოდის, რადცამლა ყვეს?

ს ა ხ ა რ ე ბ ა მ : „მოსე მოგცა თქუენ შჯული და არავინ თქუენგანი ჰყოფს შჯულსა, რამათს მეძიებთ მე მოკლვად?“ (7, 19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რამ შეწყობამ აქუს სიტყუათა ამათ, ანუ რამ ზიარებამ აქუს პირველთქუმულთა მათ თანა? რამეთუ იგინი ორთა ბრალთა დასდებდეს მის ზედა: ერთად, ვითარ-

1 იოან. 5,30

2 იოან. 8,58

მედ შაბათსა დაქსნისო და მეორედ, რამეთუ ღმერთსა მამად თავისა თვისსა უწესსო და სწორ-ჰყოფს თავსა თვისსა ღმრთისა თანა. ხოლო არა მათისა იქუსა და ჰაზრისა იყო, არამედ ქეშ-მარიტი იყო, და იგიცა თავადი ესრეთ იტყოდა და დაამტკიცებდა მარადის, ვითარმედ: სწორ ღმრთისა არს, რამეთუ სიტყუად იგი, რომელ თქუა, თუ: „ვითარცა მამად აღადგინებს მკუდართა და ცხოველ-ჰყოფს, ეგრეთვე ძმ, რომელთადაცა ენებოს, ცხოველ-ჰყოფს“. და კუალად: „რამთა ყოველნი პატივ-სცემდენო, რამთა ვითარცა პატივ-სცემენ მამასა“, და ვითარმედ: „საქმეთა, რომელთა იგი იქმს, მეცა ვიქმ“,¹ ესე ყოველი სწორებისა მომასწავებელი არს. და შჯულისათეს უკუე იტყუს, ვითარმედ: ნუ ჰგონებთ, თუ მოვედ დაქსნად შჯულისა და წინამწარმეტყუელთა“.² ესრეთ იცოდა უკეთურებათა მათცა გონებისათა აღკოცად, ხოლო სწორებისა მის გულისსიტყუასა მათსა არა თუ ოდენ არა აღჰკოცს, არამედ დაამტკიცებსცა. ამისთვისცა სხუასა აღგილსა თქუეს მათ: „თავსა შენსა ღმერთ-ჰყოფ“, არა გარემიაქცია იქვ იგი, არამედ დაამტკიცა და თქუა, ვითარმედ: „რამთა სცნათ, თუ კელმწიფებად აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა შენდობად ცოდვათა, ჰრქუა განრღუეულსა მას, ვითარმედ: „აღდეგ. აღდეგ ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა“.³ და იგი უკუე ერთი ბრალობად მათი დაამტკიცა, რამეთუ გავზოაჩინა, ვითარმედ არა წინააღმდგომი არს მამისად, არამედ ყოველსავე სწორებითა მსხითა იქმს. ხოლო აქა მეორისა მის ბრალობისათეს წინააღმდეგების, რომელსა იტყოდეს იგინი დაქსნისათეს შაბათისა, და ეტყუს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „არა მოსე მოგცა თქუენ შჯული? და არავინ თქუენგანი ჰყოფს შჯულსა“ (7,19). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ხოლო რამსათეს თქუა, თუ „არავინ?“ ამისთვის, რამეთუ ყოველნი ეძიებდეს მას მოკლვად, ხოლო ესრეთ არს სიტყუსა მისისა ძალი, ვითარმედ მე დალაცათუ შჯული დავეჰსენ შაბათისად, გარნა კაცი ვაცხოენე და მისისა ცხოვრებისათეს დავჰსენ შაბათი და საქმე იგი ჩემი, უკუეთუ გარდასლვად იყო

¹ შდრ. იოან. 5, 19 21, 23

² მათ. 5,17

³ მათ. 9,6

შჯულისაჲ, რომელ-იგი არა იყო, არამედ დაღაცათუ იყო ცხორებისათჳს კაცისა, და არა ჯერ-იყო თქუენ მიერ შჯაჲ ჩემი, რომელნი-ეგე დიდად გარდამავალ ხართ მცნებათა: შჯულისათა, რამეთუ თქუენი ეგე გარდასლვაჲ სრულად დაჯსნაჲ არს შჯულისაჲ და მერმე შემდგომად ამათ სიტყუათა იქმს ვრცელად სწავლასა მათა მიმართ, დაღაცათუმცა პირველცა მრავალნი ეთქუნეს მათა მიმართ სწავლანი, არამედ ძალად ეტყოდა და თვისისა მის პატივისაებრ, ხოლო აწ სიმდაბლითრე. რაჲსათჳს იქმს უკუე ამას? ამისთჳს, რამეთუ არა ენება ზედაჲს ზედა განმწარებაჲ მათი, და ამას უამსა მრასხანებაჲ მათი აღორძინებულ იყო და შური მათი დიდ იყო. ამისთჳს ორითა ამით სახითა ჰნებაჲს დამონებაჲ მათი, ერთად, რამეთუ ზრახვაჲ იგი ბოროტი გულისა მათისაჲ ამხილა, ვითარმედ ეძიებენ მას მოკლვად; და კუალად, რამეთუ ესრეთ სიმშუდით ეტყჳს მათ და ტკბილად, ვითარმედ: „კაცსა, რომელი ჰეშმარიტსა გეტყჳ თქუენ“. და კუალად უჩუენა, ვითარმედ, ვინაჲთგან იგინი მკლველნი არიან, არა უქმს სხუათა განშჯაჲ, რამეთუ არა ღირს არიან. ხოლო შენ იხილე ქრისტეს სიტყუსა სიმდაბლმ და მათისა მის სიტყუსა ამპარტავანებაჲ და უკეთურებაჲ, რამეთუ ჰრქუეს მას:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „ეშმაკი არს შენ თანა, ვინ გეძიებს შენ მოკლვად?“ (7,20). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** და სიტყუაჲ ესე რისხვისაჲ არს და გულისწყრომისაჲ და სულისა ურცხუნოქმნულისაჲ, რომელსა არა ჰრცხუნენი ყოვლადვე მხილებისაგან და ჰგონებდეს, თუ შეშინებულ არს, და მერმე ვითარცა ავაზაკთა რაჲ ბოროტი ვისთჳსმე ზრახიან, და მერმე ჰნებაჲს, რაჲთამცა არა განეკრძალა კაცი იგი და ესე ქმნიან უარისყოფითა თვისითა, ეგრეთვე ესენი იქმან. ხოლო თავადმან დაუტევა მხილებაჲ მათი ამას ზედაცა, რაჲთა არა უურცხუნეს იქმნეს და კუალად სიტყუასა მასვე იწყო, რომელსა იტყოდა დაქსნისათჳს შაბათისა, და შჯულისაგან დაუყოფდა პირსა.

და იხილეთ, ვითარ სიბრძნით ყო ყოველივე, ვითარმცა ეტყოდა, თუ: „არა საკურველ არს, უკუეთუ ჩემდა ურჩ ხართ, ვინაჲთგან შჯულსაცა ურჩ ექმნებით, რომელსა ჰგონებთ, თუ: „ვკმორჩილობთ“, და რომელსა იტყვთ, თუ: „მოსე

მოგუცა“. არარაჲ არს უკუე საკურველ, უკუეთუ ჩემნიცა სიტყუანი არა გრწმენან, რამეთუ, ვინაძთგან იტყოდეთ, თუ: „მოსეს ეტყოდა ღმერთი“, ხოლო ესე არა უწყით, თუ ვინაჲ არს.“¹ ამისთვის უჩუენებს, ვითარმედ მასცა შეურაცხ-ჰყოფდეს და აგინებდეს, რამეთუ შჯული მან მოგცა და არა ის-მანეთო.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ერთი საქმე ვქმენ და ყოველთა გიკურს“ (7, 21). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამისთვისცა სადა შეწყნარებაჲ ჯერ-იყო და მადლობაჲ მას ზედა, მაბრალებთ? რამეთუ მაგისა მიერ ქმნილსა მას არა აცსენებს, არამედ თვისსა პირსა შორის შემოიღებს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ერთი საქმე ვქმენო“ (7, 21). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰნებაჲს ჩუენებად, ვითარმედ არაქმნაჲ დაქსნაჲ იყო შჯულისაჲ, და ვითარ სხუანაცა მრავალნი საქმენი არიან შჯულისა უმტკიცესნი, რამეთუ მოსეცა თავს-იდვა შეწყნარებად მცნებისა შჯულსა ზედა და უმტკიცესიცა შჯულისაჲ, რამეთუ შაბათსაცა წინადაცუეთაჲ უმტკიცეს არს, რამეთუ იგი არა შჯულისაჲ არს, არამედ მამათაჲ. ხოლო მე წინადაცუეთისაცა უმჯობესი და უზეშთაესიცა ვქმენ, — და არა აცსენა აქა მცნებაჲ შჯულისაჲ, ვითარცა თქუა მღდელთათჳს შაბათისა შეურაცხისყოფელთა, და აქა უმეტესითა მიზეზითა დაუ-ყოფს პირსა. ხოლო თუ: „გიკურს“, ესე იგი არს, ვითარმედ: „შფოთ ხართ და აღიძრვით“. რამეთუ, უკუეთუმცა შჯულიმცა შაბათისა მტკიცედმცა ჯერ-იყო ყოფად, არამცა იყო წინადაცუეთაჲ უმტკიცეს მისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : უკუეთუ წინადაცუეთილებაჲ მიიღის კაცმან შაბათსა შინა (7, 23). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჰხედავა, ვითარ-მედ მაშინ უფრომსად დაემტკიცების შჯული, რაჟამს დაიკს-ხას? ჰხედავა, რამეთუ დაქსნაჲცა შაბათისაჲ დამარხვაჲ არს შჯულისაჲ, რამეთუ, უკუეთუმცა არა დაიკსნა შაბათი, იქმ-ნების დაქსნაჲ შჯულისაჲ, და ამის მიერ ჩანს, ვითარმედ: „მე-ცა სადამე დავამტკიცე იგი“, და არა თქუა, თუ: „მე მრის-ხავთ, რომელ უმეტესი წინადაცუეთისაჲ ვქმენ“, არამედ საქმე ოდენ უთხრა და საშჯელი მისი მათა მიაგდო, რადთა სა-

¹ იოან. 9, 29

ჯონ, თუ არა უმჯობეს არსა წინადაცუეთისა ყოვლითურთ განმრთელებაჲ? რამეთუ უკუეთუ სასწაული მიოლოს კაცმან, რომელი არასადა სარგებელ არს სიმართლედ, ამისთვის დაიქსნების შჯული. ამისთვის მრისხანე ხართა? უკუეთუ დაეკესენ შაბათი, რაათა სენისა ესევითარისაგან განთავისუფლდეს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „ნუ შჯით თუალ-ღებით“ (7,24). **თ ა რ გ მ ა ნ ი :** რაჲ არს უკუე „თუალ-ღებით?“ ესე იგი არს, ნუ ამისთვის, რომელ მოსე თქუენ მიერ დიდად პატავცემულ არს. მისგან ჰყოფთ განჩინებასა, არამედ ბუნებაჲ საქმეთაჲ იხილეთ და ესრეთ ქმენით საშჯელი იგი, რამეთუ ესე არს სიშართლით შჯაჲ. რამეთუ რაჲსათვის არავინ იღრტუნა მოსესთვის? რაჲსათვის არავინ ურჩ ექმნა მბრძანებასა მას შაბათისა დაქსნისასა მცნებისა მის მიერ გარეგან შემოსრულისა შჯულსა ზედა? არამედ მან თავს-იდვა, რაათა მცნებაჲ თვისისა მის შჯულსაჲ უმეტეს-ყოს, მცნებაჲ არა შჯულისა მიერ დადებული, არამედ გარეგან, რომელ არს საკვრველ. ხოლო თქუენ, რომელნი-ეგე არა შჯულისმდებელ ხართ. უფროჲს ზომისა უშჯით შჯულსა მცნებისა მიერ არაშჯულიერასა, ხოლო რომელ თქუა, თუ: „ყოვლითურთ კაცი გამოაჩინებს, ვითარმედ წინადაცუეთაჲ მცირედი რაჲმე სიმრთელჲ არს, რაჲ არს უკუე სიმრთელე იგი წინადაცუეთისაჲ? სული კაცისაჲო, შე არა ერთითა ასოათა შებოროტებული, არამედ ყოვლით კერძო განხრწნილი აღვადგინე. ამისთვის უკუე „ნუ შჯით თუალ-ღებით“.

ს წ ა ვ ლ ა ჲ მ ი

ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა თ ვ ს

ხოლო ესე არა მაშინდელთა მათ მიმართ ოდენ თქუმულ არს, არამედ ჩუენდა მომართცა, რაათა არცა ერთითა საქმითა გარდაეპტევედეთ სიმართლესა, არამედ ყოვლით კერძო

სიმართლისათვის ვისწრაფდეთ. და გინა თუ გლახაკი ვინ იყოს, გინა თუ მდიდარი, არა პირთა ვხედვიდეთ, არამედ საქმეთა, რამეთუ „არა შეიწყალო გლახაკი საშჯელსა შინა“,¹ ხოლო რაჲ არს სიტყუჲა ესე. ესე იგი არს, ვითარმედ ნუ მისდრკები უსამართლოებასა კერძა, დაღაცათუ გლახაკი იყოს უსამართლო. აწ უკუეთუ გლახაკისა წყალობისათვის სიმართლისა გრდაჰქცევაჲ არა ჯერ-არს, არა უფრომსად მდიდრისათვის არა ჯერ-არსა? ხოლო ამას ვიტყუ არა მსაჯულთა მიმართ ოდენ, არამედ ყოველთა კაცთა, რადთა არა ოდეს გარდავაქციოთ სამართალი, არამედ ყოლადვე კეთილად დავიმარხოთ იგი, რამეთუ უფალსა უყუარს სამართალი. „ხოლო რომელსა უყუარს სიცრუჲ, მას სძულს სული. თვისი“.² აწ უკუე ნუმცა მოვიძულებთ სულთა ჩუენთა, ნუმცა შევიყუარებთ სიცრუესა, რამეთუ რაჲ არს სარგებელი სიცრუესაჲ? რამეთუ, დაღაცათუ იყოს ჯორცთა რაჲმე სარგებელი, მცირე არს და არაჲ, და უკუანამსენელ ბოროტად წარვწყმდეთ, და უფრომსად აქაცა არარაჲ ვირგოთ მისგან. რამეთუ რაჲამს გონებითა ბოროტითა ვიშუებდეთ, არა საშჯელ არსა და სატანჯველ საქმჲ ესე? შევიყუაროთ უკუე სიმართლჲ და ნუმცა სადა შეუტაცხვყოფთ ამას შჯულსა. რამეთუ რაჲ შევიძინოთ ამის ცხობისაგან, უკუეთუ სათნოებაჲ არა მოვიგოთ ამას შინა საგზლად საუკუნომსა მის? ანუ მუნ რაჲ გუერგოს მეგობართა და ნათესავთაგან და მომადლებაჲ ვისიმე სიცრუესა ზედა? და რად ამას ვიტყუ? არამედ გინა თუ ნოე, ანუ იობ, ანუ დანიელ იყვნენ მამა ჩუენდა, არად გუერგების ესე, რაჲამს საქმენი ჩუენნი ბოროტ იყვნენ. არამედ ერთი ოდენ საქმჲ საჯმარ არს ჩუენდა — სათნოებაჲ სულისაჲ. ესე შემძლებელ არს ქსნად ჩუენდა და განრინებად საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან და ღირს-მყვნეს ჩუენ სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჲსითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა ჰშუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ დაბ. 17,14

² ფსალ. 10,5

მხატვარი დ. ხიდაშელი

ჩაბარდა წარმოებას 15.04.92. ხელმოწერილია დასაბუქდად 11.02.93.
ქალაქი საბუქი № 2. გარნიტური ჩვეულებრივი. ბუქდვა მაღალი.
პირობითი ნაბუქი ფურცელი 18,42. სააღრიცხვო-საგამომცემლო
ფურცელი 16, 36.

ტირაჟი 6000 შუკვ. № 65.
თბილისი, 1993 წ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლები: გ ე ლ ა ა რ ო შ ვ ი ლ ი
ზ უ რ ა ბ ა რ ო შ ვ ი ლ ი